ნოდარ ბაქრაძე

საყვარელი მეები

ნოდარ ბაქრაძე

საყვარელი ძეები

დოკუმენტური რომანი

ზენაარი
თბილისი 2014

UDC (უაკ) 929.52(479.22)
ბ-325

ვუძღვნი ნათლიაჩემს — ივიკო საყვარელიძეს

ნებისმიერი გვარის ბედი თავისი ქვეყნის ბედ-იღბალზეა, გადაჯაჭვული. გამონაკლის არც საყვარელიძეები წარმოადგენენ. წინამდებარე წიგნში მაღალ მხატვრულადაა მოთხრობილი საყვარელიძეების გვარის ერთ-ერთი შტოს საინტერესო ისტორია XVIII-XX საუკუნის პერიოდში. ამავდროულად საინტერესოდაა დანახული საქართველოს ისტორიის ბევრი ცნობილი თუ უცნობი დეტალები.

ვფიქრობთ, წიგნი საკმაო ინტერესს გამოიწვევს, როგორც ისტორიკოსებში, ასევე მკითხველთა ფართო წრეში.

რედაქტორ-გამომცემელი **ზურაბ ქობალია**

ამწყობი **გიული ნარიმანიძე**

დამკაბადონებელი **დალი ჯვარშეიშვილი**

© გამომცემლობა „ზენაარი“ თბილისი ზანდუკელის 1

ტელ 599 343 727 ელ. ფოსტა zurkob@gmail.com

ISBN 978-9941-9359-1-6

ლურჯი ციდის ჰორიზონტიდან ამომავალი მზის ოქროსფერი დისკო დედის მკერდივით ათბობდა ბუდის კიდიდან თავწამოყოფილ, შილიფად ბუსუსით შეღიღინებულ მერცხლის ბარტყებს. დედამერცხლის გამოჩენისას, ჭიასავით რომ წაიგრძელებდნენ სუსტ კისრებს, თოთო პირს გააღებდნენ, პატარა ენებს ასარსალებდნენ და გემრიელად მიირთმევდნენ დედისგან მორთმეულ ნობათსა და მხიარულად ჭყლოპინებდნენ. ეს უწყინარი ფრინველები სიმყუდროვის მოყვარულები არიან და ყოველთვის საცხოვრებლად ირჩევენ მშვიდსა და უხიფათო გარემოს. მოჩუქურთმებულ ხის აივანზე ისე კოხტად ჩაემწკრივებინათ და მოერთოთ ბარტყების ბუდეები, კარგ, ხელობითგანთქმულ, ხუროებსაც კი შეშურდებოდათ. ტყემლებისა და აკაციის კვირტებით თეთრად ათქვეფილი სოფელიც მერცხლის ბუდეს წააგავდა, შორით, ჰორიზონტზე ცადმიბჯენილი ლურჯი მთებით. თვალაუწვდომელ მუხების გადაშლილ ტოტებიდან საამური, იმერული ნიავი უბერავდა და ზღვის ტალღებივით მიათამაშებდა ღამის ცვარით დანამულ ბალახს, ხავერდოვან სხვადასხვა დეკორატიული ნარგაობით სავსე ეზოს. აკაციის არომატით გახელებული ფუტკარი ბზუოდა, გამალებით წუწნიდა სანუკვარ ნექტარს, სახლის დასავლეთით, უკანა მხარეს მდგარ ფუღუროიან, ბებერ ბჟოლას ჩიტები შესეოდნენ. მძივებივით, აცმულ გიშერივით შავ მარცვლებს, მოთხუპნულ ნისკარტებით უმალვე სანსლავდნენ. ფერდობებზე შეფენილ სიმინდის ყანებს, საგანგებოდ გაშენებული ბროწეულების ცოცხალი რაგვი იცავდა. ეკლიანი ბროწეულის ტოტები ისე გაეხლართ-გამოეხლართათ ერთმანეთში, წუწკი, მსხვილფეხა საქონელიც კი ვერაფერს აკლებდა. მზე თანდათანობით მაღლა იწევდა, ცვარი შრებოდა და ყანებს ბუღი ადიოდა. თეთრ ფარატინაქუდიანი გლეხები, ქამა სოკოებივით შესეოდნენ ყანებს და მარგლიდნენ. წელზემოთ ბანჯგვლიანი გულ-მკერდი, ხავსით დაფარულ ხეებს მიუგავდათ. გარუჯულ სხეულებიდან ოფლი წურწურით ჩამოდიოდათ, ირგვლივ მლაშე ოფლის მძაფრი სუნი ტრიალებდა. ჩქარობდნენ, სანამ გაუსაძლისად ჩამოცხებოდა, მეტი სარეველასგან გაენთავისუფლებინათ ყანა. გამალებით უსვამდნენ თოხებს, თან ხვიარა ბალახს აგროვებდნენ და ცურსავსე ძროხებსაც იმადლიერებდნენ. შუადღისას, წყაროს შემოუსხდებოდნენ, პურს გატეხდნენ, თითო ჩარექ ცოლიკაურის ღვინოს შესვამდნენ, ქოლგასავით გაშლილ კუნელის ძირში თვალს წაატყუებდნენ, მზე რომ გადაიხრებოდა ცქაფად წამოიშლებოდნენ, კენწეროზე აჭახჭახებულ შაშვს სტვენა-სტვენით პასუხობდნენ, საყვარელ მელოდიებს მამა-

პაპურად წაიღიღინებდნენ „პატარა ბიჭი ვიყავი, თავს ჭილის ქუდი მეხურა“-ო. და კვლავ ყანაში ჩამწკრივდებოდნენ.

სახლი სწორ და მაღლობ ადგილზე იყო აშენებული, საუცხოოდ მოვლილი კოინდრიანი ეზო უმშვენებდა წინა ფასადს. ფიგურებიანი აივანი, დაჩრდილული, ვეება ზომის მუხებით, ზაფხულობით მართლაც სამოთხეს მოგაგონებდა. აივნიდან ორასი მეტრის დაშორებით, საუბნე ორშარა გადიოდა. მანძილი კარგად გამოუთვლია დამგეგმავს, ურმების ჭრიალსა და მგზავრების ზოგჯერ უთავბოლო ყაყანს, რომ არ შეეწუხებინა მობინადრენი. მუხებიცა და სხვა, მაღალი ტანის ხეებიც ისე გონივრულად გაუშენებია, ელვა-ქუხილის დროს ხეებს რომ მეხი დაცემოდა, სახლისთვის ზიანი არ მიეყენებინა. საუბნო, საურმე გზა უერთდებოდა აღმოსავლეთის დამაკავშირებელ მთავარ გზას, რომელიც ჭიათურა-საჩხერის გავლით მიემართებოდა თბილისისკენ. აივნიდან კარგად ჩანდა საუბნე და ცენტრალურ გზებზე ამვლელ-ჩამვლელი მგზავრები. მათ ყურადღებას იპყრობდა გამორჩეულად აგებული სახლი, ისე როგორც გამრჯე ხელებით შექმნილი მხატვრის ტილო: ორსართულიანი მუხისა და წაბლისკედლებიანი შენობა, ისეთი მყარი და მაგარი კედლებით, რომ კედელში ლურსმანს ვერ გაიყვანდი. პირველი სართული, როგორც იმერეთში ეძახიან „პალატი“ გათლილი ქვისგან აეგოთ. ორივე სართულზე, ყველა ოთახში, ბუხრები ჰქონდა დატანებული. საბუხრე ქვებზე, წინა მხრიდან, ირმებისა და ყვავილების ფიგურები ამოეკვეთათ. ფიგურებიან აივანს, სახლში შემოსასვლელი, ვეება ქვის კიბე ამშვენებდა, რომელიც ზემოდან დახურული იყო და სახურავი კოხტად გამოთლილ მუხის ოთხ სვეტზე მყარად იყო დაყრდნობილი. საგულდაგულოდ გამოთლილი მუხის სვეტები ფანტასტიკურ სილამაზეს მატებდა. სახლის ჩრდილოეთ მხრიდან, მეორე გრძელი აივანი, საზაფხულო ნადიმებისთვის იყო განკუთვნილი. სახლის უკანა მხარეს მაღალი მსხვილტანიანი ნიგვზები ხარობდა, ცოტა ზემოთ, ლეღვისა და ტკბილი ბროწეულების ბაღჩა, ბაღჩასთან ახლოს ჭა, ათიოდე მეტრის სიღრმისა, იქედან ამოღებული გემრიელი წყალი, პაპანაქება სიცხეში, ჭიქის კედლებზე ორთქლს რომ მოიკიდებდა, იმის დალევას რა ჯობდა. იქვე იდგა ორთვალიანი წაბლის ხის სახლი ნახევრად მრგვალად გამოჭრილ კარებითა და ვიწრო ფანჯრებით „კუხნა-სახლს“, დამახინჯებულ რუსულით ეძახოდნენ, ანუ სამზარეულო, სადაც ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გიზგიზებდა და კერძებს ამზადებდნენ. კარდალაზე ბუხარში მომცრო თუჯის ქვაბი ეკიდა და შიგ წყალი თუხთუხებდა, ცხვებოდა, იხარშებოდა, ირეცხებოდა ჭიქა-საინი. სამზარეულოზე მიბმული იყო გრძელი ძელური მარანი და აგრეთვე წაბლისავე ნალიები, სადაც წლის სარჩო სიმინდი ინახე-

ბოდა. ნალიების კედლები შერჩეული წაბლის გულის ფიცრებიდან იყო ნაშენები, რათა აბეზარ ბასრკბილებიან თაგვებს ვერ გამოეღრნათ და შიგნით ვერ შემძვრალიყვნენ, მარანში ხისგან გამოთლილი საწნახელი იდგა. მარანი სავსე იყო მიწაში ჩაფლულ სხვადასხვა ზომის ჭურებით. კედელზე ეკიდა, ღვინის ამოსაღები, მწარე კვახიდან დამზადებული ორშიმოები, ზომის მიხედვით. კუთხეში დაბალფეხიანი მაგიდა და სკამები ელაგა. მუცელგამობერილი თიხის დოქები, ჭინჭილები და ჯამები თაროებზე შემოწყობილი. ვინ მოთვლის, რამდენი საპალნე ღვინო ისმებოდა წლის დაწყებიდან დასასრულამდე. რამდენ ვინმეს შეუსვამს იმ ჯამებითა და ჭინჭილებით, ალბათ, გამოცდილ მოანგარიშესაც კი გაუჭირდებოდა ათვლა. სახლის უკან, ეზოს მიღმა, მეორე პატარ ეზოში პირუტყვთა სადგომები, ცხენების საჯინიბოები, საქათმეები და გუშაგი ძაღლების ქოხები გაენთავსებინათ. აქედან უკვე სხვა სამყარო იწყებოდა, როგორც წვრილფეხა, ასევე მსხვილფეხა არსებებისთვის. ამ გარემოს თავისი მომვლელები, ზედამხედველი და დარაჯი ჰყავდა, ერთგულ ძაღლებით მიჩენილი.

ზედა საქარა იყო ეს საოცარი, სიმწვანეში ჩაფლული სოფელი, განთქმული მთელ შუაიმერეთში, კეთილი ხალხითა და ლამაზი ქალბატონებით. მოგეხსენებათ, იმ დროს საქართველო მაზრებად იყო დაყოფილი და საქარა შორაპნის მაზრაში შედიოდა, რა თქმა უნდა, ყვირილასთან (დღევანდელი ზესტაფონი) ერთად. ყვირილას სადგურიდან, ამ მშვენიერ კარ-მიდამომდე რომლის მესაკუთრე აზნაური გიორგი საყვარელიძე გახლდათ, ორი კილომეტრით იყო დაშორებული. ოთხმოც წელს მიახლოებული გიორგი უფლის სამსახურში იდგა, გრძელ, თოვლივით თეთრ წვერს ატარებდა, ანაფორა ემოსა და სოფლის ეკლესიაში ქრისტეს მცნებებს ქადაგებდა — მღვდლად მსახურობდა. ადიდებდა უფალსა და თანასოფლელებს უფლის მიმდევართ, ჭირსა თუ ლხინში თანაგრძნობას უწევდა. ქვეყნისა და ხალხის სიყვარულისთვის ჰქონდა შელეული თავისი ახალგაზრდობა. სოფლისთვის იხარჯებოდა. შორს იყო მისგან ყოველგვარი მანკიერება, სიხარბე, ლტოლვა უკანონო სიმდიდრის ხელში ჩაგდებისა. ისინი, ვინც ღმერთს შეურაცხყოფდა, ლოცვითა და შეგონებით ცდილობდა განეკურნა, მოყვასთან დაეახლოვებინა, მონანიებით ჩამოერეცხა მათთვის ცოდვები და ეკლესიისკენ მოებრუნებინა. საყვარელიძე გახლდათ და მართლაც ამართლებდა გვარს, დიდად უყვარდათ, მოწიწებით ექცეოდნენ. ყველა ვინც იცნობდა. კი მართალია, ღმერთმა ადამიანი შეჰქმნა, მაგრამ გვარ-სახელი არ უბოძებია. გვარ-სახელები თავად ადამიანებმა დააწესეს, ხასიათ-ჩვევების მიხედვით. გიორგი, არამარტო გიორგი, მთელი მისი სახლეული გვერდში ედგნენ წერა-კითხვის გამავრცელე-

ბელ საზოგადოებას, ეკლესიასა და საკუთარ სახლში სკოლა ჰქონდა გახსნილი, სწავლამოწყურებულ ახალგაზრდობას, ყოველგვარი ანგარების გარეშე ასწავლიდა. მას გენებიდან მოსდევდა და სისხლში ჰქონდა გამჯდარი გაჭირვებულებისთვის ხელი გაეწვდინა, მშიერისთვის ლუკმა მიეწოდებინა, მწყურვალისთვის — წყალი, ცოდვილისთვის — ლოცვა. გიორგის მამა — ვახტანგი — მღვდლის ოჯახიდან ყოფილა გამოსული, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაუმთავრებია, უმოღვაწია შორაპნის მაზრის სხვადასხვა სოფლების ეკლესიებში, ოცდაათს მიტანებული, 1819 წელს ექვთიმე გენათელს მღვდლად უკურთხებია, ამავე მაზრაში შემავალ სოფელ ტაბაკინში: ვახტანგის მამაც გიორგი საყვარელიძეც მღვდელი ყოფილა თავისივე სოფელ ხრეითში (დღევანელი ჭიათურის რ-ნი). ორი შვილი ჰყოლია გიორგის, ვახტანგი და დავითი. უმცროსი შვილი დავითი სიჭაბუკეშივე დაღუპვია. თავად ასერთი წელი უცოცხლია და როდესაც გარდაცვლილა თავისივე მშობლიურ ხრეითში დაუკრძალიათ და საფლავზე ეპიტაფიად ქვაზე თავისივე ლექსი ამოუტვიფრავთ:

„ასერთი წელი ხარკს მივეც, ბუნება ასე წესია,
ყვავილოვნება დაჭკნება, სამარეს ჩავეთესია,
ვაგლოვე მოყვასი ჩემნი, ვითარმე დამითესია,
ლოდი მომიძღვნეს გულზედა, სადგური ესე წესია.“

მამის სიკვდილის შემდეგ, ვახტანგს უძრავი ქონება გაუყიდია და სოფელ დილიკოურში შეუძენია სამოცი ქცევა სახნავ-სათესი მიწა და ტყე, სახლი გაუმართავს და დასახლებულა. ოცდასამი წელი უმსახურია ტაბაკინის ეკლესიაში ვახტანგს, 1842 წელს ზედა საქარის ეკლესიაში გადმოუყვანიათ იგივე თანამდებობაზე და საცხოვრებელი ადგილიც შეუცვლია, დილიკოურიდან მეზობელ სოფელში საქარაში ჩამოსახლებულა 1860 წელს. ასე იცვალა ადგილ-სამყოფელი, სანამ მყარი საფუძვლი არ მოიძია, სანამ ფეხი მყარად არ მოიკიდა, ღმერთმა სწორედ ასეთ ადგილად საქარა მიუჩინა. გიორგი დედისერთა ყოფილა, დედმამიშვილი არ ჰყოლია. ხშირად საყვედურობდა მშობლებს, ერთ შვილზე რატომ შეჩერდითო, შემდეგ მღვდელი რომ გახდა, წლები რომ მოემატა და ჭკუაში ჩავარდა, პატიებას თხოვდა უფალს, დედ-მამის განსჯა მაპატიეო. ბრგე, ახოვანი, ფართო მხრები და ვიწრო წელი ჰქონდა. სქელი, უკან გადავარცხნილი თმა და გრძელი წვერი სანთლის შუქზე სარკესავით უბზინავდა. თმა კეფასთან დაწნული, აბრეშუმის ქსოვილის ნაჭრით ჰქონდა წაკრული. „მამაო გიორგიდ“ მოიხსენიებდნენ მომლოცველები. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ, გიორგის ხვდა წილად ქრისტეს ჯვარის ტარება, რასაც დიდი რუდუნებით ასრულებდა, ყოველთვის ცდილობდა უძრახველად გაე-

ვლო ღვთისაკენ სავალი, ციცაბო გზა. საქარის ეკლესიებს განაგებდა. ანაფორაში, წირვის დროს, ლოცვებს როცა კითხულობდა, ღვთისგან მოვლინებულ ანგელოზს ჰგავდა. მისი გალობა, სირინოზის ხმასთან შეზავებული, რწმენას უმტკიცებდა მლოცველებს, მაგნიტივით იზიდავდათ და ღმერთთან აახლოებდათ.

გიორგის ცოლად ჰყავდა ღორეშელი ქალი, მთელ იმერეთში სილამაზით განთქმული ანა ორჯონიკიძე. ოჯახის წევრები და ახლობლები მოფერებით კიკვილის ეძახდნენ. თავად-აზნაურთა საზოგადოებაში ძნელად თუ მოიპოვებოდა მეორე ლამაზმანი, ვინც მეტოქეობას გაუწევდა. კალმით დახატული ქალბატონი შეძლებული ოჯახიდან იყო გამოსული, მამამისის საკუთრებაში შედიოდა ხარაგაულის, კერძოდ, ჩხერიმელის ხეობის, წაბლისა და თრხმელის ტყეები, უზარმაზარი სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები. ბუნებით კეთილსა და ლამაზი სულის მატარებელს, მშობლებმა ცოდნა და აღზრდაც შესაფერისი მიაღებინეს. ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, წაკითხული ჰქონდა ძველი ქართული მწერლობა, საქართველოს ისტორია. ერკვეოდა ოჯახურ საქმეებში, კერავდა, ქარგავდა, ქსოვდა და, რაც მთავარია, შესანიშნავ გემრიელ კერძებს ამზადებდა. რვა წლით იყო გიორგიზე უმცროსი, შემოდგა თუ არა ფეხი საყვარელიძეების ოჯახში, კიკვილიმ, განსაკუთრებული სითბო იგრძნო მამამთილ-დედამთილიდან წამოსული. თავიდანვე ერთმანეთის ზრუნვა და ის სითბო სიკვდილამდე არ განელებიათ. ვახტანგი აღფრთოვანებას ვერ მალავდა, ასეთი კეთილშობილი რძალი შემხვდაო! მადლიერების ნიშნად ხატის წინ დაჩოქილი, პირჯვარს იწერდა და ლოცვას ჩურჩულებდა. თითქმის ყველაფერი ისე აეწყო მოყვარეს რომ გაახარებდა და მტერს რომ თვალებს დაუბრმავებდა, შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ: „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო!“— სწორედ მათზე იყო ნათქვამი...

დრო გადიოდა, შვილი არ ეძლეოდათ, რამაც შეაფიქრიანა გიორგი, მაგრამ არ უგრძნობინებია კიკვილისთვის. კიკვილიც სულმოუთქმელად ელოდებოდა იმ სანატრელ წუთებს, დედობას რომ აგრძნობინებდა. დრო არ იცდიდა, ეჭვებიც მატულობდა, რადგან ორწლიანი ლოდინის ეთიკაც იზრდებოდა და მომავლის იმედს აცრუებდა. ისევ ვახტანგის გამჭრიახმა რჩევამ გამოიღო სასურველი შედეგი, რძალსა და შვილს მოწამეთაში სალოცავად წასვლა ურჩია. და მართლაც, ფერიცვალება დღეს, ცოლ-ქმარმა დილიკოურიდან მოწამეთამდე ფეხშიშველებმა ორმოცი ვერსი გაიარეს. თან დაკოდილი მოზვერი შეწირეს, წმინდა სალოცავს გარშემო სამჯერ შემოუარეს და ეკლესიის ეზოში ცოცხლად გაუშვეს. ძმების, წმინდანების, დავითისა და კონსტანტინე მხეიძეების საფლავზე მოილოცეს და თან აღუთქვეს:

თუ ვაჟები გაუჩნდებოდათ, საპატივცემულოდ მათ სახელებს დაარქმევდნენ.

მოხდა სასწაული, შეისმინა უფალმა თხოვნა. ხუთი შვილი შეეძინათ. სამი ქალი: კესო, აღათი და ეკატერინა, ორი ვაჟი, გვარის გამგრძელებლები — დავითი და კონსტანტინე. ხუთივენი დილიკოურში დაიბადნენ, საქარაში როცა ჩამოსახლდნენ ყველაზე უმცროსი კონსტანტინე ხუთიოდე წლის იყო, ხუთივე შვილიშვილის დაფრთიანებას მოესწრო ვახტანგი და ისე აღესრულა. აღსასრულის ჟამს გიორგი იხმო და ბოლო ქადაგება ანდერძად დაუტოვა: „ადამიანის სხეული იგივე უძირო ჭურჭელია, სადაც ყველაზე მალეფუჭებადი ორგანიზმის მაცოცხლებელი და მამოძრავებელი, ფაქიზი სული ინახება, ამიტომ სანამ ცოცხლები ვართ გვმართებს, ხორცი არ დავიბინძუროთ, რათა სული შემოგვრჩეს წმინდა და ისე ჩაბარდეს უფალსო“... ზედ გულის ფიცარზედ დაიწერა მამის უკანასკნელი სიტყვები გიორგიმ და მთელი ცხოვრება არ დაუვიწყია. პირნათლად მოიხადა მშობლების წინაშე ვალი, მათი დანაბარები შეასრულა მშობლიურ ხრეითში გიორგი საყვარელიძის გვერდით დაკრძალა ორთავე.

ქალიშვილები რომ წამოეზარდა გიორგიმ სამთავეს მზითვები გაუმზადა, სათანადო განათლება მიაღებინა და დაათხოვა. უფროს ქალიშვილს კესოს, ხრეითელი მეუღლე გრიგოლ გუნცაძე შეახვედრა ბედმა. საოცარი დამთხვევა მოხდა, საყვარელიძეების ნაფუძვნარზე დააბრუნა, თავიანთი წინაპრების საფლავები რომ არ წაშლილიყო. უხაროდა გიორგის დედ-მამის, ბებია-ბაბუების საფლავების კვალი აღარ გაქრებოდა, კესო უყურადღებოდ აღარ დატოვებდა, აღდგომის დღესასწაულზე კვერცხს გადუგორებდა გულზე. თავად გიორგისაც უფრო ხშირად მოუწევდა მშობლიურ მხარეში სიარული. მეორე, შუათანა ქალიშვილს — აღათის, ხარაგოულელი გიორგი მაჭავარიანი მიაგო თანამეცხედრედ, დედისეულ კუთხე-კუნჭულში, ჩხერიმელას რიტმულ ჩხრიალისა და ხავერდოვან მთებს შორის მოუწია ცხოვრებამ, ზაფხულობით, კახორობის დღესასწაულზე, კახორის მთაზე აღმართულ სალოცავში ფეხშიშველა ადიოდა, მოილოცებდა, მერე დიდხანს გაცქეროდა სიმწვანეში ჩაფლულ მთიან სოფლებს, ნოსტალგიამორეული, ქალიშვილობის წლებს იხსენებდა... მესამე ქალიშვილი — ეკატერინა ცოლად ჰყავდა საქარელ ბიჭი აბაშიძეს, ანუ ბიჭიას, როგორც ყველანი ეძახდნენ. ბიჭია გიორგის სახლიდან ერთი კილომეტრის მოშორებით ცხოვრობდა. სამი ქალიშვილიდან ცხრა შვილიშვილი შეეძინა გიორგის, ექვსი ქალი და სამი ვაჟი. სიძეები ლამაზი აღნაგობისანი იყვნენ, მხარ-ბეჭიანები და გულადები, მაგრამ ბიჭია მაინც გამორჩეული, ყველაზე ღონიერი და რკინასავით კაცი ყოფილა. ენამჭევრი,

როგორც აბაშიძეებს სჩვეოდათ, ცნობილი თამადა. მუშტისკვრაშიც კი ვერავინ შეედრებოდა, არც სიმდიდრე აკლდა, ყვირილაში დუქნები ჰქონდა, ფულს შოულობდა, ხარჯვაც სცოდნია და გაჭირვებულთა დახმარებაც. გადმოცემის თანახმად, ყვირილაში მცხოვრები გლეხს კამეჩი გაგიჟებია, აგრესიულად განწყობილი ცხოველი დარევია მობინადრეებს და დიდი ზიანი მიუყენებია. ბიჭიას რქებში უტაცნია ხელი, კისერი გადაუგრიხავს, ხმლის ერთი დარტყმით თავი წაუკვეთავს და იქვე ღობის სარზე ჩამოუცვავს. მას შემდეგ იმ ადგილისთვის ხალხს, „კამეჩის თავი“ უწოდებიათ. დღემდეა შემორჩენილი ეს სახელწოდება ზესტაფონში. ბიჭიას შთამომავლები დღეს საქარაში ისევ აგრძელებენ ცხოვრებას, ღმერთმა ამრავლოთ და დიდხანს აცოცხლოთ. ერთ-ერთი მათგანი ავთანდილი ჩემი კბილაა, ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, სკოლაშიდაც ერთად ვსწავლობდით...

რაც შეეხება ვაჟებს დათასა და კონსტანტინეს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა გიორგიმ. უფროს ვაჟს, ჯერ კიდევ სწავლება არ ჰქონდა დასრულებული, რომ თხუთმეტი წლის ასაკში ცოლი შერთო, ილმელი მარიამ (მარიკა) ჯაფარიძე. სოფელი ილემიც მთა-გორიანი სიმშვენიერით განთქმული შორაპნის მაზრას ეკუთვნოდა. ჯაფარიძეების ოჯახი სწავლა-განათლებით იყო განთქმული მთელ იმერეთში, მარიამის ორი ძმა პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, დაახლოებულნი ყოფილან გერცენთან, „Народнического общества“-ში ყოფილან გაერთიანებულნი და იბრძოდნენ მეფის მკაცრი წყობილების წინააღმდეგ.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უფროსმა ძმამ დათამ ანაფორა ჩაიცვა და მამისა და თავისი წინაპრების საქმეს მოჰკიდა ხელი. წიქაროსნობით დაიწყო მოღვაწეობა, ერთგულად ედგა მამას გვერდით, აკვირდებოდა, რაც არ იცოდა მისგან სწავლობდა, ცოდნასა და გამოცდილებას იძენდა, ბავშვობიდანვე ჰქონდა ჩანერგილი ცნობისმოყვარეობა, ინტერესი, ძიება. 1873 წელს, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიწერით დაინიშნა ზედა საქარის მაცხოვრის ეკლესიაში მგალობლად, შვიდი წლის შემდეგ დიაკვნად. უმცროსმა ძმამ კონსტანტინემ იმავე ეკლესიაში, სადაც სკოლა იყო განთავსებული, პედაგოგობა არჩია ღვთისმსახურებას, თანასოფლელ მომავალ თაობას ასწავლიდა ისტორიას, მშობლიურ ენასა და რუსულს. 1893 წელს დიაკვანი დათა საყვარელიძე, გაბრიელის მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდლად, ილმის ღვთისმშობლის ეკლესიაში „მამა გიორგის“ სახელწოდებით. საქარიდან ილემამდე თორმეტი ვერსის გავლა უხდებოდა ცხენით დათას. შაბათ-კვირას წირვებს ატარებდა, შემდეგ მორწმუნეთ აზიარებდა, ცოდვებისგან ანთავისუფლებდა. დიდი პატივისცემით განსჭვალა

ილმელები, ტაძარი გადაჭედილი იყო მლოცველებით. ეზოში რიგი იდგა, მამაომდე რომ მიეღწიათ, მამაოს, ხელიდან გამოსული სითბო და მადლი შეეგრძნოთ. სანთელივით წმინდა ახალგაზრდა კაცი იყო, მათგან განსხვავებით, რაღაც ისეთი შინაგანი ენერგია გააჩნდა, მაგნიტივით იზიდავდა გარშემომყოფთ. სოფლელი ლოცავდნენ მარიამს, ნამდვილი ქართველი აურჩევია მეუღლედო. იშვიათად სტუმრობდა ცოლისიანებს, სიამოვნებდა ჯაფარიძეებთან სიარული, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ხშირად არა. კაცი უნდა მოგენატროსო, — იცოდა თქმა. სიმამრი და სიდედრი ჭიშკართან ეგებებოდნენ ღიმილითა და კმაყოფილი სახეებით. მეორედ დაბადებას ეძახდა, როდესაც მაღალ მთებიდან წამობერილ გრილ ნიავს, ვეებერთელა სხეულს მიუშვერდა. ცეცხლივით წითელ ნეკერჩხლების ქვეშ, კეცებში შემწვარ, ნიორ-წყალში ჩაწყობილ წიწილებს, ჭაში ჩაციებულ ღვინოსა და ცხელ მჭადს ჩააყოლებდა. ექვსი შვილის დედ-მამა გახდნენ დათა და მარიამი. ექვსი შვილის დაფრთიანება და ფეხზე დაყენება, არ იყო ადვილი საქმე, მაგრამ იტანდა ოჯახი, ისინი მსხვილი თავად-აზნაურთა რიცხვს ეკუთვნოდნენ, ვრცელი სახნავ-სათესი მიწები და ტყეები გააჩნდათ, ეკლესიებიდანაც სოლიდური ჯამაგირი ჰქონდათ დანიშნული. მამა-შვილის წლიური შემოსავალი შეადგენდა 1060 მანეთსა და 50 კაპ. დათა აგრეთვე განაგებდა დაწყებითი საეკლესიო სკოლას. შვილები უკვე დაფრთიანებული ედგნენ გვერდში, უფროსებმა ვანომ და ვარლამმა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია დაამთავრეს. ვანო მაზრის სასამართლოში მსახურობდა. ვარლამი ხარკოვში სწავლობდა საექიმო განხრით. შემდეგ მოდიოდნენ: პავლე — ამ წიგნის მთავარი გმირი, ვლადიმერი, ვასასი და ბოლოს გრიგოლი (გრიშა). ოთხმოც წელს მიტანებული გიორგი თავს ჭარმაგად გრძნობდა. შვილებისა და შვილიშვილების ყურებით დამტკბარი, სამადლობელი ლოცვებით უხდიდა მადლობას ქვეყნის უზენაეს გამგებელს, არც დათასათვის იშურვებდა სამადლობელ სიტყვებს, ექვსი შვილი რომ შემატა ქვეყნიერებას და საყვარელიძეების ფუძე გაამაგრა. თუ დათასთვის სამადლობელ სიტყვებს არ იშურვებდა, ასევე არ იშურვებდა საყვედურს კონსტანტინეს მიმართ, ორმოცს მიტანებულს ყოველდღე ჩაჩიჩინებდა, უფროსი ძმისთვის მიებაძა და ცოლი შეერთო. კონსტანტინე ერთი ყურით ისმენდა, მეორეთი უშვებდა მამის რჩევას, დათადან განსხვავებით სულ სხვა ხასიათი ჰქონდა და გარეგნულადაც განსხვავდებოდა მისგან. სიმაღლით დათა ბევრად მაღალი იყო. სახით კიკვილს ჩამოგავდა, თეთრი თვალ-ტანადი, გრძელი სახე და წინ წამოწეული ახოვანი მკერდი, ადგილზევე აშეშებდა ავისმოსურნეთ. ვითომ ხუმრობით, სიმართლეს არ მალავდა, პირში ეუბნებოდა ყველას, საკუთარ თავსაც

არ ინდობდა. იგრძნობდნენ თუ არა სიცილით შემოპარებულ სიმართლის სიმწარეს, მოწინააღმდეგე უკან იხევდა. თუ ვინმე გაჯიქდებოდა, ძალადობით შეეცდებოდა თავისი გაეტანა, ქვასავით ძლიერი მუშტის დარტყმით აკმედინებდა ხმას. ასეთი ხასიათის გახლდათ დათაც, სიმართლეც არც ის უმალავდა ვინმეს, უსამართლობას არავის პატიებდა, მაგრამ მუშტის გარეშე, ის სიტყვით ცდილობდა მოერჯულებინა უგნური, იქნებ ჯობდა გვერდით გაევლო, ზურგი შეექცია, მაგრამ ამის უფლება არ ჰქონდა. ის ღვთისმსახური იყო და თავისთავს აღარ ეკუთვნოდა, მას ქრისტეს თვალებით უნდა შეეხედა ადამიანებისთვის „გიყვარდეს მტერი შენი, როგორც მოყვასი“. კარგად ესმოდა თითქოს ერთი შეხედვით. ყველა სარწმუნეობაზე ჰუმანურია ქრისტიანობა, მაგრამ ამავე დროს, როგორი მძიმე ტვირთია ქრისტეს ჯვრის ტარება და იყო ქრისტიანი. ძნელია კაცმა მარცხენაში გაგარტყას, შენ კი საპასუხოდ მარჯვენა ლოყა მიუშვირო, შეურაცხყოფა უსიტყვოდ ჩაყლაპო და მეორე დარტყმას დაელოდო. რთულია, მიჭირს ამ თემაზე საუბარი, ჩემი აზრით, ცნობილ, დიდ წმინდანებსაც კი გაუჭირდებოდათ ასეთი მოქმედება.

„მამაზეციურო, შენი სახელის ჭირიმე! — ეჩურჩულებოდა გიორგი ქრისტეს ხატს — ჯერ კიდევ, სანამ, პირში სული მიდგას, მომმადლე კიდევ ბოლო სიკეთე, აღსრულებამდე, ჩემი კონსტანტინეს ცოლშვილსაც მომასწარი, ჯავრად ნუ ჩამატან საფლავში, შვილის გაუკუღმართებულ ცხოვრებას“. კაფანდარა, სანთელივით ნახევრადჩამოღვენთილი მოხუცი, აცახცახებული ხელებით პირჯვარს იწერდა და საკუთარი გულის ცემას უსმენდა, რომელიც გალიაში გამომწყვდეულ ჩიტივით უფართხალებდა.

გიორგიმ შვებით ამოისუნთქა როდესაც კონსტანტინემ, ყველას გასაკვირად, მიიღო ნაუცბათევი გადაწყვეტილება და ცოლად შეირთო კინოთელი სიმონ ავალიანის ქალიშვილი მარია (ცუცუნა), თოვლივით თეთრი, ფითქინა ლამაზი ქალბატონი. საყვარელიძეების ტრადიციულ ოჯახს მესამე ლამაზმანი შეემატა. სოფელი კინოთი ხუთიოდე ვერსით იყო დაშორებული ყვირილიდან. სულ რამოდენიმე კომლი ცხოვრობდა ავალიანთა გვარის წარმომადგენლები, გვარიშვილობითა და მამულებით განთქმულნი. გარეგნულად პირმშვენიერი მანდილოსნები და ბრგე ვაჟკაცები ავთვალს არ ენახვებოდა. ომში გამოჩენილი სიმამაცისთვის იმერეთის მეფის მიერ იყვნენ იქ ჩამოსახლებულნი, მხცოვან მეფეს გულუხვად დაუსაჩუქრებია სახნავ-სათესი მიწებით. მთიან სოფელს შეკედლებულნი, თავს ბედნიერად გრძნობდნენ, მჟავე წყლები და მთის სუფთა ჰაერი მშობლიურ სვანეთს აგონებდათ, სიმინდი და ყურძენი მოჰყავდათ, მესაქონლეობასაც მისდევდნენ და შეხამებულ

მშვიდ გარემოში სიამტკბილობით ცხოვრობდნენ.

ცუცუნა გვერდიდან აღარ შორდებოდა კიკვილსა და მაზლის მეუღლეს მარიამს, ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, დედამთილისა და უფროსი რძლის ტაქტიანმა შეხვედრამ, სამუდამოდ ჩაამკვლელა მათ გულებში. სამოცდაათსა და ორმოცდაათს მიახლოებული, ორჯონიკიძისა და ჯაფარიძის ქალბატონები, ერთსულოვნად ამოუდგნენ გვერდში, ახალგაზრდა ავალიანის ქალბატონს, არ ეგონა კიკვილს თუ ასე უეცრად შეიცვლებოდა კონსტანტინეს ცხოვრება, თუმცა, მარიამი ყოველთვის ამხნევებდა — მალე დადგება ის დრო, პატარძალს კარზე მოგვაყენებსო. თითქოს ენამ უყივლა და მართლაც მალე გაეხსნა ბედი... ორ დღეს გასტანა ქორწილმა, სუფრა ახლად ავარდნილ მუხების ქვეშ ჰქონდათ გაშლილი. „სულიკოს“ სიმღერის ავტორი, ვარინკა წერეთელი მომჯადოებელი ხმითა და გიტარის ტკბილი სიმების წკარუნით სასწაულს ახდენდა, ღვინითა და სიმღერით გაბრუებული მოქეიფეები, მეცხრე ცაში დაფრინავდნენ. ნორჩი, ყრმა, შალვა დადიანი, გაოცებული შეჰყურებდა ვარინკა წერეთელს და უკვირდა იმ ყელიდან ასეთი სიამისმომგვრელი ხმა როგორ ამოდიოდა. რას წარმოიდგენდა მაშინ ჭაბუკი დადიანი, ოცდაორი წლის შემდეგ, თუ შეხვდებოდა კონსტანტინეს უმცროს ქალიშვილს, მშვენიერ თამარს და მასთან ერთად კინოში მოუწევდა თამაში...

2

გიორგიმ მთელი თავისი ქონება არ დაიშურა იმისთვის, რომ შვილებისთვის განათლება მიეცა და ის ძირ-ძველი ტრადიცია, რაც ოდითგანვე მოსდევდა საყვარელიძეების ოჯახს გაგრძელებულიყო, თაობიდან თაობებს გადაეცემოდა. ბაბუა გიორგიდან მოყოლებული და იმისი ბაბუის ბაბუებიც ღვთისმოსავები ყოფილან, არცერთ მათგანს სამშობლოსთვის, ეროვნულ ტრადიციებისთვის არ უღალატნია. გიორგიც ეროვნულ იდეებზე აღზარდა ვახტანგმა, მამის მცდელობამ თავისი გაიტანა, საქართველოს ერთგულ ქართველად ჩამოყალიბდა, გვერდით ედგა ილიას, ანაფორაში გამოწყობილი, მამულისთვისა და ენისთვის ლოცულობდა. გონიერი კაცი გახლდათ, ესმოდა თუ რას ნიშნავდა სხვისი ქოლგის ქვეშ, ან სხვისი ფრთების ქვეშ შეყუჟული ქვეყნის ბედი. სხვა გამოსავალი არ არსებობდა, ზოგიერთ ქართველ მეფეებს, ჩალმაც დაუხურავთ, მაგრამ მალულად გულიდან ჯვარი არ ჩამოუხსნიათ, არასდროს დავიწყებიათ თავიანთი სამშობლო, ქართველობა, წეს-ჩვეულებანი და სარწმუნოება. ყველა ჭკვიანი და პატრიოტი კაცი ასე მოიქცეოდა, მოვლენებს დაელოდებოდა, თუ შესაფერისი

დრო დადგებოდა შეეცდებოდა ქვეყანა ამოეყვანა ყელამდე ჩაძირულ ჭაობიდან. სწორედ ამიტომ ცდილობდა გიორგი, რაც შეიძლება მეტად გაზრდილიყო განათლებულთა რიცხვი, რადგან მწიგნობარმა ადამიანებმა უკეთ იციან სამშობლოს ყადრი... ბედს არ ემდუროდა, შვილების დარდი აღარ ჰქონდა, მას შემდეგ რაც კონსტანტინე დაქორწინდა, ის ერთადერთი მწარე ფიქრიც გაუქარწყლდა, დანარჩენი ყველაფერი საათივით ჰქონდა აწყობილი. ქალიშვილები გათხოვილნი, მათი მხრიდან შვილიშვილებიც უკვე ქმარ-შვილიანები და ცოლიანები იყვნენ, ახლა კი კონსტანტინედან ელოდებოდა ბოლო ნაკადს. ჯიბრით არავის ეჯიბრებოდა, მაგრამ ამავე დროს, დიდად ეამაყებოდა, რომ დათას შვილებს, ძალის დატანება არ სჭირდებოდათ წიგნის ხელში ასაღებად, ისინი თავად, საკუთარი სურვილით, აკეთებდნენ ყოველგვარ საქმეს, რაც განათლების მიღებას ესაჭიროებოდა. თუმცა, კიკვილს დამსახურებაც დიდი იყო. გულუხვი ბებია, პატარაობიდანვე ზღაპრებსა და თქმულებებს უყვებოდა, წერა-კითხვას ასწავლიდა. ვინც იყოჩაღებდა, თავს გამოიჩენდა, კარგად უპასუხებდა, ლამაზად დაწერდა, სწორად დაითვლიდა ან იმღერებდა, ან ლექსებს მოუყვებოდა, შაქრის ნატეხებით აჯილდოებდა. პატარებსაც მეტი რა უნდოდათ, ცდილობდნენ ბებიის გული მოეგოთ, ერთმანეთს ეცილებოდნენ, ერთმანეთისგან სწავლობდნენ, უფროსები უმცროს და-ძმებზე ზრუნავდნენ. ასე ყალიბდებოდა ნამდვილი ძმური სიყვარული, რომელიც სიცრუეზე არ ყოფილა აგებული და თუ სიყვარულს ჭეშმარიტება უდევს საფუძვლად, მოგეხსენებათ, ის მარადიულია! არც ეკლესიისადმი ყოფილან გულგრილნი, ბაბუას წირვებზე დაჰყვებოდნენ, ღმერთისადმი მიმართული მათი გულწრფელი მიდგომა ახარებდა გიორგის, რადგან ეკლესიაში შესული ადამიანი თუ გულწრფელი არაა და ფარისევლურადაა განწყობილი უფლის მიმართ, გაცილებით აჯობებს, სალოცავებში ფეხი არ შედგას, სიმართლის მოყვარული კაცი იყო, ვერ იტანდა ისეთებს, რომლებიც სიმდიდრით ზომავდნენ პიროვნებას, ვისაც კარგი სახლი ჰქონდა, ვინც საუკეთესო ჯიშის ცხენით დადიოდა, ოქროსა და ვერცხლის უნაგირით მოკაზმული. საწყალ, ბევრად ერთგულ უპოვარს კი ზედაც არავინ უყურებდა. დიოგენივით ანთებული სანთლით ხელში დადიოდა და ეძებდა ისეთ ადამიანს, ვინც ოქრო-ვერცხლს კი არა, პირველ ყოვლისა, ადამიანში თვისებებს, ხასიათსა და ნიჭიერებაც მიანიჭებდა. ეკლესია რომ ეკლესიაა, რომელიც ოდითგანვე მაცხოვრის სახლად ითვლებოდა, იქ შესულ ადამიანებს, მდიდარსა და უპოვარს, მაინც სხვანაირად უყურებდა ღვთისმსახურთა უმრავლესობა და ის „მაინც“ უნდოდა აღმოეფხვრა გიორგის ადამიანის გონებიდან. „ღმერთო მაღალო, ისევ შენ შეგწევს ამისი ძალა და უნარი, ისევ შენ უნდა მოაწესრიგო,

ეს უსწორ-მასწორო წუთისოფელი! ღმერთო ძლიერო, ისევ შენ უნდა გაგვათავისუფლო სულში ჩალექილ ამ მავნე ჩვეულებისგან, თორემ მხეცად იქცევა კაცობრიობა, გამხეცებულ ადამიანს მერე ლოცვები და ხატები რაღას დააკავებს“... „გიორგი ძვირფასო, შეუძლებელია, — თითქოს ზეციდან მოესმოდა მაცხოვრის ხმა, — ნუ მთხოვ რისი გაკეთებაც ყოვლად შეუძლებელია. ადამთა მოდგმას სიმდიდრისკენ ლტოლვა მოუსპო, ეს იმას ნიშნავს, წარღვნა მოახდინო, გაანადგურო კაცობრიობა და ხელახლა შეჰქმნა ახალი სამყარო და ახალი ადამიანი. ყველანაირი სილამაზე, რაც დედამიწაზე არსებობს უფალმა თქვენს საკეთილდღეოდ შეჰქმნა, ამას შენ ხედავ გიორგი, შენ როგორც ღმერთის მსახურმა, უნდა შეძლო ხალხს დაანახო, ამპარტავნება და სიგლახე დაუთრგუნო და მაცხოვრის სავალ გზაზე დააყენო“... ძნელია ტარება ქრისტეს ჯვრისა, ძნელია იყვე ქრისტიანი...

„დაუშვათ და, — ისევ ფიქრის მორევში იძირებოდა გიორგი, — მოახდინა უფალმა სასწაული, სხვათა მიუწვდომელ კუნძულზე დაასახლა კეთილი ადამიანები, საინტერესოა, როგორ წარიმართებოდა მათი ცხოვრება? როგორ წარიმართებოდა სიბოროტეს შეუცნობადი ადამიანების მომავალი? ჩემი აზრით ვერც იქ, იმ უბოროტო და მშვიდ გარემოში მოისვენებდა! ნამეტნავად ცნობისმოყვარეა ჩვენი მოდგმა.. ისევ დაიწყებდა ძიებას, გათხრებს, მანამ ვერ მოისვენებდა, სანამ საკუთარ თავს ზიანს არ მიაყენებდა“.

შვილებისა და შვილიშვილების მიმართ, სიმკაცრეს არ იჩენდა, მხოლოდ ცდილობდა შთაეგონებინა — ეკლესიურად ეცხოვრათ, ღვთის შიშით, მორიდებითა და მოყვასის სიყვარულით, ამ ქვეყნად სულიერი სიმდიდრეა სასურველი, რაც შეიძლება მეტ სულიერ სიმდიდრეს ფლობდე, სხვა დანარჩენი მიწიერი დროებითია, ჩვენ წავალთ ის სხვას დარჩებაო... გიორგი გაშეშებული იდგა, ხატს შეცქეროდა, მერე უეცრად დაიხარა, სანთელი აანთო, მეზობელ ოთახიდან ბარტყებივით მოჟღურტულე შვილიშვილების ხმები ესმოდა. ამ წიგნის მთავარი გმირი პავლე, ათი წლის ხდებოდა და ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა. დღეღამე ჰქონდა გასწორებული, თავი წიგნებში ჰქონდა ჩარგული. ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში მყოფი, ნებისყოფით დიდებს არაფრით ჩამოუვარდებოდა, უფროსი ძმების შემხედვარე ცდილობდა, გიმნაზია წარმატებით დაესრულებინა, ევროპის ენები შეესწავლა, უმაღლესი განათლებაც ევროპაში მიეღო რომ თავის ქვეყანა საქართველოს, რამეში გამოდგომოდა. რუსულში კონსტანტინე ამზადებდა, ვინაიდან გიმნაზიაში სწავლება რუსულად მიმდინარეობდა. პუშკინის პოეზიით დაიწყო კონსტანტინემ, ძმიშვილებს რუსულად ელაპარაკებოდა. იცოდა გამოცდილება პედა-

გოგმა, ბავშვები გაცილებით ჯანსაღი გონებისა არიან, ვიდრე ჭაბუ-კობის დროს, ამიტომ აღარ დაახანა, პატარაობიდანვე დაიწყო მათზე ზრუნვა, ჯერ წერა-კითხვა და ლაპარაკი შეასწავლა, შემდეგ რუსული მწერლობა. წიგნებს უჯდა პავლე, კეთილ გუნების ბიჭს, ნებისყოფაც ძლიერი აღმოაჩნდა, თავს მოერია, მიზნის მისაღწევად სერიოზულად დაიწყო ჭიდილი. დედა ნაზად უღიმოდა, დედის ღიმილს დაუფარავი აღტაცებით ხვდებოდა. სწორედ იმ ღიმილში ხედავდა ძალზედ მნიშ-ვნელოვან შედეგს — დედას სიამოვნებას რომ ანიჭებდა. პავლემ თითქოს ახლა იგრძნო ბავშვობის დასასრული, რაღაც ამათრთოლე-ბელმა ძალამ სხეულში დაუარა, გუშინდელი ნამოქმედარი აღარ მო-სწონდა. პირველად შეებრძოლა შინაგან გარდატეხას და ერთი ნახ-ტომით სიჭაბუკისკენ წამოიწია. დათამაც შეამჩნია შვილის უცებადი ცვლილება, თითქოს ერთი თვალის დახამხამებაში რომ გაშორდა ბავშ-ვობას, სულით ხორცამდე შეძრული მიუახლოვდა, პერანგი გადაუწია, ვეებერთელა თითებით მხრები მოუსინჯა, ისე როგორც აივანზე მერ-ცხლები ბუდეებიდან ახლად შეღიღნულ, ასაფრენად გამზადებულ ბარტყებს ფრთებს უსინჯავენ. დარწმუნდა რა შვილის სიძლიერეში, სალოცავ ოთახში გავიდა, თავი მორჩილად დახარა ხატის წინაშე, პირჯვარი გადაიწერა და სანთელი აანთო. სალოცავში ყველაფერი გემოვნებით ჰქონდა მოწყობილი, სწორედ ისე უფლისადმი რწმენით რომ განაწყობდა მლოცველს. კედელზე ჩამოკიდებულ ხის კარადაში, რომელსაც დამინული ხის პატარა კარი ჰქონდა, ქრისტეს ხატი იყო შიგნით მოთავსებული, ხატი ფანჯრისკენ იყო მიმართული და გარე-დან შემოჭრილი ნათელი სხივებით კაშკაშებდა მაცხოვრის სახე. მობი-ნადრენი რიგ-რიგობით შედიოდნენ, ლოცულობდნენ და შეთხოვდნენ — „უფალო, პური ჩვენი არსობისა, მომეც ჩვენ დღეს, და მიხსენ ჩვენ ბოროტისაგანო“.

გიორგი და დათა განსხვავებული მღვდლები იყვნენ, ზოგიე-რთებივით გასიებული მუცლები არ ჰქონიათ, მამა-შვილი გარეგ-ნულად მიმზიდველნი იყვნენ, თვალს ვერ აცილებდნენ, როცა გა-ლობდნენ, როცა საღვთო წიგნს კითხულობდნენ, ეკლესიის დარბაზში საკუთარი გულის ბაგუნის ხმასაც კი გაიგონებდით.

გიორგი, რა თქმა უნდა, მცირეწლოვან შვილიშვილებსაც არ აკ-ლებდა ყურადღებას, უწინდებური, თბილი დამოკიდებულება რომ არ გამქრალიყო, პატარებს ცხენზე შემოისვამდა, მხედრის წეს-ჩვეულებებს აჩვევდა, შემდეგ, მუხების ჩრდილში, საგმირო მითებს უამბობდა.

ერთხელ წვეულებაზე პავლე ადღეგრძელა და სევდანარევი ღი-მილით დასძინა: — შენ მოდიხარ, ჩვენ მივდივართ, ასეა შვილო მოწყ-ობილი ეს ქვეყანაო. მაშინ სათანადო ყურადღება არ მიუქცევია ამ სი-

ტყვებისთვის. მაშინ, იმდენს ვერ აცნობიერებდა, რას გულისხმობდა გიორგი „მოსვლასა“ და „წასვლაში“. მხოლოდ ახლა გახდა ნათელი გონება გაეხსნა და მიხვდა იმ სიტყვების მნიშვნელობას, სწორედ ახლა, როგორც არასდროს მოუნდა ახლოს მისულიყო, გულში მაგრად ჩაკვროდა ბაბუასა და ბებიას, ბოდიში მოეხადა, რაც უგნურობით ჩაუდენია მათ წინაშე. „ზალაში“ ისხდნენ, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, მამა სახარებას კითხულობდა, დედა წერილს წერდა ხარკოვში ვარლამს, გიორგი და კიკვილ ცხელ ჩაის შეექცეოდნენ. აკვირდებოდა მოხუცების დანაოჭებულ სახეებს, ნაღვლით სავსე თვალებს და გულში სიბრალულის გრძნობა უჩნდებოდა, თვალებზე ცრემლი აწვებოდა, ჩუმად, რომ არავის შეემჩნია, ისე იწმენდდა. საკუთარ თავს უჯავრდებოდა, რცხვენოდა ცრემლისა და ნერვების სისუსტის. კვლავ წინ წადგა ნაბიჯი ბაბუასა და ბებიასაკენ, მაგრამ რაღაც ძალა არ აძლევდა ამის საშუალებას, ადგილზე აქვავებდა და იმ ზღვარს ვერ გადადიოდა. კედელზე ბოროდინოს ომის ამსახველი სურათი ეკიდა, რომელშიც პეტრე ბაგრატიონის პორტრეტი იყო გამოსახული, მიუხედავად იმისა, მთელი თავისი ცხოვრება რუსეთში ჰქონდა გატარებული, მაინც გამოკვეთილად ეტყობოდა ქართველობა, არწივისებური გამოხედვა და არწივისებური ცხვირი დიდად ანსხვავებდა კუტუზოვისაგან. „მაინც რად ხვდა წილად ასეთი მწარე ბედი, ასე რატომ დასაჯა უფალმა, თავისი ჭკუა-გონება თავისივე მოძმეებისთვის რომ არ მოახმარებინა?! სხვა ქვეყანასა და ხალხს შეალია თავისი ახალგაზრდობა, უნარი, ბოლოს სიცოცხლეც კი... ნეტავ, დაუფასებდნენ მაინც გაცემულს ამაგს?! საქართველოში მაინც ღირსებოდა დამარხვა? როგორ ეგუება მისი ნაწვალები ძვლები, უცხო მიწას? ისევ ქართველმა კაცმა უნა მოიხსენიოს, სანთელი აენთოს და ღმერთს შეევედროს მიეტეოს ამქვეყნიური ცოდვები“...

გარეთ ბურუსიანი უკუნი ღამე იდგა. გვიანი შემოდგომის თვე იწურებოდა, თოვლი არ იდო, მაგრამ ნოემბერს რომ ჩვევია ხოლმე მომაბეზრებელი წვრილი წვიმები. ასეთ ამინდში ძაღლსაც რომ არ გააგდებს კეთილი პატრონი გარეთ, ჯერ კიდევ არ დაზამთრებულიყო, ჯერ ისე მკაცრად არ უბერავდა სუსხი ქარი, ნახევრად შიშველი მუხეზიც ისე გაგიჟებით არ ბუბუნებდნენ. ბუხარში იწვოდა რცხილის შეშა და ზამთრის ცივ ღამეს რომ ჩვეოდა ისე გუგუნებდა. მოგვიანებით ძაღლი აყეფდა, აივნიდან ფეხის ხმა მოისმა, პავლემ ფარდა გადაწია სიბნელეში შემოსასვლელ კარებთან მდგარი უფროსი ძმის მაღალი ფიგურა შეიცნო. გაუხარდა ვანოს დანახვა, ვიდრე შეეგებებოდა და კარს გამოაღებდა, ვანომ დაასწრო და თბილ და ნათელ ოთახში შემოაბიჯა. ღიმილით შეხვდნენ ძმები ერთმანეთს. გულის მესაიდუმლედ

თვლიდა ვანო თავის თანატოლად მიაჩნდა, რადგან ვარლამის შემდეგ დანარჩენზე უფროსი იყო. ლადიკო და გრიშა ჯერ იმ ასაკში იყვნენ, რომლებსაც სიყვარულის არაფერი ესმოდათ. ძმასავით ედგა ვანო გვერდით მამას, უცხო კაცისგან დანახული ძმად უფრო მიესადაგებოდა, ვიდრე შვილად. სულ რაღაც თვრამეტი წელი თუ იქნებოდა მამა-შვილს შორის განსხვავება. ბედნიერი კაცი იყო დათა ორმოცდაორი წლის ასაკში, ექვსი შვილის მამას, უფროსი მოსამსახურე, მომდევნო ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ჰყავდა, მესამეს თერთმეტი წლის პავლეს კი, გიმნაზიაში შესასვლელად ამზადებდა უფროს-უმცროსობის პატივისცემით მოპყრობას, თავიდანვე ნაზიარები ძმები, ნორმის ზღვარს არასოდეს გადადიოდნენ. მათ მშვენივრად ესმოდათ უფროსისა და უმცროსის ყადრი, შესაბამისად უთმობდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით ფაქიზად ექცეოდნენ ერთადერთ დას ვასასისა და ყველაზე უმცროს ძმას გრიგოლს. ვანო გრძნობდა მათ მორიდებულ ხასიათს, უფრო მეტი სიფრთხილით ეკიდებოდა, მათ ფაქიზ გრძნობებს და უფრო უძლიერდებოდა ძმური სიყვარული. სწორედ, ეს იყო მთავარი ტრადიცია მათ ოჯახში, რაც სხვა ოჯახებიდან ანსხვავებდა. სწორედ კიკვილისა და მარიამის მცდელობამ, ზღაპრებმა თუ თქმულებებმა მიიყვანა მომავალი თაობა ამ აზრამდე და რა საკვრიველია, მათი შვილები და შვილიშვილები გამორჩეულები თუ იქნებოდნენ.

3

მისაღები გამოცდები წარჩინებით ჩააბარა პავლემ. აუხდა დიდი ხნის ჩანაფიქრი ოცნება, ახლა უკვე უფლება ჰქონდა ეტარებინა, წელში გამონასკვილი გიმნაზიის ფორმა და კარკადიანი ქუდი, გული განუზომელი სიხარულით უცემდა, ბავშვობის წლები სრულდებოდა. ზოგჯერ ენანებოდა, ზოგჯერ უხაროდა კიდეც. ისე აღარ შეხევდავდნენ და მოექცეოდნენ, როგორც ბავშვს. ახლა უფრო მიენდობოდა ვანო, უფრო დაწვრილებით მოუთხრობდა თავის გულისსწორის შესახებ. იმდენი კი იცოდა მომავალი რძლის შესახებ, რომ ქუთაისში ცხოვრობდა დეიდასთან და ქალთა სასწავლებელში სწავლობდა.

დედამ და ბებიამ გზა დაულოცეს, მსუბუქი ცრემლი თან წააყოლეს საგზლად. პირველად ცოტა გაუჭირდა, დედობრივ სითბოს მოწყვეტილმა, უდედობას ვერ შეეგუა. რამდენჯერმე სახლში გამოქცევაც, სწავლის მიტოვებაც კი სცადა, მაგრამ, ისევ მალე მოეგო გონს. „რატომ მე ვერ უნდა შევძლო, თუკი ეს ჩემმა ძმებმა შეძლეს?“ — გაკრა გონებაში. საკუთარი თავი ხელში აიყვანა. ისევ თავიდან, ახალი მიდგომით დაიწყო ყველაფერი. გულიდან უსიამოვნო შემოწოლილი

სევდა რომ გადაეყარა, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე აუყვებოდა გორაზე ამავალ ქვის კიბეს, სუფთა მწვანე ბალახიან ეზოში სულს მოითქვამდა და დიდხანს გაცქეროდა ხოლმე ვეშაპივით უზარმაზარ ხომლის მთას, რომელსაც შუაგულში დევის თვალივით აჩნდა გამოქვაბულის ჭრილი. გადმოცემით იცოდა, თითქოს ქართველი მეფეები ომების დროს იმ მიუვალ საიდუმლო გამოქვაბულში, მთელი ქვეყნის სიმდიდრეს მალავდნენო. სწავლა არ უჭირდა, იმის შემდეგ რაც მიზანდასახული გახდა, რომ უმაღლესი დაემთავრებინა. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ფრანგულისა და ლათინური ენის შესწავლას. წამყვანი სამეცნიერო სახელმძღვანელო წიგნებსაც ხარბად ეწაფებოდა. სპეციალური ჟურნალ-გაზეთებსაც იწერდა, კითხულობდა და ცოდნას იღრმავებდა. თანატოლებთან და ზოგიერთ პედაგოგებთან ერთად ბჭობდა, კამათობდა და მართავდა ცხარე დისკუსიებს. იმისმა შიშმა რომ ქედმოხრილი და უნიათო არ წადგარიყო მასწავლებლებსა და მშობლების წინაშე, სტიმული მისცა, რამაც დადებითად იმოქმედა და სწავლას უფრო მოუმატა. სწორედ ასეთი შემართებით, ქედმოუხრელობით თუ შეძლებდა იმ ბარიერის გადალახვას, რაც ცხოვრების გზაზე ელოდა... მაინც რამდენი შეძლებია ადამიანს თუ მოინდომებს სასწაულმოქმედი ძალით სავსე სკივრია ყველა ჩვენთაგანში ჩამარხული, იმ სკივრის გახსნას დიდი ძალისხმევა და შრომა სჭირდება და ისინი ვინც არ დაიზარებენ, ნებისყოფას გამოიჩენენ, გახსნიან იმ სკივრს, ყოვლისშემძლენი ხდებიან და აოცებენ სხვა დანარჩენ ადამიანებს, თავისი ქმედებებით.

გულის კუნჭულში უხაროდა კიდეც მამა სწავლის მხრივ ვეღარაფერს უსაყვედურებდა. პედაგოგებმაც იგრძნეს თუ არა მისი სიძლიერე, სხვანაირად მიუდგნენ. უფრო ლმობიერენი გახდნენ, მიუხედავად განსხვავებული ასაკისა, მეგობრებივით ამოუდგნენ გვერდში. ამ მხრივ განსაკუთრებულად გამოირჩეოდა, ქართული ენისა და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, გიმნაზიაში არსებული უსამართლობასთან მებრძოლი კაცი, ნიკოლოზ ჩიმაკაძე რაინდული სულისკვეთებით აღვსილმა ოსტატმა თავისი შეგირდების გამოწვრთნა მოახერხა. ჩიმაკაძე ახალგაზრდებს პატრიოტული გრძნობებით მუხტავდა, აბუჩად აგდებული მშობლიური ენის, სამშობლოს დამოუკიდებლობის მომპოვებელ მებრძოლ ჯარისკაცებად ზრდიდა. იმერეთის ეპისკოპოსთან გაბრიელთან (გერასიმე ქიქოძესთან) აახლოვებდა. ეს ღვთისმოსავი, დიდებული ეპისკოპოსი მთელ თავის ჯანსა და გონს ერსა და სამშობლოს ახმარდა. კბილებით იცავდა ეროვნულ ტრადიციებს კულტურასა და ენას, თავგამოდებით იბრძოდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, რათა აღედგინა ჩვენს ეკლესიებში ავტოკეფალია, წირვებიც

ქართულ ენაზე ჩატარებულიყო და კლასიკურ გიმნაზიებშიც, სასულიერო სემინარიებშიც სწავლება მშობლიურ ენაზე წარმართულიყო. თავად გაბრიელს ცოდნა პეტერბურგში ჰქონდა მიღებული, მეუღლეც იქაური ჰყავდა, სტუდენტობის დროს შეურთავს, შვილებიც შეძენია, მაგრამ, საცხოვრებლად ისევ სამშობლოში დაბრუნებულა. საერო ცხოვრებამ არ გაუმართლა სულიერ მამას, ტრაგიკულად დამთავრდა მისი ოჯახის სიცოცხლე, საყვარელი მეუღლე და შვილები დაეხოცნენ და მარტოდ შემორჩა, ჯვრით ხელში და მაინც, რწმენა დაუკარგავი, ქადაგებდა ამ უცნაურ წუთისოფელში!.. ღმერთმა ისევ მას დააკისრა, წმინდა ადგილის ეკლესიის მწყემსმთავრობა. ბოლო დროს, დასავლეთ საქართველოს ეკლესიებს ხელმძღვანელობდა. ახლოს იცნობდა საყვარელიძეებს, სტუმრობდა კიდეც გიორგის ოჯახს. მის მიერ იყო ხელდასმული დათა მღვლად ილმის ღვთისმშობლის ეკლესიაში. დიდად ეამა პავლეს გაცნობა, ახალგაზრდა ჭაბუკში სულიერმა მამამ, სამშობლოსადმი მომავალი შეუპოვარი მებრძოლი დაინახა, მადლიერების თვალით შეჰყურებდა აღსაზრდელს და ღმერთს ევედრებოდა, ასეთი სულის მქონე ადამიანები ემრავლებინა და აღევსო საქართველო. პავლე სანთელს უნთებდა ივერიის ღვთისმშობლის ხატს, რომლის თვალებში სანთლის მოკაშკაშე, არეკლილი სხივები, მაღალ მწვერვალებიდან ამოწვერილ მზის სხივებივით კაშკაშებდა და თავისუფლების მოყვარულ ქვეყანას, ანგელოზთა სავანეს, წმინდა მანდილივით ეფინებოდა. გაბრიელი პატრიოტი კაცი ვერ ურიგდებოდა იმ პოლიტიკას, რომელიც ქართველი ერის დაკნინებასა და გადაშენებას ანხორციელებდა. რატომ უნდა ქცეულიყო ერთადერთი ჩვენი ძველთა-ძველი ქვეყანა, ახალგაზრდა ქვეყნის გუბერნიად? რატომ უნდა დაკარგულიყო და ათქვეფილიყო ჩვენი ტრადიციები, ჩვენი დამწერლობა და კულტურა რუსულში? რითი იყო ჩვენი ეკლესია, მხატვრობა და სიმღერა სხვაზე ნაკლები, ქართველი კაცი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მეობით, ღირსებითა და მოუდრეკელობით. „ღმერთო მაპატიე, ქედმაღლობასა და მკრეხელობაში ნუ ჩამითვლი ჩემს ნამოქმედარსა და სიბრაზეს, შემინდე შეცოდება, შენ ხომ ეს ქვეყანა სულის გამოსაწრთობ სამჭედლოდ, გამოსაცდელ სადგურად შეჰქმენი, სადაც ადამიანმა განსაცდელებსაც და განცხრომასაც უნდა გაუძლოს, სულიც თოვლივით, პირველი თოვლივით გაისპეტაკოს...“

ფრიად განსწავლული პედაგოგი ჩიმაკაძე, ყველას ანცვიფრებდა, თავისი შემართებული ბრძოლის უნარიანობითა და მოწაფეებისადმი ჰუმანური დამოკიდებულებით. აკვირდებოდა პავლე მუმიად ქცეულ კაცს და თავისთავს ეკითხებოდა, როგორ ათავსებდა იმ გამხმარ სხეულში იმდენ ძალასა და ენერგიას, რაც მთელი დღის განმავლობაში

ციბრუტივით ატრიალებდა და დაღლას არ აგრძნობინებდა. ფეხით ჰქონდა შემოვლილი მთელი საქართველოს კუთხე-კუნჭული, ზეპირად იცოდა ფშავ-ხევსურული პოეზია, თქმულებები თუ ლეგენდები. ძველი ქართული ფოლკლორი, მეგრულ-სვანურ-თუშური სიმღერები და საგალობლები.

— ახალგაზრდებო! — მიმართავდა ხოლმე საკლასო ოთახში შეყრილ მოწაფეებს — „ცოდნით, მხოლოდ ცოდნითაა შესაძლებელი კეთილდღეობა მოუტანოთ თქვენ სამშობლოს, დაიცვათ იგი და დაუბრუნოთ ყველა ის დიდება და ღირსება, რაც კი ოდესმე გააჩნდა...

ვანო ხშირად აკითხავდა პავლეს გიმნაზიაში, არ უკვირდა უმცროს ძმას უფროსის ქუთაისში ასე მოულოდნელი გამოჩენა. ის ხომ მისი გულის მესაიდუმლე იყო. ვანომ ბოლო დროს თავისი საცოლეც გააცნო ჯიბის წიგნაკშიც მიძღვნილი საკუთარი ლექსიც კი წააკითხა „**ნეტავი ვიყო მე ვარდი, / შენ წინა გავიშლებოდე, / პატარა ჩიტად მაქცია, / უბეში ჩაგიჯდებოდე; / შაქარ-ყინულად მაქცია, / ენაზედ დაგადნებოდე...**“ ცაბუ ჩიქოვანი ვანოს საცოლე ალვასავით მაღალი, კოჭებამდე გრძელი ნაწნავებით. სუფთა კოლხელი ქალის განსახიერება იყო პავლეს აღფრთოვანებდა მომავალი სარძლო, მექი ფაღავას ოჯახში მოხდა მათი გაცნობა, სადაც ვანომ სტუმრად მიიყვანა უმცროსი ძმა.

მექი ფაღავას ოჯახი ერთ-ერთი ინტელიგენტურ ოჯახად ითვლებოდა ქუთათურთა საზოგადოებაში. მექი ცნობილი ვექილი, მისი მეუღლე დარია ფაღავა, ენამჭევრი, ნიჭიერი ორატორი, მთელ ქალაქში, არა მარტო მთელ ქალაქში, მთელ საქართველოში მიღებული და დაფასებული ქალბატონი გახლდათ. სწორედ ამ ქალბატონის დისშვილი იყო, ვანოს საცოლე, ცაბუა ჩიქოვანი, ცაბუ ქალთა სასწავლებელში სწავლობდა და დეიდამისთან ცხოვრობდა. აბაშაში იყო დაბადებული. თუმცა, მამამისი სამსონ ჩიქოვანი ლეჩხუმელი ყოფილა წარმოშობით, მაგრამ აბაშელი დედისერთა აფაქიძის ასული შეურთავს. ლეჩხუმი დაუტოვია და აბაშიში ჩასიძებულა. აფაქიძის ქალისგან ორი ქალიშვილი ცაბუ და ალექსანდრა (პაშა) შეძენია.

ვანო ახლოს იცნობდა ფაღავების ოჯახს და სწორედ იქედან მოხდა დაახლოებოდა ცაბუას. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ვანო საქარაში დაბრუნდა და შორაპნის მაზრის სასამართლოში დაიწყო მუშაობა. სამი ოთხი წლის შემდეგ დააწინაურეს და მაზრის მოსამართლედ გადაიყვანეს. ქუთაისში გუბერნატორთან უხდებოდა ხოლმე ჩასვლა, ისე რა გააძლებინებდა სათუთი გრძნობით შეპყრობილ ახალგაზრდას თავისი გულისსწორი და უმცროსი გიმნაზიელი ძმა და ახლო მეგობარი მექი არ მოენახულებინა. ქუთაისიდან ეტლით ჩამოდიოდა სადგურ რიონამდე იქედან კი მატარებლით მიემგზავრებოდა

ყვირილამდე, ხანდახან უმცროს ძმასთან ერთად ბრუნდებოდა შინ, ერთადერთი რასაც ყველაზე მეტად განიცდიდა და ყველაზე უფრო ცხოვლად გრძნობდა პავლე, ქუთაისიდან ყვირილამდე მგზავრობა იყო. მატარებლის ბორბლებზე აყოლებული სასიმღერო სტრიქონები, გონებაში წარმოდგენილი ირმისყელა გოგოსკენ მიაჩქარებდა. წარმოსახული ნაზი არსება, ბროლის კოშკიდან ხელს უქნევდა და საიდუმლო ლაბირინთების შესასვლელ გზაზე მიანიშნებდა. ისიც უშიშრად იქეთ მიილტვოდა, ვერავითარი ძალა ვეღარ აჩერებდა და ვერც შეაჩერებდა. ვის შეეძლო გამკლავებოდა, საყვარელი არსებისკენ მიმავალ დევგმირს, რომლის ძარღვებში დაუოკებელი, სიყვარულით გამთბარი სისხლი სჩქეფდა. მერე ფიქრები ოჯახის წევრებისკენ გაექცეოდა, თვალწინ წარმოუდგებოდა, მოღიმარი დედის ცრემლით დანამული სახე, მამის გრძელი თითებით ლოყაზე ჩქმეტვა, გაჭაღარავებული ბაბუა, შეკაზმულ ცხენზე ბუმბულივით რომ აიტაცებდა და მთასავით ბუმბერაზი და თეთრი კაცი, უკან ტყავის რბილ უნაგირზე შემოისვამდა. ბებია, ხალათის ჯიბეში გადანახულ ტკბილკვერსა და თხილის ჩურჩხელას საგზლად რომ ატანდა, ასე ბაბუის ბეჭებს ჩახუტებული მიუყვებოდა უფლის სახლისკენ მიმავალ თემშარას. სამი ეკლესია მდებარეობდა სოფელში: მაცხოვრის, ფერიცვალებისა და წმინდა გიორგის. ამათგან ყველაზე ძველი გუმბათოვანი წმინდა გიორგის სახელობის თამარ მეფის ეპოქას მიეკუთვნებოდა. სამთავე ერთმანეთიდან ორ-ორი ვერსით თუ იქნებოდა დაშორებული, სამთავე ეკლესიას ერთი მღვდელი გიორგი ემსახურებოდა, დათას ილემში გადასვლის შემდეგ, კონსტანტინე ეხმარებოდა მამას, გალობდა და ლოცვებსაც შესანიშნავად კითხულობდა. ბაბუისა და ბიძის შემყურე, სულიერ სიმშვიდეს განიცდიდა პავლე, დარბაზში შესული ხატებით მორთულ კედლებს რომ შეჰყურებდა, გულს უმშვიდებდა მლოცველების ერთსულოვნება, ღაღადი და ვედრება. მღვდლის ანაფორის კალთით თავზე წაფარებული, აღსარების სათქმელად წაჩოქილი ცოდვილი. ყველაზე რომანტიული მაინც ოჯახის მოჯამაგირეებთან ერთად ღამღამობით წისქვილში სიარული გახდა, სიმინდით სავსე ტომრებით გარშემორტყმული, თვალს რომ ადევნებდა ბურთივით მრგვალ, ყვითელ მთვარეს, მერე მოჭრიალე ურემი ღელის მოჩხრიალე და გრილ ნაპირას რომ გაუყვებოდა. წისქვილის ღარიდან წამობერილი გრილი ნიავი, ოფლიან შუბლს რომ შეუშრობდა, მოთენთილს რული წამოეპარებოდა და სარეველას რიტმულ ხმაურში პირველი მამლის ყივილამდე ჩაეძინებოდა. ნაშუაღამევს ღელის სიოსგან დაგრილულს გამოეღვიძებოდა, ზემოდან, რიჟრაჟშემოპარულ წყნარ განთიადში მყოფს კარგად ესმოდა მამლების ფრთების ფართხუნი, ცხენების ფრუტუნი, ძაღლების გაბმული

ყეფა-გნიასი. წისქვილში ყოველთვის ხალხმრავლობა და რიგი იდგა. ზოგჯერ მთელი ღამის გათევაც უწევდათ, სიმინდი რომ დაეფქვათ, ამიტომ დროის მოკვლის მიზნით სახლიდან წამოღებულ ღვინით სავსე დოქებს ღელეში ჩააწყობდნენ ხოლმე ჩასაციებლად. მეწისქვილე ხვიმირას საგულდაგულოდ გამომშრალი მარცვლით აავსებდა თუ არა, სუფრის გაშლაში, ხელს წააშველებდა, არც ენას ზოგავდა, მამა-პაპურად ულხენდა, თამადობდა კიდეც, სახუმარო კურიოზებსაც იხსენებდა „მიმინო მყავდა მიყვარდა“-ო მთელი ძალისხმევით გაკიოდა. ყველაფერს ასწრებდა, ფქვილით ტომრების ავსებას, სასაცილო ამბების მოყოლასა და თამადობასაც. ენაც საკმაოდ უჭრიდა, გარდასახვის ნიჭით დაჯილდოებული, ისე იჭრებოდა როლებში, გეგონებოდათ სცენაზე იდგა და მეწისქვილის როლს ასახიერებდა. დიდი ამბით ჰყვებოდა, ვინმე აბაშიძეს, როგორ გახადეს ჩექმები თბილისში კინტოებმა.

— ჩასულა, შენ ხარ ჩემი ბატონი, თავადი აბაშიძე თბილისში ახალ ჩოხა-ახალუხში და ტყავის შავ აზიაცკებით გამოწკეპილი. ალექსანდრეს ბაღში შეუვლია, გრძელ სკამზე ჩამომჯდარა, ფეხი ფეხზე გადაუდვია და ქალაქელი ლამაზმანებით მოხიბლული განცხრომას მიცემია. ამ დროს შემთხვევით ბაღში კინტოები შემოსულან დაუნახავთ რა სოფლიდან ჩასული მდიდრულად ჩაცმული კაცი, განუზრახავთ რაიმე ძვირად ღირებული ნივთი კულტურულად ხელიდან გამოეცანცლათ. ჯერი ტყავის ჩექმებზე შეუჩერებიათ. ორი კინტო თავზე წამოდგომია, ქალების ეშხით დამთვრალ აბაშიძეს, თან ერთმანეთში ისეთი დიალოგი გაუმართავთ.

— აი ვიცანი, ეს ის კაცია, ვისაც ფეხზე ხუთის ნაცვლად, ექვსი თითი აქვსო! — იძახდა პირველი.

— კაცი ვბერდები და მასეთი რამ ჯერ არ მსმენია, შეუძლებელია ადამიანს ფეხზე ექვსი თითი ჰქონდესო — დაჯერებულად იძახდა მეორე.

— სანაძლეოს ჩამოვდივარ, — არ ისვენებდა ის ეშმაკის კერძი. — ვინც ჩვენს შორის წააგოს, ცვრიანი მწვადები, მრგვლად მოხარშული დედალი, ხინკალი, სათალი და დალოცვილი კახური იკისროს, შორს წასვლა აღარ დაგვჭირდება დუქანიც აქვეა და ქალებითაც სავსეა ბაღიო. ეს ბოლო ფრაზა ისეთი გამომეტყველებით წარმოუთქვამს საჭმელისა და ქალების ჟინს ერთდროულად შეუპყრია თავადი.

— დიდო კნიაზჯან, სანეძლეოს ჩავედი, გეხვეწები კნიაზჯან, ჩექმა გაიხადეთ, ფეხის თითებს დავითვლით, ჩვენს შორის ვინც წააგებს, პურ-მარილს კისრულობს, რა თქმა უნდა, თქვენი თანდასწრებით. ოღონდ უარს ნუ გვეტყვით, თხოვნა შეგვისრულეო.

არ მოწონებია აბაშიძეს, „არ უნდა იყვნენ ეგენი წმინდა წყლის

დამლევიო“ — ერთი გაფიქრება კი გაუფიქრია, მაგრამ ცდუნება აყოლილს, თავი ვერ შეუკავებია და ქე გოუხდია მარჯვენა. დაუთვლიათ იმ შეჩვენებულებს. ხუთი აღმოჩენილა, გახარებია მეორეს და ქე დოუწყია ყვირილი, ნიძლავი მოვიგე და გაგვიძეხი ახლა წინ დუქნისკენო!

— არა, არა, ეგრე არ იქნებაო — ქვა აუგდია და თავი შეუშვერია პირველს, ახლა მეორე ჩექმა გაიხადოსო, იმდენი უქნია მაინც თავისი გაუტანია, მეორეც სანამ არ გაახდევინა არ მოუსვენია იმ უღმერთოს. გაუხდია თუ არა, კინტოებსაც მეტი რა უნდოდათ უტაციათ ხელი და ჩექმებიანა გაუჩინარებულან, ეს ჩვენი აბაშიძე კი მიუტოვებიათ ფეხშიშველა, ქალაქელ ლამაზმანებთან შერცხვენილი...

ორმა წელმა ისე სწრაფად განვლო, თვითონაც არ სჯეროდა პავლეს, ორი კლასის დასასრული, არადა თითქოს გუშინ მოხდა ყველაფერი. როგორ ნათლად ახსოვდა პირველად სამეფო უბანში რომ შეაბოტა და იმ კედლებში მოუსმინა გაკვეთილს, სადაც ერთ დროს მხცოვანი, „სულიკოს“ დამწერი დიდი აკაკი სწავლობდა. ქუთაისი ახალგაზრდებისთვის წარმოადგენდა დიდი კულტურისა და სწავლების ცენტრს, სადაც ესთეტიკურ აღზრდასთან ერთად, სულიერების საზრდოს თეატრიდან ღებულობდნენ, სადაც მოღვაწეობდნენ ქართველი საუკეთესო მსახიობები ლადო მესხიშვილი და შალვა დადიანი. შალვა ყვირილაში იყო დაბადებული, ახლო ურთიერთობა აკავშირებდა საყვარელიძეების ოჯახთან, დათასთან მეგობრობდა, მისი ოჯახის საპატიო სტუმრად ითვლებოდა. გიმნაზიის ადმინისტრაცია კრძალავდა გიმნაზიელების ქართულ წარმოდგენებზე დასწრებას, მაგრამ პავლე მაინც ახერხებდა შალვას დახმარებით, ზედამხედველებისგან თავის დაძვრენას, დარბაზში ჩუმად შეპარვას, პარტერში ჯდომას, სადაც იმდროინდელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იყრიდნენ თავს. ხანდახან აკაკი წერეთელიც უერთდებოდა ხოლმე კოლეგებს, თავისი შევერცხლილი ხუჭუჭა თმითა და გრძელი წვერით. იშვიათად თუ მოიძებნებოდა მაშინ ისეთი კაცი, ვინც გვერდით დაუდგებოდა, მეფური შეხედულების მქონე მგოსანს, რომლის მოულოდნელი გამოჩენა, უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენდა თეატრსა და მაყურებელზე. დიდი ბედნიერება იყო ახალგაზრდა ყმაწვილისთვის მაღალ საზოგადოებასთან სიახლოვე, რადგან გარდატეხის პერიოდში, სულის სიმტკიცეს უძლიერებდა. შეუპოვარ, მებრძოლ რაინდს ამსგავსებდა, რომელიც გისოსებიან მყარი კედლის გამორღვევას ლამობდა, მონობას ვერ ეგუებოდა, უძირო ცისკენ იყურებოდა. ლურჯ ლაჟვარდებში გაფრენაზე ოცნებობდა. ბევრჯერ ფეხი დაუცდა, ზოგჯერ დაეცა კიდეც, ცხოვრების ოღრო-ჩოღრო ბილიკებზე, ზოგჯერ გული აიცრუა, ხელი ჩაიქნია, მაგრამ დროზე იგრძნო გამჭრიახი გონების ნიკოლოზ

ჩიმაკაძის რჩევა-დარიგება. გამოცდილმა პედაგოგმა, დროზე ჩაუნერგა მტკიცე ხასიათი, მომხდარის ცივი გონებით დანახვა, ვითარების სწორად გაანალიზება, რათა მსგავსი შეცდომები, ხელმეორედ აღარ დაეშვა. „ყველა მოძრაობასა და ქმედებას საპირისპირო რეაქცია გააჩნია, შვილო ჩემო! იმისთვის თუ როგორ უნდა მიუდგე ამა თუ იმ ქმედებებს განათლებაა საჭირო, რადგან, ცოდნა თავდასაცავი იარაღია, რომელსაც საკუთარი თავის საკეთილდღეოდ იყენებ, რადგან ცხოვრებამ არ წაგაქციოს, ფეხქვეშ არ გაგიდოს და, ილიას მოთხრობის გმირის მსგავსად, დიდოელი ლეკის ნაბადივით არ გაგთელოს!..“

სამართლიანობისა და ავტოკეფალიის აღდგენას, მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებას მოითხოვდნენ რუსი ხელისუფლებისაგან ქართველი პატრიოტები. სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად ჩამოყალიბდა თბილისში „მებრძოლი კომიტეტი“, რომელსაც სათავეში ედგნენ სილიბისტრო ჯიბლაძე და ეგნატე ნინოშვილი. ეს ადამიანები ვერ ეგუებოდნენ რუსულ შოვინიზმს, თანამოაზრეებს იკრებდნენ, საქართველოს ყველა კუთხიდან და დღითიდღე უფრო ფართოვდებოდა მისი დიაპაზონი, იმერეთის ეკლესიები, საზოგადოება და მოსწავლე-ახალგაზრდობა დიდის ამბით შეუერთდა იმ კომიტეტს, გაბრიელ ეპისკოპოსის თაოსნობით, მოსწავლე-ახალგაზრდობას კი პედაგოგი ნიკოლოზ ჩიმაკაძე შეფობდა და, რა თქმა უნდა, მის შემადგენლობაში ირიცხებოდა პავლეც. თბილისში ერთად თავმოყრილმა ხალხის მასამ ქუჩებში დაიწყო გამოსვლები, ისინი მთავრობას ულტიმატუმს უყენებდნენ, ქართულ ეკლესიასა და ენას თავიანთი ადგილი დაემკვიდრებინა და დაბრუნებოდა ყველა ის დანიშნულება, რაც ადრე, საუკუნეების მანძილზე ჰქონდა დაკისრებული, ბოლობოლო შესძლებოდა ქართველ კაცს, მშობლიურ ქვეყანაში, წირვები ქართულად მოესმინა და სასწავლებელშიც ქართულად ესწავლა.

— თუ რუსეთი მუსლიმანურ ქვეყნებზე უარეს დღეში ჩაგვაგდებდა, ასე მგლურად მოექცეოდა, ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ქვეყანას, მაშინ, რაღა აზრი ჰქონდა, ტრაქტატის დადებას? — გაიძახოდნენ ერთი მხრიდან.

— ასეთ უღმერთობას თუ გამოიჩენდნენ, რა იცოდა ცხონებულმა ერეკლე მეფემ, თორემ როგორ გადადგამდა ასეთ ნაბიჯს? მაშინ როგორ გაიხედავდა დამპყრობელ მეზობლისაკენ? გულუბრყვილოდ ენდო, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოს, დახმარება გაეწია, მუსლიმანური ურდოებისგან დავეცავით, რათა ერს როგორც ილია ბრძანებს, არ დაეკარგა, ენა, მამული და სარწმუნოება. მაგრამ რითი დამთავრდა ყველაფერი ეს ხომ დაინახეთ, ჩემო საყვარელი თანამოძმენო!..

— ისე ქართველებსაც მიგვიძღვის ბრალი, ყველაფერი არც მთლად ეგრეა, ჩემო ძმებო, ვერ დავიცავით ისე ჩვენი სამშობლო, როგორც ეკადრებოდა, სახლებში შევიმალეთ, ჯაშუშობაც გამოვიჩინეთ, ფული ვანაცვალეთ მამულს. გაიხსენეთ ერეკლეს ბოლო ბრძოლის ეპიზოდი აღა-მაჰმადთან, სამარცხვინო ჯაშუშობა, ფულში გაცვლილი მამული. უკან საომრად მობრუნებულ მტერს მოხუცი მეფე მცირედ ამალით შევატოვეთ ბრძოლის ველს, ხოლო დასაფლავების დღეს ათასობით ხალხი მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე. იმ ბრძოლის დროს, გამცილებელთა ნახევარი რომ გვერდში დადგომოდა, მაშინ ხომ არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა, ჰოდა, რა გიკვირთ ძმებო, რაც მაშინ დავთესეთ, იმას ვიმკით — ეპასუხეობდა მეორე მხარე.

— ასეა თუ ისე, რუსეთს არ ჰქონდა იმის უფლება ჩარეულიყო ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში, გაეუქმებინა ქართული სახელმწიფოებრიობა, რატომ დაარღვია. ტრაქტატში მეფეს არ ჩაუწერია, საქართველო რუსეთის შემადგენელი ნაწილიაო, რა უფლებით გააუქმა მეფის ტახტი და რუსი მეფისნაცვალი დაგვასვა თავზე. გუბერნიად გვაქცია, ამას აღარ დასჯერდა, ახლა ენას გვართმევს და გადაშენებას გვიპირებს, რუსეთს დიდი ხანია თვალი უჭირავს საქართველოზე, ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში დაიწყო დედოფლის რუსმა მეუღლემ ამაზე ფიქრი, ჭკვიანმა მეფემ დროზე შეძლო გაეშიფრა მისი ჩანაფიქრი, გვერდიდან ჩამოიშორა და გააძევა საქართველოდან. დედოფლის საქმროს არჩევაც ქართველების ახირებულება გახლდა. ცოტა რაღაც უცნაური ერი ვართ, ემოციური, ზოგჯერ ზომაზე მეტი პრეტენზიული, ზედმეტობა გვჩვევია, როგორც სიყვარულში ასევე სიძულვილშიდაც...

თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეცკი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა იმისა, რომ სკოლებსა და ეკლესიებში სწავლება და წირვა-ლოცვები ქართულ ენაზე წარმართულიყო. ასეთი განცხადება ვეღარ მოითმინა სილიბისტრო ჯიბლაძემ, ჩუდეცკის ისეთი ძლიერი სილა გააწნა, წარბი გაუხეთქა. ღვარძლითა და ბოღმით აღვსილი, სარჩელის შეტანას აპირებდა გაუკუღმართებულ სასამართლოში, მაგრამ ღმერთმა აღარ დააცალა შეჩვენებულს და ტრაგიკულად, ტანჯვაში ამოხადა სული. ვერ მოასწრო გულიდან ამოენთხია ის ნაღველი და ბოღმა, თან უკან წყევლასავით გაიყოლა და სამარადისოდ მის გვამთან ერთად დასამარდა.

იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მწარედ გააკრიტიკა რუსული ეგზარხოზების სამარცხვინო საქციელი, ქართული ეკლესიების მიმართ, მათ მიერ მოპარული ეროვნული განძეული. ეპისკოპოსმა წამოაყენა საკითხი მიეწერათ რუსეთის იმპერატორისათვის და ემხილათ მათი არაადამიანური და არაქრისტიანული ქმედება, კერძოდ, გე-

ლათის ეკლესიის მიმართ. ქუჩებში გამოსულმა სიმართლის მოყვარულმა ხალხმა გარკვეული ცვლილება მოახდინა სახელმწიფო მაღალ ჩინოვნიკებზე. ისინი იძულებულნი შეიქმნენ, დაეთმოთ ყველაფერი ის, რისი დათმობაც შეიძლებოდა. შემდეგ ხვდებოდნენ ხალხის მასებსა და გამორჩეულ ლიდერებს, მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. რუსულმა იმპერიამ ერთხელ კიდევ დაინახა ქართველი კაცის შეუპოვრობა და, რაც მთავარია, მონად აქციო, გარდასახო, ანუ წაართვა ის, რასაც ქართული ერქვა, ყოვლად შეუძლებელი იყო. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ 1832 წელს აჯანყება მოხდა და პატარა სახელმწიფოს შერკინება უდიდეს გიგანტთან, მაინც თავისას არ იშლიდა და უფრო გვაჭერდა ჩექმიან წიხლს. რა უნდა გვეღონა? ლაჩრულად წელში მოკაკვას, ისევ დაუმორჩილებლობა ვარჩიეთ, ევროპის ქვეყნებსაც ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ ჩვენთვის არ აიტკიეს აუტკიებელი თავი, თორემ მაშინ ლუდოვიკოს რომ გაეთვალისწინებინა სულხან-საბას ხვეწნა-მუდარა, უფრო სხვანაირად წარიმართებოდა ქვეყნის სვე-ბედი. ადრე რუსეთთან ტრაქტატის დადებამდე, გამუდმებული ომები გვქონდა მუსლიმებთან, ისინი დამპყრობლურ, ჩვენ თავდაცვის მიზნით ვიბრძოდით. ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავრების ლოცვა-კურთხევითა და ქართველი მეფეების სწორი პოლიტიკით, ერის ერთ მუშტად შეკვრის წყალობით, მტერს შემართებით ვუტევდით და გამარჯვებულიც, ხშირ შემთხვევაში, ჩვენ გამოვდიოდით. მაგრამ, როგორც კი, ის მუშტი გაიშლებოდა, როგორც კი, ერთმანეთის მიმართ შურითა და ღვარძლით ავივსებოდით, მტერი უმალვე გვიმონებდა, სამშობლოსაც ვივიწყებდით და დიდი დრო გვჭირდებოდა იმისათვის, თავიდან დაგვეწყო ყველაფერი. ყველამ კარგად იცოდა, დღესაც ყველას კარგად ესმის, ერთად დგომისა, უღალატო ქმედების შედეგი, მაგრამ მაინც მაშინაც და ახლაც ვერ შეეგუენ, არღვევდნენ და დღესაც არღვევენ იმ კანონს. ახლაც მაინც გაიგეთ, კეთილო ხალხო, არავითარი ქონება და სიმდიდრე არაა სამშობლოზე უძვირფასესი, თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება, ამ ზურმუხტა მთებსა და ყოველ მის ერთ გოჯა მიწასაც.

აკვირდებოდა პავლე ნინოშვილსა და ჩიმაკაძეს და უფრო ღრმად რწმუნდებოდა, რომ ამ ადამიანებს სამშობლოს საკეთილდღეოდ ზრუნვაზე ფიქრები ამოძრავებდათ. ღვთაებრივი ცეცხლი მთელ ტანზე ჰქონდათ მოდებული და ხატის წინ ანთებულ ყვითლად ჩამოღვენთილ სანთლებსა ჰგავდნენ. საოცრად შერწყმოდნენ ერთმანეთს ხასიათითა და აღნაგობით. ეგნატესა და სილიბისტრო ჯიბლაძეს „მებრძოლი კომიტეტის პარალელურად „მესამე დასი“ ჰქონდათ ჩამოყალიბებული, სადაც აერთიანებდნენ პატრიოტ და მებრძოლ თანამოაზრეებსა

და მათ შორის ნიკოლოზ ჩიმაკაძესაც. ეგნატე საზოგადოებაში მწერლის სახელით იყო ცნობილი, წერდა მოთხრობებსა და ბოლო დროს მისმა რომანმა „ჯანყი გურიაში“ ფართო პოპულარობა მოუტანა. გურულების აჯანყებამ ერთხელ კიდევ ჩააფიქრა ქვეყნის მმართველი პირები, ზოგიერთი საღად მოაზროვნეები რევოლუციას უწინასწარმეტყველებდნენ და ძირგამომპალ იმპერიის დამხობაზე საუბრობდნენ.

4

აღდგომის დღესასწაული ახლოვდებოდა, უხაროდა პავლეს, არდადეგებს სოფელში შეხვდებოდა, აივანზე გრძელ მაგიდასთან შეკრებილ ოჯახის წევრებთან ერთად, რიონის სადგურიდან ყვირილას რკინიგზის სადგურამდე მატარებლით უყვარდა მგზავრობა, ფანჯარასთან ფერად ოცნებებთან მარტოდ დარჩენილს აჯამეთის ჩაბურული ტყის ყურება. მუსიკად ქცეულ ბორბლების ხმაურს აკაკის ლექსებს აყოლებდა და პოეზიის მადლით შეპყრობილს, დრო ისე შეუმჩნევლად ეცლებოდა ხელიდან ვერ გრძნობდა. სადგურზე მეჯინიბე ხვდებოდა ხოლმე ცხენით, უკან შემოუჯდებოდა უნაგირზე და მიუყვებოდნენ დღესავით მთვარით განათებულ სახლისკენ მიმავალ გზას. ო, რამდენ სიამეს ანიჭებდა ამ გზაზე სიარული. აქ ყოველთვის ბავშვივით გრძნობდა თავს, თანატოლ ბიჭებთან ერთად თავისუფლად ნავარდობდა და თავისთავის გარდა სხვას აღარ ეკუთვნოდა, საზოგადო კანონებსა და ცხოვრებას მოწყვეტილი სულიერად ისვენებდა. უმცროსებიდან დაწყებული უფროსებით დამთავრებული, მოუთმენლად ელოდებოდნენ მის გამოჩენას გრძელ სუფრასთან სავახშმოდ შეკრებილები. გიმნაზიის სამოსში გამოწყობილს, ფართო მხრები და ვიწრო წელი ფრიად რომანტიკულს ხდიდა. განსაკუთრებულ ზეგავლენას უმცროს ძმებსა და დაზე ახდენდა. ისინი წყლიანი თვალებით შეჰყურებდნენ გიმნაზიელ ძმას და იმაზე ოცნებობდნენ როდის შეაღებდნენ სასწავლებლის კარს. უფროსები სადღესასწაულო სამზადისით აღფრთოვანებულები, ციცქის ღვინით შეზარხოშებულები, ხმაშეწყობილად ტკბილად ღიღინებდნენ. სტუმრები არ ჰყოლიათ, მერე დღისთვის ელოდნენ. შინაურები უსხდნენ მაგიდას, სცენაზე გამოსასვლელ არტისტებივით წინასწარ გადიოდნენ რეპეტიციებს, კაზმული სიტყვების მხატვრულად წარმოთქმაში და სიმღერის უკეთ შესრულებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გიორგი თამადობდა, შვილიშვილის შემოსწრებისას, განსხვავებული, მომავალი თაობის სადღეგრძელო, ვერცხლის თასით შესვა, სწორედ იმ თასით ახალგაზრდობაში ორჯონიკიძეებმა რომ უსახსოვრეს ახლადჯვარდაწერილებს სამახსოვრო წარწერით...

ლომის ფაფარივით ეფინა ჭაღარა წვერი გიორგის, თვალებში შეციცინებდნენ ბებერ ლომს, ჯერ კიდევ, დედის კალთას ამოფარებულნი ნორჩი ბოკვრები. ვანო იყო ყველაზე უფროსი, ლომივით წამოწეოდა გულ-მკერდი, მაგრამ სრულ გალომებამდე ფაფარი ჯერ არ აყროდა. თუმცა ცოლის შერთვაზე უკვე დაწყებული იყო ლაპარაკი, ოჯახში უკვე იცოდნენ მისი სიყვარულის შესახებ, დათა არაფერს ამბობდა, ნაადრევ ქორწინებაზე საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა, თავად ხომ გიორგიმ სრულიად ახალგაზრდა დააქორწინა. გამოცდილებიდან გამომდინარე მიაჩნდა ოცდახუთი წელი სრულიად საუკეთესო დროა ოჯახის შესაქმნელად. ახალგაზრდობაში უკეთესი იქნება გაიაროს ყველა ის მონაკვეთი, იგრძნოს ჯერ პლატონური სიყვარულის ძალა და ასე ეტაპობრივად მოხდება დანარჩენი ის ყველაფერი. სიტყვით არაფერს ეუბნებოდა შვილს, არც ვანო აჩქარებულა, ცაბუ სწავლობდა, სანამდის ოცდახუთამდე მიაღწევდა, მანამდე თავისი გულისსწორიც დაასრულებდა სასწავლებელს.

პავლე ეკლესიაში დაყვებოდა ბაბუას, მაგალითს იღებდა მისგან, ამქვეყნიურ სიამეთა დათმობით ფიქრობდა მოეპოვებინა საუკუნოვანი იმქვეყნიური ნეტარება! „ურწმუნო კაცი და უმარილო ხორცი — გაუელვებდა გონებაში ერთი და იგივეა. უმარილო ხორცი შესანახავად უვარგისია, ჭამითაც გემოს ვერ ატან, ასევეა ურწმუნო ადამიანი საზოგადოებისათვის უვარგისი და უმარილო... მორწმუნე ყოველთვის ცდილობს, ნაკლები ცოდვებით დაამძიმოს, ისედაც გადატვირთული დედამიწა, რადგან ცოდვა-მადლის ამწონმა სასწორმა, ცოდვებისკენ არ გადაძალოს... რათა ჩადენილი ცოდვები ლოცვებითა და ზიარებით მოინანიოს, ოდნავ მაინც რომ შეძლოს სხეულის შემსუბუქება“... გალობების მოსმენა აწყნარებდა, ხანდახან თვითონაც აჰყვებოდა იმ ღვთაებრივ ბგერებს, მაინც რა იდუმალების ძალა იმალებოდა ისეთი იმ ხმაში, რომელიც ადამიანის სიცოცხლის დასაწყისსა და დასასრულს ასე საოცრად მიესადაგებოდა და ბედნეირების თუ უბედურების აღსანიშნავად იმ ჯადოსნურ ბგერებს რომ იყენებდნენ...

აკაციისა და ატმის კვირტებთა სურნელით გაჟღენთილი ჰაერი ტრიალებდა ირგვლივ, კოინდრით დაფარული ეზო სიმწვანეში ჩაფლული სულიერების ძლიერებას მატებდა სადღესასწაულო დღეების მომლოდინე ადამიანებს. აღდგომის მძიმე მარხვა იწურებოდა. ჭიაკონონების კვამლით დაბოლილი სოფელი, უზარმაზარ ბრძოლის ველს ჰგავდა, სადაც მხოლოდ ძაღლების ყეფა-გნიასი ისმოდა. ცეცხლი თანდათანობით უფრო ძლიერდებოდა. ძაღლების ყეფას ადამიანთა ყიჟინა ემატებოდა. ბავშვების აღტაცებული სიცილ-კისკისი, უფროსების გამაფრთხილებელი შეძახილები. ისინი შიშობდნენ ქარს

ნაპერწკალი არსად ჩაეგდო და ხანძარი არ მოდებოდა საჯინიბოს, ბოსლებსა ან საქათმეებს, მართალია, კოცონები საკმაოდ შორი მანძილით იყო დაშორებული, მაგრამ ცამდის ავარდნილი ცეცხლის ენები, ქარში საეჭვოდ იგრიხებოდნენ და იკლაკნებოდნენ. პავლე ცეცხლთან თამაშით გულს რომ იჯერებდა, თანატოლ მეზობელ ბიჭებთან ჭონაზე დადიოდა, მამლების პირველ ყივილამდე გრძელდებოდა ხოლმე ტაშფანდური, დოლის ბრაგუნი, ცეკვა-სიმღერები, რაც დამხვთურსაც და მოხვთურსაც საზეიმო გარემოს უქმნიდა და ქეიფობის განწყობაზე აყენებდა. „აბა ტაში, ტაში, შენ დაუკარ!“ ისმოდა აქეთ-იქიდან. სხვა პეწი ჰქონდა სახლის წინ პატარა ქვის მაგიდაზე შემოდგმულ ორჩარექიან ღვინით სავსე დოქსა და სახელდახელოდ გაწყობილ პურმარილს. განსხვავებული გემო დაჰკრავდა ჭონაზე მოგროვილ სააღდგომო კვერცხებს, შემდეგ ეკლესიაში, წინასადღესასწაულო წირვებზე, აუარებელ ხალხთან ერთად დასწრებას.

საქარის ეკლესიაში, სადაც გიორგი მოღვაწეობდა. საყვარელმა მოძღვარმა ერთი ჰექტარი მიწა გამოაყოფინა, ეკლესიის ტერიტორიას შემოუერთდა და „ხატის მამული“ უწოდა. სიმინდი და ყურძენი მოჰყავდა, მოწეულ მოსავალს ქვრივ-ობლების ოჯახებს ახმარდა, ხელს უმართავდა, ლუკმა-პურს აწვდიდა საარსებოდ. გლეხები გიორგის მზეს ლოცულობდნენ, ერთგულებას ეფიცებოდნენ და ლხინსა თუ ჭირში განუყრელად ედგნენ გვერდში. გიორგი ღვთისგან მოწოდებული კაცი იყო, ის არ თვალთმაქცობდა, მისგან პირდაპირ ბუნებით მოდიოდა ის შინაგანი სითბო და სიყვარული, რასაც ხალხი ყოველთვის გრძნობდა და ისინიც სიყვარულითვე პასუხობდნენ და განუყრელად ღმერთს ევედრებოდნენ გაეხანგრძლივებინა ღვთისმოსავი კაცის სიცოცხლე. შვილიშვილებს განსაკუთრებულად უყვარდათ ბაბუა, ეკლესიიდან შინ დაბრუნებულს ბოკვერებივით აედევნებოდნენ, სადღესასწაულო სუფრაზე მასთან ახლოს ცდილობდნენ დამსხდარიყვნენ, სტუმარმრავლობა იყო ყოველთვის სტუმართმოყვარე ოჯახში, აივანი ივსებოდა ხოლმე მშვენიერი ქალბატონებითა და ბატონებით, მათ შორის ვარინკა წერეთელიც იმყოფებოდა თავისი განუმეორებელი გიტარით. ასწლოვანი მუხებიდან წამონაბერი გრილი ნიავი აიტაცებდა ტკბილი „სულიკოსა“ და გრძელი თეთრი თითებით აჟღერებულ სიმების მელოდიებს, სირინოზის შეწყობილ ხმებს და სოფელ-სოფელ დაატარებდა ახლო მეზობლების ყურის საამებლად.

„ო, ღმერთო ჩემო, რა მალე მთავრდება არდადეგების დღეები“. — გაკრავდა ხოლმე გონებაში პავლეს, რაც უფრო მეტს ფიქრობდა, ხომ არ იყო შესაძლებელი შეენელებინა დრო-ჟამის მსვლელობა, მით უფრო უკუმოვლენას ღებულობდა — დრო გაცილებით სწრაფად

იწურებოდა. რბილ სავარძელში მოკალათებული ბებიის ამოვლებულ თხილის ჩურჩხელებს შეექცეოდა. მზერა დედის მოღიმარ სახეზე გადაჰქონდა, ღვთისმშობლის ხატივით უსწორებდა თვალებს. ფართონაოჭებიან შუბლზე ცისკრის სხივი დასთამაშებდა მარიამს. ო, რაოდენ თბილი იყო ის ღიმილი, მზესავით თბილი! დაილოცოს მზისა და დედის მადლი! მაინც ასე ტყუპებივით როგორ ჰგავდნენ ერთმანეთს, დედას რომ დაშორდებოდა, მერე მზე უწევდა დედის მაგივრობას, თბილ სხივებით ეალერსებოდა და ფაფუკ ხელებით კისერზე გადაეხვეოდა. მუხების ჩრდილში ქვის დიდი ფილისგან გამოთლილი მაგიდა და ქვისავე გრძელი სკამები ისეთი გემოვნებით შემოევლო მაგიდას გარშემო ოსტატს, რომ მაგიდასთან მჯდომარე ადამიანს თავი თავისუფლად ეგრძნო. ცხელ ზაფხულის დღეებში შუბლი გრილ ნიავისთვის მიეშვირა, ჭადრაკი ეთამაშა ან ესაუბრა, ჭკუა-გონება ევარჯიშებინა ან ღვინო დაეჭაშნიკებინა, ხანდახან ამ უცნაური წუთისოფლისთვის არაფხიზელი თვალით შეეხედა.

განშორების მწარე ფიქრებით შეპყრობილს ჩათვლიმა. წამიერად ცაზე ახორხლილი წეროების თეთრი გუნდი მოფრინავდა უძირო ცაში, მუხებთან შეჩერდნენ, მატარებლის ვაგონებად იქცნენ და მუხების ძირში დაეშვნენ ქუთაისში წასაყვანად. პავლე ჩქარობდა ფორმის ჩაცმას და ვერ ახერხებდა. დედა წამოეშველა, სამოსი მოხდენილად მოარგო ტანზე, მაგრამ ხელის ჩამორთმევა დასამშვიდობებლად ვეღარ მოასწრო. მატარებელი აიძრა, პავლე კიბის საფეხურზე შეახტა, ერთი ხელით სახელურს ჩაჭიდა, მეორეს ზემოთ აწეულს იქნევდა და თავისიანებს ემშვიდობებოდა. მატარებელმა სახლს ჩაუქროლა, მერე ისევ ზეცაში აიჭრა, ახორხლილ წეროების გუნდს დაემსგავსა და გეზი ქუთაისისკენ აიღო...

5

პავლე წარჩინებულ მოსწავლედ ითვლებოდა გიმნაზიაში, პედაგოგები ნიჭიერ, ზრდილ ახალგაზრდად თვლიდნენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მას აფასებდნენ აგრეთვე სამართლისმოყვარულ პიროვნებად, რომელიც ვერასოდეს შეეგუებოდა მუქთახორების მიერ მშრომელი ხალხის ნაშრომის ხელში ჩაგდებას, ის ყოველთვის უსამართლობას გულზე ხელებდაკრეფილი ვერ შეაჩერდებოდა და აუცილებლად შეცვლიდა და არასოდეს შეეგუებოდა ქართული ეკლესიის დაკნინებას, მშობლიური ენის განადგურებას. არ შემცდარან აღმზრდელები პავლე გვერდში ედგა „ავტოკეფალისტთა საზოგადოებას“ თავის განუყრელ პედაგოგ ჩიმაკაძესთან ერთად. ეს

საზოგადოება თბილისში ჩამოყალიბდა და სათავეში ედგნენ სულიერი მამები კირიონი და ლეონიდე. მთელ საქართველოს მოედო და გუბერნიებში შეიქმნა ფილიალები, მათ შორის ქუთაისშიც, რომელშიდაც გაერთიანდნენ მოღვაწე საეკლესიო პირების გარდა ყველა ის მოქალაქენი ვინც პატრიოტული სულისკვეთებით იყვნენ განწყობილნი თავისი ქვეყნის მიმართ. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ედგა სათავეში ქუთათურთა საზოგადოებას. „ივერიის“ ფურცლებზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა, იბეჭდებოდა სტატიები, მიმართული ქართული ეკლესიის გადასარჩენად. ქუთაისის ხშირი სტუმარი გახლდათ აკაკი წერეთელი, რომელსაც აღფრთოვანებით ხვდებოდა ქალაქის მოსახლეობა, ინტელიგენტ საზოგადოებასთან ერთად. აკაკი სტუმრობდა, აგრეთვე, ნიკო ღოღობერიძის ოჯახს. ნიკოს ახლო მეგობრობა აკავშირებდა, როგორც აკაკისთან, ასევე ილია ჭავჭავაძესთან. ისინი ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლების დროს იყვნენ ერთმანეთთან დაახლოებულნი. ილია და აკაკი ეკუთვნოდნენ იმ მოუდრეკელ ქართველ მებრძოლთა რიცხვს, რომლებიც აბუჩად აგდებულ სამშობლოს მძიმე ბედს საკუთარი მხრები მიუშვირეს, საკუთარ სიცოცხლეს არ იშურებდნენ, ოღონდ როგორმე მტრის ხელიდან გამოეგლიჯათ ყველა ის წართმეული კულტურა და ღირსება აღედგინათ საკუთარი ერისთვის. მათი გამოჩენა საზოგადოებაში დაუშრეტელ სიყვარულის ცეცხლს აღვივებდა, ის ცეცხლი არ ნელდებოდა, რაინდული ძალით ავსებდა თანამებრძოლთ... თეატრში სიტყვით გამოსულ პოეტს ხალხი ტაშით ხვდებოდა, ტაშის გრიალი აზანზარებდა კედლებს. შალვა დადიანი მოღვაწეობდა მაშინ იმ თეატრში, აკაკი გულისყურით უყურებდა და უსმენდა თავისი აღზრდილის პიესებს, მის მიერ შესრულებულ როლებს და ერთერთ ნიჭიერ მსახიობად და მწერლად თვლიდა მას...

რუსეთის ხელისუფლებას, როგორც ყოველთვის, არასწორად მიაჩნდა ქართველი ერისგან წამოყენებული საჩივრები, ისინი პირიქით საქართველოს დებდნენ ბრალს და უკმეხად აცხადებდნენ: — როგორ გაგვიბედეს ასეთი სულელური მოთხოვნები, ვინ გაიგონა ერთ სახელმწიფოში ორი ავტოკეფალიის არსებობაო. მათ საქართველო რუსეთის შემადგენელ ნაწილად მიაჩნდათ და აინუნშიდაც არ აგდებდნენ იმ ფაქტს, რომ საქართველომ ოდესმე თავისი დღე და მოსწრება ხმალის ტრიალსა და ბრძოლებს შეალია. „ასი წელი სრულდებოდა ტრაქტატის დადებიდან და რა შეიცვალა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ? ერთადერთი მთავარი სარწმუნოება არ დავკარგეთ, მაგრამ რა ვუყოთ დანარჩენ იმ ორს, მამულსა და ენას? რაღაცით განსხვავებული მიწის ნაგლეჯი გვიწილადა განგებამ საცხოვრებლად, უჩვენობას ვერ იტანს

ეს დალოცვილი, ვერც ჩვენ ვიტანთ უმისობას, თუ სადმე გადავიხ-ვეწებით ცხვირსახოცში ერთ მუჭას თან ვატარებთ შემთხვევით სული რომ ამოგვძვრეს, გულზე რომ დაგვაყარონ. სხვა ქვეყანაში ფეხს ვერ ვიკიდებთ, ისე ვერ ვმრავლდებით. უცხო ქვეყანაში განცხრომაში ცხოვრებას (სიბერის ჟამს უფრო შეგვიპყრობს ხოლმე ეს განცდა), სამშობლოში მძიმე განსაცდელში ცხოვრება გვირჩევნია, სწორედ იმ ადგილას, სადაც დავიბადენით და პირველად ჩვენი აკვანი დაირწა“...

„ავტოკეფალისტთა საზოგადოების“ მოთხოვნებს მოჰყვა ქუთაისში სასულიერო სემინარიისა და აგრეთვე ქალთა სწავლების დაარსება. გამოიცა აგრეთვე საეკლესიო ჟურნალები „ქართული სულის მატარებელი“ და „მწყემსი“. ჟურნალებში იბეჭდებოდა სტატიები, რომ ქართველი ხალხი ვერასოდეს შეეგუებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. ქართველები სამართლებრივად მოითხოვდნენ ქართული ეკლესიის ძალაუფლების აღდგენას, რომელიც, ჯერ კიდევ, მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში მიენიჭა საბერძნეთის იმპერატორის იუსტინიანეს მიერ. რა უფლება ჰქონდა რუსეთს დაერღვია, ბევრად მასზე უფროსი ქრისტიანული სახელმწიფოს, ქრისტიანული წეს-კანონები, ავტოკეფალია გაეუქმებინა და ქართული ეკლესია რუსული ეკლესიის ზეგავლენის ქვეშ მოექცია?!..

პავლეს ყველაზე მეტად ქართველი კაცის შეუპოვრობა ახარებდა, უღირსს ჩალის ფასადაც არ აგდებდა, იმედის თვალით მიჩერებოდა ხვალინდელ დღეს. თუმცა, ზოგჯერ გულში მწარედ გაჰკრავდა, „ერთი პირის შეკვრა ვერ ვისწავლეთ ქართველებმაო“, ცოტა უცნაური ერი ვართ, გაჰკრავდა გუნებაში და თვალწინ დიუმას „კავკასიის“ ერთ-ერთი ქართველი გმირი წარმოუდგებოდა, რომელშიც ჩოხა-ახალუხი გაიხადა, ცხენზე ნიფხვისამარა შეჯდა, სამოსი ფრანგ მწერალს უსახსოვრა, და შინ ნახევრად შიშველი დაბრუნდა. ასეთ ქმედებას მსოფლიოში არცერთი სხვა ნაცია არ ჩაიდენდაო, — წერდა აღფრთოვანებული და გაოცებული მწერალი...

1896 წელს, თებერვლის დასაწყისში, საეკლესიო სულიერ მამებისა და ქართველთა დიდ პატრიოტთა რიცხვს გამოაკლდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (გერასიმე ქიქოძე). ის სწორედ იმ დროს გამოეცალა ერს ხელიდან, როცა ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა ბედკრულ ქვეყანას. სიკვდილი მაინც გვერდით დგომას ვერ უბედავდა, მის ღვთაებრივ სახეს უკვდავების ნათელი სხივები მოჰფენოდა და მორწმუნე ადამიანებს რწმენას უფრო უმტკიცებდა. თავისი დღე და მოსწრება ლოცვა-კურთხევაში ჰქონდა გატარებული და მისი სიცოცხლე ღვთის ნათელ სხივებს შეუერთდა, ღმერთის სამფლობელოში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

გაბრიელის გარდაცვალებას დიდთოვლობა მოჰყვა იმერეთში. გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდათ მისი ნეშთი გელათში დაეკრძალათ, მაგრამ თოვლს გზები ისე ჰქონდა ჩაკეტილი, ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა დასაფლავება. დაცარიელდა აგრეთვე ბაზარი, სოფლის მოსახლეობა ვერ ახერხებდა კავშირს ქალაქთან, ორმოცი დღე ესვენა ქუთაისში ეპისკოპოსის ძვირფასი კუბო, მეორმოცე დღეს, როცა თუთარჩელები გაიშალნენ და იისფერი შეეპარათ თოვლით გადათეთრებულ იმერეთის მაღალ მთებს, როდესაც ჭირვეული მარტის მზემ ტყემლებისა და ნუშის კვირტები თეთრად შეღება, მხოლოდ მაშინ მოხერხდა მისი გადასვენება ქუთაისიდან გელათამდე მატარებლით. აუარებელი ხალხი მოაწყდა ქუთაისს, ქუჩები გადაიჭედა ფაეტონებით, საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ ჩამოსული, გადასაადგილებელი ტრანსპორტი ვეღარ იტევდა მგზავრებს. გუბერნატორის ბრძანებით დამატებით რეისებს ასრულებდა მატარებლები, რათა ხალხს უპრობლემოდ გაეცილებინა უკანასკნელ გზაზე ერის სულიერი მოძღვარი. ციურ ანგელოზთა თავშესაფარს ჰგავდა გელათი და მაღალი გორიდან მზესავით ბრწყინავდა. მდაბლობში მდებარე სოფლებს ავი ძალებისგან იცავდა და ხალხსა და ღმერთს ერთმანეთთან აკავშირებდა. პროცესია მიხვეულ-მოხვეულ აღმართს მიუყვებოდა. კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა, ერთიმეორეს ეცილებოდნენ კუნთმაგარი ახალგაზრდები.

საყვარელიძეების ოჯახიც ღებულობდა მონაწილეობას დაკრძალვის პროცესში, ოთხმოცი წლის გიორგი მხნედ ედგა გვერდით შვილებსა და შვილიშვილებს, ეტლში ჩაჯდომა არ ინება, ფეხით აუყვა გელათისკენ მიმავალ აღმართს, ასე უნდოდა გამოეხატა პატივისცემა მეგობრისადმი, ტოლს არავის უდებდა. დროდადრო დინჯად ჩამოისვამდა ხელს, ფაფარივით აყრილ, ჭაღარა წვერზე, მრევლთან ერთად შავ ანაფორაში გამოწყობილი პირჯვარს ისახავდა. მიუვალ აღმართზე მაინც ბოლომდე ბეჭით ატარეს ცხედარი. ღონიერი მღვდლებიც მიაგებდნენ პატივს ნეტარ კოლეგის ხსოვნას. დათა უკანა მხარეს თავთან ედგა მიცვალებულს, წინა მხარეს დაბლებს მიეშვირათ ბეჭები, ვანოსაც ერგო პატივი მამა შეენაცვლა. მამასავით მაღალი, გრძელი მკლავები და კისერი ჰქონდა და ზუსტად მოირგო მისი ადგილი. პავლე წყლიანი თვალით შეჰყურებდა უფროს ძმას, შურით კი არ შურდა, უბრალოდ, წუხდა რომ ასაკის სიმცირის გამო ძალა არ შესწევდა, უფრო მეტად დახარჯულიყო და გამოეხატა ეპისკოპოსისადმი მოწიწებული სიყვარული. გვერდიდან არ შორდებოდა ბაბუას.

გიორგი იხტიბარს არ იტეხდა, ისევ ძველებურად შემართებით მიიწევდა წინ, არ ეპუებოდა სიბერეს. პურის მარცვლებივით შუბლზე

დაყრილ ოფლის წვეთებს ცხვირსახოცით იწმენდდა, ხანდახან პავლეს მხარზე ჩამოეყრდნობოდა, წუთით შეისვენებდა, აჩქარებულ სუნთქვას დაიოკებდა, ფაფარივით წვერს ჩამოიხუთხუთებდა და ოკრიბის გრილი ნიავით შეგრილებული მიყვებოდა პროცესიას... გაზაფხულის მზით გახელებული, სასოწარკვეთილებაზე ფიქრები ეფანტებოდა, თვალებჩაცვენილი სიკვდილის მზერას არარად აგდებდა, ის არ ემორჩილებოდა მაგიურ შავ ფერებს, რუხი ღრუბლებიდან გამოჭყეტილ მზეს სიცოცხლესავით შეჰყურებდა, სიკვდილზე ბევრად მაღლა დგას ადამიანიო. — გულს იმშვიდებდა.

გაბრიელის ცხედარი საკათედრო ტაძრის დარბაზში დაასვენეს. დიდძალმა ხალხმა და ინტელიგენციამ მოიყარა თავი, როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის მხრიდან, გვერდი-გვერდ იდგნენ ილია, აკაკი, გიორგი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და ექვთიმე თაყაიშვილი. იმერეთის საზოგადოებას თავკაცობდა ნიკო ღოღობერიძე და პოეტი გიორგი შარვაშიძე. ილიამ გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა, შავი, ევროპულად შეკერილი კოსტიუმი და იგივე ფერის თხელი საგაზაფხულო პალტო ემოსა, მაღალ შუბლზე ანთებული სანთლების ნათელი სხივები დათამაშებდა და ღვთიურ სიტყვებს მეტყველებდა ათრთოლებული. „ბატონებო, მისი ბაგით სწორედ თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი რომ დადუმდნენ იგი ბაგენი და ვინ იცის, როდისღა გვაღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორიც დღეს წაგვართვა“. — ასე დაასრულა გამოსათხოვარი სიტყვა, პირჯვარი გადაიწერა და აღელვებულ მასას შეუერთდა. გამოსათხოვარი სიტყვა ნიკო ღოღობერიძის მამამ, ბესარიონმაც წარმოთქვა. ბესარიონი გაბრიელ ეპისკოპოსის ახლო მეგობარი იყო და მისი კანცელარიის მდივნად მსახურობდა. მთელ იმერეთში, უფრო სწორად, მთელ საქართველოში განთქმული ღოღობერიძეების ოჯახი, ყველას ანცვიფრებდა თავისი განათლებით, მაღალი კულტურითა და ქველმოქმედებით. ჭიათურელი აბაშიძის ქალისგან ხუთი შვილი ჰყავდა ბესარიონს, გიორგი, ანა, ნიკო, დავითი და სიმონი. ხუთივე შვილს, ჯერ კლასიკური გიმნაზია დაამთავრებინა, შემდეგ უმაღლესი განათლება მიაღებინა მოსკოვსა და პეტერბურგში. ბესარიონის შვილები მეგობრობდნენ ილიასთან და აკაკისთან. კლასიკური გიმნაზიაც თბილისში ნიკომ და ილიამ ერთად დაამთავრეს და პეტერბურგშიდაც ერთად სწავლობდნენ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდნენ. ყველაზე უფროსმა, პროფესიით მათემატიკოსმა გიორგიმ გუბერნატორის კანცელარიაში დაიწყო მუშაობა. რამოდენიმე წლის შემდეგ, ილიაც ქუთაისში გადავიდა ახლად დაქორწინებულ ოლღა გურამიშვილთან ერთად და მუშაობაც იმავე კანცელარიაში მოუხდა, სადაც

გიორგი მუშაობდა. გიორგიმ ილია და ოლღა შეიკედლა და მთელი შვიდი თვის განმავლობაში მასთან ცხოვრობდნენ. ძმებს არც ანა ჩამოუვარდებოდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ახალგაზრდა პედაგოგი ქალბატონი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიმართ. მეუღლე ჰყავდა ალექსანდრე მუსხელიშვილი, სამხედრო პოლკოვნიკი, ქუთაისში მცხოვრები, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ სამხედრო კაცის ხვედრი, ერთი ადგილიდან მეორეზე უწევთ გადასვლა, ჰოდა ანასაც უწევდა ხოლმე მესხეთსა და ქუთაისს შორის სირბილი. ანამ ახალციხეში დააარსა ქალთა სასწავლებელი, წერა-კითხვის პარალელურად გასათხოვარ გოგონებს ასწავლიდნენ საოჯახო საქმეს, ქსოვას, ჭრა-კერვას, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. ჩაფიქრებული ჰქონდა მსგავსი სასწავლებელი დაეარსებინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მაგრამ აღარ დასცალდა, მწარე სიკვდილმა ერს ხელიდან გამოაცალა, კეთილშობილი და მზრუნველი დედა. აკაკიმ გარდაცვალებამდე მიუძღვნა ლექსი „ვარდის ხმაზედ“, დიდმა ილიამ უკანასკნელ გზაზე ბეჭით ატარა ძვირფასი ქალბატონის კუბო, იაკობ გოგებაშვილმა, თავის ერთერთ მოგონებაში ასეთი სტრიქონები ჩაწერა: „ამავე წრეს ამშვენებდა, ხანდახან ახალციხიდან ჩამოსვლის დროს, ანა ბესარიონის ასული ღოღობერიძე-მუსხელიშვილი, ღვიძლი და ნიკო ღოღობერიძისა. ეს იმერეთის ასული საუკეთესო მანდილოსნად იყო მიჩნეული მთელს შეგნებულს საქართველოში, თავისი იშვიათი ჭკუით, მომხიბლავი გულკეთილობით, დარბაისლური ხასიათით და მხურვალე მონაწილეობით ყველა საზოგადო საქმეში“.

ჭიათურის შავი ქვის აქციის მფლობელნი იყვნენ ძმები ღოღობერიძეები, საყვარელიძეები დათა და კონსტანტინეც შავი ქვის აქციონერები გახდნენ. ერთმანეთში მისვლა-მოსვლა ჰქონდათ, საერთო ჭირ-ვარამსაც იზიარებდნენ, საქველმოქმედო საქმეებსაც ერთად ეწეოდნენ. დათა ახლოს იყო აკაკისთან, არაერთხელ მოუსმენია სასიქადულო მგოსანს საქარაში დიდი მუხების ქვეშ ვარინკა წერეთლის მიერ შესრულებული „სულიკო“.

მაღალი, ქერათმიანი ახალგაზრდა გაიცნო პავლემ, ორი მეტრის სიმაღლისას ფართობეჭებიანი გოლიათი, ბევრად აღემატებოდა პავლეს წლოვანებას. პირველი თვისება, რაც იმ გოლიათში დაინახა, ფაქიზი გრძნობის შერწყმა გახლდათ, ვაჟკაცური სულის მქონე ადამიანებთან, მის ცნობიერებაში, უპირველეს ყოვლისა, ქართული მიწის ტრფობის ალი ღვიოდა და სწორედ ეს ალი აკავშირებდა ერთმანეთთან ცასა და დედამიწას. ვლასა მგელაძე აღმოჩნდა ის გოლიათი, რომელიც ილიას „ივერიის“ რედაქციაში მუშაობდა ასოთამწყობად. გელათიდან მატარებლით ერთად მოუწიათ მგზავრობა, ვლასა მარტო იყო და,

ძველი ნაცნობებივით, ისე უცებ გაშინაურდნენ. პავლე თავისიანებთან ერთად ბრუნდებოდა, მატარებელი ციცაბო უფსკრულის ნაპირზე მიაქროლებდა ცნობისმოყვარე ხალხით სავსე შემადგენლობას. ძირს, თვალჩაუწვდომელ ქვესკნელში ძაფივით წვრილი ჩანდა მიკლაკნილ-მოკლაკნილი მდინარე წყალწითელა. ზემოდან ყველაფრის ამის ყურება ენით გამოუთქმელ შიშს იწვევდა ზოგიერთ მგზავრში, ისინი ზურგშექცეულად ისხდნენ ფანჯრებთან და ცდილობდნენ იქით არ გაეხედათ. პავლე და ვლასა კი თვალებმოუშორებლივ აკვირდებოდნენ ყველაფერს, ვეშაპის ხახასავით პირდაბჩენილ ხეობას არ უშინდებოდნენ და იქ, იმ სიღრმეში, ჯერ არდანახულ სილამაზეს ეძიებდნენ.

— ასეთი ქვეყნის პატრონს რომ მტრები ბლომად ეყოლებოდა, არაა გასაკვირი! ასეთი სავანის მითვისებაზე, ვინ იტყოდა უარს, მით უმეტეს, ისეთი მეზობლები ჩვენ რომ გაგვაჩნდა. — ნელი ხმით წარმოთქვა ვლასამ, პავლეს მხარზე დაადო უზარმაზარი ხელი თავისკენ შეატრიალა და განაგრძო. — სამშობლოს უზომო სიყვარული დაგვანათლა უფალმა, ის რაც ძნელად მოსაპოვებელი და დასაცავია, რაც ოფლისა და სისხლის ფასად გვიჯდება, ასე ადვილად სხვისთვის არ გვეთმობა!..

— ჰო, — პავლემ ქვემოდან ახედა, თვალი თვალში გაუყარა და ისე დაამატა, — ის, რასაც ადვილად, უოფლოდ და უსისხლოდ იძენს ადამიანი, ყოველთვის დასაკარგავადაც უმტკივნეულოა! ხოლო რაც შეეხება სამშობლოს, მისი უზომო სიყვარული და ტკივილი გვამაღლებს ჩვენ! ღმერთმაც ალბათ იმიტომ მოგვისაჯა ასეთი განსაცდელი, განცხრომაში მყოფებმა არასოდეს დავივიწყოთ ის! არაფერია ამ ქვეყნად მარადიული...

ორთქლმავალმა შეჰკივლა, მგზავრებს ქალაქში შესვლა ამცნო. ფანჯრიდან გამოკვეთილად ჩანდა, თუ როგორ გადაუქროლა თავზე საფიჩხიის ტაძარსა და აღმოსავლეთ მხრიდან შემოსასვლელ ცენტრალურ გზას. რკინიგზა საფიჩხიის ფერდობიდან ქვემოთ ეშვებოდა, და ბალახვნის დასაწყისთან მდებარეობდა სადგური, დიდი მოედნით, აუარებელი ეტლითა და ფაეტონებით. ვლასა გურიაში მიიჩქაროდა, მონატრებული დედის მონახულება ჰქონდა გადაწყვეტილი. ამიტომ სასწრაფოდ გამოემშვიდობა, განშორებისას ხელი მაგრად ჩამოართვა, — შეხვედრამდეო! — ღიმილით წარმოთქვა და მკვირცხლად შეერია მოზღვავებულ ბრბოს. პავლე სევდამორეული მიაცილებდა, მზერას არ აშორებდა იმ ვეებერთელა სხეულს, სანამ თვალის საწერიდან არ გაქრა და საბოლოოდ ქუჩებში არ ჩაიკარგა. პავლემ მოედნის კუთხეში მამას, ბაბუასა და ბიძას მოჰკრა თვალი, სიხარულით გასწია მოედნის ბოლოს და მათ შეუერთდა. ისინი სახლში გაბრუნებას ფიქრობდნენ, მაგრამ

მოულოდნელად ღოღობერიძეების გამოჩენამ შეაცვლევინათ გეზი, მათ სადილი გაემზადებინათ თბილისიდან ჩამოსული სტუმრებისთვის და გელათიდან მომავალთ ილიასა და აკაკის ეტლებს ელოდებოდნენ. ნიკომ დაინახა თუ არა გიორგი, დათა და კონსტანტინე მყისვე მათთან მიირბინა, დიდის ამბით სადილად მიიპატიჟა ძვირფას სტუმრებთან ერთად. რა გაეწყობოდა, თავიდან იუარეს ყვირილაში ვართ ჩასასვლელიო, მაგრამ გელათიდან ჩამოვიდნენ თუ არა უმაღლესი ელიტის წარმომადგენლები უარი გადაიფიქრეს, თავპატიჟი აღარ გამოუდვიათ, მხოლოდ პავლემ შეძლო თავის დაღწევა, გიმნაზია და გაკვეთილები მოიმიზეზა, თავადაც გულით არ ეწადა წასვლა, ნამეტნავად ახალგაზრდათ თვლიდა თავს, ჯერ კიდევ საამისო დრო არ დამდგარიყო ასეთ საზოგადოებასთან ერთად მაგიდას მიჯდომოდა...

ფიქრმორეული მიუყვებოდა, თეთრად შეფეთქილ ქუჩას, ხარკოვიდან მოწერილ უფროსი ძმის, ვარლამის წერილს კითხულობდა, ჰაერში ლაღად დაფრინავდნენ თბილი ნიავით წამოშლილი ბეღურები, გაზაფხულის სურნელით გაბრუებულები ესიყვარულებოდნენ უძირო ზეცას „ნეტავი მეც ბეღურასავით შემეძლოს ფრენა, პირდაპირ ჩემს ძმასთან, ხარკოვში გავფრინდებოდი“. — ფიქრობდა პავლე და თეთრი ხიდიდან რიონის პირად მდებარე დუქნებიდან გამოსულ ტკბილ მელოდიებსა და სიმღერებს უსმენდა. გულზე მოწოლილი ნაღველი ნელნელა უქრებოდა „ოჰ, რა ბედნიერია ის ადამიანები, ვისაც შეუძლიათ მუსიკაში, ან ქაღალდზე გადაიტანონ, კალმით ან ფუნჯით გადმოგვცენ თავისი ფანტაზია, სიამოვნება მოგანიჭოს“... ადიდებული რიონის შხუილი ფიქრს აწყვეტინებდა, აქაფებული, ახურებული ტალღები ხიდის ბოძებს ეხეთქებოდნენ და მიწასთან უპირებდნენ გასწორებას.

6

დრო დადგა ჩვენი მეორე მთავარი გმირის დაბადებასაც მივაქციოთ ყურადღება, ძვირფასო მკითხველო. მაშ ასე, დავიწყოთ. ჩვენი მეორე გმირი პავლეს ღვიძლი ბიძაშვილი სიმონ საყვარელიძეა. ურიგო არ იქნება თუ თავიდან დაწყობილად თვალს გავადევნებთ ამ პიროვნების ყოფა-ცხოვრებას, აღვწერთ იმ საინტერესო დეტალებს, გავითავისებთ ყველა იმ მწარე ტკივილებს, გავიზიარებთ აგრეთვე იმ დიდ სიხარულს, რაც ამ პიროვნებას თავს გადახდენია. მე არ შემიძლია არ აღვნიშნო აგრეთვე, სიმონის დები ნინა და თამარი, რომლებიც ბედის უკუღმართობის გამო ადრე გარდაიცვალნენ, მაგრამ მაინც შეძლეს და პატარა კვალი დატოვეს ამ უცნაურ წუთისოფელში. როგორც მოგახსენეთ, სამი შვილი შეეძინათ ცუცუნასა და კონსტან-

ტინეს: ნინა, სიმონი და თამარი. აღფრთოვანებულები იყვნენ გიორგი და კიკვილი, ქერაკულულებიანი პატარები აივანზე რომ გამობაჯბა-ჯდებოდნენ, ბებია უკან დასდევდა გაოცებული მათი მოუსვენრობით. ორ-ორი წელი იყო განსხვავება ბავშვებს შორის. უპირატესობას არავის ანიჭებდა კიკვილი, შვილიშვილები გამორჩევით არ ჰყვარებია, ჩვიდმეტი შვილიშვილი ჰყავდა. მათგან თამარი ყველაზე პატარა იყო, მართალია ის იმსახურებდა განსაკუთრებულ სიყვარულს, არაჩვეულებრივი სილამაზის გამო, რომელიც უშურველად დაეყოლებინა ბუნებას, მაგრამ შეგნებული ბებია ისე იქცეოდა, მოზარდებისთვის არ ეგრძნობინებინა ვინმეს მიმართ გამორჩეული ყურადღება. ხშირ შემთხვევაში მსგავსი შემთხვევები ცუდად იმოქმედებდა პატარებზე. ზღაპრებსა და ლექსებს უყვებოდა, წერა-კითხვასაც ასწავლიდა, ვინც სიბეჯითეს გამოიჩენდა, კარგად უპასუხებდა, მხატვრულად და ლამაზი ენით მოყვებოდა მიცემულ გაკვეთილს, ცხენზე შემოუსმევდა ბაბუას, ბაბუაც ეკლესიისკენ გააქროლებდა, ხატების წინ სანთლებს აანთებინებდა. პატარები ამით მოხიბლულები რჩებოდნენ, გულისყურით უსმენდნენ მათ ნაამბობს და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ევარჯიშათ, რომ უსაჩუქროდ არ დარჩენილიყვნენ. გიორგის ხანდახან კონსტანტინე ცვლიდა, გამოცდილ პედაგოგს მშვენივრად ესმოდა ბავშვების ბუნება-ხასიათი, გოგონებს შესაფერ კაბებით შემოსავდა, ვაჟებს ხიდან გამოჭრილ ხმლებს დაურიგებდა და „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს ანსახიერებინებდა. ასე თამაშ-თამაშით უნერგავდა მათ რაინდულ თვისებებსა და სამშობლოს განუზომელ სიყვარულს. არდადეგები დაიწყებოდა თუ არა, პავლეც სოფლში მოიჩქაროდა. სიამოვნებით უერთდებოდა ძმებსა და ბიძაშვილებს და მათთან დილიდან საღამომდე ლახტის თამაშით ირთობდა თავს. თანასოფლელი მეზობლების ბიჭები მდინარეზე საბანაოდ პატიჟებდნენ, ორი კილომეტრის გავლა უწევდათ ფეხით მეზობელ სოფლამდის. ზოგიერთ მათგანმა თევზაობა იცოდა, სანამ წყალთან ჩააღწევდნენ, ჯილეებში ხელით იჭერდნენ. პავლეც კარგად იყო გაცნობიერებული, ტოლს არავის უდებდა, არც ქვეწარმავლების ეშინოდა, ჯილეებიდან დაჭერილი რომ გამოჰყავდა ხოლმე. ვინ მოთვლის რამდენი შემთხვევა ჰქონია, რამდენი მოუსროლია, რიყეზე ღონივრად და თავი გაუჩეჩქვია. ანკარა ჩოლაბურში თევზივით დაასრიალებდა ჯერ კიდევ მოუმწიფებელ, დელფინივით მკვრივ სხეულს, წამოფოფრილი ტალღების მხარულით გაჭრა, მკლავებს კიდევ მეტად უკაჟებდა. სტიქიასთან ბრძოლა სულს უწვართავდა და ბრძოლისა და შეუპოვრობის ჟინს მატებდა.

ისევ ერთ გადახურულში ცხოვრობდნენ, დათასა და კონსტანტინეს ვერ წარმოედგინათ გაცალკავება. მეორე სახლი ისევ კარგამო-

კეტილი, ამაოდ ელოდა პატრონს. გიორგის უნდოდა შვილები გაეყარა, თავიანთი გადახურული მიეჩინა, მაგრამ ვერ ახერხებდა, ვერ შეძლო, რძლებიც ეწინააღმდეგებოდნენ, რატომ გვაშორებ ერთმანეთსო, ასეთი სიამტკბილობით გვიცხოვრია, დღემდე ასე მოვსულვართ, ისევ ერთად გავაგრძელოთ ცხოვრებაო.

დრო-ჟამი მიჰქროდა წუთისოფლის შარაზე ეტლში შებმული ცხენივით. საუკუნე იწურებოდა. რამოდენიმე წელი და ახალი ეპოქა დაიწყებოდა. ნეტავი, რას შემატებდა ისტორიის გაყვითლებულ ფურცლებს მეოცე საუკუნის დასაწყისი? როგორ აღწერდა ახალ მოვლენებს ჟამთააღმწერელი? როგორ წარიმართებოდა ქართველი ერის ყოფნა ახალ საუკუნეში!

ყველაფერს აქვს საწყისი და დასასრული, სიცოცხლეს სიკვდილი მოსდევს, ბედნიერებას — უბედურება, ასეა მოწყობილი სააქაო სამყარო. გინდა, არ გინდა, ამ ბუნების კანონს ვერცერთი ჩვენგანი არ ამცდარა და ვერც ვერასოდეს აცდება. საუკუნის მიწურულს გარდაიცვალა გიორგი, სულ რაღაც, ორი წელი ვეღარ გაუძლო, მეოცე საუკუნეში გადმოებიჯებინა, მთელი თავისი ცხოვრება ეკლესიურად იცხოვრა, ნახევარ საუკუნეზე მეტი ღვთისმსახურებას შეალია და ასე ვალმოხდილი წავიდა. საქარის ფერიცვალების ეკლესიის ეზოს მიწას მიაბარეს, იმ ეკლესიაში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი სადაც მოღვაწეობდა. ბედის უკუღმართად დატრიალებული ბორბალი მარტო გიორგის გარდაცვალებით არ შემოიფარგლა, უბედურებას უბედურება დაემატა. ახლად გაწყობილ სახლს ცეცხლი გაუჩნდა, ისე ჩაიწვა და ჩაიფერფლა, ერთი ფიცრის გადარჩენაც ვერ შეძლეს. მხოლოდ ერთი ის მოახერხეს მეორე სახლი დაიცვეს ცეცხლისგან. ღვთისმოსავ ხალხს, იმედი არ დაუკარგავს, სულით არ დაცემულან. — ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ხან ისეა და ხან ასე, ადამიანმა ყველაფერს უნდა გაუძლოს, როგორც დალხინებულს, ისე დაულხინებელ ყოფიერებას. ყველამ უნდა შეძლოს დაძლიოს უბედურება! უბედურება ყველა ჩვენთაგანის თავზეა გარდაუვალი. ღმერთო, მოგვეცი იმდენი გონი და უნარი, ადვილად დავძლიოთ ყველა ის დაბრკოლება და წინააღმდეგობა, რაც ცხოვრების გზაზე წინ გვეღობება ხოლმე და ხელს გვიშლის ნაბიჯის გადადგმაში! — ლოცულობდა დათა იესოს ხატის წინ.

გიორგის საფლავზე დადიოდნენ, როგორც უფროსი, ასევე უმცროსი შვილიშვილები. უფროსებს აღარ სჭირდებოდათ იმისი ახსნა-განმარტება როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, მხოლოდ უმცროსები — კონსტანტინეს შვილები მოითხოვდნენ სათანადო ყურადღებას. მამა და ბიძა უნერგავდა პატივი მიეგოთ მიცვალებულთა ხსოვნისთვის. მუხლმოყრილთ სპეციალურ ლოცვებს აკითხებდნენ, შემდეგ კი

ყველანი ერთად ძვირფასი ბაბუის საფლავს ასუფთავებდნენ, პატარა თოხით გახეშებულ მიწას აფხვიერებდნენ. კონსტანტინე უფროს ქალიშვილს ნინას ქუთაისის ქალთა სასწავლებელში შესასვლელად ამზადებდა. ნინამ უკვე კარგად იცოდაწერა-კითხვა, ფლობდა აგრეთვე რუსულ ენას. გარდა ამისა, საოცარი მუსიკალური სმენითა და ხმით იყო დაჯილდოებული. ვარინკა წერეთელიც კი აღაფრთოვანა მისი ნიჭიერებით. „შენგან შესანიშნავი მომღერალი დადგებაო“. — ეუბნებოდა, წაბლისფერ კულულებზე ეალერსებოდა, შემდეგ გამოძერწილ გრძელ თითებს, გიტარის სიმებზე გადაიტანდა და მწვანე გრილ ჩრდილში გაისმოდა ხოლმე ტკბილი მელოდიები. რამოდენიმე თვის შემდეგ ნინა სწავლის შესაძენად ქუთაისში გადავიდა, სადაც მალე გაითქვა სახელი როგორც ახალგაზრდა მომღერალმა. ნაწილობრივ მართლდებოდა ვარინკას ნაწინასწარმეტყველები, ნინას ხმამ დიდი ზეგავლენა იქონია მაყურებლებზე. შალვა დადიანი მოღვაწეობდა მაშინ ქუთაისის თეატრში, გაიგო თუ არა ნიჭიერი გოგონას წარმატება, უყურადღებოდ არ დაუტოვებია, ხელი შეუწყო და შეეცადა, როგორც თავისი ახლობლის ქალიშვილის ნიჭიერება, ბოლომდე წარმოეჩინა სცენაზე. მალე ქალაქის მაცხოვრებლებისთვის ნინას სახელი გახდა ცნობილი. უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა თვლიდა, რომ ის უფრო საოპერო სიმღერისთვის იყო მოვლინებული. ამიტომ გუბერნატორთან შეთანხმებითა და ერთობლივი გადაწყვეტილებით ფიქრობდნენ მოსკოვში გაეგზავნათ, როგორც კი ადგილობრივ სასწავლებელს დაამთავრებდა. ნინამ შედგა თუ არა ფეხი სცენაზე, ისე მოხიბლა და მოაჯადოვა თეატრალურმა სამყარომ, გადაწყვიტა მუსიკალური განათლება მიეღო...

მომდევნო უმცროს შვილებს სიმონსა და თამარს კონსტანტინე სახლში ასწავლიდა. მიუხედავად დიდი ბრძოლისა და გაფიცვებისა, კლასიკურ გიმნაზიაში სწავლება მაინც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ამიტომ კონსტანტინეც იძულებული იყო ბავშვებისთვის რუსული შეესწავლებინა, თორემ სხვაგვარად ისინი განათლებას ვერ მიიღებდნენ. ხუთი წლის სიმონსა და სამი წლის თამარს წერა-კითხვას ასწავლიდა, რუსულად ელაპარაკებოდა, ენას უტეხდა. სიტყვების სწორად გამოთქმაში ავარჯიშებდა. ნიჭიერება გენებიდან მოსდევდათ, ისინი საკმაოდ იყვნენ ნიჭით მომადლებულნი, გონიერნი და ერთმანეთზე უკეთესები. „კვიცი გვარზე ხტისო“, სწორედ მათზე იყო გამოჭრილი ეს ბრძნული სიტყვები. ყოველდღე უფრო ლამაზდებოდა და მშვენდებოდა თამარი, თაფლისფერ თვალებში არეკლილი სინათლე ვარსკვლავივით კაშკაშებდა. იმ თვალებში ვერცხლის წყალივით დასრიალებდა სიცოცხლე, ამომავალი მზის სხივებივით ეფინებოდა

ადამიანებს, მეტ მცხუნვარებას მატებდა. ბებიას ამსგავსებდნენ თვალებით, ღიმილით, ფერით. შეჰყურებდა ხოლმე კიკვილი პატარა ანგელოზს, ლამაზი მთებით გარშემორტყმული სოფელი და იქ გატარებული სიქალიშვილე აგონდებოდა.

7

გიორგის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ ვარლამი ექიმის ხარისხის წოდებით დაბრუნდა საქართველოში. ხუთი წელი დაჰყო უკრაინის მაშინდელ დედაქალაქში, დავაჟკაცდა და განათლებაც სრულყოფილად შეიძინა სამედიცინო სფეროში. როგორც საქარელმა კაცმა ყვირილაში წამოიწყო კეთილშობილი საქმე. პირველ ყოვლისა, ორსართულიანი ქვის შენობა შეიძინა. აღნიშნული შენობის ნაწილში თავად შესახლდა, დანარჩენი ფართი საავადმყოფოს დაუთმო. თავად შეიქმნა საავადმყოფოს ექიმიცა და მფლობელიც. ვარლამის ჭკვიანურად გადადგმულმა ნაბიჯმა დიდი შეღავათი გაუწია მთელ შუა და აღმოსავლეთ იმერეთის მოსახლეობას, თუ მანამდე ქუთაისში სამკურნალოდ წასასვლელად ათეული კილომეტრების გავლა უწევდათ, ახლა გაცილებით შეუმსუბუქდათ მდგომარეობა. ვარლამი ერთადერთი ექიმი გახლდათ შოროპნის მაზრაში, ვისაც საკუთარი საავადმყოფო გააჩნდა და ვინც უმწეო ოჯახებს უფასოდ კურნავდა, დღეში სამჯერადი კვებით. ხანდახან მთიან სოფლებში ცხენით უწევდა სიარული. თავად აკითხავდა ვისაც გადაადგილება არ შეეძლოთ და ყვირილამდე ვერ ახერხებდა ჩასვლას. ფანტასტიკური ძალისა და რწმენის მქონეს, დაბრკოლების გადატანა ადვილად შეეძლო. მშვიდი ბუნების კაცს, იშვიათად თუ ვინმე ნახავდა უხასიათოდ. იუმორით იცოდა საუბარი და მადიანი სიცილი. მუდამ ცდილობდა, თბილი განწყობა ჰქონოდა თანამოსაუბრეებთან. ვანოს მომდევნო ძმა იყო სიმაღლით მასზე ოდნავ დაბალი. პავლე, ლადიკო და ვასასი თითქმის ერთი სიმაღლისანი. უმცროსი ძმა ყველას დაეჩაგრა, ყველას გაესწრო მისთვის სიმაღლეში. სამაგიეროდ გრიგოლს ბედი აზარტულ თამაშებში წყალობდა. გონება მახვილი იყო წარჩინებულად სწავლობდა. მაიაკოვსკთან ერთად შეაღო გიმნაზიის კარი, ერთად იზრდებოდნენ, მდინარე წყალწითელასა და რიონის მოლივლივე ტალღებში, ზაფხულობით ერთად უწევდათ ხოლმე სხეულის წრთვნობა. ბაღდადში, მაიაკოვსკის ოჯახშიც უწევდა ზოგჯერ სტუმრობა, ხანისწყალში დაწინწკლული კალმახების ჭერა. სწორედ აქ გაიცნო პაოლო იაშვილი და მამამისი ჯიბო. ჯიბოს მაიაკოვსკების მეზობლად აფთიაქი ჰქონდა გახსნილი. გრიგოლი რამოდენიმე წლით იყო ვალოდიაზე და პაოლოზე უფროსი,

ავადმყოფობის გამო გვიან შევიდა გიმნაზიაში. აკვირდებოდა გაოცებული მაიაკოვსკსა და იაშვილს, რაღაც გარეგნულ მსგავსებას ამჩნევდა მათ შორის, არც ხასიათით ყოფილან ერთმანეთისგან შორი-შორს მდგარნი, ბუნებასაც თითქოს ერთი საერთო საქმის კეთების ნიჭით დაეჯილდოვებინა ორთავე, ხატვა უყვარდათ და ლექსების წერა. ასეთი ფიზიკური და სულიერი დამთხვევა აეჭვებდა გრიგოლს, აღარ იცოდა ვისთვის გაემხილა გულში ნადები... იაშვილების ოჯახი საჩხერის სოფელ არგვეთიდან იყვნენ წარმოშობით, ზაფხულის არდადეგებს პაოლო ხშირად მამისეულ სოფელში ატარებდა. პაოლო ქუთაისში იზრდებოდა, საკუთარი სახლი და ლამაზი ეზო ჰქონდა, საიდანაც კარგად მოჩანდა ცის სივრცეს მიყრდნობილი გოლიათი მთების შენისლული მწვერვალები, ახლო მწვანე ფერდობებზე განლაგებული სოფლები. ჰოდა, იჯდა ხოლმე ლორთქო ბალახით დაფარულ პატარა გადამწვანებულ ეზოში და ქაღალდზე ზოგჯერ ფუნჯით, ზოგჯერ კალმით, ღვთისავე ხელით გამოძერწილი ცისა და მიწის სიმშვენიერე გადაჰქონდა.

ოცდახუთი წლისთვის აღარ გადაუბიჯებია, საუკუნის მიწურულს იქორწინა ვანომ. ჯვარი დაიწერა ცაბუ ჩიქოვანზე. ის არ ყოფილა რაიმე ანგარებაზე დაყრდნობილი ქორწინება. ის ნამდვილი გულიდან წამოსული გრძნობა იყო. გული მარტო სისხლის გადატუმბვის ფუნქციას როდი ასრულებს ორგანიზმში, არამედ მასზეა დამყარებული მგრძნობიარობის უნარი და თვისება. ყოველივე ის საქმე, რომელსაც უგულობა აკლია, მიუღწევადია და შეუთვისებელი. ჭეშმარიტ სიყვარულზე დაფუძნებული ცოლ-ქმრობა წარმოშობს ყოველთვის ჯანსაღ თაობებს და მასზე დამყარებული ერი სალი კლდესავით მაგარია. აუარებელი მზითვები გამოატანეს პატარძალს, სამსონ ჩიქოვანმა არაფერი დააკლო უფროს ქალიშვილს, პირფარეში გოგოც თან მოაყოლა მზითვებს, მაგრამ ყველაზე მთავარი და დიდი ქონება, რაც დათამ და მარიამმა რძალში დაინახეს, სათნოება და თავმდაბლობა იყო. გარეგნულად ლამაზი, მაღალი, კოჭებამდე სწვდებოდა თმა. უფროსებისადმი მოწიწებული, მორჩილი და მორიდებული. ღმერთს მადლობას სწირავდა კიკვილი, რომ შვილიშვილს სასურველი ცოლი შეახვედრა. „კარგი იქნებოდა, ჩემი გიორგის მოსწრებოდა, მასაც გაეზიარებინა შვილიშვილის ბედნიერებაო“, — ჩურჩულებდა სამლოცველო ოთახში. უკვირდა, ასე შეუმჩნევლად როგორ გამეპარნენ ეს ოხერი წლებიო, არადა თითქოს, გუშინ მოხდა ყველაფერი. „სამი თაობა უკვე აღმოცენებულმა ჩემს ფესვებზე, მეოთხესაც ისე ჩაუყარა საფუძველი, მაინც ვერა ვიგრძნე რაო, ერთი ვისაც არ ვავიწყდებით, ის შეჩვენებული მიქელ-გაბრიელიაო“. — დაამატებდა ხოლმე სინანუ-

ლით... ასწლოვანი მუხების ქვეშ გაიშალა საქორწილო სუფრა. ბიჭია აბაშიძეს ეკავა სათამადო ადგილი, ლიტრიანი ყანწით შესვა ცოლის ძმიშვილის სადღეგრძელო აბაშიძემ, შემდეგ დაკვარწახინებულს ულვაშებზე ცხვირსახოცი ჩამოისვა და მაგიდას შეჟუჟნებული თვალით გახედა. ხარის მოხარშული ბეჭი ვერცხლის ლანგრით მოართვეს თამადას. ბიჭიამ სიდედრი მოიკითხა. მოსამსახურე გოგო სალოცავ ოთახისკენ გავარდა, კიკვილის დასაძახებლად. მათ მოსვლამდე, ბიჭიამ პატარა ხანჯლით ბეჭს, ფურცელივით თხელი ნაჭერი აათალა, ოხშივარმოდებულს, მარილი წააყარა, რამოდენიმეჯერ სული შეუბერა და ღვინიანი ყელი თბილი ლუკმით ჩაიწმინდა. მაგიდებს შორის ისევ შემართებით მოაბიჯებდა კიკვილი, შავები ემოსა, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, ცოტა შელახულიყო, მაგრამ მაინც იმ სილამაზის მომჯადოებელი სხივი, მთლად არ ჩამქრალიყო. სახეზე ისევ აჩნდა დაუჭკნობი სიმშვენიერის კაეშანი და თვალებში მინავლული ნაპერწკლების სხივი უკრთოდა. იცოდა რისთვისაც უხმობდა სიძე-თამადა. ამ ქორწინების დღეს, მას ეწადა გაეხსნა საზეიმო ვითარება, უნდა შემწყდარიყო გლოვა, სიმღერით გაეხსნათ სახლის ჭერი და დაელოცა ახლადშეუღლებულები. თამადამ მიიხმო სიდედრი, გვერდში ამოიყენა, თავისი ხელით შეუვსო ვერცხლის თასი ღვინით და ისე მიართვა. კიკვილიმ ამაყად ჩამოართვა, თავის მზითვებში მონაყოლი ვერცხლის თასი, ძველებურად მოიღერა მაღალი კისერი და ისე შესვა საყვარელი შვილიშვილის სადღეგრძელო. მერე მკლავები ფართოდ გაშალა, ტანი ალვასავით შეათამაშა, ამით ანიშნა მოქეიფეებს, დანარჩენი თქვენთვის მომინდიაო.

იმერულმა „მრავალჟამიერმა“ ააღწია ცისკაბადონს, სიმღერამ, დაირისა და დოლის ბრაგუნმა ამცნო სოფელს ქორწილის დასაწყისი. მრავალჟამიერის ჩაგუგუნების შემდეგ საყვარელიძეების ლამაზმანებს სიმღერის მოყვარული სხვა მანდილოსნებიც შეუერთდნენ, მაგრამ ვარინკა წერეთელსა და ნინას ვერავინ შეედრებოდა, მათი ტკბილი მელოდიები წუთით ყველას საკუთარ საწუხარს ავიწყებდა. ღვინით გაბრუებულები მამაკაცები თავებს აკანტურებდნენ და ცდილობდნენ სიმღერაში აჰყოლოდნენ. ყველანი ხალისობდნენ, განსაკუთრებით პატარა თამარი, კიკვილი ბებიის „პატარა ბაბუკა“ ხან უფროს დას ნინას უჯდა კალთაში, ხან ვარინკას, ბავშვის ენაზე რაღაცას ეტიკტიკებოდა. სამი დღე გაგრძელდა საქორწილო სუფრა, სამი დღე და ღამე სმა-ჭამა და ლხინი არ შეწყვეტილა. დათას ახლო-მახლო მეზობლები არ დაუტოვებია უყურადღებოდ. ყველას თავი მოუყარა, ღირსეულად წარმოაჩინა და გაუმასპინძლდა. თავისი ახოვანი ტანით, ვაჟკაცური განიერი მხრებით, სიცილის მომგვრელი ენით მათთან საუბრობდა. უყვარდა ხალხთან სიახლოვე, ლუკმის გაყოფა. უჟმუ-

რობა და სიმკაცრე საერთოდ არ შეეფერებოდა მის ნაზ ბუნებას. ის მხოლოდ ადამიანის სულის ბოლომდე ჩამწვდომ მოძღვრად მოევლინა განგებას და მშვენივრად ასრულებდა ღვთისგან ბოძებულ როლს. მამის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი შეითვისა, თავად განაგებდა საქარისა და ილემის ეკლესიებს, პატიოსანი სულის პატრონს ცოტა დაუმძიმდა ცხოვრება, როგორი საქმე იყო ორი სოფლის წინამძღვრობა? დილიდან საღამომდის, ათეული კილომეტრების გავლა... მაგრამ წუწუნი არ ახასიათებდა, ღვთისმოსავი ყველა გაჭირვებასა და დაბრკოლებას ადვილად იტანდა... იშვიათად თუ მოიძებნებოდა მაშინ ისეთი ოჯახები, სადაც იმდენი ინტელიგენციის წარმომადგენლები შეკრებილიყვნენ, რამდენიც საყვარელიძეების ოჯახში იკრიბებოდა. ქეიფების გარდა ისინი ბჭობდნენ ეროვნული კულტურის, სკოლების, თეატრებისა და ეკლესიების ნაციონალიზაციის შესახებ. „ნაცისტობაში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ საქართველო რუსეთის გუბერნია კი არ არის, არამედ ცალკე სახელმწიფოა და ქართველებმაც ჩვენს ქვეყანაში სტუმრებივით კი არა, ერად უნდა ვიგრძნოთ ამ მადლიანი მიწის პატრონად თავიო“. — ამტკიცებდა მოკამათეების უმეტესი ნაწილი.

— ძირს რუსეთის უკანონო მეფე! — იძახდა მოკამათეების მეორე მხარე.

— რუსეთი უკვე მიემართება რევოლუციისკენ, შვილებო! — შიგადაშიგ ერთობოდა კამათში დათა. — ის ახლა იმ ხეს ჰგავს, რომლიც ტოტები დალეწილია და გადაბელვას საჭიროებს, რადგან ახალი ყლორტები წამოიღოს და ხე გახმობას გადაარჩინოს. ახლა მალე აკაკუნდება რუსული ნაჯახი და არავინ უწყის რით დამთავრდება. სწორედ მაშინ უნდა შევძლოთ, ჩვენ, ქართველებმა ერთი პირის შეკვრა, როგორმე მისი ხახიდან თავი დავიძვრინოთ და დამოუკიდებელი სახელმწიფო შევქმნათ...

— მერე თქვენ ფიქრობთ, მამაო, თუ რუსეთში მეფეს ჩამოაგდებენ, მათი შემცვლელი სახელმწიფოში ახალი მოსული ხელისუფლება საქართველოს მიმართ შეცვლის შეხედულებებს, გახდება დემოკრატიული, გაითვალისწინებს ჩვენს მოთხოვნებს და მოგვცემს იმის უფლებას, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ?

მოსაუბრემ პატარა ხნით შეისვენა და ისევ განაგრძო: — არა მგონია, — თავადვე უპასუხა თავისივე დასმულ კითხვას. — ის კი არა, მეშინია, ახალმა მთავრობამ უარესი არა დაგვმართოს რა?!..

— ამაზე მეტი რაღა ჯანდაბა იქნება! უარესი სასჯელი არსებობს რამე? — მივარდნენ ყველა ახალგაზრდას.

დათამ მოკამათენი დაამშვიდა, ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და ახალგაზრდას მშვიდად მიმართა:

— მე არ ვამბობ, შვილო ჩემო, თუ რუსეთში მეფეს ჩამოაგდებენ, შემდეგ მოსული ხელისუფლება ყველაფერს მოაგვარებს და დემოკრატიული გახდება, შეიძლება პირიქით მოხდეს და უარეს დღეში აღმოვჩნდეთ! მე მხოლოდ იმისი თქმა მინდა, იმ არეულ-დარეულობაში თუ გამოვნახავდით საშუალებას და ევროპის ქვეყნების მხარდაჭერით თავს დავიხსნით მაგათი კალთიდან. აბა, როდემდე უნდა ვიყოთ მონა-მორჩილნი, თუ არაფერი დროზე არ ვიღონეთ, საბოლოოდ გადავშენდებით...

— მხარს გიჭერთ, მხარს, მამაო! — შემოსძახეს აქეთ-იქიდან. ყელმოღერებულმა ვაჟკაცებმა „დიელო-დარიელაო“ ჩააგუგუნეს. სიმღერამ გადაფარა მუხის წვერებზე შემომსხდარი ფრინველთა ჟივილ-ხივილი. გვიანობამდე მოისმოდა ტაშ-ფანდური და სოფლის შარაზე მიმავალი მთვრალი მექორწინეების ჟრიამული, ძაღლების ყეფა-გნიასი...

თავი ქუდში ჰქონდა დათას, შვილები გზაზე ჰყავდა დაყენებული, ის ყოველთვის მზრუნველობით ეპყრობოდა მათ, იგი ფიქრობდა ცოდნით გაეკვლიათ მომავალი ცხოვრების გზა, ვიდრე მიწები შეეძინათ და მსხვილი მემამულეები გამხდარიყვნენ. ბოლო დროს, ყველა ალაპარაკდა და პრესაშიდაც იწერებოდა მარქსისა და ენგელსის თეორიები სოციალიზმის შესახებ, მემამულეებს ზედმეტი მიწები ჩამოეჭრებოდათ. დათა ჭკვიანი კაცი გახლდათ, „ვერცერთი წყობა და ვერცერთი პარტიების შემადგენლობა ცოდნას ვერ წაგვართმევს, მცოდნე კაცი კი თავს ყოველთვის გაიტანსო“. — დაასკვნიდა ხოლმე. პოლიტიკაში არ ერეოდა, ღვთისმსახური იყო. ღმერთსა და ადამიანებს შორის ამყარებდა კავშირს, თავის საქმეს პატიოსნად ასრულებდა. იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის მიერ, მღვდელი საყვარელიძე დავით გიორგის ძე, ეკლესიური სახელწოდებით „მამა გიორგი“, დაჯილდოებული იყო სარტყლით, ვერცხლის მედლითა და იმპერატორ ალექსანდრე მესამის ხსოვნის აღსანიშნავი სიგელით.

ხალხის მასობრივი გამოსვლების შემდეგ აშკარად გამოიკვეთა, თვითმპყრობელი ხელისუფლების დღეები დათვლილი იყო, რევოლუცია რუსეთში გარდაუვალი იქნებოდა, ისე როგორც შეუძლებელია კვერცხის ნაჭუჭში მომწიფებული ნაყოფის შეჩერება. გიმნაზიაში არელეგალურად გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი „სხივი“, რომლის ერთადერთი დამაარსებელი პავლე იყო. სასწავლებლის ადმინისტრაცია სასტიკად დევნიდა და უსწორდებოდა ყველა იმ პირს, ვინც მონაწილეობას ღებულობდა და თანამშრომლობდა ჟურნალში. ეჭვი პავლეზეც მიიტანეს. ჩუმად უთვალთვალებდნენ, ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდნენ, პავლე ოსტატურად

უძვრებოდა ხელიდან. ნომერში გამოქვეყნებულ წერილებს გვარსა და სახელს არ აწერდა. პავლეს კარგად ესმოდა არალეგარული ნაწარმოების შედგენისათვის, შემდეგ გავრცელებისათვის, ციხეში ჩასვამდნენ, ამიტომ გონივრულად მოქმედებდა, თან გიმნაზიას ამთავრებდა, არ უნდოდა ბოლო კურსიდან გამოერიცხათ და უატესტატოდ დარჩენილიყო. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ევროპაში ფიქრობდა გამგზავრებას, უმაღლესი ცოდნის მისაღებად, თეატრსა და გაზეთების რედაქციებში ხვდებოდა მსახიობებსა და ჟურნალისტებს, აშუქებდა მათ მიერ მოწოდებულ მასალებს, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. გულმხურვალე პატრიოტების ილიასა და აკაკის ნაწარმოებებს. „სამწუხაროდ, ბევრს შეხვდებით ისეთ მოაზროვნე ადამიანებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველო, რატომღაც ურუსეთოდ ვერ იარსებებს, ნეტავი, ვინ ჩაუჭედათ გონებაში ასეთი მცდარი იდეა? ვითომ მუსლიმანური ქვეყნების შიშმა?! თუ ასეა, არც რუსეთს გამოუდვია ჩვენი დაცვისთვის თავი. კი მართალია, ქრისტიანობა შევინარჩუნეთ, სამაგიეროდ სახელმწიფოებრიობა დავკარგეთ, მალე ენასაც დავკარგავთ და სამუდამოდ წავიშლებით. გამოიღვიძეთ და გონს მოდით ქართველებო!..“ — იკითხებოდა ჟურნალის ფუცლებზე...

დათას ხელი არ შეუშლია, არ ჩარეულა შვილის პირად ინტერესებში. ჭაბუკს თავისი სამყარო ჰქონდა, უკეთესი იქნებოდა თავად ეფიქრა და მიეღო გადაწყვეტილება, სახელმწიფო მოხელე გამოსულიყო, თუ სხვა რაიმე სარფიანი საქმისთვის მოეკიდა ხელი. არც უფროსი შვილებისთვის დაუძალებია, გინდათ თუ არა ჩინოვნიკი და ექიმი გახდითო, მათ თავად აირჩიეს, თავად აღმოაჩინეს საკუთარ თავში თავისი შესაძლებლობა, რის გაკეთებასაც შეძლებდნენ. თუმცა, პოლიტიკით დაინტერესებულ ხალხს ვერ იტანდა. საჯაროდ ამის თქმას ერიდებოდა, სხვათა განსჯის მცდელობაში არ ჩამომართვას უფალმაო! მაგრამ ხანდახან კვლავ აეკვიატებოდა მოუსვენარი ფიქრი: „პოლიტიკოსებიც ხომ საჭიროა, ვიღაცამ ხომ უნდა მართოს ეს ქვეყანაო!..“ ორმოცდარვა წლის ასაკში თავს ყმაწვილ კაცივით გრძნობდა. ვანოს დაქორწინებამ, რძლის თავაზიანობამ და კეთილგანწყობილებამ, კიდევ უფრო გააახალგაზრდავა და სიცოცხლესაც მეტი ელფერი შესძინა. მის გამჭოლ გამოხედვაში ოდნავი სიამაყის სხივი შეინიშნებოდა. ახლა, რაკიღა ნავსი გატყდა, მომდევნო ძმაც მიბაძავდა ვანოს, ვარლამი დაოჯახდებოდა. მაგრამ ის რატომღაც არ ჩქარობდა, სამკურნალო საქმით იყო დაკავებული. უმეტესწილად ყვირილაში უწევდა ყოფნა და განმარტოებით ცხოვრება. ძმები როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდნენ აკითხავდნენ, უყვარდათ მასთან ყოფნა, კოხტად შემორაგულ ეზოში ატმის, ქარვისფერ მწვანე ყურძნის სურნელით

გაჟღენთილი ჰაერის სუნთქვა, პაპანაქებაში გრილი ქოლგისებური ნაძვების ქვეშ ჯდომა, რომელიც წალკოტს მიაგავდა, მაღალი ლურჯი მთებით გარშემორტყმული. საღამო ხანს, ყვირილის ვიწრო ქუჩებში სასეირნოდ გამოფენილი, უმანკო ქალწულების თვალთვალი.

ვარლამი ისე იყო შეჩვეული თავის პროფესიულ ცხოვრებას, სხვანაირად ვერ წარმოედგინა, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა თეთრი ხალათი, თავისი ხელობითა და გამრჯე ხელებით, სიცოცხლეს რომ უნარჩუნებდა სნეულ ადამიანებს. ავადმყოფები „ვარლამ ექიმო“-თი მიმართავდნენ. ყველას ძალიან უყვარდა, კეთილშობილ ადამიანად თვლიდნენ, ზოგჯერ ხორცშესხმულ ღმერთად მიაჩნდათ თავისი ქველმოქმედებით.

უამრავ გასათხოვარ ქალიშვილს ეჭირა თვალი, რომელი საღად მოაზროვნე იტყოდა მის ცოლობაზე უარს? ხშირად ისინი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ და ერთმანეთის მოშურნეები ხდებოდნენ. გრძელი, ფართო მწვანე ეზო შუაზე ჰქონდა ქვის კედლით გადატიხრული და ავადმყოფებისთვის ჰქონდა დათმობილი. უმცროსი ძმებიც წამოიზარდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვობის ბედნიერ ასაკში იყვნენ დარჩენილი, განსაკუთრებით გრიგოლი, ყველაზე უმცროსი. ბოლო დროს თვალები რაღაც იდუმალებით და ნაღველით ჰქონდა სავსე. გულის სიღრმეში ტკივილი შეპარვოდა, საშინლად განიცდიდა მაიაკოვსკისთან დაშორებას, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად.

8

ისევ უკუღმა დატრიალდა საყვარელიძეების ოჯახში ბედის ბორბალი, ლოგინად ჩავარდა კონსტანტინე. მწუხარებამ დაისადგურა ისედაც შემოდგომის წვიმებისგან დასევდიანებულ სახლსა, ფოთლებდაძარცვულ მუხებსა და გადაყვითლებულ ეზოში. ცაზე ტყვიისფერ, მძიმე, წვიმის წვეთებით სავსე ღრუბლებს ქარი დამფრთხალი ჯოგივით მთებისკენ მიერეკებოდა. ძმის ავადმყოფობით შეშფოთებული დათა არაფერს იშურვებდა, როგორმე მიშველებოდა და ფეხზე დაეყენებინა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე კაცი. ვარლამმა საავადმყოფოში გადაიყვანა. თავის პატარა ბიბლიოთეკაში დაუდგა საწოლი და საუკეთესო წამლებით დაუწყო მკურნალობა. ოთახში, სადაც ავადმყოფი მოათავსა, ვაშლისა და კომშის სასიამოვნო სურნელი იდგა. კარადაზე ვეებერთელა ვერცხლის ლამპარი იდგა. კარადა კი სავსე იყო სამედიცინო და აგრეთვე მხატვრული თუ სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურით. კუთხეში თაღოვანი ბუხარი გუგუნებდა, სადაც

რცხილის შეშა იწვოდა, დროდადრო წითელ ნაპერწკლებს საფანტებივით ისროდა, მაგრამ ნასროლი ჰაერშივე ქრებოდნენ და მიმართებულ ადგილამდე ვეღარ აღწევდნენ. კონსტანტინეს მხნეობა არ დაუკარგავს, გასაკვირად იქცეოდა, თითქოს არაფერი აწუხებდა. სინამდვილეში უკან რომ მიდიოდა და უფრო უარესდებოდა მისი ჯანმრთელობა, გაცილებით ადრე მიხვდა. ვარლამსაც კარგად ესმოდა, რომ ამაო იქნებოდა ყოველი მცდელობა, მაგრამ მაინც ბოლომდე უნდა გახარჯულიყო, არ დაეზოგა თავისი ცოდნა და გამოცდილება, ცოტათი მაინც შეენარჩუნებინა ბიძისთვის სიცოცხლე. აფორიაქებული ოჯახის წევრებიც სასთუმალთან უსხდნენ და უყოყმანოდ ღამეებს უთევდნენ, ოღონდ მოეხედა, უდროოდ არ გამოცლოდა თავის ცოლშვილს ხელიდან. ყველაზე მეტად კიკვილი იტანჯებოდა, ოთხმოცს გადაცილებული დედისთვის როგორი მწარე იქნებოდა მომაკვდავი შვილის ყურება? რამდენჯერმე ეცადა ვარლამი ბებიის დამშვიდებას, ნუ გეშინია, გაუვლისო, მაგრამ ამაოდ, დედის მახვილი თვალი და მგრძნობიარე გული ხედავდა და გრძნობდა, შვილის ფიზიონომიის შეცვლას რა მოჰყვებოდა... კიკვილის, მეხსიერებაში ჩარჩენილი შვილის სახეგაჟინჟილებული კონსტანტინე, იმ დღეს საწოლში ჩამომჩვარულ, გაყვითლებულ პერანგს აგონებდა, გაუპარსავი, ჭაღარაშერეული ბუწუწა წვერი, გაცილებით მეტ შეხედულებას აძლევდა. დანაოჭებულ შუბლზე და ჩაცვენილ თვალებში სიკვდილის ჩრდილი ჩაბუდებულიყო. მძიმედ სუნთქავდა, ჰაერი არ ყოფნიდა, ხანდახან საბანს გადაიწევდა, ახოვან მკერდში ჯერ ისევ შემართებით ფართხალებდა გული, ავადმყოფობას ბოლომდე ვერ გამოეფიტა რკინისებური მხარ-ბეჭი, მუხის ძირივით მაგარი კისერი, შეურყევლად ადგა მხრებზე. ორმოცდათოთხმეტი წლის ვაჟკაცისთვის ნაადრევი იყო სიკვდილზე ფიქრი. დათა ამხნევებდა უმცროს ძმას, მხარში ედგა, ცდილობდა განეკურნა და გაეხანგრძლივებინა მისთვის წუთისოფელი. თავად კონსტანტინეს არც დაუწუწუნია და არც რაიმე საყვედური დაცდენია, მაგრამ ძმის თბილი სიტყვები და ყურადღება ერთობ სიამოვნებდა. გულისხმიერ ყურადღებას ნუგეშად აღიქვამდა და ღვთისგან ბოძებულ ძალასაც გრძნობდა, არც ძმიშვილები იზოგავდა თავს, განსაკუთრებით ვანო და ვარლამი, დანარჩენები ყველანი ქუთაისში სწავლობდნენ. რაც შეეხება ვასასის, მშობლების დაუკითხავად თბილისში ცოლად გაჰყვა ლადო ტატიშვილს. გულდაწყვეტილები იყვნენ დათა და მარიამი ქალიშვილის აჩქარებული საქციელით, არ ეკადრებოდა ჩვენს გარეშე ასეთი ნაბიჯის გადადგმაო, მაგრამ ორთავეს ნათლად შეატყო კონსტანტინემ ხანგრძლივად აღარ შეეძლოთ მეტის მოთმენა, აშკარად ჩანდა ჩქარობდნენ სიძე-ქალიშვილის მონახულებას.

ღმერთმა ისე არ გაწირა კონსტანტინე, შვილების სასწავლებელში მოწყობას მოასწრო, უფროსი ქალიშვილის სცენაზე გამოსვლაც იხილა ქუთაისის თეატრში, ნინას სიხარულისგან აცრემლებული თვალებიც, მაყურებლის მქუხარე ტაშიც. თავს ბედნიერად თვლიდა შვილების სწავლების პრობლემა მოგვარებული ჰქონდა. რაც მეტად იზრდებოდა, მით უფრო მშვენდებოდა თამარი, მით უფრო ემსგავსებოდა გარეგნობით ბებიას. კიკვილი თავის სიქალიშვილეს და სილამაზეს ხედავდა შვილიშვილში, რაც უფრო მეტად აძლიერებდა ბებია-შვილიშვილის სიყვარულს. მისი ყოველი ნაკვთი, შუაზე გაყოფილი გრძელი თმა, თოვლივი ფაფუკი სახე, კრიალოსანივით მოელვარე თვალები, ლერწამივით ტანი, მხატვარს ფუნჯს ააღებინებდა ხელში. ის ამქვეყნად მოვლენილი იყო, რათა ერთმანეთთან დაეკავშირებინა ზეციური და მიწიერი სიმშვენიერე. საყვარელიძეების ლამაზმანებს შორის ყველაზე უმშვენიერესად მოიხსენიებდნენ. ლამაზ სხეულს ლამაზი სული ერწყმოდა და ორივე ერთმანეთთან შეთვისებული მეცხრე ციდან გადმომყურე ვარსკვლავივით კაშკაშებდა, რათა უფრო გაელამაზებინა მიწიერი ცხოვრება.

მეორე მომავალ ლამაზმანად ვანოს უფროს ქალიშვილს ბარბარას (ფეფიკოს) თვლიდნენ, რომელიც რაღაც სასწაულ შთაბეჭდილებებს ახდენდა მნახველზე, დიდრონი თვალებით, ექვსი წლის ასაკში უკვე შეინიშნებოდა ის არისტოკრატიული სიმშვენიერე, რაც სააქაო ცხოვრებისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. საყვარელიძეების, ჩიქოვნების, ჯაფარიძეებისა და ორჯონიკიძეების სისხლი უჩქეფდა ძარღვებში, რაც მეტ შნოსა და ელფერს მატებდა მის გარეგნობას. ვარინკა წერეთელმა მონათლა, კაზმული სიტყვისა და სიმღერის მადლი დაანათლა ცხოვრების მეგზურად. განუყრელი გიტარა ააჟღერა და ტკბილად უმღერა საყვარელ ნათლულს... მეორე ქალიშვილი თამარი (თინიკა) აღნაგობით ვანოს წააგავდა, მამასავით შავგვრემანი სახე ჰქონდა, მარჯვენა ზედა ტუჩზე ლობიოს მარცვლისოდენა ხალით, ბუნებით ოდნავ ფიცხი ხასიათით, მაგრამ სამართლიანი. ამასთანავე კეთილი გულის პატრონი, როგორც საყვარელიძეების ქალბატონებს შეეფერებათ, არისტოკრატული შეხედულების. დებიდან განსხვავებით, გვარის გამაგრძელებელი, პატარა დავითი, დედას უფრო მიესადაგებოდა. ჩიქოვნების გარეგნობა უფრო სჭარბობდა, მაგრამ მამის, ბაბუებისა და ბებიების გამოყოლილი კვალიც საგრძნობლად აჩნდა სახეზე. უცხო თვალი ყოველთვის ამჩნევდა იმ მსგავსებას, შინაურებს რატომღაც უჭირდათ ამის დანახვა.

დრო გადიოდა, იზრდებოდა მომავალი თაობა. ამ მოკლევადიან წუთისოფელში ისე სწრაფად იცვლებოდა მოვლენები, რომ ადამიან-

ები ვეღარ ასწრებდნენ ბოლომდე აღექვათ და რეალობაში მატერიად ქცეული დაენახათ გონებაში დასახული იდეა. „ბევრი ოცნება განუხორციელებელი დამრჩა, მაგრამ, რაც მთავარია, არავის ვალი არ მიმყვება საფლავშიო“, — ასე ფიქრობდა ხშირად სარეცელს მიჯაჭვული კონსტანტინე და ბავშვობაში გატარებული მოგონებებით ირთობდა ხოლმე თავს, ვიდრე სიკვდილმა ერთ მშვენიერ დილას არ შეუწყვიტა სუნთქვა. წამში მოხდა ყველაფერი, ამ სამყაროდან იმ სამყაროში თვალის დახამხამებაში ისე სწრაფად გადაეშვა, თავზე მდგომმა შინაურებმაც ვერა იგრძნეს რა. მხოლოდ ერთმა აზრმა კი გაურბინა გონებაში, არ ეგონა თუ ასე უმტკივნეულოდ დატოვებდა ამ სამყაროს. ვერ წარმოედგინა ოდესმე სხეულთან სულის განშორების პროცესი, ტკივილის მაგიერ, ასეთ დიდ სიამოვნებას თუ მიანიჭებდა? სახეს იხოკავდა კიკვილი, დამჭკნარი აკანკალებულ თეთრი ხელებიდან ლურჯი ფერის ღაზლის ძაფის სიმსხო ძარღვები მოუჩანდა. დამჭკნარ სახეზე სრულიად გაქრობოდა ის მომხიბვლელი გამომეტყველება, რაც შვილის სიკვდილამდე ოდნავ მაინც შერჩენოდა, კონსტანტინეს სიკვდილმა ხომ მთლად წაშალა ყველაფერი და თვალებში მბჟუტავი სიცოცხლის სხივიც ჩაუქრო. — ჯერ იყო და გიორგის სიკვდილმა გამანახევრა, ახლა კი, შენ ჩემო საყვარელო... ბარემ მომკალ, მომითავე ხელი, ეს ტანჯული სული ამომხადე და მეც თან წამიყვანე, მადლი მოისხი, შვილოო! — მოთქვამდა შვილის კუბოსთან ჩაჩოქილი... საქარის მიწას მიაბარეს, მამამისის გვერდით ჰპოვა სამარადისო განსასვენებელი. საძინებელ ოთახში ცუცუნამ სასთუმალთან ჩამოიკიდა საყვარელი მეუღლის სურათი. ახალგაზრდა ქვრივი დიდი მორიდებით შეცქეროდა, ლოცვებს კითხულობდა, უფალს შეთხოვდა გაენათლებინა მისი სული, — თავლაში დაბმული უპატრონოდ დარჩენილი ცხენი ხანდახან საბრალოდ ჩაიფრუტუნებდა, ვერ ისვენებდა, დიდრონ თვალებს აბრიალებდა და მოუხმობდა. იქვე თავლის კარებთან თავისივე კუდში თავჩარგული ბახულა მოუსვენრად თვლემდა, ყოველ ცხენის დაფრუტუნებაზე თავს წამოჰყოფდა, ქურდულ მზერას ჭიშკრისკენ გააპარებდა, მაგრამ კონსტანტინეს რომ ვეღარ მიჩერებოდა მწარედ წამოიყეფებდა და თავს კვლავ კუდში ჩარგავდა. მწუხარებამ მოიცვა სახლი. მძიმედ გადიოდა დრო, შფოთავდნენ ძაძებში გამოწყობილნი დედა და ბებია. პატარა თამარს „ბებიის ბაბუკას“ მთელი არსებით უნდოდა შეემსუბუქებინა მათთვის ტკივილი, ცრემლიან თვალებს უკოცნიდა ორთავეს, მერე კალთაში რიგრიგობით ჩაუჯდებოდა და ეტიტინებოდა, ისეთ მგრძნობიარე არსებად უნდოდა ქცეულიყო, როგორმე შეემსუბუქებინა მგლოვიარეთა მდგომარეობა. ღამ-ღამობით აბრეშუმის საბანში გახვეული, დიდხანს შეჰყურებდა

ხოლმე მუხების წვეროებზე ჩამოკიდებულ სავსე მთვარეს, შემდეგ ფიქრი ცისკენ გადაჰქონდა, მაღლა-მაღლა ფრენაზე ოცნებობდა, შინაგანად მაინც ვერ კმაყოფილდებოდა, ისევ ახალს და მიუწვდომელს ეძიებდა, ცასავით რა უსასრულო ყოფილა ფიქრი...

9

მეოთხე შვილიშვილი კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ ვასასისგან შეეძინათ დათასა და მარიამს — ირა ტატიშვილი. ირა თბილისში დაიბადა 1905 წელს, როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობა მოხდა იმ წელს, კი, მართალია, აჯანყებულთა კრახით დასრულდა ის მცდელობა რუსეთში, მაგრამ იმ აგორებულმა ტალღამ საქართველოშიც გადმოინაცვლა. ქუჩებში გამოსული ხალხი ასე ადვილად არ თმობდა თავიანთ პრინციპებს. გაფიცულ მუშებს გლეხობაც უერთდებოდა განსაკუთრებით რეგიონებსაც მოედო გაღვივებული ქარ-ცეცხლი, ამას კიდევ ავტოკეფალისტთა საზოგადოებაც დაემატა, ანაფორიანების გამოჩენამ კიდევ უფრო ააღელვა გაფიცულები, კერძოდ, იმერეთისა და გურიის რეგიონები. მთავრობა ვეღარ აუდიოდა მათ მოთხოვნებს, იძულებული შეიქმნა ტერორისთვის მიემართა. დასავლეთ საქართველოში დამსჯელი ჯარი გაგზავნა, რასაც მოჰყვა ყვირილას ქუთაისისა და გურიის აოხრება და გადაწვა, გურიაში კი ჯარის ჩაყენება. იმ ჯარს გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ხელმძღვანელობდა. გენერალს ყვირილაში შეხვდნენ ქუთაისის გუბერნატორი სტაროსევსკი და შოროპნის უეზდნოი ვანო საყვარელიძე და თხოვეს ხელი აეღო ასეთ ქმედებებზე, არ მოძრაობდა მატარებელი, გაფიცულები რელსებზე ისხდნენ და არ აძლევდა მატარებლებს მოძრაობის საშუალებას. განრისხებულმა გენერალმა სვირის სადგურის უფროსი შეიპყრო და თავი მოჰკვეთა, უამრავი უმოწყალოდ სცემა, დააპატიმრა და გააციმბირა. ყველაზე მეტად გურია დაზარალდა, რადგან იმდროინდელი ხელისუფალნი მიიჩნევდნენ ამ რეგიონს ყველაზე დიდ საშიშ თავშესაფარ ადგილად. პავლე და ნიკოლოზ ჩიმაკაძე იყვნენ ჩართული ამ მოძრაობაში ქუთაისელ სამღვდელოებასთან ერთად. პავლეს გიმნაზიის კურსი დასრულებული ჰქონდა და საზღვარგარეთ აპირებდა გამგზავრებას. მაგრამ პოლიტიკური ძვრები უშლიდა ხელს. ხან თანხას ვერ აგროვებდა, ვარლამსაც შეუმცირდა შემოსავალი, საავადმყოფო დაჭრილებითა და დაჟეჟილ ხალხით ჰყავდა სავსე, თანხა აღარ შემოდიოდა, რომ ძმას დახმარებოდა. კვლავ დენთის სუნი ტრიალებდა დასავლეთში, გურიაში დამსჯელი ჯარი ძალიან ავიწროებდა ადგილობრივ მოსახლეობას,

სწორედ იმ დროს გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი, იოსებ იმედაშვილი, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე და მეგობარი, რომელიც გურიაში შეხვდა გენერალ ალიხანოვ-ავარსკის, იმედაშვილმა მშვიდობიანი მოლაპარაკება გამართა და აიძულა გენერალი ჯარი გაეყვანა გურიის ტერიტორიიდან. იმავე საღამოს ქუთაისის თეატრში გაიცნო პავლემ იმედაშვილი, მერე კი გამართულ ვახშამზე, რომელიც შალვა დადიანის თაოსნობით წარიმართა, პირველად იხილა ვალერიან გუნია, თბილისიდან სტუმრად ჩამოსული, თეატრალურ საქმეებთან დაკავშირებით. სწორედ იმ საღამოს მოხდა ახალგაზრდა პავლეს დაახლოვება იმ ორ ადამიანთან. ვალერიან გუნია მაღალი რანგის მსახიობად იყო ცნობილი ქართველ საზოგადოებაში. გარდა სცენისა ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას, წერდა სტატიებს, ნარკვევებს, რედაქტორობდა გაზეთ „ცნობის ფურცელს“ და მომავალ ნიჭიერ თაობებს გზას თეატრისკენ უკაფავდა. აღნაგობით ლამაზ ადამიანს გულიც ალალმართალი ჰქონდა, დიდ ილიას „ივერიაშიც“ თანამშრომლობდა, მთელ თავის გამოცდილების და ენერგიას სამშობლოს ახმარდა.

პავლე პროკლამაციების გავრცელებით იყო დაკავებული, ყვირილაში, ღამბაშიძეების სტამბაში, აბეჭდინებდა საჭირო მასალებს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აწვდიდა მოსახლეობას. უმეტეს წილად დასავლეთში უწევდა სიარული, მათ შორის, ყველაზე ხშირად ქუთაისში. იმ საღამოსაც ვახშმის დასრულების შემდეგ, გამოემშვიდობა ძვირფას სტუმრებს თუ არა, შეუდგა თავისი საქმის კეთებას. ერთ-ერთ ქუჩაზე მყოფმა ჩაფრებმა საეჭვოდ მიიჩნიეს ახალგაზრდა კაცის აღმა-დაღმა სიარული და მისი დაკავება განიზრახეს. თვალითშეუმჩნეველ ადგილას ჩაუსაფრდნენ, მამხილებელი საბუთები უნდოდათ ეგდოთ ხელთ, მაგრამ მწარედ შეცდნენ, პავლემ დროზე გაიაზრა მათი განზრახვა, დროზე იყნოსა მეძებრების მყრალი სუნი. თვალსა და ხელშუა ისე ოსტატურად დაუძვრა, სანამ ისინი გონს მოეგებოდნენ, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით თავი გააღწია სამშვიდობოს, ეტლი აიყვანა, სადგურ რიონამდე ჩავიდა და იქიდან ღამის მატარებლით ყვირილაში დაბრუნდა. ყვირილის სადგურზე თავის მეზობელ გრიგოლ საყვარელიძეს გადაეყარა, რომელიც ჩვეული გრძელი ნაბიჯით გაბედულად მოაბიჯებდა. გარეგნობა და ხასიათიც თითქოს შესაფერი ჰქონდა, მაღალი, განიერი ბეჭები, ბოხი ხმა, წელში გამართული, სარივით სწორი. პავლეს დანახვაზე ულვაშებში ჩაიღიმა, ჯაგარივით უხეშ თმაზე ხელი გადაისვა და ისე მიეგება. პავლემ იცოდა ის ახლო მეგობარი იყო რუსეთში გადახვეწილი ჯუღაშვილისა, რომელმაც ლენინთან ერთად ჩამოაყალიბა ძლიერი რადიკალური პარტია. ბაქოში ბაილამოვის ციხეში ჯდომისას გაუცვნიათ ერთმანეთი, გასაროზგად გამზადებ-

ული ჯუღაშვილის საქმე თავისთავზე აუღია, გრიგოლს თვითონ მიუშ-ვერია საკუთარი ბეჭები და სიცოცხლე შეუნარჩუნებია ღონემიხდილ კაცისთვის, რაც მომავალში დაუმახსოვრა და არ დაუკარგა გაწეული ამაგი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ციხიდან გაანთავისუფლა გრიგოლი.

გრიგოლი კარგად ფლობდა რუსულსა და აღმოსავლურ ენებს, ხშირად უწევდა ირანში სიარული, ახლო კავშირში იყო საქმიან ადამი-ანებთან, არაფერს იკლებდა, ფულს შოულობდა, საკმაოდ დიდი შემო-სავლის წყარო გააჩნდა. მთავრობის თვალში ნატუსაღარს და მეფის რეჟიმის მებრძოლს, ავტორიტეტი დაკარგული ჰქონდა, რასაც დი-დად არ განიცდიდა, მაგრამ, გულით ეწადა მალე მომხდარიყო მეფის ჩამოგდება. ბევრი რამ შეისწავლა ციხეში, მეგობრისადმი ერთგულე-ბა, გაჭირვების ჟამს გვერდში ყოფნა, პატივმოყვარეობა და მტკიცე ხასიათი...

პავლეც ახლოს იცნობდა ჯუღაშვილს. ხშირად უწევდა ხოლმე კობას საქარის გავლით ჭიათურაში ბაქრაძეებთან სიარული. ციხი-დან გამოქცეული ან ჟანდარმერიისგან დევნილი თავს ჭიათურასა და დარკვეთში აფარებდა. გზად მიმავალი ყოველთვის გრიგოლს მოინახულებდა ხოლმე. ნიორწყალში ჩაწყობილ წიწილებსაც მიირთ-მევდა. სწორედ საქარაში მოხდა ჯუღაშვილისა და პავლეს ნაცნობობა გრიგოლის ოჯახში. გრიგოლო პავლეს გამოღმა მხარეზე ცხოვრობდა, მოკლეზე პირდაპირ საცალფეხო გზა აკავშირებდათ ერთმანეთთან გაღმა-გამოღმელებს. ხევში პატარა ღელე ჩაედინებოდა. ზაფხულო-ბით გამუდმებული ბაყაყების ყიყინი ორკესტრივით ედებოდა მთელ სოფელს. მეტად საინტერესო პიროვნება ჩანდა რევოლუციურად გან-წყობილი ჯუღაშვილი, რაღაც საიდუმლო შარავანდედით შემოსილი. ძნელად თუ ვინმეს ენდობოდა. ლაპარაკობდა დინჯად, ხმადაბლა, ყოველ სიტყვას ზომავდა და წონიდა. ის ბევრისთვის გამოუცნობ იქსად დარჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსწონდათ მისი დაუმორ-ჩილებელი ხასიათი და მებრძოლი სული. ერთხელ მაგიდასთან მსხ-დომნი მსუბუქად შექეიფებულნი შეკამათდნენ. ჯუღაშვილს მიაჩნდა საქართველოს ურუსეთოდ გაუჭირდებოდა არსებობა, პავლე საწი-ნააღმდეგოს ამტკიცებდა. სიფიცხეს ვეღარ მალავდა. გრძნობდა ნერვებს ვეღარ თოკავდა. თავს უხერხულად გრძნობდა უფროსი ასა-კის კაცის წინაშე. თუმცა, არც ისე დიდი განსხვავება ყოფილა მათ შო-რის. სულ რაღაც, ორი-სამი წელი. უფროსს კი თავი მშვიდად ეჭირა, აუღელვებლად სჯიდა ამა თუ იმ საკითხებს. კარგად ერკვეოდა მარ-ქსის თეორიაში, არც პავლე ჩამოუვარდებოდა ცოდნით, მართალია იმდენი გამოცდილება არ ჰქონია, მაგრამ არანაკლებად ერკვეოდა

ფილოსოფიაში, საკმაოდ ცნობდა მარქსა და ენგელსაც, იცნობდა აგრეთვე ჯუღაშვილის ლექსებს „ივერიის“ ფურცლებიდან. „თავის ასაკთან შედარებით ბევრად ნაკითხი და მცოდნე ახალგაზრდაა, ნაღდად ეტყობა ტრადიციების მქონე ოჯახიდან რომაა გამოსული, მაგრამ ერთი უარყოფითი თვისება აქვს, რომ ნამეტნავად ქართველია“. — გაუელვა ჯუღაშვილს.

პირველად დიდმა ილიამ დაულოცა გზა პოეზიისკენ ჯუღაშვილს. „ივერია“-ში დაუბეჭდა ლექსები. იმ დროისათვის, გაითქვა სახელი როგორც პოეტმა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა თავის მოქმედებაში სიხარული მეტი იყო თუ მწუხარება? ერთი მხრივ, სიამოვნებას ანიჭებდა სიტყვის ოსტატებთან დაახლოება, მეორე მხრივ, პოლიტიკა იტაცებდა მეფის ჩამოგდება ჰქონდა განზრახული. ბავშვობიდანვე ვერ იტანდა და ერთი სული ჰქონდა თოფ-ზარბაზნებს როდის აატკაცუნებდა რუსეთის მუშა-გლეხობა მეფის წინააღმდეგ. ამ იდეით გატაცებული ჯუღაშვილი უმეტესწილად ციხეებში ჰყავდათ გამომწყვდეული, მაგრამ მაინც ახერხებდა იქედან გაქცევებს. პირველმა ქორწინებამ არ გაუმართლა, სვანიძის ულამაზესი ქალბატონი შეირთო, ვაჟიც შეეძინა იაკობი, შემდეგ მეუღლე დაეღუპა, თავადაც საქართველოდან გადაიხვეწა და რუსეთს სამუდამოდ შეეკედლა. არც ისე ცუდად გაუთვლია თავისი მომავალი, პოლიტიკაში უმაღლეს წარმატებებს მიაღწია. იმპერატორებს შორის, ყველაზე ძლიერ იმპერატორის სახელი მოიხვეჭა, შეჰქმნა ბოლშევიკთა მმართველი პარტია, ერთ-ერთი რუსული იმპერიული სახელმწიფო მსოფლიოში საბჭოთა კავშირი და ოცდათორმეტი წელიწადი მართა ქვეყანა, მრავალი ომები გადაიტანა, საბოლოოდ გაანადგურა გერმანული ფაშიზმი, მსოფლიო გადაარჩინა მისი კლანჭებისაგან. გენერალი სიმუსის ადგილიც დაიმკვიდრა გამოჩენილ, გენიოს მხედართმთავართა ისტორიაში. მე მხოლოდ ფაქტებს ვწერ, ძვირფასო მკითხველო, თავად განსაჯეთ, პოეზიაში მიაღწევდა თუ არა ამ სიმაღლემდე ასვლას და, საერთოდ, უღირდა თუ არა ლექსის შეცვლა პოლიტიკით?..

როგორც მოგახსენეთ, სამი შვილი შეეძინა ვანოს, ერთი ქალიშვილი ვასასის, ოთხი მომდევნო ძმები დასაქორწინებელი იყვნენ. ბევრს ედავებოდნენ შვილებს დათა და მარიამი, მაგრამ არაფერი გამოდიოდათ. ვანოს შემდეგ ძმებში, ყველაზე უფროს, ვარლამს ხვდებოდა საყვედურები, მაგრამ ერთ ყურში გაგონილს, მეორით უშვებდა და საყვედურიც საყვედურად რჩებოდა, არაფერი იცვლებოდა. მხოლოდ, ერთი დრო გადიოდა, არადა, რა უჭირდა ოცდახუთი წლის ვაჟკაცს საამისო, საკუთარი ჭერიც გააჩნდა და საავადმყოფოც, შესანიშნავი რანგის ექიმიც იყო და ეკონომიურად წელში გამართულიც. გარეგნობითაც

დამშვენდა, ყურადღებას იქცევდა წინ ოდნავ წამოწეული, მაღალი შუბლი, დაბრძენებულ კაცის იერს მატებდა. კუნთოვანი, დაძარღვული კისერი და ფართო მხრები — ვაჟკაცურს. ნათელ, შუქით სავსე თვალებში ასახული იყო მისი კეთილი გუნება-ხასიათი.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დაიფანტნენ ძმები, ლადიკომ და გრიგოლმა თბილისში სახლები იყიდეს და საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდნენ, სახელმწიფო სამსახურში ჩაებნენ. ვანო და პავლე შემორჩნენ მშობლიურ კერას და ვანოს პატარები. პავლე პოლიტიკით იყო დაკავებული, მისი სამუდამო საცხოვრებელი არ ყოფილა დადგენილი, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის უწევდა სირბილი. არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ ყოფილა, მისი იდეა საქართველოს მთლიანობა და სრული თავისუფლება იყო, მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას შესწირა.

10

მეოცე საუკუნის დასაწყისში დიდი ტრაგიკული რისხვა დაატყდა თავს საქართველოს, მოგვიკლეს და ქვეყანას გამოაცალეს ყველაზე ძლიერი საყრდენი, მთავარი დედაბოძი — ილია ჭავჭავაძე! ჩვენს ბედკრულ ისტორიის ფურცლებს შეემატა კიდევ ერთი სამწუხარო და სამარცხვინო ფურცელი. მეხის გავარდნასავით მოედო ეს საშინელი ამბავი მთელ საქართველოს, ტალღებივით აღელვებული ხალხის ნაკადი მიაწყდა სიონის ტაძარს, სადაც ილიას ნეშტი ესვენა. ხალხი მგზნებარედ და გაბედულად უტევდა ხელისუფალთ, პანაშვიდზე მოსული ნერვებაშლილი ვორონცოვ-დაშკოვი დიდხანს იფხანდა კეფას, თუმცა გონებაში ნათლად ხედავდა, რომ მეფემ და მისმა მკაცრმა კანონებმა თავისი დრო მოჭამეს, ჯერ კიდევ 1905 წელს. ახლა ქვეყანა ახალი გზით მიექანებოდა, აღარავის შეეძლო არც თავად და აღარც მეფეს შესწევდა ძალა სიახლისაკენ გაქანებული ხალხი შეეჩერებინათ. „ვის უნდა ჩაედინა ასეთი არაადამიანური მხეცური ქმედება?“ — გაუელვა სიონის ტაძარში მისულ პავლეს, თვალი ჩრდილოეთისკენ გაექცა, მკერდში მფეთქავი ცხელი გული შეუქანდა, მერე თითქოს, რაღაც უტკბილესზე პატარა ნაწილის ჩამოკლება-ჩამოჭრაც იგრძნო. — ვის აწყობდა მისი სიკვდილი? — კვლავ მწარე ფიქრი აეკვიატა, ვის აღელვებდა მის მიერ დაარსებული საქართველოს ბანკი? ეს ხომ თავისთავად დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული ფართო ნაბიჯი იყო. ჭკვიანი კაცის ყოლა ვის შეეხარბებოდა ყველაზე მეტად? — ჩრდილოეთის მოქუფრულ ცას გახედა. შავი, ჯარად შეგროვილი ღრუბლები შემოტევისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ მაღალი კავკასიის ქედიდან

მონაბერი ნიავი, მთებს აქეთ აღარ უშვებდა და ისევ უკან მიერეკებოდა. პავლე ნერვებმა აიტანა, თავს ძლივს იკავებდა. — რა უსამართლობაა! — გამოცრა. ილიას კუბოს გარშემო შემოუარა, თან საშინელი ტკივილი იპყრობდა, ტაძრის შესასვლელში ვლასა მგელაძეს წააწყდა. ვლასამ სამგლოვიარო შავ დროშისკენ გასწია, სადაც მგალობელთა გუნდი იდგა და გალობდა. შავი ანაფორით შემოსილი სამღვდელოება ყვავილებით შემკულ ცხედარს სხვადასხვა ლოცვებს უკითხავდა. ქვითინებდა ხალხი, წინ და უკან დააბოტებდა კენტად დარჩენილი აკაკი წერეთელი, დროდადრო გულის სიღრმიდან მწარე კვნესა ამოხდებოდა. პავლემ ვლასა მოინახულა, ერისკაცის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი მიუსამძიმრა და გვერდში ამოუდგა. სიონიდან მთაწმინდის პანთეონამდე ქუჩები ხალხით იყო გადაჭედილი. საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულები როგორც თავად-აზნაურთა, აგრეთვე მუშა-გლეხობის წარმომადგენლები, სხვადასხვა პარტიებისა და განსხვავებული აზრის მქონე პოლიტიკოსები, მაგრამ იმ მწუხარების ჟამს ერთ მუშტად შეკრულები, სამარადისო გზაზე მიაცილებდნენ დიდ მამულიშვილს. ერთმანეთს ეცილებოდნენ მხარ-ბეჭიანი ვაჟკაცები, კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. ვალერიან გუნია თავკაცობდა დამკრძალავ კომისიას, მიუხედავად ხალხმრავლობისა, პავლემ მაინც მოახერხა, ვალერიანთან შეხვედრა. ვალერიანმა თავისი მეუღლე ნინო გომელაური გააცნო, რომელსაც უახლოესი მეგობრობა აკავშირებდა ილიას მეუღლესთან ოლღა გურამიშვილთან. სწორედ იმ დღეს, შეახვედრა განგებამ თავის მომავალ საცოლეს, ვალერიანის უფროს ქალიშვილს, რვა წლის ტასო გუნიას. მეტად საყურადღებო იყო არასრულწლოვანი პატარა ქალბატონის გარეგნული აღნაგობა, მამასავით კოლხური იერი დაკრავდა, გრძელ კაბაში გამოწყობილი, ბევრად დიდი ასაკის შეხედულებას ტოვებდა მნახველებში. წუთით ერთმანეთს შეხვდნენ მათი თვალები, კეთილგანწყობილად და საიმედოდ დარჩნენ ურთიერთკავშირში, მთელი სიცოცხლის მანძილზე.

პავლემ პირველად იხილა და გაიცნო გუნიებთან რაფიელ ერისთავის ქალიშვილი, კნეინა ელენე რაფაელოვნა ერისთავი-ტუსიშვილი და მისი მეუღლე გიორგი. ტუსიშვილების ოჯახი ახლო დამოკიდებულებაში იყვნენ თავად ილია ჭავჭავაძესთან. შორეული წლებიდან მოდიოდა მათი მეგობრობა, მამა-პაპიდან დაწყებული ტრადიცია შეუწყვეტლივ გრძელდებოდა. სულმნათმა ილიამ შემდეგ პატარა ქალიშვილი ეკატერინა მოუნათლა გიორგისა და ელენე რაფაელოვნას და ამის შემდეგ კიდევ უფრო გაამტკიცა მათი ნათესაური კავშირი. თავადი გიორგი ტუსიშვილი, მორწმუნე მართლმადიდებლური ქრისტიანი, ერთ-ერთ შეძლებულ მემამულედ ითვლებოდა მთელ დუშეთის

მაზრაში და, მართალია, წლოვანობით პატარა იყო ილიაზე, მაგრამ მათ მეგობრობაში ამ მიზეზს ხელი არ შეუშლია, არც მათი მეუღლეები ყოფილან გულგრილნი ერთმანეთის მიმართ, ხშირად ზაფხულობით ელენე რაფაელოვნა სტუმრობდა ოლღა გურამიშვილს, ხან პირიქით, ოლღა სტუმრობდა დუშეთში და ზაფხულის ცხელ დღეებს ერთად ატარებდნენ. ზოგჯერ მათ ნინო გომელაურიც უერთდებოდა და ერთად ტკბებოდნენ საუცხო ბუნების წიაღში. მათი ქალიშვილებიც ეკატერინე ტუსიშვილი და ტასო გუნიაც, თითქმის, თანატოლები იყვნენ, ორთავენი თბილისში ცხოვრობდნენ და, ბუნებრივია, მშობლების წყალობით, ხშირად უწევდათ ურთიერთობა, რაც მომავალში ნათესაურ კავშირში გადაიზარდა, როცა ისინი ბიძაშვილების, პავლე და სიმონ საყვარელიძეების მეუღლეები გახდნენ...

ქართული თეატრის დიდი მოყვარულნი გახლდნენ კნეინები ოლღა გურამიშვილისა და ელენე რაფაელოვნა, უნახავს არ უშვებდნენ სპექტაკლებს, სადაც ვალერიან გუნია იღებდა მონაწილეობას. მის მიერ შესრულებული სახეები დიდ გავლენას ახდენდა მათზე და მაყურებელზე. ილიამ და აკაკიმ დროზე შენიშნეს მადლიანი მსახიობის ნიჭი, დიდად დაუფასეს ეროვნული ტრადიციებისკენ მისწრაფება, რამაც გუნია კიდევ უფრო ჩააბა და ჩააღრმავა თეატრალურ საზოგადოებრიობაში. ის ბევრს მუშაობდა, ამზადებდა როლებს, დიდი შრომის ფასად აღწევდა წარმატებებს. გარდა სცენისა, ვალერიანი ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას, აქართულებდა სხვადასხვა პიესებს, წერდა სტატიებსა და რჩევებს. თავისივე დაარსებულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ აქვეყნებდა საინტერესო წერილებსა და რეცენზიებს თეატრალური ცხოვრებიდან.

სამგლოვიარო პროცესია მამა დავითის ტაძარს უახლოვდებოდა, მთაწმინდის პანთეონი უდიდესი მამულიშვილის ნეშთის მიღებას, სამრეკლოდან ზარების გუგუნით იცხადებდა, შემოდგომის ალმაცერი მზის სხივები საფლავს უთბობდა და საიქიოსკენ მიმავალ გზას უნათებდა. შურ-მტრობას სიყვარულმა სძლია როდესაც ნორჩმა გოგონებმა — ეკამ და ტასიკომ ვეებერთელა ყვავილებით შემკული გვირგვინი ახლად მოთავსებულ საფლავზე დაადეს, გვირგვინს ირგვლივ შავი ნაჭრის არშია ჰქონდა შემოვლებული და ზედ ოქროსფერი ასომთავრულით ეწერა: „ძვირფას ნათლიას. ნათლულ ეკატერინა ტუსიშვილისაგან“. მერე გოგოებმა წამიერად საფლავთან ჩაიმუხლეს და პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

მრავალ ნაცნობებს შეხვდა პავლე გოლოვინის გამზირზე. ქუთაისიდან ჩამოსულ ღოღობერიძეების ოჯახს, მამაცური შეხედულების მქონენი წყნარად იდგნენ და საყვარელიძეებს ესაუბრებოდნენ, მათ

ახლოს იდგნენ ძმები მემედ და გეიდარ აბაშიძეები, პავლეს დანახვაზე მის ჯგუფს შემოუერთდნენ, ერთმანეთი მოიკითხეს. ყველა დაჯგუფებასთან ახლოს ჩაფრები და სამხედრო ოფიცრები იდგნენ, მათი ყურადღება ქუჩაში მოსიარულე ადამიანებისკენ იყო მიმართული. შიშობდნენ, რაიმე შეხლა-შემოხლას არ ჰქონოდა ადგილი.

საღამოხანს ვასოსთან და ლადოსთან შეიკრიბნენ საყვარელიძეები, მტკვრის გაღმა, მიხეილის ქუჩაზე ცხოვრობდნენ პატარა ქალიშვილთან ერთად. ლადო ტატიშვილი, არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე ადამიანი, რკინიგზის დეპოში მუშაობდა, კვალიფიციური ოსტატი გახლდათ, თავისი საქმის კარგი მცოდნე. კარგი მოსამსახურეთა სიმცირის გამო სამსახურში დიდ ფულს უხდიდნენ, აფასებდნენ მის ცოდნასა და პატივს მიაგებდნენ. თავს ბედნიერად თვლიდა, იცოდა თავისი ფასი, მეუღლეც ულამაზესი ჰყავდა, ჯიშიანი საყვარელიძის ქალი. მის გულში სიყვარულის გრძნობა არასოდეს კარგავდა პირვანდელი შეგრძნების ძალას. მაგიდის თავში იჯდა, კახურ, სუფთა ნაჟურს სვამდა და ასმევდა ცოლისძმებსა და სიმამრს. სხეულში სიმსუბუქეს გრძნობდა, უყვარდა მადიანი სმა-ჭამა და ქეიფი, ქალაქურ ყაიდაზე აღზრდილს იტაცებდა სატრფიალო სიმღერები, რომელიც მისი ჰობი იყო იუმორთან ერთად. საშუალოზე მაღალი გახლდათ სიმაღლით, არაფერს იკლებდა, იცვამდა სუფთად. არაჩვეულებრივი „ოქროს ხელები“ დაეყოლებინა მისთვის ბუნებას, ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა. საკმარისი იყო, რაიმეს გაკეთება მონდომოდეს, აუცილებლად გამოუვიდოდა. გრიგოლმა მის მეზობლად იყიდა სახლი, ერთ ეზოში გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ სიძე-ცოლისძმა, ვასასიც ყურადღებას აქცევდა უმცროს ძმას, სადილს უმზადებდა და ურეცხავდა. „სიყვარულის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ წინ, სიყვარულის გარეშე, აუტანელ სიმძიმეს აიკიდებს ადამიანი და მატლივით ფეხქვეშ გასრეს ცხოვრება!.. თუმცა, მის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა უნდა გადაიტანო?.. არანაკლები ბრძოლა გიხდება აგრეთვე მის შესანარჩუნებლად! თორემ თუ ხელიდან დაგისხლტა და გაგიფრინდა, უნაყოფო ხესავით იქნები გამოუსადეგარი“ — გაჰკრავდა ხოლმე გონებაში ვასასის — პირმშვენიერ ქალბატონს... შინ დაბრუნებისას, როცა ვასასი მომღიმარი სახით შეხვდებოდა, ლადო თავისი ღირსების ძალას გრძნობდა, დაღლილობა უმალვე უქრებოდა, ამიტომ სამსახურიდან ყოველთვის შინისკენ მოისწრაფოდა, სადაც საყვარელი ცოლი და თოვლივით თეთრი პატარა ქალიშვილი ელოდებოდნენ, რომ დასვენების განკუთვნილი დღე მათთან სიამტკბილობაში გაეტარებინა. საქარაში, თავისუფლებას როგორც მოიხელთებდა, აუცილებლად ეწვეოდა სიმამრს, ფიგურებიან აივანზე მზისგულზე რა ჯობდა ხოლმე

ჯდომას. შემოდგომოთ, მარანში ჭურისთავებზე ციცქის ღვინის დაჭაშნიკება. იმერულად ნიგვზის ფოთლებში გამომცხვარი თხელი მჭადი, კეცებში შემწვარი წიწილები და დერგიდან ამოღებული დასვრეტილი საგულდაგულოდ გადანახული აგვისტოს ჩაყვითლებული ყველი, ქორფა მწვანილთან ერთად პირდაპირ მისწრება იყო. შემდეგ გრძელ მაგიდას სიმამრთან ერთად შემოუსხდებოდნენ და გვიანობამდე ბაასობდნენ. დათა საინტერესო მოსაუბრე იყო, ისე საინტერესო ჰყვებოდა თავისი მშვენიერი ქართულით, დიდად იპყრობდა მსმენელების ყურადღებას. გრძელი წვერი უხდებოდა, ისედაც მოგრძო სახეს კიდევ უფრო უგრძელებდა, მისი პროფესია მოძღვრობა იყო, წვერი უფრო დამაჯერებლად ადასტურებდა ამას, გარეგნულადაც მეტ ვაჟკაცურ იერს მატებდა. მთელი თავისი ოცდაათწლიანი მოღვაწეობის მანძილზე დათა საზოგადოებრივ ფართო მუშაობას ეწეოდა, სათავეში ედგა სოფლის ეკლესიებსა და სკოლას, გვერდში ედგა და მხარს უჭერდა, დიდი ილიას წამოწყებულ საქმეს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას... ილიას მკვლელობას დიდ ტრაგედიად მიიჩნევდა — ილია ყოველთვის საფრთხეს უქმნიდა საქართველოს მტრებს, გასაქანს არ აძლევდა, თავისი გონივრული გადაწყვეტილებებით ცდილობდა ერისთვის შეენარჩუნებინა მამული, ენა და სარწმუნოება. ამიტომ მოგვიკლეს! მტერმა ილიას სიკვდილით დაიწყო ჩვენი ქვეყნის განადგურება, მაგრამ ღმერთი სამართლიანია, მაღლიდან ყველაფერს ხედავს! — უშიშრად აცხადებდა, ეამაყებოდათ შვილებს მამის კეთილშობილება, სულმაღლობა და განათლება. ის გონივრულად ერკვეოდა ბიბლიისა და სახარების ტექსტებში, წმინდანების ბიოგრაფიებში. ესმოდა თეოლოგია და ფილოსოფიური იდეები, ბევრს კითხულობდა საეკლესიო მოღვაწეების მიერ გადმოთარგმნილ ნაწარმოებებს. 1907 წლის 2 აპრილს იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ გაათავისუფლეს ილმის ეკლესიიდან და დაამტკიცეს ზედა საქარის ფერიცვალების ეკლესიაში მღვდლად და ამავე ეკლესიის სკოლის გამგედ.

ღამის მატარებლით გამობრუნდნენ შინ. ვაგზლამდე ღია ეტლით ავიდნენ, სექტემბრის თბილი ღამე იდგა, ჯერ კიდევ არ ციოდა მოწმენდილ ციდან, კომშივით ყვითელი და მრგვალი მთვარე, უხვად აფრქვევდა სხივებს შეყვითლებულ დედამიწას. სადღაც ჯერ კიდევ კრუალობდნენ თბილ კედლებში საიმედოდ შეყუჟული კრუალები. ლადიკომ და გრიგოლმა გამოაცილეს მამა და უფროსი ძმები. ვაგზალზე ვლასა მგელაძესა და „ჟელეზნა“ ბაქრაძეს გადაეყარა პავლე, ძალიან გაუხარდა მათთან შეხვედრა, უფრო მეტი გახარებული კი მაშინ დარჩა, როდესაც გაიგო, ყვირილამდეც მათთან ერთად, ერთი მატარებლით მოუწევდა მგზავრობა. ვაგონში ვარლამთან შეხვედრამ, მხია-

რულ გუნებაზე დააყენა „ჟელეზნა“. ისინი ხომ ბავშვობაში გიმნაზიაში ერთად სწავლობდნენ, ერთად ოცნებობდნენ, სწავლების კურსს რომ დაასრულებდნენ ერთად გამგზავრებულიყვნენ საზღვარგარეთ, უმაღლესი ცოდნის მისაღებად. მაგრამ, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გაიყარა მათი გზები. „ჟელეზნა“ ბოლშევიკურ პარტიას ამოუდგა მხარში, ეს პარტიული მერე სახელიც მათ შეარქვეს. ვარლამმა კი, როგორც მოგახსენეთ, უმაღლესი განათლება ხარკოვში მიიღო და ექიმი გახდა. პოლიტიკური საქმეებით არ ყოფილა დაინტერესებული, არ უყვარდა პოლიტიკურ კინკლაობაში მონაწილეობის მიღება. „ჩემი ქვეყნიური ყოფნის მიზანი ექიმობაა, ავადმყოფების მკურნალობა და ფეხზე დაყენებაა. ღვთის ნებით, სანამ შემეძლება ვემსახურები ამ საქმეს, როგორც ერთ-ერთი რიგითი მართლმადიდებელი ქრისტიანი“.

ძმებისგან განსხვავებით, ის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. ხშირად უწევდა კამათი სხვადასხვა ლიდერებთან, ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებთან, მსხვილ მემამულეებთან, მუშა-გლეხობასთან, უმეტესი ნაწილი მხარს უჭერდა მეფის ჩამოგდებას. მთელი ღამე თეთრად უნდა გაეთენებინათ, ემსჯელათ და ეკამათათ, მაგრამ მატარებელმა წიფის გვირაბი გაიარა თუ არა, და ხარაგოულის დაღმართზე დაეშვა მხოლოდ მაშინღა წაუტყუეს თვალს. პავლეს ფიქრი არ ასვენებდა დიდხანს იტრიალა ტყავგადაკრულ დივნისმაგვარ საწოლზე! „პარტიების ლიდერები თანასწორუფლებიანობას ჰპირდებიან ხალხს, ყველა ადამიანს განურჩევლად სიცოცხლეში მიენიჭება ბედნიერება. ეს იგივეა რასაც ეკლესიის მსახურები ქადაგებენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეკლესია იმქვეყნიურ სამოთხეს პირდება და სამაგიეროდ ამქვეყნად მორჩილებას ითხოვს. ღმერთო მაპატიე!“ —ათასნაირი აზრი ებადენოდა გონებაში.

მზე კარგად ამოწვერილი იყო ორთქლმავლის კივილმა რომ გამოაღვიძა. მატარებელი ყვირილას უახლოვდებოდა. ღია ფანჯრიდან რკინიგზის პირას ერთმანეთზე ჩამწკრივებული სახლები, საგუშაგოდ გამოსულ ჯარისკაცებივით გასდევდა ლიანდაგებს. მეორე მხარეს, ოქროსფერ შეპარულ შაბნარში კაშკაშა ყვირილა მიედინებოდა. მთელი ღამის დაღლილ-გაბუსხულს, ღია სარკმლიდან შემოჭრილმა იმერეთის გრილმა ნიავმა ხასიათი გამოუკეთა. შეშუპებული, უძილობისგან შეწითლებული თვალები ცივი წყლით ამოიბანა. ისევ დაუბრუნდა სიმხნევე, თვალებშიც ნათელი სხივი ჩაუდგა. ვლასა და ჟელეზნაც წამოდგნენ, ვლასამ ყველანი გამოაცილა, საყვარელიძეებს დაემშვიდობა და ისევ ვაგონში დაბრუნდა. ფოთამდე უნდოდა ჩასულიყო, იქედან გურიაში ჩავიდოდა, დედას მოინახულებდა. შემდეგ ირანში ფიქრობდა ჩასვლას, რევოლუციისთვის თვალისდევნებას, ევროპაში

რომ ლექციები წაეკითხა. ჟელეზნა კი ყვირილიდან დარკვეთში უნდა ჩასულიყო, ცოტა ხნით თავისიანებთან დარჩენილიყო, მოენახულებინა, მოსიყვარულებოდა ახლობლებს. შემდეგ ისიც ირანში უნდა დაბრუნებულიყო.

სადგურზე ეტლით დახვდნენ, მეეტლემ ხალხის ნაკადში მომავალი დათა შორიდან შენიშნა, ბრბო გაარღვია და დათასკენ მიმავალი გაზეთს ზემოთ აფრიალებდა. სადგურზე აუარებელი მგზავრი ტრიალებდა. როგორც იქნა გაზეთის შრიალმა და აქეთ-იქით ქნევა-ფრიალმა მიაღწია დათამდე, მაგრამ, არც ისე ადვილი იყო ტომრებით, ტიკებით, გოდრებითა და კალათებით ჩახერგილი გზის გამოკვლევა. ყველაფერი ეს ილიას დასაფლავებასთან იყო დაკავშირებული, თბილისიდან დაბრუნებულ ათასობით ხალხს, ტრანსპორტი ვეღარ აუდიოდა. დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ, ყველანი საკუთარ ეტლთან შეიკრიბა. დათა პირველი ავიდა, მეეტლეს გაზეთი ჩამოართვა. გაზეთი ილიას მკვლელობას ამცნობდა მკითხველს და აგრეთვე ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების გამოსათხოვარ სიტყვებს, მათ შორის ვლასა მგელაძის წარმოთქმულ სიტყვასაც ბეჭდავდა. დათა უკანა სავარძელში მოკალათდა, თავი გაზეთში ჩარგო და ამაოებას გაეთიშა. — გამყიდველები, უსირცხვილონი! — დროდადრო წამოიძახებდა ხოლმე, ნერვებაშლილს, გრძელ კისერზე თითის სიმსხო ძარღვები კიდევ უფრო ებერებოდა — იგი... იგი აღარ გვყავს! — იძახდა და ვეებერთელა მუჭში მოქცეულ გაზეთს ისე მაგრად ჭმუჭნიდა, თითქოს ბრალი მას ედებოდა იმ საზიზღარ დანაშაულში, წუთით თავი იმ კაცად წარმოიდგინა, ვინც მივარდებოდა მკვლელს, არ დაინდობდა, იმ კაცუნას, კისერში სწვდებოდა, ხელს წაუჭერდა და წიწილასავით მიახრჩობდა... ღმერთის მიერ დადგენილ ათი მცნებიდან ყველაზე მკაცრ კანონს დაარღვევდა, მაგრამ დიდი მამულიშვილის გულისთვის ღირდა ამ ცოდვის ჩადენა. ეტლი საქარისკენ მიმავალ აღმართიან გზას მიუყვებოდა. დაოსებული ფართოგავიანი ცხენები ქშინავდნენ, მძიმე ნაბიჯებით მიიწევდნენ წინ. აბეზარი ბუზებით შეწუხებულები, გაგულისებულნი გრძელ კუდებს იქნევდნენ. მაძღარი ფერდები დოლისებურ ხმას გამოსცემდა. დათამ გარემოს თვალი მოავლო, ჩაყვითლებულ სიმინდის ყანებს გლეხობა შესეოდა, წლის მოსავალს იღებდნენ. თავსაფარწაკრული ქალები სიმინდის ტაროებს ფუჩეჩს აცლიდნენ და გოდრებში აგროვებდნენ. კაცები სავსე გოდრებს ურმებში ცლიდნენ, ურმებს პირთამდე სიმინდის გრძელ ტაროებით ნალიებში ეზიდებოდნენ. სადღაც ფოთლებში შემალული ჩიტი საყვარლად უსტვენდა. ყანის სიღრმიდან მშრომელების კიჟინა ისმოდა. გზისპირას, თუჯის ვეებერთელა ქვაბი შემოედგათ და ჭყინტ სიმინდს ხარშავდნენ. ქვა-

ბი თუხთუხებდა, ჰაერში გაფანტული ცხელი ოხშივარი მადისაღმძვრელ სურნელად იფრქვეოდა. დათამ პირჯვარი გარდისახა და ჩუმად წაიჩურჩულა შვიდი გზის ლოცვა: „ხოლო შენ არა მიგეახლნო ხოლო შენ თუალითა შენითა ჰხედვიდე და მისაგებელი, ცოდვილთაი იხილო, რამეთუ შენ, უფალი ხარ, სასო ჩემდა და მაღალი გიყოფიეს შესავედრებლად შენდა. არა შევიდეს შენდა ძვირი და გუემაი არა მიეახლოს საყოველთა შენთა“. ისე დამაჯერებლად ჩურჩულებდა, ეტლში კი არა, თითქოს ტაძარში იესოს წინაშე მოდრეკილი მდგარიყო, ჭეშმარიტების შუქით გაბრყინებულ უფლის თვალებში თითქოს საკუთარი ცოდვამადლი დაენახოს. ლოცვა ბოლომდე ჩაათავა, მხრებში სიმსუბუქე იგრძნო. ეტლი შესასვლელ ჭიშკართან გაჩერდა. ეზოში შვილიშვილები თამაშობდნენ, მოჩიტული გოგოები უმცროს ძმას, კოხტად გათიბულ ბალახში, რიგ-რიგობით, ატატებულს დაატარებდნენ და თან ნედლ, თონეში შემწვარ სიმინდის გრძელ ტაროებს შეექცეოდნენ. ბაბუისა და მამის დანახვაზე ჭიშკრისკენ გაჰკურცხლეს. ვეებერთელა მსხლის ძირში შეჩერდნენ და ღიმილით შეეგებნენ. ბაბუამ და მამამ თბილისიდან ჩამოტანილი საჩუქრები დაურიგეს პატარებს, ვანომ სურათებიანი საყმაწვილო წიგნები გადასცა ქალიშვილებს, ბაბუამ ყუთით სავსე კამფეტები. ბიძებმა ფაბრიკაში დამზადებული თოჯინები. ოჯახის უფროსი წევრებიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ დათას, ქალებს. — დედას, მეუღლესა და რძლებს, თბილი, ფუმფულა თავშლები ჩამოუტანა, ზამთარში ბუხართან მჯდომთ, მხრებზე რომ მოესხათ და არ შეცივნოდათ, არც ობოლ ძმიშვილებს დაწყვიტა გული, გულმოწყალე ბიძამ კაბებითა და ლამაზად შეკერილი სერთუკით დააჯილდოვა ისინი...

სადილის სუფრა მუხების ძირში გამართეს. განსაკუთრებით ყველას ახალისებდა იმ ადგილას ჯდომა, დათადან დაწყებული, შვილებით და შვილიშვილებით დამთავრებული, დიდ სიამოვნებას ანიჭებდათ მოშრიალე ტოტებში, საამური ნიავის შარიშურში სადილობა. შემდეგ, დასვენება და მშვიდი ფიქრებით შეპყრობილნი ყველანი რატომღაც ბავშვობის ხანას უბრუნდებოდნენ. ძარღვებში მომატებულად გრძნობდნენ სისხლის ჩქაფანს და სიცოცხლეს უფრო მშვენიერი ეჩვენებოდათ.

11

ახლა ობლების ცხოვრებას გავადევნოთ თვალი, ძვირფასო მკითხველო. როგორც მოგახსენეთ, კონსტანტინემ მოასწრო უფროსი ქალიშვილის — ნინას გზაზე დაყენება, ღმერთმა მოასწრო სასწავლებელში მოწყობასა და მის პატარა წარმატებებსაც. მამის სიკვდილის შემდეგ

კიდევ მეტად გაითქვა სახელი, როგორც მომღერალმა, გრამფირფიტებზეც აღიბეჭდა მისი სიმღერები. ქუთაისი მაშინ ხელოვნების ცენტრად ითვლებოდა, ხშირად იმართებოდა პოეზიის საღამოები, მომღერალთა კონცერტები, თეატრი ივსებოდა გემოვნებიანი მაყურებლით. ქუთათურები ემოციურად ხვდებოდნენ და ტაშით აჯილდოებდნენ სცენაზე გამოსულ ახალბედა მომღერალს. ბიძაშვილები ხშირად ესწრებოდნენ, მათ შორის ვანოცა და ცაბუაც, მაგრამ ყველაზე მეტად პავლეს უწევდა გულშემატკივრობა, უმეტესწილად ქუთაისში უხდებოდა ყოფნა, ეამაყებოდა საკუთარი სისხლისა და ხორცის წარმატებები, ქუთაისის გუბერნატორიც აღფრთოვანებული მისი ნიჭიერებით მოსკოვში წერილს უგზავნის მუსიკალური სასწავლებლის ხელმძღვანელს პროფესორ ქალს მ. მურომცევას და თხოვს დაეხმაროს ახალგაზრდა ობოლ ქალიშვილს სასწავლებელში ჩასარიცხად. წერილი ფოსტით გაიგზავნა და სანამ მოსკოვიდან პასუხი მოვიდოდა, ნინაც დაასრულებდა სასწავლებლის სრულ კურსს. რაც შეეხება მომდევნო ძმას და დას, სიმონიკამ მისაღები გამოცდები ჩააბარა კლასიკურ გიმნაზიაში, ხოლო ყველაზე უმცროსი თამარი, ბიძამისის ეკლესიაში არსებულ სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი სწავლის გაგრძელებას იმავე სასწავლებელში ფიქრობდა, სადაც ნინამ განვლო თავისი ქალიშვილობის წლები, მოკრძალებული ბუნებისანი იყვნენ ორთავე ქერათმიანები. მრავალ ახალგაზრდას აუძგერეს გული, მოხიბლეს და სიყვარულის ბადეში გაახვიეს, თავგზა აუბნიეს. ვინ ფუნჯი, ვინ კალამი აიღო ხელში, როგორმე ქაღალდზე გადაეტანათ თვალწარმტაცი გარეგნობა და ტემპერამენტი. ახოვანი ტანის მქონე ვაჟკაცები ქედს მორჩილად იხრიდნენ ლამაზი დების წინაშე. საღამოობით დუქნებში იკრიბებოდნენ ისედაც სიყვარულით გაბრუებულები, ღვინოს ეწაფებოდნენ, თავს კიდევ უფრო იბრუებდნენ. ღამეებს თეთრად ათენებდნენ, არღანზე სასიყვარულო სერენადებს გაჰკიოდნენ. ლამაზი ქალიშვილების მყოლი ქვრივისთვის, რა თქმა უნდა, დიდ საფრთხეს წარმოადგენდა წამოჩიტული ქალიშვილების იერი. რა უნდა ეღონა ათასი განცდებითა და ფიქრებით შეპყრობილ ცუცუნას, გოგოებს კაბის კალთაზე ხომ ვერ გამოიბამდა? ისევ ღმერთის ნებას მინდობილი ლოცულობდა, დაჩოქილი შეთხოვდა უფალს, მფარველი კალთა გადაეფარებინა მათთვის. ლოცვას მას შემდეგ კიდევ მოუმატა, რაც ნინას მოსკოვში სასწავლებლად წასვლის ამბავი შეიტყო. ვერც უარს ეუბნებოდა, ერთი მხრივ, უხაროდა შვილის ასეთი წარმატება, მეორე მხრივ, ოჯახიდან მისი ასე მოწყვეტა და სიშორე ტკენდა გულს. გაჭირვება მაზლს გაუზიარა „კაცის ჭკუა მაინც სულ სხვაა, მარტო მე ვერ გადავწყვეტ ამ საქმეს, ჩემმა უარმა შეიძლება დამიღუპოს შვილიო“. — ფიქრობდა კოპებშეკრული. საღამოს მაგი-

დასთან თავშეყრილებს ხმამაღლა განუცხადა, დათასა და მარიამს მიმართა რჩევისათვის.

— ნიჭს ნუ დაუკარგავ ჩემო ცუცუნა, ჩვენი თხოვნაა გაგზავნო სასწავლებლად, რაც შეგვეძლება ჩვენც მხარში ამოგიდგებით, დაანუგეშეს ცოლ-ქმარმა. დანარჩენებმაც ერთხმად გაგზანა ურჩიეს. — სხვანაირად წარმატებას ვერ მიაღწევს. ცხონებული ბიძაჩემი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, უკან არ დაიხევდა, მას ყოველთვის დიდად ახარებდა ნინას წარმატება! — დაამატა ვანომ.

კიკვილის აღარ მიუღია საუბარში მონაწილეობა, ბოლო დროს ძლიერ დასუსტებული საწოლზე იყო მიჯაჭვული, სული კბილით ეჭირა. მადლობა ღმერთს, კბილები მაინც შეუნარჩუნდა საღი, ხანდახან კბილების ღრჭიალით ამცნობდა ირგვლივ მყოფთ, რომ ჯერ კიდევ პირში სული ედგა. მისი ალმაცერი გამოხედვა გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას. საძინებელ ოთახში ისევ უცვლელად ელაგა თაფლის სანთლები. ავადმყოფს სასთუმალთან, ელაგა ფსალმუნები და საღოცავი წიგნები. მოციმციმე სანთლის შუქზე კითხულობდა ხოლმე კიკვილი ლოცვებს, ახლა ღრმად მოხუცებულს, სიკვდილის პირას მისულს, საღამოობით დათა უკითხავდა, ცერივით მსხვილი ცრემლებით ევსებოდა გუგები, წუხდა რომ აღარ შესწავდა უნარი. ფერისცვალების დღესასწაულზე მიიცვალა, ღრმა მოხუცებულობის ასაკამდე მიაღწია, ლოგინში ჩავარდნილს დიდხანს აღარ უტანჯია. გონი სიკვდილამდე არ დაუკარგავს. ხუთი შვილი შემატა ერს, სამი ქალი და ორი ვაჟი. ვაჟებიდან ერთი ღვთისმოსავად აღზარდა, უმცროსი შვილის კონსტანტინეს უდროოდ გარდაცვალებამ გატეხა, თორემ მიაღწევდა ას წელს... სამუდამო განშორებას ვერ ეგუებოდნენ ოჯახის წევრები, სასოწარკვეთილნი კრინტს არ ძრავდნენ, ღამეებს რიგ-რიგობით უთევდნენ მიცვალებულს, დღისით ძილ-ღვიძილში მყოფნი დააბოტებდნენ გრძელ აივანზე, ან მუხებქვეშ ქვის მაგიდასთან თავჩაქინდრულები თვლემდნენ, მაგრამ ძაღლის მწარე ყმუილი არ აძლევდათ იმის საშუალებას, უძილობისგან მიბნედილი თვალები ცოტათი მაინც დაესვენებინათ. უბნის მეზობლებმა პატივი მიაგეს და უკანასკნელ გზაზე გააცილეს. თანატოლებმა დასავით, უმცროსებმა დედასავით დაიტირეს. მართლაც ის დედა და აღმზრდელი იყო ყველასთვის, ლუკმის გამყოფი და მიმწოდებელი, გაჭირვებული ოჯახების დამხმარე. მღვდელმსახურებმა წესი აუგეს. დათას ცრემლები წასკდა, დედის კუბო სასაფლაოსკენ მიმავალ გზას რომ გაუყენეს. სამუდამო განშორების წუთებმა გული აუჩუყა... ულმობელია ეს ოხერი სიკვდილი, ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ ვეღარასოდეს იხილავ შენ საყვარელ ადამიანს, დათას ორთავე მხრიდან ხელკავი გამოდეს კოლეგებმა და ღიად დარ-

ჩენილ საფლავთან შეკრებილ ხალხის ბრბოს გამოაშორეს...

ისევ უკუღმა დატრიალდა ბედის ბორბალი. უბედურება კვლავ საყვარელიძეების ჭიშკართან შეჩერდა. ერთი წელიც არ ყოფილა გასული კიკვილის გარდაცვალებიდან, უბედური შემთხვევისგან, თბილისიდან სოფელში დასასვენებლად ჩასულ ვასასისა და ლადოს, პატარა ქალიშვილი ირა ტატიშვილი მოუკვდათ, პატარა ირამ შუშის ნაჭერზე ფეხი გაიჭრა, სისხლი მოეწამლა და ასე მოულოდნელად აღესრულა, დამწუხრებული ოჯახი კიდევ მეტად დაამწუხრა ამ შემზარავმა ამბავმა, ცხარედ დასტიროდნენ ნორჩ არსებას, რომელმაც ამქვეყნიური ვალდებულების ვერცერთი მუხლის შესრულება ვერ მოესწრო, ხანმოკლე სიცოცხლის გამო. ასეთმა უსამართლო შემოტევებმა გადაღალა დათა, დედის სიკვდილზე მწარე ტკივილი შვილიშვლის სიკვდილმა მიაყენა. მუხლჩაჩოქილი ევედრებოდა მაცხოვრის ხატს, ეკმარებინა ამდენი განცდა და ხიფათი. შინაურების გადაწყვეტილებით თბილისში აღარა წაასვენეს, საქარაში დიდი ბაბუა-ბებიის გიორგისა და კიკვილის გვერდით დაკრძალეს.

მოსკოვიდან მურომცოვას მოწერილმა დადებითმა წერილმა ნინას ოცნებებს გაუშალა ფრთები, რა თქმა უნდა, ოჯახში მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევებმა შეაფერხა და დაამწუხრა, მაგრამ ჩათავდა თუ არა ის მწარე, უჟმური დღეები, დაესვა წერტილი გამგზავრებას. ხანდახან მსუბუქი შიშის გრძნობა იპყრობდა, თექვსმეტი წლის ასაკში დამოუკიდებლად უნდა ეცხოვრა სახლიდან შორს, ამიტომ ოჯახური საქმეების კეთებით იყო დაკავებული, ხელს იწაფავდა, რეცხდა, აუთოვებდა, კერავდა, ქსოვდა და ამზადებდა სხვადასხვა კერძებს დედის გარეშე, რომ საკუთარი თავის მოვლა-პატრონება შეძლებოდა. დედა-შვილის დაშორებამ, მწუხარებამ, ღაპა-ღუპით ცრემლების დენამ სლოკინმა და მწარე ქვითინმა, იმდენად იმოქმედა გამცილებლებზე, თავს ვეღარ იკავებდნენ, რკინიგზის სადგურზე წინ და უკან გაოგნებულნი დააბოტებდნენ. ცუცუნა კანკალმა აიტანა, ყოველ ჩასუნთქვაზე მხრები უთრთოდა, ცაბუამ იმდენი ჰქნა მოხერხებით და მცდელობით, განსაცდელისგან გამოიყვანა, დააწყნარა და ჩაუხშო ყოველგვარი აღშფოთება. — შორი გზა აქვს გასავლელი და ცრემლს ნუ გაატან საგზლადო!.. — შთააგონებდა. რუბენ აუსტროვმა გაუწია მეგზურობა, მოსკოვში ჩაიყვანა მომავალი საცოლე, რბილი ვაგონით, ერთ კვირაზე მეტი დასჭირდათ გზაში — „ეჰ, რამდენი სირბილი მართებს ადამიანს ამ უცნაური ცხოვრების გასაცნობადო“ — ფიქრობდა რუსეთის ვრცელ სტეპებში მიმქროლი ქალიშვილი. თბილისში გაიცნეს ერთმანეთი ნინამ და რუბენ აუსტროვმა, სცენაზე გამოსულმა ახალგაზრდა მომღერალმა ისე მოხიბლა რუბენი, მზად იყო მისთვის სი-

ცოცხლე დაეთმო. დიდი მზრუნველობით ეპყრობოდა, როგორმე ნინას გული მოეგო, საწადელსაც მიაღწია, გაგიჟებით შეუყვარდათ და მალე ორთავემ იგრძნეს უერთმანეთოდ ვეღარ გაძლებდნენ. რუბენ აუსტროვი წარმოშობით სომეხი ეროვნების, კულტურულად აღზრდილი, მაღალი საზოგადოების განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა, მოსკოვში სწავლობდა. კარგად იცოდა ფრანგული და ინგლისური ენა. ჯერ კიდევ, კონსტანტინეს სიცოცხლეში მივიდა რუბენი ნინას ოჯახში, გაეცნო სასიმამროსა და სასიდედროს. მორიდებულმა, ზნეობრივად აღზრდილმა, გარეგნულად ინტელიგენტური შესახედაობის ახალგაზრდამ ქალიშვილის ხელი სთხოვა. კონსტანტინე განათლებული კაცი იყო, დაინახა რა, ახალგაზრდებს ერთმანეთი მოსწონთო, მათთვის მხარის არ დაჭერა და ზურგის შექცევა კარგს არაფერს მოიტანდა, უარი არ უთქვამს და მითუმეტეს, როცა გაიგო, სასიძო მოსკოვში უნივერსიტეტში სწავლობდა. მხოლოდ ერთი პირობა წაუყენა, სანამ ნინა სასწავლებელს არ დაამთავრებდა და სრულყოფილი წლოვანების არ გახდებოდა მანამდე უნდა გადაედოთ ქორწინება. რუბენი დიდი სიამოვნებით დათანხმდა, ნინას ნიშნობის ბეჭედი გაუკეთა თითზე და იმ დღიდან მოყოლებული ოჯახის წევრივით ითვლებოდა. წერილებს წერდნენ ერთმანეთს. მხოლოდ წერილები, ქაღალდზე გადატანილი სიტყვები აკავშირებდა ფაქიზი გულების ძაფებს. ბოლო წერილით ნინამ თავისი გადაწყვეტილება რომ მიწერა, რუბენს წერილობით აღარაფერი მოუწერია, თავად ჩამოვიდა საცოლის წასაყვანად. თავისთავზე აიღო ყველა ის ხარჯები, რაც სწავლისთვის და ცხოვრებისთვის დასჭირდებოდა.

ნინას ნიჭიერებით ფრიად მოხიბლული მურომცოვა, არა მარტო სიმღერამ, მისმა მშვენიერმა აღნაგობამაც გააოცა, ქერათმიანმა, თაფლისფერთვალებიანმა, სუსტმა და საროსავით ტანის მქონე ქალიშვილმა, სულის სიღრმეში ჩამწვდომმა ნარნარა ხმამ მქუხარე ტაში დიდხანს აკვრევინა პროფესორ ქალს. ნინა შვილივით მიიღო, სასწავლებელში ჩარიცხა და ოპერის წარმატებული მომღერლის მომავალი უწინასწარმეტყველა. სასწავლებელში მზრუნველობას არ აკლებდნენ, რასაც აღტაცებაში მოჰყავდა, მეტი გულისყურით ეწაფებოდა ხელოვნების საიდუმლოებას. მეტი მონდომებით ხვეწდა სცენურ მანერებს, მუსიკალურ ფრაზებს, ყოველთვის ცდილობდა მაყურებლის სმენამდე მეტად ყურის დამატკბობელი დახვეწილი ბგერები მიეტანა. სცენაზე საუცხოოდ გამოსდიოდა გარდასახვის ნიჭი, შინაგანი განცდის აღძვრით აჰყავდა მთელი დარბაზი, სწორედ ასეთი ქმედება ანიჭებდა დიდ სიამოვნებას მაყურებლებს. თითქმის ყველაფერს შეეგუა, შეეთვისა გაურკვეველი სიდიდის მქონე ქალაქს. ყველაზე მეტად კრემ-

ლის შენობა იტაცებდა, საღამოობით უამრავი ნათურების ციმციმი, ენით გამოუთქმელ სიმხნევეს მატებდა. ზაფხულის თბილ ღამეებში, რუბენთან ერთად მდინარე მოსკოვის სანაპიროსთან მდგარი, თეთრ მკლავებს უძირო ვარსკვლავებიან ცისკენ იწვდიდა, თავისი ორეული მთვარის სხივებს ესალმებოდა.

მეტად საინტერესოდ წარიმართა მოსკოვური ცხოვრება, სწავლასთან ერთად ახერხებდა წარმატებების მიღწევებსაც. საოპერო თეატრში რამოდენიმეჯერ თავისი სოპრანო ხმით აღტაცებაში მოჰყავდა რუსი მაყურებელი. თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგან უზომოდ დახარჯული ენერგია ფუჭად არ იკარგებოდა, რომ ხალხს შიგადაშიგ მაინც ანიჭებდა სიამოვნებას. ხალხისგან გრძნობდა სიყვარულს, ხანდახან სიხარულისგან კურცხალიც წასკდებოდა, მაგრამ სწორედ ეს წუთები იყო ყველაზე ლამაზი მის ცხოვრებაში და უპირატესობას ყოველთვის იმ ლამაზ წუთებს ანიჭებდა. კვირაში ერთხელ აუსტროვი მყუდრო, მხატვრულად გაფორმებულ. კაფეში პატიჟებდა, იქ კულტურულად ისვენებდნენ, გემრიელ კერძებს მიირთმევდნენ, ვალსს ცეკვავდნენ და ხმადაბლა მშობლიურ ენაზე საუბრობდნენ. სამშობლოს იგონებდნენ, ნოსტალგიამორეულნი, სევდიან მზერას მიაპყრობდნენ ხოლმე მხატვრების მიერ შესრულებულ პეიზაჟებს. ნინას რატომღაც მშობლიური მხარე წარმოუდგებოდა თვალწინ, ზეციდან ღვთის მიერ მოვლენილი ოსტატის მიერ გამოქანდაკებული მთებით. ასწლოვანი მუხების მოშრიალე ტოტები და შავი ძაძებით შემოსილი, ჭაღარაშერეული დედა...

დრო მიდიოდა, ყოველ წუთს, რაღაც სიახლე მოჰქონდა, ყოველი დღე ცოდნას მატებდა. ხანდახან მოგზაურობა უწევდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. ერთ ზაფხულის დღეს, აუსტროვმა პეტერბურგში ჩაიყვანა. ფანტასტიკური გავლენა იქონია პეტრეს ქალაქმა, რაღაც განსაკუთრებული ხიბლი იგრძნო ზაფხულის თეთრ ღამეებში. ზამთრის სასახლემ, სუფთა, ფართო ქუჩებმა და თავაზიანმა ხალხმა, მოსკოვთან შედარებით სულ სხვა რუსეთი დაანახა, პეტრეს ქალაქში უფრო მეტად შესამჩნევი კულტურა იგრძნობოდა, მაგრამ მოსკოვიდან განსხვავებით, წვიმიანი და ნისლიანი ცა, ზედმეტად მომაბეზრებელი ნესტიანი ამინდი ახასიათებდა. მოსკოვში გაცილებით ბევრად უკეთესი ჰავა იყო, ზამთრობით მშრალი ყინვა იცოდა. თითქმის ყველაფერი შეითვისა, გარშემომყოფ ადამიანებსაც გაუგო და დაუახლოვდა, მაგრამ რუსულ ყინვასთან ვერაფერი გამონახა საერთო, მოუთმენლად ელოდა, სწავლების კურსის დამთავრებას, სამშობლოში დაბრუნება სიზმრად ჰქონდა გადაქცეული. რუბენს წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით, როგორც საქმისთვის აჯობებს ისე ვიმოქმედოთო, —

უცხადებდა. სწავლის დასრულებამდე ორი წელი ჰქონდა დარჩენილი, ოპერის ხელმძღვანელობამ რომ შესთავაზა თეატრში თანამშრომლობა: ორჭოფობდა, არც უარი უთქვამს და არც დათანხმებია. — ნუ აჩქარდები, სანამდე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდე, კარგად დაფიქრდიო. — ურჩევდნენ. არადა, მიწერ-მოწერა ჰქონდა ოჯახის წევრებთან. დედა, სიმონიკა და თამარი ყოველ წერილში ერთსა და იმავეს ატყობინებდნენ — „ძალიან გვენატრები, საშუალება და დრო რომ გვქონდეს, ერთ წუთსაც არ დავფიქრდებოდით, უმალვე ჩამოვიდოდით და გინახულებდითო“. სწორედ ასეთი წერილებიც უშლიდა ხელს, ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო, დარჩენილიყო თუ ხელი ჩაექნია და უარი განეცხადებინა. ყველაზე მეტად მურომცევა იყო დაინტერესებული, რომ მის მიერ აღზრდილი მოწაფე ოპერის თეატრში დარჩენილიყო, რაც კიდევ უფრო გაუზრდიდა პედაგოგიურ იმიჯს და საზოგადოებაში კიდევ ერთი თავით ამაღლდებოდა, რადგან ისეთი მომღერლის აღმოჩენა და მოსმენა, როგორიც ნინა იყო, ძალიან წაადგებოდა რუსულ კულტურას.

12

ილიას სიკვდილის შემდეგ ქართული ბანკი დაიშალა, რაც საქართველოს წინ გადადგმული ნაბიჯის, ისევ უკან გადმოდგომას ნიშნავდა. თავისუფლებისათვის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. გაზეთი „ივერიაც“ ისტორიას ჩაბარდა, ილიასავით შეწყვიტა არსებობა. სამაგიეროდ, დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „მეგზურმა“, რომელსაც ფილიპე მახარაძე რედაქტრობდა. თავად რედაქტორი, ბოლშევიკების აზრის მიმდევარი, ლენინს ედგა გვერდით და მისი პარტიის წევრიც გახლდათ. მოგეხსენებათ, ბოლშევიკებს მენშევიკები უწევდნენ წინააღმდეგობას, მათ პარტიას რუსეთში პლეხანოვი ედგა სათავეში, ერთ დროს ლენინის ყოფილი მასწავლებელი. საქართველოში მენშევიკთა წარმომადგენლებსა და პარტიას ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობდა. პავლეს არასოდეს გაჩენია იმის სურვილი რომელიმე პარტიის წევრი გამხდარიყო, ის მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა და ძალიან ახარებდა ქართველი კაცის შეუპოვარი ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ გრიაზნოვმა გადაწვა გადაბუგა და სისხლის გუბეები დააყენა, მაინც ბოლომდე ვერ ჩაკლა ქართველთა მებრძოლი სული. ისევ ქართველმა მოუღო ბოლო, ჯორჯიაშვილმა ჩააძაღლა. გაცოფებული, უსამართლობას შეურიგებელი ერი, როგორც ყოველთვის, თავისი არსებობის მანძილზე განაგრძობდა ბრძოლას. მეფის რუსეთი დაუნდობელ სიმკაცრეს იჩენდა

პარტიების ლიდერთა მიმართ, იჭერდა, ზოგიერთ მათგანს სიკვდილით სჯიდა, უმეტესობას ციხეებში ატუსაღებდა, ან შორეულ ციმბირში ასახლებდა. ვერც, პავლე აცდა იმ დაწყევლილი ციხის ზღურბლს. ქუთაისში პროკლამაციების გავრცელებისას ხელში ჩაუვარდა ჟანდარმერიას, ის ყოველთვის მოუხელთებელ რაინდის როლში ევლინებოდა ყველას, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ვეღარ შეძლო გაქცევა და შეიპყრეს. თუმცა, მაინც გამოიჩინა დაუმორჩილებლობის სიკერპე, გაჯიქებული მაინც ვერ გატეხეს. მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ გახდა ოჯახისთვის ცნობილი პავლეს დაპატიმრების ამბავი. ბევრი ირბინეს, მითუმეტეს ვანომ, როგორც შოროპნის მაზრის უფროსმა, სასწრაფოდ მიმართა ქუთაისის გუბერნატორს, მაგრამ დაგვიანებული აღმოჩნდა ყოველგვარი მცდელობა. ქუთაისის ციხიდან ბაქოში გადაიყვანეს და ბაილამოვის ციხეში გამოამწყვდიეს. იქედან რუსეთში აგზავნიდნენ ტუსაღებს, შემდეგ კი სხვადასხვა გუბერნიებში ანაწილებდნენ. უმეტეს შემთხვევაში ციმბირში ასახლებდნენ. პავლე თავდაპირველად საერთო საკანში გამოამწყვდიეს. ტუსაღების უმრავლესობაში ქართველებიც ერივნენ. სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. მათ შორის ქართველი რევოლუციონერები და ჟანდარმერიის მიერ შეპყრობილი გაფიცული მუშები. ციხის ბადრაგები რუსი ჯარისკაცებისგან შემდგარი ჯგუფები იყო. ბორკილების ჟღარუნით შეჰყავდათ, ან გამოჰყავდათ, ნესტიან ჯურღმულებიდან ფილტვებდახვრეტილი, გაძვალტყავებული და ჩონჩხად ქცეული პატიმრები, რომლებიც ისე იყვნენ შეგუებულნი შმორის სუნს, რომ სუფთა ჰაერზე შემთხვევით გამოსვლისას, თავბრუ ეხვეოდათ და ხველებით იგუდებოდნენ. ზედამხედველობის ჯგუფი კიდევ უფრო გაზარდეს და გაამკაცრეს. განსაკუთრებით ჯუღაშვილის გაქცევის შემდეგ, ქართველობაზე უფრო ჰქონდათ გამახვილებული ყურადღება. ამიტომ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასანაცვლებელ ქართველ პატიმრებს, გაძლიერებული დაცვა მიაცილებდა, რამდენიმე დღის შემდეგ პავლეს საერთო საკნიდან, შედარებით პატარა სატუსაღოში მიუჩინეს ბინა, მაგრამ იქაც ჭუჭყი და სიმყრალე ისე იყვნენ ერთმანეთთან შეთვისებული, როგორც სიბნელე და სინათლე. ეს ის ადგილი იყო, სადაც გატარებული ერთი დღე წელიწადად მოეჩვენებოდა კაცს. პავლე ძველ ტახტზე წამოწოლილი, რომელსაც მეოთხე ფეხად აგური ჰქონდა შეყუდებული, წიგნების კითხვაში ატარებდა დროს. ხანდახან მოგონებები იპყრობდა, მშობლიური კუთხის გამოყოლილი ნოსტალგია დარდსა და ვარამს მატებდა. კითხვა რომ მობეზრდებოდა, საკნის კედლებზე პატიმრების მიერ შესრულებული ნახატებითა და მათი ზედმეტი სახელების კითხვით ირთობდა თავს, რაც წუთიერად

მწარე ტკივილებს ავიწყებდა: „ავლაბრელი ჩარო“, „ზანდუკა“, „მცხეთელი შოშიტა“, „გორელი ჭორფლა“... აქ შეაჩერებდა ხოლმე მზერას და თვალწინ ჯუღაშვილი წარმოუდგებოდა, გრიგოლ საყვარელიძის ეზოში, პურ-მარილით გაწყობილ მაგიდასთან მჯდომი... მერე გონებაში სათუთად გადანახულ მის ლექსებს გონებაშივე ჩუმად ჩამომარცვლავდა: **„აყვავდი ტურფა ქვეყანავ, / ილხინე ივერთ მხარეო / და შენ ქართველო სწავლითა, / სამშობლო გაახარეო!“** / სასწაულია ეს ჯუღაშვილი, — კვლავ იპყრობდა მოგონებები, — ყველა ციხიდან შეძლო გაქცევა. შეიძლება თამამად ითქვას, დიდად მოხერხებული და უშიშარი კაცია, ამ ბოლო დროს ტურახანსკიდანაც დაუღწევია თავი, სიცოცხლის ფასად გადმოულახავს ვეებერთელა ციმბირის ტაიგა, სერგო ორჯონიკიძესთან ერთად. „ყველა პარტიების ლიდერები რომ სახელმწიფოს სათავეში მოსვლაზე ფიქრობდა, ამაზე უკვე ორი აზრი აღარ არსებობს, „ჯერ თავო და თავოო“ მათ შორის არც „გორელი ჭორფლაა“ გამორიცხული. მეფის ჩამოგდების შემდეგ, რა შეიცვლებოდა საქართველოს საკეთილდღეოდ? — ეს კითხვა ადარდებდა პავლეს. ლენინის ან სხვა რომელიმე, ხელისუფლებაში მოსულს, პარტიებს აღმოაჩნდებოდათ იმდენი ჰუმანურობა, დამოუკიდებელ ქვეყნად ეღიარებინათ, თავის შემადგენლობიდან გაეშვათ საქართველო?! აღარც ჯუღაშვილის ქმედება იყო საეჭვო — საქართველოს გაუჭირდება ურუსეთოდ არსებობაო. — საქარაში ყოფნისას რომ განუცხადა. „ჩვენ გვრჩება მხოლოდ ერთი შანსი — ასკვნიდა გუნებაში — იმპერიის დამხობის შემთხვევაში გარდაუვალი იქნება არეულ-დარეულობა, თუ იმ დროს გონივრულად გამოვიყენებთ და ევროპის ქვეყნებიც გვერდში ამოგვიდგებიან, ხომ კარგი, თუ არადა წასულია ჩვენი საქმეო... უცებ სულხან-საბა ორბელიანი გაახსენდა და ფიქრი გაუწყდა...

გაციმბირებას გადაურჩა ვანოს წყალობით, მაგრამ ავადმყოფობას ვეღარ დააღწია თავი, არც იყო გასაკვირი, ისეთ პირობებში შინაგანი ორგანოების დიზენტერია შეყროდა. ციხის ექიმი ივანე ელისაშვილი უწევდა დახმარებას, დროზე მიაწვდინა სათანადო წამლები. ფერმკრთალსა და გამხდარს თაფლით კვებავდა. საკანში თვითგანსწავლული თბილისელი სომეხი ექიმბაში იხდიდა სასჯელს. ივანეს დახმარებით საკანში წამლის მასალა შეაგროვა, დაუმზადა დასალევი სითხე და როგორც იქნა, საიქიოს მიმავალი, სააქაოს დაუბრუნეს, ავადმყოფობის შესახებ შინ წერილი არ მიუწერია, მორიდებული გახლდათ ბუნებით, „იჯავრებენო, ისედაც ეყოფათ ამდენი ტკივილი რომ მივაყენეო“, — კარნახობდა შინაგანი ხმა. ძმებმა ჩააკითხეს, ოთხივემ უკლებლივ ინახულეს. საოცრად გულკეთილნი იყვნენ ერთმანეთის მიმართ. ის, რასაც ჰქვია ძმური კავშირი, მყარად ჰქონდათ შენარ-

ჩუნებული. გაჭირვების ჟამს თავს არ ზოგავდნენ, ოღონდ თავიანთი სისხლი და ხორცი ხიფათისგან ეხსნათ. ფული არ უჭირდათ, ოთხივე სახელმწიფო სამსახურში იდგა, მხოლოდ ერთი პავლე ჰყავდათ უმუშევარი და პოლიტიკური საქმეებით დაკავებული. ოთხ ძმას ერთი ძმის შენახვა რას დააკლებდა? კი მართალია, ვანოს ცოლი და სამი შვილი ჰყავდა სარჩენი, მაგრამ გაცემაზე არასოდეს იხევდა უკან. ყველაზე დიდი ფულის მშოვნელი და მფლანგველიც უმცროსი ძმა გრიგოლი იყო, მაგრამ ყოველთვის ჯიბე ცარიელი დადიოდა თავისი უცნაური ხასიათის გამო. შოვნით შოულობდა, ისევ არიგებდა. როგორც შინაურებზე, ასევე გარეულებზეც, ყველას უმართავდა ხელს...

ბაქოში ჩასულმა ვანომ ქალაქისთავი მოინახულა. ახლო კავშირი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს ჰქონდა მასთან, ფრიად კეთილშობილი ბუნების მქონე ჩიქოვანმა პოლიცმაისტერთან გამართა მოლაპარაკება და პავლე ციხიდან გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ საზღვარგარეთ, ნებისმიერ ევროპის ქვეყანაში უნდა გამგზავრებულიყო. მასაც მეტი რა უნდოდა, ისედაც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, უმაღლესი განათლება ჟენევაში მიეღო. თბილისში ჩამოსვლისთანავე ახლო ნათესავები და მეგობრები მოინახულა, ყველას მოესიყვარულა. დიდი აღფრთოვანებით შეხვდა გუნიების ოჯახი, ვალერიანმა გულში ჩაიკრა უმცროსი მეგობარი. გაზაფხულის დღე იდგა მშვიდი, ახლად აყვავებული ნუშები, თეთრ კაბაში გამოპრანჭულ გოგონებს ჰგავდნენ. ვალერიანის გაბრწყინებულმა და სიცოცხლის ხალისით ანთებულმა თვალებმა საუცხოო გუნებაზე დააყენა. ოჯახის დიასახლისი შინ არ ბრძანდებოდა, დიასახლისობა წამოჩიტულმა ტასომ გაუწია, გრძელ წითელ ხალათში დაქალებული და მიმზიდველი ჩანდა. თავისი ჩვეული ღიმილით ირგვლივ ნეტარების ცეცხლს აფრქვევდა. აკვირდებოდა და ვერ აეხსნა, რა დაინახა იმ ერთი ციდისტოლა არსებაში ისეთი, რომ მოსვენება დაკარგა იმ პირველი შეხვედრის შემდეგ. ილიას დასაფლავებაზე გრძელ კაბაში გამოწყობილი რომ მიუყვებოდა მთაწმინდის აღმართს, მოხდენილი კოლხური იერით, ფრთებიან ანგელოზს მიაგავდა. გულის კუნჭულში თითქოს რაღაც თბილი და ფაქიზი გრძნობა ჩაეღვარა. თავდაპირველად სასაცილოდ ეჩვენებოდა და ცდილობდა თავი შორს დაეჭირა, ცდუბებისგან მაგრამ რაც მეტად გაურბოდა ცდუნებას, ეშმაკისეულ მახეს, მით უფრო ეხვეოდა მის მიერ გაბმულ აბდა-უბდა ქსელში. ტასოდანაც გრძნობდა გულის ცეცხლის გუზგუზს, ესმოდა მისი რიტმული ცემა, სიხარულისგან აღვსილი ლამპარივით გაბრწყინებული სახით, მოქნილად რომ დააბიჯებდა, ლაპარაკითაც უფრო ნაზად ლაპარაკობდა, ხმა უფრო მუსიკალური უხდებოდა. პავლე საკუთარ თავს კიცხავდა — ოცდაშვიდი წლის ვა-

ჟკაცს, ასეთმა სუსტმა, ჯერ კიდევ, მთლად ბავშვმა, როგორ უნდა გაჯობოსო?.. მაგრამ ვაი, რომ ჯობნიდა! როდის მომხდარა იმ სათუთ გრძნობებს მორევია ადამიანი? ეს ისეთი ძალაა არც ასაკი იცის და არც მდიდარ-ღარიბი... ეს ისეთი ძალაა, რომელიც ჩვენდა დაუკითხავად იბუდებს ჩვენივე გულის კუნჭულში, მამრსა და მდედრს ერთმანეთის მიმართ ლტოლვას უჩენს და ერთმანეთთან აერთებს.

კონიაკი გადაკრეს, ევროპისაკენ გზა დაულოცა ვალერიანმა, სადარბაზომდე მიაცილა, მძიმე კარი ჭრიალით გამოაღო, ხელი მაგრად ჩამოართვა და მამა-შვილური თუ მეგობრული თხოვნა დაადევნა: — როგორ წავა შენი საქმეები, არ გამომაპაროო!..

პავლე აჩქარებული ნაბიჯით გაუყვა ქუჩას, ვასასი და ლადო უნდა მოენახულებინა მტკვრის გაღმა გასულიყო, ქუჩის დასასრულს, ერთხელ კიდევ გახედა გუნიების სახლს, ღია ფანჯარასთან, ფარდებში გახვეულ ტასიკოს კულულებიანი თავი შეამჩნია, გაშეშებული იდგა და გამჭოლი თვალების მზერით მიაცილებდა. წუთით შეყოვნდა, საპასუხოდ ცხვირსახოცი დაუქნია. „ეს ისეთი გრძნობაა, რომელმაც არ იცის ასაკი“. — გაურბინა გონებაში, როდესაც მტკვარზე გადადიოდა.

ორი კვირა მშობლებთან გაატარა სოფელში. სახლიდან გაუსვლელად უჭირდა ცხოვრება, დილიდან საღამომდე, ერთი და იმავე ადგილას ტკეპნა მოთმინებას აკარგვინებდა. მაგრამ მკაცრი, დაუნდობელი ჟანდარმერიის გახსენებაზე, იძულებული იყო აშლილი ნერვები მოეთოკა, თორემ, ისევ შეიძლება ციხეში ჩაესვათ. მაშინ კი მართლა წყალში ჩაეყრებოდა ყველაფერი. თანხას უგროვებდნენ ძმები, ერთი სული ჰქონდა მალე გაცლოდა მშობლიურ ქვეყანას, განათლება დროზე რომ მიეღო, განათლებულს მეტი სიკეთე გაეკეთებინა საკუთარ ხალხისთვის, დედ-მამის ჯავრი მიყვებოდა თან, დათასა და მარიამსაც არ ემეტებოდათ შვილი, მაგრამ სახლში ჯდომითაც ხომ სათანადო ცოდნას ვერ შეიძენდა?

ჟენევაში ქართველ სტუდენტთა ახალგაზრდობა სწავლობდა, მალე მათ რიცხვს პავლეც შეემატა, მისაღები გამოცდები ჩააბარა ჟურნალისტიკურ ფაკულტეტზე და სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა. შვეიცარია საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას ესაზღვრებოდა, პავლესაც მეტი შანსი ეძლეოდა უფრო ახლოს გაეცნო ევროპელი სხვადასხვა რჯულის წარმომადგენლები, მეტად ღრმად ჩაწვდომოდა მათ სულიერ სამყაროს. პირველად რუსეთიდან და საქართველოდან გაქცეულ პოლიტიკოსთა თავშესაფრად მიაჩნდა კეთილმოწყობილი სასტუმროებითა და მუზეუმებით დამშვენებული ქალაქი, ვის არ შეხვდებოდით იქ, უქმად მოხეტიალე და საქმიან ადამიანებს, ლოთებს, შულერებს, სხვადასხვა პარტიების ლიდერებს, აგრეთვე, მსოფლიოს

თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულ ტურისტებს. ჟურნალ-გაზეთებს უშვებდნენ ქართველი პოლიტიკოსები, ინფორმაციებს ავრცელებდნენ რუსეთის შემადგენლობიდან საქართველოს გამოყოფისა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ. სწავლა არ უჭირდა, შესანიშნავად ფლობდა ფრანგულსა და გერმანულ ენებს. ხშირად უწევდა გემით ბოდენის ტბის გადაცურვა, რომელიც ყველაზე ახლო დამაკავშირებელი საშუალება იყო ორ სახელმწიფოს — შვეიცარიისა და გერმანიას შორის. გერმანიაში მაშინ ივანე მაჩაბელის ძმიშვილი, გიორგი მაჩაბელი ცხოვრობდა და ჩამოყალიბებული ჰქონდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომლის წევრები საზღვარგარეთ მცხოვრებნი თანამემამულენი იყვნენ. თავად გიორგი ბერლინის სამთო აკადემიაში სწავლობდა და ახლო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა მთავრობის მაღალ ჩინოსნებთან. მოლაპარაკებას მართავდა ვილჰელმ მეორესთან საგარეო საქმეთა მინისტრთან, თუკი გერმანიის დახმარებით საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდებოდა და აღდგებოდა ქვეყანაში მეფის მმართველობა, მაშინ ტახტზე უნდა ასულიყო ვილჰელმის ვაჟი იოახიმი და ცოლად შეერთო გიორგი მაჩაბლის ბიძაშვილის მიხეილის ქალიშვილი — მარინა მაჩაბელი. პავლე ჟენევაში გაეცნო მიხაკო წერეთელსა და პეტრე სურგულაძეს, რომლებიც „თავისუფალ საქართველოს“ ორგანიზაციაში იყვნენ გაერთიანებულნი, მალე მათ ჟენევა დატოვეს და გერმანიაში, გიორგი მაჩაბელთან გადავიდნენ, „გაევროპელებული“ თანამემამულეები რუსეთში მოსახდენ რევოლუციისთვის ემზადებოდნენ. უმეტესი პარტიები და მათი ლიდერები, ჩაგრული ერების კულტურული ავტონომიის მინიჭებას უჭერდა მხარს, ხშირად ამ საკითხზე ნოე ჟორდანიასთან უწევდათ კამათი, რომელიც ერთ-ერთ დაბეჭდილ თავის სტატიაში ამტკიცებდა: „ტერიტორიული ავტონომია განსაკუთრებით მიუღებელია ქართველი ერისთვის, ვინაიდან მის ტერიტორიაზე მოსახლეობის ერთ მესამედს უცხო ელემენტები წარმოადგენდნენ, სომხები, რუსები, ოსები და სხვებიო, ეს გარემოება ხელახლა შუღლსა და ჩაგვრას გამოიწვევს, თუ ქართველმა ერმა სრული პოლიტიკური ხელისუფლება მოიპოვა და მას იძულების ორგანოები ეყოლა ჯარის და მილიციის სახითო“.

— კულტურული ავტონომია სხვა არაფერია, თუ არა უარი განაცხადო, დამოუკიდებლობის მოპოვებაზეო! — ეპასუხებოდა პავლე. განსხვავებულ აზრს, რაც ქვეყანას წაადგებოდა, არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებაში ხედავდა. არჩილი უმტკიცებდა თანამემამულეებს, „ეროვნული ავტონომიის“ შექმნა ყველაზე მეტად დაიცავდა საქართველოს. მას გვერდში ედგნენ თანამზრახველები: გერონტი ქიქოძე და

ივანე გომართელი, ნოეს კი, — სილიბისტრო ჯიბლაძე, კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი. ცხარედ კამათობდნენ, იმართებოდა დისკუსიები, მაგრამ, ერთი რამ, რომ საქართველო დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო რომ უნდა ყოფილიყო ორივე მხარისთვის, დიდ სურვილად რჩებოდა.

ერთ თბილ საღამოს, ქუჩაში გამოსულ პავლეს, მოულოდნელად ვლასა მგელაძე შეეფეთა, სიხარულისგან აღფრთოვანებულებს საუბარი დაბინდებამდე გაუგრძელდათ. ვლასამ იქვე, ახლო მდებარე კაფეში მიიწვია სავახშმოდ. ღარიბულ სუფრაზე ორი ბოთლი ღვინო დალიეს, დიდი რუდუნებით მოიგონეს წარსული, მშობლიური კუთხე დალოცეს, მსუბუქად წაივახშმეს, ცოტა გამხიარულდნენ და ისე დაშორდნენ, ვლასა საფრანგეთში გაემგზავრა. ის კი საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ ევროპაში, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი. ევროპის ქვეყნები იწვევდნენ და ლექციებს კითხულობდა ირანში მომხდარი რევოლუციის შედეგებზე.

იმ ღამეს ძილი გაუტყდა პავლეს, ბევრი იტრიალა, იბორგა, მაგრამ თვალი მაინც ვერ მოხუჭა. აკვიატებულმა ფიქრებმა შორს წარსულში დააბრუნა. იმ დაუვიწყარ დღეებს, კინოლენტაზე გადაღებულ სერიებად უყურებდა. ბოლოს ბაქოში გატარებული გისოსებიანი საკანი დაუდგა თვალწინ „ზოგიერთი ჭირი მარგებელიაო, — ზუსტად ჩემზეა გამოჭრილი ეს ბრძნული გამონათქვამიო“, — საკუთარ თავს ეჩურჩულებოდა, — „რომ არ დავეჭირეთ, მაშინ ეჭვქვეშ იქნებოდა დაყენებული ჩემი აქ სასწავლებლად ჩამოსვლაო“. ნაშუაღამევს ჩაეძინა, ფერად სიზმარს ხედავს, კარი იღება, ფეხაკრეფით შემოდის, ატლასის ხალათში გამოწყობილი, კოლხელი ნორჩი ასული. მუხლს იდრეკს, მის საწოლთან იჩოქებს, წაბლისფერ თმებჩამოშლილი, თმების სურნელი ათრობს, გაბრწყინებული სახით წამოდგება და გრძელ მაგიდასთან გადაინაცვლებს ოჯახის წევრებთან ერთად. კოლხელი ასული თეთრი კაბითა და ფეხსაცმლით იმოსება და თავზე ცოცხალი ყვავილების გვირგვინს იხურავს, მერე გვერდით ამოუდგება ხელკავს გამოდებს, არაბული ნოხით გადაფარებულ იატაკზე, ქართულს ცეკვავენ. ხალხის ნაკადი თანდათანობით მატულობს, ოთახში ნემსის ადგილიც აღარ რჩება, ეზოსა და მუხების ქვეშ ჯგუფებად დგებიან მოგრეხილი ყანწებით ხელში შექეიფებულნი, იმ შესანიშნავი წყვილების სადღეგრძელოს სვამენ. ვიღაც სიმღერას აგუგუნებდა, „ვისია, ვისია, ქალი ლამაზი“.

მზე საკმაოდ წამოწეული იყო, კარგ ხასიათზე რომ გაეღვიძა, სრულიად ფიზიკურად აღდგენილსა და შავი ფიქრებისგან განმუხტულს, სიზმარმა ისევ სამშობლო გაახსენა, ყველაზე სწრაფმავალმა ფიქრის მერანმა, დედისკენ გააქროლა, დაკოჟრილი მუხების ჩრდილ-

ში ჩამოსვა, ოჯახის წევრები მოანახულებინა, ისევ ზურგზე შეისვა და გუნიების სახლთან, ფარდებამოფარებულ ტასოს პირისპირ შეაჩერა...

ბოლშევიკთა მეთაური ვლადიმერ ლენინი იმყოფებოდა იმ დღეს ჟენევაში, ახალგაზრდა მწერალ მაქსიმ გორკისთან ერთად. პავლეს წაკითხული ჰქონდა გაზეთ „კავკასიის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“. გორკი კარგად იცნობდა ქართველი კაცის ბუნებას, ნაცხოვრები იყო საქართველოში და ყოველთვის ანცვიფრებდა ქართველების სტუმართმოყვარეობა, მიტევება და შეუპოვრობა. ლენინი ხვდებოდა სტუდენტებს, ერთ-ერთი შეხვედრის დროს პავლემ პირდაპირ დაუსვა კითხვა, შეძლებდა თუ არა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მისი პარტია რუსული შოვინიზმის აღმოფხვრას. ერთ-ერთ თავის სტატიაში იგი წერდა კიდეც ამის შესახებ, „იბრძოლეთ რუსული შოვინიზმის წინააღმდეგო“. ხოლო, რაც შეეხება პასუხის გაცემას დასმულ საკითხზე, შეგნებულად გვერდი აუარა, ან რა პასუხი უნდა გაეცა, როდესაც თავადაც არ იყო დარწმუნებული, თუ ოდესმე რუსეთი განიკურნებოდა ამ საშინელი სენისგან?

13

ახლა თანმიმდევრობას მივყვეთ და კონსტანტინეს შთამომავლებს გავაყოლოთ თვალი, ჩემო მკითხველო. როგორც ყველა უფროსმა ბიძაშვილებმა, სიმონიკამაც წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. მეფის რუსეთის ბრძანებულებით, ნიჭიერი, წარჩინებულად კურსდამთავრებულებსა და ლამაზი აღნაგობის მქონე ახალგაზრდებს, აგზავნიდნენ ოდესის ელიტარულ კადეტთა კორპუსში სასწავლებლად. სადაც მაღალკვალიფიციურ ოფიცრებს ამზადებდნენ, მეფის ჯარში სამომსახუროდ. გუბერნატორის სიაში რჩეულთა შორის რჩეული სიმონიკა საყვარელიძის გვარიც დაფიქსირდა, როგორც ფრიად ზრდილი, წარმოსადეგი და რუსული ენის კარგი მცოდნე ახალგაზრდისა. ერთის მხრივ, აფორიაქებული იყო ცუცუნა, მეორე შვილის კალთიდან მოწყვეტა, სათუთი გულის მქონე დედას, გულს უთუთქავდა, მაგრამ მეორე მხრივ, ერთადერთი ვაჟის ასეთი წარმატებაც დიდი სიხარულისა და ამავე დროს, მაინც ცრემლის მომგვრელი იყო. ასე რომ, დედის მგრძნობიარე გული ორივე შემთხვევაში განსაცდელში ხვდებოდა. თუმცა, არც სიმონიკა იმყოფებოდა უკეთეს დღეში, ძლიერ განიცდიდა დედასთან, დასთან და ახლობლებთან გაშორებას. „ღმერთის წყალობით მაინც გამოცხვა ობლის კვერიო. მადლობა, მადლობა, უფალო!“ — ღმერთს მუხლმოყრილი ევედრებოდა ცუცუნა.

სიმონიკა მებრძოლი სულის მქონე ახალგაზრდა, ჯარისკაცსა და ოფიცერში ხედავდა ვაჟკაცურ თვისებებს. არცერთი პროფესია ისე არ ადგება ქვეყნის სამსახურს, როგორც ჯარისკაცის საგუშაგოზე დგომა და მშვიდობიანობისთვის თვალთვალი. ესაა მართლა ღვთიური საქმე. ვაჟკაცური და ნამდვილი მამაკაცური. მის წარმოსახვაში უშიშარი, მებრძოლი რაინდი, ქარივით მორბენალ ბედაურზე ამხედრებული, ბასრი ხმლითა და ჯაჭვის პერანგით აღჭურვილი, კუდით ქვას ასროლინებდა საქართველოს მტრებს. ფოთიდან გემით უნდა გამგზავრებიყვნენ ოდესამდე, შავი ზღვის ზედაპირზე მოუწევდათ ცურვა. გამგზავრების დღეს, პორტში უნდა შეკრებილიყვნენ. სულ რამდენიმე ახალგაზრდამ არ შეცვალა გადაწყვეტილება, უმეტესობამ, სამხედრო ფორმის ტარებას, სამოქალაქო არჩია, ზოგმა სიშორის გამო შეიკავა თავი, ზესტაფონიდან ფოთამდე მატარებელი იყო ყველაზე მოხერხებული სამგზავრო საშუალება. ბარემ იმასაც მოგახსენებთ, ჩემო ძვირფასებო, ყვირილას იმ დროს სახელი გადაარქვეს და ზესტაფონი უწოდეს. ამ სახელთან დაკავშირებით ერთი თქმულება გამიგონია, არ ვიცი რამდენად შეეფერება სიმართლეს, ნუ დამძრახავთ და არ ჩავძიებივარ. მე მაინც მოგახსენებთ: ამბობდნენ მდინარე ყვირილაზე გაღმა-გამოღმელების დამაკავშირებელი ორი ფონი ყოფილა — ზედა და ქვედა. აბობოქრებულ მდინარეს, ნაადრევ გაზაფხულისას ქვედა წაუღია და, აქედან გამომდინარე, ამ პატარა დასახლებისთვისაც ზესტაფონი დაურქმევიათო, ზედა ფონის მოსახსენებლად. ფერელა ორთქლმავალი ფოთამდე ჩასვლას დიდ დროს ანდომებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც ეტანებოდა. ფოთამდე ოჯახის წევრები გაჰყვნენ და მათ შორის იმყოფებოდა სერგია ერისთავი — სიმონიკას ნათლია — საქართველოში ერთ-ერთი სახელგანთქმული ენამჭევრი ხუმარა, მოქეიფე და ბანქოს მოთამაშე კაცი. სერგიას თავისი დღე და მოსწრება ტრანსპორტში ფული არ გადაუხდია და რაღა მაინცდამაინც მაშინ გაუწყრებოდა ღმერთი ბილეთი რომ აეღო. როგორც ხდებოდა ხოლმე, გზაზე რევიზორები, ამოსულან ბილეთების შესამოწმებლად. სერგიამ წინა რიგში მჯდომარე ქალბატონისგან ბავშვის ბილეთი ინათხოვრა და რევიზორს გაუწოდა.

— ეს რა არის, ამხელა კაცი ბავშვის ბილეთით რომ მგზავრობ, როგორ არ გრცხვენიათო! — უსაყვედურეს გაოცებულმა რევიზორებმა.

— რა ჩემი ბრალია, ჩემო ბატონო! რიონის სადგურში რომ ამოვედი, მაშინ ბავშვი ვიყავი, ამდენი ხნის მგზავრობის შემდეგ, გზაში მოვხუცდიო. — ასეთმა მოსწრებულმა სიტყვა-პასუხმა ერთბაშად გაამხიარულა მგზავრები. — შენი ოჯახი აშენდა! — იძახდნენ აღფრთოვანებულები. დათამ განშორებისას ღვთისმშობლის ჯიბის ხატი

აჩუქა ძმიშვილს, შუბლზე ეამბორა, პირჯვარი გადასახა, დალოცა და ისე გაისტუმრა...

ყველაზე უმცროსი, პირმშვენიერი თამარი, „ბებიის ბაბუკა“, როგორც კიკვილი ეძახდა, ქუთაისში სწავლობდა, მამიდაშვილის ოჯახს იყო შეკედლებული, გასაოცარი სილამაზის მქონე ქალიშვილის სახელი მთელ ქალაქს პირზე ეკერა. განსაკუთრებით უხდებოდა თეთრი კაბა, მომჯადოებელ გავლენას ახდენდა მგლისმუხლება ვაჟკაცებზე, როდესაც თეთრ ხიდიდან გადმომდგარს, ჭომიდან წამობერილი ცელქი, მაწანწალა ნიავი თეთრად გამოძერწილ წვივებს გამოუჩენდა. დრო გადიოდა. რიონის ტალღებს ატმის კვირტებივით მიჰქონდა მოუსვენარ ბავშვობაზე შემწყდარი წლები. მრავალ ახალგაზრდას აუძგერა გული და ხელში ააღებინა კალამი. ახალგაზრდა პოეტების მუზად იქცა. დებმა ადვილად შეძლეს და დაამახსოვრეს ქუთათურებს თავი, ნინამ სიმღერით მიიპყრო მათი ყურადღება, მშვენიერმა თამარმა კი კლასიკური სილამაზით... კოლაუ ნადირაძე აღმოჩნდა ის პირველი პოეტი, ვინც საკუთარ მუზად აქცია. მალე ერთი უღლის ქვეშ შეჰყარა ბედმა ნიჭიერი მოლექსე და მომავალი მსახიობი, შოლტივით მოქნილი ტანის მქონე, მშვენიერი თამარი თოთხმეტი წლის ასაკში გახდა მისი ცოლი. თავად კოლაუ თვრამეტი წლის, კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებულმა ნაადრევად გაჰყო თავი უღელში და დაოჯახდა. მამამისს, გალაქტიონ ნადირაძეს, ქუთაისში ცნობილი ექიმის სახელი ჰქონდა გავარდნილი, დიდ პატივს მიაგებდა მაშინდელი საზოგადოება. ერთადერთი შვილის პატრონები, გალაქტიონი და აგნესია ბაინდურაშვილი თავიდან უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ შვილის ნაუცბათევ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ იხილეს თუ არა ულამაზესი რძალი, იმწუთშივე მოლბნენ, გულში ჩაიკრეს უმშვენიერესი არსება და თან დაატანეს! — აღარ ვამტყუნებთ ჩვენ შვილს, დროზე რომ მოასწრო, ხელიდან რომ არ გაუშვა შენისთანა ანგელოზიო!..

თამარის საქციელმა ცუცუნა შეაშფოთა. ახალგაზრდა ქვრივი სასოწარკვეთამდე მიჰყავდა. ჯერ უფროსი ქალიშვილის დაშორება არ ჰქონია მონელებული, რომ ზედ უმცროსის გათხოვება დაემატა. მაგრამ, დაადგინა თუ არა სიძის ასავალ-დასავალი, რომ ნადირაძეების ოჯახი ცნობილი გახლდა მთელ ქუთაისში, გულზე მოეშვა, საბოლოოდ მთლად რომ განიმუხტა ავი ზრახვებისგან, ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას, ზესტაფონიდან სამგზავრო მატარებლით ქუთაისში გაემგზავრა. დიდი პატივით შეხვდნენ მძახლები — გალაკტიონი და აგნესია, ქალიშვილი და სიძე. კოლაუ მაშინ ახალგაზრდა, დამწყებ პოეტად ითვლებოდა. პრესაში, თუმცა კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც იბეჭდებოდა მისი ლექსები. ქუთაისის ქუჩებს ამშვენებდა მხარბეჭიანი კოლაუ,

თავისი სიცოცხლით სავსე თვალებით, მხარში ედგა ქანდაკებასავით გამოკვეთილი, გრძელ წარბ-წამწამიანი, ქერანაწნავებიანი ქალი. ქალი, რომლის დარი ქუთაისში კი არა, მთელ საქართველოში ძნელად თუ მოიპოვებოდა... მიუხედავად ძაძებისა, ცუცუნას სილამაზემაც მოხიბლა ქუთათურები.

მოსკოვიდან ნინას წერილებს ღებულობდა ცუცუნა, არც სიმონიკა ივიწყებდა შარავანდედით შემოსილ, ფარატინა ქაღალდივით ფითქინა, ჭაღარაშეპარულ დედას. ოდესიდან სამხედრო ფორმაში გადაღებულ ფოტოებს უგზავნიდა, სასთუმალთან, სელის სკამზე ჰქონდა დალაგებული. ზამთრის გრძელ ღამეებში ძილგატეხილი, ლამფის მკრთალ შუქზე, დიდხანს ჩაცქეროდა შვილების ნორჩ, მოღიმარე სახეებს და თვალებზე მომდგარ სანუკვარ ცრემლებს საბნის კუთხით იწმინდავდა. მალე ყველაფერი სხვანაირად წარიმართა. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამ სულ სხვა გზით წაიყვანა და შეცვალა ნინას ცხოვრება. მუსიკალური სასწავლებელი ვეღარ დაამთავრა, ომს სასწავლებლის დახურვა მოჰყვა. მხოლოდ რუბენს გაუმართლა, მოასწრო სრული კურსის დასრულება. ბევრი აღარ უფიქრიათ თბილისში დაბრუნდნენ. თბილისში გააგრძელა სწავლა, ოღონდ სულ სხვა განხრით. ხშირად სტუმრობდა სოფელში დედას, ქუთაისში ახლად გათხოვილ დასა და სიძეს. უმეტეს დროს, სცენას უთმობდა. მისთვის ხელოვნება იყო მთავარი. სხვანაირად ვერ წარმოედგინა სიცოცხლე. გულით უნდოდა ხალხისთვის სიამოვნება მიენიჭებინა, ნიჭიც ხელს უწყობდა. მთელ ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, რადგან ქართველი ხალხისთვის თავისი შემოქმედების ნაყოფი დაენახვებინა, დიდი შრომის საფასურად უჯდებოდა ყოველივე ამის კეთება, რადგან ქართველი მაყურებელი ზომაზე მეტი მომთხოვნია. დღედაღამეს ასწორებდა მათი გულები რომ მოეგო. თავს კმაყოფილად არ თვლიდა, უკმაყოფილების შეგრძნება ყოველთვის დიდ სტიმულს აძლევდა და ხშირ შემთხვევაში გამარჯვებამდე მიჰყავდა ხოლმე! გრამაფონის ფირფიტებზე იწერებოდა მის მიერ ნარნარი ხმით შესრულებული სიმღერები: „მშვენიერო, შენ გეტრფი!“ „ახ, მარგალიტოვ“, „ორთავ თვალის სინათლევ!“ „ჭრელო პეპელავ!“ „ავად ვარ!“ „მოდი მნახე!“ „იავნანა!“ „სწრაფია ვით ტალღა!“ „ჩიტო ნუ ფრინავ!“ და მრავალი სხვა. ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა წერილებსა და ფრიად საინტერესო ნაშრომებს მუსიკის შესახებ.

შემოდგომა იდგა, ხალისიანად და ოქროსფრად გამოიყურებოდა იმერეთის საფიცარი ქალაქი. ირგვლივ სიწყნარე სუფევდა, მხოლოდ საღამოობით დუქნებში შეკრებილი მოქეიფეები, მაგიდასთან მოუხმობდა თანამოაზრეებს, ციცქის ღვინო ესვათ და მხიარულად ეყაყა-

ნათ. ზურნის ჭყვიტინი მოესმინათ, ერთმანეთისთვის ხელი გადაეხვიათ, „დიელო, დარიელაო, კლდენი ხარ ცარიელაო“ ეჭუკჭუკათ. ქვემოთ, ჯაჭვის ხიდთან, ხმაურიანი რიონი მოედინებოდა, რაჭის მთებიდან დაძრულს, ბარში შეუპოვრობა და სიშმაგე შემოჰქონდა. გადარეული მდინარე სანაპიროზე გადმოკიდებულ აივნის ბოძებს ეხეთქებოდა, წალეკვას უპირებდა, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ აკლებდა, გაგულისებული და დუჟმორეული ისევ უკან იხევდა. თავის კალაპოტში ბრუნდებოდა და თავქვე მიექანებოდა. ნინა გიჟ მდინარეს მიშტერებოდა, სახეზე მწუხარების კვალი აჩნდა. გვერდიდან არ სცილდებოდა რუბენ აუსტროვი, მუდარის გამომხატველი თვალებით შეცქეროდა საცოლეს. საალერსო სიტყვებს არ აკლებდა, მაგრამ მწუხარების კვალის გაქრობას მაინც ვერ ახერხებდა. ბოლო დროს თავს ხშირად უქეიფოდ გრძნობდა, ადრე მკვირცხლი და მხიარული, სიცოცხლით სავსე ნინა ახლა ნოემბრის წვიმებით მოღუშულ დღესავით გამოიყურებოდა. რუბენი ყოველგვარ სურვილს უსრულებდა. „დაუჯერებელია, — ფიქრობდა ხოლმე, — ასეთმა ენერგიულმა ქალმა სნეულებას ვერ დაძლიოს, სულ რომ არაფერი, ღმერთი მაინც არ დატოვებს უყურადღებოდ“... მაგრამ ბედისწერა ალმაცერად უმზერდა ახალგაზრდა ქალიშვილს, რომ ვერ იქნა და ვერ დაადგა მის ჯვრისწერას საშველი. ყოველთვის რაღაც შავი მაგიური ძალა უშლიდა ხელს, რომ გათხოვილი ქალის სახელი დარქმეოდა! გულზე ცეცხლი ეკიდა, ხანდახან მწარედ ამოიხვნეშებდა, თითქოს გული თან ამოაყოლაო, მაშინ ირწმუნა სენმა აჯობა და ჩააჩოქა.

ორი კვირით აბასთუმანში ჩაიყვანა დასასვენებლად აუსტროვმა. მთის წიწვიანმა და მაღალმა ჰაერმა გამოაკეთა. საღამოობით აგუზგუზებულ ბუხართან ჯდომამ, ნოყიერმა კვებამ, თაფლიანმა ჩაიმ გუნება გამოუკეთა. სახეზე ძველებურად ხალისი გამოეხატა. ხუმრობის ხასიათზეც დადგა, წიგნების კითხვამ და პოეზიამ გაიტაცა. გემრიელი ლექსი მწარე ტკივილს უქარვებდა, თბილი განცდა მთელ სხეულში სიამით უვლიდა. მერე იქვე რბილ ტახტზე მიწვებოდა. ფერხთით ჩამომჯდარ აუსტროვს გატაცებით უყვებოდა წარსულზე, მოსკოვში გატარებულ დღეებს ახსენებდა. რუბენიც გულს იოხებდა, ზომაზე მეტს ლაპარაკობდა და აფორიაქებულ სულს წარსულის გახსენებით იოკებდა. ინტელიგენტი კაცის შეხედულებას ტოვებდა მნახველში. მაღალი, ხმელი, დატალღური, გვერდზე გადავარცხნილი თმით. ევროპულად იცვამდა, ძლიერ უხდებოდა შავი პიჯაკი, თეთრი პერანგი და გრძელი ჰალსტუხი. აბასთუმნიდან საქარაში დაბრუნდნენ. მაჭრის დამათრობელი სუნი ტრიალებდა. საშემოდგომო მომქანცველი შრომა დასასრულს უახლოვდებოდა. წვერგაუპარსავი ჩასისხლიანებ-

ულთვალებიანი გლეხები თავაუწევლად შრომობდნენ, ჩალის ზვინებს დგამდნენ, პირუტყვთ საზამთროდ საკვებს უმზადებდნენ. ოქტომბერი იწურებოდა, და და სიძე ესტუმრნენ, სიმხნეს მატებდა თამარს მოოქროვილ გარემოში ყოფნა, მტრედისფერი ცა, ზედ დაკიდებული ვერცხლის ბურთივით მოელვარე მთვარე ისევ ბავშვობაში აბრუნებდა. ფრიად სასიხარულო ამბავი ჩამოუტანა თამარმა ნინას. მალე ქუთაისში სტუმრად ჩამოვიდოდა რუსთაველის პოემის მთარგმნელი კონსტანტინე ბალმონტი. — მთელი ქალაქი ელოდება იმ ბედნიერი დღის დადგომასო. — ჩვეული სიკეკლუცით დაამატა. ნინამ გაკვირვებით შეხედა უმცროს დას, უნდოდა მივარდნოდა, ბავშვივით აეტაცა და გულში ჩაეკრა, მაგრამ კოლაუსი მოერიდა, ის ყოველთვის უზომო მოკრძალებას გრძნობდა სიძისადმი, რომელსაც ცნობილი პიროვნების სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. თავადაც ხელოვნების მწვერვალზე იმყოფებოდა, მაგრამ ორთავეს რიგით ადამიანებთან თანადგომა და უბრალოება უფრო ამაღლებდათ. ამის გარდა, კოლაუ ყოველთვის ჯანიანი და ახოვნებით ბევრად თავის ტოლებს უსწრებდა. ასევე სასიამოვნო გახლდათ თამარი, ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული თვალებბრიალა ქალი, მაისის ვარდივით დაკოკრებული ლოყებით... ორივე დები კარგად იცნობდნენ ბალმონტის პოეზიას. განსაკუთრებით კი ნინა, რომელსაც წილად ხვდა ის ბედნიერება, პირადად შეხვდა დიდად სახელგანთქმულ პოეტს მოსკოვში ყოფნისას, მაგრამ უფრო მეტი სასიხარულო ახალბედა პოეტთან, ვლადიმერ მაიაკოვსკისთან შეხვედრა იყო და მასთან ქართულად ლაპარაკი. ჯერ კიდევ ბავშვობიდან იცნობდნენ ერთმანეთს, საქარაში მოხდა მასთან გაცნობა, როდესაც გრიგოლმა არდადეგებზე რამდენიმე დღით ჩამოიყვანა. მოსკოვურმა ცხოვრებამ ნინა, რასაკვირველია, უფრო დაახლოვა რუსულ მწერლობას, ისე გატაცებით კითხულობდა კლასიკური ოსტატების ნაწარმოებებს, ბოლოს სამუდამოდ ირწმუნა, კაზმული სიტყვის შემქმნელები ღვთიური ხალხია და მათი დევიზი მხოლოდ სიყვარულშია. „უზომოდ ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც ასეთი ნიჭი ხვდა წილადო“. — ფიქრობდა, ჩუმად ჩურჩულებდა ბლოკის, ახმატოვას ჟრუანტელის მომგვრელ სტრიქონებს...

საღამოს ქუთაისში გაემგზავრნენ, ნინა და რუბენიც თან ახლდნენ. დილით საპატიო სტუმარს უნდა დახვედროდნენ რკინიგზის სადგურზე. პაოლო იაშვილის გადაწყვეტილებით ეტლიდან, რომელზეც ბალმონტი იმოგზაურებდა მომღერალ ქალთა გუნდის თანხლებით, ცხენები უნდა გამოეშვათ და ხელით თავად პაოლოს უნდა ეტარებინა, დროდადრო შეენაცვლებოდნენ კოლაუ, ვალერიან გაფრინდაშვილი და ტიციან ტაბიძე. მეორე დილით, მზე ჯერ კიდევ არ ყოფილა

კარგად ამოწვერილი, ეტლში მსხდომნი ქალთა მომღერალთა გუნდი, სადაც ნინა და თამარიც იმყოფებოდნენ, პაოლომ ბალმონტის შესახვედრად რომ დაძრა, ქალაქის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად. ეტლში შებმულებს შილიფად ეცვათ, ჯერ ერთი ამინდიც უწყობდათ ხელს. კი მართალია, ოქტომბერი იწურებოდა, მაგრამ როგორც იმერეთს სჩვევია, პატარა ზაფხული იდგა, მეორეც, ოღრო-ჩოღრო გზებზე ეტლის ტარებისას ოფლიანდებოდნენ, გამალებით სუნთქავდნენ, შუბლზე მომდგარ მლაშე ოფლს ცხვირსახოცებით მალი-მალ იწმენდნენ. მთელი ქალაქი ასე ხელისგულზე დასმული შემოატარეს მამისტოლი რუსი, ევროპიდან ახლად დაბრუნებული, სახელგანთქმული პოეტი. გელათსა და მოწამეთაში აიყვანეს, ბოლოს ბაგრატის ნანგრევებიდან ლამაზი სტრიქონივით, მთებში ჩასმული შემოდგომის ქუთაისი დაანახეს. გაევროპელებული ბალმონტი, მეორედ დაბადეს და გაახალგაზრდავეს. ზღაპრული სუფრა გაუშალეს. „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი ქართული სულისკვეთებით აღავსეს, უმღერეს, უცეკვეს. დალოცვილმა ვაზის ნაჟურმა ისე გაახალისა, თითქოს მიწაზე კი არა, მაღლა ზეცაში, ღრუბლების სიანკარეში მიცურავდა. ზემოდან დასცქეროდა ქვეყანას და ღმერთის კალთის ჩრდილში შეყუჟულ ლამაზმანებს ლექსებით ესაუბრებოდა: „Мета мая - высокая, / Византийская княжна,/Черноокая, далекая, / Будет мне мечом дана“/. ქალაქის ქუჩები გადატვირთული იყო, კოფოებზე ჩამომჯდარი მეეტლეები მათრახის სახელურების ქნევითა და ხრინწიანი ყვირილით „გზა!“ წინ გაჭირვებით მიიწევდნენ, ფეხმარდი ცხენები ფლოქვებიან ფეხებს აბაკუნებდნენ, გაგულისებულები კუდებს იქნევდნენ და ვეებერთელა თვალებს აბრიალებდნენ. საზეიმოდ გამოწყობილი მოხუცები და ახალგაზრდები მხიარულად მოაბიჯებდნენ. ასე ემშვიდობებოდა ქუთათურები საყვარელ ადამიანს. საყვარელ ადამიანს თან მიჰყვებოდა ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობის განცდა და მსუბუქი განშორების სევდიანი ცრემლი...

14

ახალი წლის იანვრის თვეში დიდი დანაკლისი დაატყდა თავს ბედკრულ საქართველოს. გარდაიცვალა უახლოესი ილია ჭავჭავაძის მეგობარი და თანამოაზრე, საქართველოს თვალსაჩინო მამულიშვილი მხცოვანი აკაკი. მკაცრი ზამთარი იდგა იმ წელს მთელ იმერეთში, მაგრამ ზესტაფონის რკინიგზის სადგურზე ზღვა ხალხი მიედინებოდა. გვირგვინებით ამკობდნენ სიმღერად ქცეულ მგოსნის კუბოს, რომელიც საჩხერედან ვაგონით ჩამოასვენეს და იმავე ვაგონშივე ესვენა.

იმერეთის გუბერნატორის ბრძანებით ვაგონი მთელი დღის განმავლობაში სადგურზე უნდა მდგარიყო, რათა ხალხს ჰქონებოდა იმის საშუალება გამოთხოვებოდა სასიქადულო ადამიანს, ღამით კი ეშელონს ჩააბამდნენ და თბილისში ჩაასვენებდნენ. ცხედართან მგალობლები გალობდნენ, კანტიკუნტად მოისმოდა „სულიკოსა“ და „თავი ჩემო, ბედი არ გიწერია“-ს სევდიანი სიმღერები. ჟენევიდან ახლად დაბრუნებული პავლე ხალხის ნაკადს შეერთებოდა, თავი დაეხარა, ქუდი იღლიაში ამოეჩარა. ილიას დასაფლავების შემდეგ, ამდენ ხალხს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსულთ აღარ შესწრებია, მთელი დასავლეთი აქ მოსულიყო, აბა, სახლში რა გააჩერებდა იმ დროს ქართველ კაცს? ციოდა. ზამთრის მოქუფრული დღე იდგა. ნალექით გაჟღენთილი რუხი ღრუბლები გარემოს უჩინმაჩინის სამოსივით გადაჰკვროდა და თვალის საწიერიდან კარგავდა. ქვეყნიერებას დასავლეთის წუპაკი ნიავი უბერავდა, ისევ თოვას აპირებდა. თოვლისგან დაზნექილი ხის ტოტები საშველად მიწას ეყრდნობოდნენ. პავლე გაოგნებული იდგა, სუნთქვა ეკვროდა და სევდიანად შეჰყურებდა ვაგონში ამავალ ხალხს. სახეზე თოვლის ფიფქები ეხვეოდა. მოშორებით იდგნენ ვაგონის შესასვლელ კიბესთან საყვარელიძეები და ტკივილით ემშვიდობებოდნენ „საქართველოს ბულბულს“. ვანოს გაზეთები ეჭირა, პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო პოეტის პორტრეტი, ვრცელ ნეკროლოგთან ერთად, იქვე იყვნენ კოლაუ ნადირაძე მეუღლითურთ, ტიციანი, პაოლო და ვალერიან გაფრინდაშვილი. ღვთისმსახურები, შავ ანაფორაში გამოწყობილნი, ხალხის ნაკადს შეერთებული, წყნარად საუბრობდნენ და ერთმანეთს სამძიმარს უზიარებდნენ. მათ შორის იდგა დათა, ახოვან მხრებზე თითქოს დიდი სიმძიმე აწვა და თავზარდაცემული ღმერთს მიტევებაზე ეჩურჩულებოდა.

შემართებით იდგნენ ქუდმოხდილები. ჟანდარმიის წარმომადგენლები ხვლიკებივით დაძვრებოდნენ მიუვალ ადგილებში, ათასი ყური და თვალი ჰქონდათ გამახვილებული რაიმე უმსგავსო საქციელს არ ჰქონოდა ადგილი. პავლე პრესას ჩაკირკიტებდა, საინტერესო სტატიას წააწყდა, რომელსაც რუსული ეკლესიის მსახური ავრცელებდა ქართული ეკლესიებისა და ქართველი ერის შესახებ. სასტიკი იმპერიის წარმომადგენელს მიაჩნდა, თითქოს საქართველოს მოსახლეობა სხვადასხვა ხალხისგან შემდგარი ერიაო. სტატიის ავტორი ქართველად არ თვლიდა კახელს და ყურადღებას ამახვილებდა, თითქოს, კახელები ალბანური ტომისგან იყვნენ წარმოშობილი. მისი აზრით, იმერელი, მეგრელი და სვანი არ განუკუთვნებიან ქართველურ წარმომავლობას. სწორედ ამიტომ სურთ ქართველ ვაიპატრიოტებს აღადგინონ თავიანთი ეკლესიების ავტოკეფალია, რაც სინამდვილეში საქართველოს

გაერთიანებას ნიშნავს, შექმნან ავტონომიური რესპუბლიკა, გავიდნენ რუსეთის შემადგენლობიდან და დამოუკიდებლად იცხოვრონო.

პავლეს სუნთქვა შეეკრა, უსიამოვნო ფიქრები აეშალა, ვაგონს ზურგით მიეყრდნო, უზომო დაღლილობა იგრძნო. იმდენად ამაზრზენი იყო ეს ყველაფერი, ბოლმამ ყელში მოუჭირა და კინაღამ სუნთქვა შეეკრა. გაზეთი მოკეცა. „მამაძაღლები! მათი აზრით ნახევარი საქართველოს მოსახლეობა ალბანელებისგან ვყოფილვარ წარმოშობილი. ო, როგორ უნდოდა თავისი აზრი ვანოსთვის გაეზიარებინა, მასთან ერთად დაედგინა ჭეშმარიტება, მაგრამ, ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ირგვლივ ათასი ჯურის ხალხი ტრიალებდა. ციხემ ბევრი რამ ასწავლა, სხვანაირი თვალსაწიერით აწონ-დაწონა და ისე მიუდგა ადამიანებს. თავი შეიკავა, ღირსეული კაცი გახლდათ და იმ გრძნობისთვის არასდროს უღალატნია... „სტატიის ავტორი, გარეწარი პროვოკატორი, სპეციალურად ავრცელებს ასეთ ცრუ ინფორმაციას, რათა თავს ლაფი დაასხას ჩვენს ერსა და ჩვენს კულტურას, საქმე იქამდე მიჰყავთ, საერთოდ უნდათ ისტორიის ფურცლებიდან ამოაგდონ ქართველი ერის სახსენებელი. ეშმაკმა წაიღოს მათი თავი და ტანი, ასე როგორ ვძულვართ, ასეთი ბოროტი თვალით რატომ მოგვჩერებიან? ნეტავი, ღმერთის წყალობით, გვეღირსოს მაინც ფეხზე დადგომა, ერთხელ და სამუდამოდ, როგორც ეკადრება ამ სამყაროს ადამიანს! ჩვენი საქართველოც გახდეს თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო!..“

მთაწმინდის პანთეონს მიაბარეს საფიცარი პოეტის ნეშთი. შეფიქრიანებული ხალხი მუხლს იდრეკდა მის კუბოსთან. „მიწა ხარ, მწიად იქეცი“-ო ჩაძახოდნენ, გათოშილ, ნაჯახირალ მუშტებს იქნევდნენ და ხამუშ-ხამუშ წამოქროლილ ქარს სახეებს არიდებდნენ. პავლეც მათ შორის იდგა, მათ შორის ტრიალებდა. კუნთებმაგარ, მუშაობით გართულ ახალგაზრდებს ეშველებოდა, არ ეხამუშებოდა ნოტიო ბელტების ნიჩბით აწევ-დაწევა. პირიქით, თავს ვალდებულად თვლიდა, პატივი მიეგო და უკანასკნელად ამოექოლა სააქაოს კარები, დიდი მამულიშვილის სამარისათვის. „ის წავიდა და უკან არასოდეს მობრუნდება, მისმა სახელმა ხალხის გულებში დაივანა და იქ ჰპოვა სამუდამო ადგილი. ახლა მისი ცხოვრება სულ სხვა გზით წარიმართება. — ოი, რა ბედნიერნი არიან ასეთი სულის ადამიანები. — ფიქრობდა და ნელ-ნელა დაბლა, ქალაქის გულისკენ ეშვებოდა. სანამ ბოლომდე ჩამოაღწევდა, წუთით შეისვენა, უკან შეტრიალდა, ერთხელ კიდევ თვალი შეავლო მამადავითის ეკლესიის გუმბათს. თვალწინ აკაკის სახე დაუდგა და მისი ნარნარი ხმა ყურში ფსალმუნივით ჩაესმა: „დედაშვილობას ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო!..“

ზამთრის საღამო იდგა, გოლოვინზე საგრძნობლად სციოდა. გაძარცვულ, შიშველ ხეებს თავი მოთეთრო ნისლის ზეწარში შეერგოთ. ზაფხულობით ჟრიამულითა და ფრინველთა ჭიკჭიკით განთქმული ეს ადგილი, ახლა სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა. კანტი-კუნტად თუ გამოჩნდებოდა ვინმე ფეხით მოსიარულე. მყუდროებას ისევ ეტლების ბორბლებისა და ცხენების ფლოქვების შერწყმული ხმა არღვევდა. მერე საიდანღაც გაისმა არღნის ჭყვიტინი და ჰაერი გააპო სევდიანი სიმღერის ჰანგმა. პავლე იდგა და ჩუმად უსმენდა, ვიდრე ფეხები არ დაუმძაფრა სიცივემ. ქუჩაში ჩქარი ნაბიჯით მომავალი ვალერიან გუნია შეიცნო, გრძელი ნაბიჯებით მოაბოტებდა. თითქოს წარმოდგენაზე აგვიანდებაო. პავლეს რომ გაუსწორდა, შეჩერდა, გაიღიმა და ბეჭებზე დაჰკრა ხელი.

— კი დაგინახე მთაწმინდაზე, მაგრამ ვერ მოვახერხე შენამდე მოღწევა!

ხელი მაგრად ჩამოართვა უმცროს მეგობარს. მერე დაწვრილებით გამოკითხა აპირებდა თუ არა, ისევ ჟენევაში გამგზავრებას. ერთხანს ასე იდგნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ. ყინვამ იმატა. ცივ ქვაფენილზე დგომა შეუძლებელი გახდა. ორთავემ მიიღეს გადაწყვეტილება დროზე გაცლოდნენ იქაურობას. გეზი მოედნისკენ აიღეს. მთავრობის სახლს ჩაუარეს, სინათლის მკრთალი შუქი ოქროს ნაკადივით მოდებოდა ქათქათა თოვლს. ნახევრად განათებულ ქუჩაზე ორსართულიან სახლს მიადგნენ, სადაც გუნიების ოჯახი ცხოვრობდა. ეზოში შესასვლელი რკინის ვეებერთელა კარი ღია იყო, მას მხოლოდ გვიან ღამით კეტავდნენ. დაუპატიჟებელ „სტუმარს“ რომ არ შეეწუხებინა მობინადრენი. იქვე, კუთხეში, თავდაფარებული ხის სანაგვე ყუთი იდგა. შესასვლელი სუფთად იყო მილაგებული. საკვამურებიდან ამოვარდნილი კვამლი უთავბოლოდ იფანტებოდა და ირგვლივ ნაფოტების ნამწვის სუნს ტოვებდა. იანვრის მოქუფრული, გრძელი ღამე სავსე იყო ღუმელთან გაუთავებელი ტკბილი მოგონებებითა და საუბრებით. ვალერიანმა შინ შეიპატიჟა უმცროსი მეგობარი. პავლეს თვალებში ვარსკვლავივით მოციმციმე სხივმა გაუელვა... სამი წელი სრულდებოდა, ცხადში თვალი აღარ მოუკრავს, მხოლოდ სიზმრებში ხედავდა ხოლმე მოღიმარე ტასიკოს, მდგარს ფარდებგადაწეულ ფანჯარასთან, სევდიანი მზერით რომ მიაცილებდა მაშინ — ევროპაში მიმავალს. ახლა კი ორთავეს გულები აუჩქროლდათ. სახეზე სისხლი მოაწვათ. ცეცხლი მოეკიდათ. „როგორ დაქალებულა და დამშვენებულა“. — გაუელვა. ტასო მორიდებით და კრძალვით შეეგება. ოჯახის დიასახლისი სამზარეულოში ფუსფუსებდა, როგორც ყოველთვის, მეუღლის მოლოდინში ვახშამს ამზადებდა. იხილა თუ არა პავლე, თავზე წაკრული ჭრელი

თავსაფარი მაღლა აიწია, შვილივით გულში ჩაიკრა, მოსული ქალი იყო, ახალგაზრდას ოდნავ მოუწია ბეჭებში მოხრა.

— აბა, ჩემო ნინო! შენ ახლა შეუძლებელი უნდა შეძლო, გემრიელი ხინკლითა და მაგარი არყით უნდა გაგვიმასპინძლდე, თუ არ გინდა შეარცხვინო გომელაურთა საგვარეულო! — იხუმრა ვალერიანმა.

ნინოს ღიმილმა გადაჰკრა სახეზე, ღია კარებთან იდგა და ვალერიანს მისჩერებოდა, პატარა პაუზის შემდეგ დაამატა: — ყველაფერს ისე გავაკეთებ, შენ შემოგევლე, ორთავეს რომ მოგეწონებათ, გენებში მოგვყვება გომელაურებს სტუმრის პატივისცემა!

ცოტა ხნის შემდეგ სამზარეულოში, გობში ცომი იზილებოდა, დიასახლისი ლამაზად შეკერილ გრძელ ხალათში ფართიფურთობდა, სახინკლე ხორცს კეპავდა და თან ღუმელზე თუჯის ქვაბით წყალს ადუღებდა.

კაცები მისაღებში გავიდნენ. იქ უფრო მეტი მყუდროება იგრძნეს სტუმარმაც და მასპინძელმაც. პავლეს სახე უღაჟღაჟებდა. ყველაფერი გემოვნებით იყო მორთული, კედლების მოხატულობა, ფარდები, მაგიდა, სკამები, წიგნებით სავსე კარადები. ლაზათიანმა სილამაზემ, ლაზათიანად გაუთბო გული. თვალები აქეთ-იქით გაურბოდა ცნობისმოყვარე ბავშვივით. თეატრივით გაწყობილი ბინა სიამოვნებას ანიჭებდა. ვალერიანმა დაორთქლილი სათვალის მინები დაწმინდა, სათვალე ისევ თვალებზე მოირგო, ძალიან უხდებოდა, ისედაც ინტელიგენტურ სახეზე ღვთაებრივ ბრწყინვალებას მატებდა. საშუალოზე მაღალი იყო, ჩასხმული ტანითა და ხავერდოვანი ხმით ყოველთვის იპყრობდა მაყურებლის ყურადღებას. დიდ ენერგიას ახარჯავდა პიესების ქართულად თარგმნას, სცენაზე გატანას, მაყურებლის წინაშე გამოსვლას. გარდა ამისა, წერდა რეცენზიებს, სტატიებსა და რედაქტორობდა ჟურნალ-გაზეთებს. ვასო აბაშიძესა და ლადო მესხიშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიას, რათა აღეზარდა ნიჭიერი მსახიობები და აემაღლებინა წარმოდგენების საერთო მხატვრული დონე...

ზალაში თბილოდა... ვალერიანმა პალტო გაიძრო, პავლემ ხელი შეაშველა. ერთხანს ასე დუმდნენ, მერე ოთახში შეაბიჯეს. დუმილი ვალერიანმა დაარღვია, — დიდი ხანია რაც ჩამოხვედი ევროპიდან? — ჰკითხა და სკამი შესთავაზა. თავპატიჟი აღარ გამოუდია, უმალვე ჩაეშვა საშინლად იყო დაღლილი, მუხლებში ტკივილსაც კი გრძნობდა. ახლა კი ყველაფერი ჩაცხრა, წუთიერმა დაჯდომამაც მთელი დაძაბულობა მოუხსნა, გული კვლავ საგულეში ჩაუჯდა, შვებით ამოისუნთქა. მერე ვალერიანს ქვემოდან ახედა და წყნარად დამშვიდებულმა მიუგო:

— კვირაზე მეტია რაც ჩამოვედი, ორი კვირის შემდეგ კვლავ უნდა

გავემგზავრო, სწავლების კურსი დავასრულო და საბუთი ავიღო, რომ ჟურნალისტური სამსახური გავუწიო ჩემს ქვეყანას.

ვალერიანმა მოწონებით გადახედა.

— ღმერთმა გისმინოს, ღმერთმა მოგცეს სამაგისო რწმენა და ჯანი! ისე მართალია, რაც უფრო მეტი მდიდარი იქნება ჩვენი სამშობლო შენისთანა ახალგაზრდებით, მით უფრო გამტკიცდება და გამაგრდება მისი აწმყო და მომავალი! — ამ სიტყვებს ისეთი გულწრფელობით წარმოთქვამდა, ეჭვი არ იყო, ეს კაცი საქართველოს კეთილდღეობას საკუთარ სიცოცხლეს ანაცვალებდა.

პავლეს აღარაფერი უპასუხნია, შორიახლო მდგარს გვერდიდან გახედა ვაჟკაცურ აღნაგობით გამორჩეულს, მიხვდა საით მიჰყავდა საუბარი, კარგად იცოდა ვალერიანს გულზე არ ეხატებოდა მშრალი სიტყვები. არაშედეგიანი ენის ტარტარი და ამდენი პარტიების უაზრო დაპირებები. კერძოდ, ვერ იტანდა ფარისევლების ქადაგებას, რომლებიც ცარიელ ჭურივით ხმამაღალი ხმაურით იკლებდნენ ყურთასმენას. მან მშვენივრად იცოდა, გულზე მჯიღების ცემით და დაქადნებით ან სხვა რომელიმე პარტიის მოწოდება, საქართველოს თავისუფლებას ვერ მოუტანდა. თავისუფლებისათვის ბრძოლა, მხარში დგომა, ერთმანეთისადმი დიდი სიყვარული იყო საჭირო... სწორედ ამიტომ ცდილობდა, სცენიდან როგორმე ყველას გასაგონად ეთქვა ეს სიბრძნე. ყველას დასანახად ქმნიდა ისეთ განწყობას, ხალხს გაერჩია თეთრი და შავი. ბევრს უჭირდა ამ ჭეშმარიტ კანონთან შეგუება. ზოგში ისე იყო ჩამკვდარი თავმოყვარეობის გრძნობა, ისე იყვნენ ეკონომიურ სახსრებზე დაყრდნობილი, შიმშილსა და სიცივეს, მონობას ამჯობინებდა. სანამ ბოლომდე არ აღმოიფხვრებოდა ეს შეგრძნება, საჩოთიროდ მიაჩნდა, სხვადასხვა პარტიის ლიდერების დანაპირები. მაგრამ ერთი, რასაც წყალწაღებულივით ებღაუჭებოდა, იმპერიის რღვევა რჩებოდა, რაც გარდაუვალი იქნებოდა და დაწყებულიც კი იყო უკვე რუსეთში. თუ ამ შემთხვევას გონივრულად გამოიყენებენ ქართველი პოლიტიკოსები, ევროპის ქვეყნების დახმარებით, შეიძლებოდა ჩვენს ქვეყანას თავი დაეღწია რუსული ჩექმისაგან...

გულმოსული ტონით ლაპარაკობდა, მაგრამ ისე ეამა მისი ნალაპარაკები, პავლემ ზურგი სავარძელს მიაყრდნო და თვალდახუჭული გაირინდა. სხეულში თბილმა სისხლმა დაუარა. გონებაში ისეთი გრძნობა დაებადა, საქართველო რომ მიაღწევდა დამოუკიდებლობას, პულსი აუჩქარდა შუბლზე ოფლმა დაასხა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ალმოდებულ შუბლზე ჩამოისვა და ცოტათი დაშოშმინდა. სწორედ ამ დროს შემოაღო კარი ტასიკომ ხელით ვეებერთელა ხილით სავსე ვაზა შემოიტანა, მაგიდაზე დადო, სასადილო კარადიდან არყით

სავსე ლამაზი ბოთლი გამოიღო, ზედ ცერა თითისტოლა საარაყე ჭიქებიც მოაყოლა. ხატიდან გადმოსულ, სულჩაბერილ ანგელოზს ჰგავდა, კოჭებამდე გრძელ ხალათში გამოწყობილი. კოლხური იერი დაჰკრავდა, მაღალ შუბლზე ქერა თმა ჩამოშლოდა. შემოვიდა და ოთახში ისეთი სურნელი შემოიტანა, პავლეს უნებურად აღეძრა სურვილი, უჩინმაჩინის ქუდი ხურებოდა, სხვების შეუმჩნევლად გულში რომ ჩაეკრა. ვალერიანი გაზეთს ჩაკირკიტებდა, პავლემ და ტასიკომ წამიერად ერთმანეთს თვალი გაუსწორეს. უკვირდათ, რა იყო ასეთი ის ძალა, ასე რომ აახლოვებდათ ერთმანეთთან. ჯერ კიდევ ილიას დასაფლავების დღიდან მოყოლებული, როდესაც ტასიკო მთლად ბავშვი იყო. მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, ცალ-ცალკე ორთავე ფიქრობდა ყველაფერი ის წყალს წაჰყვებოდა, ხსოვნიდანაც ამოიფხვრებოდა. მაგრამ ნურას უკაცრავად! პირიქით, ის გრძნობა უფრო გაძლიერდა და ბოლოს ორთავემ იგრძნეს უერთმანეთოდ ვეღარ გაძლებდნენ. ხმამაღლა არაფერი უთქვამთ, საჯაროზე არ გამოუტანიათ, მხოლოდ გულებში ჰქონდათ საიმედოდ გადანახული. არავინ არაფერი იცოდა ამის შესახებ. ვერც ვალერიანი და ვერც ნინო ამჩნევდნენ რაიმე საეჭვოს, პავლესა და ტასიკოს შორის ასაკობრივად დიდი განსხვავება იყო, მაგრამ კიდევაც რომ შეემჩნიათ წინ გადაუდგებოდნენ თუ რა?! თუ ბიჭს და გოგოს ერთმანეთი მოსწონდათ, რა უფლება ჰქონდა მშობლებს ხელი შეეშალათ ახალგაზრდებისათვის? მითუმეტეს, ისეთი ოჯახის წარმომადგენლებს, როგორიც გუნიები იყვნენ! ხელოვნების მსახურნი კარგად ერკვევიან სიყვარულის საკითხში. მათ უკეთ ესმით, ვიდრე რიგით ადამიანებს. სიყვარულის სასწაულმოქმედი ძალისაა! მსგავსი შემთხვევის ამბავად გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის ქორწინების გახსენებაც კმაროდა. ასაკობრივად მათ შორისაც იყო დიდი განსხვავება, ამას კიდევ ის ემატებოდა, გრიბოედოვი ქართველი არ ყოფილა, მაგრამ ჭავჭავაძეების ოჯახს უარი არ უთქვამს სიძეობაზე. რაც შეეხებოდა პავლესა და მის ოჯახს, ვალერიანი ახლოს იცნობდა საყვარელიძეების მოდგმას. ნამყოფიც კი იყო საქარაში, ვასო აბაშიძესა და შალვა დადიანთან ერთად. საუკუნოვანი მუხების ძირში ციცქას ნაჟურიც ჰქონდა დაგემოვნებული.

ვალერიანმა გაზეთი მოკეცა და გვერდზე გადადო. ჭიქები შეავსო. თითო-თითო გადაჰკრეს. პავლეს თითქოს მღელვარე დარდი გაუქარვდა. არასდროს საყვედური არ დაცდენია, არც წუწუნი სჩვეოდა, გულჩახვეული და უთქმელი იყო, ადვილად არავის გაანდობდა თავის ტკივილს, თავს არავის აცოდებდა და აბრალებდა. ვერც მარცხი აშინებდა. „მიზანდასახული ადამიანი ხანდახან შეიძლება დამარცხდეს, ფეხი დაუსხლტეს, მაგრამ თუ გამარჯვებისთვის იბრძვი, მარ-

ცხიც უნდა აიტანო, გული არ უნდა გაიტეხო, ბოლომდე უნდა შეუტიო. ასეთია ბუნების კანონი, რომელსაც ვერცერთი ჩვენთაგანი ვერ აუვლის გვერდს. ყველას თავისი დარდი აწუხებს ამქვეყნად. —ფიქრებმა კვლავ მონუსხეს, ისინი დაუკითხავად შეიჭრნენ გონებაში და უსასრულო სივრცეში გადაიყვანეს.

გვიან წამოიშალნენ. ნინო და ტასიკო ბოლომდე არ მოშორებიან სუფრას. ბაბთიანი გიტარა ხელიდან ხელში გადადიოდა. სატრფიალო სიმღერებს მერცხალივით ჭიკჭიკებდნენ დედა-შვილი, შიგადაშიგ ვალერიანის ბასი ხმა თავისებურ პეწს მატებდა იმ ჯადოსნურ მელოდიებს, საამური საღამოთი აფორიაქებულმა პავლემ ტასიკოს ჩუმი მზერა დაიჭირა. შემდეგ მზერას ღიმილიც მოჰყვა, პავლემაც არ დააყოვნა და ღიმილით უპასუხა. ამით უკვე ყველაფერი იყო ნათქვამი — სიყვარულს ორთავე გულებში მათ დაუკითხავად დაედო ბინა...

პავლე ქუჩაში მიაბიჯებდა. ევროპაში ყინვებს მიჩვეული, თბილისურ ყინვას და სუსხს აღარ ეპუებოდა. ცალი ხელით ქუდს ჩაჭიდებული ლადიკოს სახლისკენ მიემართებოდა, რომელიც არც ისე შორი მანძილით იყო დაშორებული გუნიების სახლიდან. ისე კი, მართლა, ღმერთი წყალობდა, მტკვრის გამოღმა მხარეს ერთი ძმა ცხოვრობდა, მეორე მხარეზე და და სიძე და უმცროსი ძმა გრიგოლი. ასე რომ, თუ გვიანობამდე მოუწევდა გაღმა ან გამოღმა ყოფნა, ორივე მხარეზე ღია იყო მისთვის კარი. იმ ღამეს რაღა დააძინებდა, ლოგინში წამდაუწუმ ტრიალებდა, თეთრად გაათენა. თვალს წაატყუებდა თუ არა, ტასიკო ეცხადებოდა, მისი წკრიალა ხმა, როგორც კი ჩაესმოდა ყურში, დაცეცხლილი საბნიდან თავს წამოჰყოფდა ხოლმე. „სადმე ოთახში ხომ არ არის დამალულიო“. — თავისდაუნებურად უკვიატებდა გონებაში. მხოლოდ გამთენიისას მოახერხა ჩაძინება, გვიანობამდე არ გაღვიძებია. თვალი რომ გაახილა დაენანა, ისევ მოუნდა ფერად სიზმრებში დაბრუნება. კმაყოფილი წამოდგა, ასე ტკბილად მის დღეში ჯერ არასოდეს ძინებია. გვერდითი ოთახიდან ფეხის ხმა შემოესმა, კარი გამოაღო, მაგიდაზე დილის საუზმე ელაგა, ლადიკო წინ და უკან დადიოდა და თან გემრიელად ილუკმებოდა. აშკარად ეტყობოდა რომ ჩქარობდა, უფროსი ძმის დანახვაზე წუთით შეყოვნდა, პავლეს საუზმეზე მიანიშნა და თან დასძინა: — მაპატიე, გეთაყვა, საწყენად არ მიიღო ასეთი ჩემი ქმედება. სამსახურში მაგვიანდება, შენ კი, ჩემო ძმაო, მარტოდ მოგიწევს სუფრასთან ჯდომა, ეგ არაფერი. სამაგიეროდ, არსად გეჩქარება, აბა, შენ იცი! დანარჩენი რომ მოვბრუნდები შემდეგ ვილაპარაკოთ! ეზოში მობინადრენი ხმაურობდნენ, ზოგი შეშას ჩეხდა, ზოგი წყალს ეზიდებოდა. ქუჩაში იანვრის შენისლული დღე ჭიატობდა. ქარი ჩამდგარიყო. ცაზე ნესტიანი მძიმე ღრუბლები, დამფრთხალი ცხვრის ფარ-

ასავით, მთის მიღმა მყუდრო გარემოში იკრიბებოდნენ, დაფლეთილი ადგილებიდან მზის ალმაცერი სხივები გამოკრთებოდნენ ხოლმე, ქალის თეთრ სხეულივით თიმთიმებდნენ და მეტ სითეთრეს მატებდნენ ისედაც სითეთრში ჩაფლულ ქალაქს. ლადიკომ სასწრაფოდ ჩაირბინა დაღმართი, ფანჯარასთან მდგარ პავლეს, ჯერ კიდევ, მკაფიოდ ესმოდა მიმავალი ძმის ფეხქვეშ ყინვის ხრაშუნი. „ღმერთო სიკეთე ჰყავ, ყოველთვის ჯანმრთელად ამყოფე, გონებაფხიზლობას ნუ მოაკლებ“. — გონებაში ლოცავდა და თვალს არ აშორებდა, ვიდრე ქუჩის მოსახვევში მზერამიუწვდომ ადგილს არ მიეფარა. პავლე დიდად აფასებდა თავის დედ-მამიშვილებს და ისინი, ვისაც ერთმანეთი არ უყვარდათ, ყველაზე დიდ საშინელებად მიაჩნდა. ისეთი ადამიანი, ვინაც თავისიანის ფასი არ იცის, გამოუსადეგარია სამშობლოსათვის, ასეთი კაცი ვერასოდეს ვერ მოუტანდა სიკეთეს თავის ქვეყანას. საყვარელიძეების ოჯახს ტრადიციულად მოსდევდა ერთიმეორის პატივისცემა და სიყვარული. მათ განსაკუთრებული გენეტიკური სისხლი უჩქეფდათ ძარღვებში.

ეზოდან შემოჭრილმა ხმაურმა ფიქრებიდან გამოიყვანა, ფანჯარასთან მდგომმა ეზოში მობუზულ კაცს შეასწრო მზერა. უცნობს თმა აწეწოდა. შესასვლელში აქეთ-იქით იხედებოდა, ეტყობოდა ვიღაც მცხოვრების ბინას დაეძებდა. გზაზე ეტლებმა ჩაიქროლეს. მერე ისევ ტასიკო გაახსენდა, ახლა რატომღაც უფრო გულდასაწყვეტი მოეჩვენა ის საღამო, რომელიც ასე უცებ ჩათავდა და ასანთის ღერივით ჩაიწვა. გულს სწორედ ის ტკენდა, ის საამური წამები ასე სწრაფად რომ მთავრდებოდა და მოგონებად იქცეოდნენ. გონებაში ისევ წუხანდელი სიმღერების ხიბლი უტრიალებდა. მერე სუფრას მიუჯდა, პური გატეხა, გუნება გამოუკეთა გემრიელმა და ნოყიერმა ლუკმამ!.. ოთახში ღუმელი გიზგიზებდა, ხმელი შეშა იწვოდა, ხანდახან ისე გაიტკაცუნებდა, გეგონებოდათ ვიღაც შორიახლოს ნაღმს აფეთქებდა. შილიფად ჩაცმულს, შუბლიდან ხვითქი ჩამოსდიოდა. წამოდგა, სარკმელი გამოაღო, უჩვეულო შვება იგრძნო. სარკმლიდან შემოჭრილი ნიავი, სახეზე ტასიკოს ხელივით ეალერსებოდა... მერე უცებ თეატრის ბილეთი გაახსენდა, ტანსაცმლის კარადა გამოაღო, დიდხანს აფათურა ხელი კოსტუმისა და პალტოს ჯიბეებში ბილეთი მოიძია, ალექსანდრე სუმბათაშვილის სპექტაკლს „ღალატს“ უნდა დასწრებოდა, სადაც ოთარ-ბეგის როლს ვალერიან გუნია თამაშობდა. ბილეთი თავად გუნიამ გადასცა სუფრასთან ჯდომისას და თან დაატანა: „შენ როგორ შეაფასებდი ჩემს სამსახიობო ნიჭსო, ჩემს მთელ ნამოღვაწარს, იგრძნობა თუ არა რაიმე სიახლე სასცენო ხელოვნებაშიო“. ვალერიანი არ ცდებოდა, მან კარგად იცოდა პავლეს ფასი, მისი განათლება და მდიდარი

ფანტაზიის არსი. პავლესაც ვერ წარმოედგინა თავი უთეატროდ. უანგაროდ ეთაყვანებოდა, უყვარდა და თვლიდა რომ მის ჭერქვეშ ადამიანები მრავალმხრივ ცოდნას ღებულობდნენ. უმცროსი მეგობარი ხედავდა უფროსში უბრალოებას, უზარმაზარ ტემპერამენტს და, რაც მთავარია, თავდაუზოგავ შრომას, რათა მაყურებლებისათვის სიამოვნება მიენიჭებინა და სიყვარული მოიპოვებინა...

საღამოს სპექტაკლმა კიდევ უფრო დაარწმუნა პავლე, რომ ვალერიან გუნია შესანიშნავი, კეთილშობილი, თავისი ერისა და სამშობლოს დიდი მოყვარული კაცი, თავისი უანგარო ცოდნით, შეუფასებელ სამსახურს უწევდა ქართულ თეატრს. მის მიერ ნათარგმნი პიესები და დაწერილი სტატიები, ქართველმა ერმა ღრმა სიყვარულით მიიღო. მთელი თავისი სამსახიობო სულის ტიპიური ნიშნები და უნარი სიახლისკენ იყო მიმართული. ეამაყებოდა პავლეს, რომ ამ თუჯის ნერვების მქონე ადამიანმა, ყველა წინააღმდეგობას და ბარიერს გადააბიჯა, გადააბიჯა და შეუძლებელი შეძლო — თავისი უკვდავი კვალი დატოვა თეატრის ისტორიაში.

თეატრიდან გამოსულს კმაყოფილების გრძნობა გამოჰყვა, ყურში ისე ცხოვლად ჩაესმოდა საორკესტრო მუსიკის ჯადოსნური ხმები. აღმართზე, ქვაფენილით დაგებულ ქუჩას მიუყვებოდა. ლადიკოს ნახვა ჰქონდა გადაწყვეტილი, უნდა დამშვიდობებოდა. მერე კი მტკვრის გაღმა, გრიგოლსა და ვასასის ესტუმრებოდა ღამე მათთან უნდა გაეთია, დილით მატარებლით ზესტაფონში წასულიყო, იქედან კი რამოდენიმე დღის შემდეგ, ფოთიდან გემით კვლავ ევროპას მიაშურებდა.

მეორე დღეს საღამო ხანი იდგა სოფელში რომ ჩავიდა. თბილისთან შედარებით, იმერეთში ბარაქიანი თოვლის ზვავები იდგა. ახალი წელი ახალი ჩავლილი იყო. სახლებიდან გამოსულმა შემწვარმა ღორის ხორცის სუნმა ჭამის მადა აღუძრა. უკაცრიელ შუკაში ფეხი უსხლტებოდა, სოფლის გლეხობა თბილ ღუმელთან სუფრებს იყვნენ შემომსხდარნი, კეცებში გამომცხვარ თხელ მჭადზე ღორის გემრიელ ნაჭრებსა და კომბოსტოს წითელ მწნილს ატანდნენ. საკუთარ ვენახებში მოწეული ღვინით, გაქონილ ყელს იწმენდნენ, ჭიქებს ჭიქებზე უჭახუნებდნენ, ერთმანეთს ლოცავდნენ და წარსულების სულებსაც იხსენიებდნენ. გვერდზე ჭირშკრებთან ატუზული გამხდარი ძაღლები, გემრიელი ნასუფრალის მოლოდინში ერთმანეთს ეღლაბუცებოდნენ. პავლეს დანახვაზე ერთიორჯერ წამოიყეფეს, ზემოთ აპრეხილი კუდები ააქიცინეს, შეიცნეს თუ არა, თოვლზე გაგორდნენ და თავები თოვლში ჩარგეს, შეყეფებისთვის პატიებას ითხოვდნენ. მუხის ალაყაფის ეზოში შესასვლელი კარი ჭრიალით შეაღო, უაცრიელობა ეცა თვალებში. ბუხრების საკვამურები-

დან სქელი კვამლის ნაკადი ამოდიოდა და ფენა-ფენა მიიწევდა მაღლა — მოქუფრულ ცისკენ. უქარო, წყნარი საღამო, ჩაწეულ ფითილივით ბჟუტავდა. ეზოში და არც სახლის აივანზე ჩანდა ვინმე, „როგორც ჩვეოდათ. ალბათ, მხარ-თეძოზე წამოწოლილები ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდნენ და წყნარად საუბრობენო“. — ამ ფიქრებით ქვის კიბე აირბინა, აივანზე ავიდა და ფანჯრიდან დარბაზში შეიხედა. ყველანი იქ ისხდნენ, ბუხარს ეფიცხებოდნენ. ვანომ ფანჯარასთან ასვეტილი ძმის ფიგურა შენიშნა თუ არა, მკვირცხლად წამოდგა და ზღურბლთან პავლეს შეეგება. წყურვილივით არ ასვენებდა მონატრების გრძნობა. ძმას ალერსიანად გაუღიმა. ოი, რამხელა სიხარულის მომგვრელი იყო ეს ნანატრი ღიმილი. ოი, რამხელა შვების მომგვრელი გახდა პავლეს გამოჩენა. როგორ აშკარად ჩანდა როგორ გაებადრა სევდამორეულს სახე. მეტად მგრძნობიარე გული ჰქონდა ვანოს, განიცდიდა ძმების სიშორეს. ხანდახან აღდგომის დღესასწაულზე ახერხებდნენ ერთად თავმოყრას დიდი კაკლის მაგიდას შემომსხდარნი, ცაბუას მიერ მომზადებულ კერძებს მიირთმევდნენ, საალერსო სიტყვებით ამკობდნენ მაზლები საყვარელ რძალს, თეთრი ღვინით ლოცავდნენ. მაგიდის თავში ყოველთვის მთავარი, ოჯახის თავი დათა იჯდა ხოლმე, გვერდს კი მარიამი უმშვენებდა. სიდარბაისლით ილმელი ჯაფარიძეების შთამომავალი ქალბატონი. ყველა ნივთს თავ-თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. საათივით ჰქონდა აწყობილი ურთიერთგაგება, ერთმანეთისადმი პატივისცემა. ეს ტრადიცია მოსდევდათ, ასეთი აწყობილი ოჯახი ჩაიბარა კიკვილისგან და თვითონაც მშვენივრად აუღო ალღო ოჯახის მართველობის სისტემას. ერთი შეხედვით, ადვილ საქმედ რომ მიაჩნიათ ზოგიერთს, წლობით შეუნარჩუნო ოჯახს თავისი ტრადიცია, ერთმანეთის უანგარო სიყვარული და პატივისცემა, დიდი ნიჭი და შრომაა საჭირო, რაც არ გაჭირვებიათ კიკვილისა და მარიამს. კიკვილის სიკვდილის შემდეგ ჩინებული დამოკიდებულება ჰქონდა მარიამს ცაბუასთან. რძალ-დედამთილი მშვენივრად შეეწყვნენ ერთმანეთს. ვერავითარი სიმდიდრე ვერ შეედრება ურთიერთ გაგებასა და სიმყუდროვეს. დარეულობას, ზიზღსა და სიძულვილს, სჯობია კაცმა ცოტა ხელმოკლედ იცხოვროს, ოღონდ არ აკლდეს კეთილშობილური თვისებები, იყოს მიმტევებელი, მადლიერი და კაცთმოყვარე. ეს ღვთიური მადლი არც რძალს აკლდა და არც დედამთილს. ორთავენი ღვთისმორწმუნე და მწიგნობარი, სათავადაზნაურთა გვარის წარმომადგენლები იყვნენ. მათ წინაპრებს სიბოროტის ძალით არასოდეს ჰქონიათ სული დამძიმებული, ბოროტების ჭია სულში არასდროს შეძრომიათ.

— შვილო! — თავისდაუნებურად გამოსცრა მარიამმა, შუბლზე იტაცა ხელი, როდესაც პავლე დედის სანახავად ოთახში შევიდა,

ჩამოშლილი თმა უკან გადაიწია. მარიამმა თავს ძალა დაატანა, რომ ვერავის ეგრძნო მისი სისუსტე. წამოდგომა სცადა, ცაბუა მხარში ჩაეჭიდა, მკლავი შეაშველა. დედამთილმა ქვეშ-ქვეშ გახედა, მადლიერებაც და საყვედურიც იგრძნობოდა იმ გამოხედვაში. გაჭირვებით წამოდგა, კარებში შეეგება მონატრებულ შვილს, ოდესღაც ტანმაღალი ქალი, ახლა ერთ პატარა ჩია, ჭაღარაშერეულ არსებად ჩანდა ორ გოლიათ შორის. ასე დაჩემდა, ბოლო დროს აუღელვებლად ვერ ხვდებოდა სახლიდან მოწყვეტილ შვილებსა თუ ახლობლებს. მონატრების გრძნობა შემოაწვებოდა ხოლმე, გულს პოეზიის კითხვით იქარვებდა. განსაკუთრებით, ზამთრის გრძელ ღამეებში იჯდა თბილ ბუხართან, თავი წიგნებში ჰქონდა ჩარგული. ასე, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ეპარებოდა სიბერე. სარკე მწუხარებას მატებდა. მწუხარებას კიდევ თავის დახრა არ უყვარს, რადგან თავდახრილებს ადვილად ჯაბნის.

დათა არაფერს იშურვებდა, ეკლესიიდან მობრუნებული, ტკბილად ებაასებოდა და ამხნევებდა. თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა, მზრუნველი თვალით ჩაჰყურებდა ცოლის სევდიან თვალებს და სწორედ ასეთი თბილი მიდგომა იყო ყველაზე საუკეთესო წამალი, რომელიც ყველაზე მეტად უხდებოდა და აცოცხლებდა მარიამს.

გვარიანად შებინდებულზე სუფრას შემოუსხდნენ სავახშმოდ ყველანი. ვანოს ქალიშვილები ფეფიკო და თინიკა საზამთრო არდადეგებზე იყვნენ ქუთაისიდან ჩამოსულები. გოგოები ბებიას გასწვრივ ისხდნენ მკვირცხლნი და სიცოცხლით სავსენი. მშობლებთან შეხვედრით აღფრთოვანებულებს, გული საგულეში აღარ ეტეოდათ. სახეზე ბედნიერების შუქი დასთამაშებდათ და მათი გაფანტული ფიქრები მოკაშკაშე ვარსკვლავს უერთდებოდა. მეორედ დაბადება იყო დედამამასთან ყოფნა, სიხარულით მიივლილ-მოივლიდნენ მამაპაპურ კარმიდამოს და ვიდრე ქუთაისში გაბრუნდებოდნენ, უმცროს ძმას დავითს ეთამაშებოდნენ და ართობდნენ. გამჭრიახი გონებით გამოირჩეოდნენ, სწავლით კარგად სწავლობდნენ, არც უმცროსი ძმა ჩამოუვარდებოდა, ხომ გაგიგონიათ კვიცი გვარზე ხტისო. დავითიც მუდამჟამს იმის მცდელობაში იყო, დებს არ ჩამორჩენოდა...

სამი ცარიელი სკამი, თეფშები, ჭიქები და დანა-ჩანგლები ყოველთვის იდო მაგიდაზე. „ვინ იცის, — ფიქრობდა ხოლმე მარიამი. — ვარლამი, ლადიკო ან გრიგოლი მოულოდნელად შემოგვიერთდნენო!.. ეჰ, რა იყო მაინც დედის გული! ბალიშის ქვეშ სურათები ჰქონდა ამოდებული, დილაობით პირჯვრის წერისას, სურათებს ამოიღებდა, გულში ჩაიხუტებდა და თავს ასე ინუგეშებდა. მარიამმა თვალი აატარ-ჩამოატარა უხვი საჭმელებით სავსე სუფრას, მზერა ლოყებაკოკრებულ შვილიშვილებზე შეაჩერა. მათი დანახვა ოთახში შემოჭრილ თბილი

მზის სხივებს ჰგავდა. განსაკუთრებით ფეფიკოსი. მშვენიერი თამარის შემდეგ ის იყო მეორე ლამაზმანი, თამარივით კიკვილისკენ იყო გადახრილი. განგებისგან კიკვილი ბებიის სილამაზე ჰქონდა ნაბოძები. მაგრამ ყველაზე მეტი სიმშვენიერე მაშინ იგრძნობოდა, როდესაც მათ რიცხვს ნინა და მშვენიერი თამარი შეუერთდებოდნენ, ახმიანდებოდა სახლი, მათი სიცილ-კისკისი და ტკბილი ღიღინი, შაშვის გალობასავით ედებოდა სიმწვანეში ჩასმულ სოფელს. კოლაუ ნადირაძე კი ამ უჩვეულო სილამაზითა და სიმღერით აღფრთოვანებული, კალამს ააწრიპინებდა და თეთრ ქაღალდზე გადაიტანდა კაზმული სიტყვით აღსავსე სტრიქონებს... არაჩვეულებრივი ხმის მქონე მკვირცხლი ნინა, გიტარის სიმად ქცეული ქალი, თავს ბედნიერად თვლიდა. ასევე მიაჩნდათ გულშემატკივრებსაც. მისი გამოჩენა სიკეთის მომასწავებელი იყო, განსაკუთრებით ხავერდოვანი ხმით შესრულებული „თავო ჩემო“ დიდ გავლენას ახდენდა თანასოფლელებზე. ნინა მომავალი თაობის გულებს კაეშნით ავსებდა და წინ გამარჯვებისკენ უბიძგებდა. ეჰ, რამდენჯერ აღძვრია ჟენევაში მყოფ პავლეს იმის სურვილი, რომ ქართული ჯადოსნური სიმღერა ევროპას მოდებოდა. რამდენჯერ უნატრია ამ შესანიშნავ მელოდიას აეტოკებინა მათი ფაქიზი გული და ნერვები, ერთხელ და სამუდამოდ შეეგრძნოთ ქართული სიტყვის ძალა. ერთხელ და სამუდამოდ შეეგრძნოთ ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ხმა!..

პავლეს ჩამოსვლამ საკმაოდ გააგრძელა ვახშამი, კრახუნა ყურძნის ღვინოს აჭაშნიკებდნენ. ყველას ემჩნეოდა მხიარული განწყობა, სახე ჟინჟღილივით უბრწყინავდათ. დათას ახოვანი მხრები კიდევ უფრო ფართოდ გაეშალა. შვილებს შუაში ჩაესვათ მამა. კვლავ ახალგაზრდული იერი შერჩენოდა, დრო-ჟამს ვერაფერი დაეკლო. თაღოვან ბუხრიდან გამონაშუქი სხივი უკიაფობდა ღვინით შეჟუჟუნებულ თვალებში. ღიღინის ხასიათზე მოსული ხალისიანად გრძნობდა თავს.

პავლე გულში იხუტებდა ფერიებივით ნაზ, მორცხვ ძმისწულებს, ჭიკჭიკა ენით რომ ეტიტინებოდნენ საყვარელ ბიძას. ბიძაც სულგანაბული უსმენდა და თვალს ვერ აშორებდა ალუბალივით შეთვალულ მათ ბედნიერი სახეებს. მერე გონებაში ფირზე გამოხატული სურათივით, ოცნების ორეული ტასიკო წარმოუდგა, ტასიკო ორი-სამი წლით თუ იქნებოდა ფეფიკოზე უფროსი. გახსენებამ გულში რეჩხი უყო და სითბო ჩაუღვარა. ფეფიკოს ღიმილმა ისევ თბილისში, გუნიების სახლში დააბრუნა, ისევ ის საღამო და მაგიდასთან წარმოიდგინა თავი. მერე წუთიერად დაინახა, ფანჯარასთან ფარდებს ამოფარებული მოღიმარე ფერია, თვალს ვერ სწყვეტდა, ღვთაებრივი სილამაზით შეპყრობილი და უხაროდა, რომ სილამაზით მათ არ ჩამოუვარდებოდა თა-

ვისი რჩეული. დათაფლული ხმა და კისკისი აშკარად ესმოდა, თითქოს გვერდითი ოთახიდან სუფრაზე ტკბილეულის შემოტანას აპირებდა. ო, რა ზღაპრული გემო ჰქონდა ტასიკოს მიერ მოწოდებულ ფაქიზად დაჭრილ იმ ნამცხვრის ნაჭრებს, დესერტად რომ აყოლებდა ატენური ღვინით შეზარხოშებული. მაგრამ ყველაზე მეტად სასურველი პავლესთვის მაინც ტასიკოს გამოჩენა იყო. ის წერწეტა წელი, გრძელი, თეთრი მკლავები, მხრებზე ჩამოშლილი წაბლისფერი თმა ქვეყანას ერჩივნა!.. მთვარესავით ნათელი სხივი გადაჰკრავდა სახეზე. ერთხანს ასე გახევებული შეცქეროდა გონებაში წარმოქმნილ იმ ღვთაებრივ სახეს, მეხსიერებაში გადანახული ძვირფასი განძივით რომ ელავდა, მერე ოცნებების სამყაროდან ამქვეყნიურ ცხოვრებაში გადმოსახლდა. მაშინ იგრძნო და მიხვდა, ტასიკოს გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. „სწავლის დამთავრებისთანვე დავბრუნდები სამშობლოში. მანამდე ტასიკოც დაამთავრებს გიმნაზიას და ცოლად შევირთავ“. — მტკიცედ გადაწყვიტა გუნებაში...

15

იმ წყეულმა სენმა საწოლზე მიაჯაჭვა ნინა, ქუთაისის საავადმყოფოში გარს ეხვივნენ საუკეთესო მკურნალები. კოლაუს მამის, გალაქტიონ ნადირაძის თაოსნობით, ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებდნენ, როგორმე სიკვდილისგან ეხსნათ საქვეყნოდ ცნობილი ახალგაზრდა ქალიშვილი. ავადმყოფი ბოლო დროს ეჭვიანი გახდა, პირქუშად უყურებდა ექიმებსა და გარშემომყოფთ და ეჩვენებოდა, ისინი რაღაცას უმალავდნენ. სწორედ ასეთმა ეჭვმა მიიყვანა იმ ზომამდე, რომ საავადმყოფოში სანახავად მისულ საკუთარ ძმას სიმონიკას, მანამდე არ მოეშვა, სანამ ტუჩებში არ აკოცა, ამით უნდოდა დარწმუნებულიყო ჭირდა თუ არა ის უკურნებელი სენი. თუ სიმონიკა ტუჩებს მოიწმენდდა, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, იმ საიდუმლოს ფარდა აეხდებოდა, მაგრამ სიმონიკას მოტყუება, არც თუ ისე ადვილი გამოდგა. ის უმალვე მიხვდა უფროსი დის ჩანაფიქრს, მიხვდა და ვითომც არაფერიო, წარბიც არ შეტოკებია, დის ნაკოცნი გუბეები არ მოუწმენდია, რამაც დააფიქრა და საგონებელში ჩააგდო ახალგაზრდა ქალი. „იქნებ მართლა არაფერია ისეთი საშიში“. — გაუელვებდა, ხოლმე გონებაში. გულს მოწოლილი დარდი უქარწყლდებოდა, წუთიერად ტანჯვისგან განთავისუფლებულს ლოყები კვლავ ძველებურად აუფერადდებოდა, ვენებში სისხლი მოაწვებოდა, რასაც სასთუმალთან მყოფი ახლობლების სიხარული და აღფრთოვანება მოჰყვებოდა. ბავშვურად ხელი-ხელს შემოჰკრავდნენ, ტაშის კვრითა და

ვაშა-ვაშას ძახილით რკინის საწოლთან წაიცეკვებდნენ. ეს იმდენად სასიამოვნო იყო ნინასათვის, თავი სცენაზე ჰქონდა ხოლმე წარმოდგენილი.

— აგაშენათ და სიმხნევე არ მოგაკლოთ უფალმა! — იძახდა ხელმეორედ დაბადებული ქალი, — კაცი კაცის იმედიაო, რა გონივრულად არის ნათქვამი!.. რომ არა თქვენ, დიდი ხნის წასული ვიქნებოდი იმქვეყნად!

მართლაც სცენას მიჩვეული ქალისთვის ასეთი გართობა დიდი სიკეთის მომტანი და სიკვდილის ხელიდან გამოგლეჯვას ნიშნავდა. მსახიობების ასეთი ყურადღება და გვერდში დგომა, დამჭკნარ სხეულში, სულის ჩაბერვის ტოლფასი იყო. ცუცუნა ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად. ნინას მოკეთებამდე ფიქრობდა იქ დარჩენას. თამართან და კოლაუსთან ერთად ცხოვრობდა და ავადმყოფ ქალიშვილს დედობრივ ყურდღებას არ აკლებდა. ნინაც თავისებურად განიცდიდა დედის სიახლოვეს. იმდენად იზიდავდა და ახალისებდა მასთან ყოფნა, თითქოს უებარი წამალი დაელიოს. თვალებში შვების მომგვრელი იმედის სხივი უბრწყინავდა. ისევ დაუბრუნდა თავისივე ჩვეული ღიმილი და სიხალისე. ისევ იგრძნო ადრინდელი გულის ბაგუნი, თითქოს ღრუბლებიდან მზემ გამოანათაო. ნაადრევი და ხანმოკლე აღმოჩნდა ის სიხარული. კვლავ ისევ სწრაფად და მოულოდნელად ამოვარდა ქარი, პირქუშმა ღრუბლებმა ისევ დაფარა კაშკაშა მზე. ეს ყველაფერი თვალის ერთ დახამხამებაში მოხდა, ათ თვემდე იყო გასული იმ დღის შემდეგ, რაც ის წყეული სენი შეეყარა, ასე თუ ისე, სანამდე შეძლო ახალგაზრდა სხეულმა გაუძლო ყოველგვარ შემოტევას. ახლობლებისა და საუკეთესო ექიმების ჩარევით ცოტათი მაინც გაუხანგრძლივდა სიცოცხლე. ბოლოს, როდესაც მთლად გადაიწურა იმედი და ორგანიზმიც გამოიფიტა, 1915 წლის დასასრულს, ქრისტეშობისთვეს მიიცვალა. ელდასავით მოედო და მწარედ შეიცხადა მისი გარდაცვალება ქუთაისის საზოგადოებამ. ხალხი ქარაშოტივით მძვინვარებდა. ეკლესიისკენ მიისწრაფოდნენ, მოქურუშებული სახეებით გარშემო უვლიდნენ კუბოს და ემშვიდობებოდნენ საყვარელ მომღერალს. თეატრის მსახიობებმა პატივი მიაგეს და პარაკლისი გადაუხადეს. გაზეთებში იბეჭდებოდა ნეკროლოგები, საღამომდე ესვენა ტაძრის დარბაზში. ამ ხნის განმავლობაში ხალხის ნაკადი არ შეწყვეტილა, იდგნენ ცხედართან, გულის მდუღარე ცრემლით დასტიროდნენ ჯერ კიდევ, ნორჩ ახალგაზრდა, უიღბლო ქალწულის ხანმოკლე სიცოცხლეს. იდგნენ ასე ჩუმად, სანთლების მკრთალი შუქით განათებულ დარბაზში, ქვით მოპირკეთებულ ცივ იატაკზე, გათოშილ ფეხებს აბაკუნებდნენ, ადგილობრივ ქუთაისის გაზეთში დაიბეჭდა იოსებ არიმათილის მეტად

საინტერესო ნეკროლოგი. „ჩვენმა ხელოვნებამ, — წერდა არიმათილი, — ამ თვეში ჯერ კიდევ ნორჩი, მაგრამ თვალსაჩინო განძი დაკარგა, გარდაიცვალა ახალგაზრდა მომღერალი ქალი, კოლორიტული სოპრანო, ნინო (ნინა) კონსტანტინე საყვარელიძის ასული. იგი დაიბადა სოფ. საქარაში, შორაპნის მაზრა. ქუთაისის გიმნაზიაში კურსის დასრულების შემდეგ წავიდა მოსკოვს, სადაც მუსიკას სწავლობდა მუსიკის პროფესორ ქალის მ. მურომცევას ხელმძღვანელობით. ომის დაწყებისას თბილისში დაბრუნდა და ქართულ საფილ. სკოლაში მეცადინეობდა და ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. სწავლის დროსვე მონაწილეობდა კონცერტებში. (სხვათა შორის კ. ფოცხვერაშვილთან ერთად) და მსმენელი მუდამ აღტაცებაში მოჰყავდა. გრამაფონის ფირფიტაზე გადაღებულია მისი ნამღერი: „მშვენიერო შენ გეტრფი!“ „ახ მარგალიტოვ!“ „ორთავ თვალის სინათლევ!“ „ჭრელო პეპელავ!“ „ავადა ვარ!“ „მოდი მნახე!“ „ჭირიმე, ჭირიმე!“ „იავ-ნანა!“ „სწრაფია ვით ტალღა!“ „ჩიტო ნუ ფრენ!“ და სხვა. დარჩა დღიური და კერძო წერილები, რომელშიაც ბევრი თავისებური აზრი აქვს გამოთქმული მუსიკის შესახებ. ჯერ 21 წლის თუ იქნებოდა, დიდის იმედს იძლეოდა, მაგრამ უკურნებელმა სენმა — ჭლექმა ნიჭის გაფურჩქვნა აღარ აცალა: გარდაიცვალა ქრისტეშობისთვის 13, ქუთაისში, ხოლო 18, სამშობლო სოფ. საქარაში დაკრძალეს, დაესწრო დიდძალი ხალხი და გულის ტკივილით დაიტირა ეს უდროო დანაკარგი. სამარესთან რამდენიმე სიტყვაც ითქვა. ნათელი იყოს ხსოვნა მისი!..“

რუბენ აუსტროვმა გაიღო დაკრძალვის თანხა, ამით მიაგო უკანასკნელი პატივი საყვარელი საცოლის ხსოვნას. დეკემბრის შუათვე იდგა. მიუხედავად სრული ზამთრის თვისა იმ დღეს, საკმაოდ თბილოდა. ზღვა ხალხი მოვიდა დაკრძალვაზე. გულხელდაკრეფილები იდგნენ ზალაში მიცვალებულის კუბოსთან ხელოვნების, თითქმის, ყველა სახის წარმომადგენლები ასეთ არასასიამოვნო ჟამს და ცრემლებად დნებოდნენ. გრამაფონის ფირფიტებიდან ისმოდა მიცვალებულის მიერ შესრულებული, სევდიანი სიმღერები, რომელიც კიდევ მეტად გულს უმდუღრავდა, ისედაც დამწუხრებულ საზოგადოებას. გული ყელში ჰქონდა მობჯენილი რუბენ აუსტროვს, მაგრამ ღვთის შიშით შეპყრობილი თავს იკავებდა. არ უნდოდა რაიმე ურიგო დაცდენოდა, აუგი და საყვედური გამოეთქვა უფლის წინაშე, კიდევ მეტად გაეცეცხლებინა ისედაც ნაღველით სავსე გულები. ღია კარებთან, მამაკაც ჭირისუფლებთან ერთად იდგა და გრძელ თითებს იმტვრევდა თავზარდაცემული, სახეზე თოვლის ფერი დადებოდა, საბრალო გამომეტყველებით მიშტერებოდა მიცვალებულის უსულო გვამს. ზურგს დეკემბრის მილეული მზე უთბობდა. ნინას თბილ და სუსტ

მკლავებს აგონებდა, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ის სითბო და სინაზე, იმ უნდობ სიკვდილის ბოლომდე რომ ვერ შეესრუტა. მგალობელთა გუნდი უგალობდა, სირინოზის ხმით სულს უნათებდნენ, ასწლოვანი მუხების შიშველ ტოტებზე შემომჯდარი ბეღურებიც თითქოს ღმერთს, სასუფეველში ამყოფე მისი სულიო, ჟივჟივით ევედრებოდნენ. ვითარება მაშინ უფრო დაიძაბა, როდესაც სახლიდან გამოასვენეს და მუხების ძირში, სადაც სიმღერა და ზაფხულობით ჯდომა უყვარდა ხოლმე, წუთიერად პატივი მიაგეს, კუბო ქვის მაგიდაზე დაასვენეს, მაშინ კი მართლა ბევრს უმტყუნა ნერვებმა, თავი ვეღარ შეიკავეს, ბავშვივით აზლუქუნდნენ. მხოლოდ მაშინ მიხვდა ყველა, თვალში როგორ დააკლდებოდათ და მეტს ვეღარასოდეს იხილავდნენ... სოფლის უხეირო შარას მიუყვებოდა სასაფლაოსკენ შავი ქსოვილით შემოსილი ბალდახინი, მიძინებული, უფოთლო ხეები, თავებს აკანტუნებდნენ. ღობეებზე მომწყდარი კუდაპრეხილი ძაღლები, როგორც სჩვევიათ ხოლმე, სევდიანი მზერით, უხმაუროდ, მიაცილებდნენ ეტლებითა და ფეხით მოსიარულე ამალას. სახლების აივნებიდან ღრმად მოხუცებულნი შუბლზე ჩამოჩრდილული ხელებით, უკბილო, ჩამომჭკნარ ტუჩებს აცმაცუნებდნენ: — ღმერთო მაღალო! შეუნდე ცოდვები, აცხონე მისი სულიო... ასე გამოემშვიდობა სოფლის ბინადარნი საყვარელ არსებას. საქარის, მშობლიური სოფლის, მამისა და ბებია-ბაბუის გვერდით გაიჭრა მისი სამარე. როცა დასაფლავების რიტუალი დამთავრდა, ჭირის სუფრას შალვა დადიანი წარუძღვა, რომელმაც დიდი რუდუნებით აღნიშნა ნინოს მოღვაწეობა, იმ მცირე მონაკვეთში, რისი გაკეთებაც მოასწრო. სიტყვის დასასრულს კი რიხიანად დასძინა: — „ქალბატონებო და ბატონებო! მართალია ჩვენ ვერ ამოვავსებთ იმ სიცარიელეს, რაც ჩვენს გულებში გაჩნდა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მომავალი თაობა გააგრძელებს იმ გზაზე სიარულს, რომელზედაც ეს ახალგაზრდა ქალბატონი იდგა. მე მწამს, ისინი მრავალ საგმირო და მისაბაძ საქმეებს გააკეთებენ და კიდევ მრავალჯერ ასახელებენ ჩვენ სამშობლო — საქართველოს...“

დადიანმა ამაყად გახედა სუფრასთან მსხდომთ, ულვაშზე ხელი ჩამოისვა, ახოვანი მხრები შეარხია, ღაჟღაჟა სახეზე ჩამოგორებული ცრემლის კურცხალი ცხვირსახოცით ამოიწმინდა, საჩვენებელი თითი ბავშვებისაკენ გაიშვირა და ისე განაგრძო — „აი იმათ ხელშია, მათ უნდა გააგრძელონ და საყვარელიძეების სახელი უნდა გააუკვდავონ“. სუფრის მოპირდაპირე მხარეზე სიმონიკა, კოლაუ და თამარი ისხდნენ, მშვენიერი თამარი შეუძლოდ გრძნობდა თავს, მღელვარებისგან დასიებულს სისხლი სახეზე მოწოლოდა და ნამტირალევი თვალები ეწვოდა. გონებაში მიწაში მწოლიარე უფროსი დის სახე ეჩვენებოდა.

მშფოთვარე ფიქრები მთელ სხეულზე მკბენარებივით შესეოდა. ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა, რათა ხალხის თვალში უტაქტო ქალის სახელი არ დარქმეოდა. გულში დაბუდებულ ჭირ-ვარამს, უსიტყვოდ და უხმაუროდ თავისივე გულში იკლავდა. სიმონიკა მდუმარედ შეჰყურებდა, ცალი ხელით ჩასჭიდებოდა დის მკლავს, მეორე მხრიდან კოლაუ ეკვროდა სათაყვანებელ მეუღლეს. ორივენი სიძე-ცოლისძმა ცდილობდნენ ცოტათი მაინც ენუგეშებინათ და შავი ფიქრებისგან განემუხტათ საბრალო ქალი. ღვინით სავსე ჭიქა ზე აღმართა დადიანმა, მაგრამ გრძელ თითებს შორის მოქცეული ჭიქა საერთოდ არ ჩანდა, სამაგიეროდ, ვეებერთელა მუშტი ქანაობდა ჰაერში და ზევით-ქვევით ადიოდ-ჩადიოდა. მოქნილი ენით ისეთი სიტყვა წარმოთქვა, წუთით ყველას დაავიწყა სიკვდილზე ფიქრი...

ნინას დასაფლავების შემდეგ რაღაც უცნაურობა დასჩემდა ცუცუნას, ყოველ სისხამზე, მზის ამოსვლამდე, სასაფლაოზე გადადიოდა, შვილის ახლადგათხრილ საფლავთან ჩაიმუხლებდა, ამობურცულ მიწას ეხუტებოდა, ამით თითქოს ვალს იხდიდა უიღბლოდ გარდაცვლილ ქალიშვილის წინაშე და სამუდამო სასუფეველს უთბობდა, შოთებივით ერთმანეთზე მიწყობილი ბელტებს ფაფუკი თეთრი თითებით ეალერსებოდა და თბილი ცრემლებით ალბობდა. სანამ დათა არ გამოჩნდებოდა ეკლესიისკენ მომავალი, მაზლის ერიდებოდა, თორემ მთელი დღე არ მოშორდებოდა შვილისა და ქმრის საფლავებს. ილაჯგაწყვეტილ რძალს დათა ტკბილი სიტყვით დაარიგებდა, ეკლესიის დარბაზში, ხატებთან სანთლებს ანთებინებდა, თავად ლიტანიობდა და უფალს ავედრებდა ახალგაზრდა ძმისწულისა, ახლობლებისა და დედმამის სულებს...

ცუცუნა ბორგავდა, დათას ესმოდა თუ როგორი მწარე ასატანი იყო გამწარებული დედისთვის შვილის დაკარგვა, ისიც კარგად ესმოდა, თუ რაოდენი სიკეთის მოტანა შეეძლო ტკბილი სიტყვის თქმას. გონებამახვილ კაცს ენა ხმალივით უჭრის, ვერავითარი ძალა ვერ შეედრება, თუკი იცის, როდის და როგორ უნდა თქვას... ადამიანი რაც არა-რა განსაცდელში იმყოფებოდეს, მაინც სიმხნევე მმართებს გულისა! რადგან ეს ქვეყანა ხიფათებითა და უბედურობებით არის სავსე. ადამთა მოდგმას ცხოვრებასთან სამდურავის გრძნობა ყოველთვის მოჰყვებოდა და მართლაც სამდურავის მეტი რა მოიპოვება ამ უცნაურ წუთისოფელში! ის რაც მოსახდენია, აუცილებლად მოხდება და მერე ამაზე ყოველ წუთს მოთქმა და კედელზე თავის რტყმევა აღარა ღირს. — გუნებაში საკუთარ თავს ესაუბრებოდა დათა. სოფლის თემშარაზე შავებში ჩაცმულ რძალს შინისკენ მოაცილებდა. ცუცუნას მაზლის ახლოს, თბილი დამოკიდებულება შვებას გვრიდა. ცალ ხელში

ცხენის აღვირი ეჭირა დათას, მეორეთი რძლისთვის ხელკავი გამოედო. ნალების ანაბეჭდს ტოვებდა რბილ მიწაზე წითელი ფერის, ნებაზე მიშვებული საოცარი არსება. ეს რამდენიმე ათეული წელია ისე ერთგულად ემსახურებოდა, პატრონს მის მიმართ საყვედური ერთხელაც არ დაცდენია. დათაც სიკეთით პასუხობდა განუყრელ მეგობარს, ზამთრობით ქერითა და თივით კვებავდა, „ადამიანი იქნება თუ ცხოველი ყველას დამსახურებლად უნდა მიუზღო სამაგიერო, თუ გინდა შენი ერთგულნი დარჩნენ და არ გიღალატონ. ამ მხრივ, ცხენი უფრო ერთგულ სამსახურს უწევს ადამიანებს. ო, რა კარგი იქნებოდა, ადამიანები ცხენივით უღალატონი ყოფილიყვნენ ერთიმეორის მიმართ, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო“. — უტრიალებდა გონებაში...

ძმისა და ძმისწულის უდროო სიკვდილმა ისე დაადარდიანა დათა, რომ წითური სახე გაუფერმკრთალდა. კი მართალია, ზოგჯერ მწარე ფიქრები შემოაწვებოდა, მოსახდენი რომ მოხდება, მერე კედელზე თავის რტყმევა აღარ ღირსო. — ეკამათებოდა თავის თავს, მაგრამ გული მაინც ვერ უთმენდა, ის ისეთი მგრძნობიარე და ფაქიზი იყო, უნდა თუ არ უნდოდა, მისდა დაუკითხავად შეიგრძნობდა სიხარულსაც და მწუხარებასაც. ზოგჯერ ისეთი ძალით, შეიძლება გამსკდარიყო კიდეც! კონსტანტინესა და ნინას, მღელვარება ვეღარ დამალა. ამ ქვეყნიდან წასული დედმამიშვილის გახსენებამ, ორ ბორცვად გადაქცეულმა საფლავებმა, მჟავე ხასიათზე დააყენა. ღვთისმოსავი და მსახური კაცი ყოველ დილით ღმერთს მადლობას სწირავდა, იმდენი საშუალება რომ მისცა, ქვრივ რძალსა და ობოლ ძმიშვილებს რომ ეხმარებოდა, როგორც სულიერად, ისე ეკონომიურად. ძმის საფლავთან დაფიცებული სიტყვა, შენს ცოლ-შვილს არაფერს მოვაკლებო, თითქმის შეასრულა, რისი გაკეთებაც შეძლო თავი არ დაუზოგავს, მაგრამ სიკვდილს წინ ვერ აღუდგა. ის რაც განგებას უნდა მოახდინოს, ადამიანი უძლურია მის წინაშე, მოსახდენი აუცილებლად მოხდება!..

16

რუსეთ-თურქეთის ომში რუსული იმპერიის დასუსტებისას, იმედით შეხვდნენ ქართველი პოლიტიკოსები მათ გადაწყვიტეს ესარგებლათ ამ შემთხვევით, იქნებ თავი დაეღწიათ, იმპერიის კლანჭებიდან, მოეპოვებინათ სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი, მოეწესრიგებინათ ადამიანთა შორის დარღვეული კანონები, აღედგინათ საქართველოსთვის ის სახელმწიფოებრივი უფლებები, რაც გააჩნდა რუსეთთან ტრაქტატის დადებამდე. მეფის რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ძირს დასცა მეფის მმართველობა და ქვეყ-

ნის მმართველი სადავეები დროებით მმართველ მთავრობის ხელში გადავიდა. მაგრამ ხელისუფლებაში მოსულმა რუსმა მენშევიკების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ძალაუფლების შენარჩუნება და იმავე წლის ოქტომბრის რევოლუციამ ქვეყნის სვე-ბედი ბოლშევიკთა წარმომადგენლებს ჩააბარა. საქართველოში რამდენიმე თვის შემდეგ 1918 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი, სწორედ ამ სეიმზე გამოცხადდა საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკად, მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა აკაკი ჩხენკელი. როგორც კი თურქეთმა გაიგო ამიერკავკასიის სეიმია შექმნილიო, უმალვე შემოგვიტია და მოინდომა ბათუმის ხელში ჩაგდება. ამიტომ ჩხენკელი იძულებული გახდა დაეშალა ამიერკავკასიის თვითმმართველობა — რომელიც სამ სახელმწიფოს აერთიანებდა — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. ასე გაუქმდა ამიერკავკასიის სეიმი და საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. ეროვნული მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი. საუკუნოვანი ბრძოლის შემდეგ მიაღწია საქართველომ მოეპოვებინა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი. 1918 წლის 26 მაისი ჩვენი ისტორიის ფურცლებზე ოქროს ასოებით ჩაიწერა. თურქეთი მაინც არ ისვენებდა, ყოველნაირ ღონეს ხმარობდა, როგორმე ბათუმი ხელში ჩაეგდო. სტამბოლიდან აპარებდნენ თურქ ხოჯებს, ხოჯები ზიზღსა და სიძულვილს აღვივებდნენ ქართველ ქრისტიანებს შორის — ჩვენ და აჭარლები მუსლიმანები ვართ და განუყრელად ერთად უნდა ვიცხოვროთო. — მოურიდებლად აცხადებდნენ! ისევ ეშმაკი დაეპატრონა ბედის სასწორს, მაგრამ ღმერთმა, როგორც გაჭირვების ჟამს სჩვეოდა, გულმოწყალება ჰყო და ისეთი ადამიანები მოუვლინა საბედისწერო ჟამს, ყველაზე მეტად რომ ესაჭიროებოდა ხოლმე ბედკრულ ჩვენს სამშობლოს. სწორედ ასეთ ადამიანებს მიეკუთვნებოდნენ მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, პავლე საყვარელიძესთან ერთად. პავლე იმ დროს ახალი დაბრუნებული იყო ევროპიდან. ის კარგად ხედავდა, თურქეთ-რუსეთის ომმა რა გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააგდო აჭარელი, მითუმეტეს მთიანი მხარის მოსახლეობა. სწორედ, ამ შემთხვევის თავის სასარგებლოდ გამოყენებისთვის შემოუსია თურქეთმა ხოჯები, რათა დამშეული მოსახლეობა გადაებირებინა, აჭარა მოეწყვიტა საქართველოსთვის და თავისი ტერიტორიისთვის მიიერთებინა. საკითხი კიდევ მეტად ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებამაც გაამწვავა. ჩვენს ხელისუფალთ მაშინ გამჭრიახი გონება რომ ჰქონოდათ, იქ რომ მთავრობის წარმომადგენელი გაეგზავნათ, მაშინ ხომ არ დავკარგავდით აღნიშნული ტერიტორიის ნაწილს. მიუხედავად თურქეთის მიერ დიდი მცდელობებისა, აჭარის მოსახლეობა არ უსმენდა და არაფრად აგ-

დებდა ხოჯების მიერ გავრცელებულ მოწოდებებს, რადგან მემედმა, ჰაიდარმა და პავლემ დროულად შეძლეს მშიერი მოსახლეობის შეჩერება. მათი თაოსნობით შეიქმნა სამუსლიმო სრულუფლებიანი პრეზიდიუმი, რომელიც აერთიანებდა მთელ ქართველ მუსლიმანურ მოსახლეობას და მათ შორის თურქეთსა და სპარსეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსაც. მემედი ჩაუდგა სათავეში პრეზიდიუმს და ფართო მასშტაბიან პროპაგანდას ეწეოდა აჭარლების მიმართ. პავლე ჟურნალისტური საქმეებით იყო დაკავებული, ცენტრალური გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკა“-ს მთავარი რედაქტორის თანამდებობა ეკავა. ცხოვრება თავად კარნახობდა ბარიერი როგორ გადაელახა, ალაგ-ალაგ სიმაღლისკენ მიმავალ ბილიკზე ღრუბელი როგორ გაერღვია, რათა მზის ჩახჩახა სხივებში გახვეულიყო ქვეყანა. მწვერვალის სიმაღლიდან ვარსკვლავებით დაჭორფლილი ცა, ქვემოთ კი, ია-ვარდებით მოფენილი და აყვავებული საქართველო დაენახა! მხარ-ბეჭებზე ხელგადახვეულნი, ომახიანი „რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ, მაინც დავრჩები ქართველი“-ო, სიმღერის ხმა გაეგონა.

თბილისში აჭარელი მოსახლეობის გადასარჩენად, რომლის ინიციატორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი პავლე გახლდათ, ჩამოყალიბდა საქველმოქმედო დამხმარე საზოგადოება, რომელიც ხალხის მიერ შემოწირულობებზე იყო დაფუძნებული. შემოწირული თანხებით იძენდნენ სურსათ-სანოვაგეს, ნავთს, საპონს, სასოფლო სამუშაო იარაღებს, წამლებს და ურიგებდნენ აჭარელ მოსახლეობას.

— მადლობა ღმერთს! — იძახდა მემედი, ბათუმში ჩასულ პავლეს მხრებზე ხელს უთათუნებდა და დაბალი ხმით ებაასებოდა.

— ხალხის სახეზე იმედისმომცემ შუქს ვამჩნევ. ამ საქმეს, მართლაც, კარგი პირი უჩანს, ჩემო კეთილო! შენ დუნია მოვლილ კაცს ჩემგან რა გესწავლება, თავადაც კარგად გესმის, რომ ეს მცირე დახმარებაც, თუ რაოდენ სიხარულსა და პატივისცემას სტოვებს გაჭირვებულ ხალხში! თუკი ვინმე მათ გულით რაიმეს მიაწოდებს ისინი მადლიერნი დარჩებიან, მცირედითაც იქნებიან კმაყოფილნი, თუ გამორჩენის სახით, იმ დახმარებაში სხვა რაიმე ეშმაკისეული ფიქრი თუ არაა ჩადებული...

— ვიმედოვნებ, შრომა უქმად არ ჩაგვივლის, მიხარია, რომ ადგილობრივი მაცხოვრებლები მშობლიურ მიწა-წყალს უბრუნდებიან, მიტოვებულ ცივ კერიებზე ცეცხლს ანთებენ, რუს გენერალ ლიახოვს გეგმას უფუშავენ, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა გაქცეული აჭარლების მამულებში რუსი ჯარისკაცები ჩაესახლებინა. ჩვენი სათესი მიწები, ეს მშვენიერი ტყეები მათთვის დაენაწილებინა.

მემედს უსიამოვნო ფიქრები ლამპის შუშაზე შემოხვეულ ღამის

პეპლებივით დაესია. სახის კანის ფერი შეეცვალა, სისხლი ყვრიმალებზე მოაწვა, თვალები წამოენთო გენერალს ლაზათიანად შეუკურთხა. მერე ნაღვლიანი თვალები პავლეს მიაპყრო და ისე დაამატა — მაპატიე, ღმერთმანი! არასამართლიანობა ისეთი რამ არის, რასაც მოთმინებიდან გამოჰყავს ადამანი, წონასწორობას აკარგვინებს, გულში ჩაგროვილ ნაღველს ზემოთ ამოგანთხევინებს და გაგმუხტავს ყოველგვარი ავი განზრახვისგან... მაგრამ სამშობლოს სიყვარული სულ სხვა ყოფილა, ჩემო პავლე! ჯერ სანამ სხეულში სული მიდგას, ვერავინ და ვერავითარი სიმდიდრე აზრს ვერ შემაცვლევინებს, მისი ძვირფასი სახელი გულიდან ამომგლიჯოს, ვერავინ შეძლებს ამას! — გაცეცხლებული მჯიღებს მკერდზე ირტყამდა, რომელიც მაგრად მოჭიმული დოლის ხმის ბგერებს გამოცემდა, ნერვიულობისგან დაჭმუჭნულ შუბლზე ჩამოცვენილი ოფლის წვეთები შემოდგომის ბუზებივით დახვეოდა და აუტანლად ტვინში უღიტინებდნენ.

პავლეს ის დღე გაახსენდა, როცა თურქეთის ხელისუფლებამ შესთავაზა მემედს შეექმნათ აჭარის ავტონომია, შესულიყვნენ თურქეთის მფარველობის ქვეშ. სანაცვლოდ მემედს ავტონომიაში პირველკაცობა ექნებოდა გარანტირებული. მაგრამ გულმხურვალე პატრიოტმა სასტიკი უარი განაცხადა, არ დაეთანხმა შეთავაზებულ წინადადებას. სავარძელსა და ასეთი ბინძური საქმით მოპოვებულ პირველკაცობას, სამშობლოს სიყვარული ანაცვალა და ასე ჩაუყარა საფუძველი აჭარის შენარჩუნებას. მოზღვავებული მტრების ენები სხვადასხვა სახის ჭორებს უვრცელებდნენ. ხალხის თვალში როგორმე ძირს დაეწიათ მისი და პრეზიდიუმის რეიტინგი, მაგრამ ღვთისგან მოვლენილ, პატრიოტული გრძნობით აღსავსე კაცს, ვერაფერს აკლებდნენ.

ეროვნული მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა ჩამოაყალიბა რეგალური ჯარი და ეროვნული პარლამენტი, რამიშვილმა პავლე მოიწვია წევრად, რომელშიდაც 130 დეპუტატი შედიოდა. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კონსტიტუცია, შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, კომისიას ხელმძღვანელობდა პავლე. პავლეს მოსწონდა რამიშვილის გადადგმული ნაბიჯი ჯარის შექმნის შესახებ. თუ გინდა დამოუკიდებლად იცხოვრო, აუცილებელია კარგად გაწვრთნილი ჯარი და განვითარებული სასოფლო მეურნეობა. საერთოდ, ყველა განვითარებული სახელმწიფოები ამ პრინციპებზე იყო აგებული. მათ მოამზადეს საკითხი სახელმწიფო ენად გამოცხადებულიყო ქართული და შეიტანეს პარლამენტში დასამტკიცებლად. როდესაც საქართველოში დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ საქმეებს აგვარებდნენ, რუსეთში იმ დროს სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. „ბოლშევიკებად“ და „მენშევიკებად“ ე. წ. „წითლებად“ და „თეთრებად“ დაყოფილი ქვეყ-

ანა ებრძოდა ერთიმეორეს. იმ არეულ-დარეულობამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დადებითი ის მოუტანა საქართველოს რომ შესძლო დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსის მოპოვება, რომელზედაც ჯერ კიდევ, 1832 წლის აჯანყების დღიდანვე იბრძოდა ჩვენი წინაპრები, სწორედ ასეთი დღის დადგომას ნატრობდა დიდი ილია, როცა „ივერიის“ ფურცლებზე გულიდან ამოძახილ სტრიქონებს აქვეყნებდა: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!“ ამას კიდევ აკაკის ჩიხურასავით მორაკრაკე სტრიქონიც ემატებოდა: „მოვა დრო და იმ ჯაჭვს გაწყვეტს, თავს აიშვებს გმირთაგმირი!...ო“კი მართალია, მეფის მმართველობა დაამხეს, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეცვლილა რუსეთში, იმპერია კვლავ იმპერიად დარჩა და სამწუხაროდ, ასე გრძელდება დღემდის...

ომი გრძელდებოდა, ორივე მხარე „წითლებიც“ და „თეთრებიც“ ცდილობდნენ საქართველო არ დაეკარგათ და ისევ დაეტოვებინათ რუსეთის შემადგენლობაში, თუ არა და შავი ზღვისპირეთის ტერიტორია, კერძოდ, აფხაზეთი მიეთვისებინათ მაინც. ჯერ კიდევ, მეფის მმართველობის დროს, მოახერხეს გუდაუთის ნაწილის ჩამოჭრა და მითვისება, ამას კიდევ, ალექსანდრე ოლდენბურგის ვირეშმაკობაც დაემატა, რომელიც განზრახ ცდილობდა გაგრაში კლიმატური სადგურის აშენებას, რათა აღნიშნულ ტერიტორიაზე, ადგილობრივ მაცხოვრებელ ქართველებზე მეტი რუსი ნაციის წარმომადგენლები ჩამოესახლებინა, აფხაზები ქართველების მიმართ აემხედრებინა და როგორც სეპარატისტებს სჩვეოდათ, ასეთი ბინძური ხერხით, წაეგლიჯათ ჩვენდამი ღვთისაგან ბოძებული ტერიტორია და ყუბანის ოლქისთვის მიეერთებინა.

ერთ-ერთ საშიშ ძალას „ბოლშევიკების“ წინააღმდეგ წარმოადგენდა „მენშევიკების“ წარმომადგენელი, გენერალი დენიკინი, რომელიც როსტოვისა და ყუბანელ კაზაკთა შემდგარი მებრძოლი არმიით აფხაზეთისკენ მოიწევდა. ქართველმა პოლიტიკოსებმა დროზე აუღეს ალღო მოახლოებულ საშიშროებას და შეეცადნენ როგორმე უმტკივნეულოდ აღმოეფხვრათ ქვეყნისთვის დადებული ცბიერი პოლიტიკური ხაფანგი. ამ მიზნით ნაციონალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ა. ჩხენკელი, გ. გვაზავა, ლ. მესხი, ნ. ქარცივაძე, და მათ შორის პავლე, შეხვდნენ აფხაზეთის დელეგაციას მ. შერვაშიძეს, მ.ემხვარს, ნ. ლაკომბას, დ.კობახიას. მოლაპარაკებამ თითქმის მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ სოხუმში უნდა ჩამოყალიბებულიყო აფხაზეთის სახალხო საბჭო, პავლე ძლიერ აღაშფოთა, ის წინააღმდეგი წავიდა. წარბები მრისხანედ შეარხია. — ეს შეუძლებელიაო, ბატონებო! — გაგულისებულმა განაცხადა. მას კარგად ესმოდა თუ

რას ნიშნავდა სახალხო საბჭო... ჩხენკელმა დააშოშმინა პავლე და წყნდარად განაცხადა: — ამ ეტაპზე ასე სჯობსო, ბატონო პავლე!.. მალე დადგება თქვენი სასურველი დრო, როდესაც მაგ საბჭო დაიშლება. — ბოლო წინადადება ყურში უჩურჩულა. აფხაზი მხარის წარმომადგენლებმა წამოაყენეს საკითხი, რომ საქართველოს მთავრობას შეექმნათ სოხუმის გუბერნია, ან აფხაზეთი ქუთაისის გუბერნიისთვის მიეწერათ, რათა განემტკიცებინათ ხელშეუხებლობა, რადგან ყუბანისა, ან სხვა რუსული გუბერნიისთვის არ მიეწერათ. ადგილობრივ სკოლებში სწავლება აფხაზურ და ქართულ ენებზე წარმართულიყო. სწორედ ეს იქნებოდა ურყევი აღმართული კედელი, რომელიც დაიცავდა ამ ულამაზეს კუთხეს გარეწარი სეპარატისტებისგან.

ფულისთვის სულგაყიდული სახელმწიფო მოხელეები სამხარეო კომისარი მარღანია და პოლკოვნიკი ჩხოტუა ხელმძღვანელობდნენ მრავალრიცხოვან ყაჩაღთა ბანდას, რომლებსაც რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფოების გავლენიანი პირები აფინანსებდნენ, რათა მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ მ.შერვაშიძე და მ.ემხვარი ხალხს არწმუნებდნენ, მარღანია და ჩხოტუა რუსეთისა და თურქეთის აგენტებია, მათ ინტერესებს ემსახურებიან და სამშობლოს ღალატობენო. მართლაც, ხალხმა ირწმუნა, არ აჰყვა ცრუ დაპირებებს და მათ მიერ ყაჩაღურ ქმედებებს, შეიძულეს ისინი, მათგან თავი შორს დაიჭირეს. მთავრობამ შეძლო ამ უხამსი ბანდის დაშლა, ბევრი მათგანი დააკავეს, ბრალი დასდეს სამშობლოს ღალატში, ამხილეს მათი კავშირი რუსეთისა და თურქეთის აგენტურასთან. მოიწვიეს სხდომა და მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთის საბჭოს დაშლის შესახებ. პავლემ იგრძნო, რომ უკვე დადგა ის სასურველი დრო, ჩხენკელმა რომ უთხრა სოხუმში ყოფნისას: — მალე დაიშლება მაგ აფხაზეთის საბჭოო, თითქოს ანგელოზის ხმა ჩაესმოდა ყურებში, მერე საკუთარ გულის ხმაურს მიაყურადა, დიდი ხანია ასეთი ხმაური აღარ სმენია.

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში კომისრად ბენია ჩხიკვიშვილის დანიშვნის შესახებ, რომლის ხელში გადავიდა მთელი მხარის ძალაუფლება, აგრეთვე სხდომაზე განიხილეს ავტონომიის აქტი, სადაც გარკვევით ეწერა, აფხაზეთი რჩებოდა როგორც საქართველოს განუყრელი ნაწილი. კონსტიტუციაში, რომლის თანაავტორი და კომისიის თავმჯდომარე პავლე გახლდათ ეს მუხლი ასე ჩაიწერა, მაგრამ სისხლი მაინც დაიღვარა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას ვერ შეეგუენ აფხაზი, უფრო სწორად რუსი სეპარატისტები, ისინი კვლავ მოითხოვდნენ შეექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული, საქართველოსთან დაემყარებინათ კეთილმეზობლური თანასწორუფლებიანობა, რომლებსაც მხარს უჭერდნენ „ბოლშე-

ვიკები“. ისევ აირ-დაირია ქვეყანა, ისევ შემოიყვანეს აფხაზეთში მებრძოლი კუბანელი კაზაკები. ამ განუყრელმა წითელი არმიის შენაკადმა დასძლია ქართველთა გვარდიის შენაერთს და შემოიჭრნენ სოხუმში. მაგრამ არც ისე იოლი აღმოჩნდა ქართველი კაცის დამორჩილება. ქართველთა სახეზე გამარჯვების ბრწყინვალე შუქი არ ჩამქრალა! კვლავ გადმოგვხედა უფალმა მწყალობელი თვალით, ისევ მოგვივლინა მხსნელად პატრიოტი გენერლები: გრიგოლ მაზნიაშვილი და გიორგი კვინიტაძე, რომლებმაც შესძლეს იმ წითელი არმიის ნაწილის დამარცხება, ჩვენი მიწა-წყლიდან მათი განდევნა და ტუაფსამდე წანაგლეჯი ტერიტორიების განთავისუფლება. ცოტათი გულზე მოეშვა პავლეს. მამაცი გენერლების თავმოყვარეობის გრძნობა სიმხნევეს მატებდა, საწერ მაგიდას მიუჯდა, გულისყურით გადაათვალიერა გაზეთში დასაბეჭდად გამზადებული სტაცია „ერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები საშიშროება გველოდება — იუწყებოდა სტატიის ავტორი — სამთავრობო უწყებიდან გამოჟონა, თითქოს თურქეთიდან გამოძუებული სომხების ჩამოსახლებას ფიქრობდნენ საქართველოში ზოგიერთი ვაი-პოლიტიკოსები“. აბზაცი ხელმეორედ გადაიკითხა წუთით შეჩერდა, კალამი ქაღალდზე აათამაშა, მაგრამ ისევ გადაიფიქრა, კალამი სამელნეში ჩააწო, სტატიას ხელი მოაწერა და სტამბაში ჩასაშვებ წასაღებ მასალებს შეურია. მერე მაგიდის უჯრა გამოაღო, დაუმთავრებელი წერილი ამოიღო და წერა განაგრძო. კაბინეტში მარტოდ იჯდა, ხელს არავინ უშლიდა. წერილი თეირანში მცხოვრებ, შაჰ-აბაზის მიერ ძალით გადასახლებულ ქართველებს ეხებოდა. ბოლო დროს ხშირად მოგზაურობდა სპარსეთში, ხვდებოდა თანამემამულეებს, იწვევდა საქართველოში. სათანადო წიგნებს სცემდა, რა თქმა უნდა, ქართულ ენაზე და ურიგებდა თანამოძმეებს, ქართული სამუსლიმო სრულუფლებიანი პრეზიდიუმიც დიდ პროპაგანდას უწევდა ყველა იქ მცხოვრებს, რაც მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების დამსახურებაც იყო. „ისე სასწაულის მოხდენა რომ შეგვეძლოს, პავლე ჩემო, ოსმალეთსა და ფერეიდანელი ქართველების ჩვენს მხარეზე შემოტრიალება რომ დაუშვას განგებამ, ჰო, მაშინ კი მართლა მოხდებოდა სასწაული? მაშინ ასე ადვილად ვეღარ წამოგვარტყამდნენ თავში ხელს“, — აბაშიძეებთან საუბარი გაახსენდა პავლეს. კალამი გვერდზე გადადო, ფიქრის მორევში გადაეშვა. „თუ დამოუკიდებლობა გვეღირსდა, მაშინ მართლა შეიძლება ამ საკითხზე ფიქრი. კაცობრიობის ისტორიაში ნაკლებად მომხდარა მსგავსი შემთხვევები? უცხო ქვეყანაში მცხოვრებ ხალხს, თავიანთი ენა, დამწერლობა და ტრადიციები ასე შეენარჩუნებინოს? იქნებ ღმერთმა ინებოს და მართლაც საქართველოსკენ შემობრუნდნენ? ჩვენც უნდა ვეცადოთ, ისე უნდა წავმართოთ ჩვენი პოლიტიკა,

მთელ ჩემს ძალ-ღონეს არ დავიშურებ, იქნებ, როგორმე ის ღირსება და სივაჟკაცე დავუბრუნო, რაც მათ გენებში და გულებშია იმ ავი დროისგან მიძინებული... იქნებ გვეშველოს? — ჩაესმა თავისივე მეორე მე-ს ხმა. — იქნებ, დადგეს ის ნანატრი დრო თურქეთს მოუწიოს პასუხის გაცემა მსოფლიო საერთაშორისო სამართლიანი ქვეყნების წინაშე, არაკანონიერი მიტაცებული ტერიტორიების შესახებ? იქნებ, მათი გადაწყვეტილებით ხელი ააღებინონ სხვისგან გამოძალულ ქონებაზე! ვინ იცის?.. დრო მიდის, ეცვლება აზროვნება ადამიანს! ზოგჯერ გუშინდელი ნამოქმედარი დღეს არასწორად ეჩვენება, ხდება პირიქითაც. აი, თუ გნებავთ მოულოდნელად სულ ცოტა ხნის წინ, რამხელა სასწაული მოხდა, როგორ მოვიგერიეთ აფხაზეთში შემოსეული ოკუპანტები? როგორ გავრეკეთ და ჩვენი ძირძველი ქვეყნის სამანი ტუაფსამდე გადავწიეთ. ხომ შეიძლება, მსგავსი მაგალითი თურქეთის მიმართაც განმეორდეს და უკან დავიბრუნოთ ჩვენი ქვეყნის განუყრელი ნაწილი... ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად მოხდება! ო, ღმერთო, შენი შესაძლებლობა მომცა — ინატრა, გულზე ისევ სევდა მოაწვა, — ჰო, მაშინ, მაშინ კი“...

ფიქრი გაუწყდა. გამოერკვა. ტასიკო გაახსენდა, საღამოს უნდა შეხვედროდა, ახალგაზრდა ქალს სიტყვა მისცა შემოდგომით ცოლად შეგირთავო, დანაპირების სისრულეში მოყვანამდე სამი-ოთხი თვე იყო დარჩენილი. უმცროსმა ძმამ ლადიკომ აჯობა უფროსებს და დაოჯახდა. ლადიკო ბავშვობიდანვე დროს ეშურებოდა, კაცი ოცდახუთის წლის რომ გახდება უნდა დაცოლშვილდესო. უფროსი ძმა ვარლამი საწინააღმდეგოს არაფერს ეუბნებოდა, კოხტად დაყენებულ ულვაშის ბოლოებს ცერა და საჩვენებელი თითებით იგრეხდა, რაც დასტურისა და სიხარულის გამომხატველი ნიშანი იყო. პავლემ უხმაუროდ ვერ შეძლო გულში დაემალა სიხარული. მარჯვენა წარბი მაღლა ასწია და ოდნავ აწეული ტონით მიმართა: — ნება შენია, სახლიკაცო!.. ჩვენ ყველანი მოხარულები ვართ და ვუერთდებით შენს მიერ გადადმულ ნაბიჯს. ვიზიარებთ შენს დიდ სიხარულს...

ისევ გაიშალა საუკუნოვანი მუხების ქვეშ საქორწილო სუფრა, თვალებში სიხარულის ცრემლები ერეოდათ დათასა და მარიამს, როგორც იქნა დადგა საშველი და დარჩენილი ოთხი უცოლშვილო შვილებიდან ერთ-ერთმა მაინც შეამცირა სათვალავი. ქორწილი საქარაში გადაიხადეს. ისევ ერთად შეიკრიბა უამრავი ხალხი. გაიწელა, აჭყვიტინდა გარმონი, აბრახუნდა დოლი და მოედო სოფელს „ვისია, ვისია ქალი ლამაზი“-ს მომაჯადოებელი ჰანგები. ლადიკომ ცოლად შეირთო ხაშურელი ეკატერინა არდიშვილი, რუსული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე პედაგოგი.

სიმონიკა ახალი ჩამოსული იყო ოდესიდან სწავლის კურსი დაასრულა თუ არა, საქართველოში ცხოვრება არჩია და ჩანაფიქრიც უმალვე დაიკმაყოფილა, ამით მარტოდმყოფი ქვრივი დედის გულიც მოიგო და, რაც მთავარია, დროზე ჩამოშორდა ტყვიის კვამლში გახვეულ რუსეთს. თუმცა არც სამშობლო დახვედრია უკეთეს დღეში მყოფი, მაგრამ უცხო ქვეყნის სამსახურს, სამშობლოში დაბრუნება არჩია. „გაცილებით უკეთესია ჩემი ცოდნა, ჩემს ხალხს მოვახმარო, ვიდრე სხვას“. ფიქრობდა ახალგაზრდა თეთრ გვარდიელთა ოფიცერი მიხვრა-მოხვრაზე ეტყობოდა, სამხედრო საქმის უბადლო პროფესიონალი რომ იყო. თეთრი, წელში გამოყვანილი სამხრეებიანი ოფიცრის ვარსკვლავებით გაწყობილი კიტელი უხდებოდა. ქერა, თხელი თმა და მაღალი შუბლი ინტელიგენტურ იერს მატებდა. ვერცხლის წყალივით დასტრიალებდა მაგიდებს შორის და გასათხოვარი გოგონების მოწონებას იმსახურებდა. სწორედ ამ ქორწილში მოხდა ხუთი წლის შემდეგ სიმონიკასა და პავლეს შეხვედრა. ამ ხნის განმავლობაში ბიძაშვილები საგრძნობლად შეცვლილიყვნენ, როგორც ფიზიკურად, ასევე აზროვნებითაც. სხვანაირი შეგრძნებით შეიგრძნობდნენ სამყაროს, რაც გარდაუვალია. იქნებ თავადაც სურდათ ისეთი ჟინიანები ყოფილიყვნენ, როგორიც ხუთი წლის წინათ, ან თუ გნებავთ, ადრე ბავშვობაში რომ იყვნენ, მაგრამ ცხოვრება წინ მიიწევდა და არ აძლევდა ამის საშუალებას. რაც მთავარია, ორთავეს შემორჩათ მიღწეულით არდაკმაყოფილების გრძნობა. ბრძოლა და მხოლოდ ბრძოლა ახალი სიმაღლეების დასაპყრობად. ისე როგორც შეუპოვარ მთასვლელს უჩნდება ხოლმე დაპყრობილი მწვერვალის შემდეგ, კიდევ უფრო მეტ სიმაღლეზე აცოცდეს, რათა თავისი ნიჭი და უნარი კიდევ უფრო წარმოაჩინოს...

სიმონიკა ექიმობაზე ოცნებობდა. კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ გაუჩნდა სურვილი მედიკი გამხდარიყო. კარგად ფლობდა ფილოსოფიას, მათემატიკას, ლიტერატურას, ისტორიას, რიტორიკას, რუსულ და ფრანგულ ენებს. იყო შესანიშნავი მოჯირითე, ჯიუ-ჯიუცის ხელოვნების მცოდნე, კარგი მოფარიკავე და მსროლელი, ტყვიას ტყვიაში აჯენდა. ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად თბილისს მიაშურა.

ზაფხულის ცხელი ქორწინების პირველი თვეები საქარაში გაატარეს ლადიკომ და ეკატერინამ. ამ ხანმოკლე დროის მონაკვეთში მოხდა დაახლოება დედამთილ-მამამთილთან, უფროს მაზლთან ვანოსთან და ცაბუასთან. ქორწინების პირველი დღიდანვე დაადგეს კეთილი თვალი ახალ რძალს და ცდილობდნენ, ასეთი სიამტკბილობით გაეტარებინათ თავიანთი ცხოვრება. ოჯახში ძველ და ახალ თაო-

ბებს შორის მეგობრული დამოკიდებულება სუფევდა. ლაზათიანად უყვარდათ ჩაცმა-დახურვა, სმა-ჭამა, კარგად ესმოდათ გემრიელი ლუკმის ფასი, ხშირად სტუმრებით ივსებოდა აივანი, იმართებოდა საუბრები ლიტერატურაზე, ისტორიაზე, რწმენაზე და სამყაროზე. იშლებოდა სუფრა, შეზარხოშებულები დათაფლულ ენაზე ისე საამურად მღეროდნენ, ყური უკეთეს რას გაიგონებდა. უწევდა ეკატერინას სალოცავ ოთახში ხატის წინ, დღეში შვიდჯერ ლოცვის წაკითხვა. მიუხედავად იმისა, რომ ის პედაგოგი გახლდათ, ღმერთისთვის არ უღალატნია.

ლადიკოსთან ერთად ერთ უღელში შებმული, რწმენით ეწეოდა ჭაპანს და ცდილობდა თავისი გასატანი წილი ბოლომდე ნაყოფიერად გაეტანა. ლადიკოც ცდილობდა წონასწორობა არ დაეკარგა, რათა კვალიდან არ ამოეგდო გუთანი. უფროსი მაზლიშვილები ფეფიკო და თინიკა გვერდიდან არ შორდებოდნენ. მომხიბვლელი გოგონები იმ დროს თბილისში გიმნაზიაში სწავლობდნენ და ეკატერინესთან ცხოვრობდნენ. დებს, რუსული ენის ცოდნაში ეხმარებოდა, არც დათიკოს ტოვებდა უყურადღებოდ, ჩვეული ჯანსაღიანი ღიმილით თავს აყვარებდა ჭაბუკ ახალგაზრდებს და ყველა გარშემომყოფთ...

ყოველ ცისმარე დილით, აივანზე გამოსული ეკატერინა, ამომავალ მზეს ღმერთის თვალივით შეციცინებდა, ის ნაზი, თბილი სხივები დიდ ბედნიერებას ანიჭებდა, თავადაც დადებითი ენერგიით ივსებოდა, შემდეგ რომ დახარჯულიყო და მზესავით თბილი ბედნიერება მეუღლისთვის მიენიჭებინა!..

ხალისიანად გამოიყურებოდნენ ასწლოვანი, დაკოჟრილი მუხები. კვლავინდებურად ტოტებგაშლილი, დარაჯებივით იდგნენ შემართულნი. ქარში დარწეული ტოტები საცეკვაოდ გამოსულ ნეფე-დედოფალს მიუგავდათ, ნეფეს მთვარე სვანური ქუდივით თავზე ეხურა და უძირო ლურჯ ცაში აქეთ-იქით აკატუნებდა. აივანზე იდგნენ რძლები ცაბუ და ეკატერინა, მსხვილი ნაწნავები უხდებოდათ. დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვათ, ლერწმებივით ტანზე გრძელი ხალათები ემოსათ. ზოგჯერ ცუცუნაც უერთდებოდა ძაძებით შემოსილი. ნინას სიკვდილის შემდეგ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, იშვიათად თუ ვინმეს ენახვებოდა. სიმონიკას ჩამოსვლამ შეუცვალა ცხოვრების ნირი და ამ ქვეყნისკენ შემოაბრუნა. ორი შვილიშვილი ნელი და მარგო ნადირაძეები, მალამოსავით უშუშებდა ჭრილობას როცა ბებიამ ფუნჩულა შვილიშვილები აიტაცა და მკერდზე მიიკრა, მეტი სიცოცხლე დაეტყო, გამხნევდა და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ღმერთის საუფლოში თეთრი გედივით დაცურავდა. მშვენიერი თამარი და კოლაუ სათანადო ყურადღებას აქცევდნენ ცუცუნას ზამთრობით თან

წაიყვანდნენ ხოლმე, თბილად გამოაზამთრებდნენ, ზაფხულობით ისევ საქარაში ბრუნდებოდა მარიამი და ცაბუ ენაცვლებოდა მათ. ღვთის მადლით საჭმელ-სასმელი არ აკლდა, რა მოხდებოდა იმ დალოცვილს არც ქმარ-შვილი დაეკლო და სიცოცხლე ასე არ მოეშხამა.

მაზრაში განთქმული ექიმი ვარლამ საყვარელიძე წამლების ჩამოსატანად ხარკოვში გაემგზავრა. სამ ქართველ კოლეგასთან ერთად რკინიგზის სამმართველოდან სპეცვაგონი დაიქირავეს, და დაადგნენ შორეულ გზას. ხარკოვი მაშინ უკრაინის დედაქალაქი იყო, როგორც მოგეხსენებათ, ვარლამს იქ ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება, ნაცნობები საკმაოდ ჰყავდა, ყოფილი თანაკურსელებიც იქ ცხოვრობდნენ, სხვადასხვა დაწესებულებებში მსახურობდნენ და სახელმწიფო ჩინოვნიკებიც იყვნენ. ექიმს გადაწყვეტილი ჰქონდა ქველმოქმედება გამოეჩინა თავისი ქვეყნის წინაშე, გაჭირვების ჟამს გვერდით დადგომოდა სიდუხჭირეში ჩავარდნილ მოსახლეობას და აგრეთვე ქართველ სამუსლიმო სრულუფლებიან პრეზიდიუმისთვისაც გაეწია დახმარება. წამლები უსასყიდლოდ გადაეცა, თავისი წვლილი შეეტანა მოძმე აჭარლების გამოჯანმრთელებაში. სადგურამდე შინაურებმა მიაცილეს, ვიდრე მატარებელი დაიძვრებოდა, ახლობლების შუაში იდგა. უჭირდათ დაშორება, თავადაც ვერ გარკვეულიყო გულში შეპარული ნაღველი ტანჯავდა. ასე იოლად ვერ თმობდა მოყვასთ. შინაგანი მეორე მე შინ დაბრუნებას კარნახობდა: „ასეთ არეულობის დროს არ ღირს სახლიდან ფეხის გადგმაო“. მერე ეჭვიც შეეპარა, შეიძლება უსიამოდ დამთავრებულიყო წამოწყებული საქმე. რომელიმე მათგანს აზრად რომ მოსვლოდა და ხმამაღლა განეცხადებინა მის გულში ჩაბუდებული ეჭვი, დაუფიქრებლად უკან დაიხევდა. მაგრამ მსგავსი რომ არაფერი არ თქმულა და გულშიც არ გაუვლიათ. მერე ისევ გონს მოეგო, თავი უხერხულად იგრძნო, საგანგებოდ შეათვალიერა ყველანი. „ნეტავ იმ დროსო“, — გაუელვა. თვალწინ ბავშვობის წლები დაუდგა, გიმნაზიაში გამგზავრების წინ, მარიამი ლოყაზე რომ კოცნიდა, თვითონაც ეკვროდა ხოლმე დედის თბილ მკერდს და სველ თვალის უპეების ჩუმად იწმენდდა. რცხვენოდა არავის დაენახა განშორების ჟამს ჩამოვარდნილი კურცხალი, მაგრამ დედის მგრძნობიარე გულს რას გამოაპარებდა, მარიამი ყველაფერს კარგად ხედავდა და გრძნობდა. მატარებელი დაიძრა, ორთქლმავალმა ერთი ღონივრად ამოიხვნეშა და ისე ხრინწიანად შეჰკივლა, ბაქანზე მდგარმა ცხენმა შიშმორეული თვალები გარშემომყოფთ მოავლო, წინა ფეხები ააბაკუნა, თავი წამოწია, ხაოიანი დრუნჩი დათას მხრებს შეახო და დაბნეულად ჩაიხიხვინა, ერთგული არსება თითქოს თხოვდა დროზე მორჩი, ამ ოხერი მაზუთიან შპალების სუნსა და ამ ჯოჯოხეთურ ხმაურს მომაშორეო. ძმები

ვაგონს აედევნენ, ბორბლები ბზინვარე რელსებზე ამოძრავდნენ და თანმიმდევრულად არახრახდნენ. ვარლამი ვაგონის ღია კართან გამ-ცილებელთან ერთად იდგა, ნახევრად არ ესმოდა რას ეუბნებოდნენ, მხოლოდ მათ გაოფლიანებულ სახეებს შეცქეროდა, გული წყდებოდა, მღელვარებისგან ლოყებზე მოწოლილი სისხლით სახე ეწვოდა. ფეხი არ მოუცვლია, ვერც გამცილებლის თხოვნამ გაჭრა, ვიდრე თვალ-საწიერი მიუწვდებოდა კუპეში არ შესულა, იმავე ადგილას იდგა და ხელებს იქნევდა.

ის ღამე თეთრად გაათენეს დათამ და მარიამმა, დედის გული გუ-მანით მოახლოებულ რაღაც დიდ საშინელ უბედურებას გრძნობდა, ერთმანეთისთვის გული რომ არ ეტკინებინათ, ხმამაღლა არაფერს ამბობდნენ. — ღმერთო მაღალო, შენ დაიფარე ჩვენი შვილი ყოველი ხიფათისაგანო. — ჩუმად ჩურჩულებდნენ. საძინებელში ცხელოდა, აივანზე გამოვიდნენ. მთვარის შუქზე ხელისგულივით ჩანდა შუაღამე-ში ჩაფლული კოინდრიანი ეზო, მოშრიალე მუხების უზარმაზარ ჩრდილში წამოგორებული ძაღლი. ძაღლმა ხმაურზე ყურები ცქვიტა, უმალვე წამოხტა და მზერა აივნისკენ მიაპყრო, ყრუდ შეჰყეფა. იცნო თუ არა დათა და მარიამი, შურდულივით გავარდა, მოაჯირს გადაევ-ლო და დათას ფეხებში ჩაუგორდა. დათამ დაუყვავა, გრძელი თითებით შუბლზე მიუალერსა. მარიამმა ძაღლი დატუქსა — რას დაბრახუნობ ამ უადროო დროსო, შე მგლის კერძო, ცოტა ხმაურს მეორიდე, მძინარე ხალხი არ გამიღვიძოო! — მერე ვარსკვლავებივით დაჭორფლილ ცას ახედა. სწორედ იმ დროს, ერთ-ერთი მათგანი ღილივით ააწყდა ზეცას, საოცარი სისწრაფით დაბლა დაეშვა, აივნის ამოსასვლელ კიბემდე ვე-ღარ ჩამოაღწია, ჰაერშივე გაუჩინარდა. მარიამს მწარე შეგრძნებამ დაუარა ძვალ-რბილში, წუთით გაირინდა და ისე შეყოვნდა, ცისთვის მიპყრობილი თვალი აღარ მოუშორებია. მოაჯირზე ჩამოეყრდნო, თავი მკლავებში ჩარგო, გონებაში ვარლამის სახე წარმოუდგა, მატარებლის კართან მდგარი გამხდარი ხელებით შვილის მხრებს რომ ჩააფრინდა და ვაგონიდან ცდილობდა ჩამოეყვანა, მაგრამ ვერ ახერხებდა, ძალა არ ჰყოფნიდა — „კეთილ ნებას ვერ მიაღწევ ქმედების გარეშე, უმოქმ-ედობა ცარიელი ოცნებაა და მეტი არაფერი! ცხოვრებაში არავის შეუ-ძლია გაექცეს მარცხს, მაგრამ თუ გსურს გაიმარჯვო, უნდა დასძლიო და გადალახო შიში“... — მკაფიოდ ჩაესმა ვარლამის ხმა. ამ ხმამ ნაპერ-წკალივით გაუელვა, მერე ნელ-ნელა მოძლიერდა, სხეულში ენერგიის მოზღვავება იგრძნო, თავი ასწია და დათას გახედა. დათა წინ და უკან დააბოტებდა, ორივე ხელი უკანა წელზე შემოედო და ცდილობდა უსი-ამოვნო ფიქრებისგან განთავისუფლებულიყო. საკუთარი თავი დაერ-წმუნებინა, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, ვარლამი უნებლიედ,

მშვიდობიანად დაუბრუნდებოდა ოჯახს. თავისი თავის დარწმუნება კი შეძლო, მაგრამ მარიამს მაინც არ დაადგა საშველი. ვერაფერი მოუხერხა. დედის დანისლულ გულს შვილის მიმართ გაჩენილი დარდი ვერ ჩამოაშორა. თავადაც ცდილობდა მარიამი, როგორმე გამოეხსნა თავი იმ საშინელებიდან, მაგრამ როგორც კი, ის პატარა ღილისოდენა, ცაზე მომწყდარი ვარსკვლავი გაახსენდებოდა, უფრო ღრმად ეხვეოდა გამოუვალი ლაბირინთის ქსელში.

დათას რწმენით ეჭირა თავი, გონებაამღვრეულობას გაურბოდა, ლოგიკურად მსჯელობდა და ისე წყვეტდა ამა თუ იმ საკითხს. ის ღვთის მსახური კაცი იყო და კაგრად ესმოდა ღვთის გარეშე არაფერი ხდებოდა ამ ქვეყანაზე. ის მხოლოდ ერთს ევედრებოდა: — „მოგზაური ანგელოზი მოუვლინე მონასა შენსა ვარლამს მფარველად, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მრავალმოწყალე“. — ჩაჩოქილს ხატის წინ თვალები კვლავინდებურად ცეცხლოვანი შუქით უბრწყინავდა.

დღეები დღეებს ცვლიდნენ, კვირეებიც ჩამოიმარცვლენ, ჩამიჩუმი არ ისმოდა ვარლამისგან. თემშარაზე ყურებით თვალები ამოუღამდა მარიამს. არც მაზრაში მცხოვრებლები აღმოჩენილან უკეთეს დღეში, ექიმის მოლოდინში ემოციებს ვერ მალავდნენ, მაზრის უფროსს არ ასვენებდნენ — იქნებ რამე იღონოთ ჩვენი საყვარელი მკურნალის ასავალ-დასავალი დაადგინოთო.

— მე რა შემიძლია, ხალხო?! — ცხარობდა ვანო, — თქვენზე ნაკლებად ხომ არ შემტკივა გული, საკუთარ ძმაზე!.. მე არაფერს ვიშურებ, ღმერთმანი, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ შემწევსო!.. რაც დრო გადიოდა მღელვარება უფრო მატულობდა, ოჯახი და საზოგადოება ცდილობდა სიჩუმის მიზეზი დაედგინა, ბევრი ეცადა პავლე, მაგრამ ვერაფერი შეცვალა, მთავრობაში ამ საკითხზე არაფერს გამოუჟონავს. ერთ მშვენიერ დღეს, ვანოსთან საქარაში, გამოცხადდა ვინმე ურუშაძე, რომელმაც განაცხადა: ხარკოვიდან საქართველოში მომავალი მატარებელი მებრძოლი ჯგუფის წევრებს არმავირში გაუჩერებიათ, გაუძარცვავთ, მგზავრები დაუხვრიტავთ, საერთო დიდ საფლავში ჩაუყრიათ და დაუმარხიათ. ურუშაძეს მოუხერხებია გაქცევა, ვარლამსაც დაუღწევია თავი იმ არამზადებისგან, მაგრამ გადმოხტომის დროს ფეხი უღრძვია და ისევ შეუპყრიათ.

მწუხარების კვალმა გადაკრა სახეზე მარიამს, სასოწარკვეთილმა ერთი ღონივრად შეჰკივლა და უგონოდ ჩაიკეცა, როგორც იქნა მოაბრუნეს, მაგრამ ვერავითარი სანუგეშო სიტყვებით ვერ შეძლეს დამშვიდება. უბედური, ძაძებით შემოსილი, იმწუთშივე საგრძნობლად ჩამობერდა, ერთ დროს ტანადი და სილამაზით განთქმული ჯაფარიძეების შთამომავალი, ყვრიმალებჩავარდნილ ღრმად მოხუც

ქალად იქცა... ნუგეშის საცემად მოსული მეზობლები შეშფოთებულნი შეჰყურებდნენ, სიბრალულით თავებჩაქინდრულები იწყევლებოდნენ, ვერ წარმოედგინათ ვარლამის სიკვდილი და ვერც ისეთი ადამიანი, ვინც მის მიმართ სასიკვდილოდ ხელს აღმართავდა. მოზრდილი სურათი დაახატვინა ვანომ ძმის სამახსოვროდ, სურათში ოქროსღილებიანი, მოლურჯო ფერის ფორმა ემოსა, ზემოთ აწკეპილი ულვაშებითა და ახოვანი მკერდით თვალს სტაცებდა მნახველს. მარჯვენა მხარეს, ფორმის ჯიბესთან, წითელი ვარდების თაიგული დაეხატა მხატვარს, რათა უფრო ნათლად წარმოეჩინა, მისი აღაჟღაჟებული ვარდისფერი სახე. სურათი იმ ოთახში დაკიდეს, სადაც ბავშვობა ჰქონდა გატარებული. სურათის ქვემოთ მაგიდაზე მარმარილოს დაფაზე ვანოს მიერ დაწერილი ლექსი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრეს ნეკროლოგად:

„უმეცარმა დრომ დაგიმსხვრია სიცოცხლე ნაზი
შორს ვერაგულად დაგასამარა,
მაგრამ მკაცრი დროება ვერ დაგვავიწყებს
შენს სპეტაკ სახეს,
და წარმავალი საწუთროება
გულში ვერ წაშლის შენ დიდებულ სახელს“...

ექიმი ვარლამ დავითის ძე საყვარელიძე.
/1880-1918 წელი/

ბოლომდე გაშლა არ დააცალეს, უიღბლო ყვავილივით გაფურჩქვნის ჟამს ძირში მიაწყვიტეს, იქნებ ამიტომაც მიახატა მხატვარმა ნახევრად გაშლილი ყვავილების ფურცლები მარჯვენა მხარის მუნდირზე გულის ჯიბესთან, ვინ იცის?.. სულ რაღაც ოცდათვრამეტი წელი გაატარა ამ ცოდვიან დედამიწაზე. გაჭირვებული ხალხის ქომაგი იყო, თავისი მოქმედებით კეთილი ნება ჰყო და სული მისი უცოდველად დაუბრუნდა მამაზეციერს...

17

ქართული უნივერსიტეტის გახსნა ერთადერთი მყარი საფუძველი გახდა ჩვენი სახელმწიფოებრივი გამყარებისა. უნივერსიტეტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა აკურთხა და თან დალოცა, მთავარი ფუძემდებელი, დიდი პატრიოტი და ისტორიკოსი, სულმნათი ივანე ჯავახიშვილი. მწერალთა და თეატრალურთა კულტურულმა კავშირებმა, სადაც დიდი წვლილი მიუძღვოდათ, კოტე მაყაშვილს, ტიციან ტაბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, პაოლო იაშვილს, შალვა დადიანსა და ვალერიან გუნუას, ხელი შეუწყო თბილისში ქართველი მოსახლეობის მომრავლებას. რამდენადაც

საოცრად არ უნდა გეჩვენოთ, იმ დროისთვის დედაქალაქში ქართველ მაცხოვრებელთა რაოდენობა ძალიან მწირი იყო. სხვა რჯულის წარმომადგენლებთან შედარებით ყველაზე ნაკლები, რიცხობრივად ისინი გვჭარბობდნენ. კულტკავშირების გაფართოებამ კულტურულ ცენტრად აქცია თბილისი. რუსთაველის თეატრის მიწისქვეშა სარდაფში გახსნეს კაფე „ქიმერიონი“ და ახალგაზრდა მწერლების თავშესაყრელი კლუბი, სადაც იმართებოდა ლიტერატურული საღამოები და მხატვრულ ნაწარმოებთა განხილვა-შეფასებები. თეატრალურ სფეროში ჩამოყალიბდა, თეატრალურ მოგზაურთა დასი, რომელსაც სათავეში ედგნენ შალვა დადიანი და ვალერიან გუნია. მოგზაური თეატრი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მართავდნენ სპექტაკლებს, რომლის თემა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლა იყო. ქართული უნივერსიტეტის კედლებში კი პატრიოტი პროფესორ-მასწავლებლები სულს ისე უწვართავდნენ სტუდენტ-ახალგაზრდობას, რაც ტრადიციულად მოსდევდა ქართველ ერს, - ბრძოლა თავისუფლებისათვის, ბრძოლა დაკარგული ღირსების აღსადგენად!

ვალერიან გუნიამ თხოვნით მიმართა ცენტრალურ მთავრობას დახმარება გაეწია თეატრებისთვის, რაიმე სახსარი გამოენახა, განადგურებას რომ გადარჩენოდა კულტურული სამჭედლო და აგრეთვე დასვა საკითხი თეატრებისთვის სახელმწიფოს სტატუსის მინიჭებისა. დამფუძნებელმა კრებამ ყურად იღო გუნიას მოთხოვნა, გამოყო სპეციალური კომისია პავლე საყვარელიძის მეთაურობით. პავლეს დაევალა მოემზადებინა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, პავლე პარალელურად საგამომცემლო საქმესაც თავკაცობდა, სცემდა სხვადასხვა ნაწარმოებებს, დედაენას ფერეიდანსა და ოსმალეთში მაცხოვრებელ თანამემამულეებისთვის. თავადაც მოგზაურობდა, ისინიც ჩამოჰყავდა საქართველოში. ასე ცდილობდა გაეღვივებინა მათში ის ჩანავლული ნაპერწკალი, რომელიც, მადლობა ღმერთს, მთლად არ ჩამწვარიყო და ჩაბჟუტულიყო. განათლების მინისტრმა გრიგოლ ლასხიშვილმა პარლამენტს მიაღებინა გადაწყვეტილება ახლად გახსნილი უნივერსიტეტისათვის მიენიჭებინათ სახელმწიფოებრივი სტატუსი, რაც უყოყმანოდ მიიღეს და დაამტკიცეს.

1919 წლის მარტის დასასრულს შედგა დამფუძნებელთა კრების სხდომა. კრებამ მთავრობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია დაასახელა... ამრიგად, ჟორდანია გახდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პირი. „ქართველი ერი იქნა გამოთიშული თავისი სამიათასი წლის ისტორიული საფძვლიდან და ძალით გადაყვანილი მისთვის სრულიად უცნობ ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფუძველზე. საქართველო მთელი თავისი არსებობის მანძილზე ეწეოდა ბრძოლას

თავისუფლებისათვის, მუდმივ თავის დაცვას და თავისი ისტორიული გზის შენახვას. აი ეს გზა ახლა გაწყვეტილია, ძალით გადაყვანილია სხვა ერის ძველ გზაზე და მის წინაშე დგას დიდი ამოცანა: შეინახოს თავისი თავი, თავისი სული და აზროვნება, ის ვერ მიიღებს, არ მიიღებს სახელმწიფოს, ისიც უცხოს, მასზე გაბატონებულს, მის მონამორჩილად, მის ჯოგად გადაქცევას. ის არ შერიგებია მონგოლთა გაბატონებას საუკუნეთა განმავლობაში, ის მუდამ იყო და რჩებოდა თავის საზოგადოებრივ ნიადაგზე, თავის მოქმედების ბატონ-პატრონად“. — განაცხადა სიტყვით გამოსვლისას, ახლად არჩეულმა მთავრობის თავმჯდომარემ. ჟორდანიამ კარგად იცოდა რუსეთთან მეგობრული კავშირით უნდა დაეწყო თავისი მოღვაწეობა, სათავეში მოსვლისთანავე გადაწყვიტა ხელშეკრულება დაედო ჩრდილოელ მეზობელთან, რომ რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მოლაპარაკებაზე მოსკოვში ლენინთან ჩავიდნენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები გრიგოლ ურატაძის მეთაურობით. ამიერკავკასიის სახელმწიფოებიდან აზერბაიჯანი და სასომხეთი იმ დროს, სოციალისტური რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა და ორთავე ქვეყანაში დამყარებული იყო საბჭოთა დიქტატურა. ასეთივე ბედი ემუქრებოდა საქართველოსაც, ნებით თუ არა, ძალით ასე უნდა მომხდარიყო, როგორც კი საამისო დრო დადგებოდა. ლენინმა მმართველ ბოლშევიკთა პარტიას ევროპის ქვეყნების თვალში იმიჯი რომ არ შელახვოდა, თავადაც პარტიის ლიდერს დიქტატორის იარლიყი არ მიკერებოდა, წავიდა დათმობაზე და ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, ომს მოერიდა, თავისი მიცემული სიტყვის გატეხვაც არ უნდოდა. ჟენევაში რომ განუცხადა ჟორდანიას: „კასტროვ, ჩვენ არ ჩავერევით საქართველოს შინაგან საქმეებშიო“... ასე იოლად დაეთმო რუსეთს საქართველო? ეჭვს ქვეშ აყენებდა ჩვენს გონიერ პოლიტიკოსებს, პავლე ვარაუდობდა, შესაძლოა ლენინი ორმაგ თამაშს თამაშობდა, სახელმწიფოსთვის დემოკრატიის სახელი შეენარჩუნებინა და არც ხელიდან გაეშვა, პავლე ჟორდანიას შეხვდა, ცხარედ შეეკამათა, მალე გამართლდა პავლეს ვარაუდი: აფხაზეთის მსგავსად სამაჩაბლოში მცხოვრებმა ოსებმა შემოგვიტიეს, რუსეთის მიერ წაქეზებულებმა მოინდომეს, ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ. სეპარატისტთა ჯგუფები შეიჭრნენ სამხრეთ ოსეთის ოლქში და იქ წითელი დროშა ააფრიალეს. შეუძლებელი შეძლო გენერალმა ვალიკო ჯუღელმა, გონება და უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, ქართულ ეროვნულ არმიას სათავეში ჩაუდგა და სამაჩაბლოს ტერიტორიიდან განდევნა წითლები, სიმბოლურ წითელ დროშასთან ერთად. არც ისე ყოფილა საქმე, კრემლში მსხდომთ რომ ეგონათ — არ ყოფილა ადვილი პატარა საქართველოს

დამორჩილება! ოს სეპარატისტებზე უფრო ადრე, თურქეთ-რუსეთის ომის დამთავრებისას, როგორც კი თურქეთმა ხელი მოაწერა ინგლის-საფრანგეთის ზავს და ჯარი გაიყვანა ლორეს ხეობიდან, სომეხ დაშნაკ-თა შეიარაღებული ჯგუფები შემოიჭრნენ ამ ულამაზეს ტერიტორიაზე, რამაც გამოიწვია ქართველებისა და სომხების შეტაკება. დაშნაკებს გადაწყვეტილი ჰქონდათ შეექმნათ დიდი „არმენია“, რომელიც ვითომ ადრინდელ საუკუნეებში არსებობდა, მთლიანად საქართველოს ტერ-იტორიაც კი იმ შემადგენლობაში შედიოდა. პრესაში ავრცელებდნენ ათასნაირ სისულელეებს, აგრეთვე ითხოვდნენ მთიანი ყარაბახის დაბ-რუნებას და ბრძოლებს ახორციელებდნენ აზერბაიჯანის წინააღმდეგ. რაც მთავარი იყო, იმდენს ვერ ხვდებოდნენ, ასეთი პოლიტიკით დიდ „არმენიას“ კი არა, იმასაც დაკარგავდენ, რაც გააჩნდათ, ვერც იმდენს ხვდებოდნენ, ვის წისქვილზე ასხამდნენ წყალს.

დასაღვრელი სისხლი დაიღვარა. ცხადია, ქართველები არ დათ-მობდნენ ცოცხალი თავით დაშნაკთა ასეთ შეურაცხყოფას. თუმცა, ხელისუფლება ცდილობდა მეზობელ და მეგობარ სახელმწიფოებს შორის ბალანსი არ დარღვეულიყო, უსისხლოდ მოეგვარებინათ არსე-ბული პრობლემები. მაგრამ მიუხედავად მათი მცდელობისა, ბრძოლა მაინც დაიწყო. ბრძოლაში თავი გამოიჩინა ეროვნულმა „ცისფერჩოხი-ანების“ პოლკმა, რომელსაც პოლკოვნიკი ცაგურია ხელმძღვანელობ-და. სწორედ ამ პოლკში მოახვედრა საბრძოლველად ახალგაზრდა, ოდესის კადეტთა კორპუსის კურსდამთავრებული, თეთრგვარდიელი ოფიცერი, სიმონ საყვარელძე. სიმონიკა ახალი ჩამოსული იყო საქა-რთველოში, თბილისში ცხოვრობდა და ქართულ ჯარში მსახურობდა. ის მაშინ პირველად იღებდა მონაწილეობას ომში. უნაგირზე იჯდა ჩაფიქრებული. ცხენი თოხარიკით მიუყვებოდა საომარ ველისკენ ვი-წრო ბილიკს. მხედარი გუნებაში მთავარ დამნაშავედ რუსეთს მიიჩ-ნევდა, თუმცა არც სომხების წინდაუხედავ ნაბიჯებს ამართლებდა, არ მიაჩნდა მართებულად კავკასიელი ხალხის ერთმანეთზე გადაკიდება. შურსა და გაუმაძღრობას ომამდე მიჰყავს ადამიანიო. „იმის მაგივრად რომ პატივი ვცეთ ერთმანეთს, ტყვიას ვუშენთ, ვართმევთ და ვით-ვისებთ იმას, რაც არ გვეკუთვნის, ო, ღმერთო, ღმერთო, როგორ და-ვამძიმეო ცოდვებით ეს დედამიწა?“ თავი მაღლა ასწია, ცას შეხედა, პირჯვარი გარდაისახა, ხელში ხმლის ტარი შეათამაშა, მეორე ხელით დამბაჩა შეამოწმა, პირში ტყვიები მისცა, ქამარში გაირჭო, ქარქაშიდან ხმალი ამოაძრო და ველზე საბრძოლველად გამოსულ ჯარისკაცებს შეუერთდა. ბრძოლა გაჩაღდა. სანდრო კანდელაკი ედგა მხარში, მამაც მებრძოლს, ვებერთელა გოლიათს ბრძოლის ველიც არ ჰყოფნიდა საა-სპარეზოდ. ადვილად შეეძლო თხუთმეტ-ოც კაცს შერკინებოდა ერთ-

დროულად და პანტა-პუნტად იქით-აქეთ მოესროლა. უცნაური ძალის მქონე დევკაცი, ცხენებს ეხმარებოდა ხოლმე, ზარბაზნების თრევა როცა გაუჭირდებოდათ, ცეცხლს აფრქვევდა მუშტისტოლა თვალებიდან, ორთქლმავალივით ქშინავდა და შიშის ზარს სცემდა მტრის ბანაკს. სათოფე მანძილზე ვერ უბედავდნენ მიკარებას.

სომეხთა ასმეთაურის გამოჩენამ ბრძოლის ველზე. ცაგურიას ყურადღება მიიპყრო, დარჩეული მებრძოლი ჯარისკაცებით გარსშემორტყმული თავგამოდებით უტევდა მარჯვენა მხრიდან და ცდილობდა მუსრი გაევლო ქართველი მებრძოლებისთვის. სიმონიკას თვალს არ გამოპარვია მოახლოებული საფრთხე, რამოდენიმე გაბედული ჯარისკაცი გვერდით ამოიყენა და განიზრახა, როგორმე, შეტევით გაერღვია მტრისგან აღმართული ცოცხალი კედელი. ის ასმეთაური გაენადგურებინა, რომლის გამოჩენასაც შესაძლოა ცუდი ზეგავლენა მოეხდინა ქართველ მებრძოლებზე. ქურანს სადავე მიუშვა, ხმლით გაჰკაფა, რჩეულებთან ერთად, უზარმაზარი ბრბო. ხმალს ოსტატურად ხმარობდა, შესანიშნავი ცხენოსანიც იყო. სწავლების დროსაც თანატოლი კურსანტები, ვერც დაშნას ხმარებაში, ვერც იარაღის ზუსტ სროლაში ვერ ჯობდნენ. დაჭრილებისა, ცხენ-კაცთა გვამებითა და სისხლით სავსე გუბეებში ციბრუტივით ტრიალებდნენ და დატლაშუნობდნენ. მაღლიდან მძორისა და სისხლის სუნით გაბრუებული ყვავები, ყურისწამღებად ჩხაოდნენ. სიმონიკამ თანამებრძოლებთან ერთად მოახერხა გზის გაკვლევა, მებრძოლთა ბრბო გაარღვია, ფეხდაფეხ მისდია ასმეთაურს და მის წინაშე ხმალაღმართული აღმოჩნდა. ასმეთაურმაც შემართა მაღლა სპარსული, ვერცხლისტარიანი ხმალი, წამით შეყოვნდა, სიმონიკას ხელით შეჩერება ანიშნა. ასე ხმალშემართულები იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, სომეხთა ასმეთაურმა, როგორც ვაჟკაცს სჩვეოდა, შესთავაზა, ერთიერთზე შერკინებოდნენ ერთმანეთს, ვინც გაიმარჯვებდა ის ვერცხლის ხმალი უნდა დარჩენოდა. სიმონიკამ კარგად გაარჩია მოახლოებული მხედრის ფერმკრთალი სახე, დიდი თვალები ხშირი შავი ხუჭუჭი თმა, ბეჭზე გადაკიდებული თოფით, ლულის პირი ცისკენ ჰქონდა შემართული. მერე ორთავემ ზეაღმართული ხმლები დაუშვეს, ერთმანეთი აწონ-დაწონეს, ფოლადის ლაპლაპა პირზე არეკლილმა სხივებმა ბრძოლის ორთავეს ხასიათი აღუძრეს პატრიოტულმა გრძნობამ, ყოველგვარ შიშის ზღვარს გადააცილა. მოწინააღმდეგე უფრო დაკვირვებით შეათვალიერა ბევრად მასზე მოსული ჩანდა განიერი მხარ-ბეჭით, წლოვანებითაც გაცილებით დიდი. ცოტა არ იყოს გააკვირვა მისმა წამოყენებულმა წინადადებამ, ერთიერთზე ხმალში გავეჯიბროთო, შეთანხმდნენ. ჯარისკაცთა გონება ორი ახალგაზრდა ოფიცრის მხარეზე იქნა გადატანილი. სულ რამდენიმე წუთში გაირკვეოდა ვინ უფრო ძლიერი, გამბედავი და

გამოწვრთნილი იყო, ვინ უფრო უკეთ ხმარობდა იარაღს. ისინი ამ-ფითეატრის სცენაზე გამოსულ გლადიატორებს ჰგავდნენ, რომლის-განაც ერთი წამრთმევი, მეორე თავის საკუთრების დამცველი იყო. მხ-ედრებმა ცხენები ყალყზე შეაყენეს, ერთმანეთს გაშორდნენ, ხმლები ისევ მაღლა აღმართეს, ცხენები გამოაჭენეს და ჯიქურ დაეძგერნენ. ერთმანეთს ხმლების ჟღარუნი ყვავების ყრანტალს მიწვდა. კვლავ სიკვდილის მოლოდინით აღფრთოვანებული ფრინველები, ზეციდან თავს დასტრიალებდნენ, სამტრო-სასიკვდილოდ განწირულ ადამიან-ებს და კმაყოფილების ნიშნად ყრანტალს უფრო უმატებდნენ. სიმო-ნიკამ ჯიბიდან, პატარა ხის ლამაზ ჩარჩოში ჩასმული დათას ნაჩუქარი ღვთისმშობლის ხატი ამოიღო, ეამბორა, პირჯვარი გადაიწერა, ხატი ისევ ჯიბეში ჩაიდო, სწორედ ეს ის ხატი იყო, დათამ ოდესაში გამგზა-ვრებისას რომ უსახსოვრა, მას შემდეგ თან ატარებდა, ჩუმად ლოცუ-ლობდა, მტერზე გამარჯვებასა და მადლიერების შენარჩუნებას შეს-თხოვდა ღვთისმშობელს. ბიძის ნაჩუქარ ხატს არაერთი სასწაული მოუხდენია სიმონიკას პირად ცხოვრებაში. ის რწმენით აღსავსე და მიზანდასახულ პიროვნებად ჩამოყალიბდა. პირველი შემოტევა ად-ვილად მოიგერია ყოფილმა კადეტელმა, მოქნილი ტანი ელვის სის-წრაფით შემოატრიალა, მოქნეულ ხმალს თავისი ხმალი შეაგება. ფო-ლადზე აყრილი ნაპერწკლები მწვანე ბალახზე, პურის მარცვლებივით მიმოიფანტა. კბილებდაკრეჭილი ცხენები გამალებული დააჭენებდნენ ოფლით გახვითქულ მხედრებს. იქნებ გონს დროზე მოსულიყო სო-მეხითა არმიის ასმეთაური, ბრძოლა შეეწყვიტა, განზრახვაზე ხელი აეღო, მაგრამ ნურას უკაცრავად, ხმალს ისე გამეტებით იქნევდა, ისე მონდომებით უტევდა, ჩხირივით გამხდარი, მაგრამ ჩიკორივით მო-ტრიალე, მკვირცხლ ახალგაზრდა ოფიცერს, რომ არა მისი დიდი ოს-ტატობისა, მახვილით შუაზე გაჭრიდა. ეწადა და ვერ ახერხებდა, სი-მონიკა ოსტატურად ხელიდან უსხლტებოდა, ზვინივით კაცი მხოლოდ სიცარიელეს ეპოტინებოდა, გაგულისებული, ადუღებული ჩაიდანის მილიდან ამონადენი ორთქლივით ქშიტინებდა და ჩასისხლიანებული სიძულვილით აღსავსე თვალებს ეშმაკისეულად აბრიალებდა. სიმო-ნიკა მოხელთებულ მდგომარეობას ეძიებდა, როგორც კი, სასურველ დროს მოიხელთებდა მივარდნოდა, თავისი სიძლიერე დაემტკიცებინა და ჭკუა ესწავლებინა: „ის რაც არ გერგება, არ შეგერგება!..“ საკუ-თარი გულის ცემა ესმოდა და ეს ისეთ ხმად ეჩვენებოდა, რომლის მს-გავსი ჯერ არ გაეგონა. იქნებ სულაც გაფრთხილება იყო, ღვთისაგან ჩაგონებული? ველს გახედა და უცებ შეცბა, როდესაც შურდულივით გამოქანებული მეტოქის ცხენი დაინახა. უნაგირზე გასწორდა, ხმა-ლაღმართულმა დაუწყო ლოდინი, ბოლო და უკანასკნელ საცდელად გამოსულ შემომტევ გლადიატორს.

მეორე შეტაკება პირველზე გაცილებით უფრო მძაფრად დაიწყო. სიმონიკას თავის იმედი ჰქონდა — იმედი გამარჯვებისა! თუმცა, მეტოქე გაცილებით ძლიერი ჩანდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუხრია წარბი, ეჭვი არ შეპარვია გამარჯვებაში! შერკინებამდე ზეცას მადლიანი თვალებით ახედა, ღვთისმშობელს თავი შეახსენა და საკუთარ თავს, ერთხელ კიდევ, ჯვარი დაუსვა. შეტაკებას სომეხთა ასმეთაურის ფეხში მძიმედ დაჭრა მოჰყვა, ორივე მხარის მებრძოლმა ჯარისკაცებმა კარგად დაინახეს, თუ როგორ დაუშვა სასიკვდილოდ დასარტყმელად ზეაღმართული მახვილი გამარჯვებულმა, შეუნდო და სასიკვდილოდ არ გაიმეტა, სულგრძელობა გამოიჩინა და ვაჟკაცურ თვისებებსაც არ მიაყენა ჩრდილი. ხმალი ქარქაშში ჩააგო და ცხენს მიმართულება თავისი ასეულისკენ მისცა. იქნებ ის ნაბიჯი შემრიგებლობისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო, იქნებ ისევ, კიდევ ერთხელ მიეცათ შანსი, რომ ბრძოლა შეეწყვიტათ, ორ მეზობელ ქვეყნებს შორის, ისევ ამდგარიყო კეთილსასურველი კავშირი, რაც ადრე ჩვენს მამა-პაპებს გააჩნდათ. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, სიმონიკას ვერცხლისტარიანი სპარსული ხმალი გადასცეს და ბრძოლები ისევ განახლდა. ინგლისი ჩაერია მესამე ძალად კონფლიქტის მოგვარებაში, უსარგებლო სისხლისღვრა შეწყდა. სომხებმა გაიყვანეს შეიარაღებული ძალები ლორეს ხეობიდან...

გაცილებით უკეთესი იქნებოდა მოლაპარაკება უცხო ქვეყნის გარეშე მომხდარიყო, თითქოს და, ერთი შეხედვით, სათაკილოც არც არაფერი ყოფილა, მაგრამ, როდესაც გვერდი-გვერდ მყოფი ქვეყნები, თავად გადაწყვეტნენ თავიანთ საჩითირო საკითხებს, გაცილებით უკეთესი შედეგის მომტანია, მეზობლური თვალსაზრისით!... მაგრამ, როდის ყოფილა, ან როდის დადგება ის დრო, რომ ამ ცოდვიან მიწაზე სრული ჭეშმარიტება და სამართლიანობა დამყარდეს ადამიანებსა და სახელმწიფოებს შორის?! ნეტავ, მოხდება თუ არა ეს სასწაული?!.. აღნიშნული ტერიტორია მაიც დავკარგეთ, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ...

18

წელიწადი მიილია ვარლამის ტრაგიკული დაღუპვიდან, სისუსტისგან დაოსებული მარიამი, ზაფხულობით, აივანზე თუ გამოვიდოდა, ისიც დათას დაჟინებული თხოვნით, ცაბუა ედგა გვერდით, უმწეო, ძალაგამოცლილ მკლავებში ხელკავს გამოდებდა, მარიამიც რძლის მხარზე საიმედოდ დაყრდნობილი მოემართებოდა, აბიბინებული ბალახის სურნელის შესაყნოსად. აივნიდან სკამ-სავარძელ ჩამჯდარი

გაცქეროდა ხოლმე თემშარაზე მიმავალ-მომავალს, უსმენდა მუხების წვეროებზე შემომსხდარ ფრინველთა სტვენა-გალობას და შვილის გადარჩენის ნაპერწკალი ენთებოდა და გრძნობდა მისუსტებულ სხეულში ისევ ძალა უბრუნდებოდა — შვილო! — თავისდაუნებურად ამოხეთქავდა გულიდან, ხალათის ჯიბიდან ვარლამის სურათს ამოიღებდა, ნაავადმყოფარ თეთრი თითებით, ბაგეებზე მიიდებდა, ჩუმად ეალერსებოდა და თან დაატანდა: — შენი შემყურე დედა, როგორ ვარ ცოცხალიო!...

როდის იყო დედა იქარვებდა გულში დაბუდებულ დარდს. დედის ფიქრები ყოველთვის თბილისში მყოფ შვილებსაც და გვერდით მყოფ ვანოსაც დატრიალებდა, მათ რიცხვს შვილიშვილებიც ემატებოდა, რომლებმაც თბილისს მიაშურეს, სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო, ცხოვრებაში ხომ უნდა წინ წასულიყვნენ, განათლება მიეღოთ? სახლიდან გარეთ ფეხი რომ არ გავდგათ, ისე, აბა, რას მიაღწევდნენ?! „სულ ასე გაწა-მაწიაში გვიწევს ყოფნა, ამ ტიალ წუთისოფელში, თან ისე ხანმოკლე დრო გვაქვს მოცემული, მასთან შესაბრძოლი ყველა ილეთების სწავლების დროც აღარ გვრჩება, კარგად რომ გამოვიწრთოდ, როგორც ილია იტყოდა: „დიდოელი ნაბადივით რომ არ გაგვთელოს!..“ ისევ ზაფხულში არდადეგებზე ჩამოსული შვილიშვილები უკეთებდნენ ხასიათს. ქალური სინატიფით სავსე გოგონები ფეფიკო და თინიკა, მარიამი თვალს ვერ აშორებდა და უკვირდა, ასე სწრაფად, ასე შეუმჩნევლად რომ დაქალდნენ, არადა, გუშინდელ დღესავით ახსოვდა მოუსვენარი ბავშვობა, ხავერდოვან ბალახში, რომ გორაობდნენ და ბჟოლის ტოტებზე ჩიტების დასაჭერად ასულები შიშით ძირს ვეღარ ჩამოდიოდნენ, თვალცრემლიანები ბებიას შველას შეთხოვდნენ, ამ ერთხელ კიდევ გვაპატიე და მეტს აღარ ავძვრებით ხეებზეო. მარიამი ყასიდად უარობდა, სანამ იმედს არ გადაუწურავდა, მერე დინჯად ადგებოდა ფუღუროდან ბჟოლას კიბეს მიაყუდებდა და სათითაოდ ძირს ჩამოჰყავდა ონავრები.

მეოთხე შვილიშვილი ლადიკოდან ჰყავდა მარიამს, ერთი წლის პატარა ირა, რომ არა ის პატარა, შეიძლება ვეღარ გადაეტანა ვარლამის ტრაგედია და თან გადაჰყოლოდა, მაგრამ სწორედ იმ დიდი განსაცდელის ჟამს მოუვლინა ღმერთმა პატარა ანგელოზი, მისმა ფუნჩულა ხელებმა და მიუწვდომელმა ტიკტიკმა შემოაბრუნა ამქვეყნად. ერთი შვილიშვილი უდროოდ დაეღუპა, მისი გახსენება ყოველთვის მწუხარების ცრემლს გვრიდა, ხანდახან გული ამოუჯდებოდა მწარედ ატირდებოდა, ყველა უდროოდ წასულს გაიხსენებდა, ხელებშუა თავჩაქინდრულს, მეხსიერებაში გაუელვებდა ირა ტატიშვილის, ვარლამის, ნინასა და მაზლის კონსტანტინეს სახეები. აცახცახებულ

სხეულს, ისევ ცრემლები უწყნარებდა, ისევ ცრემლები ჰგვრიდა ხოლმე შვებას... ადამიანები მარტო სიამტკბილობისთვის არ არიან ამ ქვეყნად გაჩენილი. ასეთია ბუნების კანონი, ზოგი ისე მიდის, ვერ იშუშებს ცხოვრებისგან მიყენებულ ჭრილობებს. ხანდახან, ცუცუნა გაეპასუხებოდა: — შენზე გაცილებით უარეს დღეში ვარ ჩავარდნილი, ჩემო მარიამ! მარა, ხომ ხედავ, თავი მაინც ვერ მოვიკალი? შენ ქმარი მაინც გიდგას გვერდით, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ჩემი მაზლი! მე ხომ ორივენი, შვილიც დავკარგე და ქმარიც!..

— ეჰ, ჩემო ცუცუნა — პასუხობდა ცრემლებმორეული — შენ საფლავზე მაინც გადიხარ, ამობურცულ მიწას მაინც ეფერები? მე რაღა დამრჩენია, რომ ის საფლავიც არ მაღირსა გამჩენმა?!.. ო, ღმერთო, ღმერთო!..

ასე შეჩიოდნენ ერთმანეთს ძაძებით შემოსილი რძლები, სანთლის მკრთალი ნათელი შუქი შერჩენოდათ იმედად. სანთლები ამშვიდებდათ, როდესაც სალოცავ ოთახში მიცვალებულთა სულებს იხსენიებდნენ...

სახელმწიფო საქმეებით დაკავებულმა, ორმოცს მიახლოებულმა პავლემ, როგორც იქნა გატეხა ნავსი და ცოლი შეირთო. ახალგაზრდა, კალმით ნახატი საზოგადოებაში მიღებული კოლხური იერის ქალი, ტასო გუნია, თვალ-ტანადი, თითქოს, საგანგებოდ გამოძერწილი, სიამაყე არ აკლდა, თუმცა ვერავინ დასწამებდა მედიდურებას და ქედმაღლობას. გაქრა მოწყენილობის ზამთრის ცივი დღეები, ახლა მის გულში თუთარჩელებითა და აკაციის სურნელით გაჟღენთილმა თაფლობის თვემ და სიყვარულის თბილმა გრძნობამ დაისადგურა.

ნეტარი წუთები სწორედ მაშინ უდგებათ ადამიანებს, როცა წყვილდებიან, როდესაც ქალი თავისი რჩეულის მკლავებში გაირინდება, კაციც სიყვარულით გულში ჩაიკრავს, სხეული აუთრთოლდება და ყურში სასიყვარულო ჰანგებს წაჩურჩულებს. მერე, ჰარმონიულად, ერთ განუშორებელ არსებად იქცევიან. ალბათ, ამიტომაც მოახდინა სამყაროს უზენაესმა სასწაული, ადამს ნეკნი გამოაცალა, იმ ნეკნიდან ქალი გამოთალა, სული ჩაბერა, რომ ამ ქვეყნად ადამს სიმარტოვე არ ეგრძნო, კაცობრიობა გამრავლებულიყო და სიმარტოვეზე საყვედური არ დაცდენოდა. კი მართალია, გულში ვერ მოიოხა, ცრემლიც თვალზე ბოლომდე ვერ შეიშრო მარიამმა, ვერც ტკივილების ჩაცხრომა შეძლო ბოლომდე, მაგრამ გულანთებულმა რძლების ტაქტიანმა მიდგომამ, ტკივილი შეუმსუბუქა. პავლეს დაოჯახებამ, ახალ რძალთან გაშინაურებამ, თანდათან მდგომარეობიდან გამოიყვანა. საყვარელიძეების ლამაზმანებს შორის ტასომ თავისი ადგილი დაიმკვიდრა. სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, ქუჩაში მოსიარულეთ სიამოვნებას ჰგვრიდა

მისი დანახვა, როდესაც სასეირნოდ გამოსული, რუსთაველის ქუჩას მიუყვებოდა მეუღლესთან ერთად. პავლეს ამაყად და მხნედ ეჭირა თავი, ქორწინების პირველ დღესვე მიხვდა, ნამდვილი მამაკაცური ღირსების მნიშვნელობას, ჩაფიქრდა და მწარედ ინანა, უსუსურად იგრძნო თავი დროის მიმართ, რომ აღარ შეეძლო ჩავლილის უკან დაბრუნება. ბედნიერია მანდილოსანი, ვისაც შეუძლია გონივრულად გამოიყენოს თავისი ქალური თვისება, „ცხოვრება თუმცა რთულია, მაგრამ ყოველთვის საინტერესო... სიცოცხლე არასდროს არაა მოსაწყენი, თუკი ადამიანი შესაძლებლისამებრ გამოიყენებს იმ დროს, რომელიც განგებამ ამ ქვეყნად დაუწესა“, — ფიქრობდა ნაზი არსება, პავლეს განიერ მკერდს საიმედოდ შეფარებული, სიკვდილის მეტი ვეღარაფერი ააგლეჯდა იმ მკერდიდან. ტასო მეტად ყურადღებიანი იყო მაზლების მიმართ. ხშირად სტუმრობდა.

ვასასი კმაყოფილებას ვერ მალავდა, უხაროდა გვერდს ისეთი ახალგაზრდა და ჭკვიანი მეუღლე რომ უმშვნენებდა პავლეს. მათი შინაგანი და გარეგანი სილამაზე ისე ჰაეროვნად ერწყმოდა ერთმანეთს, როგორც ცას ფირუზი და დედამიწას ზურმუხტი. დედამთილ-მამამთილიდან და უფროსი მაზლისა და რძლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობდა. ზაფხულობით, როდესაც საქარაში ჩადიოდა, მაშინ როცა, ლურჯი ცისკიდურს მიყრდნობილი, მუხის წვეროდან გადმოკიდებული მზე, ქვეყანას ოქროსფერად ავარაყებდა. როცა ყველანი ხალისიანად შემოუსხდებოდნენ მაგიდას და გემრიელად მიირთმევდნენ, მერე როცა, ტასო დედამთილსა და ცაბუას ფეხდაფეხ აჰყვებოდა, საოჯახო საქმეებში მიეშველებოდა, სწორედ ასეთი ტაქტიანი მიდგომა ამყარებდა იმ ხიდს, რაც ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებდათ.

ტასოსთვის უდიდესი ბედნიერება იყო მშვენიერ თამართან და კოლაუსთან დაახლოება, ისინი ახალგადმობარგებულნი იყვნენ ქუთაისიდან თბილისში. უსაზღვროდ მომხიბვლელობით აღსავსე თამარმა იმ დღიდანვე მიიქცია ქართველი არისტოკრატიის ყურადღება. სახეზე თეატრალური სხივი დაჰფენოდა, თითქოს ამქვეყნად სცენისთვის მოუვლენია განგებასო. ცხრამეტი-ოცი წლის ახალგაზრდა ქალბატონს, ორი ქალიშვილი ჰყავდა უკვე, ნელი და მარგო ნადირაძეები, რომლებიც ქუთაისში კოლაუს დედასთან აგნესია ბაინდურაშვილთან ცხოვრობდნენ. ბებიამ თავის თავზე აიღო მათი მზრუნველობა, მანამ შვილი და რძალი საცხოვრებელი ბინის პრობლემას არ მოაგვარებდნენ. კოლაუ ცნობილი ახალგაზრდა პოეტი „ცისფერ ყანწელების“ წევრი გახლდათ, პაოლო იაშვილისა, ტიციან ტაბიძისა და ვალერიან გაფრინდაშვილის გვერდით. სიმონიკაც იმ დროს თბილისში ცხოვრობდა და ქართულ ჯარში მსახურობდა ოფიცრად. ასე შეიქმნა წრედი, ერთ ქა-

ლაქში დისა და სიძის სიახლოვეს ყოფნა, მეტად წაადგა ახალგაზრდა უცოლო ოფიცერს. თამარისთვისაც დიდი სტიმულის მიმცემი იყო თავისივე სისხლისა და ხორცის გვერდით დგომა. შაბათ-კვირას ტასოსა და პავლეს, ეკატერინესა და ლადიკოს სტუმრობა. შემდეგ ყველანი ეტლით მტკვრის გაღმა გადიოდნენ, გრიგოლთან ან ვასასისთან იკრიბებოდნენ, სუფრას ლადო ტატიშვილი წაუძღვებოდა ხოლმე.

ტასო ღიმილმორეული მზერით უყურებდა, თავისიანებს, „ო, ღმერთო, ღმერთო!.. ისე გვაცხოვრე, რომ არ მოგვრიდებოდეს ერთმანეთის თვალებში ჩახედვის. ჩვენ ხომ ყველანი ამ ქვეყანაზე გულუბრყვილოები ვიბადებით, სანამდის გონება გაგვეხსნებოდეს ანგელოზებად და წმინდანებად ვართ მოვლინებულნი, მგელსა და ცხვარს ერთი განზომილებით ვუყურებთ. რა არის შიში არ ვიცით, რა ხიფათის მოტანა შეუძლია მგელს, რა სიკეთის ცხვარს, მაგრამ, გარკვეულ დროში, გონება გაგვეხსნება თუ არა გვეწყება თეთრისა და შავის გარჩევა, გულუბრყვილობა სისულელედ გვეჩვენება. მე არ მინდა დავეთანხმო ამ აზრს, ღმერთო შენ მაპატიე!.. პირიქით, გულუბრყვილო ადამიანები ძალიან კეთილები არიან, მაგრამ, უმრავლესობის ნაწილს, ისინი არანორმალურ ადამიანებად მიაჩნიათ. ეჰ, როგორი ბედნიერი ვიყავი მაშინ, როცა შიშის გრძნობას ვერ ვაცნობიერებდი, არადა, როგორ ცვლის და ანგრევს ადამიანს შინაგანად“... ყველაზე დიდი შიში გათხოვების შემდეგ დაჩემდა, როდესაც ზამთრის საღამოს სადარბაზოს შესასვლელ კარზე უცხო მამაკაცმა მიუკაკუნა. პავლე შინ არ იყო, ტასომ გახედა, უცნობს თბილი ქურთუკი ემოსა, თავზე კარკადიანი ქუდი ეხურა. პავლე იკითხა, რუსულად ლაპარაკობდა, თუმცა, იერზე ნათლად ემჩნეოდა, რუსი რომ არ იყო. უცნობს არც ხმამაღალ ტონით მიუმართავს და არც იარაღი სჭერია ხელთ, მაგრამ იმ საშინელმა თვალებმა და ცივმა გამოხედვამ, ფერიფური შეუცვალა და ადგილზე გააქვავა. ასე გაუნძრევლად იდგა. უცნობმა გასასვლელთან ქალის გასაგონად განგებ ხმამაღლა ჩაილაპარაკა: — როგორი დიდი გემოვნების კაცი ყოფილა პავლეო. — ამ სიტყვებმა და კარის მოჯახუნების ხმამ გამოაფხიზლა. „ნეტავი რა მჭირს რა მემართება, არა, ის არ არის ჩვეულებრივი მიწიერი კაცი, ის ალბათ უცხოპლანეტელია“. — გაუელვა, ფეხიფეხ გამოედევნა, ერთხელ კიდევ უნდოდა თვალი შეევლო, სახელი მაინც გაეგო, სანამ უცნობი კარს გაიხურავდა, უკან ადევნებული ქალი შენიშნა, წუთით შეყოვნდა და შეკითხვას დაელოდა.

— პავლე სახლში არ გახლავს ბატონო... ხომ არაფერს დამიბარებდით გადასაცემად? იქნებ... იქ... ნებ...— წაიბორძიკა, „დალოდებოდით“ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ძვალ-რბილში ცივ გამჭოლ მზერას რომ წააწყდა, სხეულში ჟრუანტელმა დაუარა და გადაიფიქრა.

— სამწუხაროდ, დრო არ მაქვს, ქალბატონო! — თითქოს ნააზრევს მიუხვდა უცნობი. — გადაეცი პავლეს, რომ მოგიკითხათ-თქო! — ეს წინადადება ისეთი დაბალი ხმით წარმოთქვა, მხოლოდ „კობა“ მიწვდა ტასოს ყურთასმენას, სანამ საპასუხოდ რამეს მოიფიქრებდა. კობა საღამოს ბინდში ისე გაუჩინარდა, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ ვეღარ გაეგო, დაბნეული სადარბაზოსკენ შემოტრიალდა და მაღალ მარმარილოს კიბეს აუყვა...

„არა, არა, ჯერ ასეთი უცნაური ადამიანი არ მინახავს, მგონი არც ზღაპრებში წამიკითხავს, რა რჯულის ადამიანები არ მოდიოდნენ, მაგრამ მსგავსი, იმ კაცის მსგავსი ადამიანი, მე არასოდეს შემხვედრია“ — საკუთარ თავს ეჩურჩულებოდა საოცრად გაკვირვებული. საყვარელი მეუღლის მოლოდინში სამზარეულოში ვახშმის მომზადების თადარიგს შეუდგა, თან ცდილობდა გონებიდან ამოეგდო აკვიატებული კითხვა: „ის უცნობი უცხოპლანეტელი იყო?“. ვახშმის მზადებამ ისე გაიტაცა, უარყოფითი ემოციებისგან განთავისუფლდა. საკმაოდ დაშოშმინებული შეეგება პავლეს, როგორც კი მის მძლავრ მკლავებშუა აღმოჩნდა, თავი ვეღარ დათრგუნა, თვალებიდან ცრემლები წასკდა. სლოკინ-სლოკინით დაწვრილებით მოუყვა, რაც თავს გადახდა, თანაც სუსტი მხრები უთრთოდა და საგულეში გული ჩიტივით უფრთხიალებდა. თავს უხერხულად გრძნობდა, დაბნეული და გაოგნებული ცდილობდა გამოსულიყო იმ მძიმე მდგომარეობიდან, მაგრამ გამოსავალს რომ ვერ პოულობდა, უფრო მეტად უწყრებოდა საკუთარ თავს. პავლე ამშვიდებდა — კარგი, ნუღარ ღელავ, ჩვეულებრივი ადამიანიაო.

— არაფერი მესმის — ქალს ხმაში სიმშვიდე დაეტყო — მოსკოვიდან, ეტყობა, რაღაც საქმისთვის ჩამოვიდა, თან შენთან შეხვედრაც ჰქონდა გადაწყვეტილი, რავა ვიფიქრებდი, ისეთი თვალების მქონე ადამიანი, ხელმწიფის ტოლი თუ იქნებოდა, მე კი მეგონა, ვიღაც... — და აღარ დაამთავრა.

— აბა, აბა, — სიცილით პასუხობდა პავლე, როგორ წარმოიდგენდი, თუ შენს წინაშე მდგარი კაცი სტალინი აღმოჩნდებოდა...

19

მეფის რუსეთი ბოლშევიკურმა მთავრობამ შეცვალა. პირველიდან განსხვავებით, ბოლშევიკებმა გაცილებით მკაცრად შემოუტიეს კავკასიის რესპუბლიკებს, სასომხეთსა და აზერბაიჯანში დამყარდა კომუნისტური დიქტატურა. ბოლშევიკებმა დაამარცხეს ცარიზმი და შეჰქმნეს ახალი იდეა — კომუნიზმი. ცარიზმი ჩაანაცვლა კომუნიზმმა...

საქართველომ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება, ევროპის ქვეყნებმაც აღიარეს ჩვენი დამოუკიდებლობა. ქვეყნის უმაღლეს გამგეთ შეიქმნა ერთპალატიანი პარლამენტი და მის ვალდებულებებს ასრულებდა მთავრობა. მთავრობა ფიქრობდა შეექმნათ ორპალატიანი პარლამენტი, რაზედაც წინააღმდეგი წავიდა ოპოზიცია და, მათ შორის, პავლეც. პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსულმა ხაზგასმით აღნიშნა: — ბატონებო, საქართველო არ წარმოადგენს ფედერაციულ სახელმწიფოს, ამიტომ ჩვენთვის მიუღებელია ორპალატიანი საკანონმდებლო სისტემა. კი მართალია, ჩვენს მიერ შედგენილი კანონ-პროექტი, შვეიცარიულ-ფრანგულ მოდელს ეყრდნობა, მაგრამ საკმაოდ განსხვავდება მისგან. ჩვენი კონსტიტუციით, მთავრობა პასუხისმგებელი უნდა იყოს, პარლამენტის წინაშე, როგორც მთლიანობაში, ისე პიროვნულადაც. მუდმივი არაფერია ამ ქვეყნად, მომავალმა თაობამ შეიძლება აღნიშნული რომელიმე მუხლი არ მოიწონოს, ამას მოევლება, ბუნებრივია, შეიძლება მათი შესწორება ან შეცვლა; მაგრამ ის ძირითადი მუხლი, რომელიც აკანონებს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, შეუცვლელი უნდა გადავიდეს ახალ კონსტიტუციაში“. უმეტესმა ორგანიზაციის ნაწილმა მხარი დაუჭირა პავლეს, რომ საქართველოს ფედერალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიებება არ შეიძლებოდა, რადგან მოსახლეობის 80% ქართველები იყვნენ. ამიტომ მიზანშეწონილად ჩათვალეს, აჭარისა და აფხაზეთის მხარეებს მინიჭებოდათ ავტონომიური მართვის უფლება. მაინც რა ელოდებოდა საქართველოს, დააღწევდა თუ არა, ბოლოსდაბოლოს, რუსეთის კლანჭებისგან განთავისუფლებას. „ნეტავი რას მოიმოქმედებს სტალინი?“ — ეს კითხვა აეკვიატებოდა ხოლმე პავლეს. ორმაგი ეჭვი უღრნიდა გულს. პირველი იმაში მდგომარეობდა, — კაცმა რომელმაც „აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო“, ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები მიუძღვნა მშობლიურ ქვეყანას, მის დასაპყრობად ხელს აღმართავდა?“. — და სწორედ ეს „მაგრამ“ იყო გონებას რომ უშფოთებდა და სულს რომ უწამლავდა. დატოვებდნენ კი ისე ხელისუფლებაში ქართველ კაცს, რომ თავისი სამშობლო საბჭოთა სივრცეში არ მოექცია?! რომელი ისეთი გულუბრყვილო პოლიტიკოსი ლენინი იყო, რომ არ აეძულებინა საქართველოსთვის ჭკუა ესწავლებინა და მისივე ხელით ზეწოლა განეხორციელებინა? ეტყობა, ჯერჯერობით თავს იკავებს, მსოფლიო ქვეყნებს არ უნდა დაანახოს თავისი დიქტატორული ქმედება, არც სტალინი გახლდათ ილია ჭავჭავაძე, ეჭვი რომ არ შეპარვოდა, რუსეთი დაეტოვებინა, — დიდი სივრციდან პატარაში გადმოენაცვლა და თავისი ქვეყნისთვის მიეხედა. ერთი გამოსავალი ის გვრჩებოდა, თუ ევროპის ქვეყნები გაგვიწევენ დახმარებას. ამისთ-

ვის საჭირო იყო, პირველ რიგში გვეჩვენებინა ჩვენი შეუპოვრობა და მებრძოლი სული. ჩვენი დასაღვრელი სისხლი ჩვენ უნდა დაგვეღვარა. სხვა არ გაიღებდა და ვერც გაამტყვუნებდი. ჩვენი დამოუკიდებლობა კი სცნეს, მაგრამ საფრანგეთმა „დეფაქტო და დე-იურეს“ ცნობის საკითხი, მოწვეულ კონფერენციაზე უნდა განეხილათ პარიზში მაგრამ არ შედგა, იმ მიზეზის გამო რომ გენერალმა ბრინსმა განაცხადა: „საქართველო რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას ექვემდებარებაო და მეორეც — ისეთი პატარა ქვეყანა როგორიც საქართველოა, არ უნდა მიისწრაფვოდეს დამოუკიდებლობისკენო, ღმერთმა დალახვროს და მსგავსი გენერლებიდან დაგვიფაროს! მაგრამ ვაი, რომ საქართველოშიც მრავლად მოიპოვებოდნენ ბრინსის მაგვარი მოაზროვნე გენერლები... ინგლისმაც გვაგინა, გვერდზე გაგვიდგა. დენიკინს დაუჭირა მხარი გენერალმა მილნმა. ის მოითხოვდა ბრძოლა შეეწყვიტა საქართველოს მთავრობას, ჯარი გაეყვანა გაგრის ტერიტორიიდან — თქვენს ბრძოლას აზრი აღარ აქვს — არწმუნებდა თავგამოდებით, რადგან დენიკინს გაცილებით მეტი საბრძოლო იარაღი და მძიმე ტექნიკა აქვსო.

გენერალი მაზნიაშვილი ედგა სათავეში ქართველ მებრძოლ ჯარს, რომელმაც გაანთავისუფლა გაგრა და მდინარე მუხადირის მარცხენა ნაპირზე იყო გამაგრებული. იმავე დროს, თბილისში ჟორდანიასა და მილნს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება.

— თუ გენერალი დენიკინი საქართველოს მიმართ გამართულ ომში გამოიყენებდა ინგლისურ იარაღსა და მძიმე საბრძოლო ტექნიკას, მაშინ საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდებოდა ყველაფერი დაწვრილებით ეცნობებინა ინგლისელთა ხელისუფლებისათვის, რომ ომი მიმდინარეობდა არა რუსეთსა, არამედ ინგლისსა და საქართველოს შორის. — დასასრულს განაცხადა ჟორდანიამ.

გველნაკბენივით შეხტა ამაყი გენერალი, არ მოელოდა ასეთ გამჭრიახ პასუხს. იძულებული გახდა დაეთმო თავისი სიამპარტავნე, დათანხმდა ჟორდანიას მოთხოვნას. დენიკინმა ჯარი გაიყვანა სოჭიდან. პირველი პირის სწორად გადადგმულ ნაბიჯმა სოჭი ისევ საქართველოს შემადგენლობაში დატოვა. გუბერნატორად დაინიშნა მუხრან ჭოლოკავა. მაგრამ მარტო ეს არ კმაროდა, დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო გაწვრთნილი ეროვნული ჯარის შექმნა, რაზედაც ჟორდანია ყურადღებას არ ამახვილებდა. კი მართალია, თბილისში არსებობდა ახალგაზრდა იუნკერთა სასწავლებელი, რომელსაც სათავეში დიდი პატრიოტი კაცი ალექსანდრე ჩხეიძე ედგა და ნამდვილ მეომარ რაინდებს ზრდიდა, მაგრამ ესეც ზღვაში წვეთი იყო მხოლოდ. ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსები ურჩევდ-

ნენ ქვეყნის პირველ პირს, მეტი ყურადღება გამოეჩინა და ახალი რეფორმები გაეტარებინა თავდაცვის სისტემაში. პავლეც გადაუდგა აღმასრულებელ ხელისუფლებას და ოპოზიციის მხარე დაიჭირა, თუმცა, კარგად ესმოდა, მთავრობის მიმართ გაგაჩნდეს განსხვავებული აზრი, არ ნიშნავდა, ოპოზიციონერი მტერი ხდებოდა საკუთარი ქვეყნისა. ანდა, „რაა ჩვენს მოთხოვნაში უსამართლო, — განაგრძობდა ფიქრს, — ქვეყანას თუ დასაყრდნობი ადგილი მყარი და ძლიერი არ აქვს, ისე ხომ ჩამოიშლება?!.. ოპოზიცია პირიქით სტიმულს აძლევს ხელმწიფეს, საღი გონებით აწონ-დაწონოს თავისი ნამოქმედარი, წინაც გაიხედოს, რას მოუტანს და რა შედეგით დამთავრდება მისი გადადგმული ნაბიჯი“. სპირიდონ კედიამ გაუელვა გონებაში, თვალწინ დაუდგა გაევროპელებული ქართველი პატრიოტი, რომელიც დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდა, უმეტესწილად საფრანგეთში, სადაც დაამთავრა სორბონას უნივერსიტეტი. სპირიდონი თბილისში ჩამოვიდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დაოჯახდა და ცოლად შეირთო თბილისის ქალთა გიმნაზიის პედაგოგი ეთერი ჩიტაძე.

ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს პავლე და სპირიდონი როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავდნენ, შვეიცარიასა და საფრანგეთში გატარებულ წლებს იხსენებდნენ. თითო-თითო ბოთლ ღვინოს, სულგუნსა და ღომს მიირთმევდნენ, თან ქვეყნის სვე-ბედზე ბჭობდნენ. უმეტესწილად გვიანობამდე გრძელდებოდა კამათი. ლოგიკურ მსჯელობას ორთავე იმ აზრამდე მიჰყავდა, რომ ყველაზე დიდ პარტნიორობას გერმანია თუ გაგვიწევდა.

— შენ კარგად გემახსოვრება ისტორიიდან, პავლე ჩემო, როდესაც სულხან-საბა დასახმარებლად საფრანგეთში ჩავიდა, როგორი უარით გამოისტუმრეს უკან დიდი პატრიოტი დესპანი, მაშინ რომ ლუდოვიკო XIV-ს გულისხმიერება გამოეჩინა, ხომ აღარ აღმოვჩნდებოდით რუსული იმპერიის მიერ ასე სამარცხვინოდ დაგლახავებული და დამონებულები.

— ეჰ, ჩემო კეთილო, ყველაფერი რომ ისე იყოს აწყობილი და საათივით მუშაობდეს, მაშინ ამ ქვეყნად სიბოროტე აღარ იარსებებდა! საქართველოს ახლა მოეცა ყველაზე დიდი შანსი ურჩხულის ხახიდან თავის დახსნისა და თუ ეს პერიოდი, ჩვენდა საკეთილდღეოდ არ გამოვიყენეთ, შესაძლებელია, ისევ ურჩხულის ხახაში აღმოვჩნდეთ. მერე გაგვიჭირდება თავის დახსნა, სანამ ხელსაყრელი დრო არ დაგვიდგება! სასურველი დრო კი, თავადაც კარგად იცი, არც თუ ისე სწრაფად დგება...

სპირიდონი პავლეს მოპირდაპირე მხარეს ფანჯარასთან იჯდა.

დროდადრო ქუჩაში იყურებოდა, გარეთ თბილოდა, ტრფობამოწყურებული წყვილების ფეხის ხმა არღვევდა წყნარი სიჩუმეს. უძირო ზეცის წყვდიადში უთვალავი ვარსკვლავი, ვერცხლის შუქით სავსე თვალებს ახამხამებდა. ბუმბულივით მჩატე ღრუბლები გედებივით დაცურავდნენ ცის კაბადონზე.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, სპირიდონი გერმანიაში გაემგზავრა. ჰიტლერთან გეგმავდა შეხვედრას, თან იქ მცხოვრებ საქართველოსთვის მებრძოლ პატრიოტ თანამემამულების მოინახულება ჰქონდა ჩაფიქრებული. შეხვედრა შედგა. დახმარება და გვერდში დგომა აღუთქვეს ერთმანეთს. პრესაში კი ქვეყნდებოდა სტატიები საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცნობის სტატუსის მოსაპოვებლად: „თუ თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი“. რა თქმა უნდა, ჩვენ, როგორც ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფო მივექანებოდით ევროპისკენ. ერის სურვილი იყო შევსულიყავით სამართლიანი საერთაშორისო ქვეყნების სისტემაში, მაგრამ, წინ გვეღობებოდა ჯუნგლების კანონი: „ვინც ძლიერია ის იმარჯვებს“... ღამეები არ ეძინა პავლეს. გარინდებულსა და თვალდახუჭულს ხანდახან ისეთი ოხვრა აღმოხდებოდა, გვერდითი მწოლარე ტასოც შიშით იღვიძებდა, ჩვეული ღიმილით გადახედავდა ბალიშში თავჩარგულ მეუღლეს, თავაზიანად ლოყაზე ეამბორებოდა. — „ალბათ, ცუდი სიზმარი ნახე, გენაცვალე“. — ყურში უჩურჩულებდა. — „ჰო“, — პასუხობდა გადაღლილი ტონით, გვერდს იცვლიდა, ვითომ ჩაეძინა, სინამდვილეში ისევ ფიქრს აგრძელებდა. ტასო ქალური ინტუიციით ხვდებოდა პავლეს პასუხი არ იყო გულწრფელი, „ალბათ, სახელმწიფოში ახალი რაღაც ხდება“. კარგად იცოდა მეუღლის ხასიათი, სახელმწიფო საქმეებზე არ უყვარდა ლაპარაკი... არც გული წყდებოდა, არც სჯიდა და არც განიკითხავდა. ხელოვანის ოჯახში აღზრდილს კარგად ესმოდა, რომ მთავრობაში მყოფი კაცი მთლად გულწრფელი ვერ იქნებოდა? მითუმეტეს, თუ ეს ქვეყანას ეხებოდა. ეს არც გასაკვირი იყო და არც დასაძრახი, ყოვლად სრულყოფილი ჭკვიანი პოლიტიკოსი სახელმწიფო საქმეზე არასოდეს არავის გარემყოფს არაფერს ეუბნება, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი. ერთი დაუფიქრებელი სიტყვაც კი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს ქვეყნისთვის. მძიმეა ხვედრი და დიდი ტვირთი აწევთ სახელმწიფო მოხელეთ. ტასო ყოველთვის ცდილობდა საალერსო სიტყვები არ დაეკლო. მჭმუნვარების დასაძლევად ხან თეატრებში სხვადასხვა წარმოდგენებს ესწრებოდნენ, ხან მაზლებსა და ახლო მეგობრებს სტუმრობდნენ. საღამოს უღიმღამოდ, რომ არ ჩაევლო თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ.

ისევ აგვიანებდა „დეფაქტოსა“ და „დე-იურე“-ს ცნობის პროცესი, მტერი ხარობდა, თუ საქართველოს იურიდიული საბუთი არ ექნებოდა დამოუკიდებლობის ცნობისა, მაშინ გაცილებით ადვილი იქნებოდა ოკუპაცია მოეხდინა და მყარი კედელი აღემართა დემოკრატიულ ქვეყნებსა და საქართველოს შორის. მაგრამ თავისუფლებისთვის ბრძოლის ჟინს, ქართველ კაცს, მაინც ვერ მოუსპობდა!

ათასნაირ ბინძურ ჭორებს ავრცელებდა მმართველი ბოლშევიკთა პარტიის აგენტურა, სიდუხჭირეში ჩავარდნილ ხალხს აჯანყებისკენ მოუწოდებდა. მშიერ, გაღატაკებულ კაცს მეტი რა უნდოდა, ადვილად ეგებოდა მტრის მიერ დაგებულ ხაფანგში. ცხინვალიდან განდევნილმა წითელმა შენაერთებმა დუშეთში გადაინაცვლა, სამწუხაროდ, მიამიტი ქართველების დახმარებით შეძლეს ხალხის აჯანყება. ხალხის გამოსვლებს თბილისიც შეუერთდა. კეტავდნენ რკინიგზას, აჩერებდნენ საწარმოებს, ლანძღავდნენ მთავრობას და იმდენს ვერ ხვდებოდნენ, მტრის წისქვილზე რომ ასხამდნენ წყალს. „მაინც ასე რატომ გაჭიანურდა „დეფაქტოსა“ და „დე-იურე“-ს ცნობის პროცესი? — კითხვამ გონებაში შეუღიტინა პავლეს. — ორში ერთია, — ან დასავლეთის ქვეყნები განგებ წელავენ დროს, რუსეთის გულის მოსაგებად, ორას მილიონიან სახელმწიფოსთან, საქართველოს მიმართ სამართლიანობაზე ლაპარაკი ნაადრევად ეჩვენებათ, რაც კარგს არავის მოუტანთ. მეორე, ან თავად ქართული მთავრობა არის შეკრული რუსულ მთავრობასთან და მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი სიტყვების „დამოუკიდებელი ქვეყნის“ ძახილით, ქვეყანას ისევ რუსულ იმპერიისკენ მიაქანებს“. სპირიდონ კედიასაც ემჩნეოდა საუბარში, მთავრობის მიმართ გულგატეხილობა. თავადაც ბევრი რამ არ მოსწონდა, მათი აზრი ემთხვეოდა ერთმანეთისას. სანამდე უნდა გაგრძელებულიყო ცარიელი სიტყვები და დაპირებები, საქმე კი ადგილიდან არ იძვროდა. სწორედ ეს უმოძრაობა და ხვალინდელი დღის მოლოდინი აღელვებდა ყველაზე მეტად. „ოჰო, რა იქნებოდა ჩვენც რომ საფრანგეთის, ან გერმანიის ტოლი სახელმწიფო ვყოფილიყავით? — შეენაცვლა ფიქრი, წუთით სახე გაებადრა, — მაშინ, ასე ადვილად ვინ გაგვიბედავდა რაიმე უხამსის კადრებას? სამოც მილიონ ქართველს წინ ვინ აღუდგებოდა? ქართველ ვაჟკაცთა მხარ-ბეჭებსა და მგლისებრ მუხლებს რა ძალა მოდრეკდა და წააჩოქებდა! სულ რაღაც მუშტისტოლა ქვეყანა ვართ და, გვთხრიან, გვითხრიან და მაინც ბოლომდე ვერ ამოგვთხარეს! ღმერთო, ღმერთო, იმდენი ძალა მოგვეცი, მთლად არ გაგვასწორონ პირისაგან მიწისა!“ მერე გონებაში გადანახული ივან კრილოვის იგავ-არაკი გაახსენდა: „დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი!“ სამწუხაროა, რომ ეს სიტყვები არასდროს

ამოვარდებიან გონების საგანძურის სკივრიდან და არც ადამიანებს შორის დამყარდება სრული სამართლიანობა?! გაბადრული სახე და გული ისევ მწარე ფიქრებმა დაუმძიმა. „შესაძლოა ჩვენ ისევ დაგვიპყროს რუსულმა იმპერიამ, ანუ დღევანდელმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა, მაგრამ ჩვენს კონსტიტუციაზე ამოსული ფესვები, თავისუფლების მოპოვებისთვის იქნება მიმართული და მერე ვერანაირი ძალა ვეღარ შეაჩერებს“. — თავდაჯერებით განაცხადა პარლამენტის სხდომაზე და მთავრობას ერთხელ კიდევ ეროვნული ჯარის შექმნაზე მოუწოდა... რატომღაც მთავარსარდალი ოდიშელიძე თავს არიდებდა და ყურად არ იღებდა ოპოზიციის რჩევებს, რამაც დიდი უარყოფითი შედეგი გამოიღო. დუშეთის მსგავსმა აჯანყებამ ბორჩალოში გადაინაცვლა. ამ აჯანყების რუსეთიდან წამოსულმა აგენტურამ, კვალის დაფარვის მიზნით, „ბორჩალოელი სომხების აჯანყება“ უწოდა. ამ შეტაკებაში ქართული ჯარი დამარცხდა. ოპოზიციის რჩევები დროზე რომ გაეთვალისწინებინათ, ასე ერთი ხელის დაკვრით ვეღარ მოახერხებდნენ ერის ინტერესების შელახვას.

ჟორდანიამ ყოფილი სამხედრო მინისტრი შეცვალა და მთავარსარდლად გენერალი, მოუდრეკი მებრძოლი, კვინიტაძე დანიშნა. უშიშარი და უტიფარი გენერალი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლობდა და არასდროს ემორჩილებოდა მტრის ნება-სურვილს. არაერთხელ ილაჯგაწყვეტამდე უომია თავის კოლეგა გენერლებთან მაზნიაშვილსა და ჯუღელთან ერთად. თავიანთი გმირული ბრძოლებით არასდროს შეულახავთ სამშობლოს ღირსება. მათ კარგად ესმოდათ, ომის წაგება არ ნიშნავდა განზრახვაზე ხელის აღებას. ამ ქვეყნად ყველა სულიერ არსებისათვის თავისუფლების მოპოვების სურვილია ყველაზე მთავარი, ეს კანონი სიცოცხლის გაჩენისთანავე დაკანონდა და მას სხვანაირი კუთხით ვეღარ შეცვლი. ბრძოლა და მხოლოდ ბრძოლა — დევიზია კაცთა ცხოვრებისა... პავლე გვირაბის მეორე მხარეს გამომავალ შუქს ვეღარ ამჩნევდა, ეტყობა სიკაშკაშე აღარ ყოფნიდა, სასურველ წერტილამდე რომ მიეღწია. კი მართალია, აუხდენელ ოცნებასავით ჩაიწვა და ჩაიბჟუტა საქართველოს ევროპისკენ მიმავალი გზა, გვირაბს ვეღარ გაცდა, მაგრამ ის შუქი კვლავ აინთებოდა და თავისუფლებისთვის მებრძოლი საქართველო კვლავ ევროპისკენ აიღებდა გეზს...

ბედნიერი იყო რომ ასე სწამდა და ჯეროდა!.. მაგრამ, ხანდახან სულში შემძვრალი ეჭვის ჭია იმდენად გადაძლევდა, ისე შეეცვლებოდა სახის გამომეტყველება და იერი შეშფოთებული. ტასო ბოლომდე ჩაეძიებოდა — ხომ არაფერი გაწუხებს, რა საშინელი ფერი გადევს სახეზეო. — დიდი ინტერესით უსინჯავდა გულის პულსს და არ მოს-

წონდა მისი მდგომარეობა, სიჩქარის რითმი დარღვეული ჰქონდა. პავლეც გრძნობდა ხოლმე შინაგან ფორიაქს და ხალისწართმეული ხელს იქნევდა — არაფერიაო!.. ტასო ცდილობდა მყუდრო გარემო შეექმნა, ბავშვივით ეფერებოდა, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და თან საყვედურობდა:

— ყველაფერი გადაჭარბებული მუშაობის ბრალია, გენაცვალე! დღე შენ არ იცი და ღამე, სულ წიგნებში და ქაღალდებში იქექები! ან გული გეტკინება, ან გონება აგემღვრევა, ზედმეტობით აბა, კარგი რა დაგემართება კაცს?!..

— ასეა ჩემო ტასო! ხალხს და ქვეყანას თუ ემსახურები, სხვანაირი გამოსავალი არ არსებობს?

— არსებობს, როგორ არ არსებობს, გენაცვალე, ზომა და წონა! — ნამეტნავად რბილად გამოუვიდა ნათქვამი. — მე შენი ჯანმრთელობა მაფიქრებს. — ხმისთვის აღარ აუწევია, ლოყა ლოყაზე მიადო და ისე დაასრულა. — მალე ბავშვის მამა გახდები... ასე რომ, სწორედ ახლა გმართებს ზომაზე მეტი საკუთარ თავზე მზრუნველობა!

20

ყვირილა, ანუ ზესტაფონი, ერთ-ერთი მოხერხებული, გამორჩეული ადგილი იყო იმ დროს და არის ახლაც მთელ შუა იმერეთში, შეიძლება ითქვას, — ხმაურიანიც. გაზაფხულზე, როცა მგალობელ ჩიტების გუნდთა ხმა, ადიდებული ყვირილის სტიქიას უერთდებოდა მატარებელში მოკალათებულ, ფანჯარასთან მჯდომარე მგზავრს ეჩვენებოდა, ნუშის, ტყემლის და ქლიავის თეთრად აფეთქებული ხეებით დაფარულ გვირაბს გერსამანიის ბაღისკენ მიჰყავდა და სწორედ აქედან იწყებოდა სამოთხეში შესასვლელი. ყვირილა საჩხერიდან დაწყებული შავ ზღვამდე კოლხეთის დაბლობზე, ჩონგურის სიმივით გადაჭიმულიყო, ზესტაფონში თავის მომჯადოებელ მუსიკალურ ბგერებით უკვდავ პოეტის მარადიული ცეცხლით ანთებული სული შეჰქონდა. მერე ფაზისის მთებიდან წამოსულ და ქუთაისგამოვლილ რიონს უერთდებოდა და თავის განუყრელ დობილთან ერთად, შავი ზღვის აუზის საგანძურს, ქართული მიწის მადლსა და პენს მატებდნენ. წყნარი, ღვთაებახელდასმული ადამიანები ცხოვრობდნენ მდინარის გაღმა-გამოღმა ფერდობებზე შეფენილ და მაღალი მთებით გარშემორტყმულ სოფლებში. რაინდული სულის მატარებელი, შრომისმოყვარე გლეხკაცობა და თავადაზნაურობა სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. თავიანთი თვინიერი და გულუბრყვილო საქციელით, მტრისადმიც კი მტრულად არასოდეს ყოფილან განწყობილნი, მაგრამ

არც ვინმეს თავს აბუჩად აგდებინებდნენ. მათ სულის ბუნებაში განსაკუთრებულად შეიმჩნეოდა, ქართველი კაცის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი — სიამაყე და ეს გრძნობა ისე ჰქონდათ ძვალ-რბილში გამჯდარი და ბუნებით თანდაყოლილი, მისი გულისთვის სიცოცხლესაც არ დაზოგავდნენ.

ზესტაფონი ფერდობებზე შეფენილი სოფლებიდან დანახული, მართლა მოგაგონებს სამოთხის ადგილს, განსაკუთრებით ზაფხულობით, ხავერდოვანი, მწვანე მთებს შუა ჩასმული, როცა ზემოდან ნელ-ნელა ქვემოთ ეშვები და იმერული ნოტიო ნიავი, ოფლით დაცვარულ სახეზე გელამუნება, არ შეიძლება გულმა რეჩხი არ გიყოს და ღმერთს მადლიერების სიტყვა არ შეაწიო! აქ ისე ვერ ჩაივლი, წყნარ, უღრუბლო მთვარიან ღამეში, იმ ვერცხლივით მოელვარე სხივებზე, გულიდან ამოსული სტრიქონი არ გამოაბა და ერთიც ჯიგრულად არ წაიღიღინო!.. სიცოცხლე უფრო აზრიანი, საინტერესო ხდება თუ კაცს ძარღვებში ქართული ღვინით შეზავებული სისხლი უჩქეფს, იმ ვაზის ტანზე მოწეული, რომელსაც ჩვენი მამა-პაპანი ბავშვივით ელოლიავებოდნენ და მომავალ თაობებს უშურველად გადმოგვცემდნენ ამ ტრადიციას. ღვინო და მუსიკა ძალიან შეეწყობიან და ჰგვანან ერთმანეთს, როდესაც ვინმე იბადება მუსიკითა და ღვინით ვხვდებით, როდესაც ვინმე კვდება მუსიკითა და ღვინით მივაცილებთ უკანასკნელ გზაზე. ამობურცულ საფლავის მიწას ამ დალოცვილი სითხით გავუჟღენთავთ ხოლმე, უფალსაც ჭიქა აღმართული მის ცხონებას შევთხოვთ... ირგვლივ ბაღ-ვენახებითა და სიმინდის ყანებით გარშემორტყმული სოფლები, მართლაც არაჩვეულებრივად გამოიყურებოდნენ. სწორედ ერთ-ერთ ასეთ სოფლად ითვლებოდა ზედა საქარა, რომელიც მარჯვენა მხრიდან ესაზღვრებოდა და დანარჩენ სოფლებთან შედარებით, ყველაზე მოკლე მანძილით იყო დაშორებული ზესტაფონს. წყნარ უღრუბლო მზიან დღეებში აქედან კარგად მოჩანდა მარადიული თოვლით დაფარული კავკასიის ქედები, რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე აღმართული მწვანედ აქოჩრებული ხომლის მთა. სოფელი განთქმული იყო ვეებერთელა ჭალებითა და აკაციის ტყეებით, ჭალებში მოჩუხჩუხე ღელეებით, წყაროებითა და წისქვილებით. განსაკუთრებულ სიამოვნების მომგვრელი გლეხკაცისთვის წისქვილში წასვლა იყო, დაფქვის მოლოდინში, წყლით სავსე მოჩუხჩუხე ღართან, მწვანე მდელოზე გლეხურად სუფრის გაშლა, ღელის წყალში ჩაციებული ღვინით მხურვალე ყელის ჩაგრილება, ნაღვინებზე ხრიწინა ხმით „ჭუკო, ჭუკო ჭუკისაო, ჭუკო ინდაურისაო“-ს ერთობლივი სიმღერა-კივილი, წუთით რომ აფრხობდა ბაყაყების გულის გამაწვრილებელ ყიყინს. ამომავალი მზის სხივებით ცა რომ მოიხატებოდა, ჟრიამულისა და ხეთა შრიალი

რომ გამოაფხიზლებდათ, წამოიშლებოდნენ, მძიმეტანიან, ფერდებდაბერილ, ხარებს კისერზე უღლებს დაადებდნენ, მძიმედ და ჭრიალით შეუყვებოდნენ სახლებისკენ მიმავალ აღმართს. ეზოებსა და აივნებზე თავსაფარწაკრული დიასახლისები ხელსაქმობდნენ და ზეცისკენ აღმართული საუკუნოვანი, ტანდაკოჟრილი მუხების წვეროებიდან წამოსული ფრინველთა სტვენა-გალობით იტკბობდნენ ყურთასმენას. განუწყვეტლივი შრომა და ფუსფუსი დიდად დამღლელი იყო, მაგრამ მშრომელები ისე უხამებდნენ წელიწადის ორივე დროს შესაფერის ქმედებებს, რომ თავი ჯოჯოხეთში არ ეგრძნოთ და, რაც შეიძლება, უმტკივნეულოდ გადაეტანათ ამ ქვეყნიური განსაცდელი. ზამთრის გრძელ ღამეებში, განსაკუთრებით დედაკაცები რიგრიგობით ერთიმეორის ოჯახებში იკრიბებოდნენ, თბილ ბუხართან მატყლს ართავდნენ, წინდებს ქსოვდნენ, ტკბილ მურაბებს, ვაშლის ჩირს მიირთმევდნენ და გვიანობამდე საუბრობდნენ. გაზაფხულზე, დღეები რომ საგრძნობლად გადიდდებოდა, ბუხრებთან მოკალათებისა და სასაუბრო დრო აღარ რჩებოდათ, საბოსტნე ადგილს ამუშავებდნენ. ზაფხულობით დროდადრო ახერხებდნენ გრილ ჩრდილში შეკრებას. შემოდგომით კი, როდესაც ყანებს მომკიდნენ სიმინდის ტაროების დარჩევაში ეშველებოდნენ ერთმანეთს. ასე საინტერესოდ იწყებოდა საშემოდგომო შრომითი რიტუალი — ღვინით ივსებოდა მუცელდაბერილი ჭურები, სიმინდით გვერდზე გადაყანთრული ნალიები.

წყნარ ვარსკვლავებით მოჭედილ, ვერცხლისფერ მთვარის სხივებით მოვარაყებულ ღამეში, როდესაც ფერადი მუზა იფრქვეოდა ყავრით დახურულ სახლის სახურავზე, ნიავი რიტმულად აცეკვდებოდა და ოცნებაც თეთრ გედად ქცეული, კაზმული სიტყვის ოსტატს ხელში კალამს ააღებინებდა და გზის ნაპირებზე ჩაყოლებული მაღალი ალვები ციდან ჩამოფრენილ ანგელოზებად მოეჩვენებოდა, მაშინ ამ უზარმაზარ კოსმოსში მყოფს უსასრულობის შეგრძნება ეუფლებოდა და ლექსის სტრიქონებს მთვარის ვერცხლიდფერ ძაფებშით, ქარგავდა, თეთრ ქაღალდზე გადმოტანილ ფაქიზ განცდებსა და გრძნობებს ადამიანებს უზიარებდა. ეს ქვეყანა ფანტაზიის მქონე ადგილად და სავანედ ესახებოდათ პოეტებს, სადაც ნაირფერებით შემკობილი აპრილი საყვარელ ქალად ეჩვენებათ, სწორედ ისეთ ქალად, რომელიც გულწრფელად უყვართ. დედამიწაც ია-ვარდებითა და ეკლებით დაფარული, ერთ-ერთ ყველაზე დიდ ცოცხალ ორგანიზმად ჰქონდათ წარმოდგენილი, რომელიც ყველა სულიერს ასაზრდოებს, სიკვდილის შემდეგ კი ისევ თავად ეპატრონება, ყველაფერს თავდაპირველ სახიერებას უბრუნებს — მიწად აქცევს. მაგრამ ვერ ეხება იმ ლამაზ ფრაზებს, ვერ აფერმკრთალებს პოეტის ქვეცნობიერულ შთაბეჭ-

დილებებს, რომლებიც დიდ სასწაულს ახდენენ და ფსიქოლოგიურად მოქმედებენ ადამიანებზე. ის ლამაზი ფრაზები სიყვარულის ძალით ავსებენ. ის ძალა შემდეგ აკავშირებთ სამარადისო იდუმალებასთან და სასიამოვნო ჟრუანტელის მომგვრელი სითბო უვლით მთელ სხეულში. ის სითბო დაქანცულობისა სიკვდილზე შიშს უქარწყლებთ, ამომავალ მზეს პირმცინარედ ეგებებიან ფაფუკ თეთრ ქაღალდზე გადმოტანილი სულჩადგმული ბგერები მაღალი მზისკენ მიილტვიან და თან მათი ოცნებები მიაქვთ გასპეტაკებულ სულთან ერთად სამზეოში დასავანებლად, რასაც ადამიანები გარდაცვალებას ვუწოდებთ: **„დედა საქართველო, მსხვერპლად შეიწირე / მზეში შეღებილი ვანლერ დაისელი“**... დიახ, ბატონებო! ვანლერ დაისელი, ანუ ივანე ბაბუაძე, ქართველი უიღბლო პოეტი, ზედა საქარაში დაბადებულა ჩემი დაბადებიდან ორმოცდა სამი წლით ადრე. სწორედ, იმ ქარცეცხლიან ეპოქაში მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა, როდესაც ჭეშმარიტად მოაზროვნე ხელოვანებს, ტყვია ან გაციმბირება ეშმაკისგან ჰქონდათ ნაწინასწარმეტყველები. იმ ავად ხსენებულმა გარემომ ხელი შეუშალა ნიჭიერებით აღსავსე ახალგაზრდას საპატიო ადგილი დაემკვიდრებინა ლიტერატურაში, მაგრამ რაც მოასწრო ისიც უკვდავებად ღირს, სამშობლოს თავისუფლების მოპოვებისთვის კალამი შეუდრეკელი რწმენით აღსავსემ, მახვილივით აღმართა: **„თუ დროშას გაიტან ბრძოლის მოწინავეთ, / შენ ხალხის სიმართლე თუ გიყვარს გვწვავს, / მაშინ მოგაგებებს სიყვარულს ბრწყინვალეს, / მშრომელის გული და სამშობლოს ცა“**.

ის არ წერდა იმისთვის, რომ საკუთარი პოპულარობა მოეპოვებინა, ის არ ეძიებდა თავის გამოჩენას, ის წერდა იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეეძლო. მისი მისია ამ ქვეყნად მხოლოდ წერა ყოფილა და ამ წერას ზვარაკად უნდა შეწირვოდა. ასეთი ბედი რგებია ამ ტიალ წუთისოფელში. მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებებს ახდენდა შინაგანი ტემპერამენტით დაწერილი ლექსები: **„იცოდე, რომ ლექსში გულია ჩათლილი“**. თუ ლექსს გულწრფელობა აკლია და შიგ ჩადებული სიტყვები გულიდან არ არის წამოსული, ისევე მიუღებელია სულისთვის, როგორც უმარილო კერძი კაცისთვის. ადამიანი ყოველთვის წარსულიდან მომავლისკენ ისწრაფვის, რადგან აწმყოდან წარსულში შეუძლებელია სიარული, აწმყოსა და წარსულს მხოლოდ მოგონებები აკავშირებს. ამიტომ ოცნებობდა ისეთი სტრიქონები დაეწერა, ადამიანს წარსულს რომ არ დაავიწყებდა, ესთეტიკური სიამოვნებაც მინიჭებოდა და თან მომავლისკენაც გაახედებდა, რადგან ადამიანის სული ისეთი ფაქიზი და მგრძნობიარეა, თავადაც მგრძნობიარე სიტყვები უნდა შეერჩია, რომ მატერიალური სამყარო გაესულიერებინა და აემ-

ეტყველებინა: **„მესევიან სიტყვები ათრთოლებულ ვედრებით, / როგორც გუნდი ფუტკრების ყურძნის მწიფე ქარვებზე“**.

ვიდრე ვანლერ დაისელზე რამეს დავწერდი, ერთი კითხვა ამეკვიატა, ხომ არ ჯობდა, ცალკე ბროშურად გამომეცა სულმნათი პოეტის მიერ განვლილი ის პატარა მონაკვეთი, რისი გავლაც შეძლო და მოასწრო? იქნებ პატივცემულ მკითხველსაც მოეჩვენოს, რომ მისთვის სათანადო ადგილი არ იყოს აქ განკუთვნილი, იმიტომ, რომ ეს წიგნი მხოლოდ დათა და კონსტანტინე საყვარელიძეების შთამომავლებზეა გამიზნული და არა ვალნერ დაისელზე. და ვანლერ დაისელს მათ ოჯახთან არავითარი ნათესაური კავშირი არ ჰქონია, მაგრამ მე გავითვალისწინე დათას ღვთიური მადლი, რაც მან გაუწია მომავალ პოეტს, წერა-კითხვა შეასწავლა, სამშობლოსა და ღვთისადმი სიყვარული შთააგონა: „ამ ქვეყნად განუშორებლად არიან ერთმანეთს შერწყმული სიკეთე და სიბოროტე, ისევე როგორც სინათლე და სიბნელე! ყველა ადამიანში დევს, შვილო ჩემო, სიბოროტეც და სიკეთეც. ამიტომ არსებობს ეკლესია სწორ გზაზე დააყენოს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, რწმენით აღავსოს, სიბოროტე დაათრგუნვინოს და სიკეთისკენ გადმოხაროს!“.

შვიდი წლის ასაკში ჩაწვდა ქართული ანბანის საიდუმლოებას, სოფლის სკოლაში, რომელსაც დათა ხელმძღვანელობდა სწავლამოწყურებულ ბავშვებისათვის, სკოლის კარი ყოველთვის ღია იყო, მშობლიურ ენასა და რუსულს დათას უმცროსი ძმა კონსტანტინე ასწავლიდა. პირველი ლექსი, რომელმაც თავი დაამახსოვრა, „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი“, რაფიელ ერისთავის ანდერძად ქცეული სიტყვები იყო.

იმ ადგილზე ახლოს, სადაც ცხოვრობდა, შარაგზა გადიოდა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს და, რასაკვირველია, საქარასა და ზესტაფონსაც. ფართე, სუფთა და მწვანე ბალახით დაფარული ეზო, ხეხილსა და ყვავილებში ჩაფლული, მართლაც პოეტურ გარემოს წარმოადგენდა, წაბლის ხისგან ლამაზად გამოთლილ ჭიშკრით. აგრეთვე, ხის ბოძებზე შემდგარი იმერული კოხტა ოდა, რომელიც ყავრისგან იყო დახურული ჟამთა სვლაში კუპრივით ჩაშავებული, აბიბინებულ მწვანე მოუცელავ ბალახში, ზღვაში მოცურავე გემს აგონებდა შარაზე მიმავალ მგზავრებს. მაღალი ხის ჩრდილში ხშირად იჯდა ხოლმე ღრმად მოხუცებული კაცი თავზე ფარატინა თეთრი ქუდით, ხელებით საბიჯგ ჯოხზე დაყრდნობილი და თვალს აყოლებდა ამვლელ-ჩამვლელს. გუშინდელ დღესავით მახსოვს, ჩემს პატარა ბიჭობაში, ალბათ, ხუთიოდე წლის თუ ვიქნებოდი მაშინ, როცა იმ კარმიდამოს ჩავუვლიდი ყოველთვის სურვილი

მიჩნდებოდა, იმ კაცთან მივსულიყავი, რამეში დავხმარებოდი, ოდნავ მცირე სიკეთე გამეკეთებინა მისთვის. საშინლად განვიცადე ერთ დღეს ოდას ცეცხლი რომ გაუჩნდა და ნაცარტუტად იქცა. ვერ გეტყვით, რა მაფორიაქებდა, ღამ-ღამობით საშინელ სიზმრებს ვხედავდი, ხელებაკანკალებული მოხუცი მეცხადებოდა და შველას მთხოვდა. მსურდა მივშველებოდი, მაგრამ უმწეოსა და არაქათგამოცლილს ძალა აღარ შემწევდა, ფეხებს ვეღარ ვიმორჩილებდი ნაბიჯი ვეღარ გადამედგა, გამოწვდილ ხელებისთვის ჩემი სუსტი ხელი რომ შემეშველებინა. მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ბერიკაცს დიდხანს აღარ უცოცხლია, ცხონებულს შვილის მოუთმენელი მოლოდინით ამოძვრა სული... ვანლერ დაისელის მამა, სერგი ბაბუაძე გახლდათ ის უბედური მოხუცი, რომელსაც აუხდენელი მოლოდინის ტკივილი თან ჩაჰყვა საფლავში.

თორმეტ წლამდე სოფლის სასწავლებელში იწრთობოდა მომავალი პოეტი. წერა-კითხვისა და სხვადასხვა სასწავლო საგნებს შორის საღმრთო სჯულსაც ასწავლიდა დათა მღვდელი (მამაო გიორგი). მამაო შთაუნერგავდა ყოველივე ამქვეყნიური უსამართლობა ღვთისადმი ლოცვითა და მონანიებით უნდა აღმოეფხვრათ, ბოროტი ადამიანები უნდა დაერწმუნებინათ ბიბლიურ ქრისტიანულ აზროვნებაში მთავარი სიყვარულია და არა სიბოროტე. ვანლერს ეჩვენებოდა, ამქვეყნიურ ცხოვრებაში სიბოროტე და სიკეთე ყოველთვის იყო, არის და იქნებოდა, რადგან შეუძლებელია უერთმანეთოდ რომელიმე მათგანის დანახვა. რაც არ უნდა იბრძოლო ბოლომდე მაინც ვერ აღმოფხვრი და უიმისოდ ცხოვრებასაც აღარ ექნებოდა აზრი. ეკლესიაში შესული დიდხანს აკვირდებოდა ხოლმე ახალგაზრდა ღვთისმშობლის ხატს, რომელიც ისე ცოცხლად ესახებოდა, თითქოს სურათიდან წარმოდგებოდა, უწვერულვაშო ყმაწვილს თავზე ხელს ნაზად გადაუსვამდა, დალოცავდა და მეცხრე ცისკენ მიმავალ გზაზე დააყენებდა, როგორმე იქამდე მიეღწია, იქაური დანახული სამყარო ფურცელზე გადმოეტანა და მეგობარ პოეტებისთვის შემოეძახა: **„მოვთხრი ბაგრატზე სიტყვებს კირიანს, / ვკოცნი რიონს და ზვიად ჩინარებს, / მე ვეუბნები გაბესკერიას, / კეშელავას და დია ჩიანელს, / ძმებო მოთხარეთ სიტყვა მიწიდან, / სწოვეთ მუსიკა და ირემის რძე, / სად პოეზიის მადლით იწვოდნენ, / შალვა კარმელი და ცირიკიძე“.**

მშობლების გადაწყვეტილებით ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მოუწია სწავლებამ. მისაღები გამოცდებიც ჩააბარა. სწავლება რუსულად მიმდინარეობდა. თავიდან ცოტა გაუჭირდა, რუსულს აქცენტით ლაპარაკობდა, მაგრამ მუყაითი მეცადინეობით მალევე დაძლია და მოწინავე მოწაფეთა გვერდით აღმოჩნდა. ისტორიული ძეგლებით დაინტერესებული ჭაბუკი გამოსასვლელ დღეებს ხეტი-

ალში ატარებდა. უქიმერიონის გორაზე ბაგრატის ნანგრევებს მოათვალიერებდა, შემდეგ ქუთაისის ახლო-მახლო გელათსა და მოწამეთასაც ააკითხავდა, გეგუთშიც, მეფეების სატახტო სავანეში, ყვავილებით აფერადებულ სივრცეს, ღვთიური სტრიქონებით წაუჩურჩულებდა, იმჟამინდელ ქვებზე წამოწვებოდა, მუთაქის მაგივრად ხელებს თავქვეშ ამოიდებდა და ლექსებში ფიქრში წუთიერად ჩათვლემდა... არასოდეს კმაყოფილდებოდა იმ სწავლებით, რასაც სასწავლებელში ასწავლიდნენ, ამიტომ ხშირად სტუმრობდა ბიბლიოთეკას, მოწყურებული კითხულობდა ცნობილ მწერლებს. ქალაქურმა ცხოვრებამ და სასწავლებელმა მთლად შეუცვალა თვალსაწიერი, გონება მეტად გაუმახვილდა. თეატრმა განსაკუთრებული როლი ითამაშა მის პიროვნულ ჩამოყალიბებაში, სცენაზე დადგმული პატრიოტული პიესები და ცოცხლად ნახული მსახიობები მოხიბლულობის ძალას მატებდა თეატრალურ სამყაროსადმი, წერის უნარიც თანდათანობით უძლიერდებოდა. ქუთაისში, როდესაც თუთარჩელებით შემკობილი აპრილი შემოაბიჯებდა, პოეტების თავშესაყრელი „აქტივი“ ამუშავდებოდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სევერიან მინდაძე, ქართული კულტურის დიდად მოყვარული ღვთისნიერი ადამიანი. სწორედ ამ თავშესაყარში გაიცნო და დაუახლოვდა თავის მომავალ კოლეგებს: ბონდო კეშელავას, დია ჩიანელს, ევგენი ფურცხვანიძეს, ფუცუ დგებუაძეს, ვიქტორ გაბისკერიას, შაჰხრუხ ჩარკვიანს, დათა თაქთაქიძეს, შალვა ციბელს, ფილიპე შავგულიძეს, შალვა კაშმაძესა და ვასო ლორთქიფანიძეს. ზაფხულის გრილი საღამოებით აღფრთოვანებული პოეტები ჩილინგარაშვილის საკონდიტროში, ღარიბულ სუფრაზე როცა ღვინოს შეექცეოდნენ, გალაკტიონის ცნობილ ლექს „მერის“ კითხულობდნენ. დიდხანს გრძელდებოდა თბილი საუბრები და იმერული ტკბილი სიმღერები. მწერალთა თავშესაფარ აქტივს ჰქონდა საკუთარი ორგანო, სადაც უშვებდნენ ჟურნალ „გრდემლს“. სწორე იმ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა პირველი ლექსი „პოეტები და ქუთაისი“, რამაც საკმაოდ დიდი აღიარება მოუტანა და ახალგაზრდა პოეტების რიცხვს შემატა მისი სახელი. იმ დროს ტრადიციულად თეატრში ყოველ სამშაბათობით იმართებოდა ხოლმე ლიტერატურული საღამოები, სადაც ვანლერმაც მიიღო მონაწილეობა. პირველად მაშინ ავიდა სცენაზე და წაიკითხა ახლად დაბეჭდილი სტრიქონები: **„ძმებო მითხარით სიტყვა მიწიდან, / სწოვეთ მუსიკა და ირემის რძე, / სად პოეზიის მადლით იწვოდნენ, / შალვა კარმელი და ცირიკიძე“**. / ვანლერის წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენია სოფელს, უპირველეს ყოვლისა ოჯახს! ჟურნალი ხელიდან ხელში გადადიოდა. მშობლების შემდეგ ყველაზე დიდი სიხარული დათამ განიცადა. მან, როგორც აღმზრდელმა და

მოძღვარმა, შეძლო აღსაზრდელის სულში ჩახედვა და შთაგონება ქართველი ერის სიყვარულისა! ორთავეს მასწავლებელსაც და შეგირდსაც უხაროდათ ერთმანეთის დანახვა. მასწავლებელს თავი შემართებულად ეჭირა, გრძნობდა, რომ თავის შრომას უქმად არ ჩაუვლია. შეგირდი თვალში თვალს უსწორებდა და ფიქრობდა: „იმდენი ვიბრძოლე, იმედი არ გაგიწბილე, ცოტა სიკეთე ვყავ, ცოტათი ხომ დავამახსოვრე თავი ხალხსო“...

— ივარგა, ივარგა და რაღას ერჩით, ბაბუაძეების ყაზახმაო, ასე იცის ბატონებო საყვარელიძეებთან სიახლოვემო. — იძახდა ულვაშაწკეპილი ბესარიონ საყვარელიძე, თან აუჩქარებელი, დარბაისლური ნაბიჯებით, ახოვან ტანს, თვალუწვდენელ ეზოში მუხებისა და თელების შრიალში დაატარებდა. სოფელში ის ითვლებოდა ერთადერთ მსხვილ მემამულედ და ყველაზე ახლო მეზობლად ცხოვრობდა ვანლერის ოჯახთან. მის მფლობელობაში შედიოდა ქართული ჯიშის ეკლით გაშენებული ტყე, ვეებერთელა სახნავ-სათესი ფართი, ვენახის ზვრები და ბაღჩეული. სხვადასხვა ჯიშების საქონლის ჯოგები, უამრავი რაოდენობის ფრთა შინაური ფრინველები. ღამ-ღამობით ტყიდან ფრინველთა ჟივილ-ხივილი მოისმოდა. დღისით ჭრიჭინობელების გამუდმებული ჭრიჭინი ადამიანს უსასრულო ფიქრების წინაშე, უფრო მეტ ცნობისმოყვარეობის სურვულს უჩენდა აჟრიამულებული სამყაროს მიმართ. აგვისტოს ხვატში, როცა სიცხით გადახუნებული დედამიწა ფერს იცვლიდა, ბალახს სიყვითლე შეეპარებოდა, ასწლოვანი ხეების ჩრდილში მაინც სიგრილე და სინოტივე სუფევდა. ჭიშკართან ენაგადმოგდებული, ცეცხლის ფერი მშვიდი, მონადირე ძაღლები, როგორც კი პატრონს ეზოში გამოსულს დაინახავდნენ, მივარდებოდნენ და ფეხქვეშ უგორდებოდნენ. სიხარულისგან აღტაცებულნი ყეფდნენ და მწყერზე სანადიროდ წასვლაზე უხმობდნენ. ეზო წლის ოთხივე დროებასთან შეხამებით, ყოველთვის მიმზიდველად ჩანდა უზარმაზარი მუხის ხის სახლითა და ასევე მუხისავე მარნით. ეზოს გარეთ კი ბოსლები და საქათმეები ცალკე იყო შემორაგული. აქედან საამო საცქერალი იყო უბნებად დაყოფილი, წყაროებით მდიდარი სოფელი, მთავარ შარაგზაზე ფეხით მოსიარულე მგზავრებს ერთი სურვილი იპყრობდათ, როდესაც გვერდით ჩაუვლიდნენ, „ნეტავი ახლა, იმ გრილ ჩეროში წამოგვაწვინა, გადაღლილი მუხლები ჩაგვაკეცია და თვალიც წაგვეტყუებიაო“...

ასე განვლო გზა ბავშვობიდან სიჭაბუკემდე ვანლერმა, საქარასა და ქუთაისს შორის, ხელოვანთა ქალაქში იწრთნობოდა, ღებულობდა განათლებას, ირკვევდა სიტყვების მნიშვნელობას, რათა საწყისი ეპოქის გამომხატველი, სურათი დამაჯერებელი ფერებით გადმოეცა და მკითხველის გული უზენაესი პოეტური გრძნობით აღევსო.

21

ქალიშვილი — მარინა შეეძინა პავლეს, რიგით მეექვსე და ბოლო შვილიშვილი დათასა და მარიამს. ექვსიდან ერთი უკვე, ვასასისა და ლადო ტატიშვილის ქალიშვილი, ტრაგიკულად დაიღუპა. ისევ ვანომ აჯობა ძმებს, სამი შვილი ჰყავდა და ყველაზე უმცროსი დავითი გვარის გამაგრძელებელი. მოსწრებული და ბედნიერი კაცი იყო ქალიშვილები ფეფიკო და თინიკა უმაღლესში სწავლობდნენ, სამთავე თბილისში ცხოვრობდნენ. გაუჭირდათ ვანოსა და ცაბუას შვილთან დაშორება, რა უნდა ექნათ? უსწავლელს ხომ არ დატოვებდნენ, ტრადიციას ხომ ვერ დაარღვევდნენ? ძველთაგანვე მოსდევდათ ცოდნისკენ მისწრაფება, სახლში ჯდომით რას მიაღწევდნენ? ასეა, ცოდნას მოწყურებულმა ადამიანმა თავისი ახალგაზრდობა წიგნებს უნდა შეალიოს, ცოდნა შეიძინოს და გამოადგეს თავის ხალხსა და ქვეყანას.

დათა უკმაყოფილებას გამოთქვამდა შვილების მიმართ. პავლესა და ლადიკოს ურჩევდა ყველაზე ცოტა სამ-სამი შვილი მაინც გაეჩინათ, — მიბაძეთ უფროს ძმასო, — გრიგოლს როგორც ყოველთვის საყვედურობდა, — მომასწარი ვინემ ცოცხალი ვარ, შენ უცოლობას ნუ ჩამატან ჯავრად საფლავშიო! ორი ლამაზმანის მშვენიერი თამარისა და ფეფიკოს შესახებ ლაპარაკობდნენ მაშინ მთელ თბილისში. და მართლაც, იშვიათად შეხვდებოდით ისეთი კლასიკური სილამაზის მქონე ქალებს, როგორებიც საყვარელიძეების ასულები იყვნენ.

საერთო ჯამში საქარელი საყვარელიძეები აზნაურთა გვარის წარმომადგნელები იყვნენ და სოფლის პირობებში, როგორც იმერეთს შეეფერებოდა შეძლებულად ცხოვრობდნენ და წერა-კითხვაც იცოდნენ, მაგრამ, განათლებით გიორგი საყვარელიძის შთამომავლებს, ძმების დათასა და კონსტანტინეს მონაგართ ვერავინ შეედრებოდა, ისინი იყვნენ ძლიერი ნებისყოფის მქონენი ტიტანური მისწრაფების ადამიანები, ქრისტეს რჯულის მიმდევარნი და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულნი. თამამად შეიძლება ითქვას საქარელ საყვარელიძეებს სამშობლოსთვის არასოდეს უღალატნიათ, არც თანასოფლელთათვის და არც მიუტევებელი სიბოროტე არაფერი ჩაუდენიათ, ახლო კავშირში იყვნენ გლეხკაცობასთან, არ ულახავდნენ მათ ადამიანურ ღირსებებს და გლეხებიც სინდისიერად ემსახურებოდნენ. შეიძლება თამამად ითქვას, გვარს ამართლებდნენ. იუმორის გრძნობებიც ჰქონდათ ღვთიდან ბოძებული, როცა მაგიდას უსხდნენ, სხარტულა სიცილის მომგვრელი გამონათქვამები სტუმრებს ხალის და ქეიფის ხალისს მატებდა. შემდეგ ყველაზე დიდი ფართო ასპარეზი ნადირობას ეთმობოდა. საყვარელიძეებიდან ვანო, ბესარიონი და აპექსი იყვნენ გამორჩეულნი. ხშირად აჯამეთის ტყეში დადიოდნენ, შიგადაშიგ

არც ჯიხვების ნადირობაზე ამბობდნენ უარს. ალპური ზონის მქონე სვანეთის მაღალ კლდეებზე უწევდათ ცოცვა. ერთადერთი ვაჟიშვილი დათიკოც თან დაჰყავდა ხოლმე ვანოს, ბავშვობიდანვე აჩვევდა ბუნების, ცხოველებისა და ადამიანის ურთიერთ კავშირს. სიძნელეების გადალახვასა და დასახულ მიზნამდე გაბედული ნაბიჯების გადადგმას. მალე ისე გაუმაგრდა მუხლი და გამოიწრთნო, უფროსებს ტოლს არ უდებდა კლდეებზე ცოცვაში, სანამ თბილისს მიაშურებდა არასოდეს უთქვამს უარი ნადირობაზე. ერთი სული ჰქონდა, დრო მალე გასულიყო, საგაზაფხულო არდადეგებზე მამას გვერდით ამოდგომოდა. თოფი მხარზე გადაეკიდა, ხურჯინაკიდებულ ცხენს ზურგზე მოქცეოდა და სიამისმომგვრელი ადგილის ციცაბო ბილიკებისკენ აეღო გეზი. ვანო ნანადირევი ირმისა და ჯიხვის თავებისგან, აგრეთვე სხვადასხვა ფრინველებისგან ფიტულებს აკეთებინებდა ხელოსნებს და აივანზე სათანადო ადგილზე ჰკიდებდა. დათიკოს მოსწონდა და იტაცებდა მამის მიერ წამოწყებული საქმე და თვითონაც აგროვებდა სხვადასხვა სახის ფრინველებს, რაღაც სასწაულ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე დაგრეხილი რქებიანი ირმისა და ჯიხვის თავები, ნაირფეროვან ფრინველების ფიტულებს უმშვენიერეს გარემოცვაში შეჰყავდა აივანზე მყოფი სტუმრები. სულჩადგმული, გაცოცხლებული პეიზაჟი უფრო აძლიერებდა, სულიერ ძალას მატებდა და მამაცური სიამაყით ავსებდა. ვანო პოეტური მისწრაფების კაცი იყო, ახალგაზრდობაში ლექსებს წერდა. ის არამარტო ლექსის სტრიქონებში ხედავდა და ეძებდა ყურისდამატკბობელ ღვთაებრივ სიტყვებს, არამედ ბუნებაში, ნიავის შარიშურში, ხეების შრიალში, მდინარეებსა თუ ჩანჩქერში, ხევში ჩაკიდულ თეთრ ნისლებსა და ცის კიდიდან კიდემდე გადაჭიმულ ცისარტყელაშიც. ლექსის სტრიქონივით ბრწყინვალე ფერებით შეზავებული ცისარტყელა, ღმერთის კარეტის ნაკვალევს აგონებდა, უძირო ლურჯ ცაზე გამოკიდული და თავად ბუნება ყველაზე დიდი პოეტი იყო. ამავე დროს მხატვარიცა და მოქანდაკეც!..

სამთავე ბავშვობიდანვე ერთად მოდიოდნენ, ერთი ხნისანი იყვნენ, ნადირობამ, ბუნების წიაღში სიარულმა, ტახის მოლოდინში მთვარიან ღამეებში ხეებზე ჩასაფრებულმა, თეთრად გათენებულმა ღამეებმა მეტად გააძლიერა მათი მეგობრობა. მართალია ვანო შოროპნის მაზრის უფროსი გახლდათ, მაგრამ სულაც არ შეუშლია ხელი ადამიანებთან სიახლოვეში, ზომიერად იცოდა დაახლოება და თავდაჭერაც, სიამაყე გენებიდან მოსდევდა, მაგრამ თავს ნებას არ აძლევდა, ვინმესთვის ქედმაღლურად შეეხედა.

ასევე პატივსაცემ ოჯახად ითვლებოდა სოფელში აპექსის ოჯახი. აპექსის მეუღლე მატრონა წერეთელი განთქმული მკურნა-

ლი, საყმაწვილო წამალს ამზადებდა. საქართველოს, თითქმის ყველა კუთხიდან აკითხავდნენ შესანიშნავ მკურნალ ქალს, რომელსაც შინაგანი კეთილშობილების გრძნობა კარნახობდა, რომ გაჭირვებულთათვის, ყოველგვარი ანგარების გარეშე მოემართა ხელი (ბავშვობაში მეც დამილევია ის სამკურნალო სითხე და მატრონა ბებიის მიერ მოწოდებული კამფეტებიც მიჭამია). სოფელში ერთ-ერთ შეძლებულ აზნაურად აპექსიც ითვლებოდა. ოთხი მშვენიერი ქალიშვილი ეზრდებოდა, ვარდივით ტურფები. ერთადერთი ვაჟიშვილი ლევანი, უდროოდ გამოეცალათ ხელიდან, მუხისა და წაბლის ფიცრებისგან გამართული მოზრდილი სახლი სიმინდით, ღვინითა და პირუტყვით სავსე ნალია... მარან-ბოსლები და, ისე როგორც იმერეთს სჩვეოდა, სწორი ბალახიანი, გრძელი ეზოთი. დიდი რაოდენობის სახნავი მიწები მის მფლობელობაში შედიოდა.

დროა ახლა ჟორდანიას დროინდელ საქართველოს დავუბრუნდეთ ძვირფასო მკითხველო, თორემ მოვლენებს ძალიან წინ გავუსწარით.

მაშ ასე, საქართველოსთვის ისევ ჭიანურდებოდა „დე-იუარე“-ს აღიარება. რუსეთსა და პოლონეთს შორის იმ დროს ომი მიმდინარეობდა. გამჭრიახი გონების კაცს არ გაუჭირდებოდა ამ ომის მიზეზი, ბოლშევიკების მიერ ჩაფიქრებული, რუსული იმპერიის გაძლიერება და ტერიტორიის გაზრდა რომ იყო ჩანაფიქრი. ასე ცდილობდნენ ბინძური ქმედებებით მიეერთებინათ მეზობელი პატარა ქვეყნები გუბერნიებად ექციათ და რუსეთის ტერიტორია გაეფართოებინათ. სომეხ დაშნაკებსა და ქართველი ჯარის ნაწილების შეტაკების შემდეგ ინგლისის ჯარი იდგა საქართველოში, როგორც სამშვიდობო ქვედანაყოფი. ჟორდანია შიშობდა რუსეთ-პოლონეთის ომის დამთავრების შემდეგ ინგლისს თავისი ჯარი არ გაეყვანა ჩვენი ტერიტორიიდან, ის მოლაპარაკებას ეწეოდა ინგლისის მთავრობასთან და ჰპირდებოდა სამხედრო ბაზების შექმნას, მაგრამ ყოველმა მცდელობამ ამაოდ ჩაიარა, ინგლისელებმა სამშვიდობო ქვედანაყოფები გაიყვანეს. ბოლო-ბოლო გვეღირსა და ცნეს ჩვენი „დე-იურე“, დამოუკიდებელ რესპუბლიკად გვაღიარეს, მაგრამ აღმოვჩნდით რუსეთის წინაშე სამხედრო ძალის გარეშე. თავის დროზე ვერ მოახერხა ქვეყნის პირველმა პირმა ჩამოეყალიბებინა ეროვნული გაწვრთნილი ჯარი. პავლე ოპოზიციაში ჩაუდგა მთავრობას და მოუწოდებდა, ყოველგვარი ძალა ეხმარათ ძლიერი ეროვნული ჯარის შესაქმნელად. პავლე კარგად ერკვეოდა ისტორიაში, ასე ადვილად არ ენდობოდა იმ საგანგებო ხელშეკრულებას, რის საფუძველზედ ბოლშევიკურმა მთავრობამ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მსგავსი ხელშეკრულება უხეშად დაარღვია რუსეთმა ტრაქტატის დადების შემთხვევაში, თუ მაშინ დაარღვიეს და ყოველგვარ ზღვარს

გადავიდნენ, დღეს თუ ხვალ, რატომ არ შეიძლება, იგივე გაიმეორონ? რაა, ვითომ ჭკუა დაუშლით თუ სინდისი შეაწუხებთ? იგივე ტოტლებენის ღალატმა რა დღეში ჩაჰყარა ქართველი ხალხი? დღეს იქნება თუ ხვალ, ჩვენც იგივე მოგველის, რაც პოლონეთს? — მწარედ განკენწლავდა ხოლმე გულში... აუცილებელზე აუცილებელია ჩვენთვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, უწინარეს ყოვლისა ევროპის ქვეყნების დახმარებით, მაგრამ რომელი მათგანი აიტკიებდა აუტკიებელ თავს, საქართველოს გულისთვის შეებრძოლებოდა გიგანტურ სახელმწიფოს. მაგრამ ყურები ჩამოვყაროთ, არაფერი ვიმოქმედოთ, არც ეს იქნება მართებული. თავს იტეხდა, ღამეებს თეთრად ათენებდა. ასეა, პატარა სახელმწიფოების ბედი, — კარნახობდა შინაგანი მეორე მე. — ვერ ცდებიან ჯუნგლების კანონს, ძლიერები იპყრობენ, იმონებენ, და ზემოდან ბრძანებლობენ თუ როგორ უნდა მოიქცნენ, პატარა დანაშაულზე ბავშვივით ყურს აუწევენ, თუ არ შეისმენს, ტყვიით დაადუმებენ. სხვის დასანახად ხალხს ერთმანეთზე გადაკიდებენ და გალიაში ჩამწყვდეულ ვირთხებივით ერთმანეთს აჭმევინებენ. თავად განზე გამდგარნი თავს დემოკრატიულ სახელმწიფოებად ასაღებენ. ოსმალეთიდან ისევ მოისმოდა საეჭვო ხმები, ბათუმის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ სულწაწყმედილები. პავლეს თავში დაცეცხლა, აფორიაქებულს სისხლი სახეზე მოაწვა, ბრაზმორეულმა მუშტი შეკრა და ზე აღმართა: — ვერ მოგართვით, არა, ეს არ მოხდება! სანამ სისხლი გვიდუღს ძარღვებში, ცოცხალი თავით არ დავთმობთ ბათუმს! მერე პერანგის ღილები ჩაიხსნა მარჯვენათი ყველაზე მგრძნობიარე ორგანო მოიძია და თითებით შეუდგა პულსაჩქარებულის დამშვიდებას. — ეჰე, რაოდენ ტკივილსა და დარდს იტევს, ეს უბედურ დღეს გაჩენილიო!..

ოთახში ტასომ შემოიხედა, შეშინებულმა თვალი შეავლო. პავლეს აღშფოთება რომ დაემალა გაღიმება სცადა, — შემოდი, შემოდი, სტუმარი ღვთისაა! — დაამატა ჩვეული ღიმილით.

ტასომ სევდიანად ჩაიცინა, მერე მივიდა მეუღლეს თავი ჩამოადო და ყურში უჩურჩულა: — დროა უკვე, ძვირფასო, რეალობიდან ტკბილ სიზმრებში გადავინაცვლოთ, რამოდენიმე საათით მოვწყდეთ ამ ცოდვიან სამყაროს, თორემ ამდენი ფიქრისგან გული გაუსკდება კაცს?

პავლე ცოტა ხნით შეყოვნდა, დაუმთავრებელი სტატიის დასრულება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ გვიანი იყო და გადაიფიქრა, ადვილად დანებდა მეუღლის თხოვნას. სამზარეულოში გავიდნენ და მცირე ტაბლას შემოუსხდნენ, მსუბუქად ივახშმეს. საძინებელში პატარა მარინკა იწვა და მშვიდად ფშვინავდა. ეძინა ქალაქსაც, ღია სარკმლიდან სიოს ბებერი ჭადრების შრიალი შემოჰქონდა. დროდადრო სიმშ-

ვიდეს გვიანი მგზავრის ფეხის ხმა თუ დაარღვევდა. უხმოდ იდგნენ და მზერას ვერ აშორებდნენ საყვარელი არსების ფაფუკ თეთრ თითებს, ვეებერთელა თოჯინისთვის რომ ჩაებღუჯა, გულში მაგრად ჩაეკრა, რათა არავის წაერთმია. მოსიყვარულე დედამ მაინც ვერ მოითმინა, საწოლთან ჩაიჩოქა, მაღალ შუბლზე ნაზად ხელი გადაუსვა, პირჯვარი გადაიწერა და ეამბორა.

პავლეს თავისი ბავშვობის წლები ამოუტივტივდა გონებიდან. ეჰ, რა შეედრებოდა იმ უდარდელ ჟამსა და დროებას? დედის კალთებზე გამოკერებული რომ დააბიჯებდა, ეზოს თავიდან ეზოს ბოლომდე, სულისშემხუთველ ზაფხულის ხვატში კიკვილი ბებიის მიწოდებულ ტკბილეულს რომ შეექცეოდა დაკოჟრილი მუხების გრილ ჩრდილში. ხალისიანი გიორგი ბაბუა, როცა ფართო მხარ-ბეჭებზე ჩამოისვამდა, აჩუ-აჩუს ძახილით აბუქნავებდა და ორივე ბაბუა-შვილიშვილი უდარდელად ხითხითებდნენ. ერთხელ ბაბუამ ცხენზე შეისვა და ეკლესიაში წაიყვანა. გულისყურით უსმენდა შავ ანაფორაში გამოწყობილი წირვებს როგორ ატარებდა, როგორ სიამოვნებდა ლამაზი ხმის ტემბრით ჩამომარცვლული, წმინდანების მიერ შედგენილი საგალობლები. მერე ცოტა რომ წამოიზარდა და ბაბუა ლოცვებსა და წერა-კითხვას ასწავლიდა, ისეთი ძალით კითხულობდა, ეკლესიის გუმბათივით სჭექდა მისი ხმა და ყველას აოცებდა. დედისთვის უდიდესი ბედნიერება იყო, როდესაც კარებს ამოფარებული შვილის კითხვას უსმენდა. როგორ უყვარს წიგნი დედა ენაცვლოს, ცრემლმორეულ თვალებს იწმენდდა მარიამი და ფეხაკრეფით დააბიჯებდა, რომ პატარას დედის გამოჩენაზე მოულოდნელად არ დაემორცხვა და კითხვა არ შეეწყვიტა. მეცადინეობას რომ მორჩებოდა ცოტა შენიშვნებს აძლევდა ხოლმე. შიშობდა, პატარას გული არ გატეხვოდა, აუცილებლად საქებარ სიტყვებსაც არ იშურვებდა. ფიქრი იპყრობდა მარიამს და ჩვეულ სიდარბაისლეს ინარჩუნებდა. ზედმეტი ქებაც და კრიტიკაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანზე და მითუმეტეს პატარებზე...

ტკბილ მოგონებებით ბურანში წასულს ძილი მოერია, ასე ძალიან არასოდეს მონდომებია თვალების დახუჭვა, ასე ძალიან ჯერ არ უგრძვნია დაღლილობა, თავი ბალიშზე დადო თუ არა, მიწიერ ცხოვრებას დროებით მოწყდა და გაეთიშა...

22

ეკატერინა ტუსიშვილი შეირთო ცოლად სიმონიკამ, რაფიელ ერისთავის შვილიშვილი და ილია ჭავჭავაძის ნათლული. ეკატერინას დედა, ელენე რაფაელოვნა, დიდად განათლებული, პატიოსანი

და ტრადიციების მატარებელი მანდილოსანი, ახლო კავშირში იმყოფებოდა გუნიების ოჯახთან. კერძოდ, ვალერიანის მეუღლესთან, ნინო გომელაურთან. ისინი ხშირად სტუმრობდნენ ოჯახებით ერთმანეთს და, ცხადია, მათი ქალიშვილებიც, ტასო გუნია და ეკატერინა ტუსიშვილიც დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც გათხოვდნენ და ცოლებად ბიძაშვილებს — პავლე და სიმონ საყვარელიძეებს წაყვნენ. „ფერი ფერსა და მადლი ღმერთსო“ შემთხვევით არ უთქვამთ, სულიერად და ხორციელადაც შეეფერებოდნენ ერთმანეთს ახალგაზრდა ოფიცერი და თავადის ოჯახიდან გამოსული ქალბატონი. სიმონიკა მაშინ თბილისში ცხოვრობდა, რუსულ იმპერიაში გამოზრდილი, მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ახმარდა. ორ შეტაკებაში მოუწია მონაწილეობის მიღება, პირველი — ლორეს ხეობაში სომეხ დაშნაკებსა და ქართველებს შორის რომ მოხდა. მეორედ — სამაჩაბლოში, ოსი სეპარატისტები, ბოლშევიკების თანადგომით სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ოლქის შექმნასა და გასაბჭოებას რომ ცდილობდნენ. ქართველ პატრიოტულ ნაწილში, რომელსაც გენერალი ვალიკო ჯუღელი ხელმძღვანელობდა. სიმონიკა ხედავდა, სისხლისღვრამ შედეგი გამოიღო, მოძალადეები განდევნილი იქნენ საქართველოს ძირძველი ტერიტორიიდან. ერთი ყველაზე საუკეთესო თვისება ჰქონდა ახალგაზრდა საყვარელიძეს. თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა და ყოველთვის ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი წაეკითხა, უფრო ღრმად ჩაწვდომოდა სამხედრო საიდუმლოებას. ბევრს ვარჯიშობდა, ცხენის ჯირითსა და იარაღის ზუსტად ხმარებაში ატარებდა თავისუფალ დროს. ადგენდა გეგმებს, თეორიულ ცოდნას პრაქტიკულს უხამებდა და საზრიანად ეკიდებოდა გადაწყვეტილების მიღებას, გრძნობდა რა დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოკიდებოდა და განესაზღვრა მებრძოლ ჯარისკაცთა მდგომარეობა, როგორც ოფიცერს დროზე მიეღო ზომები და სწორი მიმართულება მიეცა ბრძოლის ველზე გამოსული ჯარისთვის. ჭეშმარიტების მოყვარული ჭეშმარიტებას არ ღალატობდა. ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი, ჯირით-ჯირითით ცხენზე ამხედრებული, მართლა საკვირველი სანახავი იყო. უშიშრად მიუძღვოდა ბრძოლის ველისკენ მიმავალ მეომრებს. გმირული ამბების შესახებ უამბობდა, გუნება-ხასიათზე აყენებდა და მტერზე გასამარჯვებლად განაწყობდა, ჯარისკაცებს უყვარდათ და კეთილი თვალით უყურებდნენ პატივმოყვარე, რაინდული თვისებებით აღსავსე შემართულ ხელმძღვანელს. კაცის დაჩაგვრას ვერ იტანდა, ყოველთვის მკაცრად ილაშქრებდა დამჩაგვრელის წინააღმდეგ. თავის ხელქვეითს არასდროს არ დაამცირებდა, უკადრის არ კადრებ-

და. ბუნებით მიმტევებელმა შეცდომების პატიება იცოდა, მაგრამ მარჯვენა ლოყაში სილა რომ გაგეწნა, მარცხენას აღარ მოგიშვერდა და საკადრისად გადაგიხდიდა სამაგიეროს. გადაგიხდიდა ისე, რომ მეორედ აღარ გაგჩენოდა სურვილი მსგავსი ქმედების ჩადენის... ყოფილი კადეტელი ყოველთვის გამოწკეპილი, გაპარსული დადიოდა და ღირსეულად გამოიყურებოდა. თავად ზრუნავდა თავის თავზე, ირეცხავდა, ისუფთავებდა ტყავის ჩექმებს, ალაგებდა საძინებელს, კერავდა და კერძებსაც ამზადებდა, არანაკლებ ვიდრე ნებისმიერი დიასახლისი. მას ფართო განათლება ჰქონდა მიღებული. შესანიშნავად ფლობდა რუსულსა და ფრანგულ ენებს. კარგად იცნობდა მწერლების ტოლსტოის, ჩეხოვს, გოგოლს, დოსტოევსკის, თეკერეის, ჰიუგოს, ბალზაკს, ილიას, აკაკის, რაფიელ ერისთავის, ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებს. ბევრს ვარჯიშობდა, ფარიკაობის დიდი ოსტატი გახლდათ. ვინც ახლოს იცნობდა საოცრად ეშინოდათ მისი, ყველა ერიდებოდა მასთან ხმლით შერკინებას. ვერც სისწრაფეში შეედრებოდა ვინმე. საერთო, კეთილი თვისებები აერთიანებდათ საყვარელიძეების ტრადიციულ ოჯახს, ისინი სხვისი უბედურების ხარჯზე, საკუთარი ბედნიერების მოპოვებას არ ცდილობდნენ და, რასაკვირველია, ეს თვისებაც გამოჰყვა მასაც. იშვიათად ახასიათებს მსგავსი თვისება ადამიანს, უმეტესი ნაწილი სხვის უბედურებაზე აგებს საკუთარ ბედნიერებას. თავს შესანიშნავად გრძნობენ და ამ ცოდვით სავსე დედამიწას, კიდევ უფრო ამძიმებენ.

ოდესიდან დაბრუნებულს ექიმად გახდომის სურვილი კვლავ აეკვიატა, მაგრამ სამშობლოში გამოწვეულმა არეულობებმა, შეხლა-შემოხლამ არ მისცა იმის საშუალება, მიზანი განეხორციელებინა. სამხედრო ფორმის ჩაცმამ მოუწია, იარაღით ხელში უნდა დაეცვა საკუთარი ქვეყნის ინტერესები. ქვეყანა შედარებით რომ დაწყნარდა ცოლი შეირთო, მაგრამ კვლავ აეკვიატა ადრინდელი სურვილი, ექიმი უნდა გამხდარიყო! თავად არჩევდა შესაფერის წიგნებს, როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა, კითხულობდა. პრაქტიკა საკმარისად ჰქონდა გავლილი, ბრძოლის ველზე დაჭრილებს უმეტეს წილად თავად უწევდა დახმარებას. — რატომ მაინცდამაინც ექიმობა? რამ მიმაღებინა ასეთი გადაწყვეტილება? — ეკითხებოდა საკუთარ თავს. უმალვე თვალწინ საკუთარი ბიძაშვილი ვარლამის სახე დაუდგებოდა, თითქოს თხოვდა მისი აჩრდილი, მას განეგრძო ეს კეთილშობილური საქმე, მათ ოჯახს ხომ სიკეთის ქმნა ძველთაგანვე გენებიდან მოსდევდათ.

სიმონიკა იშვიათად, მაგრამ დროდადრო ახერხებდა დედასთან სოფელში წასვლას. ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ნინა გარდაიცვალა. მაგრამ უბედური დედისთვის განა რამე შეიცვალა,

ყოვლად შეუძლებელია დედის გულში შვილის სიყვარულის კვალი დროებამ წაშალოს. ღამღამობით მარტოდ-მარტო ოთხკედელშუა გამოკეტილი, ცრემლით სავსე თვალებით შეჰყურებდა უდროოდ დაღუპული ქალიშვილის სურათს, ნახევარ საუკუნეს მიღწეულს ჭაღარა თმა კიდევ უფრო მწუხარების ელფერს მატებდა. ამდენი გლოვისა და ტკივილის გადატანა არ შეეფერებოდა მის ნაზ ბუნებას. ის სუსტი და მშვენიერი გარეგნობის ქალი იყო და ასე არ უნდა დაეჩაგრა ზეცისა და ქვეყნის გამგებელს. ასე უდროოდ არ უნდა გამოეცლია გვერდიდან საყვარელი მეუღლე და ყველაზე უძვირფასესი არსება. ღმერთო, მაპატიე, არ ვიცი, რამდენად მართებულია ჩემი მსჯელობა, ამ ქვეყანაზე ისე ხანმოკლეა ადამიანის სიცოცხლე, ძნელია ყველაფერი ისე დაალაგო — რაა მართებული და რაა უმართებულო.

ღამეები არ ეძინა ცუცუნას. დღისით ძილღვიძილში მყოფი, სავარძელში ჩამჯდარი, გადაღლილ, შეშუპებულ თვალებსა და აფორიაქებულ სულს იმშვიდებდა. სიმონიკა და ეკატერინა ცუცუნასთვის თავი რომ არ მოებეზრებინათ, გვერდი-გვერდ ტახტზე მოკალათებულნი წყნარად საუბრობდნენ.

ცუცუნა შთააგონებდა სიმონიკას, თვალისჩინივით გაფრთხილებოდა მთვარესავით თეთრ, მშვიდ ფერიას, ასე სიამტკიბილობით შედგა რძალ-დედამთილის გაცნობა, მართალია ისინი ერთ ჭერქვეშ არ ცხოვრობდნენ, მაგრამ გაცილებით უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. ზოგჯერ ადამიანებს რაღაც უცნაური თვისება უნვითარდებათ, რაც უფრო შორიშორს ცხოვრობენ ერთიმეორისგან, მით უფრო მიილტვიან და უყვართ ერთმანეთი.

დიდი სიხარულით შეხვდა თამარი ძმის გაბედნიერებას, ეფერებოდა და მოუჟუჟუნე თვალებში შეჰყურებდა, ნაზ ფერიას თითქოს იმის გაგებას ცდილობდა, რა წყინდა, რა უხაროდა, სიმონიკა გაოცებული იღიმოდა. მსგავსი მოზღვავებული ქათინაური თამარს არ ჩვეოდა, ფარისევლობა და მოჩვენებითობა, ვერ იტანდა, პირდაპირი და პირში მთქმელი იყო.

— ძვირფასებო მერწმუნეთ, ახლა უფრო მიეცემა თქვენს სიცოცხლეს აზრი, უფრო ჰარმონიული და ნაირფეროვანი გახდება თქვენი ცხოვრება — ეუბნებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს და თავს აქეთ-იქით აქნევდა. თამარი იმ დროს თბილისის საზოგადოებაში პატივისცემით სარგებლობდა, მას არაჩვეულებრივი სილამაზის მქონე ქალბატონად მიიჩნევდნენ. გამხდარი, ნატიფი სახის ნაკვთებით, თაფლისფერი თვალებითა და გრძელი წაბლისფერი თმით, თითქოს ამქვეყნად სცენისთვის მოუვლენია განგებასო! სახეზე თეატრალური სხივი დათამაშებდა. წარსული ბავშვობა გაახსენდა, თბილ საწოლში

მოკალათებული მაღალ მუხის წვერზე ჩამოკიდებულ სავსე მთვარეს როცა შეჰყურებდა და უსასრულო სივრცეში ფრენაზე ოცნებობდა. გულით ეწადა ისეთი რამ მოემოქმედა, განსხვავებული რამ ჩაედინა, წუთით მაინც მიეპყრო ხალხის ყურადღება. თითქოს უსმინაო ღმერთმა, ზაფხულის ერთ დღეს ქუჩაში მიმავალმა, შემთხვევით აღმოაჩინა ის ბავშვური ოცნებები რეალობად რომ ექცა. მიეცა შანსი ჩაედინა განსხვავებული მოქმედება, თავი დაემახსოვრებინა ერისთვის. კინორეჟისორი ივანე პერესტიანი აღმოჩნდა ის პირველი ადამიანი, ვინაც პირველად ხელოვნებას აზიარა და კინოფირზე აღბეჭდა მისი სიმშვენიერე და სინატიფე. პერესტიანი დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“-ს გადაღებას გეგმავდა. თამარში მან დაინახა სასურველი გმირი, რომელიც ვარდუას როლს განასახიერებდა, ბევრი აღარ უფიქრია, მშვენიერ ქალბატონს ჩანაფიქრი გაანდო და სტუდიაში მიიწვია. მეორე დღესვე ეწვია სტუდიაში მეუღლესთან ერთად. კოლაუ იმ დროისთვის ახალგაზრდა პოეტი გახლდათ „ცისფერყანწელთა“ გუნდის წარმომადგენელი. ფიზიკურად კუნთმაგარს, ძალა ერჩოდა, ვაგლახად, ვერავინ უბედავდა რამეს. ცოლზე არასოდეს ეჭვიანობდა. მიუხედავად იმისა, ყველას ხიბლავდა მომჯადოებელი სიმშვენიერით, კოლაუმ კარგად იცოდა თავისი მეუღლის ხასიათი, ბუნებამ გარდა ტურფა გარეგნობისა, შინაგანი სულის სიმშვენიერეც რომ დააყოლა. თამარი არასოდეს დაუშვებდა რაიმე ჩრდილი მიეყენებინა იმ შინაგანი სიწმინდისათვის, რომელსაც სიცოცხლესავით უფრთხილდებოდა. ერთში არ ეთანხმებოდა და შეეკამათა კოლაუ პერესტიანს. ასეთი ნაზი ბუნებისა და კეთილი ხასიათის მქონე ქალს, ვერ წარმოედგინა, უარყოფითი გმირის ვარდუას როლი რატომ უნდა ეთამაშა? — მე არ ვისურვებდი ჩემი მეუღლე სამსახიობო კარიერის დაწყებისთანავე, დემონად ქცეულ ქალად მეხილა კინოეკრანებზე. — განუცხადა რეჟისორს.

— მაგრამ სინამდვილეში ყველამ ხომ კარგად იცის რომ ის მსახიობია. — პასუხობდა სასოწარკვეთილი. მას არ უნდოდა ხელიდან გაეშვა როლზე არჩეული და მორგებული ქალი, რეჟისორული ინტუიციით ხვდებოდა, ის საუცხოოდ შეძლებდა წარმოედგინა იმჟამინდელი ეპოქა, რომელშიდაც „სურამის ციხე“-ს ავტორი ცხოვრობდა, გამჭრიახ თვალს არ გამოპარვია თამარის შეშფოთება, მას არ სურდა ხელოვნებასთან ჩამოშორება, მითუმეტეს ახლა, როცა ბედმა გაუღიმა და ბედნიერება თავად კარზე იყო მომდგარი. კი მართალია, თავიდან გაუჭირდებოდა ორი პატარა ქალიშვილის პატრონს, მაგრამ ყველაფერი უნდა აეტანა, შეუძლებელი უნდა შეეძლო, ხელოვნებისთვის ღირდა თავგანწირვა გადაღებებზე ევლო და აღესრულებინა

ბავშვობაში დასახული ფრთებშეუსხმული ოცნება — რაიმე განსხვავებული საქმე გაეკეთებინა. ვალერიან გუნია, შალვა დადიანი და მიხეილ ჭიაურელი გამოექომაგნენ, წინ აღუდგნენ კოლაუს, — შენისთანა პოეტური ბუნების კაცს, არ გეკადრება ასეთი საქციელიო, იმდენი ეჩიჩინნენ, განზრახვაზე უარი ათქმევინეს, თამარი როლზე დაამტკიცებინეს, თავადაც სამთავეს თამართან ერთად უნდა მიეღოთ მონაწილეობა და ფილმში ეთამაშათ. ასე გადაინაცვლა რეალური სამყაროდან კინოსამყაროში. თავისი გარეგნული და შინაგანი სილამაზე ეკრანებზე გადაეტანა.

ასე დაუახლოვდნენ არისტოკრატიულ ოჯახებში აღზრდილი ქალბატონები ერთმანეთს, ასე შეიქმნა წრედი სამეულისა — თამარი, ტასო და ეკატერინა.

სამთავეს შესაფერისი ქმრებიც მიუჩინათ განგებამ. პავლე, სიმონიკა და კოლაუ. სამთავემ პირნათლად მოიხადეს ქვეყნის წინაშე თავიანთი ვალი. სამთავე გადაჭარბებული პატრიოტული გრძნობებით იყვნენ აღვსებულნი. ისინი ძალიან საინტერესო ადამიანები იყვნენ, მახვილი ჭკუის მქონენი და ენატკბილად მოუბარნი. წინაპრებიდან მოსდევდათ, გენებში ჰქონდათ გამჯდარი სიპატიოსნე. ბავშვობა იმერეთში ჰქონდათ გატარებული და ყოველთვის თან სდევდათ ის კოპწიაობა და კილო, რაც იმერელ კაცს ოდითგან მოსდევდა. ათეისტობა არ ეთქმოდათ, სარწმუნოების მიმდევარნი იყვნენ და თვლიდნენ, სარწმუნოება ისევე ესაჭიროება ხალხს, როგორც სიცოცხლისათვის ჰაერი. სისულელედ მიაჩნდათ ჩარლზ დარვინის თეორია, თითქოს ადამთა მოდგმის წინაპრები მაიმუნები იყვნენ. არც იმ გამოთაყვანებული მეცნიერების სჯეროდათ, რომლებიც მხარს უბამდა ასეთ სისულელეებს. ისინი თვლიდნენ მეცნიერებას უნდა ეპოვა გამოსავალი, შერწყმოდა ეკლესიას, საერთო ენა გამოენახა, ღმერთს არ შეხებოდნენ, სარწმუნოება უნდა დარჩენილიყო კაცობრიობის ყველაზე მთავარ მასაზრდოებელ წყაროდ, რადგან, თეოდორ დოსტოევსკის თქმისა არ იყოს, „ურწმუნო კაცი ყველა მხეცზე უარესი მხეციაო!..“

— ბატონებო! — ხმამაღლა აცხადებდა პავლე, — როდესაც ჩემი მამაპაპანი ეკლესიის მსახურები გახდნენ, ისინი ქადაგებდნენ იმ თეორიას და ქადაგებენ დღესაც, თითქოს ღმერთმა მიწიდან მოზილა და გამოძერწა პირველი ადამიანიო. ჩემი აზრით, ხომ ჯობია ვირწმუნოთ იმ ძველი წინაპრების ქადაგება, ვიდრე დარვინის თეორიისა.

ხალხის უმეტესი ნაწილი პავლეს უჭერდა მხარს, — ჩვენი წინაპრები ღმერთის მსგავსი არსებები იყვნენ. ღმერთის მიერ ბოძებულ სიცოცხლიდან იღებდნენ სათავეს, ჩვენც მათი შთამომავლები ვართო, თუ ვინმეს ეჭვი ეპარება და თავის წინაპრად მაიმუნებს თვლიან, და

თუ მათ მაიმუნებთან ახლო კავშირი სიამოვნებასა და სიამტკბილობას ანიჭებთ, ჩვენ ხელს არ შევუშლით, ოღონდ თავად დაგვეხსნენ და თავი დაგვანებონ. ჩვენ ერთხელ კიდევ შევეკამათებით დარვინს, მაიმუნიდან კი არ წარმოიშვა ადამიანი, პირიქით, ზოგიერთი ადამიანები გამაიმუნდნენ. ჩვენს შეგნებაში ღმერთის რწმენის ძალა ისეა გამჯდარი, ვერავითარი სხვა მაგიური ქადაგება მას ვეღარ შეცვლის. რა გინდათ, გულზე რად სკდებით? იმიტომ ხომ არა, რომ ჩვენ მოძღვრებაში უფრო ნათლად ისახება, ზნეობრივი სისპეტაკე, ერთმანეთისადმი უზომო სიყვარული და კეთილშობილება, ვიდრე თქვენს მეცნიერულ თეორიებში?

— ბატონებო, ცოტა დამშვიდდით, ყური კარგად დამიგდეთ, — განაგრძნობდა პავლე, — ისე არ გაიგოთ, თითქოს ჩვენ ვუარვყოფდეთ მეცნიერებას. არა ბატონებო, ისინი ყოველთვის ესაჭიროება კაცობრიობას! მათ გარეშე შეუძლებელია ამქვეყანაზე ცხოვრება. მაგრამ, ჩემი აზრით გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მეცნიერებს საერთო ენა გამოენახათ ეკლესიასთან და თავი შორს დაეჭირა ეშმაკის მოციქულებისგან.

— ბატონო პავლე, არც ჩვენ ვუარვყოფთ მეცნიერებას, — შეეპასუხა ახალგაზრდა წვეროსანი, — ჩვენ მომხრენი ვართ ნამდვილი მეცნიერების, რომლებიც შეძლებენ კვერცხის შეჰქმნასა და არა ხელოვნურ გამოსაჩეკ ინკუბატორს?..

— ეჰე, შვილო ჩემო, ახალგაზრდა კაცი ხარ და მრავალი განუხორციელებელი კითხვებით გაქვს თავი სავსე! თუმცა, არ დაგიმალავ და პირდაპირ გეტყოდი, არც მე ვარ წინააღმდეგი მასეთი იდეის. მაგრამ, ყოვლად შეუძლებელია ადამიანის აზროვნება მაგ დონემდე ავიდეს! ზე ბუნებრივმა ძალამ, ანუ ღმერთმა საგანგებოდ ჩაკეტა და აღარ მისცა საშუალება გონებას იმ ზღვარს გადმოცილებოდა, თორემ ადვილი შესაძლებელია, ადამიანს ღმერთისგან ბოძებული სიცოცხლე საერთოდ მოესპო! სწორედ, აღნიშნა თავის დროზე გრიბოედოვმა, როცა დაწერა: „ვაი ჭკუისაგან“. საინტერესოა, ამ ორ სიტყვაში მთელი კაცობრიობის აზრი ჩაატია, მწერალმა იმ ბრძნული სიტყვებით გააფრთხილა კაცობრიობა ცოტა თავი შეიკავონ და ძალიან ნუ აჰყვებიან ცდუნებებს, ნაკლებად იქექონ მიუწვდომელი ბუნების წიაღში, თორემ გადამეტებული ცნობიერების ძიებაში, ეს პლანეტა და, შეიძლება, ადამიანთა მოდგომაც მთლიანად ამოჟლიტოს.

ზაფხულის ცხელი დღეები სიმონიკამ და ეკატერინამ სოფელში გაატარეს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება კატუშაზე აივნის ფიგურებმა, ქვებიდან გამოკვეთილმა ბუხრების თაღებმა და მწვანე ფართო ეზომ მოახდინა. ეზო, რომელიც დაფარული იყო სხვადასხვა

ჯიშის ხილის ხეებით, არაჩვეულებრივ არომატის სუნს გამოსცემდა. საუკუნოვანი, გოლიათური აღნაგობის მუხების წვეროებიდან შაშვის გალობა მოისმოდა. წყნარ ღამეებში სახლის კედლებიდან კრუალების კრუალი დედის ტკბილ იავნანას ანაცვლებდა. ყოველ ზაფხულში იზრდებოდა თბილისიდან ჩამოსული ახლობლების რაოდენობა, ცოცხლდებოდა ხსოვნაში საგულდაგულოდ გადანახული ბავშვობა, რაღაც განსხვავებული ელფერი ედებოდა გარემოს და ყველას უსასრულობაზე ფიქრი ეუფლებოდა. კატიუშა აღტაცებული შეხვდა არდადეგებზე დედ-მამასთან ჩამოსულ ფეფიკოსა და თინიკას, საყვარელიძეების გენებიდან წამოსული ნიჭიერება ნათლად ეტყობოდათ, ორთავენი უმაღლესში სწავლობდნენ, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ დებს პროფესია შეაცვლევინა. ფეფიკომ საექიმო ფაკულტეტი მიატოვა და ზოოტექნიკოსის პროფესიით შეცვალა. თინიკამ პირიქით, ბიოლოგიურიდან საექიმოზე გადაინაცვლა. ფეფიკო სისხლს ვერ იტანდა, ვითარება უფრო საშიში იყო, ვიდრე თინიკას, ფსიქოლოგიურად შეიძლება დაავადებულიყო, თინიკამ კი სიზმარში ბიძამისი ნახა, ვარლამმა ექიმობა ურჩია. დებს მშობლების გარეშე არ მიუღიათ გადაწყვეტილება, ვანო და ცაბუა წინააღმდეგი არ წასულან.

აგვისტოს დასაწყისში, ზაფხულის ყველაზე ცხელ პერიოდში, როდესაც ხვატი დგება და ადამიანებს თონეში ამოკრულ პურებივით ხრუკავს და წვავს, ქალაქელების უმეტესი ნაწილი სოფელს აფარებს თავს. ამ მხრივ არც კოლაუ და თამარი ჩამორჩნენ სხვებს, აიბარგნენ და დასავლეთს მიაშურეს. გზად საქარაში შეუარეს ცუცუნას, თამარს უნდოდა ცოტა ხნით დედას მოსიყვარულებოდა, შემდეგ კი, ქუთაისში გადაენაცვლა და სანამ კინოს გადაღება დაიწყებოდა, დარჩენილი დრო დედამთილ-მამამთილთან გაეტარებინა. ნელი და მარგო ახლდნენ თან, ნელი შედარებით მოზრდილი იყო. ახალგაზრდა დედას უფრო უადვილდებოდა ნორჩ ფერიებთან გამკლავება. სიხარულით შეხვდა ცუცუნა სიძე-ქალიშვილსა და შვილიშვილებს, მოწყენილობა აღარ ეტყობოდა, სიმონიკა და კატიუშა ედგნენ გვერდით. ალერსი მიაგება პატარა ცუგრუმელებს, ნელისა და მარგოს ჭირვეულ ქალად აღარ ჩაუთვლიათ ბებია, მალე გაუშინაურდნენ. საოცრად ლამაზად გამოიყურებოდა. სახის სწორი ნაკვთებით, ოდნავ კეხიანი ცხვირით, ხმელი, მაღალი ტანითა და მოხერხებული მანერით. იმდენად მომხიბვლელი, მიმზიდველი და სუფთა იყო, თაყვანისმცემლებისგან მოსვენება აღარ ჰქონდა, ცოლობას თხოვდნენ, მაგრამ ავალიანის ქალმა მეუღლის ხსოვნას, შვილებსა და შვილიშვილებს არ უღალატა, მთხოვნელებს ზურგი აქცია — უართი გაისტუმრა. ცხოვრება გრძელდებოდა. სახლში მხიარულება და ხალხმრავლობა იყო. ეზოში ბავშვები ჟრი-

ამულობდნენ, პეპლებს დასდევდნენ, საღამოობით მფრინავ მოკიაფე ციცინათელებს. გრილ, მუხების ჩრდილში სადილობდნენ, დესერტად მოხარშულ გოგრასა და ჭყინტ სიმინდს აყოლებდნენ. მერე აჭიკჭიკ-დებოდნენ, მერცხლის ბარტყებივით ენას ამოიდგამდნენ და სუფრა-სთან შემომსხდართ მამის დაწერილ ლექსებს მოუთხრობდნენ, ჯილ-დოდ უფროსების მქუხარე ტაშს იმსახურებდნენ. პატარების თვით-შემოქმედებაში თამარი აქტიურობდა. მკაცრი და მომთხოვნი იყო, ცდილობდა ზედმეტი მოფერებით არ გაენებივრებინა. ქალიშვილებს მხატვრულ კითხვასა და სწორ მეტყველებას ასწავლიდა, ხელოვნებას-თან აახლოვებდა, თან შთააგონებდა: კარგი განათლება უნდა მიეღოთ, ისეთი როგორიც ბებია-ბაბუებმა მიიღეს. გოგონები გაოცებული რჩე-ბოდნენ, როდესაც ბებია საწოლთან ჩამოკიდებულ ქალის სურათს შეცქეროდა, თვალებიდან ცრემლები სდიოდა, მათ არ ესმოდათ, არ იცოდნენ, ვინ იყო ის უცნობი ქალი ჩარჩოდან რომ შემოცქეროდათ.

კოლაუს ყურადღება გამოჩენისთანავე მიიპყრო ეკატერინე ტუ-სიშვილმა, თავისი ინტელიგენტური აღნაგობითა და ძალიან საინ-ტერესო საუბრებით. სუფთად, კოპწიად ჩაცმულ რაფიელ ერის-თავის ჩამომავალი ძალზე ფაქიზად ეკიდებოდა მეუღლეს, ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. მტრობა, შური და უმადურობა შორს იყო მისგან, სიკეთის სხივით მბრწყინავი თვალებით იცოდა შეხვედრა და გამასპინძლება, სტუმართმოყვარე, უზომოდ კეთილი ქალბატონი გახ-ლდათ. ბაბუიდან განსხვავებით ლექსებს არ წერდა, მაგრამ გადამე-ტებულად უყვარდა წიგნები და პოეზია. კოლაუ, პოეტი კაცი, კარგად ხედავდა, ერისთავთა შთამომავლებს გენებიდან მოსდევდათ პოეტუ-რი ნიჭი, შეიძლება ადამიანი ლექსებს არ წერდეს, მაგრამ შინაგანად მაინც გააჩნდეს პოეტური სული. სიმონიკაშიდაც შეამჩნია პოეტური ნიჭი, სიმონიკა წერდა, მაგრამ არ ახმაურებდა, მხოლოდ ვიწრო წრეში ახლო მეგობრებს უკითხავდა. ის სამხედრო მოსამსახურე, მებრძოლი ვაჟკაცი იყო, იმისი ჰობი წერა არ ყოფილა, კალმის მაგივრად ხმალი და დამბაჩა ეჭირა ხელში. კოლაუ დიდ პატივს მიაგებდა რაინდული სულით აღსავსე ცოლიძმას. საკუთარი სიცოცხლე რომ არ დაიშურა დამოუკიდებელი საქართველოს მოპოვებისთვის. წყნარი, კეთილი და მიზანდასახული იყო ბუნებით, უმამოდ აღიზარდა, მხოლოდ ხსოვნაში შემორჩა წვერიანი მამის სახე, გრძელი, თეთრი თითებით. მამა მასწავ-ლებლად მუშაობდა, ქართულ-რუსული წერა-კითხვა რომ შეასწავლა დებთან ერთად. შესანიშნავი ხმა ჰქონდა და მუსიკალური სმენა. ჭია-თურის შავი ქვის აქციის მფლობელი იყო ძმასთან, დათასთან ერთად. იქიდან ბარაქიანი შემოსავალი ჰქონდათ, იმერეთის საზოგადოებაში ორთავეს საპატიო ადგილი ეჭირათ. ახლო კავშირში იყვნენ და მეგო-

ბრობდნენ ნიკო ღოღობერიძის მამასთან ბესარიონთან, დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან, რომელსაც ყვირილაში საკუთარი სტამბა გააჩნდა და სცემდა ჟურნალ-გაზეთებს. იმ ხანად ყვირილის ხშირი სტუმარი გახლდათ აკაკი წერეთელი, იმართებოდა საზეიმო წვეულებები, ღამბეშიძეების, საქარაში საყვარელიძეების, ქუთაისში ღოღობერიძეების ოჯახებში კვნესოდა გიტარა და ვარინკას ტკბილი „სულიკო“ კვებავდა შინაგანად დაუოკებელ სულს. კონსტანტინე ახალგაზრდა გარდაიცვალა, ბუნებამ არ დააცალა ბოლომდე გახარჯულიყო, შვილები გზაზე დაეყენებინა! სამაგიეროდ, დათამ არ აგრძნობინა ძმიშვილებს ობლობა. სანდომიანმა, კეთილი გულის მქონე კაცმა, სიკეთე ჰქმნა, ქვაზე დადო და ძმიშვილებს სათანადოდ უპატრონა...

დათასა და მარიამს მოსწონდათ სიმონიკას გადაწყვეტილება.

— შეეფერებიან ერთმანეთსო! — აღტაცებით ამბობდა მარიამი. გარეგნულად და გვარიშვილობითაც არაფერი აქვს დასაწუნი. შვილივით ეფერებოდა ერთად როცა ისხდნენ აივანზე. მრავალ კარგ თვისებასთან ერთადერთი ყველაზე მთავარი ის გააჩნდა კატიუშას, რომ ზედმეტად თავაზიანი და თავმდაბალი იყო. ყოველთვის დავარცხნილსა და მოწესრიგებულს უყვარდა ყოფნა. გემოვნებით იცოდა ტანსაცმლის არჩევა და ტანზე მორგება. გახლდათ შესანიშნავი დიასახლისი, უყვარდა წესრიგი ყველა ნივთს სათანადო ადგილს მიუჩენდა. განათლება თბილისში ჰქონდა მიღებული, ქალთა გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, გარდა ამისა, კარგად ქსოვდა და კერავდა ქალთა ტანსაცმელს. ზედმეტი მოთხოვნილება არ ჰქონია არც მეუღლისა და არც ვინმეს მიმართ. საზოგადოებაში განსაკუთრებული მდიდრული ნივთებით არ უყვარდა თავის გამოჩენა. სძულდა, ვერ იტანდა, ყოველთვის გაურბოდა ისეთ ხალხს, რომლებიც ოქრო-ბრილიანტის ქონებით საკუთარ თავს სხვაზე მაღლა აყენებდნენ. „გაცილებით ბევრად უკეთესია თავი ჭკუა-გონებით ჰქონდეს გატენილი, ვიდრე ცარიელი უჭკუო და ოქროთი შემკობილიო“. — გაჰკრავდა გონებაში. ყოველთვის ეჩოთირებოდა ის, რაც მიუღებელი იყო ადამიანის ქცევებში, არ უყვარდა მოკლე ჭკუის მქონენი, რაღაც ხერხებით რომ ცდილობდნენ საზოგადოების ყურადღების მიპყრობას, ხშირად იმეორებდა აკაკის ლექსს, მუდამ ახსოვდა ბაბუის იუბილეზე თავშეყრილ ერთერთ სტუმართთაგანს, მხცოვანმა პოეტმა საჯაროდ, ყველას გასაგონად მკვახედ რომ მიმართა: „დღევანდელი გმირი არის, გუშინდელი თხა პარია“-ო.

კატიუშას ხელოვნების ხალხთან ყოფნა იტაცებდა. ესმოდა და იცოდა მათი ფასი. გემოვნებიანი და ძვირადშემფასებელი, ხშირად დადიოდა, საიუბილეო საღამოებსა და თეატრებში, ყოველივე ამას

სულიერი მოთხოვნილების გამო აკეთებდა და არა მოჩვენებითად. ისინი ვინც მოჩვენებითად წარმოაჩენდნენ თავიანთ თავს, მოჩვენებითად აკეთებდნენ ამა თუ იმ საქმეს, საზოგადოებისთვის მიუღებელია, გამოუყენებელია და საშიშიც!..

23

პავლე ავადმყოფობის გამო, იძულებული გახდა პარლამენტი დაეტოვებინა. ექიმების რჩევით, მას სიმყუდროვე ესაჭიროებოდა, არ შეიძლებოდა არც ნერვიულობა და არც გადატვირთვა, — გულს სერიოზულად უნდა გაფრთხილებოდა. ასე შთააგონებდნენ. ერთი მხრივ, შინაგანად სამართლიანად მიაჩნდა მათი რჩევა-დარიგებები, საპირისპირო ქმედების შემთხვევაში შეიძლება თავი დაეღუპა. სამსახური ჰქონდა სანერვიულო და ხმაურიანი. ოპოზიციაში ედგა მთავრობას, უმეტეს საკითხებში არ ეთანხმებოდა ჟორდანიას, უწევდა მასთან კამათი, ბრძოლა მზაკვრობასთან, ცბიერობასა და ფარისევლობასთან. მის გულს კი ამდენის ატანა აღარ შეეძლო. ჯერ კიდევ სანამ ევროპაში გაემგზავრებოდა ციხეში ყოფნისას იგრძნო პირველადი შეტევები. მაგრამ მაშინ, კუჭ-ნაწლავების პრობლემები ჰქონდა და გულისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. არასასიამოვნო შემთხვევამ მალე ჩაიარა. ციხის ექიმის ელისაშვილის დახმარებით განიკურნა, გულის შეტევებიც ჩაუცხრა და თანდათანობით გაუქრა, ისე როგორც ყველა ახალგაზრდას ემართება, სწავლების პერიოდში აღარ შეუწუხებია და სამუდამოდ გადაივიწყა. მაგრამ, როგორც კი პოლიტიკაში ჩაება, ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა ძვრებმა, ხშირმა კამათმა, ამა თუ იმ საკითხების არასწორად გადაჭრამ, მთავრობის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა, ტერიტორიების დაკარგვამ, ისევ შეახსენა თავი. კეთილი თვისებისა და რბილი ხასიათის კაცი იყო ბუნებით — ცოტა რამე ახარებდა, ცოტა რამე სწყინდა! ტასოს განსაკუთრებულმა მზრუნველობამ და პატარა მარინას დაბადებამ თითქოს ყველაფერი შეცვალა, თუმცა, სარეცელს მაინც ვერ აცდა და ვერც ექიმების მიერ დანიშნულ ნემსებს. ვალერიან გუნია მადლობას უხდიდა მზრუნველ მკურნალებს, მსხვილ ლინზებიან პენსედან ზემოდან დაჰყურებდა სიძის საწოლს და ჩვეული ბუხუნა ხმით ამხნევებდა— იმედის გამაღვიძებელმა შეძახილმაც კი შესაძლებელია არანაკლებად იმოქმედოსო. ტელეფონი ზედიზედ რეკავდა, მთავრობა ეხმიანებოდა, სახლშიდაც აკითხავდნენ კოლეგები. ექიმები არ ეწინააღმდეგებოდნენ. — საშიში დიდად არაფერია, მაგრამ ზედმეტი ლაპარაკით მაინც ნუ გადაღლითო. — შიდა ოთახის კარი ღია იყო, მნახველთა ნაკადი არ წყდებოდა.

ჯგუფებად იდგნენ დერეფანში, მოკითხვებს საზღვარი აღარ ჰქონდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საზოგადოების მაღალი წარმომადგენლები. თითოეული მათგანი ხალისიანად უღიმოდა, თავადაც იმედისმომგვრელი ღიმილით პასუხობდა, თვალებში ამომავალი მზის ნათელი შუქი უკიაფებდა. გამომჯობინების მომასწავლებელი რომ იყო ის შუქი მკურნალები ხვდებოდნენ, მაგრამ საავადმყოფოში მაინც გადაიყვანეს. მყუდრო, გრძელ ფარდებიან ოთახში მარტოდ რკინის საწოლზე წამოწოლილი, ხან კითხულობდა ხან იმ წარსულ ნეტარ წუთებს იგონებდა. თავზე ადგა საავადმყოფოს თანამშრომელთა შემადგენლობა თეთრ ხალათში გამოწყობილნი, რძესავით ჩათქვირული ექთნები ნემსებით ჩხვლეტდნენ და აბებს ასმევდნენ. პავლე ფანჯრიდან გადაცქეროდა ხოლმე ქუჩის კუთხეში მდებარე პატარა სკვერს, სადაც მაგარი ხისგან დამზადებული საღებავგადაცლილი ძელსკამი იდგა. ძელსკამზე უმეტესწილად ადგილობრივი მაცხოვრებლები ისხდნენ, დაბალი ხმით ბაასობდნენ, ისე რომ ავადმყოფები არ შეეწუხებინათ, ან კიდევ, ადრიან გაზაფხულზე, ჰაერზე გამოსული ასაკოვანი ქალები მზეს ეფიცხებოდნენ. ზამთრის უღიმღამო დღეებში სკვერში სიცარიელეს ბეღურები ავსებდნენ, სიცივისგან მობუზული, შიმშილისგან შეწუხებული საცოდავი არსებები, გრძელსკამის საზურგეზე შეფრინდებოდნენ, ჟანგისფერ ნისკარტებს უკაკუნებდნენ, თან ცალი თვალი ფანჯრისკენ ეჭირათ, სანამ რომელიმე გულმოწყალე ავადმყოფი პურის ნამცეცებს არ გადმოუყრიდა. საავადმყოფო ოთხივე მხრიდან შემორაგული იყო, წინა მხრიდან ჰქონდა მძიმე, რკინის შემოსასვლელი ჭიშკარი. ჭიშკართან ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა გადიოდა, ეტლების ბორბლებისა, ნალების, იშვიათად მანქანის ძრავის ხმა არღვევდა ხოლმე სიმშვიდეს. ერთი სული ჰქონდა როდის გაწერდნენ, როდის გაუშვებდნენ ამ კოშმარულ შენობიდან. სიბრაზისგან გული ყელში ამოდიოდა, ექიმებზე განაწყენებული, მჟავე ხასიათზე დგებოდა, მაგრამ ყველაფერი მაინც იუმორში გადაჰქონდა — თქვე, კარგო ხალხო, პატიმარივით ასეთ ვიწრო ხუხულაში რომ გამომამწყვდიეთ, იმდენი უფლება მაინც მომეცით, დღეში ერთხელ ფანჯარასთან მივიდე, გადავიხედო და თვალს წყალი დავალევინოო. — ხუმრობდა და სიბრაზეს იქარვებდა. მაგრამ, გულის კუნჭულში მოუშორებელი სევდა მაინც უღიტინებდა. „ოი, რა ძნელია, როცა საკუთარ თავს აღარ ეკუთვნი! საშინელებაა, როცა თავს უმწეოდ გრძნობ ვიღაცის წინაშე? ძალა არ შეგწევს, მთლიანად მასზე ხარ დამოკიდებული და ემორჩილები“. როგორც პაპანაქებაში წყალს მონატრებული მგზავრი, ისე მიჩერებოდა ოთახში შემოჭრილ მკრთალ იანვრის მზის შუქს. სახეზე მიტკლის ფერი ედებოდა, როცა ქუჩისკენ გაექცეოდა ფიქრი, დიდხანს იყო

ხოლმე შუბლშეჭმუხნული, ჩაკირკიტებდა პრესას, რაღაც სახარბიელო არაფერი აღმოუჩენია, მაგრამ ერთერთი სტატიის წინადადებამ ისევ აურია გონება „რუსეთიდან დიდი საფრთხეა მოსალოდნელი, ბოლშევიკებმა შესაძლებელია ჩამოგვიშალონ სახელმწიფოებრიობა, ფეხქვეშ გათელონ ჩვენი დამოუკიდებლობა, თავის ქვეყანას ნაწილივით მიგვაერთოსო“. — იუწყებოდა ავტორი. ფიქრი გაუწყდა, კარებში მედდამ შემოჰყუო თავი, მოუბოდიშა. მერე ჩვეული მოძრაობით შემოგოგმანდა და აბები შემოუტანა. პავლემ ძლივს მოასწრო წამლის მიღება, ზღურბლს რომ თეთრ ხალათში გამოწყობილმა კარდიოლოგმა გადმოაბიჯა. ჭაღარა შერეული, ორმოცდაათს მიწეული, ყოველ დილით მოდიოდა, სინჯავდა, ამხნევებდა, სასაცილო ანეგდოტებს უყვებოდა. სასწაულად მხიარული და დიდად უცნაური კაცი იყო. თავისივე მონაყოლზე ისე ხითხითებდა, მთელი ტანი უთრთოდა, სახე პომიდორივით უწითლდებოდა. როგორი უინტერესო არ უნდა ყოფილიყო სახუმარო ანეგდოტი, მსმენელი მისი სახის მიმიკის შემხედვარე მაინც იცინოდა. ყველას დიდი სიყვარულით უყვარდა, პატიჟებდნენ საქეიფოდ, რა ჯობდა მასთან ერთად დროსტარებას. ბევრგან ვერ ახერხებდა მისვლას, სამსახური არ აძლევდა ამის გასაქანს. არ ნანობდა, ის რაც ხდებოდა, სხვა შემთხვევაში, გადაჭარბებულ ყველა სახის ქმედებებს დაღუპვისკენ მიჰყავს ადამიანი!..

დერეფნიდან ნაცნობი ხმები შემოესმა. პავლე შეცბა, მიაყურადა. ფეხის ხმა შემოსასვლელ კარს უახლოვდებოდა. ნუთუ ჩამოვიდნენ? სანამ საკუთარ თავს პასუხს გასცემდა, საყვარელიძეების მთელ ჯალაბას ოთახში დათა შემოუძღვა. მგზავრობისგან გადაღლილმა მარიამმა, როგორც კი სარეცელს მიჯაჭვული შვილი დაინახა, გული ამოუჯდა, ატირდა, პავლეს შუბლზე ეამბორა. დედის ამბორმა შვება მოგვარა. გულზე თითქოს მალამო გადაუსვესო. წუთით ხელი თვალებზე ჩამოიდო და გონებაში გაუელვა: „ვერავინ დამაჯერებს, რომ ამქვეყნად არსებობს დედაშვილურ სიყვარულზე უფრო მაღალი გრძნობა“.

— შენ ხომ არ გეგონა დაგვავიწყდი, შვილო ჩემო! — დათამ თვალი თვალში გაუყარა პავლეს — მთავარია გაჭირვების ჟამს მოიძიო კაცი! კი მართალია, გული მწყდება ასეთ დღეში რომ გხედავ, მაგრამ რა ვუყოთ, ხან ავად და ხან კარგად გვიწევს ხოლმე ყოფნა ამ წუთისოფელში? ღვთის შეწევნით გამოჯანმრთელდები, ყველაფერი ისევ სიკეთისკენ შემოტრიალდება. — დამაჯერებლად ლაპარაკობდა. მერე ავადმყოფის სასთუმალთან დაიხარა, შვილს პირჯვარი გარდასახა. პავლეს უნდოდა გაპასუხებოდა, მაგრამ სიტყვა ბურთივით ეჩხირებოდა ყელში. დედ-მამის შეწუხებულმა სახეებმა, სიბერისკენ წარმა-

ვალმა, ჯერ კიდევ ძნელად შესამჩნევმა ნაოჭებმა ცრემლი მოჰგვარა. როგორც იქნა, მაინც დაძლია საკუთარ თავს, ტირილისგან თავი შეიკავა, თორემ ხომ შერცხვებოდა. უფროსი ძმის, რძლის, ძმიშვილებისა და საკუთარი თავისიც კი...

— ეს პატარა ძღვენი მოგიმზადე, ჩემო პავლე. — ცაბუამ თეთრ ტილოებში გახვეული ხაჭაპურების დასტა ამოალაგა. —დარწმუნებული ვარ გემრიელად მიირთმევ, — ხაჭაპურებს კეცებში შემწვარი და მრგვლად მოხარშული ქათმები მიაყოლა, თხილის ჩურჩხელები, კაკლის მურაბები და ძაფზე ასხმული შავი ქლიავის ჩირი — მცირედზე ბოდიშს გიხდი საყვარელო მაზლო, იმედი მაქვს მოგეწონება ჩემი ნახელავი.

პავლემ მადლიერებით ახედა უფროს რძალს, უსიტყვოდ მადლობა გადაუხადა და დააყოლა:

— აგაფორიაქეთ და შეგწუხეთ ყველანი, ჩემო საყვარლებო! თუ ღმერთმა ინება და კარგად გავხდი, ფეხზე დავდექი, იქნებ როგორმე გადაგიხადოთ სამაგიერო!..

— ჩვენთვის სამაგიეროს გადახდა, შენი კარგად ყოფნა იქნება, ჩემო პალიკო! — ღიმილით წარმოთქვა ვანომ და სასთუმალთან ჩამოუჯდა. მარიამსა და ცაბუას სკამები მიართვეს. დათა წინ და უკან დააბოტებდა, ჩვეული გრძელი ნაბიჯებით, დროდადრო საწოლის თავზე ჩამოაწყობდა გრძელ იდაყვებს, ხან ვანოს გვერდით საწოლზე ჩამოჯდებოდა. მხოლოდ ახალგაზრდები იდგნენ ფეხზე და თვალებში შეციცინებდნენ საყვარელ ბიძას. ფეფიკოს თეთრხალათიანები და წამლის სუნი ეხამუშებოდა, თინიკა კი პირიქით, როგორც მომავალი ექიმი, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა, აკვირდებოდა ყოველგვარ მათ ქმედებებს. პავლე აღფრთოვანებული შეჰყურებდა ძმისწულებს, სახეზე ჯანსაღმა ელფერმა გადაჰკრა, ამათ შემყურეს, აწი რაღა ავადმყოფობა მომერევაო, — გონებაში თავის მეორე მეს ესაუბრებოდა.

ოთახში თბილოდა, ღუმელში ცეცხლი გუზგუზებდა, არც გარეთ იყო ისეთი სუსხი, თბილისს რომ ჩვეოდა, ხანდახან, ცაზე სქლად ჩამოწოლილ ღრუბლებს ქარი აქეთ-იქით მიმოფანტავდა და დალოცვილ მზის თბილ სხივებს ხარბად ისრუტავდა სითბოს მონატრებული დედამიწა. ოთახში ტასომ შემოაბიჯა, თავისი ქალური სინატიფით მზის შუქივით შემოანათა და კეთილი განწყობით აღავსო ყველანი. სათითაოდ მოიკითხა, ყველას ხელი ჩამოართვა, დერეფნიდან სკამი შემოიტანა და ცაბუსა და მარიამის შუაში ჩაჯდა. სამი რძალი ჰყავდა დათას, მეოთხესაც დღითიდღე ელოდებოდა, მაგრამ გრიგოლი ყოველთვის უცრუებდა იმედს. სამთავეს თვალებში შესციცინებდა, ღმერთს მადლიერებას სწირავდა, რომ საკადრისი ქალები შეახვედრა.

შვილების მიმართ მეგობრულად იყო განწყობილი დათა, თანატოლივით ედგა გვერდით, მათთან ერთად ოხუნჯობდა. პირდაპირი იყო და პირში მთქმელი. ასე პირდაპირობით უფრო იგებდა მათ გულებს, საზღაურად მეტ პატივისცემას იმსახურებდა. შემართებით და ხალისიანად ედგნენ მამას გვერდით, მაგრამ არიან წილი შვილებისა, რომლებიც მანამდე ვერ აღიქვამენ სრულ პატივისცემასა და სიყვარულს, სანამ თავად არ გახდებიან მშობლები. ცხადია, ამ ჭეშმარიტებას ვერც ძმები საყვარელიძეები გაექცნენ, გახდნენ თუ არა მამები, ამაგი უფრო დაუფასეს. ყოველთვის საზეიმო სუფრას შემოუსხდებოდნენ და მშობლების სადღეგრძელოს სვამდნენ. გიორგი ბაბუის სიტყვები ჩაესმოდათ ყურებში: „მშობლების ამაგს შვილი ვერასოდეს გადაიხდის, თუგინდ ყოველდღე ხელისგულზე კვერცხიც რომ შეუწვასო“...

თვალებბრიალა და ფუნჩულახელება, პატარა მარინა ენატრებოდა პავლეს, გული შინისკენ მიუწევდა, სულ რაღაც ორი დღეც არ გასულიყო, რაც არ ენახა და უკვე მოთმინების ფიალა ავსებოდა. მაშინ მარიამს რაღა უნდა ექნა, თავად რომ წლობით იყვნენ საკუთარ ჭერს მოწყვეტილები. „საბრალო დედაჩემი, როგორ ზეზეულად ჩამოხმა? განსაკუთრებით ვარლამის დაღუპვამ ხომ მთლად გაანადგურა“...

პავლემ ფეფიკოსა და თინიკას მიუალერსა, დათიკო თავისთან მიიხმო — მოდი, მოდი, ახლოს მოიწი, ნუ გერიდება, გენაცვალე! შენ ერთადერთი საყვარელიძე ხარ, იმ შემთხვევაში თუ მე ან ლადიკოს ვაჟები არ შეგვეძინა, ვინაც ჩვენი შტოს ჩამომავლების გვარი უნდა გააგრძელოს, დათიკო უკვე თხუთმეტი წლის ჭაბუკს, თავზე თმა რომ ბუჩქივით ადგა, ორ გოლიათის, მამისა და ბაბუის გვერდით ქონდრის კაცივით ერთი ციცქნა და უსუსური ჩანდა. დათიკოს კოლხური იერი, ვარდისფერი სახე და მკვრივი განიერი მხარ-ბეჭი, თბილისელი ქალიშვილების ყურადღებას იპყრობდა. გაბრწყინებული, ღიმილიანი სახით შეცქეროდა პავლეს, მისი თვალებიდან ანარეკლი შუქი, იმედის შუქად ეფინებოდა სხეულზე ავადმყოფს და უმწეობის გრძნობას უკარგავდა, სიჯანსაღითა და ძალ-ღონით ავსებდა. თბილისში ცხოვრებას გავლენა მოეხდინა, საუბრისას ეტყობოდა შეეცვალა კილო, ქალაქურად უქცევდა, მაგრამ ბევრი რამ დარჩენოდა დასავლური, რის შეცვლასაც კი ვეღარ შეძლებდა.

დღეები მძიმედ წინ მიიწევდნენ. მომაბეზრებელი გრძელი ზამთრის ღამეები აღარ მთავრდებოდა. ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცივით მოთქვამდა და მიბაკუნობდა. თბილისში თებერვალმა შემოაბიჯა, ქათქათა თოვლის ფიფქებმა დაფარა მთაწმინდა და ქალაქის ქუჩები, მაგრამ თოვლს თან შემოჰყვა გაზაფხულის დასაწყისის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი. გაზაფხულის პირველი დღის გათენება პირვე-

ლად ბეღურებმა შეიცხადეს, აფრთხიალდნენ, აჟივჟივდნენ და თბილი დღეების მოყვარულები, მაცნეებივით მოედნენ ცას. პავლე ყოველ წუთს ელოდა განაჩენის დასასრულს, მაგრამ ამაოდ, ექიმები არ ჩქარობდნენ, ისინი დინჯად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს.

— ცოტა კიდევ მოითმინე, ბატონო პავლე! ცოტაც და პატარა ბიჭივით დაიწყებ ხტუნვას. — ღიმილით უთხრა მთავარმა ექიმმა. — მერე მიქელ გაბრიელი შორს იქნება შენგან, ასე ადვილად ვეღარ მოგაგნებს და გვერდში ვეღარ დაგიდგება!..

— ვიცი, ვიცი, ბატონო ექიმო, თქვენთან ახლოს ყოფნას ვერასოდეს შეეგუება მიქაელ გაბრიელი!.. — ირონიულად გახედა.

ექიმმა ჩაიცინა, უსიტყვოდ გამოაღო ოთახის კარი და გავიდა.

ხუთი დღის შემდეგ გამოწერეს, როგორც იქნა ეღირსა თავისუფლება! როგორც იქნა თავი დააღწია თეთრხალათიანთა ბრძანებებს, კარის ზღურბლს გადმოცდა თუ არა, ფეხს აუჩქარა, რაც შეიძლება სწრაფად გაშორებოდა იმ ადგილს, ჭიშკარსა და ღობეს, რომლის მიღმა წამლების ამაზრზენი მძაფრი სუნი ტრიალებდა და ადამიანთა კვნესა და გოდება მოისმოდა.

ჟურნალისტიკას დაუბრუნდა, კვლავ „საქართველოს რესპუბლიკას“ ჩაუდგა სათავეში, გრიგოლ მაჭავარიანთან ერთად. ძირითადი საკითხები ადამიანთა უფლებანი და ღირსება თითოეული პიროვნებისა, თავისუფლება ქვეყნისა და ერისა, იბეჭდებოდა ნარკვევები, ოპოზიციაში მყოფი პარტიების კრიტიკული შენიშვნები და 1907 წელს ლონდონში ჩატარებული პარტიის მორიგი მეხუთე ყრილობის, ქართველი დელეგატთა მოგონებები. გაზეთი აქვეყნებდა აგრეთვე ახალგაზრდა შემოქმედთა მხატვრულ ნაწარმოებებსა და ოპოზიციონერების ბორჩალოელი სომხების აჯანყების, მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, მთავრობას მოუწოდებდა დროზე მიეღო ზომები. ისინი პირდაპირ უშიშრად აცხადებდნენ ამ საქმეში ბოლშევიკების ხელი ურევიაო...

ეკონომიურად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ ხალხის ნაწილს არ აინტერესებდა არანაირი დამოუკიდებლობა და დემოკრატია. — რად გვინდა ისეთი თავისუფლება, თუ ჩვენ დავიხოცებითო. — გაიძახოდნენ ქუჩაში მოწყობილ გაფიცვებზე. ასე ტრიალებდა კუჭზე დამოკიდებული ქვეყნის ბედი და ისევ ჩრდილოელი მეზობელი მხარისკენ იხრებოდა. — რუსეთი ყველაზე ახლო მისადგომი ქვეყანა, ასეა თუ ისე ენაც გაგვეგება! — ღრიალებდა ბრბო. მთავრობა მკაცრ ზომებს ღებულობდა გაფიცულების საწინააღმდეგოდ, არბევდა მიტინგებს, იჭერდა მოწინააღმდეგეებს. პროვოკატორებსა და აგენტებს უწოდებდა მათ. ადვილი მისახვედრი იყო, საიდან უბერავდა ქარი. ბოლ-

შევიკებს ამიერკავკასიის ქვეყნებიდან სასომხეთი და აზერბაიჯანი გასაბჭოებული ჰყავდა. ახლა ერთი საქართველო ჰყავდა დარჩენილი და ჩრდილო ქარიშხლის შხუილიც თანდათან ახლოვდებოდა, თითქოს დენთის კვამლის სუნიც შეიგრძნობოდა, გაზაფხულის სურნელოვან ჰაერთან ერთად, კაცის ფილტვები როცა შეისუნთქავდა. 1921 წლის თერთმეტ თებერვალს შემოგვიტიეს, როგორც კი სასურველი დრო მოიხელთა 1920 წლის ხელშეკრულებაც დაარღვია, ჟენევაში მიცემული სიტყვაც დაივიწყა, ჟორდანიას რომ მისცა ლენინმა: „ქართველები ნუ ერევით რუსების საქმეში, თქვენ არ იცნობთ ჩვენს ხალხს, მის ფსიქოლოგიას, მის ყოფა-ცხოვრებას და რატომ ხელს გვიშლით ჩვენ ჩვენი საქმეები ჩვენებურად, რუსულად მოვაგვაროთ. მიიღეთ ავტონომია, აკეთეთ საქართველოში რაც და როგორც გსურთ, ჩვენ არ ჩავერევით, ნურც თქვენ ჩაგვერევით!“ (ნ. ჟორდანია, მოგონებები, 1907 წელი). ბოლშევიკური არმია საქართველოს საზღვრებს გადმოსცდა. მამისონისა და დარიალის დაცვა შეძლეს მთიულებმა, ჩრდილოეთის მხრიდან შეაჩერეს დამპყრობლები. ტაბახმელისა და კოჯრის მხრიდან გრიგოლ კვინიტაძე და გიორგი მაზნიაშვილი ცდილობდნენ შეეჩერებინათ ოკუპანტები, თბილისში რომ არ შემოეღწიათ. ჯარის სიმცირის გამო უჭირდათ მთავარსარდლებს თავიანთი ვალი პირნათლად მოეხადათ სამშობლოს წინაშე. ქუდზე კაცს მოუხმობდა ივანე ჯავახიშვილი, სტუდენტებს მოუწოდებდა კბილებით დაეცვათ ქვეყნის სუვერენიტეტი, ქართველ პატრიოტ მებრძოლებს, ხუთასამდე ახალგაზრდა იუნკერთა ჯგუფი შეუერთდა მარო მაყაშვილი მეთაურობდა, ჯერ კიდევ უწვერ-ულვაშო, ქორფა ყმაწვილებს, რომლებიც ერის ღირსების შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ. მრავალი მათგანი გმირულად დაეცა. მათ შორის მარო მაყაშვილიც. მართალია, ეკონომიურმა სიდუხჭირემ ზოგს შეუცვალა აზრი, მაგრამ უმეტესობა მაინც დამოუკიდებლობისკენ ილტვოდა, ასე ადვილად არ ეთმობოდათ საქართველოს სახელმწიფოს დროშა, მაზნიაშვილთან ერთად იბრძოდა სიმონიკა, ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა მებრძოლ ჯარისკაცებს, აღნაგობით ყველანი ძლიერები იყვნენ, მაგრამ ცოდნით უსუსურები, თეორიული სამხედრო გამოცდილება აკლდათ. ერთადერთი ყველაზე საუკეთესო მებრძოლები ახალგაზრდა იუნკერები იყვნენ, მხოლოდ ისინი აყენებდნენ დიდ ზიანს მტერს. მაგრამ რიცხობრივად არ იყო საკმარისი. სიმონიკა ბრძოლის ველზე ისე ანაწილებდა მებრძოლებს, მტერს შთაბეჭდილებას უქმნიდა, გაცილებით გამოცდილ და უშიშარ ჯარისკაცებთან ჰქონდათ საქმე, ვინემ წარმოედგინათ. ბიჭებს უფრო მეტი ძალოვანება რომ ეგრძნოთ, თავად აძლევდა მაგალითს, ხმალაღმართული წინ მიიწევდა, უშიშრად უტევდა მოხერხებულად იჯდა

ცხენზე და იქნევდა სომეხ დაშნაკთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოგებულ სპარსულ ხმალს, სიმბოლოდ ქცეულ ვაჟკაცობის გამომხატველ სიმღერებს ამღერებდა, გონიერი ოფიცერი იყო და კარგად ესმოდა, ზოგჯერ ასეთი ქმედებები დიდი სტიმულის მიმცემი ხდებოდა, თავდადებისა და ბრძოლის უნარი ემატებოდათ. გაყინულ ჰაერში გაისმოდა ფოლადის ჟღარუნი, ტყვიების ზუზუნი და დაჭრილების ვაი-გოდება. იღვრებოდა სისხლი, ბევრი თავმომწონე ახალგაზრდა თუ შუახნის მამაკაცი მიწაზე ეყარნენ, მაგრამ იმედის ძაფი მაინც არ წყდებოდა, დამხმარე ჯგუფები შუაგულ წრეში იდგნენ, ბრძოლის ველიდან გაჰყავდათ ყველანი, ვიზედაც ხელი მიუწვდებოდათ. თებერვალი იდგა და როგორც სჩვეოდა, დროდადრო სუსხი ქარი უბერავდა და ხვავიანადაც ბარდნიდა.

ბოლშევიკურ არმიას ბრძოლა არ გაჭირვებია, სათანადოდ იყვნენ მომზადებულები, სიცივესაც შეგუებულები, არც საომარი იარაღები აკლდათ და არც გამოცდილება. მიუხედავად წარჩინებული, ტაქტიანი მხედართმთავრებისა, ქართველმა არმიამ ვეღარ გაუძლო კახეთისა და მანგლისის მხრიდან შემოტეულ მტრის რისხვას და 25 თებერვალს, ორკვირიანი ბრძოლის შემდეგ, თბილისი დაეცა. სანამდი ურემი გადაბრუნდებოდეს გზა მანამდეა საძებარი, ოპოზიციის მხრიდან მრავალჯერ იყო გაფრთხილებული მთავრობა, რომ შეექმნათ ეროვნული არმია, გაეწვრთნათ და ნამდვილ მებრძოლად ჩამოეყალიბებინათ თითოეული მათგანი, მაგრამ რატომღაც მოწოდებები მოწოდებებად რჩებოდა, ყურად არავინ იღებდა მათ რჩევებს. ახლა, როდესაც სახელმწიფოებრიობა ჩამოგვიშალეს, საუკუნეების მანძილზე მოპოვებული დამოუკიდებლობა მოგვისპეს, გვიანი იყო თითებზე კბენანი, თბილისის თავზე წითელი დროშა აფრიალდა...

პავლე სამუშაო კაბინეტში იჯდა, დადარდიანებული და შუბლშეჭმუხნული, ბევრს ფიქრობდა. მოსვენებას კარგავდა ქვეყნის სვე-ბედზე, რომელიც უკვე აღარ არსებობდა. კაბინეტში ორნი ისხდნენ, თავად რედაქტორი და მოადგილე გრიგოლ მაჭავარიანი. გრიგოლი ტყავის სავარძელში მოკალათებული პავლეს პირისპირ შეჰყურებდა თვალებში, ნერვიულობისგან მსხვილ თითებს საზურგეზე უპარტყუნებდა. ერთმანეთს შეცქეროდნენ, ხმას არ იღებდნენ, ორთავეს მოღლილ, მოთენთილ სახეზე ყვითელი სუდარისფერი სხივი დაფენოდათ.

ოთახში ღუმელი ენთო, თავისებურად უბერავდა, ცეცხლი წითელ ენას აქეთ-იქით ასარსალებდა. ხანდახან ღუმელის კარის ვიწრო ჭრილს მოაწყდებოდა და, თითქოს, გარეთ გამოხატომას ლამობდა, მერე ისევ უკან დაიწევდა და თავისებურად ალაპარაკდებოდა. ხან ვიღაცას ეკამათებოდა, გაგულისებული ცეცხლი ნაპერწკლებს აფ-

რქვევდა, ირგვლივ შეშის ნამწვავის მკვეთრი სუნი ტრიალებდა...

— ბატონო პავლე, ვერ გეტყვით შეეფერება თუ არა სიმართლეს, — დუმილი დაარღვია გრიგოლმა, — გავრცელდა ასეთი ინფორმაცია, თითქოს ხვალ დილით ტოვებს ქალაქს ჟორდანია და ქუთაისში აპირებს გადასვლას, ყური მოვკარი, ივანე ჯავახიშვილის რჩევით მუზეუმებიდან და ხაზინებიდან ეროვნული განძი გამოაქვთ, ემიგრაციაში წასვლისას თან რომ წაიღოსო. განძს თურმე აგროვებენ ექვთიმე თაყაიშვილის თავკაცობით.

— დიახ, დიახ ბატონო ჩემო, გუშინ ფინანსთა მინისტრი შემხვდა. ბატონმა კანდელაკმა გაკვრით მომახსენა, დროის უქონლობის გამო მიიჩქაროდა, სანამ წითლებს ჯერ მთლად არ გაუწითლებიათ ქვეყანა, მეტის თქმა ვეღარ მოასწრო, მომიბოდიშა და ისე დამშორდა. რაც შეეხება ჟორდანიას, ის უკვე ქუთაისშია.

— ხომ არ აჯობებდა ჟორდანიას ემიგრაციაში წასვლაზე უარი ეთქვა, ქუთაისში დარჩენილიყო, იქედან ეხელმძღვანელა, იქნებ დაგვემარცხებინა ეს ოხერი ბოლშევიკები? აბა, რა გამოვიდა, ხელახლა უნდა გავყოთ თავი ყულფში და მონებად ვიქცეთ?

— ეჰ, ჩემო კეთილო, დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს! შენ კარგად იცი, მთელი ჩემი ცხოვრება საქართველოს კეთილდღეობას შევალიე, ციხეც არ ამცდა სამშობლოს გადაჭარბებული სიყვარულის გამო. რას იზამ? თავს ზემოთ ძალა რომ აღარ შეგწევს? დათვს ბაბაია უნდა დაუძახო, ხომ მართალია, სიცოცხლე რომ შეინარჩუნო. წინააღმდეგ შემთხვევაში განადგურდები. თბილისის დაცემა ნიშნავს თავი ყულფში გვაქვს გაყოფილი. ახლა იქიდან თავის დახსნა ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ საამისო დრო აუცილებლად დადგება! კარგად მოგეხსენება, ორი საუკუნეა გასული ებრძვის ქართველი კაცი იმხელა ვეებერთელა სახელმწიფოს, როგორც რუსეთია, იმიტომ, რომ ჩვენ ბუნებით თავისუფლების მოყვარული ერი ვართ და ვიბრძოლებთ მანამ, სანამ არ მივაღწევთ ნამდვილ თავისუფლებას!..

აღელვებული ლაპარაკობდა, ნერვებს ვეღარ თოკავდა. წელი აითრია და წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ფარდები გადაწია, ოთახში ნათელმა იმატა. ქუჩაში უღიმღამო, მოღუშული დღე იდგა. კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა გამვლელი. როგორც იქნა ბოღმა დაიოკა, ყელში გაჩხერილი ბურთიც ნელ-ნელა დაიჩუტა, ყვრიმალებზე მოწოლილი სისხლიც ჩაუცხრა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლისგან დაცვარული შუბლი და ნოტიო თვალები ამოიწმინდა. ღია სარკმლიდან ქალების წიკვინი მოისმოდა, სარკმელი დაკეტა, თავის სამუშაო მაგიდასთან შეჩერდა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა. ისევ ფიქრებში ჩაეფლო. „რა ვიღონო, როგორ მოვიქცე, გავყვე მთავრობას ემიგრაციაში?

მერე კი გადაიტანს საბრალო დედაჩემი ამდენს, ჯერ იყო და ვარლამის ტრაგიკულმა დაღუპვამ ხომ გაანადგურა, ახლა კიდევ ზედ ჩემიც დაემატება. კი მართალია, მე და ჩემი ცოლ-შვილი ცოცხლები დავრჩებით, მაგრამ თუ ერთმანეთისგან ასე ვიქნებით გარიყულები, სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს? ჯანდაბა ჩემს თავს უცოლშვილო რომ ვიყო კიდევ ჰო! რა ეშველება ჩემს ერთადერთ პირმშო ქალიშვილს? ის ხომ დაკარგავს ნამდვილ ქართველ ქალობას! მთელი ცხოვრება მოდებული უნდა იყოს უცხო ღობე-ყორეს, ჩემი შთამომავლობა გაუცხოველდება. არადა, ტასო დაჟინებით მოითხოვდა წასვლაზე უარი არ ეთქვა. — ვნახოთ, ქვეყანა რომ დალაგდება, ცხოვრებას ფერფური რომ შეეცვლება, ისევ სამშობლოში დავბრუნდეთო. პავლე სულით და გულით ქართველი იყო, კარგად ესმოდა პატარა მარინა, უცხოეთში რომ აღიზრდებოდა, მშობლიური ენა აღარ ეცოდინებოდა. ბავშვობიდან ევროპაში აღზრდილს, სამშობლოში ცხოვრება გაუჭირდებოდა. ორცეცხლს შუა იყო ჩავარდნილი, ორჭოფობდა, ვერ გადაეწყვიტა წასულიყო თუ დარჩენილიყო? დარჩენისაც ეშინოდა, არ იცოდა რას მიუზღავდა ხელისუფლებაში მოსული ახალი მთავრობა. ვალერიანი თავს იკავებდა, სიდედრს ქალიშვილის პოზიცია ეჭირა: - მთელი მთავრობა თუ იხიზნება, შენც ხომ მათი ყოფილი წევრი ხარ. მე მგონია, ალბათ, არც ჟორდანიას ეპიტნავება საქართველოს დატოვება, მაგრამ იძულებულია დატოვოს.

— „ის ქვეყნის პირველი პირი იყო და სწორი გადაწყვეტილება მიიღო. — პასუხობდა შეფიქრიანებული, — თორემ შესაძლებელია რუსეთის ყალბი დოკუმენტი შეედგინა, აეძულებინა ჟორდანია ზედ ხელი მოეწერა, ვითომ ერისა და მისი გადაწყვეტილებით მოხდა, საქართველო საბჭოეთს მიკედლებოდა. ამ დოკუმენტით დემოკრატიული ქვეყნების წინაშე დემოკრატის სახელს მოიპოვებოდა. აი, ამაშია საქმე, ჩემო კეთილო. მე მხოლოდ პარლამენტში ვიყავი მიწვეული. ყველამ კარგად იცით საკონსტიტუციო კომისიას ვხელმძღვანელობდი, ასე რომ, როგორც პარლამენტის ყოფილი წევრი, შეიძლება ციხეში ჩამსვან, მაგრამ რომ ვიცოდე, ციმბირში არ გადამასახლებენ, სამშობლოში დამტოვებენ, სიამოვნებით დავთანხმდებოდი. მაშინ საზღვაგარეთ წასვლაზე აღარ ვიფიქრებდი, თუმცა ჯერ კიდევ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია“...

გრიგოლი და თანამშრომლები ხედავდნენ, რომ პავლე შინაგანად საკუთარ თავს ებრძოდა, თითქოს რაღაცას წყვეტდა. ზოგჯერ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მხოლოდ ხალისწართმეული და სახეგაფითრებული შესცქეროდა კედელზე ჩამოკიდებულ რუქას, გონებაში რაღაცას ანგარიშობდა. ყველამ იცოდა მისი ხასიათი,

ადრე თუ გვიან, გულს რომ გადაუშლიდა, ამიტომ თავს იკავებდნენ, არ უსვამდა კითხვას. იჯდა და ელოდა, როდის ამოიღებდა ხმას. ხანდახან მაჭავარიანი გაზეთში დასაბეჭდად შემოსულ მასალებს ზერელედ თუ გადაავლებდა ხოლმე თვალს, მერე მზერა ისევ პავლეზე გადაჰქონდა. „შეუძლებელია — ფიქრობდა, — ასეთმა კაცმა, როგორც პავლეა, ასე ადვილად დატოვოს საქართველო!“

— საშინელებაა პირდაპირ რაც მოხდა და ხდება, — ენა ამოიდგა პავლემ. — დავიღალე ამდენი ფიქრით, როგორ მოვიქცე, რაღა ვიღონო სამშობლო წართმეულმა კაცმა, იქნებ შენ მირჩიო, ჩემო გრიგოლ, წავიდე თუ არ წავიდე ემიგრაციაში? ვითომ მეშველება რამე ორცეცხლსშუა ჩავარდნილ კაცს? მე თუ ჩემებურად ჩემს მამულში არ გავიარე, წელიწადში ერთხელ თუ მაინც ჩემს ბებერ მუხების ჩრდილში არ წამოვწექი, ახლობლებთან ერთად ჭურისთავზე ჭიქა ღვინო არ დავლიე, შეზარხოშებულმა „დიელო-დარიელაო“ არ შემოვძახე, გეკითხები, რად მინდა ასეთი სიცოცხლე! ისე კი, მართალია მე ევროპაში ვცხოვრობდი, მაგრამ ის სტუდენტური წლები იყო, მაგრამ იმ დროსაც კი ერთი სული მქონდა, როდის ვიხილავდი ჩემს ხალხსა და ქვეყანას, არა, არა ჩემო კეთილო! მე სხვანაირად არ შემიძლია. იქ ვისკის წრუპვას, ჩვენი ციცქის ნაჟური მირჩევნია. ხომ გაგიგონია ანდაზა: „თაგვს საბუბულეში აწვენდნენ, ის მაინც თაგვისარისკენ გარბოდაო“. ასეა, ყველას თავისი უყვარს და არ ეთმობა...

— ეჰ, ჩემო პავლე, — ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა გრიგოლმა და განაგრძო. — რუსეთში როგორც ხედავ სამოქალაქო ომი დასრულდა. ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს და მოექცნენ ქვეყნის სათავეში. რა ოფოფები შეუფრინდებათ თავში და როგორ მოექცევიან ყოფილ ურჩ და განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებს, ღმერთმა უწყის. ისე, უპირონი და სიტყვის გამტეხნი რომ არიან, შენც კარგად იცი... მტერი ენდოთ მაგათ!.. ამიტომ, ჩემი მეგობრული რჩევა იქნება, აიბარგე, აკრიფე შენი გუდა-ნაბადი და თან გაჰყევი შენს კოლეგებს. მეტად დაზღვეული მაინც იქნები ყოველგვარი ხიფათისგან, როგორც შენ, ასევე შენი ოჯახიც. კარგად ვიცი შენისთანა პატრიოტი კაცისთვის, ძნელია ასეთი ნაბიჯის გადადგმა! ეჭვი არ მეპარება, ცეცხლში ჩადგები საქართველოს კეთილდღეობისთვის, საკუთარ სიცოცხლეს არ დაინანებ! აქ რომ დარჩე შეიძლება ფუჭად გაწირო თავი! იქ კი მცხოვრებ პატრიოტ ქართველებს შორის ჩაებმები და ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძოლებთ მშობლიური ქვეყნის გამოსახსნელად! თანაც ქალიშვილი გეზრდება, რომელსაც შენ ყველაზე მეტად სჭირდები! რაღა დაგიმალო და, მეც გამიჩნდა სურვილი საცხოვრებელი ადგილი გამოვიცვალო, გერმანიაში წავიდე სპირიდონ კედიასთან, გავხდე მისი თანამოაზროვნე და

გვერდში ამოვუდგე იქ მაცხოვრებელ ქართველ პატრიოტებს. ეჰ, ჩემო ძვირფასო, იმას როგორ ვიფიქრებდი, რომ დადგებოდა ისეთი დრო, რომ ჩვენ სამშობლოდან მოგვიწევდა გადახვეწა. დეპრესიაში ვარ ჩავარდნილი, არ მჯერა ის, რასაც ვხედავ და ხდება, თავი სიზმარში მგონია. ჩვენ განსხვავებული აზროვნების ხალხს მივეკუთვნებით და სიცოცხლე გვინდა, რომ ჩვენი შვილები და მათი მომავალი ისე უნდა აღვზარდოთ, რომ აღუდგინოთ ერს დაკარგული ღირსება!

— არ ვიცი, რა გითხრა, გრიგოლ! ხვალ დილამდე კიდევ დამრჩა მოსაფიქრებელი დრო, არ არის გამორიცხული, მეც ავყვე ფეხის ხმას! ჟორდანია უკვე ქუთაისში იმყოფება, ასე რომ, თუ წასვლა გადავწყვიტე, ჯერ დედ-მამას მოვინახულებ სოფელში და შემდეგ კი ქუთაისში ამოვყოფ თავს, თუ მანამდე გული არ გამისკდა.

— როგორც ვიცი, ჟორდანია ვაგონით უნდა გამგზავრებულიყო, განძეულობით დატვირთული ვაგონი იმ ვაგონებს მიაბეს, რომლითაც ის მიემგზავრებოდა?

— დიახ, ჩემო ბატონო! აკი გითხარი გუშინ ფინანსთა მინისტრი შემხვდა-მეთქი! სადგურზე მიიჩქაროდა, ექვთიმე თაყაიშვილის ნახვა ეწადა!..

— ბატონი ექვთიმე, ალბათ, ქუთაისის ხაზინიდანაც შემოიკრეფს განძს?

— რა თქმა უნდა!.. მთელი საქართველოს უძვირფასესი ნივთები გავა საქართველოდან და უძვირფასესი ადამიანი უპატრონებს — ჩვენი საყვარელი ექვთიმე!

პავლემ შარვლის პატარა ჯიბიდან ძეწკვიანი საათი ამოიღო, ორი სრულდებოდა. ქუჩაში გადაიხედა, ქვაფენილზე, თხლად პურის ნაჭერზე წასმული კარაქივით, იდო თოვლი. გრიგოლს მოუბოდიშა, უნდა დაგტოვო მეჩქარებაო, გამოსვლისას გააფრთხილა გაზეთი სტამბაშია და შენებურად მიხედეო. მერე ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, ადვილად რომ არავის შეეცნო და გაუყვა საყელოაწეული ნაცნობ დაღმართს, პალტოს ჯიბეში ხელებჩაწყობილი, თებერვლის ქარი მთვრალივით აქეთ-იქით დაქანაობდა, უმისამართოდ დაეხეტებოდა და სახლების კუთხეებს ეხეთქებოდა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდა საყვარელ ქალაქს, არავინ ჩანდა, ისე ჩაათავა დაღმართი კაციშვილი არ შეხვედრია. დუმდა და ეჩოთირებოდა ქალაქის ასეთი უმოძრაობა. მთავრობის შენობასთან აუარებელი ხალხი ტრიალებდა, ზოგი ხმამაღლა იგინებოდა, ბილწი სიტყვების კორიანტელი იდგა. ვინ იყო გამკითხავი, არავის არაფრის ერიდებოდა. ყველა რჯულის, ავყია თუ ინტელიგენტის წარმომადგენლებს შეხვდებოდით, ზოგს მთვრალს, ზოგს მშიერს. რუსი ჯარისკაცები სამთავრობო შენო-

ბის შესასვლელთან იდგნენ ხელში ხიშტიანი თოფები ეჭირათ თავზე წითელვარსკვლავიანი ქუდები ეხურათ. ხმამაღლა იგინებოდნენ, ვიღაცას ემუქრებოდნენ და თოფებს უღერებდნენ, უხეიროდ იპურჭყებოდნენ. მწარე მახორკის წევისგან პირმყრალნი სასახლის წინ დააბოტებდნენ. პავლემ თავი ძლივს შეიკავა, გული კინაღამ აერია, სისხლსა და ჭუჭყით აზელილ-დაზელილ გზაზე სიარულს გვერდის ავლა არჩია. მთავარ ქუჩიდან გადაუხვია და ვიწრო ქუჩით გაუყვა სახლისკენ მიმავალ გზას.

თებერვალი გაილია, წითელი არმია დასავლეთისკენ მიიწევდა გორსა და ხაშურში სისხლის სუნი ტრიალებდა და წითელი დროშებიც ფრიალებდა. რიკოთის უღელტეხილამდე საქართველო გაწითლებული იყო. პავლემ უკან ჩამოიტოვა ბოლშევიკური არმია, მშვიდობიანად გამოიარა გვირაბი, მარტო რომ ყოფილიყო მაშინ რა ექნებოდა სანერვიულო, რამდენჯერ აღმოჩენილა სიკვდილის პირისპირ, მაგრამ როდესაც ცოლ-შვილი თან ახლდა, მაშინ ყოველი ნაბიჯი სიფრთხილით უნდა გადაედგა. აღშფოთებული და სასოწარკვეთილი შეხვდა იმერეთი, ადგილობრივი მთავრობა სდევნიდა ბოლშევიკთა თანამოაზრეებს და ციხეში სვამდნენ. მეტად საინტერესო ინფორმაცია დაახვედრა ვანომ, ბოლშევიკები, როდესაც განძით დატვირთული ვაგონი ქუთაისიდან გამოვიდოდა და ბათუმისკენ აიღებდა გეზს, ნატანებსა და ქობულეთს შორის დარჩენილი რკინიგზის ხაზი უნდა აეფეთქებინათ. პავლეს აღარ დაუხანებია, ლაპარაკიც აღარ დაუსრულებია უფროს ძმასთან, პირდაპირ ქუთაისისკენ აიღო გეზი. ქუთაისში რკინიგზის სადგურზე ვაგონი იდგა, სადაც იტვირთებოდა საგულდაგულოდ მაგარ ყუთებში ჩაწყობილი ეროვნული სიმდიდრე, რომლებიც ვაგონამდე სატვირთო ავტომანქანით გადაჰქონდათ. პავლემ სასწრაფოდ მოინახულა ექვთიმე თაყაიშვილი, ფინანსთა მინისტრი კანდელაკი და თბილისის სახაზინოს გამგე ბეკი და ყურმოკრული ინფორმაცია გააცნო, რკინიგზის ხელმძღვანელობამ დაცვა გააძლიერა აღნიშნულ მონაკვეთზე. ის ღამე კოკისპირულად წვიმდა, თითქოს, ბუნებამაც კი ხელი შეუწყო, რომ განძს უხიფათოდ ჩაეღწია დანიშნულ ადგილამდე. შეიარაღებულ ბანდიტთა ჯგუფს, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ტერაქტი პარმენ ცინცაძე ხელმძღვანელობდა. ბედი არ წყალობდათ ტერორისტებს, უამინდობამ ხელი შეუშალათ, გაძლიერებულმა დაცვამ შეიპყრო ყველანი და საკნებში გამოკეტა. პარმენმა შეძლო თავის დაღწევა, ფულის მოყვარულ გვარდიელებს დიდი თანხა გადაუხადა, ქალის ტანსაცმელი გადაიცვა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ასე გადალახა ყველაზე დიდი საშიშროება განძეულმა. დილით ბათუმამდე ჩააღწია, შემდეგ კი გემზე უნდა გადაეტვირთათ. ზღვის ქარი

უბერავდა, ფაფარაყრილ ლომივით ღმუოდა ზღვა. მწარე ბედისგან დაწიხლული ადამიანები სევდიანად შეცქეროდნენ ზღვაზე მოქანავე კრეისერებს, რომლებიც სულ მალე დატოვებდნენ ბათუმის პორტს. პავლეს ტანში ჟრუანტელი უვლიდა, როდესაც წარმოიდგენდა, რამდენად გაუჭირდებოდა, რამხელა ტკივილს მიაყენებდა განშორების წუთები „ჩემი გულის პატრონი ამდენს ველარ გადავიტან, გემი დაიძრება თუ არა, კაიუტაში ჩავიკეტები, თვალებს დავხუჭავ და მანამ არ გავახელ, სანამ დიდი მანძილით არ დავშორდები ამ მთებსა და ზეცას, თორემ გული გამისკდება, ჩემს თავს არ ვჩივი, ყველაზე მეტად ჩემი პატარა პიმრშო მენანება, არ მინდა ობლად დარჩეს და ემიგრაციაში უმამოდ იცხოვროს“...

დილა-საღამოობით, როცა წყნარი და თბილი დარი იდგა, პავლე და ტასო პატარა მარინას შუაში ჩაიყენებდნენ, თეთრ ფუნჩულა ხელებში თავიანთ მყარ ხელს ჩაჰკიდებდნენ და სანაპიროზე დაასეირნებდნენ. ბავშვი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ნაპირზე მოხეთქილ ტალღებს და უკვირდა საიდან გაჩნდა ეს ამდენი წყალი, მათი სახლის სიახლოვეს, ან ამდენი უცხო ძიები, მეზობლად რომ ცხოვრობდნენ. გაურბოდა და ვერ იტანდა მათთან შეხვედრებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახეზე ჩქმეტდნენ, ვეებერთელა თვალებს აცეცებდა, უცნობ კუთხე-კუნჭულს ვერ ეგუებოდა, ხელს კარებისკენ იშვერდა „ბაბუ-ბაბუ“-ს იძახდა, ჭირვეულობდა. ღამე მშვიდად აღარ ეძინა და ტიროდა. პავლე და ტასო ბრაზობდნენ, ფაქიზი არსების ჭირვეულობით, უსიტყვოდ იტანჯებოდნენ. პატარა ყოველთვის სიამისმომგვრელი, მხიარული და კეთილი, ასე უცებ რომ შეიცვალა და უცნაური გახდა.

პავლე ცოლ-შვილთან ერთად იმ სასტუმროში ცხოვრობდა, სადაც ქვეყნის პირველი პირი და ემიგრაციაში წამსვლელი მთავრობის დანარჩენი წევრები იმყოფებოდნენ. ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, კამათობდნენ და ბჭობდნენ. იმ დღესაც ჟორდანიასა და გრიგოლ ლორთქიფანიძეს გადაეყარა, რომლებიც გემ „ერნესტ რენანიდან“ ჩამოდიოდნენ, სადაც მთავრობის ქონება და ფრიად საჭირო საბუთები იტვირთებოდა. გრიგოლს ყოველთვის მაღალი თანამდებობა ეჭირა ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ბოლოს განათლების სამინისტროსაც თავკაცობდა. პავლე დიდად აფასებდა, როგორც ღირსეულ ხელმძღვანელს. ის ყოველთვის გამოირჩეოდა შინაგანი მაღალი სულიერებითა და პატიოსნებით. პირველი შემთხვევა იყო, პარლამენტიდან წამოსვლის შემდეგ ასე პირისპირ, რომ შეხვდა ქვეყნის პირველ პირს. ჟორდანიამ პირველმა გაუწოდა ხელი და მოიკითხა. ფერმკრთალი და გადაღლილი ჩანდა, მისი თვალებიდან სევდა და ზიზღი გამოსჭვიოდა, მაგრამ მაინც ყველას თავაზიანად ესალმებოდა და ცდილობდა ხალი-

სიანი ურთიერთობა დაემყარებინა თანაგუნდელებთან. პავლემ ხელი ჩამოართვა და თავაზიანად თავი დაუკრა, მერე ოდნავ უკან დაიხია და გრიგოლს ამოუდგა გვერდით. „ღმერთო ჩემო, როგორ ზეზეულად ჩამომხმარა დარდით“. — გაიფიქრა პავლემ. გარინდებული, მდუმარედ მისჩერებოდა შუახნის, ჭაღარაშერეულ კაცს, ღრმა მოხუცივით რბილად რომ გამოიყურებოდა. დღევანდელ დღეს სულ არ შეეფერებოდა, სულ რაღაც ოციოდე დღით უკან ნახულ მის სახეს. გრიგოლს რაღაც უფერული ფერი დადებოდა, ნაოჭებიც საგრძნობლად ეტყობოდა, მხოლოდ ერთი წვერ-ულვაში შერჩენოდა უცვლელი. დაცვის ბიჭები მიაცილებდნენ. ხალვათად იყო ჩაცმული, როგორც მარტმა იცის, ამინდი უცებ აირია, ცივმა ქარმა დაუბერა. ნავსადგურიდან სასტუმრობდე ფეხით სასირულო ათიოდე წუთამდე იყო. პავლეს შეაჟრჟოლა, პალტოს საყელო აიწია და გრიგოლთან სასტუმროსკენ გაემართა.

— როგორც იქნა გადაწყვიტეს, დღეს მივემგზავრებით, ასე რომ გაემზადე, ჩემო კეთილო!

პავლემ ყურს არ დაუჯერა, გაოცებული მზერა მიაპყრო გრიგოლს, გრიგოლმა ნათქვამი გაუმეორა და დაამატა: — ნაციონალური დროშა თან მოაქვთ ჩვენს მთავრობას, ბრძოლას არ შევწყვიტავთ, უცხოეთიდან შემოვუტევთ, ევროპის ქვეყნებში მცხოვრები ქართველი პატრიოტები, ყველანი ერთად გავერთიანდებით. თუ ევროპამ გულგრილობა არ გამოიჩინა და მხარი დაგვიჭირა, იქნებ გვეშველოს.

პავლეს გულმა რეჩხი უყო, რაღაც მწარე ნაღველმა თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე დაუარა. მწარე ფიქრები წამოეშალნენ. სევდამ ააკანკალა, ცერად გახედა ნავსადგურზე ჩამწკრივებულ კრეისერებსა და ერთი ისეთი ამოიოხრა, გულიც კინაღამ თან ამოაყოლა. „ჰოი, ღმერთო მაღალო, ნეტავ ვიცოდე, ოდესმე თუ კვლავ მეღირსება ჩემი სამშობლოს მიწაზე ფეხის დადგმა“... ჯიბიდან ცხვირსახოცში შეხვეული, საქარიდან წამოღებული მიწა ამოიღო, ეამბორა და ადგილი შეუნაცვლა, კოსტიუმის შიგნითა ჯიბეში, გულთან ახლოს ჩაიდო, თითქოს მშობლიურ მიწასთან სიახლოვემ ნერვები დაუოკაო და დაამშვიდა, თავს დაძლია, საკუთარი ნირი დაიბრუნა, ვაჟკაცური ღირსებებით სავსე. ზღვიდან წამონაბერი ცივი, სუფთა ჰაერი ხარბად შეისუნთქა.

1921 წლის 17 მარტი, სწორედ მთავრობის გამგზავრებამდე, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შემდეგ, ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვების შემდეგ, თურქეთი შემოიჭრა და დაიკავა არტან-ოლთისის მხარე და ბათუმსაც დაუპირა დაპყრობა. მაზნიაშვილმა დარჩენილი ქართული ჯარის მცირერიცხოვანი მებრძოლებით მოახერხა ოკუპანტებთან გამკლავება.

სიმონიკა გვერდიდან არ მოშორებია გენერალს, თავადაზნაურო-

ბასთან ერთად იბრძოდა სამუსლიმანო საქართველოს გადასარჩენად. ახალგაზრდა ოფიცერი გენერლის ქებას იმსახურებდა, მაგრამ ეს არ ყოფილა მთავარი, მთავარი ერის ერთგულება და სიყვარული იყო. ჟორდანიას სწამდა ქართველების თავგანწირული ბრძოლა უშედეგოდ არ ჩაივლიდა, მაგრამ მანამ ვერ მოისვენა, სანამ გრიგოლ ლორთქიფანიძე თავისთან არ მიიხმო და არ დაავალა სამშობლოში დარჩენა და შეხვედრა ბოლშევიკების წარმომადგენელთან — მამია ორახელაშვილთან. გრიგოლი უსიტყვოდ დათანხმდა. „დე იყოს ღმერთის ნება, თუ სიკვდილი მიწერია, სჯობს ჩემს მიწაზე მოვკვდე მაინც, ოღონდ ჩემს ტანჯულ საქართველოს რამე ეშველოს“. ცოლ-შვილი კაიუტიდან გამოიყვანა, პატარა თემიკო გულთან მიიკრა, ჩიტივით უბეში ჩაისვა, მეუღლესა და სამიოდე წლის ქალიშვილს ხელი ჩასჭიდა და გემიდან ჩასასვლელ კიბეს ჩაუყვა. დაბლა შემოსასვლელთან პავლეს გადაეყარა, იმერული ზრდილობით მიესალმნენ ერთმანეთს, ტასომაც მოწიწებით თავი დაუკრა. გრიგოლმა ყურთან ახლოს, ჩურჩულით აუხსნა საქმის ვითარება. პავლემ მხრები აიჩეჩა, ცალი თვალი მოჭუტა, ისე შეხედა და როგორც ჩვეოდა დაბალი ხმით დააყოლა: „შურიანი არასოდეს ვყოფილვარ, ჩემო გრიგოლ! ამ წუთში კი გეტყვი სიმართლეს, და მართლა თეთრი შურით მშურს შენი“. საუბარი შეწყვიტეს, დრო აღარ ითმენდა ძმურად გადაეხვია. პირველი ჯოჯოხეთის გზიდან მობრუნებული, კვლავ ედემისკენ სავალს დაადგა, დანარჩენები ბედის ნებაზე იყო მინდობილი.

პავლეს გულზე შემოეყარა. ფეხები გაუშეშდა, გაუნძრევლად იდგა „არ შეცდე და ნაბიჯი არ გადადგა“ კარნახობდა გული. მარინას ტირილის ხმამ შეაწყვეტინა ფიქრი. პატარა ანჩხლობდა. ახლად გაცნობილ გრიგოლის ქალიშვილს არ სურდა დაშორებოდა, დედას ეწინააღმდეგებოდა და ცდილობდა როგორმე ხელიდან დასხლტომოდა. უმანკო ცრემლებმა, პატარის შეუპოვრობამ, მამაც ჯიუტი და შეუპოვარი გახადა, ყელი გაუშრა და ჩაეთუთქა. თვალწინ სახლმა, ეზომ, დედ-მამის შეშფოთებულმა სახეებმა გაუელვეს, დარდისგან მიბნედილი დედის თვალები, ღმერთის საუფლოსაკენ იყო ვედრებით მიპყრობილი. ბევრი აღარ უფიქრია, გულის კარნახს აჰყვა, წინ გადადგმული ნაბიჯი, უკან გადმოდგა, ტასოს მიუახლოვდა, ბავშვი ჩამოართვა, კისერზე შეისვა და წინ მიმავალ გრიგოლს აჩქარებული ნაბიჯით აედევნა. კი არ მიდიოდა, უფრთებოდ მიფრინავდა. ტასო გაოგნდა, სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა, ვეღარც წინ გადადგომას ბედავდა. ასეთ დროს ყოვლად შეუძლებელია ვინმეს დაოკება, სურვილი იმდენად დიდია, მის განსახორციელებლად სიცოცხლესაც კი არ იშურებს კაცი. ტასოს წარმოდგენილი ჰქონდა თუ რა მოჰყვებოდა პავლეს დარჩენას,

მაგრამ ის ტკივილიც გულს უქუფრავდა, რაც უცხო ქვეყანაში უნდა განეცადა...

გრიგოლი ბათუმიდან ქუთაისში ჩავიდა, იმ დღესვე მოახერხა და შეხვდა ორახელაშვილს და ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა. მაინც-დამაინც არცთუ ისე ეპიტნავა ლორთქიფანიძის ასეთი თავგამოდება: — ჯერჯერობით მაგის დრო ჩვენ არ გვაქვს, — ჰარიჰარად უპასუხა. — როგორც კი მოვიცლით, ამხანაგები უთქვენოდაც მოაგვარებენ მაგ საკითხსო!

მოგვიანებით ფრიად სასიამოვნო ამბავი გავრცელდა ქუთაისში, ქართული ჯარის შენაერთებმა, რომლებსაც პატრიოტი გენერლები გრიგოლ მაზნიაშვილი და გიორგი კვინიტაძე ხელმძღვანელობდნენ, ბათუმიდან თურქი ოკუპანტები გააძევესო. მალამოსავით დაედო ეს ცნობა მთელ საქართველოს ჭრილობაზე. პავლე იმ დღეს ბათუმში დარჩა, მემედ აბაშიძესთან გულღია საუბარმა, ქართველების წარმატებულმა ბრძოლამ, სიმხნევე და ძალა შემატა. ჟორდანიას გემი უკვე საქართველოს სამანებს იყო იმ დროს გამცდარი და სტამბულისკენ მიცურავდა...

გაივლის რამოდენიმე ათეული წელი და ლევილის სასაფლაოზე ერთ-ერთი პატრიოტი ქართველი ემიგრანტის სასაფლაოზე ეპიტაფიად პატარა ლექსი ამოტვიფრეს, რომელიც საფრანგეთში ჩასულ ქართველ ტურისტებს, თავიანთი წინაპრების, თავისუფლებისათვის მებრძოლ რაინდებს მოაგონებს... სამწუხაროდ მე აღარ მოვიძიე ამ ლექსის ავტორისა და არც იმ მებრძოლი თანამემამულის გვარი, რაზედაც მკითხველს ბოდიშს ვუხდი. ერთს კი დავძენ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მგონია ლექსის ავტორი კახელი უნდა იყოს. შესაძლებელია, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანაგუნდელიც. გთავაზობთ იმ ლექსებს:

„ვარ საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის მხურვალე სიხარულით მსურს გავიხარო,
თუ საქართველო არ მენახოს თავისუფალი,
დე, მტვრადქცეული დამენახოს მთელი სამყარო“...

24

რუსული ცარიზმისგან თავის დაღწევამ, გუბერნიად ქცეულ საქართველოს სახელმწიფოდ გადაქცევამ, დამოუკიდებლობის მოპოვებამ, ისე გააღიზიანა ბოლშევიკური მთავრობა, დაგვიპყრეს თუ არა, ჯალათებად იქცნენ. განსხვავებული აზრის ადამიანებს სასტიკად უსწორდებოდნენ, ამ გზით ცდილობდნენ მათ დამორჩილებას და თავი-

სუფლების მოსპობას. საბჭოთა სივრცეში მოქცეული რესპუბლიკები ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად რუსულ მთავრობაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. მხოლოდ მათი კარნახით, მხოლოდ მათ დაკრულზე უნდა გვემღერა და გვეცეკვა. დაპყრობით კი დაგვიპყრეს, ვერ შევძელით მეთერთმეტე არმიის დამარცხება, მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. უძველესი ხანიდან დაწყებული ვერცერთმა დიდმა ქვეყანამ ვერ შეძლო ქართველიო ერის ცნობიერებაში ჩაეკლა ლტოლვა თავისუფლებისაკენ. ჩვენ ის ხალხი ვართ ვისაც ერთ ხელში გუთანი ეჭირა, მეორეში — ხმალი, მტერს მტრულად უმკლავდებოდა, თავს არავის აჩაგვრინებდა და არც არავის ჩაგრავდა. ევროპის ქვეყნებს მოდებული ქართველი პატრიოტები აყალიბებდნენ საოკუპაციო ხელისუფლების მიმართ საბრძოლველ გეგმებს, პრესის საშუალებით ავრცელებდნენ ინფორმაციებს, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ორგანიზაციებში გაერთიანებულები იყვნენ მაღალი ჩინის მქონე სამხედრო პირები და მათ შორის, ერთერთი უმამაცესი, ცხინვალის რეგიონის გამანთავისუფლებელი ვალიკო ჯუღელი. სპირიდონ კედია, შალვა მაღლაკელიძე, გიორგი მაჩაბელი, რომლებმაც დააარსეს „დამკომის“ ფილიალი. ამ ფილიალის საშუალებით კავშირს ამყარებდნენ თანამემამულე ემიგრანტებთან. ნოე ჟორდანიამ შეისყიდა ლევილის ტერიტორია ემიგრანტ ქართველებისთვის, დააარსა სტამბა და ქართულ და ფრანგულ ენაზე უშვებდა მრავალ ჟურნალ-გაზეთებს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი „ჩვენი დროშა“ იყო. ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ქვეყნდებოდა დიდი ქართველი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული ნაშრომები, წერილები, გამოდიოდა წიგნები. ოცდაოთხი წელიწადი მოუწია ყოფნა ემიგრაციაში ექვთიმეს ეროვნულ განძთან ერთად და ოცდაოთხი წლის განმავლობაში წუთითაც არ მიუტოვებია ჩვენი სიმდიდრე. ენა ადვილად ამბობს ყველაფერს, მხოლოდ მამაზეციერმა უწყის რამდენი ხიფათის გადატანა მოუწია, შიმშილი, სიცივე, საყვარელი მეუღლის გარდაცვალება. შიში და ომის ქარ-ცეცხლი... მაინც იმდენი შეძლო ოთხმოცი წლის კაცმა, მთელი გოლგოთას გზა გამოიარა და საქართველოს უკლებლივ უკან ჩამოუტანა ჩვენი სახელოვანი წინაპრების ნალოლიავები ქონება...

ემიგრაციაში მყოფ მთავრობას ჩამოშორებული გრიგოლ ლორთქიფანიძე პირველი აღმოჩნდა, ყოფილი მთავრობის წევრთაგან, ვინც ციხის კედლებს ვერ აცდა, მეტეხის საპყრობილეში გამოამწყვდიეს. შემდეგ კი ვორონეჟში გადაასახლეს. ის არ ყოფილა ცბიერი, არც მლიქვნელი ადამიანი, ის ისეთი იყო როგორც განებოძა ბუნებას — პირდაპირი და უღალატო. პოლიტიკაში ყოფნის დროს მოჩვენებითად არაფერი უთამაშია, არც ჭეშმარიტების გზას აცდენია.

— თუ პოლიტიკოსი ჭეშმარიტებას უარყოფს, თავს მოჩვენებითად წარმოადგენს, ანუ ერთს ამბობდეს და საწინააღმდეგოს აკეთებდეს და ცრუობდეს საკუთარი ქვეყნის წინაშე, ასეთი ქვეყანა კისერს წაიტეხს და შორს ვერ წავა! — ხშირად განუცხადებია პავლესთან საუბარში. გრიგოლმა მოგვიანებით, გადასახლებაში ყოფნისას, წერილი მიწერა სტალინს, სიყრმის წლები შეახსენა ერთად რომ ჰქონდათ სწავლის დროს გატარებული და თან მოკრძალებულად თხოვა დახმარება, სასჯელი მოეხსნათ და სამშობლოში დაებრუნებინათ. ვინ იცის მიაღწია თუ არა იმ წერილმა სტალინამდე, მაგრამ ერთი კი ნათელია, გრიგოლი 1937 წელს საქართველოში დააბრუნეს, სასჯელი კი არ შეუმსუბუქეს, პირიქით, საიდანაც დააწყებინეს, იმავე მეტეხის ციხეში ჩასვეს და ცემა-ტყეპაში ამოხადეს სული. საქართველოს ცეკას მაშინ ლავრენტი ბერია განაგებდა.

იგივე ხვედრი ხვდა წილად მხედართმთავარს გრიგოლ მაზნიაშვილს. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გენერალი პარიზში გადაიხვეწა, მაგრამ აგენტურას ვერ გაექცა, გაქნილმა ჭორბიუროს წევრებმა ჭორი გაუვრცელეს, მაზნიაშვილი საბჭოთა მთავრობის აგენტიაო, მათთან ახლოს კავშირშია, ორმაგ თამაშს თამშობს, ხალხის თვალში ემიგრანტად ასაღებს თავსო. ასე აიძულეს დაეტოვებინა საფრანგეთი და უკან დაბრუნებულიყო. მართლაც მოხდა ის, რაც მტრებს ჰქონდათ განზრახული, სამშობლოში დაბრუნდა, ყველას განერიდა და მშობლიურ კასპის რაიონის სოფელი სასირეთში დასახლდა, აღარც იქ დააცალეს მშვიდად ცხოვრება, მყუდროება დაურღვიეს, 1937 წელს, გრიგოლ ლორთქიფანიძისგან განსხვავებით, ტყვია დაახალეს და საფეთქელი გაუხვრიტეს...

დაღლილ-დაქანცული, დამტვერული და ცუდი წინათგრძნობით აღსავსე დაბრუნდა პავლე სახლში, საუბარიც აღარ შეეძლო, დივანზე წამოწვა, ზედმეტი სიბრაზისგან ღმერთსაც აღარ მოერიდა და გონებაში შეეკამათა. „რატომ არ გვაძლევ იმის საშუალებას, ქართველებმა მშვიდი ცხოვრებით ვიცხოვროთ. სულ განსაცდელში გვიწევდა ჩვენი დღე და მოსწრება, ყოფნა და ნუთუ აღარ დადგა ის სასურველი დრო, თავი მოსვენებულ ადამიანად ვიგრძნოთ. იქნებ დაგვიხსნა ღმერთო ამდენი უსამართლობისაგან, ისევ შეგვინარჩუნე შენს მიერ ბოძებული ეს დალოცვილი მხარე. ისევ ღვთისმშობლის კურთხეული კალთა გადმოგვაფარე, როგორც ადრე გვქონდა გადმოფარებული, ისევ ისეთი ერთიანი გაგვხადე, როგორიც დიდი დავითის დროში ვიყავით ღმერთო, ისე ნუ გაგვანადგურებ და გადაგვაჯიშებ, რომ ჩვენს მომავალ თაობას აღარაფერი შერჩეს ქართველური“...

ერთხანს ასე იბორგა, ფიქრებს თავი ვეღარ დააღწია, თვალი ვეღარ მოხუჭა, წამოდგა, აბაზანაში შევიდა, თბილმა წყალმა მოთენთა და სიამოვნება მოჰგვარა, თავი ბალიშზე მიდო და ღრმად ჩაეძინა. საღამოს საწერ მაგიდას მიუჯდა, დღიური გაშალა, კალამი აიღო, წერა უჭირდა, თავს ძალა დაატანა, სტრიქონი სტრიქონს მიაბა:

„ახლა შუაღამეა, ძლიერ მიჭირს და განვიცდი, ისედაც რაა ჩვენი სიცოცხლე, სულ რაღაც წამიერი გაქროლება ამ სამყაროში, იმასაც თუ უცხო ქვეყანაში გაატარებ, აფორიაქებულ სულს რითი დაიმშვიდებ... ერთი გამოუსწორებელი ჭირი გვჭირს ქართველებს — ყველას ვეძმობით, ისინი კი ძმად არ გვთვლიან“...

„დღეს 17 მარტს უნდა დავტოვო საქართველო, როგორი საქმეა, როგორ უნდა დავითრგუნო ტკივილი? ჩემი პატარა მარინა მეცოდება, ორი-სამი წლის თითო არსება როგორ უნდა ააგლიჯო საკუთარ მიწა-წყალს? ო, ღმერთო ჩემო, როგორი უბედური მამა ვარ! იმედი მაქვს, ყველაფერს მიხვდება და მაპატიებს ჩემი მარინა!..“

„ბათუმის გადასარჩენად ქართველების თავდადებულმა ბრძოლამ, კიდევ ერთხელ დამარწმუნა ერთიანობის ძალაში, სულხან-საბას იგავი გამახსენდა, ერთად შეკრული ისრების კონა რომ ვერ დაამტვრია დევგმირმა. როგორი ჭკვიანი და პატრიოტი კაცი ყოფილა საბა? ბათუმის ომში ჩემს ბიძაშვილს სიმონიკა საყვარელიძეს მიუღია მონაწილეობა, ჩემთვის სიცოცხლის ტოლფასია ასეთი ცნობა! ის განსაკუთრებულად ზრდილი და კეთილსინდისიერი ახალგაზრდა კაცია, სამშობლოს მოყვარული და, რაც მთავარია, უშიშარი მებრძოლი“...

„მაინც როგორ უნდა იცხოვრო უსაქართველოდ ქართველმა? ეს კითხვა ამეკვიატა როდესაც სამოგზაუროდ გამზადებულ გემზე შევდგი ფეხი, თავი ლაჩრად ჩავთვალე, გაწამებულ სიცოცხლისკენ რომ მივისწრაფოდი, არ მიყვარს ისეთი სიცოცხლე, როცა სიკვდილს ნატრულობ! ნაბიჯი უკან გადმოვდგი, გემბანი დავტოვე. მადლობელი ვარ უფალო, რომ შემინარჩუნე ღირსების ძალა, სიკვდილს პირისპირ შემყარე და ქედი არ მომახრევინე, შიშის ზღვარს გადმომაბიჯებინე და ისევ ჩემს სამშობლოსკენ გადმომადგევინე ნაბიჯი“

„მეორედ დაიბადა როდესაც ეზოში შესული დაგვინახა მე, ტასო და მარინა. რა დამავიწყებს სახეგაბადრულ ჭაღარა მოხუცს, ასე უცებ რომ დაუბრუნდა ყმაწვილქალობა... ბედნიერებაა დედასთან შეხვედრა ღმერთი შევთხოვ დიდხანს დიდხანს გააგრძელოს ასეთი სიამის მომგვრელი წუთები!“...

„დღეს თბილი დარია, ჩემთვის ვზივარ ეზოში, ჩემს საყვარელ ასწლოვანი მუხების ქვეშ. გაზაფხულის ნაზი სურნელი მოდებია არემარეს. ტყემლებისა და ნუშების სითეთრე ჭაღარასავით გამორევია ჩვენს სათაყვანებელ საქართველოს, ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ მთლად არ ვეთანხმები... არა მგონია, დრომ შეძლოს იმის განკურნება, რაც თებერვალმა მოგვიტანა... სამწუხაროა, თავისუფლება ხელიდან დაგვისხლტა, რომელიც სიცოცხლესავით სჭირდება ცოცხალ ადამიანს! ვერავითარი სხვა სიმდიდრე ვერ შეედრება მას!..“

საქართველოში გრძელდებოდა ბრძოლები, უღრან ტყეებს შეფარებული გულანთებული მამაცი მებრძოლები იარაღის ხელიდან არ უშვებდნენ და არ ემორჩილებოდნენ ახლადფეხადგმულ დიქტატორულ წყობილებას, კრემლიდან სპეციალურად იყო მოვლინებული სერგო ორჯონიკიძე, რომელიც ეწეოდა პროპაგანდას, დროზე დაეყარათ იარაღი, შეეწყვიტათ უაზრო სისხლის ღვრა და ჩაბმულიყვნენ განვითარების ფერხულში, რომ ქვეყანა უმოკლეს დროში ფეხზე დამდგარიყო. ცბიერი პოლიტიკოსი გახლდათ ლენინი, ის ცდილობდა როგორმე დაემხო ევროპული კაპიტალიზმი. მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში, ლენინმა ეკლესიების დანგრევებით დაიწყო, ადამიანთა აზროვნებიდან უნდოდა განედევნა ღვთისადმი ტრადიციული დამოკიდებულება. თითქოს ძალაუფლების მქონე ავტორიტეტები, ზეციდან ღვთის მიერ იყვნენ ხელდასხმულნი. ხალხი დაიბნა, აღარ იცოდნენ ვინ ეღიარებინათ ღმერთად, ქრისტე თუ ლენინი. ჩემი აზრით, თავს არ გახვევთ ჩემს მოსაზრებებს, ჩემო მკითხველო, სწორედ ის იდეა გახლდათ ერთერთი მთავარი ძალა, რამაც შემდეგში იმ საბჭოთა წყობის ნგრევა გამოიწვია. როგორ შეიძლება ხელისუფლებამ ადამიანებს ღვთისადმი მიმართული რწმენა წაართვას, ეკლესიები დაუნგრიოს და გააბოროტოს.

შეურიგებლობის ჟინი ისეთი მაღალი დოზით ჰქონდათ სისხლში გამჯდარი, ამაო იყო ორჯონიკიძის ყოველგვარი მცდელობა, წითელი დროშები ფრიალებდა გვარდიელებითა და საომარი ტექნიკით დატვირთულ ეშელონებზე. ორთქლმავლების გამუდმებული კივილი იკლებდა იქაურობას. შემზარავად ხვდებოდა ყურს ქუჩებში წესრიგის დამცველთა მუქარა, ჩექმების ბრაგაბრუგი, იარაღების ჩახმახების ჩხაკუნი, ფილტვებს ხვრეტდა გახრწნილი ნაგვით სავსე გარემოს მძაფრი სუნი, მაგრამ მაინც ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა უსამართლობას „რაც უნდა გვტანჯონ, გვაწვალონ, მაინც დავრჩები ქართველი!“ — მოისმოდა ველად გაჭრილი მებრძოლ პატრიოტთა გუგუნი. უჭირდათ სიცივესა, წვიმასა თუ სიცხეში ყოფნა, მაგრამ ყოველგვარი წუწუნისა და საყვედურების გარეშე იტანდნენ ყოველგვარ დაბ-

რკოლებებს. მაგალითის მიმცემად სიმონიკაც კმაროდა, გადახუნებული ფარაჯით შემოსილი მეთაური. თავისუფლების მოპოვებისთვის, მათთან ერთად ტყვიას მკერდს უშვერდა. — ჯერ ყველაფერი არ არის ბოლშევიკთა ხელში, საბოლოოდ საქართველოს მაინც გაიმარჯვებს! — ამ სიტყვებს ისეთი დამაჯერებელი ტონით ამბობდა, ჯარისკაცებს სივაჟკაცე და სიმტკიცე ემატებოდათ. იხტიბარ გაუტეხავი ბიჭები. ცხენების ფლოქვების თქარუნსა და ტყვიების ზუზუნშიც პოულობდნენ შვებას, დაბეჩავებულად და ჩაწიხლულად აღარ გრძნობდნენ თავს. — ჩვენ პატარა ერი ვართ, მაგრამ არავის ვაპატიებთ ზემოდან დაგვხედოს, არც ჩვენ თავს მივცემთ უფლებას, ვინმეს ზემოდან ვუცქიროთ!

საზღვარგარეთ გადახვეწილი ვალიკო ჯუღელი დააფინანსეს და მოავლინეს საქართველოში, გენერალს ევალებოდა მიეწოდებინა ცნობები ევროპაში მყოფი თანამემამულეებისთვის რა მდგომარეობა იყო და, საერთოდ, რა ხდებოდა, როგორ ეგუებოდა ხალხი ახალ მოვლენებს, თანაც უნდა შეხვედროდა უშიშარ მებრძოლ რაინდებს და დაერწმუნებინა, რომ დამარცხებას მიჰყავს გამარჯვებამდე ადამიანი, თუ გულს არ გაიტეხს! ჯუღელი პირადად შეხვდა სიმონიკას, საუბრის დასასრულს პოლკოვნიკი ცაგურია გაახსენა და შეეკითხა: ხომ არ აპირებდა პოლკოვნიკთან ერთად ემიგრაციაში გამგზავრებას. კითხვაზე უარი რომ მიიღო, სახტად დარჩა და დაამატა: — გიყურებ და ვგრძნობ თუ რა ცეცხლი გინთიათ შენ და პავლეს გულში. ასე როგორ დაემსგავსეთ ერთმანეთს, ბატონმა პავლემ ხომ სასწაული ჩაიდინა, თავი საფრთხეში ჩაიგდო, არც ცოლ-შვილი დაინდო, აღძრული გემიდან ძლივს მოასწრო ჩამოსვლა. შენა ხარ და ბოლომდე სიტყვის თქმაც არ მაცალე, უარი განაცხადე. გიყურებ და მიხარია, თქვენისთანა კაცები რომ ჰყავს და ღმერთმა უმრავლოს საქართველოს! საოცარი ხალხი ყოფილხართ საყვარელიძეები, თვალისჩინივით გამორჩეულნი!.. — გენერალს წვერი ჰქონდა მოშვებული და ცდილობდა იშვიათად გამოსულყიო ქუჩებში, რომ არავის შეემჩნია. არც ისე თვალში საცემად იმოსებოდა ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ბევრს მოგზაურობდა და ხვდებოდა მეამბოხეებს. ბოლშევიკებმა საეჭვო რაღაც შეამჩნიეს და ჩუმად დაუწყეს თვალთვალი, აგენტი ქალი მიუჩინეს. თავადაც მიხვდა რომ უთვალთვალებდნენ, ბევრჯერ დაუძვრა მათ მიერ ჩატარებულ ხრიკებს, მაგრამ იმ აგენტმა ქალმა ეშმაკობით აჯობა, მოშვებულმა წვერმა ველარ უშველა, სწორედ მაშინ, როცა მტკვარზე ბორნით გადადიოდა, იმ ქალმა ორგანოებს აცნობა, ემიგრაციაში წასვლა ველარ მოასწრო, ბორანზევე შეიპყრეს და ტყვიით შუბლი გაუხვერიტეს...

ელიტარული საზოგადოება უმაყოფილებას გამოთქვამდა მთავრობის მიმართ: — რა შეიცვალა, ვერ გაგვიგია, მეფის იმპერია დაამხ-

ეს. ბოლშევიკები მოვიდნენ ხელისუფლებაში, მეფის მთავრობაზე უარესები გახდნენ. სწორედ მათზეა ნათქვამი: „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“. — სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, იმედგაცრუებული საზოგადოება სამართლიანობას რომ მოელოდა, და როდესაც მიხვდა უსამართლობისკენ მიექანებოდა და ბევრად უარეს დღეში ჩავარდებოდა, იარაღითა და შორეულ აღმოსავლეთში გადასახლებით ისე დააშინეს, შიშით კრინტსაც ვეღარავინ ძრავდა. მწიგნობართგანათლებულ, დაუმორჩილებელ ადამიანებს, ხალხის მტრად აცხადებდნენ.

ყოველი ახალი ეპოქის დასაწყისი ჰქმნის თავის შესაფერის ხელოვნებას, როგორც კაზმულ სიტყვიერებაში, ასევე მუსიკასა და ფერწერაში. ისევე როგორც წელიწადის განკუთვნილი დრო იწვევს ფერის, გემოვნების, სიცხის, სიცივის, დაბადების, სიკვდილის პროცესებს. ეს გარდაუვალია, ბუნებრივი კანონია, ხოლო ადამიანი უძლურია რამე შეცვალოს, ან გაექცეს, ან სადმე დაემალოს, ან ქრთამით, ან რაიმე სხვა ძალის გამოყენებით არ დაემორჩილოს ამ კანონს. ადამიანებს მხოლოდ საკუთარი კანონების შექმნა და გაუქმება შეუძლიათ და ისე გამოყენება, როგორც აწყობთ. ადამის დროიდან დაწყებული და დღემდე მოყოლებული ადამიანი სიმართლის ძიებაშია, ვერ მოუგვარებია ჭეშმარიტი სამართლიანობა, რომელიც ამ ქვეყნად არ არსებულა, არც ახლა არსებობს და არც შეიძლება ოდესმე იარსებოს. ყველას მიაჩნია, რომ ამ ქვეყნად თავისი ქმედება არის მართალი, „რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენი გაგებაო“. — ამბობს მავანთ-მავანი. ალბათ ამიტომ არსებობს სახელმწიფოები აიძულონ ადამიანები დაემორჩილონ და პატივი მიაგონ ხელისუფალთა მოგონილ კანონებს და მათ შორის ისინიც, ვინც ამ კანონებს აკანონებს. მაგრამ როდესაც ხელისუფლება თავისივე დაწერილ კანონებს აღარ იცავს, ეკონომიურად ვეღარ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნებს, ეპოქა და ხელისუფლებაც ორთავე ერთდროულად მთავრდება ხშირ შემთხვევაში რევოლუციებით. ბოლშევიკები ცდილობდნენ ადამიანებისთვის საბჭოთა სივრცეში იხვებივით შეექმნა წყლის ვრცელი გუბეები, რომლის იქითაც სხვა სამყარო აღარ იარსებებდა, მათ ისე უნდა ემოქმედათ, როგორც ზემოდან მიუთითებდნენ. ყიყინის უფლებაც კი კანონის მიხედვით ჰქონდათ მინიჭებული. იხვებივით მორჩილად უნდა ეცხოვრათ, თავის შესაძლებლობებში ეძებნათ ყოველთვის პრობლემები, არწივებივით პრობლემებში არ მოეძიათ შესაძლებლობები. მათ მშვენივრად იცოდნენ პასუხისმგებლობას გაქცეული ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს აღარ ენდობოდნენ, ადვილი სამართავია, მაგრამ ისეთ ადამიანებს, ვინც გამოუსავალში გამოსავალს ეძებს, ხელისუფლება მტრის იარლიყს აკერებდა, აციმბირებდა, ან საერთოდ სპობდა და

ანადგურებდა. მაგრამ, შეუპოვარ მებრძოლებს სწამდათ, რომ შეუპოვარი ადამიანი თუ სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს მაინც მიაღწევს გამარჯვებას, გადალახავს ყოველგვარ სიძნელეებს და დასახულ მიზნამდე მივა. ქართველებისთვის უცხო ხილი არ ყოფილა დამარცხება, მაგრამ იარაღი არასოდეს დაუყრიათ, გული არ გაუტეხიათ. სწორედ ასეთ დროს დიდ როლს თამაშობდა ეკლესია, რომელიც რწმენას უნერგავდა, მთავარ მამოძრავებელ ძალას მატებდა, ეკლესიაში ლოცვებსა და ღმერთზე იყო დაყრდნობილი. სწორედ ამიტომ დაიწყო ლენინმა ახალი ეპოქა ეკლესიების დარღვევა-დანგრევით. იმდენი ვერ განსაზღვრა, ყველა ის სიბოროტე, რომელიც ადამიანთა გულებში ჩაილექა, ერთ მშვენიერ დღეს გადმოსკდებოდა და ქვეყნიერებას წალეკავდა...

— ჩვენ ახლა ახალ ცხოვრებას ვიწყებთ, — ხალხში აგიტაციას ეწეოდნენ მთავრობის აგიტატორები, ჩვენ ახლა იმ მანქანას ვგავართ, რომელსაც პატარა ბიძგი სჭირდება ადგილიდან დასაძვრელად, მართალია ცოტა გაგვიჭირდება, ბიძგის მიცემა ძალას საჭიროებს, ძალა კიდევ ერთობაშია, ცოტა ძალისხმევა და საქმეც დაიძვრება, მერე კი ადვილია ყველაფერი, უხვად მოვიმკით პურს, სიმინდს, მოვიყვანთ მეტ ყურძენსა და ყველა საარსებო საშუალებას, რაც აუცილებელია სიცოცხლისათვის. ანარქისტები ვეღარაფერს დაგვაკლებენ, სულ მალე დედაბუდიანად მიწასთან გავასწორებთ მათ ადგილ-სამყოფელს. — იჭაჭებოდა დანაოჭებული კისრიანი კაცი, რომელსაც ტანთ გადახუნებული გალიფე, კიტელი და ქუსლებდაბრეცილი შავი ჩექმები ეცვა, თავზე კარკარდიანი ქუდი ეხურა. ყოველი სიტყვის წარმოთქმისას თავს აქეთ-იქით აკანტურებდა. ბეცი თვალებით დაკვირვებულად ათვალიერებდა გამგეობის ეზოში შეკრებილ ბრბოს, თან ახლდა ოცდაათ წელს მიტანებული გასათხოვარი, ადრე, აბაშიძეების ნამოჯამაგირელი ქალი, ეტყობოდა პირველად ესწრებოდა სოფლის თავყრილობას, თავი მშვიდად და ამაყად ეჭირა.

— შეხე, შეხე, ის ჩვენი ციცოია არაა? ოო, როგორ გაჭიმულა! რას არ მოესწრები, ბეჩა? გუშინ ნაკელის სუნად ყარდა, დღეს სად წამოსკუპებულა, გამარჯობის თქმასაც აღარ კადრულობს!.. აწი ნახე კიდევ მაგის გაბღინძვა! — ჩურჩულობდნენ თვალწაჭუტული აბაშიძის ქალები, ეზოში მოღიავებულ საყელოიანი აგიტატორები დაიჯგიმებოდნენ, გაზეთის ნახევში გახვეულ თუთუნს აბოლებდნენ და მწკლარტედ იპურჭყებოდნენ.

— ამ კაცებმა ხომ მთლად გააწყალეს გული, გაწყდა მაგათი სინსილა! ყოველ ნაბიჯზე აქლემებივით იფურთხებიან! — წაიჩიფჩიფა უკბილო დედაკაცმა.

— რავა ერთბაშად წაიშალა და გაქრა ყოლიფერი, აღარც უფროსი,

აღარც ქალი იციან, ასე უცბად ხალხი და ქვეყანა თუ შეიცვლებოდა, რავა ვიფიქრებდი. ვერც იმას წარმოვიდგენდი, თავად-აზნაურობას, თავისივე ნამოჯამაგირალი ხალხი გაუხდებოდა უფროსად.

— ეჰე, ჩემო ანეტა! დღეს შებრუნებულადაა ყოლიფერი, ჩვენი დრო წავიდა! ჩვენ გავღარიბდით, ახლა მაგენი უნდა გამდიდრდნენ და ასე, ხან წაღმა და ხან უკუღმა, უნდა იტრიალოს ამ წუთისოფლის ეშმაკის ბორბალმა!..

თიხნარ გზაზე ახალგაზრდა მოაბიჯებდა, თავზე წიკარტინი ქუდი ეხურა, გამხდარ-გაჩხიკული უფრო ეთქმოდა, ვიდრე ძვალმსხვილი ან ჩასუქებული. ქუდი შუბლქვემოთ ჰქონდა ჩამოწეული, შუბლსა და თვალებს უმალავდა, ვერავინ შეძლო შორიდან მისი სახის გარჩევა. ცნობისმოყვარე ქალები თვალმოუცილებლად ათვალიერებდნენ, ვიდრე ახალგაზრდა თვალმისაწვდომ ადგილს არ მოუახლოვდა. ის ახალგაზრდა, იმ დროს უკვე ცნობილი პოეტი, ვანიკო ბაბუაძე რომ აღმოჩნდა, დედაშვილურად მოიკითხეს, ვანიკომ ქუდი მოიხადა, თვალები აახამხამა, ხელები მაღლა ასწია და თანასოფლელებს მიესალმა. ქუთაისში რეალური სასწავლებელი დაემთავრებინა და ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა, სოფელს რა დაემალებოდა, ახლო მეზობლებმა იცოდნენ და წაკითხულიც ჰქონდათ ჟურნალში გამოქვეყნებული მისი პირველი ლექსი „პოეტები და ქუთაისი“. ჩინებულ ახალგაზრდად მიიჩნევდნენ. წითლების გამარჯვების შემდეგ, როგორც კი ყური მოკრეს, ვანიკოს ბრძოლაში მიუღიაო მონაწილეობაო, მთავრობის აგიტატორები და ნამოჯამაგირალი ციცია ირიბი თვალით უყურებდნენ. ზურგსუკან დამცინავად ქირქილებდნენ „თეთრგვარდიელ პოეტ-ავაზაკს“ ეძახდნენ. ეზოში ოცამდე გლეხები, ხუთამდე თავად-აზნაურთა და ამდენივე ხანდაზმული დედაკაცები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. ცუღლუტთვალება, წვერგაუპარსავი, ორმოცს მიტანებული ორატორი, ქვებისგან ამაღლებულ ადგილიდან აცნობდა სოფელს მთავრობის დადგენილებებს. მიწები ჩამოერთმევა მსხვილ მემამულეებს და გადავა კოლმეურნეობების ხელში, ვისაც ზედმეტი ძროხა, ცხვარი, თხა, ცხენი ჰყავს ყველამ უნდა ჩააბაროს სახელმწიფოს, ყოველგვარი ლანძღვა-გინების გარეშე. გლეხები ვერ ერკვეოდნენ და ვერ აშინაარსებდნენ ორატორის ნაამბობს და თხოვდნენ უფრო დაწვრილებით აეხსნა, რატომ უნდა ჩაებარებინა სახელმწიფოსთვის ზედმეტი პირუტყვი, ან საერთოდ რა ითვლებოდა ზედმეტ ქონებად. ზოგს სისულელედ მიაჩნდა ასეთი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ყბედობა, სახეალეწილები მღელვარებას ვეღარ მალავდნენ.

— შენ ბიძიკო, ვიღაც ეშმაკი ხარ, საიდანაც მობრძანებულხარ, იქეთ წაბრძანდი, თორემ... თო... — ენა დაება მღელვარებისგან ბესა-

რიონ საყვარელიძეს, მხრიდან ხირიმი ჩამოიხსნა, ღრმად ამოიხვნეშა და აპილპილებულმა ჩამომარცვლა: — სანამ მაგ ქოთანივით თავი მთელი გაქვს დროზე გაეცალე აქაურობას, სისხლი არ დამაღვრევინო, იცოდე! ვანიკო და ახლო მეზობლები მივარდნენ და ძლივს აკავებდნენ გაწიწმატებულს. კიდევ კარგი, დათამ სულზე მოუსწრო, თორემ ის მოკანტურე თავი და ბეცი თვალები სამუდამოდ ამოუღამდებოდა და შეწყვეტდა კანტურს. დათას კეთილგანწყობით ექცეოდა ხალხი, მიუხედავად იმ თავზარდაცემისა, რაც სამღვდელოებას დამართეს წითლებმა. ყოფილ მღვდლს მორიდებით ხვდებოდნენ, მოწიწებით ესალმებოდნენ, უმეტესი ნაწილი მამაოდ მოიხსენიებდა.

— ბედი ჰქონია მაგ მათხოვარს! თქვენისთანა ღვთისნიერ კაცს როგორ გადავახტე წინ, თქვენ უნდა გიმადლოდეთ! — ხირიმი დაუშვა და კვლავ მხარზე გადაიკიდა ბესარიონმა. — წარმოგიდგენია ასეთი რამ, დათა ბატონო, მიწები უნდა ჩამოგართვა, შენ უნდა გაგხადო იმ უნიფხვოს ჩავაცვაო, მე თქვენ გიჩვენებთ როგორ უნდა წართმევა, მე თქვენი... — ამჯერად თოფი აღარ ჩამოუხსნია ისე გაიქაჩა, მუშტი მოიღერა, დათა წინ აღუდგა და შეაჩერა. — ამ ოქრო ადამიანს უთხარი მადლობა, მამაჩემს მიეცეს ცხონება, თორემ... — ქოთქოთობდა ნახევრად შეშლილი. დათამ უხეში მოწინააღმდეგის დაწყნარებაც შეძლო, წინდახედულმა მოძღვარმა წინასწარ იცოდა, ისეთი თავკანტურა კაცი, საჩივარს შეიტანდა სასამართლოში, იმდენი ჰქნა რაღაც სასწაულად, ხელი ააღებინა ბოროტ განზრახვაზე. — დაიმახსოვრე, შვილო ჩემო! სიბოროტე სიბოროტით არ აღმოიფხვრება, პირიქით, ფესვს უფრო მძლავრად გაიდგამს, მომრავლდება, — წუთით შეყოვნდა, უზარმაზარი სხეული მოხარა, აგიტატორს ყურში მამაშვილურად უჩურჩულა, — ხალხთან არ გეკადრება მასეთი უკმეხად საუბარი, მეტი ლმობიერება გამოიჩინე. მეტად მოიგებ მათ გულებს. ენაზე ბევრი რამ არის დამოკიდებულიო. — დათამ შეკრებილებს გადახედა, საშინლად გულმოკლული დარჩა როცა შეიგრძნო, მოშურნეობას, სიძულვილსა და ურთიერთ აბუჩად აგდებას როგორ დაუმონებია ხალხი.

ზესტაფონიდან ორთქლმავლების გამუდმებული ქიშინი და მეისრეების სასტვენის ხმა მოისმოდა, ხმაურიანი ცხოვრების დასაწყისი. ცხოვრება აღსავსე სიძულვილითა და სიყვარულით, სიკეთითა და ბოროტებით, მტერითა და მოყვასით, ადამიანებს მაინც უსასრულობაზე ფიქრი ეუფლებოდათ...

25

საქართველოში საბჭოთა დიქტატურა დამყარდა.

ველად გაჭრილი ურჩ მეამბოხე პატრიოტების ცეცხლიც თანდათან ნელდებოდა და ცხრებოდა. ვინაც მოასწრო გაქცევა, ევროპაში გადაიხვეწა, ბევრი ამოხოცეს, ბევრი შეიპყრეს და რუსეთის სხვადასხვა ადგილებში გადაასახლეს. ახლადფეხადგმული ცხოვრება კოჭლი კაცივით მიკვანჭალებდა, ხან ბავშვივით წონასწორობას ჰკარგავდა. მაგრამ მაინც ახერხებდა ფეხზე დადგომას. რაც უფრო მყარდებოდა, უფრო მეტად ცდილობდა თავის გავლენის ქვეშ მოექცია ყველაფერი. ყველაფერი გაეწითლებინა და სიტყვა „საბჭოთა“ დაერქმია. ყველას ერთ ტაფაში შეეწვა და ეაზროვნებინა. საბჭოთა სივრცეში მოქცეულ რესპუბლიკებს მოძმეს ეძახდა. საბჭოთა მოქალაქეებს არწმუნებდა, სოციალისტური ქვეყნის აშენების შემდეგ, აღმშენებლობა კომუნიზმით დაგვირგვინდებოდა. ვერც ქართული მწერლობა აცდა ამ ეშმაკისეულ გზას და სიტყვა „საბჭოთა მწერლი“-ს იარლიყი მასაც მიაკერეს. მთავრობამ მწერლებს საჩუქრად გადასცა სარაჯიშვილის ყოფილი სახლი, სადაც გაერთიანდნენ ეროვნული და პროლეტარული მწერლები. მე აღარ დავაკონკრეტებ ვის ქვეყნის, ვის საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ, უჩემოდაც კარგად იცით, ჩემო პატივცემულო მკითხველო, მე მხოლოდ ერთს დავამატებდი, ღმერთმა ყველას შეუნდოს თავისი ცოდვა-დანაშაული. ხელოვან ადამიანს, მითუმეტეს მწერალს, არ ეპატიება სარგებელის გულისთვის სული ეშმაკს მიყიდოს. **„ნუ გაოცდები რომ ასეთ დროში, მცირე ბედითაც ვარ კმყოფილი“**- მიანიშნებდა მეფე პოეტი. ასე შეიქმნა მწერალთა კავშირი ყველა მოძმე რესპუბლიკებში, რომლებიც ექვემდებარებოდნენ საბჭოთა მწერლების კავშირს. მაქსიმ გორკი ედგა სათავეში ამ გიგანტურ კალმოსანთა ორგანიზაციას. — „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, ჩვენ არ ვანიჭებთ მნიშვნელობას ეროვნულობას, ჩვენ მხოლოდ ნიჭს ვაფასებთ ადამიანში!-ო“ საქართველო პუშკინის დროიდან მოყოლებული რუსი პოეტების სავანედ ითვლებოდა. თავად პუშკინი და ყველა გამოჩენილი რუსი, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნების პოეტები და მწერლები მოხიბლულან ჩვენი ულამაზესი ბუნებით და არა ერთ უკვდავი სტრიქონი დაუწერიათ, რუს პოეტთაგან სერგეი ესენინი იმყოფებოდა სტუმრად იმ დროს საქართველოში. ის ახლოს იყო „ცისფერყანწელებთან“ მათთან ერთად კითხულობდა ლექსებს და მცხეთაში მტკვრის პირას სვამდა უკვდავების შარბათს, ზოგჯერ ტერენტი გრანელთან ერთად სასაფლაოზე ათენებდა. უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს, პოეტური სიგიჟით შეპყრობილები შუაღამემდე დაეხეტებოდნენ, ხულიგნობდნენ კიდეც. ერთ ზაფხულის საღამოს, დუქანში იქეიფეს და გვარიანად დათვრნენ, როდესაც სმას მორჩნენ და გარეთ გამოდიოდ-

ნენ კარებთან მთვრალ სამეულს გადაეყარნენ და შემთხვევით მხრები წაარტყეს ერთმანეთს, რის საფუძველზე წალაპარაკდნენ. დაუთმობლობით მოხდა შეტაკება, რაც საზარელი ჩხუბითა და დატუსაღებით დასრულდა. მეორე დღეს შალვა დადიანმა მწერალთა კავშირიდან პირდაპირ პოლიციის უფროსის კაბინეტისკენ გასწია და გაანთავისუფლებინა „... და ცხოვრებაში კი გზა აბნეულის“ გულისამაჩუყებელი ლექსის, სტრიქონის ავტორი. ჩვენი თანასოფლელი ვანიკო ბაბუაძე იმ დროს უნივერსიტეტში სწავლობდა. დიდ ნეტარებას ანიჭებდა პოეზია, ის ყოველთვის მხატვრული შემოქმედების სურვილს უღვიძებდა. გულანთებული მიისწრაფვოდა კოლეგა პოეტებისკენ. მწერალთა სხდომათა დარბაზში, ისეთ ბუმბერაზებს შორის როგორებიც გალაკტიონი, გოგლა, იოსებ გრიშაშვილი იყვნენ, ახალგაზრდა პოეტისთვის ძნელი იყო ემოციის გარეშე ლექსის წაკითხვა, ახალი, ნოყიერი სიტყვების შერჩევა. მაგრამ ცდუნებას ვეღარ გაუძლო და მორიდებით გაამჟღავნა გულში ნადები: **„მაკრთობს შველივით წყაროს შხუილი, / დნება მკერდიდან მწიფე ყურძენი, / ლექსი სუფთაა აბრეშუმივით/მე ხალხს დავუგე, მე ხალხს ვუძღვენი“. /**

ვანლერ დაისელის ფსევდონიმით იყო ცნობილი ქართულ მწერლობაში. ბევრმა არც მაშინ იცოდა და არც დღეს იციან, თუ ვინ იყო ივანე ბაბუაძე. მიუხედავად იმისა, რომ სამი ლექსების, და ერთი პროზაული წიგნების ავტორია. რას იზამ? არ გაუმართლა, იმ უკუღმართ დროებას შეეწირა მისი სიცოცხლე. ვერ მოასწრო გაფურჩქვნა, რომ მკითხველი დამტკბარიყო. ბოლომდე შეეგრძნოთ ლექსის დაისელისეული სურნელი: **„მინდა დაგათრო პოეზიის ტკბილი შარბათით, / ზღვა ფერადდება, / მზე დაიღვარა ჩამომსხვრეულ ცის შარბათებში, / სხვა ერა დგება, / ეს საუკუნე ჩამოთავდა სხვაფერ ლანდებად, / ჩემი ლექსები სიყვარულით იარაღდება“/.** — ჩვენ პოეტები ხომ ყოფის ბარომეტრები ვართო — ეუბნებოდა ხოლმე კოლაუ ნადირაძეს შეხვედრისას, კოლაუ ნიჭიერ პოეტად თვლიდა, რჩევა-დარიგებას უწევდა უმცროს კოლეგას. აკვირდებოდა მის ქცევებს, აფასებდა ახალგზრდა პოეტის შეუპოვარ ხასიათს. თბილისში, სადაც კოლაუ, თამარი და ორი პატარა ქალიშვილი ცხოვრობდნენ, ვანლერი ხშირი სტუმარი იყო. იქ მშვიდი გარემო იყო შექმნილი, როგორიც ხელოვნების მუშაკებს შეეფერებოდა. წიგნებით სავსე კარადები, საწერი მაგიდა, კედლებზე ჩამოკიდებული ქართველ მსახიობთა ფოტოსურათები. ეამაყებოდა ვალნერს თამარის პოპულარობა, რომელიც წარმატებით დააგვირგვინა ფილმში „სურამის ციხე“-ში ვარდუას როლი რომ განასახიერა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ფილმმა ქართველ მაყურებელზე და, რაც მთავარია, პირმშვენიერი თამარის გამაცვიფრებელი სილამაზე მომავალ თაობებს რელიქვიასავით შემოუნახა. კმაყოფილი

შეცქეროდა თანასოფლელ ლამაზმანს, საქარის მიწაზე აღზრდილს, ღმერთს მადლობას სწირავდა, ისეთ ადამიანების სიახლოვეს რომ აღირსა პოეტად დაბადება, როგორიც დათა და კონსტანტინე საყვარელიძეების ოჯახი იყო. მათი დახმარებით შეისწავლა წერა-კითხვა, შემდეგ ეზიარა ხელოვნების იდუმალ სამყაროს, იმ მომხიბვლელობამ და სილამაზემ ააღებინა ხელში კალამი და მოლექსედ აქცია: **„მთიდან დემონივით ვდგავარ ალიონზე, / სადაც ამურივით გულში ჩაგიკალი, / ლანდებ გულჩაკრული ვმღერი არიოზოს, / მე და პოეზია, ღამე შავი ქალი.../.** აღტაცებული კითხულობდნენ სიმონიკა და კატიუშა კოლაუსა და დაისელის ლექსებს, ორთავე ცოლ-ქმარი სერიოზულად იყვნენ ჩართულნი, ყოველდღიურ მოვლენებში და კულტურული ცხოვრებით, სულიერად მაღლდებოდნენ. კი მართალია, სიმონიკა სამხედრო პიროვნება გახლდათ და იშვიათად უწევდა ფარაჯის გახდა, მაგრამ სულიერად დასვენების, თეატრში დადგმულ წარმოდგენების და საყვარელი მუსიკის მოსმენას, წიგნების კითხვას მაინც ახერხებდა. ბოლო დროს ქალიშვილი, პატარა ლილი შეეძინათ. უმანკო ანგელოზმა დიდად შეცვალა დამოკიდებულება სიმონიკასა და კატიუშას შორის, ჩვილზე მზრუნველობა დედას უფრო დააწვა მხრებზე, ადრინდელივით თეატრში ვეღარ დადიოდა, არც იმდენი შემოსავალი ჰქონდათ ძიძა აეყვანათ. მაგრამ ხელოვნების სამყაროში ჩინებულად გაწაფულსა და აღზრდილს, ღმერთი აძლევდა მოთმინების ძალას, სულიერ მოთხოვნილებას წიგნებით იკლავდა. ყურადღებას არც თამარი აკლებდა, აკითხავდა ხოლმე წამოჩიტებულ ქალიშვილებთან ერთად, ერთმანეთს ეცილებოდნენ ნელი და მართო საყვარლად ეტიტინებოდნენ ბიცოლას. ჩვილს ეალერსებოდნენ, თამარი კოლაუს ახლად დაწერილ ლექსს უკითხავდა, ისეთი შთაბეჭდილებით გამოთქვამდა თითოეულ ფრაზას, კატიუშას გული აუჩუყდა და დაამწუხრა:

სამშობლოსადმი

გაკვირვებული ვაკვირდები შენს ჯვარცმულ ხსეულს...
შენ შეგეწირნენ, დაიღუპნენ დიდი გმირები.
რად ვიტანჯები, როცა გიცქერ ედემად რჩეულს,
გმირულად სიკვდილს შენთვის ვნატრობ და ვეპირები!

ეს აღთქმა ძველი, უმტკიცესი, მხარევ მზიანო,
მე განვუტოლე ჩემს სიცოცხლეს და სიკვდილს მწარეს...
გავჩნდი და ვიშვი შენთან ერთად, ათასწლიანი,
და შევუხორცდი შენს დიდებას, შენს მზეს და მთვარეს,

ბედი, შავბედი, მატრიალებს ულმობელ ხელით,
რადგან ღამე გავათენე, ცრემლიც მიღვრია!
ისევ ბობოქრობს, ისევ ბრდღვინავს შამქორის ველი,
სისხლის ტბორები მარაბდისა ჩემს გულს მიჰკვრია!..

და შენსკენ მოჰქრის ჩემი ფიქრი, როგორც შურდული;
ო, თუ დავმარცხდი, ოდნავ შევკრთი, ვაი თუ დამცეს!
მაგრამ სიკვდილი დაედება შენს მტრებს ურდულად,
შენს მოღალატეს, შენს მოძულეს და ყველა გამცემს!

თამარი სიკვდილის დღემდე ელოლიავებოდა ამ ლექსის სტრიქონებს, საიმედოდ ჰქონდა გულის კუნჭულში გადანახული და მეხსიერებაში ყველაზე ძვირფასს განძივით ჩაფლული. ყოველ ცისმარზე ხსნიდა საგანძურს, ლოცვასავით კითხულობდა, შეღონებულ გულს იოხებდა. მსმენელს კი შურისძიებისა და ბრძოლისკენ მიუხმობდა. სიცოცხლესავით უყვარდა თეატრი და ლიტერატურა. ოცნებად ჰქონდა გადაქცეული თეატრის მსახიობი გამხდარიყო. ყველას ყურადღებას იქცევდა ნიჭიერებით, მიმზიდველი ღიმილით. გრძელი, წაბლისფერი თმითა და ნარნარი ხმის ტემბრით. კოლაუ თავს ბედნიერად თვლიდა, მუზასავით ცოლი ჰყავდა, მისი შემხედვარეს ლექსის წერის წყურვილი უძლიერდებოდა. როგორც შემოქმედს ენერგია ყოველთვის მოჭარბებულად ჰქონდა და კარგ მოსავალსაც იმკიდა, ტოლს არ უდებდა კოლეგებს. წერაში საკუთარი სტილი გააჩნდა და „ცისფერყანწელთა“ შორის საპატიო ადგილი ეჭირა. მკლავიც უჭრიდა, ხარს მოატეხდა კისერს რკინისებური მუშტით. მაგრამ, მიუხედავად ასეთი სიძლიერისა, ბავშვივით გულუბრყვილო გული ჰქონდა და ერთი უცნაური სისუსტეც სჭირდა — უქუთაისოდ არ შეეძლო, მოენატრებოდა თუ არა მშობლიური ქალაქი, ყველაფერს გადადებდა და იმერეთისკენ გამოსწევდა. ამ მხრივ, არც მეუღლე ჩამორჩებოდა, თამარს საქარა, დედა და დის საფლავი რომ არ მოენახულებინა, ალბათ გული გაუსკდებოდა. კოლაუსაც კარგად ჰქონდა დაცდილი, საქარაში, ზაფხულობით, გრილი მუხების ჩრდილში ნახევრად წამოწოლილი, მადიან ლექსებს წერდა. პატარა გოგონებს ნელისა და მარგოსაც უყვარდათ ცუცუნა ბებიასთან ყოფნა. მწვანე მინდორში სირბილი, ლოყებწითელა ატმის, ვაშლის, მსხლისა და გემრიელი ლეღვის ჭამა და დაკრეფვა. ბებიის კალთაში ჯდომა. ბებიას გამხდარი, თეთრი და ლურჯძარღვებიანი ხელები ჰქონდა, სევდიანი, თაფლისფერი თვალებით შეჰყურებდა და ორთავეს ეხვეოდა. ხალათის ჯიბეში გადამალულ კამფეტებით უმასპინძლდებოდა. არც სიმონიკა და კატუშა ყოფილან მწყრალად სოფელთან, როგორც კი სათანადო დროს გამონახავდნენ, ჩადიოდნენ

და ტკბებოდნენ მუხების ძირში გაწყობილი სუფრით, ხალასი, წრფელი ვანოსთან საუბრებით. საინტერესო გასართობი და სანახავი გახლდათ პატარა ლილი, დიდთვალება, თოვლივით თეთრი და ჩაკურატებული ჭრელი, უმკლავებო კაბით რომ დაბაჯბაჯებდა, ცალი ხელით ბებიის ხელს ჩაჭიდებული. ეს დრო იყო ცუცუნასთვის ყველაზე უფრო სასურველი, შვილებთან, რძალთან, სიძესთან და შვილიშვილებთან ერთად თავს ყოველთვის მხნედ გრძნობდა, მაგრამ, როგორც კი თბილისს მიაშურებდნენ, სიმარტოვის გრძნობა იპყრობდა და ზეზეულად, უწყლო ხესავით ახმობდა. კიდევ კარგი ვანო და ცაბუა უყურადღებოდ არ ტოვებდნენ.

გასაბჭოების შემდეგ ადგილობრივმა ახლად არჩეულმა მთავრობამ დათა და ვანო შეიპყრეს და ზესტაფონის სატუსაღოში ჩასვეს. ცოფიანივით უელავდა თვალები ზონზროხა ბადრაგს, ჩაჟანგებულ ბოქლომზე გასაღებს არგებდა და ხრინწიანი ხმით ნკავწკავებდა — გაინძერით, დროზე, ნუ ზოზნიქობთ, გეყოთ რაც რბილ საწოლებზე იკოტრიალეთ. ახლა, აქ ნარებზე გულაღმა გაიშოტეთ, ჭერს მიაპყრეთ თვალები და იფიქრეთ, თუ რატომ უშლით ხელს ამხანაგებს ქვეყნის მშენებლობაში! მამა-შვილი დუმდნენ, ხმა რომ ამოეღოთ, მაინც ვერაფერს გააწყობდნენ ჩეკისტების წინაშე, ვინ იყო მართალი და ვინ — მტყუანი, ბედს დამორჩილდნენ და შეაბიჯეს აქოთებულ საკანში. მიუხედავად სულელური ბრალდებებისა დათასა და ვანოს ღირსეულად ეჭირათ თავი. დაკითხვებზე მღვდელი გამოთქვამდა ხოლმე უკმაყოფილებას ეკლესიების მიმართ, ხატებისა და კულტურული ძეგლების განადგურებაზე. — განა საწყენი არ არის ეს? განა უსამართლობა არ ჰქვია ყოველივე ამას?

დათა მიხვდა ცოტა რომ ზღვარს გადასცდა, ცოტა რომ გადააჭარბა, უდავოა ყველაფერ სიმართლეს ამბობდა, მაგრამ სიმართლის ასეთი პირდაპირი თქმა და თანაც ასეთი ხმამაღალი ტონით, იმ დროსა და იმჟამინდელ ვითარებაში, სიკეთის კი არა, ზიანის მომტანი იყო. როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე ქვეყნისთვისაც. დროზე დააჭირა ენას კბილი. ვანო მოძრავი კაცი იყო. — უმოძრაობა სიკვდილის ტოლფასიაო! — იცოდა ხოლმე თქმა, წელზე ხელებშემოწყობილი, წინ და უკან დააბოტებდა. ზოგჯერ მკლავებგადაჯვარედინებული ნარზე წამოწვებოდა და წარსულზე ფიქრით იყოლიებდა თავს. ციხეში გამომწყვდეულს, წარსულზე ფიქრებსაც ბაილამოვის საკანში მიჰყავდა, ბაქოში როდესაც ჩავიდა, პავლეს გამოსახსნელად. კი მართალია, ბევრმა სირბილმა მოუწია პოლიცმაისტერ ჩიქოვანთან ერთად, მაგრამ იმწუთშივე გადაავიწყდა, როცა ძმა, გაუსაძლის ჯოჯოხეთიდან დაიხსნა. მაშინ იგრძნო მადლიერების დიდი ძალა და ძმის თვალებიდან გამ-

ონაშუქი სახე გაებადრა, შვებისა და სიამოვნების მომგვრელია, როცა გაჭირვებაში მყოფს დასახმარებლად ხელს გაუწვდი კაცი!..

ავიშვიშებულმა მარიამმა და გაცეცხლებულმა ცაბუამ თბილისში შვილებსა და მაზლებს შეატყობინეს დათასა და ვანოს დაპატიმრება. დატრიალდნენ ფეფიკო და თინიკა, დებს დათიკომაც აუბა მხარი. სერგო ორჯონიკიძე იმყოფებოდა იმხანად თბილისში. დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა დაადგათ საშველი, პირადად შეხვდნენ სერგოს. გაეცნენ და მოაგონეს ჩვენ კიკვილი ორჯონიკიძის შთამომავლები ვართო. სერგო ერთი წუთით არ დაფიქრებულა, თხოვნით მიმართა სათანადო ორგანოებს და ორთავე გაანთავისუფლებინა.

სერგოს მამა კონსტანტინე ორჯონიკიძე სისხლით ნათესავი იყო კიკვილის, სანამ ცოცხლები იყვნენ მიმოსვლა ჰქონდათ ერთმანეთთან. სერგოც სტუმრობდა ხოლმე საქარას, ახლოს იცნობდა ყველას, გარდა ვანოს შვილებისა, მათი დაბადების შემდეგ, მას საქართველოში აღარ უცხოვრია. დათას, არც თუ ისე, ეხატებოდა გულზე გარუსებული პოლიტიკოსი. არც შვილებს გაჩენიათ დიდი სურვილი მასთან დაახლოების, უბრალოდ იცოდნენ რომ ნათესავები იყვნენ და მეტი არაფერი.

საქარიდან ქუთაისში გადაინაცვლეს კოლაუმ და თამარმა, სადაც დედამთილ-მამამთილი აგნესია და გალაქტიონი სულმოუთქმელად ელოდებოდნენ შვილიშვილებს, ყვავილებივით სუსტ ფერიებს — ნელისა და მარგოს. აგნესიას თვალისჩინი ვარსკვლავივით უბრწყინდებოდა, როცა მშვენიერ რძალსა და შვილს ეგებებოდა. გალაქტიონიც ყოველთვის მხიარული გახლდათ, ენატკბილმოუბარი. რიგრიგობით კისერზე დაისვამდა ხოლმე პატარებს და „აჩუ-აჩუს“ ძახილით ეზოში დაარბენინებდა. ასეთ მყუდრო და თბილ გარემოში ყოფნა თამარს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა, ნატიფი სახის ნაკვთები და თხელი, მაღალი ტანი თვალისმომჭრელი შუქით ევსებოდა. ტყუილად როდი უყვარდა ქუთაისი, ბავშვობის წლები ხომ სწორედ იქ ჰქონდა გატარებული. სევდიანად შეჰყურებდა აბობოქრებულ რიონს — მდინარეს, რომელმაც ატმის ხეზე ამწყდარი კვირტებივით, მოტაცა ყმაწვილქალობის წლები და შორს, სადღაც შორს თან წაიტანა, ხელკავგამოდებული დაყვებოდა კოლაუს ნაცნობ ქუჩებში. კოლაუ გიმნაზიის შენობას აკვირდებოდა, სადაც ყველაზე ტკბილად მოსაგონარი დრო შეუცნობელი და ახალგაზრდული რჩებოდა... რა შეედრებოდა პაოლო იაშვილთან და ვლადიმერ მაიაკოვსკისთან ერთად გადაღებულ ძველ სურათებს როცა ჩაკირკიტებდა და კალამომარჯვებულს, ფურცელზე გადაჰქონდა ნოსტალგიამორეული გრძნობა.

აგვისტოს მიწურულს თბილისში დაბრუნდნენ, უჭირდა კოლაუს მშობლიურ ქალაქთან დაშორება, როდის ყოფილა ცხოვრება ადამიანის ნება-სურვილზე დამოკიდებული? უფროსი ქალიშვილი სკოლაში უნდა შეეყვანა, თორემ შეიძლებოდა კიდევ გაეგრძელებინა დასვენება. ბავშვებს კი ქუთაისში აღარ ედგომებოდათ, თბილისისკენ მიიჩქაროდნენ, განსაკუთრებით ნელი, სიხარულით ელოდებოდა, სკოლის კარს როდის შეაღებდა. ნაღვლიანი თვალებით აცილებდათ ბებია და ბაბუა, მერე დიდხანს იტანჯებოდნენ, სანამ კვლავ მარტოობას შეურიგდებოდნენ. გალაქტიონი გულჩათხრობილი კაცი იყო და გულშივე ჩუმად იკლავდა სიხარულსა თუ ვარამს, მეტიჩრობად მიაჩნდა ზედმეტად კრუსუნ-წუწუნი, ყველაფერ გადაჭარბებულს წონასწორობიდან გამოჰყავდა. კარგად ესმოდა ადამიანების, სპეციალობიდან გამომდინარე. წარმოსადეგი, ინტელიგენტური შეხედულების, მსხვილი, წაწვეტებულულვაშებიანი, თეთრი ბლანჟეთი. საზოგადოება პატივს მიაგებდა. როგორც ექიმს ეკლესიურად უყვარდა ცხოვრება. დიდ ყურადღებას უთმობდა ბიბლიას, დადიოდა წირვებზე, თავად მღვდლის ოჯახში იყო აღზრდილი. მამამისმა მთელი თავისი ცხოვრება ღმერთის მსახურებას მიუძღვნა. დიდ სისულელედ მიაჩნდა სახელმწიფო მოღვაწის, ან ნებისმიერი სხვა დარგის წარმომადგენლების ღმერთთან გაიგივება, საოცრად არ უყვარდა და ვერ იტანდა ისეთ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ნიჭით რაიმეს მიაღწევდნენ, პოპულარულები გახდებოდნენ, ცხვირებს ზემოთ აიწევდენ და თავს სხვებზე უკეთესებად თვლიდნენ... ღმერთის მადლიერი იყო ასეთი რძალი რომ შეახვედრა, ლამაზიც, ცნობილიცა და თავმდაბალიც. სწორედ ამიტომ უყვარდა საყვარელიძეების ოჯახი, საუკეთესო თვისებებით — სიმართლითა და პატიოსნებით სავსე...

იწურებოდა 1923 წელი. კედელზსე ჩამოკიდებულ კალენდარზე სულ რამოდენიმე ფუცელიღა შემორჩა ჩამოსახევი. კიდევ ცოტაც და წარსულს ჩაბარდებოდა დღევანდელობა... ტრადიციულად ასე მოგვდევს ადამთა მოდგმას, ახალი სურვილებით, განწყობით ვეგებებით მომავალს. ყველაფერ ცუდს კი ძველს ვუტოვებთ. ჩვენ გვინდა გვჯეროდეს, მომავალი ბევრ რამეს შეცვლის და უფრო საინტერესო გახდება ყოფა-ცხოვრება. მაგრამ, სამწუხაროდ ეს ყოველთვის ასე როდი ხდება.

დაიწყო 1924 საბედისწერო და დაწყევლილი წელი თამარისთვის. დასანანია, რომ ახალმა წელმა ვერ განუხორციელა მიზანდასახულობა და ჩანაფიქრი. სურვილები სიკეთისკენ არ წარმართა. მისი ცოვრება კედლის კალენდარის ფურცელივით ჩამოიხა. არ დააცალა ბედისწერამ ნაბიჯი გადაედგა და დაეპყრო ხელოვნების მაღალი მწვერვა-

ლებისკენ მიმავალი ბილიკები. ვაი, რომ არ გვეღირსა უფრო ნათლად აღგვექვა და დაგვენახა მისი მშვენიერება. ვინ იფიქრებდა, ან როგორ წარმოიდგენდა, ასე სრულიად ახალგაზრდა, ოცდაექვსი წლის ასაკში ყველას მოულოდნელად, დაავადდებოდა და ხელიდან გამოგვეცლებოდა. რა იქნებოდა განგებას სულიერ და ხორციელ სილამაზესთან ერთად, ხანგრძლივი სიცოცხლეც ებოძებინა, რომ კინემატოგრაფიასა და თეატრში საპატიო სახელი დაეტოვებინა. გარდაცვალებამდე თითქმის ნახევარ წელზე მეტი იყო მიჯაჭვული სარეცელს. ადრიან გაზაფხულზე შილიფად ჩაცმული გაცივდა. ცოტა იავადმყოფა კიდეც, ექიმებისთვის აღარ მიუკითხავს, ვერ იტანდა და ერიდებოდა, უფრო სწორად ეშინოდა მათი. ბოლო დროს ჭამის მადაც დაკარგა, ცოტას ზერელად წაიციცქნიდა ხოლმე. თავს ძალას ატანდა, ოჯახში ხელსაქმობდა, დიასახლისობდა, შესანიშნავ გემრიელ კერძებს ამზადებდა, დადიოდა სტუდიაში, თეატრებში ხვდებოდა რეჟისორებს. ამ საქმით ისე იყო გართული, ვეღარ ამჩნევდა თანდათანობით სანთელივით რომ დნებოდა. ჯანმრთელობა სერიოზულად რომ შეერყა. ავადმყოფობამ სანამ ლოგინად არ ჩააგდო, მანამდე ვერ მოიცალა, რომ საკუთარი თავისთვის დროზე მიეხედა. თვითდაჯერებულებას წინ ვერ წაუვიდა, „არაფერია, გამივლისო“ საკუთარ თავს რომ აჯერებდა. გაციება ფილტვების ანთებაში გადაუვიდა. პირველად კოლაუმ შეამჩნია სახეზე ცვლილება, კანის ფერის გაფერმკრთალება და სიყვითლის ნიშნები. დაასიეს ექიმები, ფაციფუცობდნენ, ფუსფუსებდნენ, ბჭობდნენ, ნემსებით ჩხვლეტდნენ, ცდილობდნენ როგორმე სიკვდილიდან ეხსნათ. პატარები ნამტირალევი თვალებით შეჰყურებდნენ დედას. ექიმები უკრძალავდნენ დიდიხნით ავადმყოფის საძინებელში ყოფნას. შეშინებულები უხმოდ ემორჩილებოდნენ და ცდილობდნენ მყუდროება არ დაერღვიათ, ფეხის წვერებზე დადიოდნენ, ნებართვის გარეშე დედასთან აღარ შედიოდნენ. ხანდახან კარის საკეტის ჭუჭრუტანიდან იჭვრიტებოდნენ და ძალიან ფრთხილად და დიდხანს აკვირდებოდნენ დედის ფერმკრთალ სახეს და თეთრ გამხდარ მკლავებს, გვერდზე გადაწეული საბნიდან რომ მოუჩანდა. დედა ზოგჯერ გამოკეთდებოდა, შვილებს მოიკითხავდა, მაშინვე მიუყვანდნენ, შემცბარი შეხედავდა ხოლმე. მისუსტებული ხელით თმებზე ეალერსებოდა ორთავეს, მათი ცოდვით იწოვდა. გაშტერებული მზერით რომ თხოვდნენ ფეხზე მალე წამომდგარიყო, მაგრამ რომ ვერ ახერხებდა. ის იწვა გამოფიტული სხეულით, ძლიერ გამხდარი, მაგრამ მაინც ჩამავალი მზე და სასურველად ლამაზი. სული გასაფრენად იყო მიმართული, ამას ყველა გრძნობდა. თავადაც იცოდა მიქელ-გაბრიელს გამზადებული ჰქონდა მისთვის ადგილი, მხოლოდ სამყაროს გამგებლის განკარგულებას

ელოდებოდა. უკანასკნელ დღეებს შვილებთან ალერსში ატარებდა. იმ ბოლო ზარმაც შემოჰკრა, ოქტომბრის ბოლოს აღესრულა. ადრე მოუსვენარსა და სიცოცხლით სავსეს, წამდაუწუმ სარკეებში ყურებისა და სარეპეტიციო ვარჯიშებისგან მოუსვენებელს. ახლა მშვიდად გულზეხელდაკრეფილს სამუდამოდ გაუნძრევლად ეძინა. უსულო სხეულს აღარაფერი აწუხებდა, ექიმები დამწუხრებულნი იდგნენ აივანზე, გულით ეწადათ გადაერჩინათ, ენანებოდათ ახალგაზრდა მანდილოსნის მიწაში უდროოდ ჩაფლობა. მძიმედ, ძალიან მძიმედ დაუჯდა მეორე ქალიშვილის დაკარგვა ცუცუნას. როგორი დასათრგუნი იქნებოდა მწარე ტკივილების გაყუჩება, იმხელა ძალა და ნებისყოფა კი არასოდეს ექნება დედის გულს ოდესმე მეხსიერებიდან წაშალოს დედაშვილური სიყვარული, რომელიც ჩასახვის დღიდანვე იგემა. ტანჯვითა და დიდი ტკივილით შვა, მძიმე უღლის ტარებით გამოზარდა და ბოლოს კი ხელიდან, თვალსა და ხელს შუა, ჩიტივით გაუფრინდნენ, ნინა და თამარი. მხოლოდ კედლებზეღა შემორჩა, ცუცუნას საწოლის ახლოს, მათი სურათები ჩამოკიდული. თამარი ყველაზე უმცროსი გახლდათ, ამიტომ უფროსი დედ-მამიშვილების დიდი სიყვარული ბავშვობიდანვე მოსდევდა. ყველასგან განირჩეოდა, როგორც ხასიათით, აგრეთვე სიმშვენიერით, ყვავილს ამსგავსებდნენ, მისი აღნაგობა ყვავილივით ფერი გამოჰყვაო, ეს სიტყვები საამებლად ხვდებოდა გულზე და თვალწინ ყოველთვის ჩიხტიკოპში, მზესავით გაბრწყინწებული ბებიის სახე წარმოუდგებოდა. სიკვდილის წინა ღამეს სიზმარში გამოეცხადა, უწინდელივით უღიმოდა, როგორც სჩვეოდა გრძელი წარბები ზემოთ ჰქონდა აპრეხილი. სუფთად ჩაცმული დააბიჯებდა კოინდრიან, მწვანე ეზოში. თამარი აივნიდან შეცქეროდა. ბებიას ხელში ცეცხლისფერი ცხენის აღვირი ეჭირა. ცხენი ლორთქო ბალახს ძოვდა, მუხის წვერზე შემომჯდარი შაშვი, ოქროს ჩარდახით გაბწყინებულ ცას უგალობდა. გრილი, საამური ნიავი უბერავდა თამარს გაშლილ თმებს უწეწავდა. ირგვლივ ყველაფერი ყვაოდა, ყვავილებს თავზე ფუტკრები დაბზუოდნენ, ეზოში ჭრელი პეპლები დაფარფატებდნენ. ბებია ხელს უქნევდა, ცხენით სეირნობას სთავაზობდა. სიხარულით გაქანდა, ფეხი უზანგში გაჰყო და ზურგზე მოექცა საყვარელ არსებას. ამ დროს აივნიდან ცუცუნას შეშფოთებული ძახილი შემოესმა: — თამარ, მობრუნდი, არ წაჰყვე, შვილო! მაგრამ მცდელობა უკვე გვიანი აღმოჩნდა, გაჭენებული ცხენიდან, არც თუ ისე ადვილი იყო გადმოხტომა, არც თავად ჰქონდა მაინცდამაინც ამის სურვილი. დედის თხოვნას არ დამორჩილდა, ბებიასთან არჩია ყოფნა...

უამრავი ხალხი მიდიოდა გამოსამშვიდობებლად, მთელი თბილისი და არა მარტო დედაქალაქი. ვინც პირადად იცნობდა, ჭეშმა-

რიტად, გული წყდებოდათ, ყველანი ცდილობდნენ უკანასკნელ გზაზე საკადრისად გაეცილებინა. თეატრალური საზოგადოება წარწერიანი გვირგვინებით მიაცილებდა. მიდიოდა ამ ქვეყნიდან გულდაწყვეტილი და თან საფლავში მიჰქონდა მრავალი აუხდენელი ოცნება. მთლად ისე არ გაიმეტა უფალმა, იმდენხანს მაინც აცოცხლა, რომ სამარადისო გამოთხოვებისას, როგორც დედას, აღირსა ქალიშვილების გულიანი დატირება და ცრემლები. კი მართალია, იმ დროს ისინი პატარები იყვნენ, მაგრამ ნაღდსა და გულიდან წამოსულს, არ სჭირდება ასაკი!..

რუსი პოეტის სერგეი ესენინის ჩამოსვლას დაემთხვა თამარის დასაფლავების დღე. ოქტომბრის მზე ჯერ კიდევ საკმაოდ აცხუნებდა. ქალაქში თბილოდა. ესენინი რევოლუციის შემდეგ, ჯერ ევროპაში, შემდეგ კი, საბჭოეთში დაბრუნებამდე ამერიკაში ცხოვრობდა და ცოლად ჰყავდა ცნობილი მოცეკვავე დულკანი. 1924 წელს, როდესაც სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მისცეს, მიატოვა ცოლი და სამშობლოში დაბრუნდა. ამიერკავკასიის ქვეყნებში, კერძოდ, აზერბაიჯანსა და საქართველოში დაიწყო შემოქმედებითი მოგზაურობა. გადაწყვეტილი ჰქონდა შეექმნა ლექსების ციკლი „სპარსული მოტივები“. ასე რომ საქართველოში მისი ჩამოსვლა პირველი არ ყოფილა, მშვენივრად იცნობდა ქართულ ბუნებასა და ქართველი კაცის ხასიათს. მრავალი ქართველი პოეტი მეგობარი ჰყავდა გიორგი ლეონიძე, ტიციანი, პაოლო იაშვილი, კოლაუ, ტერენტი გრანელი და მთელი ცისფერყანწელთა შემადგენლობა. სახტად დარჩა, როდესაც კუბოში ჩასვენებული თამარის სახე იხილა. გაოგნებულს გონებაში გაკრა „ასეთ ანგელოზ ქალთან სიკვდილს რა ხელი ჰქონდაო“. თავი უხერხულად იგრძნო, არ იცოდა როგორ მიესამძიმრებინა, როგორ ენუგეშებინა კოლაუ, როგორი სათანადო სიტყვები შეერჩია. კუბოს ბეჭი მიუშვირა და ვერის სასაფლაომდე (ახლანდელი ვერის პარკი) ატარა მეგობრის მეუღლის ძვირფასი ნეშთი... თურმე, რა ახლო მანძილი ყოფილა სააქაოდან საიქიომდე და როგორი შორი სიკვდილიდან უკვდავებამდე!..

მეორე დღეს ესენინს ქართველმა პოეტებმა მწერალთა სასახლის სხდომათა დარბაზში შეხვედრა მოუწყვეს. იყო კაზმული სიტყვების ზეიმი ირგვლივ პოეტური იდუმალება სუფევდა. ერთმანეთს სიყვარულში ეჯიბრებოდნენ სიტყვის ოსტატები. გაიჟღერა ილიას, აკაკის, ვაჟას სტრიქონებმაც. აუდიტორიის წინაშე წარსდგა, ოქროსფერთმეებიანი ქოჩორა ესენინი და შემდოგომის სევდიანი განწყობით მყოფ კოლეგებს სევდიანი, მაგრამ მაინც იმედის ჩამსახველი „Атговорила роша золотая“ წაუკითხა. ატყდა მქუხარე ტაში და „ბრავო“-ს შეძახილები. იმ დროს აკრძალული იყო ეროვნული ლექსებისა და პატრიოტი პოეტების ხსენება, ისეთი როგორიც ილია იყო, მაგრამ მაინც ახერხებდნენ

ილიას სულის მოხსენიებას და ყურში აწვეთებდნენ მომავალ თაობებს მის უკვდავ სიტყვებს: ენა, მამული, სარწმუნოება!.. საღამოზე მონაწილეობას ღებულობდა ახალგაზრდა პოეტი ვანლერ დაისელი, **„სად ვერცხლისფერი ალაზანი ველზე აგდია, / როგორც პრიალა ავაზაკი ლეკის ხანჯალი“ /** — კითხულობდა და მეგობარი უფროსი კოლეგები მასში მართლა ხედავდნენ პოეტური სულის ადამიანს, რომელსაც საკუთარი ხელწერა, ანუ სტილი გააჩნდა. დაისელი ვერ იფერებდა ქებას, ის საკუთარი თავისადმი კრიტიკულად იყო განწყობილი. ღმერთს მადლობას სწირავდა როგორც დათა, ანუ მამაო გიორგი შთააგონებდა, ბავშვობაში ეკლესიაში წირვებზე მისულს: „ღმერთო, მე გავაკეთე ის, რის გაკეთებაც შევძელი, ხოლო თუ ვინმე ჩემზე უკეთესად გააკეთებს, მადლობელი დავრჩები და ძალიან, ძალიან მეამება!..“

ვაჟას პოეზიით აღფრთოვანებული ესენინი ემოციებს ვერ მალავდა, მიუხედავად იმისა, რომ ლექსები ქართულად ჟღერდა, მთიელი კაცის გულწრფელობამ და შინაგანმა სულიერმა სიწმინდემ, მიუხედავად იმისა რომ ენა არ იცოდა, ემოციამ თვალებზე ცრემლი მაინც მოჰგვარა, პირობა დადო აუცილებლად გადათარგმნიდა და რუს მკითხველებს მიაწვდიდა იმ ღირსშესანიშნავ მარგალიტებს. თბილისიდან ბათუმს გაემგზავრა, მატარებლამდე ტერენტი გრანელმა მიაცილა. მატარებელი უყვარდა ტერენტის. ერთ დროს ვაგონის გამცილებლად მუშაობდა, მხოლოდ ღმერთმა უწყის რამდენი გულისამაჩუყებელი სტრიქონი შეუქმნია ბორბლების რიტმულ დაგადუგში, რამდენი ღამე თეთრად გაუთენებია მგზავრებთან მასლაათში. ის პოეტი იყო, პირველ რიგში ლექსი უნდა ყოფილიყო მისთვის მთავარი, ის სხვანაირად ვერ მოახერხებდა ცხოვრებას! პოეტმა პოეტურად უნდა იცხოვროს, ხალხთან სიახლოვეს!.. მატარებელი სანამ გავიდოდა რამოდენიმე ჭიქა არაყი გადაჰკრეს. დაბალი ტანის, არაჩვეულებრივი ლურჯი თვალების მქონე ესენინს ლექსებთან აახლოვებდა ბახუსი, მიიღებდა თუ არა გარკვეულ დოზას, საწერ მაგიდას მიუჯდებოდა. ახლა კი ვაგზლის სასაუზმეში მყოფი და საღერღერაშლილი ტერენტის გამოუტყდა და ერთი პატარა ეპიზოდი მოუთხრო თავისი ცხოვრებიდან, თუ როგორ განიცდიდა დულკანთან დაშორებას. ისიც არ დაუმალავს ცნობილი მოცეკვავე ქალი რომ თხუთმეტი წლით უფროსი იყო მასზე.

— შენ პოეტი ხარ და გამიგებ, — დასძინა: — ძალიან განვიცდი დაშორებას, მაგრამ მეორე მხრივ, მაინც კმაყოფილი ვარ, იმიტომ, რომ ტკივილი ქაღალდზე გადავიტანო და ლექსად ვაქციო, მკითხველამდე მივიტანო და ყველაფერი ისე მინდა გავაკეთო, მკითხველების გულში აღვძრა განშორებისა და მონატრების წყურვილი. თან ჩემი თავიც

დამერწმუნებინა, რომ ყველაფერი ეს სინამდვილე იყო და არა სიზმარი.

მატარებელი დაიძრა, ორთავეს ცრემლებით აევსო შეშუპებული თვალები... „საინტერესოა წუთისოფელი საიდან სად არ წაიყვანს კაცსა, აბორიალებს და ახეტიალებს“ — გაიფიქრა გრანელმა. ბაქანზე ძეგლივით მანამ იყო გაშეშებული, სანამ უკანასკნელი ვაგონი თვალს არ მიეფარა...

ესენინის ნაფეხურები ჯერ კიდევ ეტყობოდა თბილისის ქუჩებს და არც აჭარის მიწაზე ჰქონდა ფეხი დადგმული, როდესაც თბილისში დულკანმა შემოაბიჯა. სიყვარულიდან გაგიჟებული უკმაყოფილებას გამოთქვამდა მწარე ბედის მიმართ. წლებთან შედარებით, ახალგაზრდა გოგოსავით გამოიყურებოდა, ორმოცდახუთწელს მიღწეული ქალბატონი. იგი მსოფლიოში აღიარებულ კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა, გემოვნებიან ხელოვანს კარგად ესმოდა სიყვარულის ფასიც... მაგრამ, ფაქტია ესენინ ამერიკაში აღარ გამგზავრებულა, აღარც ვაჟას პოეზია უთარგმნია, იმდენი აღარ დაცალდა. 1925 წელს პეტერბურგის ერთ-ერთ სასტუმროს ნომერში იპოვეს ჩამომხრჩვალი, ხოლო, რაც შეეხება დულკანს, ეტლით მგზავრობისას, შემთხვევით თავსაბური ეტლის ბორბალმა ჩაიხვია და დაიღუპა. ასე სასწაულად დასრლდა ამ ორი გამორჩეული ადამიანის სიცოცხლე.

რუსეთში ჩემი ცხოვრების დროს ვფიქრობდი მომენახულებინა პოეტის მშობლიური მხარე, სადაც ფეხი აიდგა — რიაზანის ოლქში შემავალი სოფელ კანსტანტინოვკაში. ახლობელი მყავდა, რიაზანელი ვალოდია სიტნოვი, რომელიც მეპატიჟებოდა ხოლმე. ჩემი დაუდევრობის გამო, ოცნება ვერ განვიხორციელე. ახლა ვნანობ, მაგრამ რაღა დროსაა... არ დაგიმალავთ, პატივცემულო მკითხველო, პირდაპირი კაცი ვარ და მიუკ-მოუკიბავად გეტყვით, მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის შაჰს დიდი სიგლახე აქვს გაკეთებული საქართველოს მიმართ, ქართველებს და მათ შორის მეც ძალიან გვიყვარს, მომავალ თაობებსაც ეყვარებათ სპარსული პოეზია, როგორ შეიძლება არ გიყვარდეს ომარ ხაიამი? ასევეა რუსეთიც, დიდი სიამოვნებით ვკითხულობ გიგანტურ რუსულ მწერლებსა და პოეტებს, მათ შორის ყველაზე ახლოს ჩემს სულთან სერგეი ესენინი, ანა ახმატოვა და მარიან ცვეტაევა არიან, ყველაზე შორს კი — რუსული შოვინიზმი!..

სერგეი ესენინისა და გრანელის დაშორებას მე ლექსი მიუძღვენი, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დავბეჭდე 2004 წელს და ჩემი ლექსების კრებულშიც შევიტანე. ამ წიგნშიდაც მინდა წარმოგიდგინოთ, პატივცემულო მკითხველო, თუ თავს არ შეგაწყენთ:

„მშვიდი ტაროსი. დღე იდგა უქმე.
ჩაივლის „ზემელს“ დაბრეცილ ქუსლით,
მტკვარზე ჭრიალით აღებენ დუქნებს,
ას გრამს სთავაზობს პოეტი რუსი.
გულში ჩაიკრავს „შაგანეს“ ავტორს,
აუყვებიან მთაწმინდის აღმართს,
შემოფლეთია დაქანცულს პალტო,
ვეღარც სუსხსა გრძნობს და ვეღარც დაღლას.
მზე ცის ტატნობზე იცინის მაღლა,
მთვრალი წანწალით იოკებს სურვილს,
ვიღაცა უკრავს სისხამზე არღანს,
ბაიათს მღერის დამწვარი გული.
ლექსს ყვება ქარი ჯერ ისევ უთქმელს,
მაწონს კვლავ ყიდის წყნეთელი თათო,
მზეს უშვერს ვერხვი ჩამომჭკნარ კუნთებს,
მაგრამ ნოემბრის მზე ვეღარ ათბობს.
ნეტავ, მაქცია იმ ღვინის დოქად,
დიდ ხაიამს რომ ეჭირა ყურით,
დაემალება დუქანთან ნოქარს,
რა ქნას, არა აქვს რომ მისცეს ფული.
ისევ მუზები, დღეს ისევ ლოთობს,
გული კი რამდენ ტკივილებს მალავს,
ქარი მიხვეტავს გაცრეცილ ფოთოლს,
როგორც ზოზიას დაჭმუჭნულ ბარათს.
მერე აცილებს ესენინს ეტლით,
შეშუპებულ თვალს ცრემლები ნამავს,
„დასვიდანია“ — რუსულად ეტყვის,
საიქიოში შევხვდებით, ალბათ“...

თამარის გარდაცვალების შემდეგ, წარუმატებლად აეწყო სიმონიკასთვის, როგორც თეთრგვარდიელთა ოფიცრისათვის, მომავალი ცხოვრება. შურისმაძიებელთა მთავრობამ, სასჯელის გარეშე არ დატოვა, შეიპყრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ვერც საქართველომ ვერაფერ წარმატებას მიაღწია წითლების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ჩვენ სრულ დამორჩილებას მაინც ვერ ახერხებდნენ. ევროპაში გაქცეული პატრიოტები ღაღადებდნენ გული არ გაეტეხათ, სულიერად არ დაცემულიყვნენ, რწმენა არ დაეკარგათ, რაც საბოლოოდ სრულ გამაჯვებამდე მიიყვანდა ქვეყანას. თუ საბჭოთა სივრცეში ტყუილების ხელოვნება გენიალობა იყო, სამაგიეროდ ქართველებს

დიდი გონიერება გააჩნდათ მის ამოცნობაში. ამიტომ ყოველთვის უჭირდათ ჩვენი დამორჩილება, რაზედაც რუსეთი საშინლად ღიზიანდებოდა. იჭერდნენ მეამბოხეთა ლიდერებს, გადამეტებულს უხეშად ექცეოდნენ, შორეულ ციმბირში, ან ჩრდილოეთის მაღაროებში ამუშავებდნენ, თუ ვინმეს ზედმეტს შეამჩნევდნენ, ხვრეტდნენ. სიმონიკაც ვერ აცდა ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზას, არხანგელსკში, სოლოვკის კუნძულებზე, ექვსი წლით გადაასახლეს.

— ღმერთო, მაკმარე განსაცდელი, თუკი რაიმე სამართლიანობა არსებობს და როგორც დედა, ოდნავ მაინც შეცოდების ღირსი ვარ, ძალიან გთხოვ ანგარიში გამიწიო, ჩემს სიმონიკას ნუღარ წამართმევ, იმ ორი ქალიშვილებივით, შენი სახელის ჭირიმე! მიეცი ჩემს შვილს მოთმინების უნარი, საღ-სალამათი და ჯანმრთელი დამიბრუნე ჩემი იმედი და ერთადერთი გვარის გამგრძელებელი! — ილოცებოდა ცუცუნა, ხატის წინ დაჩოქილი. ვედრება, წყენა და საყვედური ერთდროულად ისმოდა მის ხმაში.

სამი წლის ლილი და ახალგაზრდა ცოლი, ღვთის ანაბარა დარჩნენ თბილისში.

საკვირველი და საშინელი დრო დადგა, სანამდის დალაგდებოდა და თავ-თავისი ადგილი მიეზღვოდა ყველაფერს, დუღდა და გადმოდუღდა ქვეყანა. გაუნათლებელნი მოექცნენ მაღალ სფეროებში წვრილ და მსხვილ ჩინოვნიკებად. ბევრმა მათგანმა ანგარიშსწორებას მიჰყო ხელი, ყოფილი თავად-აზნაურთა მიმართ წერდნენ საჩივრებს, მათ არასანდო ადამიანებად მიიჩნევდნენ, ართმევდნენ ქონებას. ერთი სიტყვით, მაინც უკუღმა ტრიალებდა ეშმაკისეული ბორბლები...

26

1926 წელს დაამთავრა ვანლერ დაისელმა უნივერსიტეტი და მისი პირველი პოეტური კრებული „მზის სისხლი“ გამოვიდა. ეს წელი იყო ყველაზე დიდი სიხარულის მომტანი მის ცხოვრებაში. გაორმაგებული ბედნიერება — უმაღლესი ცოდნის მიღება და ღვთისგან ბოძებული ნიჭის სააშკარაოზე გამოტანა. ახლო მეგობრებმა შალვა კაშმაძემ, ბონდო კეშელავამ და ვასო ლორთქიფანიძემ დანარჩენ პოეტებთან ერთად არაჩვეულებრივ ნიჭიერ პოეტად აღიარეს და მხურვალე, გულწრფელი სიტყვებით გაამხნევეს. გულღია იყო თითოეული მათგანი, ვერ იტანდნენ მზაკვრობას, ცბიერებას, ფარისევლობას, რასაც ზოგიერთი თანამოკალმენი მშვენივრად ახერხებდნენ და ფონს იოლად გადიოდნენ — ხელისუფლების გულს იგებდნენ, უფრო მეტს იღებდნენ, ვიდრე იმსახურებდნენ, საჩუქრებსა და ჯილდოებს, წიგნებსაც დიდი ტირა-

ჟებით უშვებდნენ და საქვეყნოდაც უფრო ჰქუხდა მათი სახელები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმპერიამ ანუ საბჭოთა ეპოქამ, შეჰქმნა გენიალური მწერლები და პოეტები, მეცნიერები, მუსიკოსები, არტისტები და მილიონობით ნიჭიერ ადამიანთა კასტა სხვადასხვა დარგში.

სტალინმა მოახერხა მრავალი სხვადასხვა ნაციის ხალხის ერთად გაერთიანება საბჭოთა სივრცეში და მათი ჩაყენება ინტერნაციონალური სოციალიზმის სამსახურში. შეჰქმნა დიქტატორული სახელმწიფო, სახელმწიფო დიდ პატივს მიაგებდა ყველა იმ ხელოვანს ვინც იზიარებდა მათ იდეებს, ანებივრებდა მათ და იყენებდა საბჭოთა იდეოლოგიის განხოციელებაში. მაგრამ, მიუხედავად ზემოდან კულტურული ზეწოლისა, შორსმჭვრეტელი და ეროვნული სულისკვეთებით სავსე მწერლები, რეჟისორები, მხატვრები თუ მოქანდაკეები, მაინც ახერხებდნენ ისეთი ნაწარმოებების, სურათებისა და პიესების შექმნას, რომლებიც ხელს უწყობდა, რომ ხალხის მასებში ეროვნულობა არ გამქრალიყო. ახალმა ეპოქამ მრავალი მაღალფასიანი ნაწარმოებების საშუალება მისცა შემოქმედ ადამიანებს და შეიქმნა კიდეც მაიაკოვსკის „საბჭოთა პასპორტი“, „რუსული აბანო“. პასტერნაკის „ექიმი ჟივაგო“, შოლოხოვის „წყნარი დონი“, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და მრავალი სხვა. საბჭოეთი მკაცრი და დაუნდობელი იყო ოპოზიციის წინაშე, ყოველგვარ ღონეს ხმარობდა თავისი გზიდან ჩამოეცილებინა ისინი, ხშირ შემთხვევაში ანადგურებდნენ, ასე რომ არ მინდა სიტყვა „ფაშიზმი“ ვიხმარო, მაგრამ გვერდს ვერ აუვლი, საბჭოეთში წარმოიშვა რუსული ფაშიზმი...

ქართული მწერლობა არალეგალურად, დაუწერელი კანონის მიხედვით ორად იყო გაყოფილი — ეროვნულ და პროლეტარულ მწერლებად. მწერალთა კავშირი მხოლოდ ფორმალურად, გარედან დასანახად, აერთიანებდა ვითომ ყველას, მაგრამ შიგნით გახლეჩილ, საწინააღმდეგო აზრის მქონე კალმოსნებს აზრს ვერ აცვლევინებდა. ეროვნული მწერლები სამშობლოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ, პროლატარული — პირიქით, გაერთიანებასა და ერთად დიდ ოჯახში ყოფნას!

ვალნერ დაისელმა და სილეო-რეანმა ანუ შალვა კაშმაძემ საერთო ლექსების კრებული გამოსცეს „გული და დღეები“ ასე უწოდა ვანლერმა თავის მეორე წიგნს. ყრმობის მეგობრები იყვნენ ვანლერი და შალვა. ქუთაისში სწავლების დროს დაუახლოვდნენ ერთმანეთს, წლოვანებითაც თანატოლები იყვნენ, ლექსი შეიქმნა მათი დამეგობრების მიზეზი, სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში დაიბადა კაშმაძე. დაისელივით, ადრე ასაკიდან წერდა ლექსებს. პირველ ფსევდონიმად

„სულისპირელი“ ჰქონდა არჩეული, რაც შემდეგ „სილეო-რეან“-ად შეცვალა. სილეო-რეანმა ლექსით გამოხატა მეგობრის მიმართ სიყვარული, დიდად საინტერესო და ამაღელვებელი სტრიქონებით შეამკო ვანლერ დაისელის პიროვნება. მისი ტიპიური დამახასიათებელი ხასიათი, ყოველთვის სიმპათიას რომ იწვევდა მკითხველში: **„შენ ხარ ხალისი განაფერი სიყმაწვილესთან / და რომ მომთხარონ საფლავიდან ასი წლის შემდეგ, / ვერ იპოვნიან ჩემს კუნთებში ვერსად ცვლილებას, / რომ დაისების კავალერი შენზე აშენდა.../ სულში დატყდება წყურვილებად ნდობა ნერონის, /ჩემ ხერხემალზე დანთხეული თეთრ ზედაშებად, / მე დაგრეხილი სამარეშიც გავიმეორებ, /რომ დაისების კავალერი შენზე აშენდა“.../.** მართლაც, დაისელი სისხლითა და ხორცით საქართველოს ნამდვილი შვილი, საოცრად თბილი და ცოტა გულფიცხი იყო. მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს, პოეზიის საღამოც მოუწყვეს, ასე ფიქრობდნენ პროლეტარული მწერლები მის გადაბირებას. მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ვერ შეძლეს გაეტეხათ ერთი შეხედვით ხალასი და ჯიუტი ხასიათი. **„ეხლა გულის ძგერით ღამე დაისერა, / დგება სურვილები მშიერ ვეფხვებივით, / გრძნობის ქარიშხლები ვანლერ დაისელო! / ეხლაც ბზიკებივით გულზე მესევიან“... /** — გაისმოდა მისი მჭექარე ხმა...

პოეტს სურდა თავისი ფიქრები მოქმედებად ექცია. ჯოჯოხეთში მყოფ ადამიანებისთვის სამოთხის კარი გაეხსნა და დაენახვებინა, გვირაბის ბოლოს მანათობელი შუქი, რომელიც, მშფოთვარე სულსა და ტანჯვა-წამებას, მალე მოუღებდა ბოლოს. მაგრამ ეს წუთისოფელი არც ისეა აწყობილი რომ შავ ძალებთან არ მოგიხდეს შებრძოლება! ეს ბუნების კანონია და მას ვერსად გაექცევი — ტანჯვას მოდევს სიხარული! **„იძინებს ღამე შავი ხავერდი / წევს კატასავით თოვლის ბალიშზე, / მეგონა შენით გავიხარებდი, / მაგრამ სევდებით გული გამიშრე“.** / ლექსებში ჩაქსოვილი უშრეტი წყურვილი შემოქმედისა, უძირო სივრცისკენ მიისწრაფვოდა, პოეტური გენიის განცდით. პოეტური სიგიჟით და სიყვარულით აღსავსე, რათა უფრო ფართე ასპარეზზე წარმოეჩინა თავისი შესაძლებლობა და ნიჭიერება. კლასიკურ ლექსს მკითხველის სული ძალაუნებურად მიჰყავს იქეთ, სადაც ადამიანის ყველაზე სათუთი და მგრძნობიარე ორგანო გულია, რათა შიგ პოეზიის ცეცხლი დაანთოს, რადგან გულანთებული კაცი მარადიული სიყვარულია!.. **„და ასე ნივთებს ბრძოლა ბოლომდე / სანამ გულები ამოგვიშრება, / მინდა გრიგალის ძვირფასო ლონდა! / შენი სურნელი, თმები გიშრების... / არის მართალი ჩემი ლოზუნგი: / „ან სიყვარული ან გაგიჟება“.**

იგი გატაცებით წერდა და ჰქმნიდა სილამაზეს, უყვარდა საქარა, ხშირად ჩადიოდა მშობლიურ სოფელში. ზაფხულობით, მიმწუხრზე ნარულის ტყეში სეირნობდა. ზოგჯერ ანკარა ღელეში, წისქვილების შეგუბებულ გუბეებში, სიცხისგან გადახურებულ ტანს იგრილებდა, ვახშმად დედის მიერ კეცებზე, ნიგვზის ფოთლებში გამომცხვარ მჭადებსა და ყვითლად დასვრეტილ ყველას, მწვანე, დაკეპილ ლობიოს მიირთმევდა. ყოველთვის კოპწიად და სუფთად ჩაცმული დაიარებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქუთაისში ჩადიოდა, ნაცნობ ქუჩებში დაეხეტებოდა და ბავშვობის წლებს იხსენებდა. სწორედ იქ, რიონის პირას, გაუთავებელ ტალღების ჩხრიალში, ეზიარა პირველად პოეზიას. ის ხმა და იმ ტალღების ჩხრიალი, სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში. დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, ნახეტიალები და დაღლილი მწვანეყვავილაზე, მაცოცხლებელი გრილი ნიავი გაოფლილ შუბლზე რომ ელამუნებოდა, მერე ხავერდოვან მწვანე ველზე გაირთხმებოდა, დაღლილ სხეულს ასვენებდა და ჭომის სიმშვენიერით მოხიბლული, ქაღალდზე კალამს აწრიპინებდა: **„მზე ძუძუებს გიზელდა / ვნებით, გრძნობის დასევით, / ტრისტანი და იზოლდა / გულს ტყეებით ვავსემდით.../“.**

ვალიკო ჯუღელის ტრაგიკულმა მკვლელობამ, ბოლშევიკების მზაკვრულმა ქმედებებმა დიდი დაღი დაასვა პოეტის დაოუკებელ სულის ნაწილს. თავდადებული გენერლის სახე და ცეცხლოვანი მოგიზგიზე თვალები, სამუდამოდ დარჩა ქართველ პატრიოტების გულში **„— წავალ ვეძებო მეგობარი / იქნებ სადმე ვიპოვო, / უიმისოდ სიცოცხლე და სიხარული არ მინდა...“/.**

— ჯუღელის უანგარო სიყვარულმა დამაწერინა ეს სტრიქონებიო. — განაცხადა მწერალთა სასახლის დარბაზში კოლეგების წინაშე გამოსულმა დაისელმა და დასძინა: — მეგობრებო თუ ჩვენ გვინდა ვიყოთ წარმატებული და თავისუფალი ერი, თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები, ერთად დავირაზმოთ ოკუპანტების წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში, თუ არ ვეცდებით, არაფრის გაკეთებას, მაშინ საკუთარ თავში ვსპობთ შანსს რაიმეს მიღწევისას! ის, ვინც არ იბრძვის და უბრძოლველად ელოდება უკეთეს მომავალს, საკუთარი თავის დამღუპველია, ის მეტად ახანგრძლივებს ცუდ დროს, რომელშიც ცხოვრობს...

დაისელის ამ ფარდოვანმა სიტყვებმა აღაფრთოვანა ეროვნული მწერლები, რა თქმა უნდა, გაანაწყენა პროლეტარული ელიტა. ერთერთმა მათგანმა ალკა სულავამ მწვავედ გააკრიტიკა დაისელის შემოქმედება, მიწასთან გაასწორა და სულელური ნაბოდვარი უწოდა, „თავისუფლება, თავისუფლება გვინდაო“. — ბურდღუნებდა.

— ამხანაგო სულავა, ჩვენ ოპტიმისტები ვართ, თვალს ვუსწორებთ სიძნელეებს, შეიძლება ხანდახან ეს საშიშია, მაგრამ, მამაცურად ვუტევთ ისე როგორც ჩვენს მოდგმას ოდითგანვე მოსდევდა!

თუმცა... თუ... ენა დაება, წუთით შეჩერდა, ჰაერი ღრმად შეისუნთქა, გული დაიმშვიდა და დაამატა — თუმცა, შენისთანა შუბლგადატყაულ კვერნებთან, არ ღირს ამ თემებზე საუბარიო! ხელი ჩაიქნია, ბოლოს და ბოლოს ვეღარ მოითმინა და ისეთი სიძლიერითა და ომახიანი ხმით დასჭექა: **„ჩვენ ხომ ძარღვებში სისხლი გვიდგია, / რუსთაველის და ბარათაშვილის“...** / თითქოს მთელ დარბაზს თავზე გამოსაფხიზლებლად თავზე ცივი წყალი გადაასხესო. სილეო-რეანმა თავი ვეღარ შეიკავა, მივარდა ხელში აიტაცა ემოციებისგან აცახცახებული პოეტი, რომელსაც ჯერ კიდევ ენეგრია აკლდა, ბოლომდე რომ გაფურჩქვნილიყო და ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა საზოგადოებაში. ვაი და დაებერა სუსხ ნიავს, როგორც მარტში, გაზაფხულს სჩვეოდა, დაეჭკნო და გაენადგურებინა იმედებით დახუნძლული კვირტები. ცხოველებიდან განსხვავებით ადამიანებს ხელოვნების აღქმა შეგვიძლია, სწორედ ხელოვნებამ ითამაშა დიდი როლი ჩვენს გაადამიანებაში, ჩვენ ვწერთ, ვხატავთ, ვქმნით, ვძერწავთ, ისე როგორც გვესმის, ისე როგორც ვხედავთ და არა ისე, ეს როგორ ესმით და ხედავენ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები! რა უფლებით ერევა ხელისუფლება ხელოვანის სულში? ვინ მისცა იმის უფლება ხელები ისე აფათურონ, როგორც თავად მოესურვება?!.. **„როცა ცა ღამეს დაღვრის / ვფიქრობ სიცოცხლე ქრება, / გული მევსება ნაღვლით / და წიგნებშია შვება“**/. მას ჰქონდა პატრიოტულ-მოქალაქეობრივი მრწამსი და მასში კრთოდა, მისი სიტყვებით რომ ვთქვა, **„შაირის შუქი ქართული, / ათას წლებში რომ უვარჯიშია“.** / რაც მომავალში, ვფიქრობ, კიდევ უფრო უკეთეს პოეტურ ნაყოფს გამოიღებდა. ამის საწინდრად მიმაჩნია მისი პოეტური ნაპერწკალი: **„რად მინდა გული, სიყვარულით თუ ვერ ავივსებ, / რად მინდა გრძნობა, თუ ტკივილებს ვერ დამიამებს, / საქმე ის არის, რომ ისროდე სიტყვის ალმასებს, / საქმე ის არის ათრთოლებდე ადამიანებს!../.**

მაგრამ აღარ დააცალეს, ნაადრევად გაფურჩქვნილ კვირტებს დაუბერა მარტის სუსხმა, ვეღარ დაიფარა სილეო-რეანმა, ვეღარავინ ვეღარ აღუდგა წინ დაუნდობელ რკინის ხელებს, რომლებმაც შეიპყრეს, მეტეხის ციხეში გამოკეტეს და ნესტიანი, აშმორებული კედლები ახეხინეს, ბრალი დასდეს, თავისივე ლექსის სტრიქონები შეახსენეს: „უიმისოდ სიცოცხლე და სიხარული არ მინდა“. რატომ მიუძღვენი ასეთი თბილი სტრიქონი მოღალატე და ჯაშუშ ვალიკო ჯუღელსო, გამომძიებლებმა ჯაშუშურ საქმეებში დასდეს ბრალი. იგი გაოგნებული იყო ასეთი ბრალდებით, არ ეჯერა თუ ქართველი კაცი, ასე ერთი ხელისმოსმით გაანირწყალებდა, ქართველ პატრიოტ სარდალს, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე არ დაიშურა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ვანლერი 1930 წელს თბილისიდან პეტერბურგში

გადაიყვანეს და შლისებურგის ციხეში ჩასვეს, მოგვიანებით, არხანგელსკის ოლქში, სხვადასხვა ბანაკებში იხდიდა სასჯელს. ერთადერთი, სალავკის სიკვდილმისჯილთა კუნძულზე მდებარე ბანაკები იყო, რომელსაც აცდა, სწორედ იქ იმყოფებოდნწენ მაშინ, ჩვენი ქართველი პოლიტპატიმრები, სიმონ საყვარელიძე და ჩვენი ერის საამაყო მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. არხანგელსკიდან პოლარულ-ღამეებიან მეზღვაურთა ქალაქ მურმანსკში გადაასახლეს, იქ „სოუზ-ტრანსში“ მუშაობდა საწყობის გამგედ. ჩრდილოეთიდან გაქცევა სცადა, მუდამ თავისუფლების მაძიებელს მოთმინების ფიალა აევსო, სიზმარში გრიგოლ რობაქიძის აჩრდილი წარმოესახა, შორს გერმანიაში მყოფი თავისთან მიუხმობდა. გათენებამდე არ მოშორებია, მერე თავისი ლექსიც გაიხსენა გრიგოლს რომ უძღვნა: **„დღესაც წირვების კომანდორია, / მოხუცი ზარი ძველი სიონის“**/. ბევრი აღარ უფიქრია მარტოდ გადადგა ძლიერ სახიფათო ნაბიჯი, სხვას ვერ ენდო, დამბეზღებელი, ენატარტარა ხალხით სავსე იყო მთელი ბანაკი. დატყვევებული პატიმრები უფროსების გულის მოსაგებად ყველანაირ სიგლახეს სჩადიოდნენ, ერთმანეთს აღარ ინდობდნენ, ისევ ბედის ანაბარად მოუწია ნაბიჯის გადადგმამ, ღმერთი ახსენა და გზას დაადგა. მაგრამ ამაოდ ჩაიარა მცდელობამ, ქარბუქითა და სიცივით განადგურებულმა, ცოცხალმკვდარმა ძლივს მიაღწია ბანაკამდე. გზა ვეღარ გაიკვლია, დავთარი აებნა, იარა, იარა და ბოლოს ისევ თავისივე ადგილსამყოფელს მოადგა. ისევ ჰქონდა დაგეგმილი მცდელობა გაქცევისა, რუქას ეძებდა კარგად გაცნობოდა ქალაქ მურმანსკიდან როგორ გამოუკვლია უხიფათოდ გამოსასვლელი უკაცრიელი გზა. საქართველოში თავის უმცროს დას ეკატერინეს წერდა: სანამ არ მოგწერთ, არაფერი გამომიგზავნოთო. მეტი აღარაფერი ცნობა მოიპოვება, თუ როგორ წარისახა და დაასრულა სიცოცხლე რეაბილიტაციის ცნობაში (1968.26.II..06-18), რომელშიც ნათქვამია ოგპუ-ს 1931 წ. 17.IX. დადგენილება გაუქმდესო, გარდაცვალების თარიღი მითითებული არაა.

როგორც ხდება ხოლმე, შემდეგ გაჩნდა ვერსიები: ვითომ საზღვარგარეთ გაიქცაო, იმასაც ამბობდნენ თავი მოიკლაო, ვითომ 1937 წელს დახვრიტესო. ჩემი აზრით, ყველაზე სარწმუნო ბოლო ქმედება უფრო დამაჯერებელი და მისაღებია... სანამ ცხოვრებიდან ამოგლეჯდნენ, მოასწრო გამოეცა კიდევ ორი კრებული. ერთი მათგანი პროზაული „ლივილა“ 1927 წელი. მეორე კი, „გუშინ და ხვალ“ 1928 წელს დატუსაღებამდე გამოვიდა, პოეტის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, მის წიგნებში „იცოდე, რომ ლექსში გულია ჩათლილი“-ო ეპიტაფიად დაგვიტოვა შთამომავლობას. ვინ იცის კიდევ რამდენი ჟრუანტელისმომგვრელი სტრიქონი ჩაუხატავს, საკუთარ ხელით დამზადებულ

უბის წიგნაკში, ჩრდილოეთის ციაგის კაშკაშა სხივების ყურებისას! რამდენი ყურადსაღები სტრიქონი შეუქმნია რომლის უზომო სიყვარულმა, შორეულში მოისროლა. სტრიქონმა რომელმაც დააკარგვინა ყველაფერი, უცოლ-შვილოდ დატოვა და შეიწირა კიდეც. სამაგიეროდ, გააუკვდავა და ქართული ლიტერატურის ისტორიაში თავისი ადგილი მიუჩინა. მაინც ვინ დაანათლა ასეთი მწარე ხვედრი? სამშობლოში ცხოვრება თუ არ ეღირსა, სამუდამო განსასვენებელი სასუფეველი მაინც ღირსებოდა? მშობლიურ სოფელ ზედა საქარაში ყოფილიყო მისი საფლავი და თანასოფლელებს აღდგომის დღესასწაულზე ჭიქა ღვინით მოეხსენებინა მისი სული? გუშინდელ დღესავით მახსოვს და თვალწინ მიდგას გზისპირას ჩრდილში მჯდომარე ფარატინა თეთრი ქუდით გალეული მოხუცი — დაისელის მამა სერგი ბაბუაძე, წყლიანი, სევდიანი თვალებით რომ ათვალიერებდა ამვლელ-ჩამვლელებს და მოუთმენლად ელოდა შვილის გამოჩენას... ჩემს პატარა ბიჭობაში იმ ადგილას გავლა ყოველთვის ტანში ჟრუატნელს მგვრიდა. ასეა დღესაც. საქარაში როცა ჩავდივარ, დაისელის ნასახლართან ჩავლისას, რაღაც ღვთიური ძალით ვივსები და მისი უკვდავი სიტყვები ჩამესმის ყურში: „იცოდე, რომ ლექსში გულია ჩათლილი“...

ალბათ, ღმერთმა ინება, ორიოდე სიტყვა შემეწია ჩვენი უიღბლო პოეტისათვის. პოეტისათვის, რომელიც აზროვნებით ბევრად წინ უსწრებდა ეპოქას. ასეთი ხალხი ყოველთვის უიღბლონი არიან, სიცოცხლეში ისე არ არიან დაფასებული, რასაც იმსახურებენ, ხშირ შემთხვევაში კლავენ და თავიდან იშორებენ... იმედს ვიტოვებ მაპატიებს, შემინდობს მისი კეთილი სული, თუ ყველაფერი ისე ვერ გამოვხატე, ისეთი კაზმული სიტყვები ვერ შევურჩიე, როგორიც ეკადრებოდა მის პიროვნებას: **„სულო, რა რიგათ სადარდელია, / პოეტის ცრემლით მიწა ქართული.“/.** ვკითხულობ მის სტრიქონებს და თვალზე ცრემლი მერევა...

რამდენიმე წლის წინ საქარაში, ვანლერის ძმიშვილი გივი ბაბუაძე მოვინახულე, პირადად ბავშვობიდან ვიცნობდი, ჩემზე ბევრად უფროსი იყო. ვერ მიცნო და არც ეძრახვის, მე ბავშვობიდან წამოსული ვარ სოფლიდან. თავი რომ წარვუდგინე გამიღიმა, შუბლზე იტკიცა ხელი — როგორ მალე გადის დროო, სევდიანად ჩაილაპარაკა, სახლში შემიპატიჟა, არ მიუარია, ვანლერის წარსულზე მინდოდა მასთან საუბარი. დიალოგი აივანზე წარიმართა, სამწუხაროდ იგივე მითხრა, რაც მწერალთა რეპრესირებული არქივიდან მომაწოდა მწერალთა კავშირის მემატიანემ, ბატონმა რევაზ კვერენჩხილაძემ, გარდა ამ ერთი ლექსისა, რომელიც გაზეთის ფურცლებზე იყო დაბეჭდილი. ლექსი ეკუთვნის ვანლერის უახლოეს მეგობარს ვასო ლორთქიფანიძეს:

ვანლერ დაისელს

ვანლერ გეძახი, ვანლერ დაგეძებ,
და სულს მიშფოთებს ურვა და ცრემლი,
ყმაწვილი ვიყავ, შეგხვდი და გიძმე,
ეხლა შენს აჩრდილს ველაციცები.
ისევ შევყურებ, ისევ თვალს ვავლებ,
შენი ოცნების გატყორცნილ ისარს.
შენი მბორგავი გულის ხანძარი,
ქარიშხლის წლებმა ვერ გადანისლა.
მორჩილს, უმრწემესს და ყურის მგდებელს
მართვეს, ფრთებშესხმულს ძალას მატებდი,
და გვამაღლებდა, გვაამაყებდა
ტაძრის სული, ალმა-მატერი.
მაგრამ სასტიკმა დრომ, ულმობელმა,
არ გაგიტანა და არ დაგინდო,
მამულის მლოცველს და მადიდებელს
გზა გადაგიჭრა, ძმაო რაინდო.
ვიღაც ტიალმა ქვეყნის მოძულემ,
გულის სიღრმეში ჩაგხედა წამით,
და დაიხვია ხელზე ბრალდებით
სიბრძნით შობილი ხედვა და მრწამსი.
ხედვა და მრწამსი სულის შემძვრელი,
ღამის მთოვარი ჯერაც უთქმელი, —
იმედი სავსე ტკბილი და მწარით
სევდა, ტრფიალი თავისუფლების.
ხედვა და მრწამსი, ხედვა და მრწამსი
ძახილი, ლტოლვა უნათლეს დღეთა,
ვაგლახ, ახალი საქართველოსთვის
სიტყვა მართალი შენ უნდა გეთქვა.
და რომ ვერ გხედავ და რომ ვერ გხვდები
სადმე ბრძოლაში ბობოქრებ ეგებ,
თავდადებულმა მშობელი მიწით
სამანი შენი ძვლებით ჩახერგე.
ვანლერ სადა ხარ, ვანლერ დაგეძებ
და სულს მიშფოთებს ურვა და ცრემლი,
იმ ძმობის ცეცხლით არ ცხრება გული,
შენს აჩრდილს ვუხმობ, ველაციცები.

სამწუხაროდ, მეტი ხელჩასაჭიდი მასალა ვერაფერი მოვიძიე, სამაგიეროდ, გივისთან საუბრით კმაყოფილი დავრჩი. გავიხსენეთ წარსული, რისი გახსენებაც მოხერხდა. დაშორებისას დავპირდი, თუ შევძლებდი წიგნის დაწერასა და გამოცემას, აუცილებლად ვუსახსოვრებდი. იქნებ, როგორ ელოდა... მაგრამ, აღარ დასცალდა — გარდაცვლილა. წრფელი გულით ვაღიარებ, მეწყინა მისი გარდაცვალება!.. აქვე იმასაც დავძენ, ჩემო პატივცემულო მკითხველო, რომ გივის მამას პავლეს ვანდელის ძმას ვიცნობდი, კარგად მახსოვს 60-იან წლებში გადასახლებიდან დაბრუნდა და ზესტაფონის ავტოსადგურში „დისპეტჩერად“ რომ მუშაობდა. გზაში შეხვედრისას ვესალმებოდი და ამით დამთავრდა ჩვენი ნაცნობობა. საშუალოზე მაღალი სიმაღლისა, ურყევი, მშვიდი ხასიათის, ამავე დროს ფიზიკურად ძალიან ღონიერი, მაგრამ არასოდეს არასინდისიერად თავისი ძალა არავის მიმართ არ გამოუყენებია. არ ჩვეოდა ვინმეს დაჩაგვრა, სხვისგანაც ამას მოითხოვდა, უსამართლობას არავის პატიებდა.

გულში რაღაც არასასიამოვნო შეგრძნებამ გამკრა, როდესაც სარეცელმიჯაჭვული დაისელის უმცროსი და ეკატერინე მოვინახულე, ორთაჭალაში, რუსთავის გზატკეცილთან ახლოს ცხოვრობდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ფერმკრთალი სახე. ღია ფერის თვალები, კეთილგანწყობა და სინანული იმის გამო, რომ არ შეეძლო ფეხზე წამოდგომა. გული სიხარულით აევსო, როდესაც პოეტ ძმაზე ჩამოვუგდე საუბარი. — მაგ საკითხზე მწერალთა კავშირშიც გახლდათო. მითხრა, ბატონ რეზო კვერენჩხილაძეს ვყავდი მიწვეულიო. შემდეგ ყველაფერი იგივე მიამბო, რაც მე მქონდა მოძიებული. ერთი საათი დავყავი იმ მშვენიერ ქალბატონთან, მოწიწებით დავემშვიდობე და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვე...

ამით ვამთავრებ პატივცემულო მკითხველო ვანლერ დაისელზე წერას. ერთი პატარა ლექსი მივუძღვენი მისი სულის ხსოვნას, კიდევ და კიდევ ქედს ვიხრი პოეტის აჩრდილის წინაშე: **„წვეთავს მზის სისხლი ვენებიდან გადასერილი,/საქარის გზაზე მომაცილებს ხეთა აჩრდილი, / ნეტავ, მეც შევძლო, ღმერთო ჩემო დაისელივით / ხალხის გულებში დამეტოვოს ლექსი ჩათლილი!..“**

27

სოლავკის სიკვდილმისჯილთა ბანაკი არხანგელსკის ოლქში შედიოდა, სადაც ასახლებდნენ უმეტესწილად პოლიტპატიმრებს, რომლებიც ტყეებს სჩეხდნენ, მორებად ხერხავდნენ, გემებზე ტვირთავდნენ. აქედან იგზავნებოდა შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის კუთხეში სამ-

შენებლო მასალად. უმეტესი ნაწილი გადასახლებაში მყოფი ვერ ეგ-უებოდა ადგილობრივ კლიმატს, უჭმელობასა და სიცივეს, ძაღლურად წვალებაში ძვრებოდათ სული. სწორედ იქ მიუჩინა ადგილი სასეჯლის მოსახდელად „ჩეკამ“ სიმონიკას ექვსი წელი მიუსაჯეს, როგორც თეთ-რგვარდიელსა და საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლს. გუ-ლაგებში ჩაყინული, მშიერ-მწყურვალი, თავზე ყურებიანი ქუდებით, გაცვეთილი ჯუბებით შემოსილი ინტელიგენცია, სიკვდილ-სიცოცხ-ლის ზღვარზე მყოფნი, კარგად ხედავდა, რომ ამ ქვეყნად სიმართლე არასოდეს ყოფილა და არც არასოდეს იქნება. მხოლოდ მთავრობა იცვლება, სულ ეგ არის და ეგ, მეტი არაფერი. მაინც უცვლელი რჩება ის ჯუნგლური კანონი „ვინც ძლიერია, ის დარჩება“. „ვიღაცამ სხვის უბედურებაზე, ააგოს საკუთარი ბედნიერება“. ვიღაცამ სხვის ხარ-ჯზე უნდა იცხოვროს და ასე დაუსრულებლივ... ვიღაცამ ვიღაცა უნდა აქოს, ვიღაცამ ვიღაცას უნდა აგინოს, ზოგს უნდა შეუძვრეს, ზოგი უნდა მოკლას, მოკლედ ამ ცხოვრებაში პატიოსანი ადამიანის ადგილი აღარ მოიძებნება? გასაგებია სახელმწიფო უნდა არსებობდეს, მაგრამ ისინი სიმართლეზე უნდა იყოს დაფუძნებული, და არა იმაზე ვინ რომ-ელი ქვეყანა დაიპყროს, დაისაკუთროს სხვისი ტერიტორია, ქონება. შემდეგ დაერიო საკუთარი ქვეყნის ღირსების შენარჩუნებისათვის მებრძოლებს, ხალხის მტრად გამოაცხადო, გადაასახლო და წვალე-ბაში სული ამოხადო. მე მიკვირს, ასეთი ხალხის აზრით, რატომ არიან თავიანთი სამშობლოსა და თავიანთი ერის ინტერესების დამცველე-ბი ხალხის მტერი და ის ადამიანები, რომლებიც ასეთ საქმეებს სჩა-დიან, ხალხის ბელადები და ისტორიაშიც დიდ ადგილს უთმობენ მათ ბიოგრაფიებს. თქვე დალოცვილებო, დემოკრატიას ვაშენებთო რომ გაიძახით, მოდით იქედან დავიწყოთ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც მიტაცებული აქვთ სხვისი ტერიტორიები, დაუბრუნონ თავიანთ პა-ტრონებს, თუ ისინი ნამდვილად დემოკრატები არიან, რატომ აქედან არ იწყებენ? რატომღაც არავის მოსწონს სიმართლეს რომ ეუბნები, იმწუთშივე შორეულ წარსულში გადახტებიან ხოლმე და ყველაფერს იმავდროინდელ ქვეყნის პირებს გადააბრალებენ? მე კარგად მესმის თქვენი, მაგრამ, დღეს თქვენ გადადგით ასეთი ნაბიჯი, მხოლოდ მა-შინ გექნებათ უფლება, თავს დემოკრატები უწოდოთ! ნეტავი ვინმე გამოჩნდებოდეს, იქნებ ღმერთმა მოგვივლინოს ისეთი გონიერი ადა-მიანი, რომელიც შექმნიდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და სრულ სამართლიან ორგანოს, რომელიც შეისწავლიდა ყველა ქვეყ-ნების ადგილმდებარეობას, მათ ადათ-წესებს, თუ წართმეული ტერი-ტორიები აქვს, აიძულებდა უკან დაბრუნებას, ჩემი აზრით, საჭიროა და სავალდებულოც ასეთი ორგანო...

სოლოვკის გულაგები მრავალი მილეთის ხალხით იყო სავსე, თითქმის საბჭოთა სივრციდან ერთად იყვნენ თავმოყრილი, უმეტესი ნაწილი ღირსებააყრილი არისტოკრატების წარმომადგენლები იყვნენ, განსაკუთრებულად განათლებულნი. სიმონიკას როგორც ოფიცერთა წარმომადგენელს ავტორიტეტად მიიჩნევდნენ. ის მართლა ახერხებდა პატიმართა შორის მორიგებას და თავიდან აცილებდა შუღლსა და არასასიამოვნო ქმედებებს. პატიმრები ანგარიშს უწევდნენ და თვლიდნენ, რომ ის საკმაოდ ნაწრთობი, მოქნილი და იარაღის საუკეთესო მომხმარებელი იყო. თან უშიშარი, მუშტის კვრაშიც ვერავინ შეედრებოდა. ტანი ნამდვილი გვარდიელ-კავალერისტისა ჰქონდა, მხედრულად წელში გამართლი დადიოდა. ტანსაცმელიც თავისი ხელით ჰქონდა გამოკერილი და ტანზე კოხტად მორგებული, ზედმეტ ხარვეზსაც ვერ უპოვიდი. სხარტი, ვერცხლის წყალივით მოძრავი იყო. ყველაფერს ასწრებდა, ვარჯიშს, სირბილს, დაბანვა-გაპარსვას, ერთი სიტყვით ყოველთვის მოწესრიგებული დადიოდა. სწორედ ამიტომ მოიპოვა გავლენიანი კაცის სახელი. ყოველთვის დამაჯერებვლად იყო, დარწმუნებული საკუთარ თავში, რომ გაიმარჯვებდა. ბრძოლის ველზე ყოველთვის სწრაფი გადაწყვეტილებებით მოქმედებდა. ასე განვლო მთელი რიგი ბრძოლები ცხინვალსა და ბათუმში, ტაბახმელაში, წითელი არმიის წინააღმდეგ, გენერალ მაზნიაშვილთან ერთად. მაზნიაშვილი აღფრთოვანებული იყო მისი ნიჭიერებით, მისი შეუპოვრობით და გაოცებული პირჯვარს იწერდა ხოლმე, როცა ხედავდა ბრძოლის ველზე, ქარ-ცეცხლში ჩამდგარს, ტყვია ახლოს რომ არ ეკარებოდა. რაც მთავარია, გენერალმა ისიც შეამჩნია ახალგაზრდა ოფიცერს, რომ ის იყო მებრძოლი პრაქტიკოსი, ჩინებულად ესმოდა ტაქტიკა და საერთო ენა გამოენახა მებრძოლ ჯარისკაცებთან. ისე ლამაზად ლაპარაკობდა და იმ დონემდე იცოდა რუსული გრამატიკა, რუსსაც კი შეშურდებოდა. ბავშვობიდანვე გონებამახვილი იყო და ცდილობდა, რასაც სწავლობდა კარგად შეეთვისებინა, ზუსტად წარმოეთქვა, სად რომელ ბგერაზე უნდა გაეკეთებინა მახვილი, ან უნდა შეერბილებინა გამონათქვამი. ლაპარაკობდა რაც შეიძლება გასაგებად, ყოველგვარი ემოციის გარეშე. განათლებულთან განათლებულად, საშუალოსთან საშუალოდ, ბავშვთან ბავშვურად. არც ხულიგნებთან გაჭირვებია, საერთ ენის გამონახვა, ვის შეეძლო ასე ადვილად მოედრიკა და მოეგრიხა მისთვის კისერი, კი მართალია, გამხდარი და მაღალი, არც თუ ისე ღონიერი მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა და სწორედ იმ გარეგნულ სისუსტეს შეყავდა ცთუნებაში მასთან მორკინალნი, რომლებიც, შეერკინებოდნენ თუ არა, იმწუთშივე შეიგრძნობდნენ რკინისებურ სულის სიძლიერესა და თავდაჯერებულობას. ბევრ

თვითმარქვიას ასწავლა ჭკუა, მწარედ ანანა, ბევრს შეაგნებინა უსამართლოდ არავის უნდა მოექცე, მითუმეტეს, შენზე სუსტს. ლუკმის გამყოფი და გაჭირვებულთათვის დამხმარე და მზრუნველი კაცი იყო. სიამოვნებდა თუ ვინმეს ხელს გაუმართავდა, არც გასაკვირია. ისეთი ოჯახიდან გამოსულს, სხვანაირად რომ არ შეეძლო. მერყევი ხასიათი არ ჰქონია, თუ გადაწყვეტილებას მიიღებდა, წაგებაზედაც მიდიოდა. არ უყვარდა მიღებულის უარყოფა, აღებული გეზის შეცვლა. თუჯის ნერვების მქონეს, ხორციელი მოთხოვნილება წინ ვერ უსწრებდა სულიერს. ყოველთვის შეეძლო თავის მოთოკვა და გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალი მოძებნა. მოქმედებდა დინჯად და აუჩქარებლად.

ტყის მჭრელთა ბრიგადას ხელმძღვანელობდა, დღიური გეგმა ჰქონდათ დაკისრებული და აუცილებლად უნდა შეესრულებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მშივრები დარჩებოდნენ. საკვების ულუფა გეგმის აუცილებელ მინიმუმზე იყო დამოკიდებული. ადვილად უმკლავდებოდა ზემოდან დაკისრებულ ვალდებულებებს. დროსა და ძალას ისე ანაწილებდა მიცემულ ნორმებში ჩატეულიყო, გეგმისთვის რომ არ მოემატებინათ. ბრიგადის წევრებსაც უფრთხილდებოდა. გამოზომილად განსჯა ბევრად მეტს აკეთებინებდათ, დაღლილობაც არც ისე ეტყობოდათ, რაც მთავარია, სულიერად არ ეცემოდნენ, თავს მსუბუქად და ყოჩაღად გრძნობდნენ. სიმონიკა კარგი მოსაუბრე იყო, ისეთ თემებს არჩევდა სიძნელეები რომ ადვილად გადაეტანათ, მხიარულ გუნებაზე დაეყენებინა ყველანი. ზომიერად იცოდა ვისთან როგორ ეთქვა, ის რაც თავს გადახდენოდა, რაც უნახავს, სმენია და გამოუცდია, არასდროს არავის უყვებვოდა, უბრალოდ არავის ენდობოდა გარდა ვალიკო ქიქავასი, რომელიც ომის დროს ბათუმში გაიცნო. ერთად იბრძოდნენ ბათუმის დასაცავად, ახლაც ერთად იხდიდნენ სასჯელს, ერთად მუშაობდნენ, ერთად აგროვებდნენ უზარმაზარი ბერიოზის ხეების წვენსა და ერთმანეთს ჭირსა და სიხარულსაც უყოფდნენ. ბათუმელი იყო ვალიკო, ფაქიზი ბუნების, ყურადღებას აქცევდა საკუთარ თავს. ლამაზად იცმევდა, სულითა და ხორცით ინტელიგენტს, საზოგადოებაში ღირსეული ადგილი ეჭირა. ჯერ კიდევ, ჭაბუკობიდან იყო ჩაბმული აჭარელ მუსლიმანთა ფონდში, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებთან ერთად. ბევრი რამ შეისწავლა მათგან — კეთილსინდისიერება, სამშობლოს უანგარო სიყვარული და ადამიანის გატანა. ვერ ეგუებოდა უტიფრობას, სიცრუესა და უღირსობას. სიმონიკას კბილა იყო, ერთ წელში იყვნენ დაბადებულები. უყვარდა სიმონიკა, მოსწონდა მისი ვაჟკაცური შემართება, რომელსაც შეეძლო, სიცოცხლის ფასადაც რომ დაჯდომოდა, უნდა ყოველგვარი დაბრკოლე-

ბები გადაელახა, რათა განეხორციელებინა სარისკო და სახიფათო ჩანაფიქრი. ფეხდაფეხ მისდევდა მეგობარს, ცდილობდა გვერდიდან არ აცდენოდა. დროდადრო სიმონიკას შემოძახილი აფხიზლებდა: — ჩვენ მთაზე მცოცავი ალპინისტებივით სულ მაღლა და მაღლა უნდა მივილტვოდეთ, ადამიანები მიტომ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე, სულ სიახლის ძიებაში უნდა ვიყვეთ! მართალია, ყველა ვერ შევქმნით სიახლეს, მაგრამ, ყველანი უნდა ვეცადოთ, შექმნილის შესწავლას და, რაც მთავარია, დროს არ უნდა ჩამოვრჩეთ!..

ლექსებს წერდა ვალიკო. ფანქარი და ფურცელი ყოველთვის მოეპოვებოდა ჯიბეში. უცნაურ სასოწარკვეთაში ვარდებოდა თუ მუზა მუშაობის დროს მოაკითხავდა. ბავშვივით აცქმუტუნდებოდა, სიმონიკა ანთავისუფლებდა, სულ რამდენიმე წუთი ყოფნიდა, კარგად აღექვა ანგელოზის ნაკარნახევი. განმარტოება და მყუდროება, საჭირო ის დალოცვილი სიტყვები რომ ქაღალდზე გადაიტანო. წარმოიდგინეთ პოეტი და ისიც ბათუმელი. მზიან აჭარაში დაბადებული კაცი, როგორი სანახავი იქნებოდა ზამთარში, ორმოცდაათგრადუსიან ყინვაში ცულითა და ხერხით, უღრან ტყეში გასული, ან ლექსის წერის დროს თოვლში ჩაცუცქული ზეცისკენ მაცქერალი. ვინმეს რომ ფოტო გადაეღო იმ ვითარებაში და შემდეგ ნეგატივზე ეხილა, ხომ ემსგავსებოდა სიკვდილის ჩარჩოში მოქცეულ, აღსარების სათქმელად, მუხლმოდრეკილ კაცს, რომელიც სულს უფალს აბარებდა, ცოდვიან სხეულს კი სოლოვკის ყინულოვან მიწას. ეს ლექსი აღსარებასავით თქმული, სახსოვრად დაუტოვა სიმონიკას.

აჭარის მთები

რა ლამაზია ეს მთა ქოჩორა,
ნამი პალმებზე ჩამოცვენილი,
სიო დაყრილი, ცაში ტოროლა,
ხევში კი ნისლი ჩამოწვენილი.
რიჟრაჟმა სხივი ააყირმიზა,
ცაზე გაფრინდა მთვარე ობოლი,
დილის ნიავმა გამოიღვიძა
და მიაწყვიტა ხეზე ფოთოლი.
აჭარის მთებმა თვალი წაიღო,
წარსულ ზღაპრების ქრება ლანდები,
ტირილას მთამაც გული გაიპო,
რომ ზედ დაარგან ხე და ვარდები.
მთა შეუმოსავს ციტრუსოვანებს,

მანდარინების კალო დადგმულა,
ზღვაზე გედებმა დაიგვიანეს,
შაშვმა კი დილა აისულდგმულა.
ნეტავ, თუ არის სხვა ოაზისი,
ან სხვა ქვეყანა ამის მაგვარი,
რომ გულმა იგრძნოს შვება-ხალისი,
როგორიც არის აჭარის ტანი!..

სიცოცხლის ბოლომდე ატარა ეს ძვირფასი საჩუქარი. ჩემთვისაც ბევრჯერ წაუკითხავს. დამშვიდებულად გრძნობდა თავს როდესაც „ზღვაზე გედებმა დაიგვიანეს, / შაშვმა კი დილა აასულდგმულა“. განსაკუთრებული ტონით რამოდენიმეჯერ იმეორებდა. მერე ვალიკოს მოიგონებდა ხოლმე. თუ როგორ გაუთხარა საფლავი საკუთარი ხელით, სამშობლოდან შორეულ ტაიგაში, ფილტვებდახურულ საცოდავ ცხედარს და ახლობლების დაუტირებლად მიწას მიაბარა მეგობარი. ამას ისეთი განცდით მიყვებოდა, მეც ავღელდებოდი ხოლმე, თავს ზლუქუნისგან ძლივს ვიკავებდი. სირცხვილით თვალებზე მომდგარ ცრემლებს ვმალავდი. გონებაში წარმომიდგებოდა ხოლმე, უღრან ტყეში ობლად დარჩენილი საფლავი, ტურა-მგლებით გარშემორტმყული. ყურში გარკვევით ჩამესმოდა მათი გამაყრუებელი, შემზარავი ყმუილი. ბასრი ბრჭყალებით მიწის ჩიჩქნა, მცდელობა მიცვალებულის ხელში ჩაგდებისა და მისი გადასანსვლა. ვალიკოს სიკვდილმა დაღი დაასვა უფრო გულჩათხრობილი გახდა. ხელიდან გამოეცალა ადამიანი, ვისაც ენდობოდა, ვისაც გულს უშლიდა, არაფერს უმალავდა. ახლა ვიღა შემორჩენოდა საკუთარი თავის გარდა. აზრსა და შინაგან ტკივილს ვეღარავის უზიარებდა, ამიტომ გადაწყვიტა უბის წიგნაკში ჩაენიშნა, ყოველდღიური თუ არა, განსაკუთრებული მოვლენები. ბევრი იყვნენ ქართველები, მათ შორის კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც იმ დროისთვის უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი გახლდათ. რომანს წერდა, იგი განთავისუფლებული იყო ყოველგვარი იმ საშინელი შრომისგან, რასაც იქ მყოფნი პატიმრები ეწეოდნენ. ამ ერთადერთი შეღავათით სარგებლობდა, როგორც მწერალი მარტოდ და პატარა ვიწრო ოთახში ცხოვრობდა. რკინის საწოლი, პატარა მაგიდა და რამოდენიმე ფეხმონჯღრეული სკამი. სულ ეს იყო მისი ავლადიდება. სიმონიკა და დანარჩენი ქართველები, კვირაში ერთხელ, დასვენების დღეს, იკრიბებოდნენ მწერალთან სასაუბროდ. ხანდახან, ახერხებდნენ ოდნავ შეფერილ და ოდნავ ტკბილ ჩაის სმას, თანამოძმეებთან ბაასი და შეხვედრები, წერის უნარს მატებდა, პატიმრებს კი რომანიდან მოყოლილი გმირების თავგადასავლები, ამხნევებდათ და

წუთიერად ავიწყებდათ იმ საშინელებას, რაც თავს ჰქონდათ დატეხილი. სიმონიკა გაოცებული იყო მისი ნიჭიერებით, როგორი დახვეწილი ოსტატობით ახერხებდა მწერალი თანამედროვე მთავრობებისა და შორეული საუკუნეების წინ მცხოვრები მეფეების თუ იმპერატორებს შორის დახლართულ ინტრიგებს, რა ზუსტად ავლებდა პარალელებს თანამედროვე ცხოვრებასა და წარსულ ცხოვრებას შორის. სწორედ ამაში იყო ყველაფერი ის დიდი მწერლური ნიჭი, ის დიდი ტალანტი, რასაც სიმონიკა გამსახურდიას შემოქმედებაში ხედავდა. — უდიდესი მწერალია კოწიაო, ცოტა უცნაურიცაა, მაგრამ იმდენად დიდია, ყველა უცნაურობანი ეპატიებაო! — არაერთხელ უთქვამს ჩემთვის. პირადად სიჭაბუკეში მქონდა ბედნიერება სულ რამოდენიმე წუთით თვალი შევავლე იმ ლეგენდარულ ადამიანს ზემელზე, აკადემიის შენობასთან. ხოლო რაც შეეხება ბატონ ზვიადს, ახლოს ვიცნობდი. ყოფილ ცეკას გამომცემლობაში ვმუშაობდი, წიგნებისა და ჟურნალების სამჭედლოში, სადაც იკრიბებოდა ქართული საზოგადოების ელიტა და სწორედ იქ გავიცანი ჩვენი ქვეყნის მომავალი პირველი პრეზიდენტი.

მძიმე დროება იდგა. მკაცრი და შიმშილიანი. ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ თავის გადასარჩენად. კარტოფილს მოხარშვას არ აცლიდნენ, ნახევრად უმად ჭამდნენ. პოლიტპატიმართა ბანაკებში, შედარებით სხვა ბანაკებისა, სიმშვიდე იდგა, პოლიტპატიმრებთან ქურდებს, მკვლელებსა და სხვადასხვა დანიშნულების ჩამდენთ არ უშვებდნენ. მათ თავიანთი ადგილი ჰქონდათ მიჩნეული. მაგრამ სულ სხვა სურათი იყო იქ, სადაც სასჯელს იხდიდნენ, ქურდები, ხულიგნები, მკვლელები, ჯიბგირები, ლოთები და არიფები, ერთმანეთს არ ინდობდნენ. ქურდებს ხელთ ჰქონდათ ჩაგდებული ძალაუფლება და ცდილობდნენ, როგორც უმაღლესი შავი სამყაროს წარმომადგენლებს, მათ ეკონტროლებინათ ყველაფერი, მოეწესრიგებინათ ურთიერთდამოკიდებულება პატიმართა შორის, მაგრამ მათ მოთხოვნებს არ ემორჩილებოდა ეგრეთ წოდებული „მუჟიკები“. მუჟიკებს არ მოსწონდათ ქურდების მიერ დაკანონებული კანონები, ვინ მოგცათ თქვენ იმის უფლება, პატიმრები აიძულოთ, სახელმწიფო ჩინოვნიკებს დაემორჩილონ, სამუშაოდ გავიდნენ და თქვენს წინაშე ქედი მოიხარონო. მოკლედ, ეს გაუთავებელი დავა, საბჭოთა იმპერიის დარღვევის შემდეგ დღემდე დარჩა ამოუხსნელი, რატომ მაინცდამაინც ქურდები უნდა ყოფილიყვნენ ციხეებისა და ბანაკების ბატონ-პატრონნი? ციხეები დამნაშავეების გამოსასწორებელი დაწესებულებაა და არა ვიღაც-ვიღაცეების კერძო საკუთრება. იქ მოხვედრილი პირებიც ერთნაირია, არ არსებობს მაღალი და დაბალი დამნაშავე, ანუ „არიფი“, როგორც თავად ქურდები მოიხსენიებდნენ. ჩემთვის გაუგებარია ვის მოუვიდა

თავში პირველად ამ სიტყვის გაუბრალოება, ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში მხცოვანმა შოთამ, თავის უკვდავ პოემაში მეგობრობის, მოყვასის გაგებით იხმარა „მოვიდა იგი არიფი“ და არა იმ სახით, რაც დღეს საზოგადოებაშია მიღებული...

ახლადფეხადგმულ საბჭოთა ქვეყანას შენება და განვითარება ხომ უნდოდა, შემდგომი გაძლიერებისათვის ხომ საჭირო იყო იმ ვეებერთელა სივრცეში განლაგებული სიმდიდრის ათვისება. შორეულ აღმოსავლეთ ციმბირსა, ჩრდილოეთ მხარეებში მაღაროებსა და ქალაქების შენება, ვერცხლის, ოქროს, სპილენძისა და გაზის მოპოვება, ტყეებს გაჩეხვა, სარწყავ არხების გაყვანა. ჰოდა, პატიმრები იყო ყველაზე იაფი მუშახელი, რომელიც სახელმწიფოს უჯდებოდა. ისტორიიდან ვიცით ძველი ეგვიპტის პირამიდები ნახევრადმშიერმა მონებმა ააშენეს, მაგრამ სიმართლესაც ვერსად გაექცევი. მაძღარი კაცი რომ უფრო ზარმაცია ეს ყველამ იცის, რაღაც უნდა ეღონა სიმონიკას, ყოველგვარი დაბრკოლება უნდა გადაელახა, არ უნდა ეღალატა საკუთარი თავისა და რწმენისათვის, რომ იმ ჯურღმულიდან გამოეღწია ინტუიციით თუ ანგელოზთა კარნახით ხვდებოდა, თავისი წილხვედრი, რაც უნდა გაეკეთებინა ამ ქვეყნად, დიდ დროს მოითხოვდა. ხანდახან სატანური შავი ძალები შეიპყრობდა ხოლმე, მაგრამ თავის დასაცავად ნებისყოფის ძალა ბარიერად წინ აღუდგებოდა, პერანგის შიგნითა ჯიბეში დათას ნაჩუქარი ღვთისმშობლის ხატი ჯავშანივით იცავდა ბოროტისაგან და ამით კმაყოფილი რჩებოდა. „რწმენა, რწმენა და რწმენის ძალას ნუ მომაკლებ, ღმერთო! აგრეთვე შემეძლოს სხვის სისუსტეთა თანაგრძნობის უნარი! ღმერთო დამეხმარე, მშვიდად გადავიტანო სიძნელეები, შთამინერგე ვიცხოვრო ისე, რომ ვიყო ახალ-ახალ ძიებაში, მომანიჭე სიფხიზლე და მომეცი ნებისყოფა ჩემი მიზნების მისაღწევად“... შესანიშნავი ჯანმრთელობა, ლტოლვა უსასრულო სიცოცხლისაკენ, მოწყენილობასა და დარდს უქარვებდა. ყოველგვარ სისაძაგლეს ზერელედ უყურებდა. ამას ჩეკისტთა თვალის ასახვევად აკეთებდა, რადგან დაუნდობელი ჩეკისტები თუ ვინმეს შეატყობდნენ სიძულვილს ნებისმიერ სამუშაოს მიმართ, ან თუ ვინმეს მყრალი სუნის მიმართ ალერგია ემართებოდა, სპეციალურად იმ სამუშაო ადგილს მიაჯაჭვავდნენ, რომ ფსიქოლოგიური ზეწოლა მოეხდინათ და გაენადგურებინათ. ისინი ჩუმად აკვირდებოდნენ სიმონიკას, ეძიებდნენ მასში სუსტ წერტილსა და რწმუნდებოდნენ, რომ ის მდგრადი, მტკიცე ნებისყოფის, გამიზნული ადამიანი იყო. ადვილად შეეძლო დაეძლია ყოველგვარი დაბრკოლება, გამომდინარე მტკიცე და შეუპოვარი ხასიათისა...

ნელ-ნელა იწურებოდა დრო, ნელ-ნელა იმარცვლებოდა თითეებზე ჩამოსათვლელი თვე და კვირეები. საშინელი წარსული ქვეცნობიერების ფსკერზე ილექებოდა, ანაზდეულად უჩინარდებოდა და უკვალოდ ქრებოდა. მხოლოდ უბის წიგნაკში ჩაწერილი მოვლენები სქელდებოდა და სამაგიდო წიგნს ემსგავსებოდა. თითქმის ყველა ქართველის გვარი და სახელი იყო აღნიშნული, მათ შორის, სხვა დანარჩენი ახლობლებისიც, რომლის საფლავებიც დარჩა იქ, იმ ჯვარცმულ კუნძულზე. გულზე სევდა მოაწვებოდა გადაყვითლებულს საკუთარი დღიურების ფურცლებს თვალს რომ ავლებდა, ყველაფერი ისევ რომ ასულდგმულებდა თვალნათლივ, როცა საფლავებიდან წამომდგარ ახლობლების აჩრდილებს მიჩერებოდა. სწყინდა რომ მათი ცხოვრება ასე ტრაგიკულად დამთავრდა, ვერ მოასწრეს საკუთარი ნიჭის ბოლომდე გამოვლინება.

წერილებს ღებულობდა, წერილობითი კავშირი ნაზ გრძნობებს უღვიძებდა ცოლ-შვილის მიმართ. ექვსი წელი იწურებოდა, რაც არ ენახა ისინი. მხოლოდ სიზმარში ეძლეოდა ამის საშუალება და მხოლოდ იმ შემთხვევაში, დაწოლის წინ, ღმერთს თუ მთელი არსებით შეთხოვდა. ღამე ხილვები ეწყებოდა, წითელვაშლალოყება ლილი, მაღალი მობუბუნე მუხების ჩრდილში მჯდომარე კატიუშა და დარდისგან დალეული დედა ეცხადებოდნენ. მთელი ღამე ასე დახეტიალობდა მოგონებათა ლაბირინთში, დილით ჩვეულებრივ დგებოდა, ნაუცბათევად წაისაუზმებდნენ, წყალ-წყალა ბარდიანი სუფით, შემდეგ უდაბურ ტყისკენ გაუყვებოდნენ ბადრაგებთან, გამოცდილ მაუზერისტებთან ერთად. ზაფხულობით ტყეში სოკოს აგროვებდნენ, იოლად გადიოდნენ, შიმშილი ისე აღარ აწუხებდათ, მაგრამ ვაი, რომ ერთი ჩასუნთქვასავით მთავრდებოდა სანუკვარი დღეები. ფიჩხზე შემწვარი სოკო ხომ მართლა მეტად მარგებელი იყო დამშეული კაცისთვის. საინტერესო და თვალწარმტაცია ბუნებაც იმ დროს, მთელ არხანგელსკის ოლქში, კაშკაშა მზე დღე-ღამის განმავლობაში თავზე დაჰნათოდა აშოტილ ხეებსა და ფრინველთა გამუდმებული ჟივილ-ხივილი კლასიკურ მუსიკასავით ატკბობდა სმენას. ეჰ, რამდენი ლამაზი აზრი მოსვლია გონებაში სოლოვკის თეთრ ღამეებში, უდროო დროს გამოღვიძებულს და შეუტანია დღიურში: „ერთი შეხედვით, თითქოს წალკოტსა ჰგავს ეს მხარე, მაგრამ ჩეკისტებივით დაუნდობელია, აქ მცხოვრები კაცი სულ ნატვრაშია, ზაფხულობით კოღოები სწოვენ სისხლს, ზამთრობით ყინვა უსპობს სხეულს, ზაფხულში ყინვას ნატრულობს, ზამთარში — ზაფხულს“.

როგორც ხდება ხოლმე მოლოდინში მყოფ ადამიანებს ეჩვენებათ, დარჩენილი მცირე დროის მონაკვეთი საუკუნესავით იჭიმება. სულ

ცოტა და მის ცხოვრებაში ახალი ფურცელი გადაიშლებოდა, მზიურ საქართველოს დაუბრუნდებოდა და სამუდამოდ გამოემშვიდობებოდა იმ ჯოჯოხეთურ მხარეს. ჩემოდანს ამზადებდა, თვალი სამხრეთისაკენ ეჭირა, მაგრამ ერთმა საბედისწერო შეცდომამ წყალში ჩაუყარა ყველაფერი, რომ არ მოელოდა ისე განთავისუფლებისას გაჩხრიკეს, დღიურები ჩამოართვეს და უკანვე შეაბრუნეს. მკაცრი და მომთხოვნი იყო „ჩეკა“, ვინ აპატიებდა, თავადაც არ გაითვალისწინა ოცდათხუთმეტი წლის მოწიფულმა ვაჟკაცმა, ერთი არასწორი ნაბიჯის გადადგმას რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა. სიტყვა-სიტყვით გამოარკვიეს და გამოიძიეს, რატომ აფასებდა იგი ჩეკისტთა მოქმედებას არასწორად და ადარებდა მათ სისხლისმწოველ კოღოებს. რაღა ეთქმოდა, ფაქტის წინაშე დააყენეს, ექვსი წელი მიუსაჯეს. ახლა კი მთელი ცხოვრება დაამახსოვრდა, ბრძოლის ველზე გაგონილი ბრძული პატარა არაკი: „ადამიანი კარგად რომ გაიცნო, ფუთი მარილი უნდა შეჭამო მასთან ერთადო!“ მაინც შეცდა, ვიღაცას ენდო, იმ ვიღაცამ ჩაუშვა, სასჯელი შეიმსუბუქა, ან რაღაც უმნიშვნელო საჩუქარი მიიღო ბანაკის ხელმძღვანელებიდან. როგორი საქმე იყო თავიდან ისევ პატიმრული ცხოვრების დაწყება, ხელახლა საკუთარი თავის ხელში აყვანა, ნერვების კვლავ რკინისებურად გარდაქმნა და კვლავ ძიება გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლისა. ისევ წინ უნდა გადაედგა მყარი ნაბიჯი, დამარცხების გადატანა, მხოლოდ არ შეპუება და ბრძოლა გამარჯვებამდე! მორწმუნე ოჯახში დაბადებული და აღზრდილი თავისი სიცოცხლის მანძილზე მორწმუნედ დარჩა. სწორედ სარწმუნოებამ გადაარჩინა და შეუძლებელი შეაძლებინა. „ჩემო პავლე და ძვირფასო ტასო, — წერდა თბილისში ბიძაშვილსა და რძალს, — გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი, ყველას გული გატკინეთ, ბოდიშს გიხდით, მაპატიეთ ღვთის გულისთვის, ჩემი უგუნური საქციელით უარყოფითი მოვლენებისკენ გადახრა“. წუხდა პავლე მაგრამ არ შეეძლო დახმარებოდა, პოლიტპატიმრების ხელისგამართვა არც თუ ისე იოლი საქმე იყო. მთავრობა მით უმეტეს ნაწილს, „ხალხის მტრებად“ მიიჩნევდა. ვინ ირკვევდა მაშინ სიმართლეს, სანამ ბოლომდე არ მოგიგრეხდნენ კისერს, სანამ გონებასა და შეხედულებებს არ აგიმღვრევდნენ და არ შეგაცვლევინებდნენ, მანამდე ვინ გაგათავისუფლებდა. პავლემ სტალინთან დააპირა მიწერა, საწერ მაგიდას მიუჯდა, ბევრი იფიქრა, ჩუმად ოხრავდა, ეჩოთირებოდა რამე ეთხოვა ისეთი ადამიანისთვის, რომელსაც ხელთ ეპყრო მთელი სახელმწიფო ძალაუფლება. იწრიალა და ბევრი ებრძოლა საკუთარ თავს, მაინც არ მიწერა. თუმცა, დარწმუნებული იყო სტალინი უყურადღებოდ არ დატოვებდა, ანგარიშს გაუწევდა... საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების

შემდეგ საგამომცემლო საქმეებით იყო დაკავებული, გაზეთის რედაქტორობაზე უარი განაცხადა. მის შერყეულ ჯანმრთელობას გამომცემლობა უფრო მიესადაგებოდა, ნაკლებად უწევდა ნერვიულობა, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, გული დროდადრო მაინც ახსენებდა თავს, შემოუტევდა და მწარედ შეუფრიალდებოდა...

მრავალი წიგნი გამოიცა და მიაწოდა ოსმალეთსა და ფერეიდანში მცხოვრებ ჩვენებურებს. ქართულ ენაზე გამოცემული ანბანი გულში მაგრად ჰქონდათ ჩახუტებული, ბედკრული საქართველოს სახელი კი მეხსიერებაში ღრმად ჰქონდა ჩაჭედილი. ეცოდებოდა სამშობლოდან, დროის უკუღმართობით, ძალად წალეკილი თანამემამულეები, სულსა და გულს არ დაიშურებდა, ოღონდაც რაიმე დახმარება გაეწია მათთვის, რაიმე ქართული ნივთი მიეწოდებინა, როგორც სათაყვანო კერპი. ჟორდანიას მმართველობის დროს უფრო ახერხებდა, ხშირად ჩადიოდა ფერეიდანში, ხვდებოდა, ანეგდოტებსა და სხარტ გამონათქვამებს იწერდა მათგან. თავადაც ჩამოდიოდნენ საქართველოში, ტკბებოდნენ ქართული ბუნებითა და ჰაერით. ეძიებდნენ ისტორიულ ღირსშესანიშნავ ძეგლებს, ყოველი დანგრეული ციხე-კოშკების ნახვისას, სასოწარკვეთილებაში ვარდებოდნენ და შაჰს აუგად იხსენიებდნენ. კიცხავდნენ მის მხეცურ საქციელს და ხმამაღლა ილანძღებოდნენ. საღამოობით, მთელი დღის ნასიარულები, ისვენებდნენ, მერე ბუნებაში გრძელ სუფრას გაშლიდნენ, არომატულ ქართულ ღვინოს ქართულ გემრიელ კერძებს ატანდნენ. შეზარხოშდებოდნენ თუ არა, „ელია, გოგო ელია“-ს მღეროდნენ და ცრემლებით დანამულ თვალებს ჩუმად იწმენდნენ, ერთმანეთს არიდებდნენ...

უჭირდა უქმროდ დარჩენილ კატიუშას ოჯახის გამოკვება, სამსახური ღვთის ნებით კი ჰქონდა, მაგრამ იქ აღებული კაპიკებით შეუძლებელი იყო ცხოვრება. თანაც ქალიშვილიც წამოეზარდა, ლილი უკვე სკოლაში სწავლობდა. არადა, როგორ ელოდა სიმონიკას, როგორ იმედებს ამყარებდა და ასე უცბად როგორ გაუცრუვდა, რომ არ ელოდა ისეთ დიდ განსაცდელში აღმოჩნდა, მაგრამ შეძლო საკუთარი თავის დარწმუნება, რომ ყველაფერს შეძლებდა და უკეთეს ცხოვრებას მოიწყობდა. გამოსავალი გამონახა. მკერავის პროფესია უნდა შეესწავლა, გადაწყვეტილება მიიღო და შეუდგა მის განხორციელებას. ბარიერის გადალახვა არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა, სამსახურთან და სამზარეულოსთან შეხამებული ახალი პროფესიის ათვისება ცოტა დამქანცველიც იყო, მაგრამ დედები ხომ ყველაფერს იტანენ შვილებისათვის! ღმერთსაც ამას ევედრებოდა მიეცა ძალა და უნარი. ერთი წლის განმავლობაში ისე დაოსტატდა, თბილისელი ლამაზმანებისგან მოსვენება აღარ ჰქონდა. გემოვნებიანი მოხდენილ კაბებს კერავდა.

ამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მაგრამ ამას კი ვერ წარმოიდგენდა რაფიელ ერისთავის შთამომავალი, ოჯახის გამოსაკვებად, თუ ოდესმე ხელში ნემსს აიღებდა. რევოლუციამ როგორ შეცვალა დროება, ვინ იფიქრებდა, ყოფილ ტუსიშვილების მამულებს თუ სოფლის გლეხობას დაურიგებდნენ. ქონებას ჩამოართმევდნენ, ულუკმაპუროდ და შიშვლად დატოვებდნენ. უსიტყვოდ, ჩუმად იტანჯებოდა დედა-შვილი, კატუშას ქმარი ენატრებოდა, ლილის მამა, ფიქრობდა და ვერ მიმხვდარიყო — რატომ, რისთვის მოხვდა მამა გადასახლებაში? ხშირად წერდა წერილებს, მოწყენილი იყო უიმისოდ, ყოველ წუთს ელოდებოდა მამის გამოჩენას... ზაფხულობით, სკოლაში სწავლა რომ შეწყდებოდა, კატუშას ლილი ცუცუნა ბებიასთან ჩაჰყავდა დასასვენებლად. თავადაც ძალიან უყვარდა საქარა, განსაკუთრებით მაშინ, თუ პავლე და ტასო იქ იმყოფებოდნენ. კატუშა თბილად ექცეოდა დედამთილს, ღიმილიანი სახით ხვდებოდა ცუცუნაც, ალაგებდა, ასუფთავებდა, სადილს ამზადებდა და ყველანი კმაყოფილები იყვნენ. ტასოსთან ერთად უწინდელ, ყმაწვილქალობის მზიან წლებზე საუბრობდა. ლილი ერთობოდა მამიდაშვილებთან ერთად, ნელი და მარგო ნადირაძეებთან, ისინი ბევრად დიდები იყვნენ, ადვილად დაძვრებოდნენ ხეებზე ლეღვებითა და ვაშლებით პირს იტკბარუნებდნენ, გემრიელ ნადავლს ლილისაც უნაწილებდნენ. ნელი და მარგო თამარის გარდაცვალების შემდეგ, თბილისიდან აგნესია ბებიამ წამოიყვანა ქუთაისში, სკოლაშიდაც მიაბარა ორთავე და დედობასაც უწევდა ობლებს, კოლაუმ მეორე ცოლი შეირთო და თბილისში განაგრძო ცხოვრება. პირველი ბებიიდან მეორესთან, საქარაში რომ გადმოინცვლებდნენ გოგოები გაცილებით თავისუფლად გრძნობდნენ თავს, თუმცა განებივრებით არც ცუცუნა ანებივრებდა. ის მხოლოდ შედარებით რბილი ხასიათის ქალი იყო, მეტ გასაქანს აძლევდა, ამაში დროც დიდ როლს თამაშობდა, არდადეგების პერიოდში გაკვეთილები არ ჰქონდათ მოსამზადებელი. აგნესია ცუცუნასთან განსხვავებით მკაცრი ხასიათით გამოირჩეოდა, მეტად მომთხოვნი იყო, დროს უქმად არ აკარგვინებდა, რომ წამოიზარდნენ, როდესაც თეთრისა და შავის გარჩევა დამოუკიდებლად შეძლეს, მაშინ მიხვდნენ ბებიის კრიტიკა რარიგად სამართლიანი და ჭკვიანური ყოფილა. სწორედ მისი წყალობით შეითვისეს ოჯახური ტრადიციები, სიკეთე და ბოროტება, დაუმსახურებულის უარყოფა, დამსახურების მიღება.

ლილი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ბებიის საძინებელ ოთახში მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმულ, კედელზე ჩამოკიდებულ მამიდების სურათებს. ცუცუნა ცრემლმორეული უყვებოდა იმ მწარე ხვედრზე, რაც ბედისწერამ არგუნათ ნინასა და თამარს. ოთახის კუთხე-

ში, ბუხართან თვალში ხვდებოდა, ასომთავრულით დაწერილი აფიშა, რომელზედაც განსხვავებული, მსხვილი შრიფტით ეწერა, ნინა საყვარელიძის კონცერტი. ასაკით პატარა იყო და იმდენს ვერ აცნობიერებდა ამოეხსნა ვინ იყვნენ, რას წარმოადგენდნენ მამიდები? მაგრამ გუმანით ხვდებოდა, ისინი განსხვავებული ქალები რომ იყვნენ. თამარი კინოეკრანზე ჰყავდა ნანახი, დედამ კინოს საყურებლად წაიყვანა და ყველაფერი აუხსნა. სწორედ მაშინ, პირველად წამოცდა და დედას გამოუტყდა — მეც მინდა მამიდაჩემივით მსახიობი გამოვიდეო... მამა არ ახსოვდა, ორი წლის ასაკში ვერ მოასწრო მეხსიერებაში ჩარჩენოდა მისი სახის გამოსახულება. მხოლოდ ფოტოებით იცნობდა. გარეგნულად ამსგავსებდნენ, ხმელი, მაღალფეხება, თეთრი კანის ფერითა და გრძელი ლამაზი ხელის თითებით. გული სიხარულით ევსებოდა, როდესაც შეხედავდნენ და აცხადებდნენ: „ალი-კვალი მამისაარ“... მართლა საოცრად ჰგავდა და საოცრად უყვარდა მამა. გულში იხუტებდა, სამხედრო ფარაჯაში გამოწყობილ სურათს, მამის მუხლებზე ჯდომას ნატრობდა. გული წყდებოდა, რომ თანატოლი სხვა ბავშვებივით, არ შეეძლო ქუჩაში გამოსულიყო, მამისთვის ხელი ხელში ჩაეკიდა და ამწვანებულ პარკში ესეირნა. როდესაც სკოლაში დაიწყო სიარული კატიუშამ, ბუნებრივია, მეტი ყურადღება დაუთმო, რაც შეეძლო გვერდიდან აღარ შორდებოდა, სწავლაზე გული რომ არ აეცრუებინა. კარგად ესწავლა და ისეთი განათლება მიეღო, როგორიც მათ ოჯახს სჩვეოდა. პარალელურად მუსიკასაც სწავლობდა. წარმატებულად ითვისებდა, ნიჭიერებაც ხელს უწყობდა, თავადაც მოწადინებული იყო. მამას წერდა სასახელო ქალი უნდა გავხდეო. კატიუშა ჭკვიანი ქალი იყო და სარწმუნოებრივ განათლებასაც არ აკლებდა. ბევრს უყვებოდა ღმერთსა და ეკლესიაზე, კეთილშობილებაზე, ადამიანების მიმართ სიყვარულსა და კლდემამოსილებას უნერგავდა. ლოცვებს აკითხებდა. კი მართალია, იმ დროს აუგად იხსენიებდნენ ღვთაებასა და ღვთაების მსახურებასაც, მაგრამ ენერგიული დედა ჩუმად მაინც ახერხებდა, ბავშვს პატარა წარმოდგენა ჰქონოდა სარწმუნოებაზე. ამ მხრივ არც ბებიები ზოგავდნენ ძალ-ღონეს, ორთავენი მოწოდებით ქრისტიანი მართლმადიდებლები იყვნენ და ღვთისმოსაობაზე ესაუბრეობდნენ. საწყის ეპოქას ბებიებმა ალღო ვერ აუღეს, განსაკუთრებით ელენე რაფაელოვნა, ვერაფრით ვერ შეეწყო ახალ ცხოვრებას. ვერ ეგუებოდა თავად-აზნაურთა დაკნინებას, უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა. თუმცა, ბუნებით კეთილი და მშვიდი გახლდათ. ერისთავობას ვერ თმობდა, ლილის შთააგონებდა ვისი გორისა იყო დიდი ბაბუის ლექსს „სამშობლო ხევსურისა“-ს ლოცვასავით გამოთქმით აყოლებდა.

სიმონიკაზე ჯავრი არ ასვენებდა ცუცუნას, ყოველივეს განიც-

დიდა, ხან ამართლებდა, ხან ადანაშაულებდა შვილის საქციელს — ასე ტყუილუბრალოდ როგორ გაიტანჯა თავიო. — კიცხავდა გუნებაში. ცდილობდა მკაცრი ყოფილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა, ლმობიერებას ვერ გადადიოდა, თანაც დედობრივი სიყვარულიც ქენჯნიდა, ბრაზობდა და საკუთარ თავზე იყრიდა ხოლმე ჯავრს. სამი შვილიდან ერთი სიმონიკაღა დარჩა ცოცხალი და ისიც შორეულ სოლოვკაში გადაუსახლეს. თავადაც საკმარისად გატანჯა წუთისოფელმა, გვერდიდან ჩამოაშორა ყველაზე ძვირფასი ადამიანები. მაგრამ მიუხედავად ამისა, ოჯახის ერთგული დარჩა, ღირსება არ დაუკარგავს, ღირსეულად ატარა ქართველი ქალის მანდილი. ასი წელი იცოცხლა, საუკუნე უბოძა უფალმა იმისთვის, რომ ესვა და ეგრძნო შხამითა და შარბათით სავსე ფიალები და გემო შეეგრძნო ამ უცნაური წუთისოფლისა. ასი წელი იცოცხლა და ბოლომდე შერჩა გარეგნული სიმშვენიერე, კარგად მახსოვს როგორ კოპწიაობდა, წელგამართული, მხრებში მოუხრელად, მოხდენილად რომ დადიოდა. სიბერემ ვერც სიამაყის გრძნობა დაუკარგა, რომელიც ავალიანების მოდგმიდან ჰქონდა გამოყოლილი. როგორც იმ დროს შეეფერებოდა სიცოცხლის ბოლომდე შავები არ გაუხდია. თუ სადმე იყო წასასვლელი, სატირალში, ან სოფლის საბჭოში, თავს მოიწესრიგებდა, გამოსასვლელ ტანსაცმელს დააუთოვებდა, თავზე შავ თავსაბურს ჩამოიფარებდა, ისე რომ მხოლოდ თვალები და ოდნავ კეხიანი ცხვირი უჩანდა, კოხტად გათლილი ჯოხით გაუყვებოდა სოფლის თემშარას. გარეგნულად ისე ლამაზი იყო, სამგლოვიარო ფერებიც კი უხდებოდა. უყვარდა საკუთარ თავზე ზრუნვა, სუფთად ჩაცმა, ტანსაცმლის ტანზე მოხერხებულად მორგება და გამართული სიარული.

ვინ იცოდა, რამხელა ტვირთი დაჰქონდა იმ სუსტი მხრებით, რამხელა ტკივილი იმ პატარა მგრძნობიარე და სათუთი გულით. საინტერესოა, როგორ უძლებდა?! როგორ შეინარჩუნა ნარნარი ტანი და არაჩვეულებრივი სიმშვენიერე.

28

ხმაურიანი მშენებლობით დაიწყო სტალინის ეპოქა. ირგვლივ გამეფებული დუმილი, წერაქვების, ნიჩბებისა და ორთქლმავლების გამაყრუებელმა კივილმა დაარღვია. ზესტაფონში ფეროს ქარხნის მშენებლობა მიმდინარეობდა. ცემენტის მტვრისაგან დაფარული და სიძველისგან ალაგ-ალაგ კედელმორღვეულ ვაგონებით შემოჰქონდათ სამშენებლო მასალა. დაჟანგული ბორბლების ღრჭიალი, ორთქლმავლების კივილი ახშობდა ყურთასმენას. წითელქუდიანი, სად-

გურის მორიგე, წინდაუკან სირბილით გაოფლიანებული შუბლის წმენდას ვეღარ აუდიოდა. სადგურის შესასვლელთან ჩამოკიდებული ნათურა უღიმღამოდ ბჟუტავდა. ისმოდა შემდგენლების სასტვენების ხმა, ჩიხში ჩასაყენებელი ვაგონების აღმა-დაღმა ტარება, მეისრეების გინება, რადიოთი გადაცემული „დისპეტჩერების“ ბრძანებები. ერთი სიტყვით, პირველი შთაბეჭდილება, ხალხის კეთილდღეობის მოწყობისთვის დუღდა და გადმოდუღდა ქვეყანა. იჩეხებოდა მაყვლის ბუჩქებითა და პირქუში აკაციებით გადაბურული გარემო, საფუძველი ეყრებოდა მძიმე ინდუსტრიის გიგანტ წარმოებას, გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით. გიორგი სანდომიანი მზერითა და ღიმილით ეგებებოდა მშენებლებს. დიდი ნიკოლაძეების ოჯახიდან გამოსული, განათლებული და თავმდაბალი კაცი, ყოველთვის ცდილობდა ხალხთან სიახლოვეს, საერთო ენის გამონახვას. მან ძალიან ჭკვიანურად განსაზღვრა თავისი ადგილი, ხალხთან ურთიერთობა ტკბილი ენით იყო შესაძლებელი. რუსთაველისა არ იყოს „გველს ხვრელიდან ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“-ო. ის აფასებდა ხალხის შრომას, ინტერესით ეკიდებოდა ყველა შექმნილ პრობლემებს და ცდილობდა ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა. ხალხი მიენდო, როგორც ხელმძღვანელს, როგორც გონებამახვილსა და ინტელიგენტს. მას საიმედო საყრდენად მიიჩნევდნენ, მშრომელების ღონიერი, ფართო რკინისებური ხელის მტევნებით დაწყებული საქმე ნელ-ნელა კეთდებოდა, მთავრობა კი განვითარებული ქვეყნების დაწევასა და გასწრებას მოუწოდებდა საბჭოეთს.

სოფელში მცხოვრებთათვის შეიქმნა კოლექტივები, რომლებიც ერთად აერთიანებდა მიწის მომუშავე გლეხობას. მემამულეებს ჩამოერთვათ მიწის ფართობები, სახლები, პირუტყვი და გადაეცა სახელმწიფოს. შენდებოდა ფერმები მსხვილფეხა პირუტყვებისთვის, სახელმწიფო იღებდა გლეხებიდან კვერცხს, რძეს, ხორცს და აწარმოებდა აღნიშნული პროდუქციის გაყიდვას რაიონებსა და ქალაქში მაცხოვრებლებზე. გაკულაკებას ვერ აცდა დათა საყვარელიძე, სოფლის ყოფილ მღვდელს ზედმეტი მიწები ჩამოართვეს, კიდევ კარგი, რომ სახლიც არ გააყოლეს ხელს, ანგარიში გაუწიეს როგორც მრავალრიცხოვან ოჯახს, ბესარიონ საყვარელიძესავით უსახლოდ არ დატოვეს. ბესარიონის ჩამორთმეულ სახლში სოფლის შვიდწლიანი სკოლა გახსნეს, მოგვიანებით რვაწლიანად გადააკეთეს. თითქმის სამოცდაათიან წლებამდე იარსება, მეც მომიწია იქ სწავლამ. ბესარიონის შვილიშვილთან გივი საყვარელიძესთან ერთად, სანამ ქუთაისში გადამიყვანდნენ. მრავალი სასახელო ინჟინერი, ექიმი თუ პედაგოგი აღზრდილა იქ, სადაც ერთ დროს თავად სტალინს ახალგაზრდობაში

გრიგოლ და ბესარიონ საყვარელიძეებთან ერთად ჭინჭილით ღვინო შეუსვამს... მარანი დაუტოვეს საცხოვრებლად ბესარიონს, საკმაოდ მოზრდილი ფართითა და მუხის ფიცრისგან მაგრად შეკრული. ჯაჯღანებდა ხოლმე ბესარიონი, როდესაც თავისეულ მიწაზე მომუშავე გლეხობას დაინახავდა. კვიმატი ენა ჰქონდა, კვიმატურად შეუტევდა ხოლმე. გადახუნებულ კიტელებში გამოწყობილ ბრიგადირებს. ემოციისგან მსხვილი ნიკაპი უცახცახებდა: — იცით რას გეტყვით, ეშმაკის ტარტაროზებო, მშივრები შემოიჭერით ჩემს მამულში, წამართვით და გეგონათ კუჭს ამოიძღებდით, მაგრამ ღმერთი ზემოდან იხედება, მშივრები და უნიფხოები იყავით და მასეთი დარჩებით თქვენი დღე და მოსწრება. მე იმდენი მაინც დამრჩა ბულკი მივირთვა, თქვე ეშმაკის მაშხალებო, თქვენა!

აივანზე ისხდნენ, დათას უკან გადაწეული თმა და წვერი მთლად გაჭაღარავებოდა, მაღალი შუბლი და გრძელი, ბამბასავით თეთრი წვერი ხალისიანი თვალები ძველებურად შერჩენოდა. ისევ შერჩენოდა მბრწყინავი შუქი, რომელშიც ისახებოდა ხოლმე სიკეთით სავსე განწყობილება. ვანო და ცაბუა უმშვენებდა გვერდს. შვილისა და რძლის შუაში მოკალათებული თავს უქეიფოდ გრძნობდა, თან თვალს ვერ აშორებდა საძინებლის ნახევრად ღიად დატოვებულ კარს, სადაც საწოლზე მიჯაჭვული მარიამი სიკვდილს ებრძოდა. ცაბუა ხშირად გადიოდა, წამლებს აწვდიდა დედამთილს, იგი აღელვებული და დაბნეული ჩანდა, ვარდისფერი სახე დედამთილის ყოველ წამოკვნესებაზე უფერმკრთალდებოდა. შიშისაგან თვალები უფართოვდებოდა. გრძნობდა ულმობელ სიკვდილის სიახლოვეს, წინ ეღობებოდა, ენანებოდა მარიამი, სასიკვდილოდ ვერ იმეტებდა.

ვანო დედის მკრთალ სახეს ჩაფიქრებული შეცქეროდა, „რაა მაინც ეს ოხერი სიბერე, როგორ სანთელივით გაილია საწყალი, ცხონებულმა ვარლამის სიკვდილმა მოუღო ბოლო! ნამეტნავად გულთან ახლოს მიიტანა, სულ სხვაა მაინც დედის გული! ერთ წუთსაც არ დავიწყებია! თითქმის ყოველდღე იხსენებს, ჩვენ კი იშვიათად თუ გაგვახსენდება, რას იზამ? ასე ყოფილა მოწყობილი წუთისოფელი“.

თანდათანობით უქმდებოდა მეფის გადმონაშთი, დაშალეს მაზრები, რაიონებად დაყვეს. შოროპნის მაზრა ზესტაფონის რაიონად შეიცვალა. ასე გაგრძელდა მთელ საქართველოში. ძმებისგან განსხვავებით ვანომ ვერ დათმო მშობლიური კუთხე, ბაღჩეული, ცვრიანი მიწის სურნელი, მაღალი მუხების შრიალი, ზამთრობით თბილი ბუხარი, კარდალზე ჩამოკიდებული თუჯის თუხთუხა, ვიჩინით სავსე ქვაბი, დედ-მამის მოწყენილი, ლოდინით სავსე სევდიანი თვალები, აივნის კიბესთან გაგორებული ბახულა, ყველაზე ერთგული არსება,

თავლაში მოჭიხვინე მოწითალო ფერის ცხენი და კოინდრით გადამწვანებული ეზო... მაგრამ ის, რაც ვერ შეძლო ვანომ, ადვილად შეძლეს მისმა შვილებმა, უმაღლესი განათლების შემდეგ, თბილისი არჩიეს სოფელს, სამთავე დაოჯახდნენ, ფეფიკოსა და თინიკას ერთანეთის გვერდიგვერდ სახლებში მოუწიათ ცხოვრებამ ძველ ვერაზე. თინიკამ დაასწრო უფროსს დას გათხოვება, ვლადიმერ კორძახიას გაჰყვა, განათლებით ეკონომისტ-იურისტს, გარეგნობით ნამდვილ კოლხს, თეთრი სახის იერით, ქერა თმითა და ღია ფერის თვალებით. ორი უფროსი ძმა ჰყავდა ვალოდიას — მიტროფანე და პლატონი, ყველაზე უფროსი პლატონი სპეციალობით ექიმი გახლდათ, აპექსი საყვარელიძის ქალიშვილი, მარგარიტა ჰყავდა ცოლად, თავისივე კოლეგა. ამ მხრივ ვალოდიასაც საყვარელიძეების ქალი არგუნა განგებამ. მესამე, საშუალო ძმას მიტროფანეს, კიევის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მიტროფანემ გერმანიაში ჰპოვა თავშესაფარი. იქ დაოჯახდა, რა თქმა უნდა, სულიერად იტანჯა, მაგრამ ნაყოფიერად იღვაწა და ენციკლოპედიაში შევიდა მისი გვარი და სახელი. ძველი აბაშიდან იყვნენ წარმოშობით, კონსტანტინე გამსახურდიას მეზობლად ცხოვრობდნენ, ბავშვობიდან ერთად დაიზარდნენ, პლატონი და კონსტანტინე სკოლაში ერთად სწავლობდნენ, თბილისშიც გაგრძელდა მათი მეგობრობა და მეზობლობაც.

ორი ქალიშვილი შეეძინათ თინიკასა და ვალოდიას, მზია და ნანა კორძახიები. ლაზათიან, კარგი შთამომავლების მშობლებს, ლაზათიანი, კეთილშობილური ასულები უწყალობა გამჩენმა.

ავადმყოფობა გაუუარესდა მარიამს, დათა ძალიან დაამწუხრა, სიკვდილის მოახლოების ნიშანმა მარიამის ხელის თითების ფრჩხილებში შემოპარულმა სილურჯემ. დათა დაჟინებით სთხოვდა ექიმებს, როგორმე სიკვდილიდან ეხსნათ, მარიამს კი სიმშვიდე და მარტოობა სწყუროდა, ექიმების თავზე დგომა და წამლების მიღება უფრო თრგუნავდა.

— მაცალეთ, ღმერთი არა გწამთ? მარტო დამტოვეთ ჩემი შვილის სურათთან, მშვიდი სიკვდილი მაცალეთ! — მისუსტებული ხმით თხოვდა ოთახში მყოფთ. მერე წუთით მიწყნარდებოდა და რაღაცას თავისთვის ჩურჩულებდა, იმ წუთებში ენით გამოუთქმელ ბედნიერებას გრძნობდა, შეფაკლული სახე, ღვთიური სხივით უბრწყინავდა. ყველას თვალში ცრემლი კიაფობდა. კიკვილის გარდაცვალების შემდეგ ოჯახში ყველაზე ავტორიტეტიანი დიასახლისი იყო. ექვსი ათეული წელი გაატარა საყვარელიძეების ჭერქვეშ, ყველას უყვარდა შინაურს თუ გარეულს, მეზობლებსა თუ მთელ სოფელს, როგორც მორწმუნე ქრისტიანი. გაჭირვებულთა ქომაგი და ლუკმაპურის გამყოფი. იგი ლამაზი

ქალი იყო. გამხდარი, ლერწამივით მოქნილი ტანით, ნატიფი სახის ნაკვთებით, ჯაფარიძეების სისხლის შთამომავალს, სულიერი სილამაზე კიდევ მეტად უმშვენებდა ხორციელს. ზომაზე მეტად მგრძნობიარე და ქმარ-შვილზე ზრუნვას გადამკვდარი გახლდათ. სულის ამოხდომამდე მათი კეთილდღეობისთვის ლოცულობდა და შეთხოვდა უფალს, რაც მოხდა, მოხდა, მაკმარე, დანარჩენი მიმყოფე ტანმთელად, მათ უბედურებას ნუღარ მომასწრებო. სიკვდილის წინ აღარ უწვალია, ღმერთმა სატანჯველად აღარ გაიმეტა. უმტკივნეულოდ ისე გაფრინდა სული, ვერავინ შეიტყო. მხოლოდ ცაბუამ მოასწრო დაენახა, ბალიშიდან კისერი გვერდზე რომ გადაუგორდა, ინტუიციით მაშინვე მიხვდა, სული უფალმა რომ მიიბარა. მივარდა და შეიცხადა, როგორმე დახმარებოდა, მაგრამ ყველაფერი წამებში დასრულდა, მხოლოდ ღიად დარჩენილი თვალები დაუხუჭა და გულზე დაუჭდო ხელები. ნელ-ნელა ცივდებოდა. მიცვალებულიც საოცარი სანახავი იყო, მძინარესავით იწვა, სახეზე ღვთიური სხივი დასთამაშებდა. იცხოვრა თავისი ცხოვრებით, თავისი გაჭირვებით სხვა არ შეუწუხებია, თავისი გასატანი ლელო სხვისთვის თავზე არ მოუხვევია, თავი არავისთვის შეუწყენია. სხვას დახმარებია, არავისთვის დაუყვედრია. მიტევებითაც მიუტევებია, მაგრამ ყოვლად წმინდა ანგელოზი არ ყოფილა, უბრალოდ იყო კეთილშობილი ქალბატონი, ადამიანური ღირსებებით სავსე. მისი სიკვდილის შემდეგ, ყველანი შებოჭილად გრძნობდნენ თავს. სახლში უსასრულო მოწყენილობამ დაისადგურა. საწოლის თავზე ეკიდა გიშერის, მარიამის ნაქონი კრიალოსანი, მაგიდაზე ელაგა სხვადასხვა ნივთები, რომლებზეც მისი ხელის ანაბეჭდები ჯერ კიდევ არ გამქრალიყო. დათამ საყვარელი მეუღლის სურათი მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩაასმევინა მაღალი რანგის ხელოსნებსა და ვარლამის სურათის გვერდით ჩამოკიდა. მთელი ოჯახის შემოსავალ-გასავალი ცაბუას დააწვა მხრებზე.

რაც შეეხება ფეფიკოს, თამარის შემდეგ, ყველაზე გამორჩეულ ქალბატონს, თავისი მომავალი საქართველოში ყველასთვის ცნობილ, ნიკო ღოღობერიძის შვილიშვილს, ნიკოლოზ ღოღობერიძეს დაუკავშირა. განათლებით ვეტერინარები იყვნენ ცოლ-ქმარი. ერთ სიცოცხლედ ღირდა ფეფიკოს გამოჩენა, როდესაც ვერის აღმართიდან დაბლა ეშვებოდა, ან პირიქით. ო, რამდენს თვალში წყალს უყენებდა, თავისი ლამაზი გარეგნობით, ხატისებური სახით, სადაც ერთ მცირე წერტილსაც ვერ უნახავდი ზედმეტსა და შეუხამებელს, დიდრონი, ბრიალა თვალებით. ნიკოლოზს შეძლებული ოჯახი გააჩნდა, თბილისში რამოდენიმე სახლი ჰქონდა, სადახლოში კი სამამულე მიწის ფართი და ბაღ-ბაღჩეული, ვენახის საუკეთესო ჯიშის ზვრებით. ძმა არ ჰყოლია, ადრე ბავშვობაში დაეღუპა. ჰყავდა მხოლოდ ერთი და თამარი,

რომელიც ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ანდრონიკაშვილს. თამარსა და ალექსანდრეს სამი შვილი უბოძა უფალმა, მიხეილი, გურანდუხტი და ანისია, აქედან, მიხეილი და გურანდუხტი ვერ აღმოჩნდნენ დღეგრძელნი, ბავშვობაშივე აღესრულენ. ხოლო, რაც შეეხება ანისია ანდრონიკაშვილს, ჩვენი საამაყო მხატვრის, ზურაბ წერეთლის მეუღლე გახლდათ.

როდესაც საქართველოში გაკულაკება დაიწყო, ნიკოლოზის დედა, მარი მიხაილოვნა მელიქიშვილი, ერთ-ერთი პირველთაგანი აღმოჩნდა, ვინაც თავისი სურვილით უარი განაცხადა საკუთარ ქონებაზე. ის აღარ დალოდებია ჩეკას მიერ მიგზავნილი წარმომადგენლების მისვლას, დაასწრო მათ, თავად გამოცხადდა იქ. რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩამოართვეს, სახლები, მიწა, ვენახი, ბაღი, ბაღჩეული, შიშველ-ტიტველი დატოვეს. თავისივე სახლში ვერაზე, რძალთან და შვილთან ერთად, ერთი ოთახი და საერთო სამზარეულო მიუჩინეს. მარი მიხაილოვნას არ უცდია, აზრიც არ ჰქონდა მთავრობასთან კამათს. ზოგს უცნაურად მიაჩნდა მისი საქციელი, მისგან არ ელოდნენ ასე ადვილად ღოღობერიძეების მიერ დანატოვარ ქონებას თუ დათმობდა. თუმცა, მსგავს შემთხვევებზე ბევრი სმენიათ. კარგად რომ ჩაფიქრდებოდნენ, იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, მაინც წაართმევდნენო. ასე რომ წინ აღდგომით ვერაფერს მოიგებდა. იქნებ თავად ცდილობდა ასეთი საქციელით მოეგო ჩეკისტების გული, რომ ახალშობილივით, მთლად შიშველი არ დაეტოვათ?...

ვაჟი შეეძინათ ფეფიკოსა და ნიკოლოზს, დავით ღოღობერიძე, ბავშვობიდანვე „ჩერჩელა“-დ წოდებული, რომელიც უშუალოდ მთელ თბილისს უყვარდა. მაღალი, სპორტული აღნაგობით, დედასავით დიდრონი, ბრიალა თვალებით. არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი, უმაღლეს დონეზე ფლობდა მათემატიკას. ისეთი ნიჭიერება ოცნებად ექნებოდათ გადაქცეული ყველა მათემატიკის დარგის მათემატიკოსს. საოცრად გულთბილი და თავისუფალი ცხოვრების მომხრე იყო. სძაგდა კომუნისტები, ყოველთვის აუგად იხსენიებდა 1921 წლის 25 თებერვალს... თუმცა, არც 1918, 1921 წლებს ანიჭებდა დიდ უპირატესობას. მას მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროის საქართველო მოსწონდა. დავით მეფე იყო მისთვის ყველაზე ჭკვიანი, პატრიოტი ქართველი.

დებს არც დათიკო ჩამორჩა, მიიღო უმაღლესი განათლება. დაამთავრა უნივერსიტეტი აგრონომიის სპეციალობით. ახალგაზრდა სპეციალისტს „საქთამბაქოს“ სისტემაში მოუწია მუშაობა, კახეთში გაანაწილეს, ლაგოდეხსა და წნორში უწევდა სირბილი. ძალიან ცოტანი იყვნენ საიმედო სპეციალისტები, საქმის მცოდნენი. გული არ გაუტეხავს, მშვენივრად გაართვა თავი. ცაბუას ლოცვა-ვედრება იფარავდა და

ეხმარებოდა, ღმერთის რწმენასა და დედის ლოცვას წინ რა აღუდგებოდა? უამრავი საქმე დააწვა ტვირთად, მეტი რა რჩებოდა უნდა ეტვირთა, იტვირთა და მალე გახდა პრაქტიკოსი, მალე დაეუფლა ხალხთან ურთიერთობის ტაქტიკას. პირველ ხანებში იყო, რა თქმა უნდა, წარუმატებლობაც, მაგრამ, წარუმატებლობის გარეშე, ვის მიუღწევია წარმატებისთვის? სანამდის ბოლომდე გაიხარჯება და გამოიწრთნობა ადამიანი აუარებელ შეცდომებს უშვებს. რას იზამ, ასეა ბუნების კანონი და მას ვეღარავინ შეცვლის... ყველაზე მეტად თბილისთან დაშორება უჭირდა, მოწყვეტილი იყო მეგობრებს, მხოლოდ სიზმარში ურთიერთობდა და ესიყვარულებოდა მათ. ქვეყნის საერთო ინტერესებისთვის ცხოვრობდა და არა საკუთარით. თავისი ცოდნა ხალხის კეთილდღეობისთვის უნდა მოეხმარა, ცხოვრების ასეთ ჩარჩოში იყო მოქცეული და იმ ჩარჩოდან თავის დაღწევა ნურას უკაცრავად ყველა ძალას აღემატება. ყველაფერი დამთავრდა, გაიარა სტუდენტურმა ხანამ, აქეთ-იქით სირბილმა, აყალ-მაყალმა, საკუთარი მკლავის ძალის გამოცდამ, სხვა უბნის ბიჭებთან საქმეების რჩევამ. გოგოებისთვის კინკლაობამ და ჩხუბებმა. ყველაფერი დამთავრდა, ის დრო წარსულს ჩაბარდა. ახლა ცხოვრების ავანგარდში ჩაბმულს, ცოლი უნდა შეერთო, შვილები გაეჩინა. როგორც მისმა წინაპრებმა შეძლეს, კაცურად უნდა მოეხადა ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რასაც ჰქვია მოქალაქეობრივი და მამობრივი ვალი. ვანოც ურჩევდა. „ოცდახუთი წლის ასაკი ოდითგანვე ითვლებოდა ყველაზე მომწიფებულ და ჩამოყალიბებულ ასაკად მამაკაცებში, სასურველია ნუღარ გადავაშორებთ, დროზე დაოჯახდი, თორემ რაც მეტი დრო გადის, მოთხოვნები უფრო გეზრდება, მის დასაკმაყოფილებლად ისე ბერდები ვერ ამჩნევ, ასეთი ხანმოკლეა წუთისოფელიო“. ყურად იღო მამის რჩევა. „მოიყვან ინანებ, არ მოიყვან მაინც ინანებო“. — ჩაესმოდა ხოლმე გონებაში მეორე მეს ხმა და ორჭოფობდა, ბოლოს მაინც სძლია ეშმაკს, როგორც იქნა გადაწყვიტა. „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“-ო. — უთქვამთ ძველებს. თამარ მიქელაძე შეირთო ცოლად, ალექსანდრე მიქელაძის ქალიშვილი, ტრადიციულ და მომღერალ ოჯახიდან გამოსული. შიშობდა ვანო საყვარელიძეების გვარის გამგრძელებელი მხოლოდ დათიკო იყო. ახლა ყველაფერი დათიკოზე იყო დამოკიდებული, აუცილებლად ბიჭი უნდა შეძენოდა. დაახლოებით ასე მოხდა მაშინაც, როდესაც ვანომ ცაბუ შეირთო, გვარის გაგრძელება ვანოზე იყო დამოკიდებული.

გაუმართლა დათიკოს, გარდა ტკბილი ხმისა, ფაქიზი სულის პატრონი აღმოჩნდა თამარი. თავისებური მომხიბვლელობა გააჩნდა, რომელსაც ერთი შეხედვით ვერ აღიქვამდი. ექვსი დანი იყვნენ

მიქელაძეები და ერთი ძმა ჰყავდათ, თბილისის ქალთა გიმნაზია ჰქონდათ დამთავრებული, ექვსივეს აერთიანებდა საერთო თვისებები — არტისტიზმი, სიმღერა, იუმორი და სიკეთის კეთება. ღვთის მოშიშნი და მორწმუნენი იყვნენ, შავგვრემანები, სავსენი ქართული ტემპერამენტით. კარგად ფლობდნენ რუსულს, ჰქონდათ არაჩვეულებრივი მუსიკალური სმენა, უკრავდნენ მუსიკალურ საკრავებზე. თავიანთი ქალური მოხდენილი ლაზათით დებს ერთმანეთზე უკეთესი მეუღლეები შეახვედრა გამჩენმა. თავად ალექსანდრეს, როგორც ახლობლები საშას ეძახდნენ, პეტერბურგის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. ღირსშესანიშნავი და განათლებული კაცი იყო იმერელი, კერძოდ, კულაშელი გახლდათ (დღევანდელი სამტრედიის რაიონი). ცოლად ჰყავდა კალისტინე ლორთქიფანიძე, თავადთა წარმომადგენელი ალექსანდრე მიქელაძე გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებით, რომელიც შესანიშნავად მღეროდა რუსულ რომანსებს, პეტერბურგიდან ახლად ჩამოსულმა მოკლე დროში შეძლო მიეპყრო თბილისის საზოგადოების ყურადღება. უფალმა მადლი ჰყო ალექსანდრეს სახლი ხელოვნების მუშაკთა თავშესაყარ ადგილად იქცა, სადაც იკრიბებოდნენ, როგორც უფროსთა, ასევე უმცროსი თაობის წარმომადგენლები. ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, პავლე საყვარელიძე, ვასო აბაშიძე, უმცროსებიდან დები იშხნელები, ნატა ვაჩნაძე...

უთბილისოდ უჭირდა დათიკოს, არც თამარს სიამოვნებდა მშობლიურ ქალაქიდან და საზოგადოებასთან დაშორება, თავიდან უკმაყოფილებას ვერ მალავდა, მაგრამ როდესაც ადამიანები დამოუკიდებლად იწყებენ ცხოვრებასა და დამოუკიდებელ ოჯახებს ჰქმნიან, უნდათ თუ არ უნდათ, მიჩვეულს უნდა გადაეჩვიონ და მიუჩვეველს შეეჩვიონ. სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმა უჭირთ ზოგჯერ, მაგრამ როცა სხვა გზა აღარ რჩებათ, ბედს ემორჩილებიან. ცხოვრებას თავისებური მკაცრი კანონები გააჩნია, ძალიანაც რომ მოინდომო მაინც ვერ გაექცევი. დათიკოს იმერეთში ჩასვლა ოცნებად გადაექცა. წელი ისე მიიწურებოდა ვერ ახერხებდა, განიცდიდა, ენატრებოდა დედა, მამა, ბაბუა. ერთადერთი, რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა შვებულება იყო, იმ მოკლე დროში ასწრებდა ყველას მონახულებას. როგორი სიხარულით ევსებოდა ხოლმე გული, როდესაც აქედან იქეთ მიეშურებოდა, როგორი საშინელება იყო პირიქით როცა ხდებოდა, მთელი სხეული უძაგძაგებდა, დედის ცრემლიანი თვალები სულს უშფოთებდა. მერე ყველაფერი ლაგდებოდა, თავისივე კალაპოტში ექცეოდა. დიდი ბრძენკაცის სიტყვებით ინუგეშებდა თავს „სადაურსა სად წაიყვან“- ო. ბაბუა ეცოდებოდა. ბებიის გარდაცვალების შემდეგ მუმიასავით რომ ჩამოხმა ფეხზე. თურმე, რამხელა ძალა ჰქონია მარიამს, სხვა ვერ

შეცვლიდა იმ მზრუნველ ხელს, რომელიც მას გააჩნდა და ქმრისთვის ჰქონდა გაწვდილი. კი მართალია, არაფერს აკლებდა ცაბუა, პატივისცემის გრძნობით ეპყრობოდა, ურეცხავდა და უკერავდა, მაგრამ ცოლი ცოლია და მას ვერც რძალი შეცვლიდა და ვერც შვილი, მითუმეტეს, სიბერის პერიოდში. თეთრ, გრძელ წვერში ციდან მოვლენილ მოციქულს ჰგავდა, უწინდელი შემართული ნაბიჯით დააბოტებდა ეზოს თავიდან ეზოს ბოლომდის. ხანდახან კედლებჩამონგრეულ და სახურავგადაცლილ სალოცავისკენ მიეშურებოდა, რომელიც არ დაინდეს, დაუნგრიეს, მომავალ თაობას კავშირი გაუწყვიტეს ღმერთთან, ურწმუნონი გახადეს. ხავსმოკიდებულ კედლებთან ჩაიმუხლებდა ხოლმე, სარივით სწორი და გამხდარი მოხუცი, უღონო, დასუსტებული ხელებით ცდილობდა ხავსი მოეშორებინა წმინდა ქვებისთვის, უპატრონოდ დარჩენილი ეზო ეკალ-ბარდებისგან გადაეწმინდა, რომ ვერ ახერხებდა, ძალა რომ აღარ ჰყოფნიდა, საკუთარ თავს უჯავრდებოდა. ის მღვდელი იყო და ვერავის პატიებდა უდიერად მოპყრობოდა ეკლესიებსა და ეკლესიის ქონებას. დათა კბილებით იცავდა თავხედებისგან, ვინაც ეკლესიის ძარცვა-დარბევას ცდილობდა. გულით ეწადა, როგორმე ღმერთისკენ შემოეტრიალებინა ეშმაკისგან ცდომილი ხალხი, მაგრამ ვეღარაფერს აგებინებდა ღვთიდან განდგომილთ და შეჩვენებულთ.

ახალ ეპოქასთან შეგუება, დათასთან განსხვავებით არ გაჭირვებია ვანოს, ის უფრო მეცნიერების მიმდევარი კაცი გახლდათ. კარგად უწყოდა რევოლუციები რომ გარდაუვალია. ყოველთვის ხდებოდა და მოხდება კაცობრიობის აზროვნებაში გარდაქმნები, ერთის დასასრული და მეორის დასაწყისი, ისევე როგორც ძველი სამოსის გამოცვლა. ასე ყოფილა და ასე იქნება, რაც ადამთა მოდგმა არსებობს არცერთ მთავრობას არ შეუქმნია ყველასთვის მოსაწონი ცხოვრების პირობები და ვერც ვერასოდეს შეჰქმნიან. ვანო ზოგადად ეთანხმებოდა პავლეს, ძმისგან განსხვავებით პავლე პოლიტიკოსი იყო, კაცობრიობის არსებობაში ომები, ხიფათები და რევოლუციები რომ — გარდაუვალია ამაზეც ისტორიული ფაქტებიც მეტყველებენ. რაც შეეხება ლადიკოსა და გრიგოლს, ლადიკო ამტკიცებდა, რომ სოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევიკებს შორის ვერაფერ დიდ განსხვავებას ვხედავო, ჩემი აზრით, ორთავე ერთი და იგივე ნაგავიაო. — ხმადაბლა აცხადებდა საახლობლო წრეში. გრიგოლი კი, როგორც უცოლო კაცს შეეფერებოდა, არც ცუდს იძახდა და არც კარგს, თავისი საქმის მცოდნე იყო, საქმეც კარგად გამოდიოდა, მას არც რომანოვების დინასტია აინტერესებდა, არც სტალინის ინტერესით შეუწუხებია თავი, მაგრამ ჟორდანიას პერიოდში ბათუმის განთავისუფლებისთვის ტყვიას კი მიუშვირა მკერ-

დი. მოხალისედ წავიდა, შეუერთდა ქართული ჯარის ნაწილს, სამშობლოს სიყვარულში ტოლი არავის დაუდო...

ცოლის მეტი არაფერი დაკლებია ცხოვრებაში გრიგოლს, სხვა დანარჩენი ყველაფერი ჰქონდა. ბედი არ ეხსნებოდა თუ თავისივე სიჯიუტის ბრალი იყო, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია დიდი ტკივილი ჩააყოლა საფლავში მარიამს, რაღამც თავიდანვე უარი თქვა, შემდეგშიც აღარავის რჩევა ყურად აღარ იღო. თავის დროზე ვარლამმაც დააგვიანა დაოჯახება, ვინ იცის, რომ არა დროის გაჭიმვა, როგორი სასახელო შთამომავლობა დარჩებოდა? გული ტკიოდა დათას, სიკვდილიანობამ გაასწრო შობადობასო. ეს კი კარგს არაფერს უქადის ჩვენს ოჯახსო! — ღმერთო გვიშველე და შეგვეწიე! ვარლამის გახსენება ყველას დიდად უცვლიდა გუნება-განწყობილებას, სხვები რომ არ შეეწუხებინა, არ გაეფუჭებინა მათი ხასიათი, უსიტყვოდ წავიდა, დუმდა, არ უნდოდა ვინმეს გადადებოდა მისი ტკივილი. საყვედური არც პავლესა და ლადიკოს ცდებოდა, მათ შორის ვასასისა და ლადოსაც გადაწვდა. — საქართველო მიყვარსო რომ გაიძახით, რაში გამოიხატება თქვენი სიყვარული, თუ შვილები არ გააჩინეთ? მარტო თითო-თითო შვილი კმარა? ნეტავ ვის უტოვებთ ამ მშვენიერ გარემოს, თუ ქართველი აღარ იქნება, მოვა ვიღაც გადამთიელი, დასახლდება და მიითვისებს მთელ ჩვენს ქონებასა და კულტურას? ჩვენი ოჯახი ყოველთვის გამორჩეული, ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა. მამაჩემიდან მოყოლებული ანგარიშს უწევდა მრავალშვილიან გლეხობას, ვეხმარებოდით მოწეული მოსავლიდან მეტ საზრდო-მარჩენალ მარცვლეულს ვაძლევდით, ტრადიციულად ასე გრძელდება დღემდე! თქვენ რაღა გემართებათ? მე თუ შევძელი ექვსი გამოგზარდეთ, თქვენ სამი ვეღარ უნდა აღზარდოთ?

სამართლიანი იყო მისი მოთხოვნა, იგი იმდენად საყვარელი და პატივსაცემი მოხუცი გახლდათ, აღარავის სურდა მასთან შეკამათება. შვილები თვლიდნენ მამა მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის კეთებისთვის მოვლინებული კაცი იყო, მას მხოლოდ სიკეთე უნდა ეთესა და ეზრუნა ადამიანებზე, თავადაც უნდა გაეზიარებინათ მამის ხვედრი, სხვანაირი ცხოვრების უფლება მათ არ ჰქონდათ, რომ არ დარღვეულიყო ის ტრადიცია, რაც მათ ოჯახს ოდითგანვე მოსდევდა, ამას ქრისტიანული წესიც მოითხოვდა. სალოცავ ოთახში ჯერ კიდევ გაიელვებდა ხოლმე მამის ფერმკრთალი სახე. აკანკალებული ხელით ხატებს სანთლებს უნთებდა. მკვეთრად ისახებოდა იესოს მაღალ შუბლზე მბრწყინავი სხივი და დათას მავედრებელი ლოცვის ხმა ისმოდა: „უფალო, იესო ქრისტეო, ძეო ღვთისაო, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისა-

თა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩვენთა და ყოველთა წმიდათა, შეგვიწყალენ ჩვენ, ამინ!..“

გასაბჭოების შემდეგ, პარტმუშაკები კიტელებსა და გალიფე შარვლებში, ეგრეთწოდებულ „აზიაცკებში“ გამოწყობილნი დაიარებოდნენ, თავზე დიდკოზირიანი ქუდები ეხურათ. ვანო ევროპული სტილის ტანსაცმელს ატარებდა, უხდებოდა კიდეც. ისედაც მაღალი ინტელიგენტური შეხედულების მამაკაცს, კოსტუმი და თეთრი პერანგი მეტ წარმომსახველ შეხედულებას მატებდა. უფროსი თაობის წარმომადგენლები მამა-პაპურად ჩოხებს ვერ თმობდნენ, ვანო ზესტაფონის რაიონის სასამართლოში მუშაობდა ვექილად. ვერ ელეოდა ამ დალოცვილ კუთხეს, სადაც მთელი თავისი ცხოვრება გაატარა, ყველას იცნობდა, ჯერ იყო და მაზრის უფროსად ყოფნის პერიოდში დაიმსახურა დაფასება, ხალხისთვის საიდუმლო როდი იყო თუ როგორი ოქროს გული უცემდა მკერდში.

— როგორ შეიძლება ვინმეს საყვარელიძეების ოჯახი არ უყვარდეს, ღვთის მიერ გამორჩეული, კეთილი, ნამდვილი საყვარელი ძეები, ღვთისმოსავნი, ღვთისნიერნი და გემრიელი ხალხი! — ისმოდა სოფელში. ეს იყო ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც ამ ქვეყნად რგებიათ, როდესაც ხალხს უყვარხარ, როდესაც მათთვის რაღაც საყრდენს წარმოადგენ, შენც ცდილობ იმედი არ გაუცრუო და ბოლომდე შეინარჩუნო, ზოგჯერ სიცოცხლის ფასად მოპოვებული სიყვარული, მათი ნდობა და პატივისცემა. ხალხს ვინ რას გამოაპარებს, ხალხი ბრძენია, ყველაფერს ხედავს, ამჩნევს, არ ჩქარობს, გონებაში დიდხანს ხარშავს და ბოლოს გამოაქვს დასკვნა. კარგად ახსოვდათ გიორგი, კიკვილი, კონსტანტინე, ნინა, ვარლამი, თამარი და მარიამი. ლოცულობდნენ, მათი სულების მოსახსენიებლად სანთლებს ანთებდნენ. ცოცხლად დარჩენილებს, დათას თამადობით, დიდხანს სიცოცხლეს უსურვებდნენ. რაც ეკლესიები დაანგრიეს ცრემლის მაგიერ სისხლი მოწვეთავდა თვალებიდან დათას. ჯავრი ასუსტებდა, ახალ ეპოქას თავისი შესწორება შემოჰქონდა მოვლენების განვითარებაში, რაც არ მოსწონდა ანგრევდა, მათ შორის ეკლესიებს, გაბითურებული მღვდლები, ზოგი შეცდომების, ზოგი უნებურად ჩადენილი ცოდვების გამო, ცოდვებით ყელამდე ივსებოდნენ, სარწმუნოება ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ხალხი ხომ ბრძენია, ისინი ხომ ყველაფერს ამჩნევენ. მათ ხომ მშვენივრად იცოდნენ და იციან, რომ მთავარი მმართველი და გამგებელი ამ ქვეყნის ღმერთი იყო და იქნება. არცერთი ხელმწიფე არ გამოჰკერვია ცასა და მიწას, ყველაფერი წარმავალია, ასე რომ დროებითია ეს ყველაფერი! ისევ ღმერთის იმედი ნუ მოგეშალოთ, ისევ ღმერთისკენ სავალი გზაა სრული ჭეშმარიტებისა! — ჩაესმოდა ანგელოზთა ხმა. სწორედ ეს

ხმა იყო, რომ აცოცხლებდა და ასულდგმულებდა. სწორედ ეს ხმა იყო მუხლებში ძალას რომ მატებდა დაბრკოლების გადასალახად ნაბიჯი რომ გადაედგა. ისევ წამოდგა, მწარე ფიქრები აქეთ-იქით გაიფანტნენ, სპეტაკი წვერი ისევ ჩამოიხუთხუთა, სანთელივით ყვითელი, გრძელი თითებით წვერი ჩამოივარცხნა. ღვთისმსახურის ტანსაცმლით შეიმოსა და საყდრისკენ მიმავალ გზას დაადგა. შემართებით მიაბიჯებდა, როგორც ჩვეოდა მტკიცე რწმენისა და გულმართალ კაცს, უკან გადავარცხნილი, ბანტით შეკრული თმა მთლიანად გაჭაღარავებოდა. მიდიოდა საბიჯგ ჯოხზე დაყრდნობილი და თავისივე ვეებერთელა აჩრდილი მიაცილებდა. ცენტრალურ გზიდან კარგად ჩანდა თავისი ეზო და სახლი, ცად აღმართული, ასწლოვანი მუხებით, რომლებიც დარაჯებივით, მკლავებგადახვეულები იდგნენ, თითქოს ცასა და მიწას აერთიანებდნენ, თითქოს ღმერთის სავანეს კიბედ იყვნენ აყუდებულნი. ბესარიონ საყვარელიძის ყოფილ წყაროსთან შეისვენა, ადრე იქ ბესარიონს ტყე ჰქონდა გაშენებული და წყაროც ზედ გზისპირას მოჩუხჩუხებდა, გათლილი, ლამაზი ქვებით მოპირკეთებული. ახლა ტყეები ყანებსა და ვენახის ზვრებით შეიცვალა, იმ წარსული ცხოვრებიდან მხოლოდ ეს წყარო იყო შემორჩენილი, დანარჩენი ხეები გაჩეხეს და მთლიანად ამოძირკვეს. წყაროსთან შეისვენა, გემრიელი ცივი წყაროს წყალი ყველაზე მარგებელია, ყველა გამვლელ-გამომვლელი წუთით ჩამოჯდებოდა, სულს მოითქვამდა და დაეწაფებოდა იმ კურთხეულ სითხეს. ოფლი შეიშრო და წამოდგა. ზაფხულის ღრუბლიანი დილა იდგა, არც თუ ისე ცხელოდა. დასავლეთის მხრიდან გრილი ნიავი უბერავდა და ზღვის სინოტივე შემოჰქონდა. რუხი ღრუბლებით გადაპენტილ ციდან, ხანდახან მზის გავარვარებული, თვალმომჭრელი დისკო გამოჩნდებოდა, რომელიც ნიავის შემობერვაზე უფრო ღვივდებოდა და ქვეყნიერებას თავზე აფრქვევდა მუგუზალის ნაპერწკლებივით ცხელ სხივებს. მწიფე ტყემლებისა და ღოღნაშოს სურნელით გაბრუებულ ფუტკრების ზუზუნს შაშვის გალობა უერთდებოდა. ჭალებიდან წვიმას მონატრებული ბაყაყების მუდარისებური ყიყინი ახშობდა ყურთასმენას. ცივმა წყალმა ძალა და სიმხნევე შემატა, უკეთ იგრძნო თავი, ტანს კი აღარ მიათრევდა, არამედ ბუმბულივით მსუბუქად მიფარფატებდა, ოციოდე მეტრიც არ ექნებოდა გავლილი, ყანიდან ბესარიონმა და წითელი ფერის სეტერმა ერთდროულად რომ გამოჰყვეს თავი. ძაღლმა მისალმების მაგიერ შეჰყეფა, მერე მიწაზე განერთხო, თავი წინა ფეხებში ჩაჰყო და აწკმუტუნდა. დათამ მიუალერსა, სიხარულისგან გადარეული ცხოველი ფეხზე წამოიჭრა და წინ და უკან დაიწყო სირბილი. ბესარიონს დილის ცვარისგან ჩექმები და ტანსაცმელი დასველებოდა, მზის სხივებზე თითქოს ცეცხლი ეკიდა,

ისეთი ბუღი ადიოდა. თავზე ფარატინა იმერული ქუდი ეხურა, ხშირი რეცხვისგან გადახუნებული. მხარზე ხირიმი ეკიდა, წელზე ახლად დახოცილი მწყრები. ორთავეს გაუხარდა მოულოდნელი შეხვედრა, სახეზე კმაყოფილების ნიშანი აშკარად ეტყობოდათ. უყვარდა დათას ბესარიონი, კი მართალია, შვილად შეეფერებოდა, ვანოს კბილა თუ იქნებოდა, მაგრამ არასდროს არ აქცევდა ასაკს ყურადღებას, მშვენივრად ესმოდათ ერთმანეთის. ბოლო დროს ჯაჯღანს მოუმატა, ბესარიონი მთავრობას ვერ ეგუებოდა, ჭირივით ძულდა კომუნისტები, ვერ იტანდა ყოყლოჩინა კიტელიან ჩინოვნიკებს, ავანტიურისტებს, ბნელსა და ყაჩაღებს ეძახდა მათ, რომლებსაც პირადი სარგებლობის ინტერესი უფრო ამოძრავებდათ, ვიდრე ქვეყნისა და ხალხის.

ბესარიონმა აღარ დაახანა, წინ გადაუდგა და ხელზე ეამბორა. — დამლოცე მამაო!

— ღმერთმა დაგლოცოს, შვილო ჩემო! — დათამ გულზე ჩამოკიდებული ვერცხლის მომცრო ჯვარი გაუწოდა. ბესარიონი ეამბორა, სამჯერ პირჯვარი გადაიწერა. გამოხედვაში იგრძნობოდა დაჯერებულობა და სიმტკიცე. ასეთი გამოხედვა მოკლებულია ყოველგვარ ფარისევლობას, თუმცა არასდროს ცდილობდა ეთვალთმაქცა, მკაცრი სახე ღიმილით შეეცვალა, რაც ბუნებას მიეცა, ისეთი სურდა დარჩენილიყო. სწორედ, ამიტომ აფასებდა დათა, უხეშს, მაგრამ პირდაპირსა და გულმართალს.

ნელი ნაბიჯით მიაბიჯებდნენ. დაბალი ხმით საუბრობდნენ, დათამ იცოდა ბესარიონს სოფლის თავკაცები არასაიმედო კაცად მიიჩნევდნენ, ამიტომ უკრძალავდა ხმამაღლა საყვედურებისა და ჩივილებზე ლაპარაკს, ვიღაც გამოგიხტება რაიმეს გიშარებს, სხვანაირ კუდს გამოაბამს შენს ნალაპარაკევს და არაფრის გულისთვის თავს შარში ჩაიგდებო.

— ერთი ცხელი ამბავი, ენა რომც ამომგლიჯონ, მაინც უნდა მოგიყვე მამაო! ამ რამოდენიმე დღის წინათ ბონდისთავზე ზესტაფონში ჩამომხრჩვალი ქათამი უპოვნიათ, კისერზე ჩამოკიდებული აბრით, რომელზედაც ასეთი ლექსი მიუწერიათ: **„ნიკოლოზის ხელშიო, / ორ კვერცხს ვდებდი დღეშიო, / ამ მთავრობის ხელშიო, / სული გამძვრა ყელშიო“** /. დათას სიცილი წასკდა — მაინც არ იშლი შენსას, არა? — ჩაახველა და ისე განაგრძო: — ნამეტანი მძიმე სურათია, საცოდავი ქათმები, ყოველ მარცვალს უთვლიან, აბუჩად ჰყავთ აგდებული... თუმცა, არც ჩვენ ვართ უკეთეს დღეშიო...

მზე შუბის ტარზე იდგა, ნასაყდრალს რომ მიაღწია, ყველაფერი ნაბრძოლი ველივით დანგრეულ-მინგრეულად გამოიყურებოდა. ეზოში ეყარა კედლების ნანგრევების ჩუქურთმებიანი ქვები, უმე-

ტესი ნაწილი მოეპარათ. აქა-იქ შემორჩენილი კედელზე დახატული წმინდანების ხატები საცოდავად გამოიყურებოდნენ. ახალი დროების მიერ ძირფესვიანად დალეწილი და განადგურებული. დათა წამოდგა, საყდრის ახლოს ჩამოძენძილი ხეების რტოები გადაწია. ხავსმოდებულ გალავნამდე მზის სხივებს ჯერ ვერ ჩაეღწია, კედელი ღამის ცვრისგან დანესტიანებულა და ჩაშავებულიყო. საცალფეხო ბილიკს გაუყვა, სადაც მიცვალებულთა საფლავები მოჩანდა. თავისიანების სამუდამო ადგილ-სამყოფელი მოიძია, სადაც მამამისის გიორგი საყვარელიძის შთამომავლები განისვენებდნენ, მარიამის საფლავი, ძველებთან შედარებით, ზეაღმართულ პატარა ბორცვს ჩამოგავდა. ეკვტერის ქვაზე გარკვევით ჩანდა წარწერა: „ღმერთო შეუნდე და აცხონე მარიამ ჯაფარიძე-საყვარელიძისას 1848-1930 წ.წ.“ ერთხანს მდუმარედ ჩაშტერებოდა ბალახით გადაფარულ მიწას, რომლის ქვეშ საყვარელი არსება იწვა, რომლის ქვეშ თავადაც მალე მოუწევდა წოლა. მერე წარმოიდგინა ის საშინელი ღამის წყვდიადი, გულზე ხელებდაკრეფილი სამუდამო ძილი და უძირო სიცარიელე. ჩამტვრეული კუბოს სახურავი და სხეულზე დაყრილი მიწის სიმძიმე. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო ღრმად ეშვებოდა წარმოდგენის მორევში. სველი მიწის ბელტები, მესაფლავეების კოჟრიანი ხელები, ოფლიანი, გაუპარსავი სახეები ედგა თვალწინ. მის არსებაში გაცოცხლებული მარიამი მოუთმენლად მიელოდა. სანთელი აუნთო, მეუღლის საფლავიდან დედ-მამის საფლავეებისკენ გადაინაცვლა. გიორგისა და კიკვილის აჩრდილები ამოუტივტივდნენ მეხსიერებიდან — როგორ შეცვლილხარ, გეტყობა სულ მალე იხილავ სასიკვდილო სარეცელს — ნათლად ჩაესმა დედის ხმა. სახეზე სათუთად გამოწვდილი ნაზი, თბილი ხელის შეხებაც იგრძნო, შვილიშვილის ირა ტატიშვილის საფლავზეც აანთო სანთელი, პატარა ანგელოზი კიკვილისა და გიორგის გვერდით განისვენებდა, ბზებსა და იასამანში ჩაფლული. ბოლოს კონსტანტინე და ნინას ეკვტრებსაც მიწვდა. ხეების გამხმარი ტოტების ნარჩენები წამოკრიბა. ეკვდრებთან თავმოყრილი სარეველა სათითაოდ ამოგლიჯა, სანამ ყველაფერი წესრიგში არ მოიყვანა, თავი არ აუწევია, თავისივე ფიცხი ხასიათიდან გამომდინარე მოქმედებდა. ყველგან წესრიგი და სისუფთავე უნდოდა დაემყარებინა. ზერელედ საქმეს არ ეკიდებოდა, თუ რამეს ხელს მოკიდებდა ბოლომდე მიიყვანდა. დღეს გასაკეთებელს სახვალიოდ არ გადადებდა. — სახვალიოდ გადადებული საქმე ეშმაკისაა! — შთააგონებდა შვილებს, ახლობლებსა და სოფელს... გამორჩეული ნებისყოფის კაცი იყო, ღვთიური სამოსი ისე ლამაზად შემოწვართოდა განიერ ბეჭებსა და რკინისებურ ტანზე, ადვილად თვალს ვერ მოწყვეტდი. სიწმინდე და რწმენა ისე ჰქონდა ჭაღა-

რასთან შეხამებული, თითქოს მოციქულ წმინდანთან იდგა. საუბარიც დინჯი, წყნარი და ჰარმონიული ჰქონდა, წინადადებაში ხშირად ხმარობდა „ჭირიმესა“ და „გენაცვალეს“.

დაზამთრდა.

მილეული მზე უსიცოცხლოდ ანათებდა. მაღალი, თოვლგადაფარებულ მთების მიღმიდან გაძარცვულ ხეებსა და სახლის სახურავს გაშმაგებული ქარი უტევდა და ღამ-ღამობით ყველაფერს ლაწალუწი გაუდიოდა. ბუხართან ისხდნენ, დარბაზში ქალები ტრიალებდნენ, სუფრას შლიდნენ. ლადო და ვასასი იყვნენ ჩამოსული თბილისიდან. ვასასის მამის წაყვანა ჰქონდა განზრახული, ტკბილი ენით ცდილობდა მოეგო დათას გული და ხანდახან ახსენებდა: — ეს ზამთარი ჩვენთან გამოიზამთრე, ექიმებსაც გაგასინჯებ, შვილებსა და შვილიშვილებსაც მოესიყვარულები, გაზაფხულზე კი აუცილებლად გამოგისტუმრებთ იმერეთშიო. იმდენი ჰქნა, საერთო ენა გამონახა და, როგორც იქნა, დაიყოლია.

საღამომ საინტერესოდ ჩაიარა. სიამოვნებდა ლადოს ვანოსთან ერთად მაგიდასთან ჯდომა და მუსაიფი. ხშირად სტუმრობდა საქარას, განსაკუთრებით, ირას დაღუპვის შემდეგ, ვერ ძლებდა ისე შვილის საფლავი არ მოენახულებინა. ერთადერთი ადგილი, რომელსაც ვერ თმობდა და ყველაზე დიდ ტკივილს ანიჭებდა, ის პატარა ამობურცული მიწა იყო. ირას შემდეგ მეტი შვილი აღარ შეძენიათ. დათიკო უწევდა შვილობას, შვილივით უყვარდა ძმიშვილი ვასასის, მის გვერდით თავს შედარებით უკეთ გრძობდა, ფსიქიკურად მშვიდდებოდა. მზრუნველობას არ აკლებდა, სამზარეულოში დაფუსფუსებდა, სადილს ამზადებდა. წუთით ავიწყდებოდა ის ტკივილი და ვარამი, ხელსაქმეს გულს აყოლებდა. ლადო ღვინოში ახშობდა ტკივილს, ღვინოში ეძიებდა გამოენახა გამოსავალი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კიდევ კარგი დროზე მიხვდა და ახლობლების ჩარევით შეწყვიტა ბახუსის გადაჭარბებული მიღება. რკინიგზის დეპოში მუშაობდა ორთქლმავალთა ძრავების უფროს მექანიკოსად. თავისი საქმის უბადლო სპეციალისტად, კარგ მცოდნედ მიიჩნევდნენ. ყველანი თბილად ექცეოდნენ, თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. ყველამ კარგად იცოდა, რა მწარეა შვილის სიკვდილი, კარგად ამჩნევდნენ, მწუხარების კვალი მძიმედ ტვირთად რომ აწვა, არადა როგორი სიცოცხლით სავსე ახსოვდათ, ხუმარა, ნაკითხი, ლუკმის გამყოფი, ისეთი როგორიც ქალაქელ კაცს შეეფერებოდა. ახლა კი, უდროოდ მობერებული, გაჭაღარავებული, სანთელივით ჩამომდნარი კაციღა შემორჩათ ხელთ, განაწამები მამა ლადო ტატიშვილი. სახლში მეუღლე, უმშვენიერესი ვასასი, მუდარის გამომხატველი თვალებით შეყურებდა, რაც ოდნავ მჭმუნ-

ვარებას უმსუბუქებდა. ასე ავსებდნენ ერთმანეთს, დარდს უმსუბუქებდნენ და საალერსო სიტყვებს არ აკლებდნენ.

დათიკომ მკვეთრად შეცვალა მათი ცხოვრება. დათიკო საოცრად იუმორის მოყვარული და ენა მოსწრებული იყო, მამიდას ეამაყებოდა თითით საჩვენებელი ზრდილი ახალგაზრდა. მართლაც, ერთ რამედ ღირდა მისი დანახვა, თავზე ბუჩქივით გადაშლილი თმით, თეთრი, კოლხური სახითა და განიერი მხრებით. რკინისებური, ძლიერი მკლავები, თითქოს შესარკინებლად იწვევდა თავგასულ ყოჩებს. თუ ვაჟკაცი ხარ გამიძელითო. სტუდენტური წლები მამიდასთან და ბიძებთან ცხოვრობდა, უმეტესწილად, ლადიკოს ოჯახში უწევდა ყოფნა, რადგანაც ბიძის მეუღლე, ცნობილი რუსული ენის პედაგოგი, კატუშა არდიშვილი, რუსულს ასწავლიდა. ბავშვობიდანვე იტაცებდა სიმღერა, გენებიდან მოდევდა ღვთიური, ყურის დამატკბობელი ხმა. თბილისში მაღალი წრიდან გამოსული მეგობრები ჰყავდა. ჯანო ბაგრატიონი, ავდითი და კანდიდ ჩარკვიანები, სიმონიკა სხირტლაძე, პეტრე ბოკერია, ნიაზ დიასამიძე, ილიკო სუხიშვილი, ირაკლი აბაშიძე, ჭუკა ავალიშვილი, ჟორჟიკა კორძაია. სწორედ მაშინ დაუკავშირდა საშა მიქელაძის მომღერალთა ოჯახს, თავის მომავალ მეუღლეს, თამარ მიქელაძეს. სიმღერამ მიიყვანა სწორედ იქ, სადაც იყო ბედი მისი. ოცდახუთი წლის ასაკში გააკეთა არჩევანი — ოჯახი შეექმნა. საამისოდ პირობები გააჩნდა, უმაღლესი განათლებაც დაასრულა, დამოუკიდებლად ცხოვრებასა და ცოლ-შვილის შენახვას შეძლებდა. როგორც აგრონომი, ლაგოდეხში გაანაწილეს. პირველად გაუჭირდა თბილისთან და მეგობრებთან დაშორება, ეხამუშა ახალგაზრდას, პაპანაქება სიცხესა და სიცივეში თამბაქოს ფართობებში დილიდან-საღამომდის თავაწეული ტრიალი, მაგრამ მალე შეძლო საკუთარი თავის ხელში აყვანა, გულგატეხილობასაც სძლია, როგორც შესანიშნავ სპეციალისტს თავში აზრად აღარ მოსვლია საქმის ღალატი, მთელი თავისი ცხოვრება თამბაქოს განვითარების საკითხს შეალია რესპუვლიკის დამსახურებული აგრონომის წოდება, მთავრობის მადლობა და მრავალი ჯილდოები დაიმსახურა. არც მეგობრებისთვის და არც სიმღერისთვის უღალატნია, მაინც ახერხებდა მათთან ქეიფსა და ოხუნჯობას. ზოგჯერ დათაფლული, ზოგჯერ წიწაკასავით მწარე იუმორით. სუფრასთან მსხდომნი სიცილით იგუდებოდნენ, ცრემლმორეულ თვალებს იწმენდნენ, საჭმელად ვეღარ იცლიდნენ, თითქმის სუფრაც ხელუხლებელი რჩებოდა. ასე ერწყმოდა ერთმანეთს იუმორი და სიმღერა ჩვეული ჯანსაღიანი და ხალისიანი ღიმილით, მაგრამ ყველაფერი ამით როდი სრულდებოდა. ლაგოდეხის ტყეებში ნადირობას მიჰყო ხელი. გარეული ტახების ფენა-ფენად დადებულ მჭლე და ქონიანი ხორცის, ცვრიანი მწვადების

ბუნებაში შეწვასა და ჭამას რა შეედრებოდა! ისე შეეჩვია თოფით ხელში გაუვალ ტყეებში ძრომიალს, როგორც თბილისის ქუჩებში სიარულს. თავისი მეგობრებიც ისე აღაფრთოვანა ნადირობით, დღეებში, დიდი რუდუნებით აკითხავდნენ. ყველა თავ-თავის გზას ადგა, ყველამ კარგად იცოდა, როგორ გაეტარებინა შვების მომგვრელი ნეტარების წუთები, მწვანე ველზე გაშლილი კარვები, ოდნავ შეზარხოშებულები წამოწვებოდნენ სუფთა ჰაერზე, თავქვეშ ხელებს ამოიწყობდნენ და ისვენებდნენ. თუკი ვინმე პიკნიკს ინატრებდა, სწორედ ისეთი უნდა ენატრა. საუცხოო სიგრილე და სინოტივე, აშოლტილი ხეების შუა მოედინებოდა და ოციოდე მეტრის სიმაღლიდან დაბლა ეშვებოდა, რძესავით თეთრი ჩანჩქერი. მზის სხივებით აკაშკაშებული წვეთები, ვერცხლის ღილებივით წყდებოდა და მარგალიტებად ეფინებოდა სიმწვანეში ჩაფლულ გარემოს. ირგვლივ არომატული ტყის ხილის სურნელი იდგა, ბლომად ხარობდა სოკო, მარწყვი, ჟოლო, პანტა. თევზაობდნენ, ანკესითაც ირთობდნენ თავს, რუსულ „უხასაც“ ამზადებდნენ, ფიჩხებით კოცონს ანთებდნენ და ისე ხარშავდნენ, ლაზათიანად მიირთმევდნენ, ზედ ასგრამ ჭაჭას აყოლებდნენ.

ვერც თბილისი უარყო, თვეში ერთ-ორჯერ უწევდა ჩამოსვლა, ბედის ანაბარად ხომ ვერ მიატოვებდა ვასასისა და ლადოს. კი, მართალია, ისინი ჯერ კიდევ ჭარმაგად გრძნობდნენ თავს, მოხუცებამდე ჯერ კიდევ მრავალ წყალს უნდა ჩაევლო, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, პატარა ყურადღება ყველა ადამიანს სიამოვნებს, მითუმეტეს, როცა შვილივით გიყურებენ და თავიანთ მომავალ სიბერეს, შენს იმედზე თუ ამყარებენ.

სიბერემ და ავადმყოფობამ დარია ხელი დათას. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, რასაც ეკლესიების დანგრევა და განადგურება მოჰყვა, წელი ვეღარ წამოიღო, უღიმღამოდ დააბოტებდა სახლიდან ეკლესიამდე. შეჭმუხნული წარბები უტოკავდა, კედლების ნაშალ ქვებზე ჩამომჯდარს სიბრაზისგან ამღვრეულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, უსამართლობას წყობილებიდან გამოჰყავდა, ახალ ცხოვრებას, მის კანონებს ვერ ეგუებოდა, გულს ვერ უდებდა, ხშირად ილაჯგაწყვეტილი ხელს ჩაიქნევდა და მწარედ ამოიოხრებდა.

— გვეშველება, ვითომ რამე?! — ჩაეკითხებოდა თავის თავს. გუნებაში სევდამორეული ეფერებოდა ხავსმოდებულ, საგულდაგულოდ გამოკვეთილ ქვებს, მერე ჯაბანი კაცის მოწყვეტილი ნაბიჯებით გაუყვებოდა თემ-შარას.

თბილისმა ვეღარ უშველა, შვილებმა და შვილიშვილებმა ექიმები დაასიეს, ყველანი თავდადებით ემსახურებოდნენ, მაგრამ სხეულში მოკალათებული სიბერე თავისას არ იშლიდა, ვეღარავინ შეძლო

სიკვდილის სადავის შეჩერება, ოთხმოცი წლის ასაკში, თავისი ქალიშვილის, ვასასის სახლში გარდაიცვალა. სერგო ორჯონიკიძე იმყოფებოდა, მოსკოვიდან თბილისში მოვლინებული, შეიტყო თუ არა დათას გარდაცვალება, პანაშვიდზე მივიდა, საყვარელიძეები მოინახულა, რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელობას დაუკავშირდა, მიცვალებული დიდი პატივით ვაგონით წაასვენეს ზესტაფონამდე და საქარაში დაასაფლავეს მეუღლის გვერდით, იმავე ეკლესიის ეზოში, სადაც თავად მოღვაწეობდა. დეკემბრის თვე იდგა, წლის ბოლო დღეები იწურებოდა. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, გარდა ერთისა, მშვიდი დარი იდგა, ისეთივე თბილი, როგორიც თავად გახლდათ. მზის ალმაცერმა სხივებმა გააცილეს უკანასკნელ გზაზე...

29

მამობა და დედობა პირველმა ქალიშვილმა ცისანამ აგრძნობინათ დათიკოსა და თამარს. მამობა ყურის აწევის გარეშე მიულოცეს ახლობლებმა, — რადგან ქალიშვილი შეგეძინა ყურს აღარ აგიწევთო. — ეხუმრებოდნენ. საღამოს რესტორანში შეიკრიბნენ, პატარა ანგელოზი დაულოცეს. მოგვიანებით, ცისანამ „აღუს“ ძახილით უფროსების ყურადღება რომ მიიპყრო, ბაბუამ საშა მიქელაძემ, შესანიშნავი საღამო მიუძღვნა საყვარელი შვილიშვილის ამქვეყნად მოვლინებას. მდიდრული მაგიდა გაშალა, მოიწვია ახლო მეგობრები, იმ დაუვიწყარ საღამოზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართული და რუსული რომანსები. მაგიდას უსხდნენ შალვა დადიანი, ვალერიან გუნია — ვეტერანი ხელოვნები. ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა მაშინ, თუ პატარა ცისანა ღმერთს, მხოლოდ სიმღერისთვის ჰყავდა გაჩენილი. სუფრას ლაზათს მატებდნენ საყვარელიძეების დინასტია, ოხუნჯობდნენ, მღეროდნენ, ყველას გულიანად აცინებდნენ. სიცოცხლის არსს ისინი მხოლოდ იუმორსა და სიმღერებში გამოხატავდნენ, არც მიქელაძეები ჩამორჩებოდნენ. საშას ოჯახი საკონცერტო დარბაზად იყო გადაქცეული. ყურის დამატკბობელი ჰანგები კედლებს ისე ჰქონდათ შესრუტული, ლხინის გარეშეც კი გამოცემდნენ მუსიკალურ ბგერებს... პავლე ფრიად მოხიბლული დარჩა მიქელაძეების ოჯახის მუსიკალობით. განსაკუთრებული შთაბეჭდილება, დებიდან ყველაზე უმცროსმა რვა წლის ქეთუშამ მიიპყრო. შავთვალწარბა გოგონამ ნათლად დაამტკიცა იმ საღამოს, რომ მისი გამოძახილი ხელოვნებაში უკვალოდ არ ჩაივლიდა. „როგორი სიმშვიდე ვიგრძენი, როცა ამ პატარა გოგონას ტკბილ სიმღერას ვიმსენდი. ო, ღმრთო ჩემო, კარგია რომ არსებობენ ისეთი ადამიანები, ვინც ტკივილებს დაგიყუჩებენ. ბედნიერია საშა მიქელაძე,

რომ მონაგართან ერთად შეუძლია ჩვენი საწუთროს კიდევ მეტად გალამაზება. ამის მაგალითია ეს პატარა გოგოც“. — აღნიშნა პავლემ თავის დღიურში. არ შემცდარა, ნოსტრადამუსივით უწინასწარმეტყველა მომავალი, 1937 წელს სრულიად ახალგაზრდამ, მოსკოვში გამართულ, პირველ ქართულ კულტურისა და ხელოვნების დეკადაში, რომელსაც სანდრო კავსაძე ხელმძღვანელობდა, მიიღო მონაწილეობა ქეთუშამ. თავისი ხავერდოვანი ხმით სტალინს გული აუჩუყა, კრემლში გამართულ საზეიმო ბანკეტზე, ორთავემ ერთად შეასრულეს სიმღერა, „ნეტავი, ბიჭო მე და შენ“, რასაც მთავრობის მიერ გაცემული ჯილდო მოჰყვა, ბრძანებას ხელს აწერდა მიხეილ კალინინი, სტალინის ბრძანებით კი თბილისში, ცალკე გამოუყვეს საცხოვრებელი ბინა, ამას ზედ დაემატა კინო, „ჭირვეული მეზობლები“-ში, იმერელი ქალიშვილის როლი განასახიერა, განუყრელი გიტარით ხელში, თავისი ხმითა და სახით, თავი დაამახსოვრა კინომოყვარულებს. მოგვიანებით, ეს საქმე კარგად გააგრძელეს მისმა დიშვილებმა ცისანა, მარიკა და ივიკო საყვარელიძეებმა და ბოლოს დააგვირგვინა ნანი ბრეგვაძემ, რომელმაც მთელ მსოფლიოს მიაწვდინა, მიქელაძეების თავზე დანაბერტყი, ღვთისნიერი ნიჭიერება...

დრო მთის მდინარესავით სწრაფად და ხმაურით მიედინებოდა, ისე სწრაფად რომ თვალის დახამხამებასაც ვერ ასწრებდა ადამიანი. რაც წლები გემატება თვეები დღეებივით, წლები თვეებივით გარბიან. ისე გახდნენ ბაბუა და ბებია ვანო და ცაბუა, ვერა იგრძნეს რა... ვანო ჩუმად იჯდა აივანზე და თვალს ავლებდა შემოდგომის მიმწუხრით ყვითლად შეფერილ გარემოს, ხმელი ფოთლების შრიალს აყურადებდა, ქარისგან აქეთ-იქით მიმოფანტულს. დათას სიკვდილის შემდეგ, ობლად გრძნობდა თავს, სახლსა და ეზოს რაღაც იდუმალებით სავსე სიჩუმე დაპატრონებოდა. მხოლოდ ასწლოვანი მუხები ბუბუნებდნენ ძველებურად. ის ბუბუნი უმაქნისი არ ყოფილა, სახლსაც და ეზოსაც აფხიზლებდა. კარ-მიდამოში უკაცრიელობა აღარ იგრძნობოდა. ღვთისგან იყო დალოცვილი მათი ოჯახი. ყოველთვის ერთმანეთს ერწყმოდა გარეგნული და შინაგანი სილამაზე. სწორედ შინაგანი სულიერი სილამაზისგან იწყება ყოველივე სიკეთე. სწორედ ასეთი ადამიანების შთამომავლები აღწევენ თავისი კვალი დატოვონ ხელოვნებაში, თავი დაამახსოვრონ მომავალ თაობებს და ისტორიასაც წარუშლელი ფურცლები შემატონ.

რთვლობისას პავლე ჩამოდიოდა, სიმხნეს მატებდა ძმის გვერდით ტრიალი და მუშაობა. ყურძნის დაკრეფასა და დაწურვაში მონაწილეობის მიღება. ტასო და მარინაც აღფრთოვანებულნი რჩებოდნენ საშემოდგომო ნობათით. მარინას თორმეტი წელი შესრულებოდა, შეთ-

ვალული, ალუბლისფერი სხივი გადაჰკვროდა სახეზე. ხმაშიც აშკარად ეტყობოდა ბავშვობის წლების დასასრული, სუფთა აღმოსავლურ კილოზე ლაპარაკობდა, მაგრამ სახეზე გარკვევით ეტყობოდა იმერლობა. ტასო იმედის თვალით შეჰყურებდა ქალიშვილს. სჯეროდა და სწამდა, რომ მარინა ქართველი მანდილოსნის საზღვარს არასოდეს გაცდებოდა. დედის გული კარგად გრძნობდა შვილის ხასიათში სიყვარულსაც და მორიდებასაც. აღფრთოვანებდა საქარაში ყოფნა მარინას, შიშველი ფეხისგულებით ხავერდოვან ბალახში სიარული, ბახულასთან თამაში, ქათმების კრიახი, დეზებიანი მამლის ყივილი, ბუხრის ცეცხლი და ჭადის ცომზე გრძელი თითების ტყაპატყუპის მოსმენა. კარგად ახსოვდა რომ ჩამოიყვანეს, როგორ ეუცხოებოდა და ეჩოთირებოდა ყველაფერი: სახლი, ეზო, ხალხი, მაგრამ მოკლე ხანში ისე გაითავისა, ისე შეეგუა ყველას, ცრემლები ღაპა-ღუპით სცვიოდა, თბილისში წასასვლელად როცა ამზადებდნენ. განსაკუთრებით ვანოსთან და ცაბუასთან უჭირდა დაშორება, ის ყოველთვის მორცხვად და თავაზიანად იყო განწყობილი ბიძასა და ბიცოლასადმი, თუმცა მკაცრნი იყვნენ, მაგრამ ტაქტიანები. კარგად ესმოდათ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ პატარების მიმართ, მხოლოდ ზომიერება, ზომიერებაზეა დამოკიდებული სიმკაცრეცა და მოფერებაც და ყოველივე ის, რაც ამ ბუნებაში არსებობს, ხილულშიდაც და უხილავშიდაც...

საქარის მიწაზე დაადგამდა თუ არა ფეხს, მშობლიურ ჰაერს შეისუნთქავდა თუ არა, სასწაული ხდებოდა, პავლე უკეთესად გრძნობდა ხოლმე თავს — გულის ტკივილი უყუჩდებოდა. ვანო შეძახებდა ხოლმე, როცა შეატყობდა ზღვარს რომ გადადიოდა. შეძახილზე ის მძიმედ გადატანილი წუთები და თეთრხალათიანი ექიმები ახსენდებოდა, წუთით ჩაიმუხლებდა, შიშის გრძნობა იპყრობდა, ვანოც გვერდით მიუჯდებოდა. აღებულ სიმინდის ყანებში ჩალის ჩერგილები პირამიდებივით ზეცისკენ აღმართულიყვნენ, მთის კორტოხებზე ცხვრის ფარასავით მოჩანდა თეთრი ნისლები. გაღმითი სერიდან გაღმითი საყვარელიძეების კიჟინა მოისმოდა. პატარები ყირაზე გადადიოდნენ, ისმოდა ძაღლების ყეფა და გნიასი, ურმების ჭრიალი, „იშოს“ ძახილი და შოლტების ტლაშუნი. სიოს შემოჰქონდა ცხელი მჭადების, მადისაღმძვრელი სურნელი. მუხების გრილ ჩრდილში იშლებოდა გრძელი სუფრა, მადიანად სადილობდნენ მომხმარე მეზობლებთან ერთად. ვანო უპატივცემულოდ არავის გაუშვებდა, აუცილებლად ყელს ჩაასველებინებდა ციცქის ღვინით. მოსავლის აღებასთან დაკავშირებით აუცილებლად მუხების ქვეშ დიდ სუფრას გაშლიდა, ღმერთს მადლობას შეწირავდა, გარდაცვლილების სულს მოიხსენიებდა, მეზობლებს დალოცავდა და მადლობას გადაუხდიდა.

საღამოს, მზე რომ მაღალი მთების მიღმა გაუჩინარდა, დათიკო ჩამოვიდა ლაგოდეხიდან ცოლ-შვილთან ერთად. სიხარულის სხივმა გაუელვა ვანოსა და ცაბუას გულებში, გამჩენს მადლობა შესწირეს ნანატრი შვილის გამოჩენისთვის. ზალაში ბუხარი ააგიზგიზეს. თბილ საუბრებსა და მიკითხვა-მოკითხვებს აღარ უჩანდა ბოლო. დიდთვალება ცისანა დახმარების გარეშე დაბაჯბაჯებდა, დედისა და მამის შუა, მეტის გავლა აღარ შეეძლო, ძალა აღარ შესწევდა. მაგრამ მაინც ცდილობდა, თავისას არ იშლიდა და ძირს ბრაგვანს ადენდა. განაწყენებული აღრიალდებოდა, ფეხებს ზემოთ იქნევდა, სანამ ცაბუა არ დაუყვავებდა და ხელში არ აიყვანდა, არაფერი ჯობდა მათ ყურებას, პატარას ცრემლებით სავსე თვალებს, ბებიის ალერსიან ღიმილს. ბებია-შვილიშვილი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. ჩიქოვნების, მიქელაძეების, საყვარელიძეების სისხლი უჩქეფდა ძარღვებში პატარას, ტირილი და ბუტიაობა უყვარდა. ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, მოძრავი ბავშვი იყო, ჭარბი ცნობისმოყვარე.

პავლე თავისუფალ დროს მოიხელთებდა თუ არა, მუხების ქვეშ მაგიდას მიაშურებდა. დღიურებს წერდა, წერა გამამხნევებელ ძალად ევლინებოდა. სიტყვასთან ჭიდილში ჰპოვებდა შვებას. ლამაზი სტრიქონის ქაღალდზე გადატანა დარდს უხსნიდა, სტრიქონებთან ჩურჩულით, ტკივილს იქარვებდა:

„საქარაში ყოველთვის მიყვარს ყოფნა, განსაკუთრებით მაშინ უკეთ ვგრძნობდი თავს, როდესაც დედ-მამა, ჩემი საყვარელი მოხუცები მელოდებოდნენ. ეხლაც დიდი პატივით მღებულობენ ძმა, რძალი და ძმიშვილები. მაგრამ მშობლები მაინც სულ სხვაა, შეუძლებელია ვინმემ შეცვალოს ისინი, მათი სიკვდილის შემდეგ, უცებ დავბერდი...“

„ჩემი მშობლები დავით (დათა) საყვარელიძემ და მარიამ ჯაფარიძემ, პატიოსანი, ადამიანური ცხოვრებით იცხოვრეს. მამაჩემი სოფლის მღვდელი იყო. ოპტიმიზმით სავსე, რომელიც შთააგონებდა ადამიანებს, სიკვდილის შემდეგ არსებობს სულიერი სიცოცხლეო. პირადად მე არასოდეს ვუარყოფ ღმერთის არსებობას, რადგან ღმერთის მორწმუნე ადამიანებში ვხედავ კეთილშობილებას, მიზანდასახულობასა და დიდ სიყვარულს. ძალიან მაეჭვებს ადამიანის ცხოვრება, რელიგიის გარეშე...“

„წუხელი შუაღამისას გამომეღვიძა, ბევრი ვიწრიალე ლოგინში, ვერ იქნა და ვერ დავიძინე. ხელები გულზე დავიკრიფე და ფიქრებს მივეცი თავი. ბიძაშვილი სიმონიკა საყვარელიძე გამახსენდა. წერილს მწერდა სოლოვკიდან, დახმარებას მთხოვდა. მე რა შემიძლია, მაგრამ მაინც მივაკითხე ნაცნობებს. იყო შეპირებები, ისე არ იქნა ჩემი მტე-

რი, როდის იყო ესენი დაპირებებს ასრულებდნენ? სიმონიკა მართლა იმსახურებს ყურადღებას, ის სამართლიანი და პატრიოტი კაცია, უსამართლოდ მოექცნენ... ღმერთმა უმრავლოს სამშობლოს ისეთი კაცები...“

„აკაკის პოემა „გამზრდელს“ როცა ვკითხულობ, გაოცებული ვრჩები ამ პოეტის მახვილგონიერებით. მსოფლიო ლიტერატურაში ჯერ არ დაწერილა მსგავსი რამ. შავი ქვასავით აღმოაჩინა საკუთარ თავში პოეტური მადანი და დიდ საასპარეზო სივრცეში მოახერხა გასვლა“...

„ჩემი ძმიშვილების მეუღლეებს როდესაც ვხვდები მეჩვენება, თუ რა რიგად განსაკუთრებულნი და საოცარნი არიან ფეფიკოსა და თინიკას მეუღლეები: ნიკო ღოღობერიძე და ვლადიმერ კორძახია. ბედი ჰქონიათ მათ და ჩვენს ოჯახსაც, რომ ნიკო ცნობილი ღოღობერიძეებისა და კორძახიების ოჯახების შთამომავალნი მოგვივლინა სიძეებად. მადლობა უფალს!.. ასეა, ღირსეული ადამიანებიდან, ღირსეული და ჯანსაღი თაობები იბადებიან!..“

„ზამთრის სუსხიან ამინდში საქარაში აუცილებელ საქმეზედ მომიხდა ჩასვლა. ვანო მეხმარებოდა. შემთხვევით გაცივდა. ის ღამე თეთრად გაათენა ცაბუამ, თავგადაკლული თავს ევლებოდა მეუღლეს, ფეხები ცხელ წყალში ჩააწყობინა, ძმრით ტანი დაუზილა, მოცვის მურაბიანი ჩაი ასვა, ოფლი ადენინა... მოკლედ, იმდენი ჰქნა, გათენებამდე ლოგინშივე გამოაშუშა. ბედნიერებაა ასეთი თანამდგომი და თანამზრახველი...“

„ჟორდანია ვნახე სიზმარში. განმარტოებული ხელს მიქნევდა, საფრანგეთში ჩამოდიო მეძახდა. სიზმარში რა არ ხდება... მე მაინც უარზე დავდექი. ისევ უარი განვუცხადე, როგორც ცხადში ბათუმში. რა ვქნა, ღმერთისგან დაწყევლილი თუ დალოცვილი ვარ, ვერ გამიგია, სხვის მიწა-წყალზე არ შემიძლია ცხოვრება! მე თუ ჩემს საქარაში, კოჟრებიანი მუხების ჩრდილში ზაფხულობით არ წამოვწექი, თუ ჩემი თბილისის ქუჩებში არ გავიარე, ნოსტალგია მომკლავს. თუმცა, არ გამოვრიცხავ, დიდად სახიფათოა, მაგრამ დიდი ბედნიერებაა სამშობლოში ცხოვრება!..“

„ჩემი და ვასასი და მისი მეუღლე ლადო ტატიშვილი მოვინახულე. ჩემი უმცროსი ძმა გრიშაც იქ დამხვდა, ისინი ერთ ეზოში და ერთ სახლში ცხოვრობენ, უცოლო კაცია, ჩემი ძმა, თავისუფალ დროს დასა და სიძესთან ატარებს, ვასასი ურეცხავს, სადილს უმზადებს. თბილად ვისაუბრეთ, გავიხსენეთ სოფელი, წარსული ახალგაზრდობა. ვასასიმ

სადილზე მიგვიპატიჟა, ლადო გემრიელი ღვინით გაგვიმასპინძლდა. გულით მორთმეული ნობათი დიდად შესარგისია! მიხარია, რომ ასეთი ყურადღებიანი დაიკო და სიძე რომ მყავს, მათი მოყვარული დავრჩები გულისცემის შეწყვეტამდე...“

„ჩემი მახსოვრობიდან არ ამოვა 1917 წელი, როდესაც ვალერიან გუნიას ქართველმა ერმა იუბილე გადაუხადა, ის იყო ნამდვილი თეატრალური ზეიმი. იმ საღამოს მოწინავე საზოგადოება დაესწრო. სიტყვის ოსტატებმა მრავალი ლექსი მიუძღვნეს იუბილარს. გამოიხატა უსაზღვრო მადლიერების გრძნობა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პოეტები, მოკრძალებით თავს უხრიდნენ, მათ შორის იოსებ გრიშაშვილიც, რომელმაც რიხიანად დასჭექა სცენიდან: **„ვინც მე მზრდიდა ბავშვობიდან, ვის ვეძახდი მშობელ მამას... /მე არა ვარ ტაშის ღირსი — ის ეკუთვნის ამას... ამას...“/.** დიდად მახარებს და მეამაყება ჩემი სიმამრის ესოდენ დამსახურება ერის წინაშე!..“

„სამი წელი შესრულდა, რაც დედაჩემი აღარ არის ჩვენს გვერდით. ძალიან მიჭირს როცა წარმოვიდგენ ცივ სამარეში მწოლიარეს. განსაკუთრებით ცუდი ამინდი მაფორიაქებს, იქნებ როგორ სცივა. იქნებ თავზე ათოვს და აწვიმს... არსად, არ მეგულება დედაზე უფრო ერთგული ქალი, რამდენჯერმე სიზმარში ვნახე და მკითხა: ვარლამი ხომ არ დაბრუნებულაო. არ სჯეროდა მისი სიკვდილი, ჩემი თვალით არ მიხილიაო, — გაიძახოდა. ბოლო ამოსუნთქვამდე თვალი გზისკენ ეჭირა, ელოდა... ახლა გარდაიცვალა და ვეღარც საფლავში ისვენებს, უკვალოდ გამქრალი შვილის მომლოდინე. ღმერთო, ყველა დედა ააცილე ასეთ მწარე განსაცდელს!..“

„ჩემი ძმა ლადიკო და მისი მეუღლე ეკატერინა არდიშვილი მენატრებიან, როგორც კი თავისუფალ დროს გამოვნახავ, აუცილებლად ავაკითხავ, დიდ სიამოვნებას მანიჭებს საყვარელ რძალთან საუბარი. ტრადიციული ოჯახიდან გამოსული ქალბატონია, განათლებული. ჩინებულად ფლობს რუსულს და დიდი პედაგოგია. ჰყავს ერთი ქალიშვილი, რამოდენიმე წლით უფროსი ჩემს მარინაზე. მაგრად უდგას ჩემს ძმას გვერდით. ქმრისა და შვილის გულისთვის უკან არ დაიხევს, შიგ ცეცხლშიც ჩადგება... ამაზე უკეთესი სხვა რაღა უნდა ინატროს კაცმა?!..“

„ხანდახან ისე ცუდად ვხდები ხოლმე, სუნთქვა მეკვრის, ჰაერი არ მყოფნის, ტასოსა და მარინას არ ვუმხელ. ვცდილობ კრინტი არ დავძრა ამის შესახებ... თუ გაიგეს წუწუნით ამიკლებენ, მაიძულებენ არაფერი ვაკეთო, არ ვიკითხო, სახლში დავჯდე, სამსახურს თავი გა-

ვანებო, არაფერი განვიცადო და არაფერზე ვიფიქრო... გეკითხებით, სხვა რაა აბა სიკვდილი?!..“

„თორმეტი წელი შეუსრულდა ჩემს მარინას, ძალას მმატებს, როდესაც მის ვარდისფერ და ბედნიერ სახეს მივჩერებივარ, ცოტა ემოციურია, მაგრამ ყურადღებიანი! ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს!.. ღმერთს ვევედრები, ცოტა ხნით იქნებ კიდევ მაყურებინოს ჩემი სუსტი ბელურასათვის, სანამ მოღონიერდება, სანამ ფეხს მყარად დაადგამდეს დედამიწაზე...“

„ცუცუნა იყო ჩამოსული თბილისში, ვერის სასაფლაოზე პარაკლისი გადაუხადა თამარს. ძალიან მტკივნეულად ჩაიარა ყველაფერმა ამან... საცოდავი თამარი, რომ დაცლოდა უამრავ წარმატებას მიაღწევდა, საპატიო ადგილს დაიმკვიდრებდა კინემატოგრაფიაში. მადლობა ღმერთს, იმდენი მაინც მოასწრო, კინოეკრანზე მაინც დატოვა თავისი ღვთაებრივი სილამაზე... მწყინს, ძალიან მწყინს, რომ არ გაუმართლდა!..“

„არ ვაჭარბებ, ბებიაჩემი კიკვილი ორჯონიკიძე, არაჩვეულებრივი სილამაზის მქონე ქალი იყო მთელ იმერეთში. თამარი იყო პირველი შვილიშვილებიდან, ვინც ორეულივით დაემგვანა ბებიას. თამარის შემდეგ შვილთაშვილმა, ჩემმა ძმიშვილმა, ფეფიკომ დაჩრდილა ჩვენი მოდგმის ქალები... ფეფიკო მართლა კლასიკური სილამაზის განსახიერებაა. გუმანით ვგრძნობ, მალე დაიბადება, მალე მოევლინება ქვეყანას ის მესამე საოცრებაც. ღმერთმა ამრავლოს საყვარელიძეების ლამაზმანები“.

„ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად მომწონს ქართველ კაცში ღირსებასა და მონურ ცხოვრებასთან შეურიგებლობაა. ბუნებით მებრძოლნი ერი ვართ, ვიბრძოლებთ მანამ, სანამ თავს არ ვიგრძნობთ ღირსეულად და თავისუფლად. მხოლოდ ეს თანდაყოლილი თვისება გადაგვარჩენს... ამის იმედი რომ მაქვს, ესეც დიდი საქმეა!..“

30

შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, როდესაც მოსკოვი-თბილისის მატარებლით ზესტაფონამდე ჩამოაღწია შორეული ჩრდილოეთიდან წამოსულმა სიმონ საყვარელიძემ. ნოემბერი იწურებოდა, მხოლოდ რამოდენიმე დღე და დაიწყებოდა — ზამთარი. ქარი არ უბერავდა. გაყურსული, ნახევრადშიშველი ხეები უძრავად იდგნენ. ბნელოდა, მაგრამ აშკარად ჩანდა, მელნისფერი ალიონი შავჩოხიანი ლეკივით

ფრთხილად და ფეხაკრეფით რომ მოიპარებოდა. სადგურის წინ ჩამწკრივებულ ბოძებზე ნათურები ანათებდნენ, რომ გრძელი ეშელონიდან ჩამოსული მგზავრები ერთმანეთს არ შეჯახებოდნენ. სადგურის გვერდით რჩეული ცხენებით შებმული ეტლები იდგა მგზავრებისათვის და ბარგის გადასატანად. ვეებერთელა ორთქლის მანქანა დაოსებული, ბებერ ხარივით ქშუტუნებდა, წითელქუდიანი მორიგე, ფანრით ხელში, მემანქანეს რაღაცას უხსნიდა, ცხარედ ეკამათებოდა. სიმონიკა სადგურის წინ ბოძთან იდგა. ბოძის ჩრდილში ძნელად შესამჩნევი, ჩეკისტების თვალებს გარიდებული ცდილობდა, ისე ემოქმედა, მათი ყურადღება არ მიექცია, რადგან ჯერ კიდევ ეტყობოდა სახეზე სამხელი კვალი. კი, მართალია ინტელიგენტურად ეცვა და გამოიყურებოდა, მაგრამ გამოცდილი ჩეკისტის თვალი ძვალ-რბილში ატანს. არც სიმონიკა ყოფილა იმის ჩიტი, ასე ადვილად გაბმულიყო დაგებულ ხაფანგში. ის ყოველთვის ახერხებდა ოსტატურად თავის დაძვრენას, თუმცა ერთხელ შეცდა, დღიურების წერამ ექვსი წლით გაუზარდა სასჯელის ვადა, მაგრამ, სამაგიეროდ, შეცდომამ ბევრი რამ ასწავლა, ადვილად აღარავის ენდობოდა, გულუბრყვილოდ თავის ტკივილს აღარავის უზიარებდა. ოდითგანვე ასე ყოფილა შეცდომებზე სწავლობს ადამიანი, შეცდომებსა და გამოცდილებას მიჰყავს ჭეშმარიტებამდე. ისე ვერ მოიგებ, თუ დამარცხება არ იწვნიე. თორმეტი წელი დაჰყო იმ საშინელ ჯურღმულში კაცის მკვლელებსა და კაციჭამია ველურებს შორის, ბევრმა წარუმატებლობამ ძალა გამოაცალა, მაგრამ რწმენამ და გამარჯვებისკენ ლტოლვამ კვლავ გამარჯვებამდე მიიყვანა. ის აღარ ეგუებოდა იმ აზრს, რომ მდგომარეობის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. ის ყოველთვის იმედიანად შეჰყურებდა ცხოვრებასა და თავის ორეულს სარკეში. თავის თავს ყოველთვის არწმუნებდა, რკინასავით მაგარი და მოუდრეკი რომ იყო. მოქმედებდა უშიშრად, თავდაჯერებულად. თორმეტი წელი დასრულდა, რაც მშობლიური მიწის სითბო აღარ უგრძვნია, ახლა კი ელექტრო ბოძის ჩრდილში მდგარი ეხებოდა ქართულ მიწას და ხარბად სუნთქავდა მაზუთიანი რკინიგზის მორებისა და ორთქლმავლების კვამლისგან შეზავებულ ჰაერს და მაინც მოზღვავებული სიხარულით აღსავსე ყინვაგამოვლილი სხეული უთრთოდა. იდგა და ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, ჯერ თბილისში წასულიყო ცოლ-შვილთან, თუ საქარაში ასულიყო დედასთან. ბჭობდა, ვერ გადაეწყვიტა, რომლისთვის მიეცა უპირატესობა, საით გადაედგა პირველი ნაბიჯი, თბილისამდე ორასი კილომეტრი აშორებდა, საქარამდე ორიოდე სულ რაღაც ნახევარი საათის გზა თუ ექნებოდა ფეხით გასავლელი... როგორც კი მატარებლის კიბეზე ფეხს დაადგამდა ასასვლელად, ცუცუნას სახე დაუდგებოდა თვალწინ, პირიქით, გადაწყვეტდა

თუ არა დარჩენას, კატუშა და ლილი ცვლიდა დედის გამუდმებული ლოდინით ამოღამებულ თვალებს. იდგა და ადგილიდან არ იძვროდა, უმოძრაობასა და გადაუწყვეტელობას სიბრაზემდე მიჰყავდა. ბრაზმორეულს სახეზე სისხლი აწვებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გულის კარნახს დამორჩილდა. გულმა, პირველ რიგში, დედის მონახულება უკარნახა. რკინიგზა გადაჭრა, გზა შეიმოკლა, საქარისკენ მიმავალ აღმართს აუყვა... ორთქლმავალმა გამაყრუებლად შეჰკივლა, მძიმედ დაიძრა შემადგენლობა, რომელმაც სამშობლოში ჩამოიყვანა, შეიკედლა, სითბო არ დააკლო და მოსვენება, გულმა რეჩხი უყო, როდესაც შემადგენლობის კუდზე ანთებული წითელი შუქი თვალს მიეფარა, ნელი ნაბიჯებით მიიწევდა წინ, სული სიამით ევსებოდა, სიამემ შეძრა, როდესაც ბავშვობისდროინდელ გარემოს დაადგა ფეხი, ჩაიჩოქა, მიწას ეამბორა, პირჯვარი გადაისახა. უღრუბლო ცის კაბადონიდან ალიონ შემოპარული ვარსკვლავების მოკაშკაშე სხივები თავზე ეფრქვეოდა. გულის ჯიბიდან დათას ნაჩუქარი ღვთისმშობლის პატარა ხატი ამოიღო, რომელიც საგულდაგულოდ ჰქონდა პერანგის შიგნით გულთან ახლოს გადამალული. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ატარა ბიძისგან მორთმეული საჩუქარი. ატარა რწმენით, მორწმუნე კაცის პრინციპებით უაღრესად მკაცრი ცხოვრება გამოიარა, ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოსა და ერის წინაშე.

დიდხანს იდგა გაუნძრევლად და დათრთვილულ მიწას ჩაცქეროდა. მეურმეების ფიცხმა შეძახილებმა მოწყვიტა ფიქრს, ხალისიანად წამოხტა. ნოემბრის ცივი დილა წყნარი მტრედივით მოგოგმანობდა. მზე არ ჩანდა. სისხლისფრად შეღებილი აღმოსავლეთი მზერას სჭრიდა. ურმების ჭრიალი და აჩქარებული ნაბიჯების ხმა მაღვიძარა საათივით აფხიზლებდა სოფელს. ბუხრის თავებიდან ამონადენი კვამლი ზემოთ მიიწევდა. ხალხი ბაზრისკენ მიიჩქაროდა. აპექსი საყვარელიძის სახლს რომ გაუსწორდა, ასწლოვან ხეებიდან წამონაბერმა ნიავმა დედასავით მიუალერსა, ლოყაზე უჩქმიტა და სახეზე ნაზად ჩამოუსვა აკანკალებული, გამხდარი ხელი. მთავარი გზიდან აპექსის სახლი ასიოდე მეტრით იყო დაშორებული. სწორედ სახლიდან იწყებოდა საუბნე ჩასახვევი გზა და ნაწილი გამოღმა საყვარელიძეებისა, ერთმანეთის ჩაყოლებით ამ მყუდრო გარემოში ცხოვრობდნენ. აქედან საცალფეხო ბილიკით შეეძლო გაღმა, თავის სახლში, გასულიყო, არ ინება, აღმართ-დაღმართს, ხევსა და ოკრო-ბოკროდ სიარულს შემოვლა არჩია, მეორე შესახვევიდან, სადაც საურმე გზა გადიოდა, ფეხი რომ არ დაცდენოდა ხელში ლამაზად გათლილი ხელჯოხი ეჭირა, სინამდვილეში მოფარიკავე-მუშკეტიორის იარაღი იყო, საჭიროების შემთხვევაში თავის დასაცავად. ამ იარაღით. სოლოვკაში ყოფნისას, განმარ-

ტოვდებოდა და, ვინმეს რომ არ შეემჩნია, ჩუმად ვარჯიშობდა. იარაღი ჯოხში ისე იყო ჩასმული, ჩეკისტებს აზრადაც არ მისდიოდათ, ჯოხი თუ ქარქაშის ფუნქციას ასრულებდა.

შორი მაღალი მთებიდან მზე ამოიწვერა. თრთვილში გახვეულ მიწას ოხშივარი აუვიდა და ნელი სიოთი უთავბოლოდ მიმოიფანტა გადასარკულ ველ-მინდვრებზე. სიმონიკას სიზმარში ეგონა თავი, თვალები მოიფშვნიტა, ჭაბუკური შემართებით აღივსო. ხალისიან გუნებაზე დააყენა საქარის ნიავმა, ქართულ მზეს წუთიერი დუმილით შეეგება. შუბლზე ჩამოფხატული ქუდი მოიხადა, ნახევრად გამელოტებული თავი მოწიწებით დაუკრა — სალამი, მაღალო მზეო! — მიესალმა. მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და დაუქნია, მერე მორჩილად უკან დაიხია და გზა განაგრძო. ვანლერ დაისელის ჭიშკართან შეჩერდა. მწვანე ბალახით დამშვენებულმა სუფთა ეზომ მზერა მოსტაცა. მიუხედავად გვიანი შემოდგომისა, ბალახს მაინც არ შეცვლოდა ფერი, მხოლოდ ხეებიდან ჩამოცვენილი ფოთლები გადაქცეულიყო ოქროდ და ბალახში მიმოფანტულიყო. ხეების გრძელი ჩრდილები სტრიქონებივით აჩნდა, ბროწეულის ჩირგვებით ჩარაგვულ ეზოს. ჩიგვები სიმაღლეში რომ არ გაზრდილიყო, თავებს ასხეპდნენ, ერთ დონეზე აყენებდნენ, ლამაზად გამოიყურებოდა, ისე იყვნენ ერთმანეთში მჭიდროდ გადახლართულნი, ვარიკასაც კი უჭირდა შიგ გამძვრალიყო. ცოცხალი ღობე და ხუჭუჭათავიანი ალვები მართლა პოეტურ გარემოს ჰქმნიდა. „უდავოდ ნიჭიერი პოეტი იყო. საცოდავი, როგორი უიღბლო დღეს ყოფილა დაბადებული“. — გაჰკრა გონებაში. კანტი-კუნტად იცნობდა მის პოეზიას: „დედა-საქართველო, მსხვერპლად შეინწირე მზეში შეღებილი ვანლერ დაისელი!“ — ამოხეთქა გულიდან. ვანლერის გადასახლების შესახებ სოლოვკაში ყოფნის დროს გაიგო, პოეტის ახლო მეგობრებისგან, რომელიც პოლიტპატიმრებთან გაამწესეს. ვანლერსაც ელოდა, მაგრამ ამაოდ. კარელიიდან მურმანსკში გადაისროლეს. მეტის გაგება ვეღარ მოახერხა, გასროლილი ნაღმივით გაქრა და ჩაიწვა. გზაზე მომავალი მგზავრებისთვის აღარ მიუქცევია ყურადღება, მხოლოდ ბესარიონის ეზოსთან შეჩერდა. ნირშეუცვლელად იდგა ბესარიონის სახლი, მხოლოდ ეზოში ბავშვებისთვის მორებისგან გაკეთებული სპორტული მოწყობილობა არ ესიამოვნა. „ალბათ გააკულაკეს“. — გაჰკრა გონებაში. ამას სახლსა და მარანს შორის გავლებული ფიცრული ღობეც მოწმობდა. ღრმად ამოიოხრა, ქვედა ტუჩი მოიკვნიტა. — მაგათაც ნახეს რა მდიდარი! — გამოცრა, ღობესთან ბესარიონს მოჰკრა თვალი, წუთით შეყოვნდა. გალიფე შარვალი ეცვა, გარეთ გადმოფენილი. მატყლის მსხვილი ძაფით მოქსოვილი წინდებითა და შავი, ღორის ტყავისგან შეკერილი წუღებით. რაღაცას ბუზღუნებდა, ღობეზე ამძ-

ვრალ ფიცარს აჭედებდა, ხელი უკანკალებდა, მძიმედ, სუნთქავდა, მალი-მალ ახველებდა, ეტყობა სასულეში ნერწყვი გადაცდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, მაინც განაგრძობდა კაკუნს. სიმონიკას არ უნდოდა გამოლაპარაკებოდა, ერიდებოდა, იცოდა მისი ხასიათი, უპურმარილოდ რომ არ გამოუშვებდა. ამიტომ სცადა შეუმჩნევლად ჩაევლო, მაგრამ მარიფათმა უმტყუნა, ბესარიონმა სწორედ მაშინ შენიშნა, სამშვიდობოს გავედიო რომ ეგონა...

— სიმონიკა არ ხარ ბიჭო, შენ? ასე უნდა? რამდენმა წელმა ჩაიარა, ერთმაეთი არ გვინახავს! რომ მიძვრები ასე ჩუმად, სად მიძვრები?.. შენისთანა კარგი დედ-მამის შვილს არ გეკადრება ასეთი საქციელი, — ბესარიონმა ხელები გაშალა, გულში ჩაიკრეს ერთმანეთი. — ასე უნდა? ისე არ წავქცეულვარ, ერთი კაცის გამასპინძლება ვერ შევძლო! — იძახდა და მხრებზე უთათუნებდა ნიჩაბივით ხელის მტევნებს...

— მეტისმეტად ნუ გამიბრაზდები, ჩემო ბესარიონ, ვიცი შენი ოქრო გულის ამბავი, მაგრამ ისე ვარ გადაღლილი, ახლა მაგის დრო და ხასიათი ნამდვილად არ მაქვს! — მხრები აიწურა სიმონიკამ.

— ბოლო-ბოლო გაღირსეს თავისუფლება თუ არა, მაგ სულწაწყმედილებმა, — აქეთ-იქით გაიხედა და ხმას დაუწია, დათას სიტყვები მოაგონდა, „ხმამაღლა მოეშვი საყვედურებს, თავი შარში არ ჩაიგდოო“. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, სიმყუდროვე ისევ ბესარიონმა დაარღვია, — საყვარელიძემ არ შეუნარჩუნა პირში სული იმ გორელს, რომ გრიგოლს არა, ძვალიც აღარ ეგდებოდა დღეს მაგისი მიწაში... რა მაინცდამაინც ჩვენ დაგვეტაკა, მადლობის მაგიერია? დამპალი, მამაპაპური სახლი წამართვა, სკოლად გადააქცია, მიკვირს ზედ რომ მარანი არ მიაყოლა და სალოკავ თითივით მთლად შიშველი არ დამტოვა ცისქვეშ!..

სიმონიკამ შებოჭილად იგრძნო თავი, კარგად ერკვეოდა და იცოდა კაპიტალიზმიც და სოციალიზმიც, კარგად ესმოდა ვინ იყვნენ ბოლშევიკებიც. მას არ შეეძლო გაეზიარებინა ბესარიონისთვის საკუთარი აზრი, მაგრამ ერთში ეთანხმებოდა, ბოლშევიკებმა სალოკავ თითივით ტიტველი დატოვეს მდიდრებიცა და საშუალო ფენის ხალხი, საარსებო წყაროდ ძალიან ცოტა დაუტოვეს, სიცოცხლე გაუმწარეს, თუ ვინმე ხმის ამოღებას გაბედავდა, ტყვია ან გადასახლება არ აცდებოდა, მათთვის სხვისი სიცოცხლე ცარიელი სიტყვები იყო მხოლოდ... ფარისევლებსა და თვალთმაქცებს, ვისაც ლამაზი ტყუილების თქმა შეუძლიათ გმირებად რაცხავენ, ერთგულ, პატიოსან კაცს, რომელიც პირდაპირ პირში მოგახლის მახინჯ სიმართლეს, ჩრდილო პოლუსებზე ან საიქიოში აგზავნიან „დასასვენებლად“. ეს რა უცნაური თვისება დაგვყვა ადამთა მოდგმას, ლამაზი ტყუილი გვირჩევნია მახინჯ სიმართლეს.

აკაკის ლექსი გაახსენდა. „დღევანდელი გმირი არის, / გუშინდელი თხა პარია“-ო... სიმონიკამ მწარედ ჩაიცინა, თავზე ჩამოფხატული კეპი გაისწორა და ბესარიონს მიმართა:

— ახლა გამიშვი, ჩემო ბესარიონ, ვაგონისა და მჭვარტლის სუნი მოვიშორო, მშვიდად გამოვიძინო, შემდეგ კი ჩემი თავი გენაცვალოს, გიზგიზა ბუხართან ვაჭახუნოთ ჭიქები. — სიმონიკამ მარცხნივ გაუხვია, სახლისკენ მიმავალ ორშარას გაუყვა. ბესარიონმა თვალი გააყოლა, „ურყევი რწმენის კაცია, — დაადევნა ფიქრი, — ნებისყოფა და დაუმორჩილებლობა ვაჟკაცობის სიმბოლოდ აქვს მიჩნეული. ხიფათები და მოუსვენრობა თავად ღმერთისგან აქვს თან დაყოლილი“. იდგა და უცქერდა, როგორ მიათამაშებდა საბიჯგ ჯოხს, უკვირდა, რისთვის სჭირდებოდა მუხლმაგარ ახალგაზრდას ასეთი ლამაზი ხელჯოხი, ბჭობდა და ვერ აეხსნა, ვეღარც ფიქრები მოიშორა, სანამ თვალს არ მიეფარა. სიმონიკამ წყაროსთან ჩაიმუხლა, ამოპეშვა ჩუხჩუხა, კამკამა წყალი, ხარბად დაეწაფა. უზმოზე მეტად შესარგისია. კარგ ხასიათზე აყენებს ადამიანს, შინაგან ორგანოებს უხდება... სოლოვკის გაუვალ ტყეებსა და არყის ხის მაღალ ხეებზე ფიქრმა წარსულში დააბრუნა, გაიხსენა გაზაფხულზე ნაჯახით რომ ჩაჭრიდა ხოლმე ბერიიოზის მაღალ ხეებს და ზედ ქილებს შეუყუდებდა, გემრიელი წვენის შესაგროვებლად. ერთხელ კიდევ ამოპეშვა სანუკვარი სითხე და შედარება გააკეთა: — არა, არა! — ასკვნიდა, — ჩვენი, ქართული, ყველაფერი დალოცვილია!..

მზე მოძლიერდა, ალმაცერმა სხივებმა მაინც შეძლეს, ტკბილად აეჭიკჭიკებინათ ჩიტები, შიშნაკრავი ადამიანები და ბუნება წამიერად მოექარგა, თავჩაქინდრულ ალვებისთვის ხალისიანი სიცოცხლის იერი დაებრუნებინა, წუხილი სიხარულით შეეცვალა. კიდევ ერთხელ ეამბორა დედის მკერდივით თბილ და სურნელოვან მიწას, უბიდან ღვთისმშობლის ხატი ამოიღო, მზეს შეაგება, მეტი ბრწყინვალება რომ შემატებოდა, ღვთისმშობელსაც რომ ეგრძნო ქართული, გულუხვი მზის სხივის ძალა.

გული ამოუჯდა ცუცუნას, ცერისსიმსხო კურცხალი ჩამოუგორდა თვალებიდან. ეს იყო დედობრივი ხანგრძლივი მოლოდინის, სიხარულისა და სიბრალულის ცრემლები. სუსტი მხრები უთრთოდა, დედისთვის ნეტარისა და სიმწრის მომტანი აღმოჩნდა ის წუთები ერთადერთ შვილთან შეხვედრისა, უდროოდ გარდაცვლილი ნინა და თამარიც გაახსენა, სიბრალულის გრძნობამ შეიპყრო... „ეჰ, ვინ რა იცის, რა ტრიალებს დედის გულში მათი სიკვდილის შემდეგ. სიცოცხლემაც კი ფასი დაკარგა. „ჩირის ფასადაც კი აღარ ვღირვარ, რაღა აზრი აქვს ჩემს ყოფნას ამ ტიალ წუთისოფელშიო“. ცაბუა ამშვიდებდა, —

გეყოფა წუწუნი, ღმერთს ნუ სცოდავო. მორწმუნე ქალი იყო, ღმერთის ხსენებაზე, ჭირვარამი უცხრებოდა. ღვთის შიში რომ არ ჰქონოდა, თავისივე ხელით დანას გამოისვამდა ყელში. ისე მართლა მწარე ბედი არგუნა ამ ქვეყნის გამგებელმა ახალგაზრდა ქალს. ძნელი ყოფილა მწარე ხვედრის გადატანა, დროზე მოთოკა ნერვები ცაბუას წყალობით. ძვირად დაუჯდა ცაბუას ცუცუნას მოთოკვა, ხვეწნა-მუდარა, დაყვავება, მოთმენა, თუჯის ნერვები იყო საჭირო. ცაბუა ერთადერთი ქალი იყო, ვისაც ანგარიშს უწევდა. თუმცა ცუცუნა ბევრად უფროსი იყო, ბიცოლად ეკუთვნოდა. ცაბუა, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, აუჩქარებლად აწონ-დაწონიდა საქმის ვითარებას. არც ვანო არ ყოფილა სულსწრაფი, ტყუილს კი არ ამბობდნენ ძველები, მეუღლეები ტყუპებივით ემსგავსებიან ხასიათით ერთმანეთსო.

მაგიდა ჩურჩხელებით, ხილითა და არყით იყო გაწყობილი. ქუხნასახლში ქალები ტრიალებდნენ, საუკეთესო კერძებს ამზადებდნენ. სიმონიკა ინტერესით აკვირდებოდა მათ სახეებს. დუნია მოვლილ კაცს ბევრი რამ შეცვლილი ეჩვენებოდა, სახლი, გარემო. მზერას ტაცებდა ფეროს უზარმაზარი, ცას მიყრდნობილი აგურის საკვამურები, მაგრამ იქედან ამოვარდნილი ყვითელი კვამლის ზოლი და მანგანუმის მძაფრი სუნი დიდად არ ეპიტნავებოდა.

მუხების ძირში ჩაცუცქული ბახულა სევდამორეული, წირპლიანი თვალებით გაჰყურებდა ორღობეს, მარიამისა და დათას სიკვდილის შემდეგ. ისე დანაღვლიანდა, რომ ძალიან ცოტას ჭამდა. გაძვალტყავებული და ფერდებჩავარდნილი თვლემდა ხოლმე, მათ მოლოდინში გადაქანცული. გულამღვრეული ვანო თავზე ხელს უსვამდა, ცდილობდა გაემხნევებინა ერთგული არსება, მაგრამ ამაოდ... სიმონიკამ დაუწრუპუნა, ხელი დაუქნია, მეორე ხელს მუხლის თავზე ირტყამდა, ანიშნებდა ჩემთან მოდიო. ძაღლი ზანტად წამოდგა, აივანზე ასასვლელ ქვის კიბეს აუყვა, სიმონიკას სკამთან შეჩერდა, მუხლებზე აეგლასუნა, შავი დრუნჩით ყნოსავდა და ზემოდ აპრეხილ კუდს მეგობრობის ნიშნად აქეთ-იქით აქიცინებდა. გვერდი-გვერდ ისხდნენ ვანო და სიმონიკა, მამად უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ბიძაშვილად, სიმონიკა „ივან დავიდოვიჩ“ ან „ბატონ ვანოდ“ მიმართავდა, იშვიათად „შენობით“, ვანოს გამოხედვა ჰქონდა მკაცრი, გული კი სათუთი, ვაგლახად, ვერავინ რამეს ვერ შებედავდა. ზორბა ტანის, მხარ-ბეჭიანი და მკლავებმაგარი. მთელი თავისი ახალგაზრდობა, ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლამდე შორაპნის მაზრას განაგებდა. ხალხს უყვარდა, მტლად იყო დადებული, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ზესტაფონის რაიონის სასამართლოს ვექილად დაინიშნა. მაღალ თვლებზე შემდგარი ეტლით მიჰყავდათ და მოჰყავდათ, თვალსაჩინოდ

გამოირჩეოდა თანამშრომლებისგან, ინტელიგენტობით, უბრალოებითა და განათლებით.

დათიკო იყო ჩამოსული, აღნაგობით მამას ვერ შეედრებოდა, ვანო უფრო მკვრივი, ვაჟკაცური და მაღალი იყო, სილამაზით დათიკო სწონიდა, უფრო ნაზი და მიმზიდველი ჩანდა. ორი პატარა ქალიშვილი ჰყავდა ცისანა და მარიკა, თვალებბრიალა ცელქი ცუგრუმელები. სწორედ ეს მარიკა გახლდათ რიგით მესამე მოვლენა, რომელმაც სილამაზით დაჩრდილა საყვარელიძეების ლამაზმანები. ბებიის მარიამ ჯაფარიძის სახელი დაარქვეს. სინატიფე ჯაფარიძეებისა და დიდი ბებიის კიკვილი ორჯონიკიძის გენებიდან მოსდევდა. ცისანაში ჩიქოვნების სისხლი სჭარბობდა, დათიკოც დედას ჩამოგავდა სახის სწორი ნაკვთებით, სიარულით მანერით, კოლხური მომხიბვლელობით. ხუთი შვილიშვილი გაუხდა ვანოს, ოთხი ქალი და ერთი ვაჟი. გვარის გაგრძელებაზე დათიკოს უნდა ეზრუნა, მასზე იყო დამოკიდებული საყვარელიძეების ბედი. დათას შთამომავლები რომ არ გადაშენებულიყო. მსგავსი საშიშროება ელოდა კონსტანტინეს ნაშიერს. სიმონიკასაც ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, ამიტომ ვაჟიშვილები ჰაერივით ესაჭიროებოდათ ორთავეს. ვანო იმედს არ კარგავდა, თავისი წარსული ახსენდებოდა, განგებამ დროზე უბოძა ძე. ღვთის მადლიერი კი დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე...

სიმონიკას დაბრუნებამ მომავლის ნაპერწკალი აუნთო გულში ცუცუნას, ამდენ ხანს უიმედოდ ხავსს ჩაჭიდებული, ახლა იმედიანად ჩაეჭიდა შვილის მიერ გაწვდილ ხელს, ენთუზიაზმით აივსო, ისე საშინლად აღარ ბრაზობდა, აღარ წუწუნებდა და აღარც კვნესოდა. შვილთან სიახლოვემ, იმწუთშივე მოუხსნა სუსტი მხრებიდან ვეებერთელა ტვირთი. გაბრწყინებული თვალებიდან სიხარულის ცრემლები ეღვრებოდა, და ფიქრობდა: „ჯერჯერობით სამი შვილიშვილი ქე მყავს, ახლო მომავალში, თუ ღმერთის ნება იქნება, სიმონიკამ შეიძლება გაზარდოს მათი რიცხვი“. შავი ძაძები ეცვა გულდამდუღრულს, ბედის უკუღმართობას მაინც ვერ გაექრო ის სიტურფე, რაც ჯანსაღი ჯიშიდან მოსდევდა ავალიანის ქალს. კი მართალია, ის იმერული სიკეკლუცე მეუღლესა და ქალიშვილებს თან ჩააყოლა საფლავში, მაგრამ ქალური სინაზე, რაც მამრებს იზიდავს და ხიბლავთ, ჯერ კიდევ არ ჩაშრეტოდა... ადრე თუ ჩირის ფასად არ უღირდა წუთისოფელი, შვილის დაბრუნებამ ფასი დაადო მის სიცოცხლეს...

ისევ უნდა გაყრილიყო დედა-შვილის გზები, მაგრამ, ამჯერად სავიშვიშო აღარაფერი სჭირდა ცუცუნას, სიმონიკა თბილისში უნდა გადასულიყო ცოლ-შვილთან საცხოვრებლად. დედაქალაქში უნდა მოეძია სამსახური, სასმელ-საჭმელი ჭირდა, აშკარად იგრძნობოდა

შემოსავლის ნაკლებობა, რაღაც უნდა ეღონა, გამოსავალი გამოენახა, ცოლ-შვილი გამოეკვება. ერთადერთ გამოსავალს სოფელთან არ უნდა გაეწყვიტა კავშირი. სახნავ-სათესი მიწა უნდა დაემუშავებინა, ვენახისთვის მოევლო. მაგრამ, გაწვდებოდა კი ამდენს? თბილისი ზესტაფონთან არც ისე ახლო მანძილი იყო დაშორებული. „კაცი თუ მოინდომებს, კლდეს გაარღვევსო“, — თავს ახსენებდა ბრძენკაცის სიტყვები. არწივის ხასიათის მქონეს დაუძლეველი უნდა დაეძლია. გადაწყვეტილი ჰქონდა, ფარიკაობა ესწავლებინა მომავალი თაობისათვის, კადეტთა კორპუსში მიღებული ცოდნა მომავალი ქართველი სპორტსმენებისთვის გადაეცა. სამხედრო კარიერაზე ზედმეტი იქნებოდა ფიქრი, გადასახლებაში მყოფი, ციხე გამოვლილი კაცი, იმ დროის ხელისუფლებას, აღარ სჭირდებოდა. სპორტით დაიწყო გაეტანა ლელო, „შეძლებ, — კარნახობდა გონება — მიაღწევ სრულ გამარჯვებას, შენ შენი ნებისყოფით, რწმენითა და დაუღალავი შრომით შეძლებ მაღალ საფეხურზე ასვლასო“. გვერდში ამოუდგა კატუშა, პირველსავე დღიდან იგრძნო ცოლის გახსნილი წარბი, უწინდებური ხალისი დაუბრუნდა და შეუპოვრად შეუტია ჭაპანგამწყვეტ ცხოვრებას. უნდა დაესწრო, თავად უნდა მოეგრიხა პირველს კისერი, თორემ ცხოვრება არ დაინდობდა. უნდა ებრძოლა, ემოქმედა, ემოძრავა, ოცნება რომ რეალობად ექცია. წუთისოფელი მეტი არაფერია, თუ არა, დიდი საბრძოლო ველი, და იმ ველზე გამოსული ადამიანები, მთელი თავისი სიცოცხლე იბრძვიან, როგორც კი ბრძოლაუნარიანობას დაკარგავენ უმალვე იღუპებიან.

ლილი სიხარულით ფეხს მიწას აღარ აკარებდა მამის შემყურე, ღრუბელივით მაღლა-მაღლა დაფარფატებდა. თოთხმეტი წლის ასაკში შეიტყო, როგორი თბილი ყოფილა მამობრივი სიყვარული. საკუთარ თავს აკვირდებოდა კარადის კარის სარკეში, უკვირდა ფერთა ასეთი დამთხვევა, სახით საოცრად გავდა სიმონიკას, ტანიც მამასავით ხმელი ჰქონდა. გოგოები მამებს უფრო ემსგავსებიანო. — ეუბნებოდა კატუშა. დედის ნათქვამს სარკეც უდასტურებდა. არ გაჭირვებია შეცვლილ მოვლენასთან და მამასთან შეგუება, მამა მომთხოვნი იყო, ხშირად სკოლაში აკითხავდა, ამოწმებდა როგორ სწავლობდა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მასწავლებლებსა და თანაკლასელებს შორის. სიმონიკა ნაზი გრძნობებით ეპყრობოდა, მამა-შვილს შორის მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა. დედა შედარებით მკაცრი მოეჩვენა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წამოიზარდა. ცოტა უხეშად ექცეოდა და უკვირდა, რატომ არ რთავდა ნებას კაბა მუხლებს ზემოთ რომ ეტარებინა, ან თმის ვარცხნილობა შეეცვალა, ან საღამოთი, ათი საათის შემდეგ, განრიგი დაერღვია და არ დაეძინა.

ერთი სიტყვით, კატუშა ცდილობდა, ქალიშვილს ეცხოვრა, როგორც სკოლის ასაკის მოსწავლეს შეეფერებოდა. სიმონიკა ჭკვიანი კაცი იყო ბალანსი რომ არ დარღვეულიყო მშობლებს შორის, მოზარდს უპირატესობა ერთისთვის არ მიენიჭებინა, კატუშას მხარეს უფრო იჭერდა: „მოზარდმა ისე უნდა იცხოვროს და მოიქცეს, როგორც მოზარდს შეეფერება“ — ასე შთააგონებდა და ამშვიდებდა ტკბილი სიტყვით. ის კმაყოფილი დარჩა, როცა გაიგო ლილის გადაწყვეტილება, ექიმი რომ უნდოდა გამოსულიყო. თუმცა ლილის არ დაუმალავს და იმაშიც გამოუტყდა, რომ სურდა მამიდასავით, არტისტი გამხდარიყო. ადრე, ბავშვობაში, დედასაც განუცხადა ამის შესახებ. სიმონიკას ახალგაზრდობა გაახსენდა, თავადაც ოცნებად ჰქონდა ექიმის თეთრი ხალათი ეტარებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, დროის უკულმართობის გამო ვერ მიაღწია საწადელს, ქალიშვილის გადაწყვეტილებას კატუშა არ შეწინააღმდეგებია, პირიქით, მოსწონდა მისი მიზანდასახულობა. ლილიც აძლევდა ამის საბაბს, — ბეჯითად მეცადინეობდა, ბევრს კითხულობდა, უყვარდა თეატრი, მუსიკა, კინო და პოეზია... კატუშას მაინც ეჭვი ეპარებოდა ქალიშვილის ექიმობაზე. რატომღაც მიაჩნდა, ის უფრო დიდი ბაბუის, რაფიელ ერისთავის კვალს გაჰყვებოდა, ხელოვნებისკენ გადაიხრებოდა...

კითხვა-გაკითხვამ სპორტის კომიტეტამდე მიიყვანა სიმონიკა, ოცნება მარტო ოცნებად რომ არ დარჩენილიყო, ქმედება იყო საჭირო. სპორტკომიტეტში თავისი ძველი ნაცნობი ვასილი ფეოდოროვი მუშაობდა, მაღალი თანამდებობა ეკავა. ვითარება მოითხოვდა უნდა შეეწუხებინა. ბევრი ჭოჭმანის შემდეგ, შეაღო კაბინეტის კარი და შევიდა. ვასილმა თავმდაბლად და ღიმილით მიიღო. გულდასმით მოუსმინა მის თხოვნას, მერე ჩაძიებული მზერით თვალი თვალში გაუყარა. იცოდა მისი დაუზარელი ხასიათი, საქმისადმი ერთგულება. ყველაფერი გულდასმით აწონ-დაწონა, ბევრი წვალების შემდეგ, თბილისის რამოდენიმე სკოლაში გამოუძებნა ადგილი მოფარიკავეთა მწვრთენელისა, თან დაპირდა უახლოეს დროში ახლად დაარსებულ ფიზკულტურულ ინსტიტუტში, იმავე სპორტის სახეობაში იმავე თანამდებობაზე დანიშვნას. ასე გადაიდგა პირველი ნაბიჯები, თუმცა ძნელად, მაგრამ რწმენით აღსავსე... საღამოს სახლში დაბრუნებულმა, პერანგის ჯიბიდან ღვთისმშობლის ხატი ამოიღო, ეამბორა და, სანთელი აანთო, მოწიწებით მადლობა გადაუხადა. კმაყოფილი დარჩა ფეოდოროვის საქციელით, მისმა ერთი ხელის წაშველებამ, ბედის სასწორი თავის მხარეზე გადმოხარა. ზოგჯერ ხდება დასახული მიზნის მისაღწევად, მარტო რწმენა და ბრძოლა არაა საკმარისი, პატარა გამართლებაცაა საჭირო, რასაც ადამიანები ბედს ეძახიან. უფრო ხშირად ხდება ვი-

ღაცეებს ბედი არ წყალობთ, დღეღამეს აერთიანებენ, იღვწიან, ოფლს ღვრიან, მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევენ. უიმედოდ ხელს იქნევენ ბახუსს და მოსაწევს ეძალებიან. ღვინითა და კვამლით ცდილობენ ტკივილის გაყუჩებას. სიმონიკა არ მიეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც დამარცხებას ეგუებოდნენ, ის შეუპოვარი იყო, ასე ადვილად არ თმობდა საბრძოლველ ფარ-ხმალს. უნდა ებრძოლა ბოლომდე, სანამ არ გაიმარჯვებდა, სანამ პირში სული ედგა, სანამ საგულეში გული უცემდა... სწორედ ასეთი მოუდრეკი, მაღალი სულის მქონე ადამიანი ესაჭიროებოდა მომავალ ქართველ მუშკეტიორებს და ღმერთმა მოუვლინა კიდეც.

სიმონიკას სამსახურში ჩადგომამ სრულიად შეცვალა ოჯახური მდგომარეობა, სოფელსა და ქალაქსაც მკვეთრად დაეტყო მისი მზრუნველი ხელი. არაფერს თაკილობდა, ცუდს ვერაფერს ხედავდა ფიზიკურ შრომაში. რა შეედრება შენს მიერ მოწეულ, ნაოფლარ ლუკმას, იგი ყველაზე გემრიელია და შესარგისი. ყველანაირი საქმე გამოდიოდა ხელიდან: ხვნა, თოხნა, ბარვა, თესვა, მომკა. ყველაფერ ამას არცერთ გლეხზე ნაკლებად არ აკეთებდა. თურმე რამხელა ძალა ჰქონია მონდომებასა და წინდახედულებას! უკვირდათ როცა მზის ამოსვლამდე ცვრიან ყანაში ხედავდნენ. ამდენი ენერგია საიდან შესწევს ასე გამხდარ და გაძვალტყავებულ კაცსო. ნაწილი საკარმიდამო ნაკვეთისა, მეზობლისათვის ჰქონდა მიზიარებული. მიზიარება კი იმას ნიშნავდა, მოწეული მოსავლის ნახევარი უნდა მიეცა, გაწეული შრომის საფასურად. ზაფხულობით, სასკოლო არდადეგების დაწყებისთანავე, ლილი ჩაჰყავდა ხოლმე საქარაში ბებიასთან. ნელი და მარგოც არ ივიწყებდნენ საყვარელ ბებიას, ისინი უკვე მომწიფებული გოგოები იყვნენ, მაგრამ სიამოვნებდათ ლილისთან ერთად გაეტარებინათ ზაფხული. მათ კიდევ ვანოს შვილიშვილებიც უერთდებოდათ. ერთმანეთში საერთო ენას პოულობდნენ. ნელი და მარგო უფროსები იყვნენ, ისინი ახერხებდნენ შეენარჩუნებინათ მშვიდობა, ერთმანეთთან ცხარე კამათი არ მოსვლოდათ. ერთმანეთი ყვარებოდათ. მწვანე ეზოში დარბოდნენ, სადაც მწიფე ლეღვების, ვაშლებისა და ატმების არომატის სუნი ტრიალებდა. ნელი და მარგო კვლავ ქუთაისში ცხოვრობდნენ, აგნესამ შეძლო ფეხზე დაეყენებინა ობლები. კოლაუ ქუთაისში ხშირად აკითხავდა ქალიშვილებს. ნაზად ეალერსებოდა, მათი მხრიდან რაღაც სიცივეს გრძნობდა, თავისთავს უბრაზდებოდა და უკმაყოფილო რჩებოდა, სათანადო ყურადღებას რომ ვერ აქცევდა შვილებს. გოგონები რომ წამოიზარდნენ, სიბრალულის გრძნობით აღიჭურვნენ მამის მიმართ, რომელიც საძინებელ ოთახში განმარტოებული საწოლთან დაკიდებულ თამარის პორტრეტს ნაღვლიანად შეჰყურებდა.

მერე ფურცელზე კალამი ააწრიპინა და ლექსი მიუძღვნა საყვარელი მეუღლის ხსოვნას. ნელი და მარგო დამყოლი ხასიათისა იყვნენ, სიცოცხლის ბოლომდე არ დაუვიწყიათ მშობლები, ზომაზე მეტი მგრძნობიარენი, უსაზღვრო სიყვარულით უყვარდათ თავისი ნათესაობა, ახალგაზრდებიცა და უფროსობაც. კოლაუს ხშირად თანამოკალმეებიც ახლდნენ: ტიციანი, პაოლო, ვალერიან გაფრინდაშვილი, ზოგჯერ მთელი „ცისფერყანწელთა“ დასი. იმართებოდა თბილი პოეზიის საღამო. სტუმართმოყვარე ნადირაძეების ოჯახი შესანიშნავი სუფრით მასპინძლობდა ძვირფას სტუმრებს, ნატურალური ღვინითა და გემრიელი კერძებით... მხიარულობით ივსებოდა მხიარულობას მოკლებული სახლი. ერთმანეთს ენაცვლებოდა გულის სიღრმიდან ამოსული კაზმული სიტყვები, სიმღერები და საუბრები, მაგრამ, ყველაზე საინტერესო ის იყო ხელებს რომ გაშლიდა ხოლმე, აგნესია შვილის ტოლა ბიჭების, გოგლასა და პაოლოს შუაში ჩამდგარი, მათთან ერთად ცეკვავდა. ღვინით შეზარხოშებნული გოგლა კახურად რომ მიუქცევდა, გრუხუნივით აგრუხუნებდა ლექსის სტრიქონებს. ცალი თვალი ხეების მაღლად ავარდნილ ტოტებში გაჩხერილ მთვარისკენ ეჭირა, რომელიც ღიად დარჩენილ ფანჯარასთან მდგარ სატრფოს თვალთვალს აგონებდა. მხიარული, ნაზი და მოხერხებული, ხმელ-ხმელი მაღალი ქალი იყო აგნესია, ტემპერამენტიანი და პირდაპირი. აღიზიანებდა მიკიბულ-მოკიბული, მეტიჩრული საუბარი. გარდა ამისა, იარაღის ხმარებაში ბადალი არ მოეპოვებოდა, ბევრ ძველ გამოცდილ მსროლელს ჩაუგდო კოვზი ნაცარში, ტყვიას ტყვიაში აჯენდა. ადვილად შეეძლო რიონზე გადაკიდებული აივნიდან, შურდულივით მფრინავი ჩიტისთვის, ჰაერშივე ესროლა და ჩამოეგდო. გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, თამარის სიკვდილის შემდეგ, შვილიშვილებს ნელისა და მარგოს ზრდიდა და ცდილობდა დედობრივი სიყვარული არ მოეკლო პატარებისთვის, ხელს უწყობდა კარგი განათლება მიეღოთ. პატიოსანი, ერთგული ქმარ-შვილის დიდი მოყვარული იყო, მაგრამ მაინც უკმაყოფილო — ერთ შვილზე მეტი რომ ვერ აღუზარდა სამშობლოს. ექიმის ოჯახად იყო ცნობილი. ქუთათურები ერთერთ საუკეთესო ექიმად მიიჩნევდნენ გალაქტიონ ნადირაძეს.

მალე გაუვარდა საუკეთესო მწვრთნელის სახელი სიმონიკას, თანდათანობით ოსტატდებოდნენ კუნთმაგარი ბიჭები. ფეოდოროვმაც მიცემული სიტყვა არ გატეხა და ფიზკულტურულ ინსტიტუტში მიიწვიეს მომავალ მუშკეტიორთა გასაწვრთნელად. არ გაჭირვებია მუშაობა, ფსიქოლოგია ესმოდა, პედაგოგიკაშიც ჩახედული და გარკვეული იყო. ესმოდა, როგორ უნდა მიდგომოდა ახალგაზრდებსა და ძველგაზრდებსაც. სასწაულს ახდენდა, როგორც უფროსი მეგობარი, როგორც

პედაგოგი და როგორც მამა, ისე ედგა გვერდით. წვრთნიდა, ილეთებს, მოძრაობებსა და შიშის დაძლევას ასწავლიდა. ყოფილ ოფიცერს ხშირად უნახავს, ხშირ შემთხვევაში, სწორედ მოშიშრებს ხვდებოდათ ბრძოლის ველზე გასროლილი ტყვია.

— შიშის შეგრძნება ყველა ნორმალურ ადამიანშია, აბა სხვანაირად ვერ იქნებოდა, მაგრამ მებრძოლმა კაცმა უნდა შეძლოს შიშის მინიმუმამდე დაყვანა, უნდა ბევრი ივარჯიშოს, ნერვები გაიმაგროს, საკუთარი თავი დაარწმუნოს რომ გაიმარჯვებს, მხოლოდ ასე გადალახავს შიშის ბარიერს. დაიმახსოვრეთ, ჩემო პატარა მეგობრებოო. — მოძღვრავდა აღსაზრდელებს. კოპწიად და სუფთა ჩაცმულ-დახურული დაიარებოდა, ევროპული კოსტიუმით, თავზე ცილინდრი ეხურა. მინდობილ თანამდენობას ამართლებდა, აღსაზრდელების წინაშე სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილსა და სპორტული აღნაგობის მქონეს უყვარდა ხოლმე მოწაფეებთან გამოჩენა, რომ მიმბაძველობის სურვილი აღეძრა მათთვის. რა თქმა უნდა, ლამაზი ტანი და ძლიერი მუსკულტურა დიდ გავლენას ახდენდა ახალგაზრდებზე. უფრო მეტი გულისყურით ეკიდებოდნენ საქმეს. ყველას უჩნდებოდა სურვილი ლამაზი აღნაგობა და ძლიერი კუნთები ჰქონებოდათ, ამიტომ მეტს აქტიურობდნენ, რომ სამომავლო კონკრეტული მიზნისთვის მიეღწიათ. წარმატებებზე ცოტას ლაპარაკობდნენ, უფრო და უფრო მეტს ვარჯიშობდნენ, მოსწონდა აღმზრდელს აღსაზრდელების უბრალოება, მათი ფაცი-ფუცი. — „იყავით მისაბაძნი და საამაყონი, მაგრამ არასოდეს იამაყოთ თქვენი წარმატებით, ზემოდან არასოდეს დაუწყოთ ყურება ადამიანებს, რომელთაც წილად არ ხვდათ ბედნიერება, წარმატებულნი რომ გამხდარიყვნენ“, — ლოცვასავით ჩაესმოდათ მასწავლებლის სიტყვა აღსაზრდელებს...

31

თრთვილმოდებულ მაღალ ფანჯრებზე საზამთრო სქელი, ღია შინდისფერი ფარდები ეკიდა. სინათლის მკრთალი ნათელი მოჰფენოდა გრძელ, ფართო ოთახს. ფანჯარასთან იჯდა ნახევრად გადახუნებულ ტყავის რბილ სავარძელში. თხელძირიანი ოთახის ფეხსაცმელი ეცვა, ფეხები ცეცხლისკენ ჰქონდა მიშვერილი. ფანჯრისკენ ზურგშექცეულს მხრებზე თბილი ხალათი წამოესხა. ბუხარში რცხილის შეშა შიშინებდა. დროდადრო გაიტკაცუნებდა, ფიქრებში წასულს ფიქრს აწყვეტინებდა. ფანჯრის რაფაზე ქოთანში ჩარგული ყვავილები ნაცრისფერ ღრუბლებიდან გამოჭიატებულ მზეს მონატრებული დედის ალერსივით ელოდნენ. თბილი სხივებით თავაქოჩრილები, მად-

ლიერებით აღვსილნი ლაღობდნენ. უბრად იჯდა, ცეცხლის მოწითალო ალისგან მაღალი შუბლი უბწყინავდა. შემოსავლელი კარის კუთხეში ძველი როიალი იდგა, პატარა, მრგვალი სკამით. როიალი მარინასთვის იყო განკუთვნილი, მუსიკაში მიცემულ გაკვეთილებს აქ ამზადებდა ხოლმე. პავლე შემოდიოდა, გულს აყოლებდა კლასიკურ, ცნობილი კომპოზიტორების სიამის მომგვრელ ნაწარმოებებს, სავარძელში თბილად მოკალათებული თვალს აყოლებდა ქალიშვილის თეთრ, გრძელ თითებს, რომლებიც ისე ოსტატურად და მოხერხებულად დახტოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, დანახვასაც ვერ ასწრებდა. როიალის წკრიალი ანგელოზის ხმასავით ჩაესმოდა, იმ ჯადოსნურ ბგერებს ციურ სამყარომდე, მეცხრე ცამდე აჰყავდა, თვალებდახუჭული გონებაში ნათლად ხედავდა ენით გამოუთქმელ ფერებს, ფერებს, რომლებიც სულს უტკბობდა, სიცოცხლეს უხანგრძლივებდა. ფიქრთა სამყაროში გადასახლებულს თავი ხელზე ჰქონდა ჩამოდებული. დასუსტებულ რბილ ხელისმტევნიდან ერთმანეთში გადახლართული სიმებივით ძარღვები მოუჩანდა. ლურჯი ძარღვები თეთრ ქაღალზე დაწერილ სტრიქონს მიუგავდა. სისხლი საფეთქელში აწვებოდა, წნევა უწევდა, ბოლო დროს თავს ცუდად გრძნობდა. მარინა გვერდიდან არ შორდებოდა, თუ სკოლაში არ იყო წასასვლელი მარტოდ არ ტოვებდა. ტასოც ხშირად მოდიოდა სამსახურიდან, წამლებს აწვდიდა. კვირაში ერთხელ მთავრობის მიერ დანიშნული ექიმი აკითხავდა, სინჯავდა, ნემსს უკეთებდა. ჩიტივით მოფრთხიალე გული დაუწყნარდებოდა თუ არა, საწოლში ვეღარ ძლებდა, ლოგინში წამდაუწუმ წრიალს სავარძელში ჯდომასა და როიალის მოსმენას ამჯობინებდა. კარგ გუნებაზე აყენებდა გრიგოლის გამოჩენა, ფეხის ხმაზე ცნობდა ძმის მოახლოებას. გრიგოლი ცდილობდა ისეთი ატმოსფერო შეექმნა, პავლეს თავი ხალისიანად ეგრძნო. თუმცა, თავადაც ვერ იყო ისე, როგორც კარგადმყოფ ადამიანს შეეფერებოდა. პავლესავით შეერყა ჯანმრთელობა. მაგრამ, როგორც კი ერთად შეიყრებოდნენ, ორთავეს ავიწყდებოდა თავიანთი გასაჭირი. პავლეს გამჭრიახმა ჭვრეტამ შეამჩნია გრიგოლში მომხდარი ცვლილებები, რამდენჯერმე შეკითხვაც კი დაუსვა, საეჭვოდ გამოიყურებიო, გრიგოლი შეკითხვაზე არ პასუხობდა, ისე ოსტატურად ცვლიდა საუბრის თემას, აღძრული ეჭვი გაქრობოდა პავლეს. გრიგოლი გულისხმიერი, უანგაროდ კეთილი ადამიანი იყო, დედ-მამიშვილების, ნათესავების, მეგობრების მოყვარული. ცოდნაც საკმაოდ ჰქონდა შეძენილი, ყველაფერს სხვანაირი თვალით უყურებდა, სიმაღლითაც განსხვავდებოდა ძმებისგან, ბევრად იყო მათზე დაბალი, რაღაც უცნაური ხასიათის მქონე. დიდ ფულს შოულობდა, მაგრამ სხვისთვის, ყველას ხელს უმართავდა, იქნებ ამისი ბრალიც იყო,

რომ ვერ მოახერხა, საკუთარი ოჯახი შეექმნა და უფრო ნაყოფიერად წარემართა საკუთარი ცხოვრება. ბევრს უჩიჩინებდნენ ძმების ცოლები ცაბუა, ტასო და ეკატერინა, მაგრამ ამაოდ, გადაწყვეტილებას ვერ აცვლევინებდნენ. ბოლოს მიხვდნენ ლაპარაკით არაფერი იცვლებოდა, ლაპარაკი მხოლოდ ლაპარაკად რჩებოდა.

გრიგოლს პავლესთან უწევდა ხელოვნებაზე საუბარი, ორთავეს გააჩნდა საკუთარი აზრი, ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, თავიანთ შეხედულებებს ამტკიცებდნენ. ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებების გმირებს განიხილავდნენ. იშვიათად ეხებოდნენ პოლიტიკას და, რა თქმა უნდა, სტალინის პოლიტიკას. საშიში დრო იდგა, ხმამაღლა ლაპარაკს ვერავინ ბედავდა, 1936 წლის დასასრული იდგა. ქვეყანაში საეჭვო ადამიანების რეპრესიები მიმდინარეობდა, იჭერდნენ, არავის ინდობდნენ. სტალინი ერთი მხრივ, ჯალათი ტირანი, მეორე მხრივ, მშრომელი ხალხის მოყვარული იყო. მან შეძლო უზარმაზარი სახელმწიფოს შექმნა, განვითარება და ფეხზე დაყენება: — სამყაროსავით ამოუცნობი კაცია, — აცხადებდა პავლე, — ძალიან რთული და უცნაური, რაც უფრო მეტად ცდილობ ჩაწვდე, მით უფრო და უფრო საინტერესო გეჩვენება და ამოუხსნელი. დღემდე ვერცერთმა რუსეთის მმართველმა ვერ შეძლო იმდენის გაკეთება, რაც სტალინმა გაუკეთა რუსეთს, და რასაც კიდევ გაუკეთებს, ის ღმერთმა უწყის...

— სამაგიეროდ, საქართველოს მიმართ მიუძღვის გამოუსწორებელი დანაშაული, საკუთარი ქვეყნის ოკუპაციის ხარჯით მიაღწია ფართო სივრცეში გასვლას. შენ როგორ ფიქრობ, პავლე ჩემო, ასეთი საქციელი არის თუ არა სამშობლოსა და ერის ზურგში მახვილის ჩარტყმა!..

— ჰო, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! სხვანაირი გზა არ ჰქონდა დარჩენილი. მას მხოლოდ ასეთი ნაბიჯი უნდა გადაედგა, რომ რუსეთის სახელმწიფოს პირველი პირი გამხდარიყო! გასაკვირია, ცოტა უცნაურად მეჩვენება ასეთი ქმედება, მაგრამ მეორე მხრივ, გასაკვირიც არაფერია! საქართველოს რომ არ შეხებოდა, რუსები ანტინაციონალიზმობას დასწამებდნენ! სწორედ, ასეთმა ვითარებამ მიიყვანა ამ ზომამდე!

— მერე, ამის შემდეგ, შენ ამართლებ მის საქციელს?

— მე კი არ ვამართლებ, უბრალოდ, მიზეზს ვხსნი, რამ აიძულა, რამ გადააწყვეტინა ასეთი ნაბიჯების გადადგმა?

— როგორც არ უნდა გამიგონ, პირადად ვერასოდეს მივუტევებ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ასეთი სისაძაგლე მიუძღვით საკუთარი ერის წინაშე! ჩემთვის მიუღებელია დავაფასო მათი ქცევა, მთელი თავისი ნიჭი და უნარი, უცხო ხალხის სამსახურს რომ გაუწიეს. დაუფასე-

ბენ კი?! სიმართლე გითხრა, ახია მათზე! მეტის ღირსნი არ არიან, ისტორიის ფურცლებიდან საერთოდ უნდა ამოიშალოს მათი სახელები.

გრიგოლი თავის გრძნობებს არ მალავდა. აუღელვებლად ლაპარაკობდა, ცდილობდა ზღვარს არ გადასულიყო, არ აეფორიაქებინა უფროსი ძმა. ყოველთვის თავაზიანობით იყო მის მიმართ განწყობილი, უხამსი სიტყვების ხმარებას ერიდებოდა. მაგრამ აშკარად ავლენდა ანტიდამოკიდებულებას საბჭოეთის წინაშე. თუმცა, არც პავლეს ჰქონია დიდი ამბიციები სსრკ-ს მიმართ. მას კარგად ესმოდა, იმპერიები დიდხანს ვერ ბოგინობენ, ადრე თუ გვიან ნადგურდებიან!

საღამოს სიმონიკამ და კატუშამ მოინახულეს, იმ საღამომ წყნარად და მშვიდად ჩაიარა. ყველამ იმხიარულა, ახალი წლის სამზადისი დაწყებული იყო, განსაკუთრებით ქალებს მოსწონდათ სამზარეულოში ფუსფუსი, გემრიელი კერძების მომზადებაზე ლაპარაკი. პავლე საახალწლო რიტუალებიდან ნაძვის ხის მორთვაში ეხმარებოდა ტასოსა და მარინას, რჩევებს აძლევდა, რომელ ტოტზე რომელი ფიგურა დაეკიდათ. გვიან ღამემდე გაგრძელდა უჩვეულო საუბარი, გოგონების, მარინასა და ლილის ნიჭის გამოვლინება, კლავიშებზე თითების სხარტი მოძრაობა, შვებისმომგვრელი ბგერების მოსმენა. შემდეგ, კატუშამ და ტასომ თავიანთი ბავშვობის წლები გაიხსენეს, მთაწმინდის აღმართს რომ მოუყვებოდნენ ხელიხელჩაკიდებულნი დიდი ილიას დასაფლავების დღეს. იმ დღიდან მოყოლებული ყოველი აღდგომის დღესასწაულზე ადიოდა კატუშა თავისი ნათლიის საფლავზე, გულზე წითელ კვერცხს უგორებდა, სანთელს უნთებდა, დიდ პატივს მიაგებდა ერის მამის სამუდამო სამყოფელს. კი მართალია მთავრობა კრძალავდა, დასცინოდა ღვთისრწმენის მიმდევართ, მაგრამ კატუშა მაინც არ ეპუებოდა ეშმაკთა მოციქულთ, მაინც ახერხებდა, თავისი გაეტანა, ტრადიცია არ დაერღვია, ეკლესიაში ელოცა და მოეხსენებინა ილიას სული...

დადგა 1937 წელი. ახალი იმედებით, უკეთესი სიახლეებით ხვდებოდნენ ადამიანები. საზეიმო სუფრას შემომსხდარნი პირველ ჭიქას ასწევდნენ თუ არა, ჯანმრთელობის სადღეგრძელოებს გაიძახოდნენ. პავლე სახეგაბადრული შეჰყურებდა თავისიანებს, ქუჩაში მოძრავ ხალხს ყველას უსურვებდა სიმხნევეს, ოცნებების აღსრულებას. ბედნიერად თვლიდა თავს, ერთი დღე მაინც რომ დაუთმეს და ექიმის რჩევას აღარ ემორჩილებოდა. ტასოსა და მარინას ჩუმად მაინც შეაპარა, ორიოდე კახური მაინც დალია. დალოცვილმა სითხემ გაამხნევა, სახე გაუვარდისფერა, თბილმა სისხლმა დაუარა მთელ სხეულში. „რა საამოა, როცა აღარაფერი გაწუხებს. როცა ყველაფრისგან განთავისუფლებული ხარ, აღარაფრის დარდი აღარ გიპყრობს. ზიხარ შენთვის და

დროს ატარებ საკუთარი სახლის ჭერქვეშ, რამხელა დიდი ბედნიერებაა, სულ რამოდენიმე წუთით, არავის რომ აღარ ეკუთვნი, საკუთარი თავის გარდა“...

მარტი იწურებოდა, მძიმედ მიცოცავდნენ წვიმით დატვირთული ღრუბლები მთაწმინდის ფერდობებზე. პავლე აწეწილი ბუნების ცვლილებებს აკვირდებოდა, როდესაც ცენტრალურ კომიტეტიდან გამოგზავნილმა შიკრიკმა კრემლიდან გამოგზავნილი დალუქული კონვერტი მიართვა. შიკრიკის წასვლისთანავე გახსნა ბარათი, ბარათს სტალინი უგზავნიდა, უახლოეს დროში კრემლში მიუხმობდა სამკურნალოდ. ბერია განაგებდა ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის პირველი პირი გახლდათ, სწორედ მას ჰქონდა დავალებული ორგანიზაცია გაეწია გამგზავრებისათვის. პავლე ბერიამ ცენტრალურ კომიტეტში მიიწვია გასასაუბრებლად. მანქანა გაუგზავნა და კაბინეტში მიიღო. პავლე კარგად არ იცნობდა, მაგრამ ყური ჰქონდა მოკრული მის წარსულზე, როგორც პროვოკატორზე, რომელსაც ორმაგი სახე მიუღია დაშნაკებსა და ბოლშევიკებს შორის, ხან ერთს ემხრობოდა, ხან მეორეს, მერე დაუჭერიათ კიდეც... შესვლისთანავე არ მოუვიდა თვალში — „საინტერესოა, — ფიქრობდა პავლე, — ნუთუ ვერ დაინახა სტალინმა იმ პენსეს იქით, როგორი ვერაგული თვალები იმალებოდა“.

თბილისიდან სამხედრო თვითმფრინავით გადააფრინეს. ტასო გაჰყვა თან. გული შიშით უფრთხიალებდა, როდესაც იმ საღამოს იხსენებდა, როდესაც იმ გამაქვავებელ მზერას აღიდგენდა გონებაში. სულ რამოდენიმე წამი, ერთი თვალის შევლება, მთელი ცხოვრება დაამახსოვრდა, როგორ არ ეცადა, მაგრამ მაინც ვერ ამოიგდო მეხსიერებიდან. მოსკოვის აეროპორტში სპეცმანქანით შეხვდნენ და პირდაპირ კრემლში მიიყვანეს. სტყუმართმოყვარე სტალინი მხიარულ განწყობაზე დახვდა, სასადილო ოთახში მიიწვია, სადაც დიდი მაგიდა იდგა გაშლილი ქართული კერძებით სავსე. მასპინძელი ხუმრობდა, თავაზიანად მოიკითხა პავლე და ტასო. ტასოს ის საღამოც გაახენა. „ჩემი უეცარი გამოცხადებით სიმშვიდე რომ დაგირღვიე, მტრედებვით მოგოგმანე ქალს, როგორი შთაბეჭდილება იქონია, გადაბუჩქულ თავზე ქუდი რომ მქონდა ჩამოფხატული, ალბათ ქუჩის ჯიბგირი უფრო გეგონეთ, ვიდრე რევოლუციონერი. ბევრი იცინა, — ჩემი წარსული სასაცილოცაა და სატირალიცო“ — დაამატა და ოდნავ მწარედ ამოიხვნეშა... ბაქო და ციხეში გატარებული წლები და გრიგოლ საყვარელიძეც არ გამოპარვია მეხსიერებიდან, ყოფილი ჟანდარმები დაუნდობლად რომ სცემდნენ. საქარაში ჭურისთავზე გაშლილი პატარა სუფრა, სახელდახელოდ კეცებში გამომცხვარი ხაჭაპურები, გრიგოლის მწვანე ეზოს გახსენებამ მონატრებულ სამშობლოს მიწაზე გავლის

სურვილი აღუძრა. ჭიქა ასწია, გრიგოლის სადღეგრძელო წარმოთქვა, ვალში ვარ, იმ კაცს ვერასოდეს გადავუხდი იმის ნახევარსაც კი, რაც მან ჩემი გულისთვის გააკეთა, ჩემი წილი როზგი თავად დაირტყა... ის არის კაცი, ვინაც სიცოცხლე შემინარჩუნა. პავლე აკვირდებოდა, სადღეგრძელოებს კი მაღალ ფარდოვან სიტყვებით გამოთქვამდა, მაგრამ სმით, რამოდენიმე ყლუპს სვამდა. თუმცა დიდი მსმელი არც ახალგაზრდობაში ყოფილა. არაერთხელ მოხვედრილა მასთან ერთად მაგიდასთან საქეიფოდ, მაგრამ მთვრალი არასოდეს უნახავს. სამ ათეულ წელზე მეტი იყო გასული, რაც ერთმანეთს იცნობდნენ. პოლიტიკური შეხედულებები სხვადასხვაგვარი ჰქონდათ. პავლეს დამოუკიდებელი საქართველოს სურვილი ამოძრავებდა. მაგრამ სტალინი მაინც დიდ პატივს სცემდა, როგორც განათლებულ და ერთგულ პიროვნებას. ციხის კედლებმა დააახლოვა და ეს სიახლოვე მყარი აღმოჩნდა. ტასო გაკვირვებას ვერ მალავდა, სხვანაირად წარმოედგინა, ვერასოდეს იფიქრებდა და არც თავში მოუვიდოდა ასეთი აზრი, თუ ამხელა უზარმაზარი სახელმწიფოს პირველი პირი ასე უბრალო ავეჯითა და არც თუ ისე ლამაზად გაწყობილ ბინაში იცხოვრებდა. სხვა ვინმეს რომ მოეყოლა ან წიგნებში ამოეკითხა, ასეთ რამეს მაიცნ არ დაიჯერებდა. საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, როცა სტალინის შვილები ვასილი და სვეტლანა იხილა იაფფასიან ტანსაცმელში. კი, მართალია, კრემლში ცხოვრობდნენ, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით არაფრით გამოირჩეოდნენ. ტასოს შიშიც ოდნავ დაუცხრა, მეხსიერებაში ჩარჩენილი შერისხული თვალები ნელ-ნელა უქრებოდა, თითქოს ჰიპნოზიც ძალასა და გავლენას კარგავდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შეძლო მისგან განთავისუფლება. თავს დაძაბულად გრძნობდა. სტალინი ხვდებოდა და ცდილობდა ისეთი თემა ან სახუმარო ამბავი მოეყოლა, დაძაბულობა მოეხსნა. ამიტომ, საუბარი ქართულ თეატრზე გადაჰქონდა, იხსენებდა ვალერიან გუნიას, შალვა დადიანს, ლადო მესხიშვილს, ვასო აბაშიძეს, თან განუყრელ ჩიბუხს ეწეოდა — დიდად ვაფასებ ისეთ ადამიანებს, რომლებიც წინააღმდეგობას გიწევენ, ისინი პირში მთქმელნი და უღალატონი არიან — წარმოთქვა და პავლეს გადახედა, პავლე მიხვდა საით უმიზნებდა, უსიტყვოდ ეთანხმებოდა.

საღამოს სტალინმა კაბინეტში მიიწვია პავლე. უზარმაზარ ოთახში, გაპრიალებულ ჩექმებსა და კიტელში გამოწყობილი, მსხვილი წაწვეტებული ულვაშებით, მარმარილოს ძეგლივით ჩანდა მისი ფიგურა. წინ და უკან დაიარებოდა ჩიბუხით ხელში. სტუმარს სკამი შესთავაზა, თვითონაც მოპირდაპირე მხარეს ჩამოჯდა, კაბინეტში სხვა არავინ ყოფილა, სარკესავით გაპრიალებულ მაგიდასთან მარტონი ისხდნენ. საუბარი გვიანობამდე გაგრძელდა.

საქართველოში დიდი იმედებით დამუხტული დაბრუნდა. ყველაფერი კარგად იქნება, თანდათანობით გამოვჯანმრთელდებიო... შთააგონეს რუსმა ექიმებმა. საერთოდ, მართლა არაფერი დაუკლიათ, თითქმის არცერთი ორგანო არ დაუტოვეს გაუსინჯავი. პირველად იგრძნო კიდეც სიკეთისკენ ცვლილება, მაგრამ მალევე მიხვდა, ეს მხოლოდ შთაგონების ნაყოფი იყო. ისევ აირ-დაერია ჯანმრთელობა, ძველი ექიმი აღარ ემსახურებოდა, ახლით შეუცვალა ბერიამ. იგი კვირაში ორჯერ მოდიოდა, თითქოს უფრო მოძრავი, საქმიანი და ენერგიული ჩანდა, რამოდენიმე საათით რჩებოდა ავადმყოფთან, მაგრამ ტასოს მაინც ეჩვენებოდა, ავადმყოფის ამბავი სულაც არ აინტერესებდა. რაღაც სხვა რამით იყო დაკავებული. ექიმმა ტასოს რაღაც აბებიც მისცა და თან ურჩია, როგორ უნდა გამოეყენებინა, ტკივილი რომ შეემსუბუქებინა, სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე ასული ავადმყოფისათვის. არ გაჭრა მცდელობამ, პირიქით, ექიმის მიერ დანიშნულმა აბებმა უფრო გააუარესა და უფრო მეტად შეურყია მდგომარეობა. სხვა რა უნდა ეფიქრა ტასოს, თუ არა ბერიას ღალატი. ეჭვს არავის უმხელდა, ეჭვებმა სულ სხვა ადამიანად აქცია. საგულდაგულოდ ამოწმებდა სახლის კუთხე-კუნჭულს, ხომ არავინ იმალებოდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვიღაც ფეხდაფეხ დასდევდა უჩინმაჩინის ქუდით. ხანდახან უკვირდა კიდეც, რატომ გაუჩნდა ბერიასადმი ასეთი სიძულვილი „ყველანაირი ხრიკები იმ კაციდან მოდისო“, — კარნახობდა გონება. ექიმთან დიდი სიფრთხილე გმართებს, ურჩევდა საკუთარ თავს, აბები საიმედო ადგილას გადამალა, ნანობდა რატომ ადრე ვერ გაითვალსიწინა მოსალოდნელი საფრთხე, რატომ ადრე არ გაუჩნდა მოსალოდნელი საფრთხის რიდი. — რა საძაგლობაა! ვის უღირს ასეთ ქვეყანაში ცხოვრება? რა ვქნა, არ დამიჯერა, არ ინება საზღვარგარეთ წამოსვლა, დაძრული გემიდან უკან გამოგვაბრუნა, უსაქართველოდ ვერ გავძლებო, მერე რა მოიგო ამით? შენივე სისხლმა და ხორცმა არ დაგინდო! — ფიქრობდა და კანკალებდა. ნერვები ღალატობდა, ცრემლები ეღვრებოდა, ღაპაღუპით ცვიოდა ცრემლები და კაბის კალთებს უსველებდა. ზოგჯერ უფიქრია, სადმე მიუვალ ადგილას გადახვეწილიყო პავლესთან და მარინასთან ერთად, განდეგილივით ეცხოვრათ, სადაც არც მთავრობა შეაწუხებდათ, არც რომელიმე ადამიანი, სადაც მხოლოდ იდეალური სამართლიანობა და წესრიგი იქნებოდა, სადაც თავად იქნებოდნენ საკუთარი თავის ბატონ-პატრონნი. მაგრამ ვერც იქ იქნებოდნენ ბედის კმაყოფილები. მარტოობის შიში დააფრთხობდათ, ისევ ადამიანებისკენ მობრუნდებოდნენ, კვლავ უსწორმასწორო, უსამართლო და უწესრიგო გარემოში არჩევდნენ ცხოვრებას. „იქნებ მართალი იყო პავლე, როცა გამოაცხადა, — ფიქრი განაგრძო ტასომ

— საზღვარგარეთ აღზრდილი შვილი ქართველობას დაკარგავსო, კამათის გარეშე ვეთანხმები, მაგრამ საკუთარი სიცოცხლე შესწირა ამ იდეის განხორციელებას. მან არჩია, თავი გაეწირა, ოღონდ ქალიშვილისთვის ქართველობა შეენარჩუნებინა. ზნე-ჩვეულებები არ გაქრობოდა, ევროპულ ცივილიზაციას არ შეეცვალა იგი. პავლე თავდადებული მამაა, თავისი სამშობლოსა და ერის მოყვარული, მასში უპირველეს ყოვლისა ეროვნულობაა მთავარი, ეს ნათლად აისახა მის ქმედებებში, საკუთარი სიცოცხლე შეწირა ეროვნულობას... საკუთარ, მიწა-წყალზე არჩია ჰქონებოდა სამუდამო განსასვენებელი“...

მხოლოდ ტასოს ესმოდა, მხოლოდ მას შეეძლო გაეგო რა უჭირდა, რა ულხინდა? ის გრძნობდა, გამოხედვაშიც ამჩნევდა იმას, რასაც სხვები ვერ ამჩნევდნენ. სევდიანი თვალები ყველაფრის მთქმელი იყო, მაგრამ ყველას როდი შესწევდა ნიჭი და უნარი მისი წაკითხვისა. ოთახი სავსე იყო მნახველებით. მოდიოდნენ ძველი ნაცნობები, მთავრობის მაღალი ჩინოვნიკები, განსაკუთრებით მას შემდეგ მოუხშირეს სიარულს, რაც მოსკოვიდან დაბრუნდა, მათ შორის ბერიაც გაერეოდა ხოლმე, თავისი მზრუნველი გამოხედვით, სულ რაღაცას დაეძებდა, ყველაფერი აინტერესებდა. ყურები ცხენივით ჰქონდა დაცქვეტილი. თანაც ცდილობდა უბრალოება და თავაზიანობა გამოეჩინა ყველას მიმართ. პავლეს ვითომ მოკრძალებულად უღიმოდა. ვალერიან გუნიას არ გამოპარვია ზიზღით სავსე მზერა. „ახლა კი დავრწმუნდი, რომ ეს კაცი არ არის წმინდა წყლის დამლევი, ღმერთმა მაპატიოს, შეიძლება ვცოდავ, მაგრამ მაინც მგონია, რომ მან უხიაგა, აბა ასე სწრაფად რამ დაადნო, მთასავით კაცი იყო ჩემი სიძე. ახლა მარტო ძვალი და ტყავია დარჩენილი. ხალხში ჭორები დადიოდა, თითქოს ბოლშევიკები სდევნიდნენ. მათ ჰქონდათ გადაწყვეტილი თავიდან მოშორებაო. ცნობისმოყვარენი ყურადღებით აკვირდებოდნენ, რამდენად გამართლებული იყო ხალხის მიერ აგორებული ჭორი. ზოგი არც იმას გამორიცხავდა, მკაცრი ცხოვრება აქვს გამოვლილი, სიცივე, შიმშილი, სიცხე, შეიძლება მაშინ დასნეულდაო. აგვისტოს თვემდე ებრძოდა დაუნდობელ სიკვდილს. ფართო, ნათელ ოთახში, ღია ფანჯარასთან საწოლში გულაღმა იწვა. ერთ დროს ძალ-ღონით სავსე მკლავები, ჩამომჭკნარ ჩირივით ეკიდა განიერ მხრებზე. საწოლთან მრგვალი, სარკესავით პრიალა მაგიდა იდგა, სხვადასხვა სახის წამლებითა და ჟურნალ-გაზეთებით სავსე. ოთახში ქუჩიდან შემოჭრილი გრილი სიო დაბორიალობდა და მძაფრი წამლების სუნს ანეიტრალებდა. სანამ შეეძლო ზაფხულის ცხელ დღეებს კოჯორში ან იმერეთში ატარებდა, ეხლა კი, სარეცელს მიჯაჭვული, მიქელ-გაბრიელის განაჩენს ელოდა, როდის გაანთავისუფლებდა მის ტანჯულ სხეულს ტკივილებისგან და სულს

ღმერთს მიაბარებდა. ქედს არ იხრიდა, ცდილობდა მშვიდად შეხვედროდა სიკვდილს, შედარებით შვებას გრძნობდა, სადღაც უხაროდა კიდეც, რომ დაძლია და დაამარცხა იგი.

ასე დამთავრდა ამ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება. მშვიდად და ვალმოხდილი იწვა კუბოში, რაც შეეძლო გაუკეთა თავის ქვეყანას, პატიოსნად მოიხადა თავისი ვალი, კაცურად იცხოვრა და იბრძოლა როგორც სახელმწიფო მოხელემ, ვერავინ დასწამა და ვერც ვერავინ დასწამებს სამშობლოს ღალატს, მისი ხელმძღვანელობით შედგენილი კონსტიტუცია დიდად წაადგა საქართველოსც და აფხაზეთსაც. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გაიმართა აფხაზებსა და ქართველ პოლიტიკოსთა მოლაპარაკება სოხუმში 1918 წელს და იმ ისტორიულ დოკუმენტს მისი ხელმოწერაც შემორჩა. გული ამოუჯდა ტასოს, სუსტი მხრები უთრთოდა ნერვიულობისგან, დარდისა და სიხარულის გამზიარებელი ასე უცბად რომ გამოეცალა ხელიდან. ორმოცდათხუთმეტი წელი ჰქონია ღმერთისგან მისჯილი ამქვეყნიური ცხოვრების გამოსაცდელად. გაჭაღარავება აღარ დასცალდა, ისე წავიდა, ერთი ღერი თმაც არ გამორევია თეთრი. თითქოს კმაყოფილი, მაგრამ მაინც უკმაყოფილო, სიტკბოზე მეტი ცხოვრებაში ტანჯვა-წამება იგემა. ისე როგორც ყველამ, მეფიდან მოყოლებული, უბრალო ადამიანით დამთავრებული. საინტერესოა ეს უცნაური წუთისოფელი, თუმცა ადამიანები უკმაყოფილებას გამოთქვამენ მის მიმართ, მაგრამ სიკვდილი არავის უნდა, სული მაინც ტკბილია.

თვრამეტი წლის სტუდენტი ქალიშვილი დარჩა, საექიმოზე სწავლობდა, მამის გვერდით ყოველთვის თანატოლივით გრძნობდა თავს. მარინას ძალიან უყვარდა მამა. „ეჰ, რა ვუთხრა ამ უსამართლო ქვეყანასო — ცრემლმორეული შეცქეროდა მამის პორტრეტს, სწორედ მაშინ ჩამომაშორა შენი თავი, ყველაზე მეტად რომ მჭირდება შენი გვერდში დგომაო“. იმდენი ჰქნა თავისი ურყევი ხასიათით, სასწავლებლად მოეწყო და ჯავრი არ გაატანა საფლავში. მთავრობას დიდუბის პანთეონში ჰქონდა გადაწყვეტილი პავლეს დასაფლავება, მაგრამ ტასომ არ ინება, ბევრი უჩიჩინეს, მაგრამ ამაოდ, ვერ შეძლეს და გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინეს გაჯიუტებულ ქალს. ვაკის სასაფლაო ჰქონდა ამოჩემებული, იძულებული გახდნენ დამორჩილებოდნენ მის მოთხოვნებს, ვაკის სასაფლაოს პანთეონში, სადაც გამოჩენილ ადამიანებს კრძალავდნენ, გამოუყვეს სამუდამო ძვალთშესალაგი. თუმცა, მთავრობის მხრიდან არაერთხელ ყოფილა მცდელობა დიდუბეში გადასვენებისა. მაგრამ ყოველთვის პირში ჩალაგამოვებული რჩებოდნენ და მხოლოდ ტასოს რისხვას იმსახურებდნენ. დასაფლავებიდან რამდენიმე დღე იყო გასული, ყოფილი მკურნალი ექიმი

რომ მოადგა კარზე და დარჩენილი აბები მოითხოვა, რაზედაც ტასომ უარით გაისტუმრა: — აღარ დარჩენილა არც ერთი ცალიო, განუცხადა, სინამდვილეში გამოკვლევა უნდოდა ჩაეტარებინა, მაგრამ ბერია მალე მოსკოვში გადაიყვანეს, რაღა აზრი ჰქონდა ბრძოლას, სიმართლეს მაინც ვერ დაამტკიცებდა. „დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალიო“, — თავს ახსენებდა კრილოვი.

მაინც ვერ აცდა იმ ავადსახსენებელ 1937 წელს. როგორი ულმობელი აღმოჩნდა ის დაწყევლილი წელი. უამრავი თანამოაზროვნე მამულიშვილები გაიყოლა უკან. ემიგრაციაში მყოფი გენერალი გრიგოლ მაზნიაშვილიც აიძულეს პარიზი დაეტოვებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო, ჭორი გაუვრცელეს, ვითომ გენერალი საბჭოეთის აგენტი ყოფილიყოს. მაზნიაშვილი მშობლიურ სოფელ სასირეთს დაუბრუნდა (კასპის რაიონი) და იქ დასახლდა. ჩეკასაც ეს უნდოდა, ხელი დასტაცეს და შუბლში ტყვია დაახალეს. ასე გაუსწორდნენ კაცს, ვინც თურქეთს ხელიდან გამოგლიჯა ბათუმი და ოზურგეთის ასაღებად გამზადებული თურქული ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან განდევნა. იგივე ბედი ეწია გრიგოლ ლორთქიფანიძეს, რუსეთში გადასახლებული ისევ საქართველოში დააბრუნეს და შემდეგ დახვრიტეს. ერთში მაინც გაუმართლდათ ერთსაც და მეორესაც — მკერდზე ქართული მიწა აყრიათ... ვერც დამოუკიდებელი საქართველოს, ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი გაექცა სასიკვდილოდ დამიზნებულ ტყვიას, პარიზშივე მოუღეს ბოლო. ქართველი ემიგრანტი პატრიოტები, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები აგრძელებდნენ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, იბეჭდებოდა სტატიები, მხარს გვიჭერდნენ დემოკრატიული ქვეყნებიც, მაგრამ ფაქტობრივად ამით არაფერი იცვლებოდა, საქართველო კვლავ პატივაყრილ არასახელმწიფოდ რჩებოდა. მაგრამ ევროპელები ქართველებში ხედავდნენ შეუპოვრობასა და თავდადებას, ისინი ღრმად რწმუნდებოდნენ, რომ ქართველი კაცი თავს გაწირავს ღირსებისათვის, შეიძლება ადამიანს მატერიალურად უჭირდეს, ბევრი რამ აკლდეს, ფული, სამკაულები, არ ჰქონდეს მდიდრული სახლი, მაგრამ ღირსება, საკუთარი მეობა გააჩნდეს. შეიძლება ადამიანს ყველაფერი, დიდი ქონება ჰქონდეს, მაგრამ ღირსება არ გააჩნდეს, ღმერთმა დაგვიფაროს უღირსი ადამიანებისგან, უღირსი ერისგან!.. გაცილებით მდიდარია არაფრის მქონე, ღირსებიანი კაცი, ღირსებით სავსე ერი ღმერთივით მარადიულია!

„ღმერთმა დაიფაროს საქართველო მოჩვენებითი, ღიმილიანი ნიღბებით შენიღბული ადამიანებისგან, გული მწყდება ვერ მოვესწრები დამენახა, როგორ გამოიყურებიან ისინი უნიღბოდ. საშიშნი არიან

ასეთი კაცები ერისა და სახელმწიფოსათვის, ისინი ბუნებით მოღალატენი არიან, სული ეშმაკისთვის აქვთ მიყიდული“... თქვენი პ. დ. საყვარელიძე. მაისი, 1937, თბილისი.

იმ შერისხულ წელს უკუღმად დატრიალებულმა ბორბალმა საყვარელიძეების ოჯახზეც მოახდინა დიდი უარყოფითი გავლენა, ჯერ პავლე შეიწირა, ექვსი თვის შემდეგ გრიგოლი. ვანომ მძიმედ გადაიტანა ძმების დაკარგვა, კედლებზე ჩამოკიდებული მიცვალებულთა პორტრეტებით იმშვიდებდა აფორიაქებულ სულს. სახეზე მოწყენილობა დაეტყო, ვერ ინელებდა, გაუჭირდა პავლესა და გრიგოლის გარეშე. ჯერ იყო და ვარლამის უდროოდ დაღუპვამ შინაგანი სულიერი ტრავმით შეპყრობილი საკუთარ თავში ჩაკეტა. იმ წყეულმა 1918 წელმა სიცოცხლის ტკბილი ნაწილი ჩამოაკლო. ახლა კიდევ 1937-მა ისე მწარედ დარია ხელი, ორი ძმა თვალსა და ხელსშუა გამოაცალა. მათი სიკვდილის შემდეგ გულის ფრიალი დასჩემდა, რკინისებური ჯანმრთელობა შეერყა. კიდევ კარგი, ზაფხულობით თბილისიდან ჩამოსული შვილიშვილები ართობდა, მათთან კურკურით იყუჩებდა ტკივილებს. ზამთრის გრძელ ღამეებში ბუხართან მჯდომი ლექსებს კითხულობდა, ფერად მუზებთან ხეტიალში ვეღარ გრძნობდა, როგორ გადიოდა დრო, აღარც მამლების ჩახრეწილი ყივილი ესმოდა, ლექსის სტრიქონი ყველაფერს ავიწყებდა: **„ყმაწვილნო ვიყოთ უცვლელად, / ერთგულნი ჩვენი ქვეყნისა, / აქა ვართ დაბადებულნი და აქვე ჩავალთ საფლავსა, / ეს მიწა გვზრდის და გვპატრონობს, / მერე გვისტუმრებს შორს გზასა“... /.**

აღდგომის დღესასწაულზე იკრიბებოდნენ საქარაში, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ებრძოდა ხალხის გონებიდან აღმოეფხვრა ღმერთისადმი რწმენა, ხალხი მაინც რელიგიურ გზას ადგა. იმპერია დღითიდღე ძლიერდებოდა, ახალგაზრდა საბჭოთა წყობა ბეტონივით მყარდებოდა, მაგრამ რწმენას მაინც ვერ სპობდა, რწმენა გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა. თბილისიდან ლადიკო ჩამოდიოდა ცოლ-შვილთან ერთად. ნაღდი საყვარელიძეების განსახიერება იყო მისი ერთადერთი პირმშო ირა საყვარელიძე. ტანმაღალი, ნაზი, ტკბილი ხმით მოსაუბრე, ბიძებისა და ახლობლების მოყვარული. საქარაში ზაფხულობით პავლე ქალიშვილთან ერთად ატარებდა. თბილისში თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ირა ორიოდე წლით იყო მარინაზე უფროსი, კინოსა და თეატრშიც ერთად დადიოდნენ, ირასა და მარინას გვერდიდან არ ცილდებოდა სიმონიკას ქალიშვილი ლილი. სამთავეს ექიმობაზე ჰქონდათ ფიქრი შეჩერებული, ირა და მარინა ორთავენი სწავლობდნენ კიდეც, ლილი სკოლას ამთავრებდა. ერთხანს არტისტობაზე ოცნებობდა, ამის შესახებ დედასაც კი გამოუტყდა.

მერე უცებ შეიცვალა გადაწყვეტილება და ექიმობა არჩია სცენას. გოგოებს მშობლები არ ჩაციებიათ, ხელი არ შეუშლიათ პროფესიის არჩევაში. მათ ზედმეტად მიაჩნდათ დაძალება. დაე მათ თვითონ გადაეწყვიტათ, რომელი დარგი უფრო აინტერესებდათ. მშობლები მხოლოდ ყურადღებას სწავლის დროს უთმობდნენ, ისინი მოითხოვდნენ ნაკლებად ესეირნათ, მეტი დრო წიგნებისთვის დაეთმოთ, რათ სრულყოფილი განათლება მიეღოთ.

ერთი ძმა და და შემორჩა ცოცხლები ვანოს, ფაქიზად ეპყრობოდნენ ერთმანეთს, სამთავეს კარგად ესმოდა დედ-მამიშვილობის ფასი. სანამ ცოცხლები ვართ, ვეცადოთ ერთმანეთისთვის სიკეთის კეთებას ნუ დავიშურებთ — აცხადებდნენ სიყვარულით. „თუ ძმას გვერდით არ უდგეხარ, თუ ძმა გვერდით არ გიდგას, მაშინ რაღა ჩარაა ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება“-ო.

მშვიდი, თავშეკავებული, ლამაზი აღნაგობის კაცი გახლდათ ლადიკო, ვანოზე ოდნავ დაბალი. პოლიტიკაზე საუბარი და არც პოლიტიკოსებიც გაღმერთება უყვარდა, არც არავის აქებდა, სამაგიეროდ არც არავის აგინებდა. ერთადერთი, ვისაც დიდ გენიოსად და დიდ მეუფედ მიიჩნევდა, შოთა რუსთაველი იყო, პირდაპირ ზედ გულის კოვზზე ჰქონდა მისი სიტყვები ამოქარგული: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო“. ძმებიდან დიდად არაფრით განსხვავდებოდა, მეტ-ნაკლებად სწამდა ღმერთის, მაგრამ ათეისტი მისდღეში არ ყოფილა, ერთი აუგი სიტყვაც არ დაცდენია, ყოველთვის მოწიწებით თავს უხრიდა დათას ოთახში ჩამოკიდებულ ხატს, კიცხავდა მეცნიერებას, რომლებიც უარყოფდნენ ღმერთის არსებობას, უკვირდა რაში უშლიდა მეცნიერებას ხელს ღმერთის არსებობა. რატომ ცდილობდა მთავრობა, ჩაეკლა ადამიანში რწმენა, შეეცვალა მასში აზროვნება, იქნებ ამით სურდა დაეწყო ახალი ეპოქის დასაწყისი, იესოს სახელი ლენინით შეეცვალათ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მსხვილი საწარმოს ეკონომისტად მუშაობდა. პარტიის წევრი არ ყოფილა. უფრო მეტს მიაღწევდა, ნაკლებად აინტერესებდა პირადი აღმავლობა, არ სჯეროდა კომუნისტების, მიუღებელი იყო მისთვის კომუნიზმი. თავისი საქმის შეუდარებელი მცოდნე და დიდი გამოცდილი სპეციალისტი იყო, სათანადო ცოდნა გერმანიაში ჰქონდა მიღებული. ქვეყანას უჭირდა, სანთლით საძებნი იყო მაშინ კარგი სპეციალისტები, ამიტომ ვერ ეუბნებოდნენ უარს, იტანდნენ მის ახირებულ ქმედებას, თუმცა ყოველნაირად ცდილობდნენ პარტიაში გაეწევრიანებინათ, მაგრამ უმალვე დათას განრისხებული სახე წარმოუდგებოდა თვალწინ, დანგრეული, გადამწვარი და გაძარცვული ეკლესიებით, შემოთავაზებულზე უმალ ხელს აღებინებდა. არც მისი მეუღლე კატუშა

არდიშვილი ყოფილა დაინტერესებული პოლიტიკით, მაგრამ ლენინის ორდენით დააჯილდოვეს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ბრძანებულებით დამსახურებული პედაგოგის წოდება მიანიჭეს. ლენინის ორდენი ითვლებოდა მაშინ ყველაზე მაღალ ჯილდოდ და მართლაც რომ დაიმსახურა. ის გამორჩეულად შრომისუნარიანი და რუსული ენის შეუდარებელი მცოდნე იყო, მეტად კეთილშობილი და საინტერესო ქალბატონი. მთელი თავისი ცხოვრება იხარჯებოდა, ქვეყნისთვის მცოდნე მომავალი თაობა აღეზარდა. არანაკლები შრომა და ოფლისღვრა დასჭირდა ირასთვის კარგი განათლება მიეცა, ყველაფერი გააკეთა ქალიშვილს დიდი საყვარელიძეების ტრადიცია არ დაერღვია, განათლება მიეღო და თავმდაბალი ყოფილიყო. რასაც მიაღწია კიდეც, ირა შესანიშნავი ექიმი დადგა, ჭირივით სძაგდა პირფერობა და ყეყეჩობა, თავისი პროფესიის ერთგული დარჩა, როგორც ლამაზი სულის მქონე ადამიანი. მშობლებივით თავაზიანობით გამოირჩეოდა. ცხოვრობდა როგორც ქრისტიანი, მონისლული თვალებით შეჰყურებდა უსასრულო ცის კაბადონს, ღმერთს მადლობას სწირავდა და ყოველთვის სჯეროდა, რწმენა მხოლოდ სულს უწვართავს ადამიანებს, აკეთილშობილებს, რწმენა მუხრუჭია, რომელიც იცავს დაღუპვისაგან, რომ სიბინძურის მორევში არ გადაეშვნენ, რწმენამ შეუნარჩუნა კაცობრიობას მომავალი. სულ სხვაა მაინც სიკეთით აღსავსე ადამიანები, ამომავალი მზესავით მხურვალეა მათი ფიქრები. სიცოცხლის ლაზათს შესისხლხორცებულია მათი გრძნობები, ისეთი ადამიანები ყოველთვის მისაბაძნი არიან!..

უმაღლესის დამთავრების შემდეგ ირას ბევრი აღარ უფიქრია და გათხოვდა. თავისი მომავალი ცხოვრება დავით მღებრიშვილს დაუკავშირა. მშენებელი ინჟინერი იყო დავითი, მოსკოვში მიავლინეს სამუშაოდ. თბილისიდან მოსკოვში გადასახლება მოუწიათ ახალგაზრდა წყვილთ. დავითი მოსკოვში მშენებარე უბნებს ხელმძღვანელობდა და, საერთო ცხოვრების ფერხულში ჩართული, კინო-თეატრებისთვის ვეღარ იცლიდა. ორივე ცოლ-ქმარი პატიოსნად ემსახურებოდნენ ქვეყნის განვითარებას, მძიმე დრო იდგა, უჭირდათ ცხოვრებისგან გამოწვეული ტკივილის დათრგუნვა, უჭირდათ საკუთარ თავში ეპოვათ ძალა, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ იმ საშინელი ეპოქისათვის, მაგრამ ღმერთი ზემოდან იყურებოდა. ზოგჯერ პირფერობით გადიოდნენ ფონს, უკმაყოფილებას კმაყოფილებით ცვლიდნენ, თორემ ვერ გადაურჩებოდნენ რეპრესირებულთა ბობოქარ ტალღას, დააპატიმრებდნენ, ისე როგორც მაშინ ხდებოდა ხოლმე, ჩრდილო პოლუსისკენ უკრავდნენ თავს, უარეს პირობებში ჩააგდებდნენ. წლისთავზე ვაჟი შეეძინათ, ირა თბილისში დაბრუნდა, თბილისში იმშობიარა ძე, —

ალექსანდრე მღებრიშვილი, მომავალი კინოოპერატორი, ახლო მეგობრები, შეიძლება ითქვას, მთელი ქალაქის „შურიკად“ იხსენებდნენ.

ბიძაშვილს არც მარინა ჩამორჩენია, სწავლის დამთავრებისთანავე გათხოვდა. ცოლად გაჰყვა თავისივე რჩეულ კოლეგას ექიმს ალექსანდრე დადიანს, რომელსაც მოფერებით კიჭუს ეძახდნენ ახლობლები. ტასოს საყვედური არ დაცდენია, სჯეროდა, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, თუ ცოლ-ქმარს ერთმანეთი მართლა უყვართ, თავს ყოველთვის გაიტანდნენ, ის, რაც სიყვარულზეა დაფუძნებული მყარია, და არც არასოდეს წაიშლება. გული ბავშვივით აუჩქროლდა, როდესაც ქალიშვილის ნაზ ლოყას ტუჩებით შეეხო, გაბედნიერება რომ მიულოცა, რაღაც განუმეორებელმა სითბომ და ჟრუანტელმა დაუარა მთელ სხეულში, ალბათ ისეთმა, თავად რომ იგრძნო ორი ათეული წლის წინ, პავლეს თბილი ხელის ძალა. ერთი წელი თბილისში იცხოვრეს მარინამ და ალექსანდრემ, შეეძინათ ვაჟი — ოთარ დადიანი, მომავალი ისტორიკოსი, ყოფილი პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის პროფესორი. ერთი წლის შემდეგ, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი რიგაში მიავლინეს ექიმების სიმცირის გამო. შფოთიანი დრო დაუდგა ალექსანდრეს, ოთახში წინ და უკან დააბიჯებდა გაცეცხლებული. იქნებ რაიმე გამოსავალი მოეძებნა, სიკვდილივით არ უნდოდა თბილისის დატოვება და ლატვიაში გადასვლა, მაგრამ ვერაფერს გახდა. აიბარგა ოჯახთან ერთად და დაადგა შორეულ გზას. ხუთ წლამდე მოუწია ოთარს მშობლებთან ერთად უცხო ქვეყანაში ცხოვრებამ. ხუთი წლის შემდეგ ტასოს დაჟინებული მოთხოვნით პატარა თბილისში ჩამოიყვანეს. ეშმაკმა უწყის რა ელოდა, რომ არა ბებიის დაჟინებით თხოვნას პატარას აღზრდა ტასომ ითავა.

მხოლოდ ერთადერთ ვაჟს დაჯერდნენ მარინა და ალექსანდრე. მეტი შვილი აღარ გაუჩენიათ. სამწუხაროა, ისე ვერ აწონ-დაწონეს და ვერ განჭვრიტეს მომავალი — „ერთი შვილი, არა შვილიო“ — უთქვამთ ძველებს. ახლა ყველაფერი გვიანია, სიტყვების რახა-რუხით რაღას გამოასწორებ, თავის დროზე პავლეს რომ გაეთვალისწინებინა და ერთ შვილზე არ შეჩერებულიყო, შესაძლებელია სხვანაირად წარმართულიყო ყველაფერი, მარინასაც კარგად ესმოდა „ერთი შვილი არა შვილი, ორი შვილი ვითომ შვილი“-ს თეორია, მაგრამ პრაქტიკულად არ განახორციელა, მაინც ერთზე შეჩერდა. მაგრამ ბაბუისა და დედისგან განსხვავებით, ოთარს ყველაზე დიდი დანაშაული მიუძღვის ერის წინაშე, მთელი თავისი ცხოვრება მარტოობაში გაატარა, ცოლი არ შეურთავს, რა არის აბა კაცის სიცოცხლე, თუ შთამომავალი არ დატოვა? კი, მართალია, ის პროფესორი და დიდი განათლებული კაცი იყო, მაინც არ ეპატიება პავლე საყვარელიძის შვილიშვილს ასეთი საქციელი, მას

არ ეკადრებოდა შთამომავლობის წყარო ამოეშრიტა. ანგარიში უნდა გაეწია, თუ რა მოვალეობა აკისრიათ ამქვეყნად მოვლინებულ ადამიანებს. პირადად რამდენჯერმე შევხვედრილვარ, საშუალოზე მაღალი, თეთრი პირისახის კაცი იყო, ვერ იტანდა საბჭოთა წყობას, ის წიგნებიც კი გაანადგურა, რომლებიც სტალინმა საკუთარი წარწერით უსახსოვრა ბაბუამისს. საათობით მისაუბრია მასთან, კარგად ერკვეოდა ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობაში, შიდა და საგარეო პოლიტიკაში. რამოდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. გულწრფელად ვაღიარებ, გული დამწყდა, ვერ მოვახერხე უკანასკნელ გზაზე გამეცილებინა თავისუფლებისათვის მებრძოლი გულანთებული ადამიანი...

რაც შეეხება ლადიკოს მონაგართ, სამი შვილი შეეძინათ ირასა და დავითს, ალექსანდრე (შურიკა) როგორც უკვე მოგახსენეთ და ორი ქალი — მარინა და ლია. არ გაუმართლა ირას, ადრე დაქვრივდა, 1942 წელს დავითი სამამულო ომში გაიწვიეს, ომიდან აღარ დაბრუნებულა, ბრძოლის ველზე დაიღუპა. სიძეს უკან მიჰყვა სიმამრიც, ორმოცდათვრამეტი წლის ლადიკოც მიაბარეს ვაკის სასაფლაოს მიწას. ოჯახის სიმძიმე ახალგაზრდა ირას დააწვა მხრებზე, მაგრამ კეთილშობილი დედა ეკატერინა არდიშვილი გვერდში ამოუდგა ქალიშვილს, რუსთაველის აფორიზმით დამუხტულმა „ჭირში შიგან გამაგრება, ეგრე უნდა ვით ქვითკირსა“-ო. თავი ხელში აიყვანა, ობლებს უმამობა არ აგრძნობინა, ყველას უმაღლესი განათლება მიაღებინა. ალექსანდრე კინოხელოვნებას ეზიარა, თეატრალური განათლება თბილისში მიიღო, შემდეგ კი სწავლა განაგრძო მოსკოვში Гики-ში. დამთავრებისთანავე დაბრუნდა სამშობლოში, მუშაობა დაიწყო კინოსტუდიაში გადამღებ კინოოპერატორად. მოგვიანებით თეატრალურ ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა, მომავალ თაობას ხელოვნებასთან აზიარებდა. გადაღებული ჰქონდა ცნობილი ფილმები: „ვერის უბნის მელოდიები“, „და ქვიშანი დარჩებიან“. ორი დოკუმენტური ფილმი „ამომავალი მზის ქვეყანა“, „მერვე საოცრება“, კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ მაშინ ბავშვი ვიყავი, საქარაში რომ ჩამოდიოდა, მუხების ჩრდილში ქვის მაგიდასთან უყვარდა ხოლმე ჯდომა, იქიდან თვალს ადევნებდა ფიგურებიან აივანს. ხელოვან კაცს სიამოვნებდა ხელოვნებაზე საუბარი. კმაყოფილი რჩებოდა, რომ ვერავითარმა ძალამ ვერ შეძლო ხელოვნებას ჩამოეშორა ადამიანი. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ქერა, დატალღური ქოჩორი, სათნო, ღიმილიანი სახე და მშვიდი საუბარი. აღფრთოვანებული იყო ჩემი მიღწევებით, მესაუბრებოდა ლიტერატურაზე, მირჩევდა მეტი მემუშავა საკუთარ თავზე. ერთხელ დავურეკე და ვუთხარი, წიგნი მინდა დავწერო საყვარელიძეების შესახებ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით-მეთქი. გაუხარდა, ბევრი საინტერესო ამბავი მომითხრო,

ოთარ დადიანთან მიმიყვანა, პავლეს შემონახული არქივი მოიძია, წასაკითხად გადმომცა. წიგნზე მუშაობა დავიწყე, შიგადაშიგ მირეკავდა, ხან მე ვურეკავდი. ერთი სიტყვით, ჩემზე მეტად იყო დაინტერესებული, როგორ დასრულდებოდა ჩანაფიქრი. გოგი დოლიძის ტელეფონის ნომერი მომცა, შეეხმიანეო, მითხრა. ბატონ გოგის თეატრალურ ინსტიტუტში მივაკითხე. ჟურნალ „რაინდში“ პატარა ნაწყვეტი დამიბეჭდა, რომელიც თამარ საყვარელიძის ცხოვრებას ეხება. სამწუხაროდ, აღარ დაცალდა შურიკას წაეკითხა ჩემი ნახელავი. წიგნი თითქმის დავასრულე, უდროოდ წავიდა, აღარ დასცალდა ბოლომდე გახარჯულიყო, საქართველოს შიდა პოლიტიკურმა არეულობებმა მოაცდინა, ვეღარ შეძლო ახალი ფილმი მიემატებინა კინემატოგრაფიისათვის. სამოცდაათ წლამდე გაუძლო ამ ქარ-ცეცხლიან წუთისოფელს. ვაკის სასაფლაოზე ბაბუის გვერდით მიუჩინეს სამუდამო სასუფეველი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. დარჩა შესანიშნავი მეუღლე ლუდმილა არტიმიოვა, გრიბოედოვის თეატრის მსახიობი, ერთი ვაჟი რეჟისორი დავით მღებრიშვილი და ორი შვილიშვილი. რაც შეეხება მის დებს მარინასა და ლიას, ორთავემ უმაღლესი განათლება მიიღეს. მარინა ცოლად ჰყავს ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორს ნიკუშა სიდამონ-ერისთავს, ჰყავთ ერთი ქალიშვილი ირა. მეორე და ლია გაუთხოვარია. მე ისღა დამრჩენია დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო ამ ძვირფას ადამიანებს, ვლადიმერ საყვარელიძის მონაგართ!..

32

1939 წელს სამოცდახუთი შეუსრულდა. გულის ფრიალმა და ტკივილმა მწვავედ რომ შეუტია ვანოს. შეტევა ისე ძლიერი აღმოჩნდა სარეცელს მიაჯაჭვა. ცაბუა ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რათა შეემსუბუქებინა ავადმყოფისთვის მდგომარეობა. ვანოც უდრეკი და მებრძოლი გახლდათ შინაგანად. ქედს ასე ადვილად არ იხრიდა, თავს არწმუნებდა, დაბრკოლებას დაძლევდა და ტანმთელი და გამოჯანსაღებული წამოდგებოდა. თავი ისე ელეგანტურად ეჭირა, სახის ლამაზი ნაკვთები და სულიერი სიმშვიდე არწმუნებდა მნახველთ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. თავს დატრიალებდნენ შვილები და შვილიშვილები. თავი უმწეო, ძალაწართმეულ კაცად არ ეგრძნო. თბილისში ფიქრობდნენ წაყვანას, მაგრამ თინიკა, როგორც ექიმი ეჭვობდა, მამის დასუსტებულ გულს გადაეტანა მგზავრობა. დათიკო და თამარიც ჩამოვიდნენ ლაგოდეხიდან. დათიკოს ნადირობისკენ მიჰყავდა საუბარი, ასე ცდილობდა შეეცვალა ავადმყოფის

ფიქრი, ოხუნჯობდა. თამარი ორსულად იყო, სიარული ცოტა უჭირდა, მაგრამ მამამთილის სანახავად მაინც არ დაიშურა ძალ-ღონე. ვანო მადლიერებით შეჰყურებდა საყვარელ რძალს და სჯეროდა, რომ მესამე შვილს აუცილებლად ძეს დაბადებდა — საყვარელიძეების გვარის გამაგრძელებელს.

ზაფხული იწურებოდა, ჰაერში ქარხნის მძაფრი სუნი ტრიალებდა. ქვემო ქარი არხევდა ალვის ხის წერწეტა, მოქნილ ტანს. ვანო აივანზე წამოწოლილი პრესას ჩაკირკიტებდა. რუსეთ-იაპონიის ომი მიმდინარეობდა. „გენერალ ჟუკოვის ჯარისკაცურ შინელის ქვეშ მფეთქავ, მებრძოლ ცხელ გულს მეომრები წარმატებისკენ მიჰყავს. ღამეებს თეთრად ათენებს სტალინი, კონსულტაციებს მართავს გენერლებთან, საბჭოთა ჯარის ზუსტად გადანაწილებისა და სადაზვერვო ცნობების მოპოვების შესახებ. ამ დროისთვის იაპონელებს გაცილებით უკეთესი გაწვრთნილი ჯარისკაცები ჰყავდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს საბჭოეთის დამარცხება — მონღოლმა ხალხმაც საბჭოეთის დახმარებით დაამარცხა იაპონიის ძალები და გააძევეს საკუთარი ტერიტორიიდან, ამიერიდან მონღოლეთი გვერდით დაუდგება საბჭოთა კავშირს“, — იუწყებოდა გაზეთი.

მუხის კენწეროზე შემომჯდარმა ყვავმა სამჯერ გადმოჩხავლა ჩახრეწილი ხმით სოფელს. მერე სიძულვილის ნიშნად ფრთები ზანტად დაიფერთხა, დაჟინებულად მზერა მოავლო კოინდრიან ეზოს, ძალ-ღონე მოიკრიბა, ფრთები გაშალა და ზეცის უბეს აეკრა, შავ ბურთულასავით მიგორავდა თვალუწვდენელ სილურჯეში. მჩხავანა ყვავმა არასასიამოვნო გრძნობა შემატა ვანოს, თითქოს ყვავი მიქელ-გაბრიელის მიერ გამოგზავნილი შიკრიკი ყოფილიყოს, რომელიც სოფელ-სოფელ დაფრინავდა და ხალხს ამცნობდა საიქიოში წასასვლელად გამზადებულიყვნენ. „ეჰ, ნეტავ ჩემი თოფი მქონოდა თან, რომ შენთვის სამუდამოდ ჩამეკმედინებინა ხმაო“, — გაიფიქრა. მარცხენა ხელით შუბლი ჩამოიჩრდილა და დიდ ხანს აყოლებდა თვალს ლურჯ სივრცეში მცურავ შავ ბურთულას, ვინემ უსასრულობაში არ შთაინთქა და არ ჩაიკარგა. ლოგინს ვერ იტანდა, სენს ეჭიდებოდა. ცდილობდა ფეხი მყარად მოეკიდა მიწაზე, უჭირდა, გული ყელში ებჯინებოდა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა. ცაბუა არაფერს პასუხობდა, ესმოდა მისი გულისტკივილი. კარგად იცოდა ერთისა და იგივეს ძახილი „ლოგინიდან არ წამოდგე, არ გაინძრეო“, ძალიან აღიზიანებდა. ამიტომ ნებაზე ჰყავდა მიშვებული, სანამ ორგანიზმში დაგროვილ ენერგიას ბოლომდე არ დახარჯავდა, მანამ ეზოში საბიჯგი ჯოხით ხელში დაბოჩიალობდა. სამსახურს ჩამოშორებულს ყოფილი თანამშრომლები ენატრებოდა. იმ დაუვიწყარ ტკბილ-მწარე დღეებს იგონებდა. მეგობრებთან ერთად

ქეიფი უნდებოდა, მათთან ერთად სიმღერა და ოხუნჯობა. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, მაინც მხნედ და ლამაზად გამოიყურებოდა. მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს რომ შეეფერებოდა სწორედ ისეთი...

სექტემბრის დასაწყისში თბილისში წამოიყვანეს, როგორც იქნა გადაათქმევინეს. ბევრი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ექიმებთან წასვლაზე დაითანხმეს. სიძეებმა ვალოდია კორძახიამ და ნიკოლოზ ღოღობერიძემ ქალაქი შეძრეს, საუკეთესო ექიმები დაახვიეს თავს. კეთილმა მიდგომამ თავისი გაიტანა, მაგრამ მაინც საავადმყოფოს ალმაცერად უყურებდა, ვერ ეგუებოდა შარდის, წამლებისა და სისხლის მძაფრ სუნს, ნერვებზე შლიდა. ბოლოს სიცოცხლეზე წყურვილმა ყველაფერი დაავიწყა, ერთი თვე დაუზოგავად ჩხვლეტდნენ, იოტისოდენა ადგილიც არ დაუტოვეს გაუსინჯავი. იწვა და მდუმარედ შეჰყურებდა თეთრხალათებიან გუნდს, თუმცა ავადმყოფობამ საფუძვლიანად შეარყია, მაგრამ გამუდმებულმა სანუგეშო სიტყვებმა და წამლებმა მოამჯობინა, დაძლია შფოთსა და შიშს. მდგომარეობიდან გამოვიდა. ერთი სული ჰქონდა როდის ჩამორეკავდა თავისუფლების ზარი, როდის დატოვებდა აშმორებულ ჩამოყვითლებულ კედლებს. ლოგინში ვეღარ ძლებდა. პავლე დაუდგა თვალწინ, აქედან სწრაფად გამიყვანეო რომ სთხოვდა, საკანისმაგვარ ოთახში საცოდავად გამომწყვდეული. ცოტაც მოითმინეო პასუხობდა ძმას, მაშინ არ მიუქცევია ყურადღება, ის „ცოტა მოთმენა“ საუკუნესავით გრძელი რომ ყოფილა, ახლა რომ საკუთარ თავზე იწვნია, ყველაფერს მიხვდა. გრიშაც გაიხსენა. მოულოდნელობით აღსავსე მისი ცხოვრება, მისი კეთილი გულისხმიერება როგორ შეიძლებოდა დავიწყებოდა. ვერ ურიგდებოდა ძმების გაუკუღმართებულ ბედს, რაც მათ ბუნებამ უწილადა. სამთავეს სახეები მეხსიერებაში ჰქონდა ჩაკეტილი. განახევრდნენ, ექვსი დედ-მმამიშვილიდან სამიღა შემორჩნენ. ადარდებდა მათი განვლილი ხანმოკლე ცხოვრება, სუფრიდან ისე არ ადგებოდა, ჭიქა არ აეწია, მათი სულები არ ეხსენებინა. ლადიკო და ვასასი არ ტოვებდნენ, სასთუმალთან ეჯდნენ, მათი საყვარელი ავადმყოფ ძმისადმი გულწრფელი და ამოუწურავი იყო. ფაქიზი სულის ადამიანები ღმერთის რჩეულები არან, დაუმადლებლად ეხმარებიან ჭირში მყოფთ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებენ კეთილ საქმეებს.

როგორც იქნა დააღწია თავი, როგორც იქნა გაათავისუფლეს კატორღიდან. მოშორდა იმ საშინელებას, სადაც დღე კვირად ეჩვენებოდა. ტყუილად როდი უყვარდა მშობლიური სახლი, თბილი საღამოები, მუხების ძირში ქვის მაგიდასთან ჯდომა, ნამგალა მთვარის ყურება, უსასრულო ცა და წეროებივით ქაღალდზე გაჭიმული სტრიქონები.

ჭრიალით შეაღო შესასვლელი ჭიშკრის კარი, სიხარულით შეეგება ერთგული ძაღლი. წამიერად მძიმე ფიქრებისგან განთავისუფლდა. ახალგაზრდული სიმხნევე დაუბრუნდა, ოქტომბრის ოქროსფერი მზე მორცხვად იჭყიტებოდა თეთრი ღრუბლების ნახევებიდან, მაღალ აშოლტილ ალვებსაც ყვითელი ცეცხლი ეკიდათ.

მშობლიურმა მიწამ მუხლებში ძალა შემატა, გაცილებით უკეთ იგრძნო თავი. თავისი სული და სახლი ისე იყვნენ ერთმანეთთან შერწყმული, განშორებას ვერ ურიგდებოდნენ. კარ-მიდამო უიმისოდ უკაცრიელი ხდებოდა. თბილისიდან ვითომ კი გამოექცა თეთრხალათიანებს, მაგრამ სოფელშიაც არ ასვენებდნენ, კეფაზე წურბელებს ჰკიდებდნენ, მაჯისცემას უსინჯავდნენ და ყველაზე მთავარს, ქეიფსა და სმას უკრძალავდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ გადაერჩინათ, სიკვდილისგან ეხსნათ.

ნოემბერი ახლოვდებოდა, დღეები საგრძნობლად შემოკლდნენ, გატკბა ბუხარი, დიდი, ვერცხლის, ლამფის შუქზე, წიგნებში თავის ჩარგვა მაინც შვების მომგვრელი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ წარიმართა ისე ცხოვრება, როგორც უნდა წარმართულიყო. ისევ უკუღმა დატრიალდა საყვარელიძეების ბედის ბორბალი — ნოემბრის თვეში გარდაიცვალა. თავისი არცთუ ისე გრძელი ცხოვრება, გაატარა მხოლოდ სიყვარულისთვის! მოდიოდა სოფელი გამოსამშვიდობებლად, ვიშვიშებდნენ გაჭაღარავებული მანდილოსნები. ყველას აგონდებოდა საშველად გამოწვდილი მისი თბილი ხელი. დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო. ავტომანქანებითა და ეტლებით გადაჭედილი იყო სოფლის ორშარა, საქარის მიწას, საყვარელიძეების სამუდამო განსასვენებელს, შეემატა მისი საფლავი, დედ-მამისა და ბებია-ბაბუის გვერდით. სამახსოვროდ ქვა დაადგეს გულზე წარწერით: ძვირფას ადამიანს ოჯახისაგან, ივანე დავითის ძე საყვარელიძე 1874—1939 წელი. დაქვრივდა ცაბუა, შავებით შეიმოსა, შავად გამოიყურებოდა მუხის ხისგან აშენებული კედლებიც. მოიწყინა სახლის კუთხეში ძილად მიგდებნულმა სეტერმა. ჩასისხლიანებული თვალებით შეჰყურებდა ქარში მოჭრიალე ჭიშკარს, მწარედ ჩაიყმუვლებდა ხოლმე საყვარელი პატრონის მოლოდინში. მეექვსე შვლიშვილის დაბადებას ველარ მოესწრო, ჯავრი გაჰყვა, გვარის გამაგრძელებლად იქნებ ვაჟი გვიბოძოს ღმერთმაო! მართლაც უსმინა, აუსრულა თხოვნა. ვაჟი მოევლინა, ივიკო დაარქვეს ბაბუის საპატივსაცემოდ. ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ჰქონდა ჩაფიქრებული. ღმერთის წყალობით არ შეწყვეტილა საყვარელიძეების საგვარეულო. დათიკოს სიხარულისგან სუნთქვა ეკვროდა, შვებას ჰგვრიდა, რომ არ გაუცრუვდა მამის იმედები. მეტი ძალოვანება იგრძნო, ისედაც ფართო მხარ-ბეჭი კიდევ მეტად გაშა-

ლა. ეამაყებოდა თოთო ძის ცქერა, ხალისიანად და ახალგაზრდული შემართებით გამოიყურებოდა ხუმრობისა და ქეიფის ხასიათზე დამდგარი. თბილისში ცდილობდა დროულად ჩასულიყო, სარდაფში მეგობრებთან ერთად პატარა ივიკოს სადღეგრძელო შეესვა.

შვილიშვილის დაბადებამ თვალში სინათლე ჩაუყენა ცაბუას, დაოსებული გული დაუშოშმინა აღშფოთებული სული ჩაუცხრო, მწარე ფიქრებისგან განმუხტა. სალოცავ ოთახში ჩაჩოქილი ღმერთს ევედრებოდა და მადლობას სწირავდა ასეთი ძვირფასი საჩუქრისთვის. „წყალობითა შენითა მოსრნე მტერნი მისნი და წარსწყმიდე ყოველნი მაჭირვებელნი სულისა“... — მომავლის გზას ულოცავდა ივიკოს.

დაზამთრდა.

სახლის საწვეთურებზე ჩურჩხელებივით ეკიდა ლოლუები. თოვლის საფარისგან ნელში გაზნექილი ხეები ღრმა მოხუცივით, თავებს აქეთ-იქით დანანებით აკატუნებდნენ. დარბაზში თბილ ბუხართან იჯდა ცაბუა, ცეცხლი გიზგიზებდა. ამ პირველ ზამთარს ვანოს გარეშე ხვდებოდა. ძლიერ უჭირდა, თვალცრემლმორეული შეცქეროდა კედლის კუთხეში ჩამოკიდებულ მეუღლისეულ თოფს, ყველა მის ნაქონ ნივთებს სათუთად გულში იკრავდა და ცრემლებით ნამავდა. მოგონებებით იყოლიებდა თავს. ზამთრის გრძელ ღამეებში ცუცუნასთან ერთად იოლად უმკლავდებოდა სევდისმომგვრელ უკუნეთს, ცუცუნა ახერხებდა და გამოჰყავდა აბლაბუდასავით დახვეული ფიქრების ლაბირინთიდან. ერთმანეთს ჭირ-ვარამს უზიარებდნენ, ცხელ, ალუბლებიან ჩაის მიირთმევდნენ. წითელ გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე გოგრას სწვავდნენ, კეცზე გოგრის თავის კაკალს ხალავდნენ მარილში, როგორც იმერეთში ეძახიან „წერეთლის მწვადს“. მიუხედავად სამგლოვიარო ძაძებისა, ერთ რამედ ღირდა მათი გამოჩენა საზოგადოებაში, სოფლის საბჭოში ან კრებაზე როცა მიდიოდნენ. ძალზე ტაქტიანები, თავაზიანი გახლდნენ. მათთან შეხვედრა სასიამოვნო იყო. ცუცუნა და ცაბუა თვალყურს ადევდნებდნენ ცხოვრებას, რომელიც დღითი-დღე იცვლებოდა იმ ბობოქარ საუკუნეში. ბოლავდა ზესტაფონის ფეროს ქარხანა. ცხენებს ავტოები ცვლიდა. ფერი იცვალა სოფელმა, გაიყვანეს ზესტაფონ-ჭიათურის საავტომობილო მოასფალტებული გზა. ბესარიონის ჩამორთმეულ სახლში ბავშვები ჟრიამულობდნენ. ცოდნის სამჭედლოში წვრთნიდნენ მომავალ თაობებს.

33

მოვლენებს თითქმის მთელი სამოცდაათი წლით გავუსწარით, პატივცემულო მკითხველო. ახლა ისევ უკან მოგვიწევს დახევა, 1937 წლის გახსენება, თუ როგორ წარიმართა ამ წიგნის მეორე გმირის სი-

მონ საყვარელიძის ცხოვრება. მაშ დავიწყოთ: როგორც მოგახსენეთ, გადასახლებიდან დაბრუნებული სიმონიკა მომავალ თაობას ქართველ მუშკეტიორებად ზრდიდა, წვრთნიდა და სულს უწვართავდა. შეგირდები უპირველესად ცდილობდნენ მწვრთნელს დამსგავსებოდნენ ადამიანობით, შინაგანი ბუნებით, ლამაზი სულითა და, რაც მთავარია, მოულოდნელობით აღსავსე ცხოვრებით, სიძნელეების დაძლევის იმედით. ოსტატი მუდამ ცდილობდა შეგირდების მომავალი რწმენითა და თვითდაჯერებულობით შეელამაზებინა. თავად მებრძოლი სულის მქონე კაცი გახლდათ. ზოგჯერ მარცხდებოდა, მაგრამ ბედს არ ემორჩილებოდა, გულს არ იტეხდა, პირიქით, მარცხი მეტ სტიმულს აძლევდა, სიმხნევეს ჰმატებდა, საკუთარ თავს არწმუნებდა, მეტის გაკეთება შეეძლო, მეტი უნდა ევარჯიშა ვიდრე არ მივიდოდა სრულიად გამარჯვებამდე. ყოფილ კადეტელს ბავშვობიდან ჰქონდა ჩამოყალიბებული მდგრადი და გამიზნული ხასიათი, ყოველგვარი შინაგანი რყევისა და შიშის გარეშე. მისი დარიგება მეც ძალიან წამადგა ცხოვრებაში. რომ არა მომავლის რწმენა, ყველაფერი წყალში ჩამეყრებოდა. მახსოვს ჩემს პატარა ბიჭობაში, ჩემს ტოლა ბიჭს ვყავდი დაბრიყვებული, სადაც კი დამიმარტოხელებდა მცემდა და აბუჩად მიგდებდა. იმდენი მოვახერხე, ჩემი თავი ხელში ავიყვანე, ვარჯიში დავიწყე. ერთ დღეს შევხვდი ჩემს მეტოქეს, სამაგიერო გადავუხადე, ცხვირი გავუტეხე და სისხლი ვადინე. მომიწონა, კარგია თავად რომ გამოგინახავს გამოსავალიო, მაგრამ ძალიან მკაცრად ნუ მოექცევი დამარცხებულსო. — გამაფრთხილა. ეს იყო ჩემი რწმენით ჩანერგილი პირველი გამარჯვება! შიშის ბარიერის გადალახვა!

გადაიტანა და გაუძლო იმ მწარე გამოცდას, რაც ბედმა წილად არგუნა, არასოდეს საყვედური არ დაცდენია, ღმერთი არ გაუკიცხავს. ასეთ მწარე განსაცდელში რად ჩამაგდეო. როგორც ერთერთი რიგითი მორწმუნე პირჯვარს ისახავდა. მადლიერებით მოიხსენიებდა მამაზეციერს სიცოცხლე რომ აჩუქა. ერთადერთს რასაც შეთხოვდა, ჯანმრთელობა იყო. ფუფუნებაში არასოდეს უცხოვრია, თავისი დღე და მოსწრება სიმართლისათვის ბრძოლას შეალია, დიდ ფულთან არასოდეს ჰქონია შეხება, მისი მისწრაფება მხოლოდ სპორტი გახდა, ყოველთვის გატაცებით მუშაობდა აღსაზრდელებთან, წარმატებებით არასდროს კმაყოფილდებოდა, სულ ახლისა და ახლის ძიებაში ატარებდა დროს. ზომაზე მეტად პატიოსანი და უბრალო იყო ბუნებით, მაგრამ ამავე დროს, ვერაფერს გამოაპარებდი, კარგად ერკვეოდა ადამიანთა ფსიქიკაში, მათ თვალებში ადვილად კითხულობდა, ვინ როდის თვალთმაქცობდა, ვინ ვის უძვრებოდა უკანალში, ოღონდ რამე დაეცინცლა. მოღალატეებს ეძახდა ასეთ ადამიანებს, რომლებიც დგამდნენ ასეთ

ნაბიჯებს, საცოდავ კაცუნებად მიაჩნდა ისინი, ლამაზი ნივთების გულისთვის ღირსებებს რომ კარგავდნენ. ორმოცდაერთ წელს იყო მიტანებული, ჯერ კიდევ მრავალი წარმატებები წინ ედო. დღე-ღამეს ასწორებდა, გამარჯვება სწყუროდა. საქმესთან ორგულობა და ღალატი თრგუნავდა, არ უნდოდა ცხოვრების დინებას ჩამორჩენოდა, მთვრალ მაყარივით გზიდან გადაეხვია, ამიტომ მეტს ცდილობდა ესწავლებინა მომავალი თაობისთვის ჯანსაღი სული შთაენერგა, სრულქმნილ მუშკეტიორებად ჩამოეყალიბებინა. საგმირო მითებს უყვებოდა, ზოგს თავად მოიფიქრებდა ხოლმე, ისეთ აურას ქმნიდა სავარჯიშოდ მოსულ მოსწავლეს თავი რაინდივით ეგრძნო, ყველაფერი საინტერესოდ ყოფილიყო სინამდვილესთან შეთავსებული.

დემოკრატი მამის როლი არ უთამაშია, ბუნებით იყო დემოკრატი. მეგობრული კავშირით იგებდა სიყვარულსა და მორიდებას იმსახურებდა საკუთარი ქალიშვილის თვალში. ლილიმ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში განაგრძო, ექიმობა აირჩია, თუმცა, კმაყოფილი მაინც არ ყოფილა, ვერ ეპოვა თავის თავში ადგილი რას დაყრდნობოდა. თეთრი ხალათისთვის მიენიჭებინა უპირატესობა თუ სცენისთვის. დამნაშავესავით თავს ღუნავდა მამიდის სურათთან, უხერხულად იშმუშნებოდა, როგორც ახლობელ ადამიანებს შორის ხდება ხოლმე. მიცემული პირობის დარღვევის შემთხვევაში, სურათიდან ეჩვენებოდა თითქოს თამარის ხმა ესმოდა, „სცენას დაუბრუნდი, ხელოვნება სულ სხვა განსხვავებული დარგიაო“. საათობით იჯდა ხოლმე, შეცქეროდა და თვალს სტაცებდა სურათზე აღბეჭდილი მშვენიერი მამიდის ნატიფი სახის ნაკვთები, როგორ ეწადდა დამსგავსებოდა მამიდას, გარეგნობითაც და სამსახიობო ნიჭითაც. როცა თეატრის ახლოს ჩაივლიდა, სურვილი იპყრობდა, სცენაზე ასულიყო, თავისი ნიჭი და შესაძლებლობები ბოლომდე გამოეყენებინა და მაყურებლისთვის სიამოვნება მიენიჭებინა. გულზე ცეცხლი ეკიდა, თავის თავს ვერ პატიებდა, არ უნდა მეჩქარაო, ჩურჩულებდა და მამიდის სურათს ებოდიშებოდა, დავუბრუნდები, აუცილებლად დავუბრუნდები თეატრსო!

პირველად მამას გამოუტყდა, მამას გაუმხილა თავისი ინტერესები, პედაგოგმა კაცმა სწორად გაუგო ქალიშვილს. მას რომ ძალადობა ეხმარა, უფრო გაართულებდა ვითარებას, უზარმაზარ ტკივილს მიაყენებდა, ისედაც აფორიაქებულ სულს კიდევ მეტად აუფორიაქებდა. სიმონიკა ტაქტიანი, გამოცდილი კაცი გახლდათ, დაუყვავა, დაამშვიდა, ისე მოიქეცი, როგორც შენ მიგაჩნია საჭიროდო.

მოულოდნელი ცვლილებები მოხდა ლილის ცხოვრებაში, ისე როგორც სრულყოფილ და ზრდადასრულებულ ქალიშვილებს სჩვეოდათ, რომანტიკულმა იდეალმა გაიღვიძა მის გონებაში, თანაკურსელი შოთა

ქარუხნიშვილი შეუყვარდა. თავი მსუბუქად იგრძნო, უფრო თვალისმომჭრელი მოეჩვენა მზე, უფრო ლურჯი საფრენად გამზადებული ცა. ყველაფერი მისდაუნებურად დაიწყო, ისე სწრაფად, რომ დროის ბორბლის ბრუნვასაც კი გაუსწრო, ანაზდეულად შეცვალა შინაგანად, სიყვარული ბადებდა სურვილს, არტისტი გამხდარიყო. შოთას იდეა იყო თეატრალურ ინსტიტუტში გადასვლა, საოცრად გაიხარა ლილიმ, როდესაც მისი მისწრაფება შოთასას დაემთხვა, მომავალმა ცოლქმარმა კვლავ ერთ საქმეს მოჰკიდეს ხელი, ხელოვნების სამჭედლოს ზღურბლს გადააბიჯეს.

კატუშა დედობრივი ალღოთი თავიდანვე ხვდებოდა, რომ ლილისგან მკურნალი არ დადგებოდა. სიმონიკა კი ისე იყო თავისი საქმით დაკავებული, ყურადღება აღარ მიუქცევია.

ლილი და შოთა სტუდენტობის წლებში დაუახლოვდნენ ნიჭიერ თანატოლებს, რომლებმაც მთელი ეპოქა შეჰქმნეს თეატრსა და კინემატოგრაფიაში და უმაღლეს დონემდე აიყვანეს სასცენო ხელოვნება: რეზო ჩხეიძე, ლილი იოსელიანი, გოგი გეგეჭკორი, დოდო ჭიჭინაძე, ვახტანგ ნინუა მედიკო ჩახავა და სხვა. გათხოვებას არ აპირებდა, არც შოთა აძალებდა, სწავლის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტეს შეუღლება. ლილის მშობლებისთვის არაფერი უთქვამს, ნაადრევად მიაჩნდა ამ თემაზე საუბარი. ჩუმად გაპარვა არც უფიქრია, შეთანხმების გზით უნდა მომხდარიყო, რომ თავისი კმაყოფილებით მათი უკმაყოფილება არ გამოეწვია. მთელი დღე წიგნებთან იყო ჩაკეტილი, მხოლოდ ლექციებზე დადიოდა, ბევრს კითხულობდა, სარკის წინ ვარჯიშობდა. უფრო დამაჯერებლად რომ წარმოესახა მიცემული გმირის სახე. უზომოდ ბედნიერი იყო როცა გარდასახვა კარგად გამოდიოდა. საქმე როცა გიყვარს, როცა გულთბილი დამოკიდებულება გაკავშირებს მასთან, აუცილებლად მიაღწევ მიზანს, აუცილებლად მოგგვრის შვებას, თუმცა, ძალიან ძნელია უსაზღვრო შრომა, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, სასიამოვნოა შედეგი.

ეკონომიურად უჭირდათ, სიმონიკასა და კატუშას შემოსავალი არც ისე სახარბიელო იყო, გასავალი სჭარბობდა. კატუშა იძულებული გახდა რაღაც ეღონა, რაღაც გამოსავალი მოეძებნა და მოიძია კიდეც. მკერავის პროფესია შეითვისა, სამსახურის შემდეგ, საკერავ მანქანას უჯდა თავის ოთახში ჩაკეტილი. რას იფიქრებდა ერისთავებისა და ტუსიშვილების შთამომავალი, ლუკმა-პურის მოსაპოვებლად ამდენი ოფლის ღვრა თუ დასჭირდებოდა. ქალაქში მალე გაუვარდა საუკეთესო მკერავის სახელი. ასე რომ მეორედ არჩეულმა დამატებითმა პროფესიამ გაუმართლა, ოჯახი ფეხზე დააყენა.

დალხინებულად არც ცუცუნას უწევდა ცხოვრება. ფიზიკურად

თუ არა, სულიერად განადგურებული, ისევ ცაბუას იმედზე და მხრებზე იყო ჩამოკიდებული. ლუკმა-პური არ უჭირდა, თუმცა ფიზიკური შრომა არ შეეძლო. სამოცდაათს იყო გადაცილებული. თოხი და ბარი ხელში არასოდეს სჭერია, მაგრამ მაინც სოფელს ვერ თმობდა. სიმონიკას გადასახლებიდან ჩამოსვლამ დიდი დარდი ჩამოაშორა, დანარჩენს ასე თუ ისე იტანდა. სულ რამდენიმე წლის უკან შვილიშვილები ნელი და მარგო როცა აკითხავდნენ ქუთაისიდან, თავს უკეთ გრძნობდა მაგრამ, როდესაც გოგოებმა თბილისში გადაინაცვლეს, უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელეს სწავლება სულიერი სიმარტოვე იგრძნო. ნელი გათხოვდა, ქუთაისელ ვლადიმერ შენგელიას გაჰყვა ცოლად. ისევ ქუთაისში გადმოსახლდა, ვლადიმერი ქუთაისში სამკერვალო ფაბრიკის დირექტორად დანიშნეს. წლისთავზე შეეძინათ ქალიშვილი, ნათელა შენგელია — კოლაუ ნადირაძისა და თამარ საყვარელიძის უფროსი, პირველი შვილიშვილი. ცუცუნასი კი პირველი შვილთაშვილი. ხანმოკლე აღმოჩნდა ნელისა და ვლადიმერის ქორწინება. ბედნიერება ძლიერ შორეული აღმოჩნდა მათთვის, იმ ავადმოსახსენებელ წლებს ვერ გადაურჩა ვლადიმერი, აუშარდნენ და დახვრიტეს. ცოტა ხნით მაინც დაეცლიათ ძე რომ დარჩენოდა.

რაც შეეხება მომდევნო დას — მარგოს, სტომატოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა. აგნესიას სიკვდილის შემდეგ ქუთაისში ნადირაძეებისეული სახლი გაყიდეს და ორივე დები თბილისში გადმოვიდნენ. ნელის მეორედ გათხოვება არ უფიქრია, ერთგული დარჩა ტრაგიკულად დაღუპული სიყვარულისა, რომელიც ყველაზე წმინდა იდეალად მიაჩნდა. მარგო გათხოვდა, იური გაბუნიას გაჰყვა ცოლად ინჟინერ-ენერგეტიკოსს, ორი შვილი შეეძინათ შალვა და მარინა. კარგად მახსოვს ზაფხულობით საქარაში როცა ჩამოდიოდნენ, შალვა რამოდენიმე წლით იყო ჩემზე უფროსი, მარინა პირიქით. ერთმანეთთან კარგად ვიყავით შეთვისებული. ერთად ვთამაშობდით, ძია იურაც ხელს გვიწყობდა, სულ რაღაცას თლიდა და ჩხერკედელაობდა, პროპელერიან თვითმფრინავებს გვიკეთებდა, ისე ოსტატურად გამოდიოდა ნახელავი, ერთ რამედ მართლაც ღირდა მისი ნახვა. არა მარტო ბავშვები, დიდებიც სიამოვნებით ადევდნებდნენ თვალს და ჩვენთან ერთად ისინიც ერთობოდნენ.

34

ზაფხულის ადრიან დილით სოფლის საბჭოს შენობასთან, მაღალ ბოძზე ჩამოკიდებულმა ფანერის რადიოს ვეებერთელა ლურჯმა ყუთმა მიაწვდინა სოფელს ლევიტანის გამყინავი ხმა. დიქტორი იუ-

წყებოდა საბჭოთა ტერიტორიაზე ფაშისტური გერმანიის ჯარების შემოჭრასა და ომის დაწყებას. სოფლის თავკაცები შეშფოთებულნი წინ და უკან დააბოტებდნენ, გაღიზიანებულთ ტანში აჟრჟოლებდათ. ცოტახანში საბჭოს ეზო ხალხით აივსო, სამძიმარზე მისული ჭირისუფლებივით იდგნენ, გმინავდნენ და ილანძღებოდნენ. ცრემლებით სველ ლოყებს იხოკავდნენ ჭაღარაშეპარული დედები, მტკივნეულად განიცდიდნენ ქმარ-შვილის მწარე მომავალ ბედ-იღბალს. „არ არის სამართალი ამ ქვეყანაზე, მხოლოდ და მხოლოდ ძლიერები იმარჯვებენ, ჩაგრავენ სუსტებს და იყენებენ პირადი ბედნიერებისათვისო“, — ისროდნენ გამაღიზიანებელ ფრაზებს. სტალინის მჟღერმა, დამაჯერებელმა ხმამ და სიტყვებმა, სრულიად შეცვალა ხალხის განწყობა, გაბზარული გულები გაუმთელდათ. შიშის გრძნობას სამშობლოსადმი სიყვარულმა სძლია. ვის როგორ შეეძლო ისე გამოხატავდა მტრისადმი ზიზღს. უფროსი თაობის წარმომადგენლები ქამარ-ხანჯლებზე ისვამდნენ ხელს, ახალგაზრდები მკერდზე მჯიღებს იბაგუნებდნენ. საღამო ხანს ზესტაფონის რკინიგზის სადგურიდან დარჩეული ახალგაზრდებით დატვირთული ეშელონები საბრძოლველად გაიყვანეს. დაცარიელდა შუაიმერეთის სოფლები. ორთქლმავლების კვილში იკარგებოდა გამწარებული დედების, ცოლებისა და შვილების მოთქმა და ვიში. საბჭოეთის მთავარი სარდლის, მთავარი მბრძანებლის სწორედ დაგეგმილმა და მებრძოლი ძალების სწორად დანაწილებამ, გაურღვეველი და გადაულახველი გაარღვევინა და გადაალახვინა საბჭოთა ჯარს. გამოუვალ ვითარებაში მყოფი ქვეყანა, მდგომარეობიდან გამოიყვანა, რუსეთს დადებითად წაადგა გერმანიასთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც 1939 წელს დაიდო. ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა სტალინმა იმ ხელშეკრულების საფუძველზაე წელიწადნახევრიანი მშვიდობა შეინარჩუნა და მოასწრო გაეწვრთნა საბჭოთა ჯარი, ბოლომდე მიეყვანა ზღვებთან დამაკავშირებელი არხები, მეტად გაენვითარებინა მძიმე ინდუსტრია. სტალინმა კარგად იცოდა, რომ გერმანია და საბჭოთა კავშირი აუცილებლად დაეტაკებოდნენ ერთმანეთს. ამიტომ ჩქარობდა, როგორმე მოკლე დროში აეღორძინებინა ქვეყნის ეკონომიკა, რომ წარუმატებლობა თავიდან აეცილებინა. გარკვეული და ჩახედული იყო სამხედრო საქმეში, ესმოდა მისი ზუსტი ზომა-წონა, რა იყო საჭირო საბრძოლო ველზე, სად უნდა გაენაწილებინა უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელები, რომ დაემარცხებინა მოწინააღმდეგე. ომი მოიგო, დამარცხდა ჰიტლერი, მოისპო მისი საბრძოლო შემადგენლობა. სტალინმა შეძლო მსოფლიო სამხედრო ხელოვნებაში მიეღწია გენერალისიმუსის ჩინისათვის, რაც არცთუ ისე დიდი სახარბიელო რიცხვია, ადამის დროიდან დაწყებული დღევან-

დელობით დამთავრებული. მგონი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჩვიდმეტიოდე კაცია. დიდი ომი მოიგო და მსოფლიო იხსნა გერმანული ფაშიზმისაგან. ბევრი დაუნდობელ დესპოტად და დიქტატორად მიიჩნევს. ქართველები საქართველოს ოკუპაციაში ვადანაშაულებთ, მე ვერ განვსჯი, ისე რთული პიროვნებაა, ჩემი ცოდნა საკმარისი არ არის, სრულ ჭეშმარიტებამდე მივიყვანო მკითხველი. ერთი კია, მსოფლიო დიდი რანგის პოლიტიკოსებმა ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკოსად შერაცხეს. მკითხველმა მშვენივრად იცის, გარდა სამხედრო ნიჭისა, ლექსების წერის უნარიც დააყოლა მამაზეციერმა: **„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ, / ილხინე, ივერთ მხარეო / და შენც, ქართველო, სწავლითა, / სამშობლო გაახარეო“.** / ჰიმნივით დაუტოვა მომავალ ქართველ თაობებს... ხელში რომ კალამი სჭეროდა, სამხედრო ფორმის ჩაცმაზე ეთქვა უარი, არა მგონია გვერდში დადგომოდა დიდ რუსთაველს, შექსპირსა და გოეთეს. მხოლოდ მხედრული ნიჭით მოახდინა შეუძლებელი. დაბალი ფენიდან გამოსულმა, უბრალო გორელი მეჩექმის შვილმ, შეძლო ქვეყნის სადავეების ხელში ჩაგდება. ყველა მოპაექრეებს აჯობა გონების გამჭრიახობით, ხელიდან გამოსტაცა პირველკაცობის კოზირი და გახდა ყველაზე ცნობილი და ყველაზე ძლიერი, რაზედაც მისი შერქმეული გვარიც მიუთითებს: ი. ბ. სტალინი...

ომის დროს დიდი სულიერი გაჭირვება გადაიტანა ცაბუამ, კიდევ კარგი, რომ დათიკო სამსახურმა დაჯავშნა, ომში აღარ გაუწვევიათ. იმ დროს დათიკო ლაგოდეხის თამბაქოს მეურნეობის დირექტორად მუშაობდა, მაგრამ მაინც იმდენი შემოსავალი არ ჰქონია, მეუღლე და სამი შვილი გამოეკვება. ამიტომ დირექტორი კაცი იძულებული გახდა მიწაზეც ემუშავა, ეხნა და ეთესა. იმერეთშიც ასწრებდა ჩასვლას. ქვრივად დარჩენილ დედას ხელს აშველებდა. კი მართალია, სახლს უმამობისა და ომის კვალი აჩნდა, სიმხიარულის ნაცვლად მოწყენილობას დაესადგურებინა, მაგრამ დათიკო ყოველთვის ახერხებდა სიმხიარულე და ღიმილი შეეტანა ოჯახში. ომში არც ფეფიკოს და არც თინიკას მეუღლეები გაუწვევიათ, ორთავე სამსახურმა დაიხსნა, მხოლოდ თინიკასა და ვალოდიას მოუწიათ დროებით დაშორება. თინიკა როგორც ექიმი ზესტაფონში ფეროს ქარხანაში მიავლინეს. მზიასა და ნანასაც მოუწიათ თბილისის დატოვება და დროებით გადასვლა ზესტაფონში. ქირით ცხოვრობდნენ. კვირის ბოლოს ვალოდია ახერხებდა ცოლშვილთან ჩასვლას. შვილთან და შვილიშვილებთან სიახლოვემ, საშინელი მდგომარეობიდან გამოიყვანა ცაბუა. მტრედებივით მოგოგმანე გოგონები შაბათ-კვირას ბებიასთან ატარებდნენ. მზია, ყველაზე უფროსი შვილიშვილი, თორმეტი წლისა იყო იმ დროს, ლამაზი, ალერსიანი, მოფარფატე ფერია, ცაბუას გვერდიდან არ შორდებოდა, გვერ-

დით ეჯდა და საყვარელიძეების წარსულზე ესაუბრებოდა. როგორც წესი, ყოველთვის გემრიელი ნუგბარით მთავრდებოდა ბებია-შვილიშვილების დახვედრა და გასტუმრება — ცხელი ღომი, საცივით, კეცებზე დაბრაწული, ნიგვზის ფოთლებში მოშუშებული თხელი მჭადითა და პიტნაში გადაზელილი ყველით.

რაც შეეხება ფეფიკოსა და ნიკოს ორთავე ზოოტექნიკოსები იყვნენ სპეციალობით. ორთავე საცდელ სადგურში მუშაობდნენ. ნიკოს დირექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ხსენებულ საწარმოში შინაური ცხოველების, კერძოდ, ცხვრების გამრავლების დაჩქარების პროცესს სწავლობდნენ და ირკვევდნენ, ერთ-ერთ ასეთი ექსპერიმენტალური ცდების ჩატარების დროს, რომელსაც მოსკოვიდან მოვლინებული რუსი კოლეგა ხელმძღვანელობდა, ცხვრის დიდი რაოდენობით გაჟლეტა გამოიწვია, რასაც მოჰყვა მაღალი თანამდებობის პირთა დაპატიმრება, სწორედ მათ შორის აღმოჩნდა ნიკო ღოღობერიძეც. ნიკოს ახლობლებსა და იმ ადამიანებს, ვისაც კი ხელი მიუწვდებოდა ეჭვიც არ შეპარვიათ მის წესიერებაში. მათ ვერ წარმოედგინათ ცნობილი ღოღობერიძეების შთამომავალი უპატიოსნო ადამიანი ყოფილიყო, მათ ეჭვიც არ ეპარებოდათ, სამართალი აუცილებლად გაიმარჯვებდა. ასეც მოხდა. ნიკო სასამართლომ გაამართლა. მაგრამ სამწუხაროდ, ის მაშინ ცოცხალი აღარ იყო, განაჩენის გამოტანამდე ციხეში გარდაიცვალა. ორმოცდაორი წლის ასაკში დაქვრივდა ფეფიკო, ლოდივით დააწვა ოჯახური სიდუხჭირე. ბოლომდე, საფლავის პირამდე ატარა ერთგულება და ქართველი მანდილოსნისსიწმინდე. საოცრად მომხიბვლელი და ლამაზი ქალი იყო, გასაკვირი არაა ეყოლებოდა მთხოვნელები. ასაკში შესული უცოლოდ დარჩენილ მამაკაცები შესთავაზებდნენ ცოლად გაჰყოლოდა. მაგრამ ფაქტია, რომ ვერ მოახერხეს, ყველას გაუცრუა ალბათ იმედი, გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნას მიაგო პატივი, მეორედ აღარ გათხოვილა. დარჩენილი ცხოვრება თავის ერთადერთ ვაჟს დავითს (ჩერჩილას) ანაცვალა.

კიდევ დიდი დანაკლისი განიცადა ომის წლებში საყვარელიძეების ტრადიციულმა ოჯახმა. გარდაიცვალა ლადო საყვარელიძე. ის იყო უკანასკნელი ხუთი ძმიდან, რომელმაც ომის დაწყების დრომდე მოაღწია, მაგრამ დამთავრებას ვეღარ მოესწრო. ვანოს, პავლესა და გრიგოლის სიკვდილის შემდეგ მისთვის ძნელად გადასატანი დრო დადგა. ძალიან უყვარდა ძმები, ჯერ ადრე, ვარლამის ტრაგიკულად არმავირში დაღუპვამ, ფრიად შემაძრწუნებელი დაღი დაასვა. ნერვიულობისაგან გული დაუავადდა. 56 წლის ასაკში დატოვა ეს ქვეყანა. გულსუსტები გამოდგნენ ძმები. ვანოც, პავლეც და ლადოც გულის უდროოდ ღალატმა იმსხვერპლა. მხოლოდ ვასასიღა შემორჩა სევდიანი დიდრო-

ნი თვალებით. იმ გამოხედვაში კვლავ კიაფობდა საყვარელიძეების მოდგმის ჩაუშრეტელი ნათელი. ნათლად ჩანდა ყოველივე ის რაც ახასიათებდა იმ ღვთისმოსავ ადამიანებს — კეთილშობილება.

კენტად დარჩენილი ახალგაზრდა დედები თავაუღებლად შრომობდნენ, ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, რომ პატარებისთვის არაფერი მოეკლოთ, საკუთარი შვილებისთვის კარგი განათლება მიეცათ. ფეფიკოს თინიკა და ვალოდია ედგნენ გვერდით. ვერაზე მეზობლად ცხოვრობდნენ. სოფლიდან კი ცაბუა ორთავეს აწვდიდა სოფლის ნობათს. ფეფიკოს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გული აუცრუვდა ზოოვეტერინალურ საქმიანობაზე, მიატოვა ხსენებული სამსახური, სახლში ჩაიკეტა და ხელი მიჰყო საბეჭდ მანქანაზე მუშაობას. სტამბაში ჩასაშვებ მასალებს უბეჭდავდა ქართველ მწერლებს. იქედან შემოსული თანხით ინახავდა ოჯახს. მალე ისე დაოსტატდა, მწერლების რიგი ედგა. დიდ პატივს მიაგებდნენ, სათუთად ექცეოდნენ, სილამაზითა და უანგარო შრომისმოყვარე ქალბატონს. ასე წვალებით გამოზარდა დათო და დააყენა ფეხზე. დათოს ბავშვობიდან ხვდა წილად დამეგობრება ისეთ ადამიანებთან, როგორებიც იყვნენ გურამ რჩეულიშვილი, ნუგზარ წერეთელი, ლერი და ოთარ მაისაშვილები. ერთად ბანაობდნენ მტკვარში, ცხელ ქვიშაზე მუხრანის ხიდის ქვეშ ლახტს თამაშობდნენ. ხშირად სტუმრობდნენ ნუგზარის მამას, პოეტ აკაკი წერეთელს. წარმოშობით შოროპნელი იყო დიდი აკაკის სეხნია, საოცრად თბილი, ყოველთვის საუკეთესო ღვინით უმასპინძლდებოდა ახალგაზრდებს, ნაუცბათევ სუფრას უშლიდა ხოლმე. ციცქის ღვინით შეზარხოშებულები ვერის აღმართს აუყვებოდნენ ღიღინით. ულვაშებწამოღინღილებული ჭაბუკები პოეზიაზე საუბრობდნენ, კამათობდნენ, ბევრს კითხულობდნენ და სათანადო ცოდნას იძენდნენ. ზაფხულობით დათო და ნუგზარი იმერეთისკენ მიეშურებოდნენ დასასვენებლად. ნუგზარს შორაპანი, სოფელი საღვინე მოელოდა, დათოს ზედა საქარა, თავის ტოლა ვაჭარაძის ბიჭები ვაჟა, გურამი, ზაური... ცხელი ზაფხულის, პაპანაქება დღეებში, ქვედა საქარაში, ჩოლაბაურში დადიოდნენ. უზნაძეების ნაწისქვილართან იგრილებდნენ ალმოდებულ სხეულებს. სწორედ იმ ულამაზეს სოფელში იყო დაბადებული უდიდესი გენიოსი მეცნიერი, დიმიტრი უზნაძე. ქვედა და ზედა საქარა ერთმანეთს ესაზღვრებიან. ზაფხულობით ზედა საქარლები ხშირად ჩადიოდნენ ქვედაში მდინარეში საცურაოდ. ორიოდე კილომეტრის გავლა უწევდათ ფეხით. უბეები მწვანე, ჭყინტი თხილით ჰქონდათ დატენილი, თხილის კნატუნში მალე ილეოდა გზა. ვაჭარაძეების ბიჭებს დათო ძმასავით უყვარდათ. თანატოლები „ჩერჩილას“ ეძახდნენ. მათ შორის, დათიკოც. ჩერჩილა ბევრს კითხულობდა, ენციკლოპედიასავით ჰქონდა

ტვინი ცოდნით ამოჭედილი, შიგადაშიგ გატაცებით წერდა ხოლმე სტატიებსა და პატარა ჩანახატებს.

ფეფიკო ხშირად ვერ ახერხებდა ჩასულიყო მშობლიურ სახლში, სადაც ყველაზე უტკბესი წლები და თავისი ქალიშვილობა ჰქონდა გატარებული. ჩავიდოდა თუ არა, მყის მიაშურებდა გრილი მუხების ჩრდილს. იმ ქვის მაგიდასთან ჩამოჯდებოდა, ერთ დროს ვარინკა წერეთელი საყვარელ „სულიკოს“ გიტარაზე რომ ამღერებდა. წუთით წინაპართა აჩრდილები გაუელვებდა გონებაში, გიორგი, კიკვილი, დათა და მარიამი. ცნობისმოყვარეობით შეცქეროდა მათ სახეებს, ყურშიც ესმოდა მათი ჩურჩული, ბურანში წასულს აღარ უნდოდა რეალობაში დაბრუნება. ვინ იცის, ფიქრობდა, იქნებ ჩვენი პლანეტის გვერდითაა ის თვალთუხილავი, მეორე პლანეტაც, სადაც გარდაცვლილი ადამიანების სულები იმყოფებიან. პირობითად შეიძლება სულეთის ქვეყანა ვუწოდოთ მას. ხანდახან უფალი გვაძლევს იმის საშუალებას, პირდაპირი კავშირი დავამყაროთ მათთან. ზოგჯერ სიზმარში ხორცს ისხამენ და ისე მოდიან ჩვენთან, იშვიათ შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით, რაღაც გაურკვეველ ლაბირინთებით გვიწევს საიქიოს გზის გავლა, შემდეგ არაჩვეულებრივი გარემოს ნახვა. დარბაზში ჩამოკიდებულ მამის სურათს მდუმარედ შეცქეროდა ფეფიკო. მამის თვალები იმდენად სიცოცხლის გამომხატველი იყო, ფეფიკოს უყოყმანოდ სჯეროდა, რომ ვანო ყოველთვის გვერდით ედგა. ის არ მომკვდარა, ის მხოლოდ გარდაიცვალა — ერთი სახიდან მეორეში გადავიდა... ასე სჯეროდა.

ეზოში ბავშვები ჟრიამულობდნენ მზია, ნანა, დათო, ცისანა, მარიკა და ივიკო. ცნობისმოყვარენი პატარა გოგონები ხატულაფრთებიან პეპლებს დასდევდნენ დასაჭერად. ფეფიკოს ეღიმებოდა, თვალებში სიხარულის ცრემლი უბრწყინავდა. უხაროდა, რომ საყვარელიძეების მოდგმა ხმაურობდა, ისევ ხარობდა და ლაღობდა. ცაბუა დიასახლისობდა. გემრიელ კერძებს უმზადებდა შვილიშვილებს. გოგონები მეტად ნაზები, საყვარლები და მიმზიდველნი იყვნენ, მაგრამ მარიკას განსხვავებული ელფერი დაჰკრავდა. გამართლდა პავლეს ნაწინასწარმეტყველური შეფასება. „მესამე საოცარი სილამაზის ქალი მარიკა იქნება ჩვენს გვარშიო“. მართლაც მშვენიერი თამარი, ფეფიკო და მარიკა ღვთისგან მოვლენილი ტურფა ქალბატონები იყვნენ... ღვთისნიერი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი ცისანა, მარიკა და ივიკო. სამთავეს ტკბილი ხავერდოვანი ხმა მოამადლა გამჩენმა. სულს უმზევებდა საქარლებს როცა ასწლოვანი მუხების ჩრდილში, სამთავე ერთად მღეროდნენ. მაგრამ, ყველაზე მეტი საოცრება მაშინ ხდებოდა, როცა მათ თავისივე სისხლი და ხორცი, დეიდაშვილი ნანი ბრეგვაძე უერთდებოდა, სწორედ ის დრო დარჩა ჩემი და ჩემზე უფროსი თაო-

ბებისთვის ყველაზე ტკბილ მოსაგონრად.

ცაბუა აივნიდან შეცქეროდა ანც შვილიშვილებს, სწყინდა, ვანო რომ ვერ მოესწრო მათ დაფრთიანებას. განა ყველაფერი ისე წარიმართება ხოლმე, ყველა ჩვენთაგანს რომ აწყობს, მოისურვებ და ბედნიერი გახდები! არა, ბატონებო! განგება ზოგჯერ უბედურებისკენ გვიბიძგებს, რადგან, ბედნიერება არ არსებობს უბედურების გარეშე, რადგან ბედნიერება უბედურების უმაღლესი წერტილია. შეცქეროდა ცაბუა და უხაროდა, ეზოში რომ პატარა ივიკო დარბოდა — ვანოს თაობის გამაგრძელებელი. აკვირდებოდა და უცნაურად ეჩვენებოდა ეს ტიალი წუთისოფელი: „სიხარულზედაც და მწუხარების ჟამსაც, თვალიდან ცრემლს გადენინებს ადამიანსო“.

35

ომის დაწყებისთანავე სიმონიკა შორეულ ციმბირში, მდინარე ენისეის მახლობლად გადაასახლეს. ისე მოულოდნელად აიყვანეს, უალოო დროს, რომ ცოლ-შვილთანაც ვერ მოასწრო გამომშვიდობება. „ჯანდაბას, — ფიქრობდა. — დასჯილ ვლასოვის ბატალიონში ბრძოლას, ისევ შორეულ ციმბირში ყოფნა ჯობსო“. ხის სატვირთო უფანჯრებო ვაგონით, რომელიც მყრალი თამბაქოს სუნით იყო გაჟღენთილი, გაამგზავრეს პატიმრები შორეულ ციმბირში. ზაფხული იდგა და არ ციოდა, ღამე ხის ნარებზე ეძინათ. აუტანელი ტანჯვა-წამებით უხდებოდათ კილომეტრების გავლა, ციმბირამდე არაკომფორტულად მგზავრობა სიკვდილის ტოლფასია, მაგრამ სიმონიკას გაცილებით მეტი სიძნელეები ჰქონდა გადატანილი. სხეული და ნერვები ისე გამოეწრთო, ავადმყოფობა ასე ადვილად ვერაფერს აკლებდა და შეუძლებელი იყო აგრეთვე მისი მოთმინებიდან გამოყვანაც. დათას ნაჩუქარი ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც განუყრელად პერანგის ჯიბით, გულთან ახლოს ჰქონდა და განუყრელად ყოველთვის თან ატარებდა, რწმენასა და დიდ ენერგიას მატებდა და გაჭირვების ჟამს ეხმარებოდა, მდგომარეობიდან გამოჰყავდა. დილით, გაიღვიძებდა თუ არა, ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული, ხატს ეამბორებოდა, დილის ლოცვებს, გონებაში ხმაამოუღებლივ ჩაიკითხავდა, რომ სხვებისთვის ხელი არ შეეშალა. ასე მეორდებოდა ყოველდღე. თუ ადამიანი შემართებითაა განწყობილი, მთვარემდე ააღწევს ფეხით. მხოლოდ დედასთან და ცოლ-შვილთან დაშორებას ვერ ეგუებოდა. ლოდივით აწვა გულზე არეულ-დარეული, აწეწილი და დაულაგებელი ცხოვრება. სანამდე უნდა გაგრძელებულიყო ასე? სანამდე უნდა ეწანწალა, ქუჩის ძაღლივით, ერთი ქვეყნიდან მეორეში? ბოლოს და ბოლოს, ერთხელ და

სამუდამოდ, ხომ უნდა დასმოდა წერტილი ასეთ ცხოვრებას? ხმა აღარ ამოუღია: არც არავის სურდა ლაპარაკი, ყველა თავისი სურვილით იყო გართული, ზოგი ყვინთაობდა, ზოგიც მხარ-თეძოზე წამოწოლილი, მწარე ფიქრებში იყვნენ ჩაფლული. მხოლოდ აბეზარი ბუზებისა და კოღოების წვრილი, შემზარავი ყურთან გაწუილება არ აძლევდათ ძილის საშუალებას. ძალაგამოცლილები აბოლებდნენ და თამბაქოს ამყრალებული კვამლით იწყნარებდნენ აშლილ ნერვებს. ბადრაგებს ნიკოტინითა და ქაშაყის სუნით გაჟღენთილი, გადახუნებული, სამხედრო ტანსაცმელი ეცვათ. უმეტესი წილი შუა აზიის წარმომადგენლები იყვნენ ყვითელი კანის, ბურთივით მრგვალი სახითა და ვიწრო მოჭუტული თვალებით. თუ ვინმეს რაიმეს შეკითხვა გაუჩნდებოდა, ისინი დუმდნენ, გაურკვევლობის გამოხატვის ნიშნად, ხიშტებს მაღლა სწევდნენ, ისედაც მოჭუტულ თვალებს, კიდევ უფრო ჭუტავდნენ და ბრაზიანად ახამხამებდნენ. უპასუხოდ ტოვებდნენ ცნობისმოყვარე ადამიანების მიერ დასმულ კითხვებს.

დრო ნელ-ნელა მიიზლაზნებოდა. დღე კვირად, კვირა თვედ ეჩვენებოდათ. გაწიწმატებულნი ბურტყუნებდნენ. დაულეველი გზიდან დაქანცულები, დროს აუგად მოიხსენიებდნენ, უფრო აჩქარებულიყო. ასეა მოწყობილი ეს უცნაური სამყარო, ადამიანი ყოველთვის უკმაყოფილოა დროის, განსაცდელში მყოფი თუ დროს აჩქარებაზე ფიქრობს, განცხრომაში — ყველაფერი პირიქითაა, დროის დამუხრუჭება უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს. ბოლოს და ბოლოს იძულებული ხდება დამორჩილდეს. მერე ხმამაღლა დაჯერებულად აცხადებს: „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“... სიმონიკა ცდილობდა ყველაფერი წინასწარ, მოფიქრებულად ეკეთებინა. ადგილი, სადაც უნდა ეცხოვრა, მისჯილი წლები უნდა გაეტარებინა, სავსე იყო სხვადასხვა რჯულის მქონე ადამიანებით, რუსებით დაწყებული, ბოშებით დამთავრებული. ერთმანეთში იყვნენ არეულები ყაჩაღები, ხულიგნები, მკვლელები, პოლიტპატიმრები, უმეტესი ნაწილი ფრონტის წინა ხაზზე გაიყვანეს საბრძოლველად ე. წ. ვლასოვის ბატალიონში, ნაწილი ციმბირისა და ჩრდილოეთში გადაისროლეს, მაღაროებსა და სხვადასხვა წარმოებაში სამუშაოდ. შეუპოვარი და უშიშარი უნდა ყოფილიყავი, რომ ვინმეს არ დაეჩაგრე. იქ უკვე აღარ შეიძლებოდა მოწიწება, იქ უკვე მგელი უნდა ყოფილიყავი, ძლიერი და დაუნდობელი. მგლების ხროვაში შეუძლებელია კრავად დარჩენა, თუ მგლობა არ შეგიძლია, მათი ლუკმა გახდები, ის კი არა და, მგლებიც კი, თუ რომელიმე თანამოძმეს სისუსტეს შეატყობდნენ არ პატიობდნენ, ფეხქვეშ გაიდებდნენ და გლეჯდნენ. სიმონიკა არც კრავი ყოფილა და არც სუსტი, დაბეჩავებული მგელი, რომ ასე ადვილად, ასე ჰარიჰარად შეძლებოდათ მისი ფეხქვეშ გადე-

ბა, ის ღირსებით სავსე ადამიანი იყო, ათას ჭირ-ვარამს გამოვლილი, ყოფილი კატორღელი, არც ინტელიგენტებთან და არც შავი სამყაროს წარმომადგენლებთან ეშლებოდა ლაპარაკი, მუშტის კვრაში, ვერც თვალის სისწრაფეში შეედრებოდა რომელიმე თვითმარქვია, ძველი ბიჭები. იარაღსაც კარგად ხმარობდა, წერტილში ტყვიას ტყვიაში აჯენდა. ციმბირელები თავისებური ხალხია, სიმონიკა ყოველთვის ეძიებდა საერთო ენა გამოენახა, ბევრი საერთო თვისება აკავშირებდა მათთან, მოუდრეკლობა, სამართლიანობა და მოყვასის გატანა. მალე ყველაფერი დალაგდა, თავ-თავისი გზით წარიმართა, სიმონიკამ საპატიო სახელი მოიპოვა. შეძლო გავლენა მოეხდინა კოლეგებზე. მხარდამჭერებიც მრავლად აღმოაჩნდა. ისინი შორს იყვნენ ვინმეს დაჩაგვრისა, არც თავად ვინმე შარახვეტიების დაუწერელ კანონებს ემორჩილებოდნენ „სპრავედლივი გრუზინი“ შეარქვეს, ანგარიშს უწევდნენ, როგორც ძლიერ გავლენიან პიროვნებას. უხმაუროდ მიჰყვებოდა მდინარებას, თუმცა, საწინააღმდეგო მხარეზეც უწევდა ცურვა. ასეთი ადამიანები ჩვეულებრივისგან, სულის სიძლიერით გამოირჩევიან. ყველას როდი შესწევს უნარი, ეკუთვნოდეს მათ რიცხვს...

კომუნისტების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ყოფა-ცხოვრებაში, დაუწერელი კანონი შემოვიდა მოქმედებაში. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა არმიასა და საპატიმროებში, თუ უფროსი, ხელმძღვანელი პირი, შეგამჩნევდა მის მიერ ნაბრძანები საქმის კეთება, არც თუ ისე გსიამოვნებდა, ყველაფერს იღონებდა, იმდენს იზამდა, იმ საქმისთვის არ მოეშორებინე. სიმონიკამ დროზე აუღო ალღო უფროსების უცნაურ მოთხოვნებს, ამიტომ მიცემულ დავალებებს ყოველგვარი ზიზღის გარეშე ასრულებდა, მშვიდად და ღირსეულად ეჭირა თავი, ითმენდა, სიფიცხეს იოკებდა. ზოგს ვაჟკაცობად არ მიაჩნდა, თავშეკავება და ნერვების მოთოკვა, პირიქით, ვაჟკაცობა მოთმინებითა და მიმტევებლობით ფასდებოდა და ფასობს დღესაც. ჩვენი წინაპრები კეთილსინდისიერი, სიტყვის კაცები გახლდნენ, სიტყვის გატეხვას, თავის გატეხას ამჯობინებდნენ. თუმცა, თანამედროვე ცხოვრებამ სულ სხვა გზით წარმართა ჩვენი გონება. რევოლუციამ ყველაფერს გადაუარა. ადამიანები გულცივები, უტიფრები და გაუტანელნი გახდნენ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ნაწილი მაინც შემორჩა იმ ღირსებების მატარებელი, რაც ოდითგანვე გაგვაჩნდა... ძველი ქართველები ამაყნი იყვნენ, მაგრამ არასოდეს თავის თავს სხვაზე მაღლა არ აყენებდნენ, არც ირონიულად ვინმეს უყურებდნენ, სხვებისგანაც ამას მოითხოვდნენ, ვერ იტანდნენ ისეთებს, რომლებიც ქედმაღლურად, თავაწეულები დაეხეტებოდნენ, ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. თუ ვინმეს რაიმე ნიჭი გამოაყოლა გამჩენმა, გადაჭარბებულად ნუ

ვაქებთ, ღმერთს ნუ ვუტოლებთ, არ შეიძლება სამყაროს გამგებელს, ჩვეულებრივი მოკვდავი, ვინმე გავუტოლოთ, ამით ხელს ვუწყობთ წარჩინებულ ადამიანთა გაუკუღმართებასა და გამედიდურებას. ნიჭიერი ადამიანი საამაყო და დასაფასებელია, მაგრამ გაცილებით უკეთესია, თავად არ იამაყოს მიღწეული წარმატებებით.

მწიგნობარი ადამიანი არასოდეს ამცდარა ამ ჩარჩოებს, განათლებული, თავმდაბალი, კაცთმოყვარე და მადლიერების გრძნობებითაა აღსავსე, რადგან განათლება ეს ღვთიური სინათლის გადმოსვლაა ადამიანში, ყოველთვის გაუნათლებელი დააბიჯებს ამაყად, თავისი თავი სხვებზე უკეთესი ჰგონია, გოგრასავით გასიებული თავი შურით, მზაკვრული ფიქრებით აქვს სავსე, სულ იმის მცდელობაშია ვის რაში მოატყუოს, დიდი კაპიტალი რომ დააგროვოს, რადგან ზემოდან დაუწყოს ხალხს ყურება.

იმ უკაცრიელ შორეულ მხარეში ზამთრობით ძალიან ციოდა. ყინვა 50 გრადუსს ცილდებოდა. ზამთარში ფეხზე ირმის ტყავისგან შეკერილი „უნტები“ ეცვა. ტანზე ლაიკა ძაღლების ბეწვეულის ჯუბა. ხშირად უწევდა სიარული მარხილით, რომელშიც ძაღლები იყვნენ შებმულნი. რა არ ხდება მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრებაში, ვინ იფიქრებდა, მზიურ საქართველოში დაბადებულს ბედი თუ ასე შორს გადაისვრიდა. „სადაურსა სად წაიყვანო“, ტყუილად როდი უთქვამს იმ დალოცვილ რუსთაველს. პირველი მსოფლიო ომის დროს ოდესის კადეტთა კორპუსის კურსანტი იყო. 1924 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, გადაასახლეს სოლოვკის სიკვდილმისჯილთა კუნძულზე, არხანგელსკის ოლქში, როგორც თეთრგვარდიელი და როგორც სამშობლოს თავისუფლების მოპოვებისათვის მებრძოლს, სამშობლოს ღალატში დადეს ბრალი. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას, როგორც არასაიმედო პიროვნება გააციმბირეს და ექვს წელიწადზე მეტი ამყოფეს იმ საშინელ და უკაცრიელ მხარეში. მწარე ხვედრი არგუნა ბედმა, ნახევრად ცხოვრება გამოვლილ კაცს თვრამეტი წელი ციხეებსა და გადასახლებებში ჰქონდა გატარებული. არ დააცალეს ცოლისთვის და ქალიშვილითვის ქმრობა და მამობა გაეწია. არ დააცალეს გვერდში იმედად ჰყოლოდათ კატუშასა და ლილის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მოახერხა ლილისთვის ბევრი კარგი რამე ესწავლებინა. განა მარტო ლილისთვის? აგრეთვე მომავალი სახელოვანი მოფარიკავეები აღეზარდა, როგორებიც იყვნენ არჩილ გოგელია და მისი ძმა გიორგი. ბავშვობიდან იტაცებდა ხმალი, საამისოდ ბუნებამაც შეუწყო ხელი, თვალის სისწრაფე გამოაყოლა და არაჩვეულებრივი მოქნილი ტანი, წარმატებით დაეუფლა სამხედრო განათლებას, ბრძოლებშიდაც მიიღო მონაწილეობა, ცოტა ხნით მოასწრო და ერთგუ-

ლად ემსახურა ბედკრულ საქართველოს, — თავის სამშობლოს. ერთი ოცნება დარჩა აუსრულებელი — ექიმი უნდოდა გამოსულიყო. ვეღარ მოასწრო. გული წყდებოდა, იმ საშინელმა მოვლენებმა შეუშალა ხელი რაც საქართველოსა და თავად თავს დაატყდა.

ომი დამთავრდა, მოუთმენლად ელოდა ცუცუნა, თვალი ამოუღამდა, მზერა ორშარისკენ ჰქონდა მიპყრობილი, თუ ვინმეს განსხვავებულად ჩაცმულ კაცს მოჰკრავდა თვალს სოფლის შარაზე, „ჩემი სიმონიკა ხომ არ მოდისო“. — წაიჩურჩულებდა, ტანში გააჟრჟოლებდა და პირჯვარს გადაიწერდა. დედობრივი სიყვარული ძალზე მგრძნობიარეა, მიუხედავად იმისა, რომ მარტოობას იყო შეჩვეული, მოლოდინისგან ვერ გათიშა. ცხოვრებამ როგორც არ უნდა დააცალკევოს ისინი, დედის გულიდან მაინც შეუძლებელია აღმოიფხვრას დედა-შვილური გრძნობა. ცუცუნამ საკუთარი ყურით მოისმინა, სოფლის ცენტრში, საბჭოს შენობასთან ბოძზე ჩამოკიდებულ რადიოს ყუთიდან ომის დამთავრების ამბავი. ხალხის „ვაშას“ შეძახილები. ისევ ჩამოცვივდათ ცრემლები, ვის სიხარულის, ზოგს სინანულის, მაგრამ ლევიტანის მჭექარე ხმამ, გამარჯვებული ხალხის გაბრწყინებულმა სახეებმა, იმედის ნაპერწკალი გაუღვივა გულში. სოფელი ზეიმობდა, სიმონიკა არ ჩანდა. ბევრი რამ შეიცვალა მისი გადასახლების პერიოდში, ლილიმ და შოთამ თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრეს და დაქორწინდნენ. შოთამ რეზო ჩხეიძესთან ერთად სწავლა განაგრძო მოსკოვში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ერთი წელი ცხოვრება ქირით მოუწიათ. ერთი წლის შემდეგ, ლილი თბილისში დაბრუნდა და ვაჟი, პატარა თემური შეეძინა. შოთა საერთო საცხოვრებელში დაბრუნდა, რეზოსთან გვერდით უინტერესო არასოდეს ყოფილა ცხოვრება. შოთას ყოველთვის სჯეროდა მისი. ისინი ხელოვნებამ დაახლოვა და ხელოვნებამ კიდევ ისეთი სიახლოვე და მეგობრობა იცის, მისკენ მიმართული ადამიანები ისეთი გულთბილები და სპეტაკი სულის პატრონები არიან, ერთმანეთისგან ვეღარაფერი აშორებთ სიკვდილის გარდა. ლილი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი გახდა. სპექტაკლ „მედეაში“ მოუწია თამაში ვერიკო ანჯაფარიძესთან ერთად. მიმზიდველი გარეგნობის ქალი იყო, სცენაზე გამოსვლისას უხდებოდა გამოკვეთილი ხმელი ტანი და საგანგებოდ გამოძერწილი მაღალი წვივები.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა სიმონიკამ ჩამოაღწია თუ არა მოსკოვამდე, გადაწყვიტა პირველ რიგში თავისი სიძე შოთა ქარუხნიშვილი მოენახულებინა. შოთა იმ დროს ცოლ-შვილის გარეშე იმყოფებოდა, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. გაკვირვებული დარჩა, რაც მამა გახდა, დაუსრულებლად უკვირდა და გაუსაძლისად ეჩვენებოდა პატარა ჩვილის გარეშე ცხოვრება. წერილს წერილზე აგზავნი-

და, ლილის თხოვდა მალე დაბრუნებულიყო მოსკოვში. სიმონიკა და შოთა მხოლოდ წერილებითა და სურათებით იცნობდნენ ერთმანეთს, პირველ რიგში, რაც სიმამრთან შეხვედრისას შოთას მოხვდა თვალში, სიმონიკას სპორტული აღნაგობის ტანი და არისტოკრატიული შეხედულება იყო. სუფთად გამოწკეპილად ეცვა, ვის მოუვიდოდა აზრად, თუ ასეთი ღვთიური სხივით შემოსილი კაცი, გადასახლებიდან ბრუნდებოდა. იანვარი ახალი დამდგარი იყო, გვარიანად ციოდა საბჭოეთის დედაქალაქში, მაგრამ როგორც რუსებს უყვარდათ თქმა, ციმბირთან შედარებით ტაშკენტი იყო მოსკოვი. სიმონიკა გამართულად და სუფთად ლაპარაკობდა რუსულად, გარდა რუსულისა, ჩინებულად ფლობდა ფრანგულ ენასაც. კარგად ერკვეოდა ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიაში, ისტორიასა და ლიტერატურაში.

გულთბილი შეხვედრა შედგა, საუბარი ხელოვნებაზე წარიმართა. ახალგაზრდებს საკუთარი ხედვები და ინტერესები ამოძრავებდათ, მაგრამ დიდად საინტერესო აღმოჩნდა დისკუსია. თითოეული მათგანი საკუთარ შეხედულებას არ თმობდა, სიმონიკას ესმოდა, რომ კამათში იბადებოდა ჭეშმარიტება. შოთამ და რეზომ სუფრა გაუშალეს, ქართული პურ-მარილითა და ღვინით გაუმასპინძლდნენ. სულ სხვა კაცად ჰყავდათ წარმოდგენილი, გამგელებული მადის მქონედ, რომელსაც აღარც მორიდება ნორმა და აღარც ექნებოდა. საჭმელისადმი მოთხოვნა ისე ღრმად ექნებოდა გამჯდარი, რომ აღარაფერს მოერიდებოდა, ცარიელი კუჭის ამოსავსებად. მწარედ შეცდნენ, მათ წინაშე იჯდა საოცრად სულგრძელი და მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანი, რომელიც ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი არ აკლდა, თითქოს ახალი ამდგარი ყოფილიყოს წვეულების მაგიდიდან. ყოველ ლუკმას ისე აუჩქარებლად, ისე ფაქიზად და უხმაუროდ ღეჭდა, როგორც მაღალი დონის საზოგადოებაშია მიღებული. მამაკაცური, ძლიერი სულის მქონეს, ღვინის სმაშიდაც გახლდათ ჩვეულებრივი და თავშეკავებული. აკვირდებოდა შოთა ქათქათა ფრჩხილებზე, თითქოს კატორღიდან კი არა აგარაკიდან ბრუნდებოდა, ისე საგულდაგულოდ ჰქონდა დასუფთავებული. იგი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საკუთარი თავის მოვლას, ყოველთვის ცდილობდა ელეგანტურობა შეენარჩუნებინა. ტანზე კოხტად მორგებული სამოსით დაიარებოდა.

„მე რომ შემეძლოს და იმდენი საშუალება მქონდეს, სწორედ ასეთ ადამიანზე გადავიღებდი ფილმს, — გაიფიქრა რეზომ, მაყურებელს დავანახვებდი სამართლიანობისთვის მებრძოლ, მტკიცე ხასიათის მქონე გმირს, რომელმაც ჯოჯოხეთის გზა გამოიარა, თვრამეტი წელი ტანჯვასა და შიმშილში გაატარა და ისევ ძველებურად მოუდრეკი აპირებს ურჩხულთან შერკინებას. მე მაყურებელს დავანახებდი

ჩაუკვლელი სულის სიმტკიცეს, რომ დამარცხებას მიჰყავს კაცი სრულ გამარჯვებამდე!..“

სიმონიკა საქართველოსკენ მოისწრაფოდა, ტყუილად როდი უყვარდა ღვთისმშობლის წილი ქვეყანა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ერთი ბეწო მიწის ნაგლეჯი, გულის ჯიბიდან ცხვირსახოცში გახვეული მიწა ამოიღო ეამბორა, სიამოვნებდა, მალამოდ ედებოდა გულთან მისი სიახლოვე. უფალს დახმარება თხოვა საქართველო გადამირჩინეო. მომავლის იმედით დაემშვიდობა სიძესა და რეზოს და თბილისის მატარებლის ვაგონში შეაბიჯა. ერთი კვირა დაჭირდა მგზავრობას. კატუშამ და ლილიმ სითბო არ დააკლეს, ისე როგორც შეეფერებოდათ როგორც მეუღლესა და ქალიშვილს მზრუნველი ხელი გაუწოდეს, მაგრამ პატარა თემურმა ყველა მოვლენებს გადააჭარბა. შვილიშვილმა ტანჯვა-ტკივილი სიხარულით შეუცვალა, გარეგნულადაც და შინაგანადაც აშკარად დაეტყო კმაყოფილების კვალი. სიხარულით მიიღო თბილისმა, განსაკუთრებით სპორტის საზოგადოება აღფრთოვანდა. სიმონიკა საჭირო კაცად მიაჩნდათ, სამსახური შესთავაზეს ფიზკულტურულ ინსტიტუტში მთავარ მწვრთნელად, როგორც მიმდგომ და ტაქტიან პედაგოგს. რომელი საღად მოაზროვნე ორგანიზატორი არ გამოიყენებდა თავის ცოდნასა და პროფესიონალიზმს, რათა აღეზარდა ურყევი ხასიათის სპორტსმენები. ის დიდი ტალანტის მქონე პედაგოგი გახლდათ, რას არ მოიფიქრებდა, რომ ნორჩებისთვის, ფარიკაობის რთული ილეთები შეესწავლებინა, სულ თამაშ-თამაშით ასრულებინებდა ცრუ მოძრაობებს. უნვითარებდა თვალების სისწრაფეს. არ გაუმართლა, ისევ უმტყუნა ბედის ბორბალმა, გადასახლებიდან დაბრუნებულს, თბილისში ცხოვრების ნება არ დართეს. უარი უთხრეს ენთუზიაზმით აღვსებულ კაცს, რომელიც საკუთარი კეთილდღეობისთვის კი არ ირჯებოდა, არამედ სამშობლოს ინტერესებისთვის, რომ მეტი სახელოვანი ქართველი მუშკეტიორი აღეზარდა. მთავრობას რომ მიეტევებინა, სიკეთე გაეცა, დედაქალაქი და საქართველოც ხომ გაცილებით მეტ სიკეთეს მიიღებდნენ მისგან. იმჟამინდელ მთავრობას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ციხეგამოვლილ პიროვნებებზე, რატომღაც თვლიდნენ, ნასამართლევი, საკანში მჯდომარე ადამიანები მხოლოდ შავ-ბნელი საქმეებისთვის იყვნენ გაჩენილი... მათ ფიქრადაც არ მოდიოდათ, რომ ციხეები ზოგჯერ უნივერსიტეტივითაა, ბევრი კარგის შეძენა იქაც შეიძლება!..

რაღაც უნდა ეღონა, მას ხომ გაჭირვების ჟამს შეეძლო გამოუვალ მდგომარეობიდან თავის დახსნა. გული არ გაუტეხავს, ფარ-ხმალი არ დაუყრია, ცხოვრება ბრძოლას მოითხოვდა, რატომღაც პოლკოვნიკი ცაგურია წარმოუდგა თვალწინ, ემიგრაციაში რომ თხოვდა გაყოლას,

პირველად მაშინ მოუწია საკუთარ თავთან შებრძოლება და უარი განუცხადა, რომ დათანხმებოდა. იქნებ, აღარ მოეწია ამდენ ტანჯვას, რაც თავს გადახდა. მაგრამ, არა! თავს ბედნიერად თვლიდა, რომ სამშობლოს მიწაზე მიჯაჭვულმა, ვერ შეძლო ჯაჭვის გაწყვეტა. და უცხო ქვეყანაში გაქცევა. ამოიხვნეშა, მეხსიერებაში ბიძაშვილის პავლეს სახე ამოუტივტივდა, სწორედ ისეთი შეხვედრისას რომ იცოდა. მისმა სახემ წარსულში დააბრუნა, ბათუმიდან მობრუნებულს თბილისში რომ შეხვდა, სანამ გადაასახლებდნენ ეს იყო მათი ბოლო შეხვედრა. შემდეგ, თორმეტი წლის იზოლირების შემდეგ, რამოდენიმეჯერ მოინახულა, სარეცელს მიჯაჭვული, მძიმედ ავადმყოფი. გასაოცარი ადამიანი იყო პავლე თავისი მტკიცე ხასიათით. გული წყდებოდა ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე ასე ტრაგიკულად რომ შეწყდა, მაგრამ ეამაყებოდა ღმერთმა მასავით მტკიცე ხასიათი რომ გამოაყოლა, საქართველოს სამანს რომ ვერ გადააბიჯა. ეამაყებოდა, რომ საყვარელიძეებს ტრადიციად ჰქონდათ გადაქცეული სამშობლოს დაუოკებელი სიყვარული...

რაღაც ახალი გზა უნდა გამოენახა, სევდიანი თვალებით ზეცაში იყურებოდა, მამაზეციერს ევედრებოდა, იმდენი ძალა მიეცა, რომ შეძლებოდა ძნელი განსაცდელისთვის გაეძლო, მომავალი ცხოვრება აქტიურად და ნაყოფიერად წარმართვოდა. აქედან გამომდინარე, ერთი გამოსავალი რჩებოდა, სოფელში უნდა დაბრუნებულიყო, მშობლიურ ზესტაფონში ეცადა ბედი, გამჭვარტლული, ფეროს კვამლით გაჟღენთილი ჰაერი ეყლაპა, განეხორციელებინა თავისი გეგმები, რომ ჩანაფიქრი საქმედ ექცია, წინ დიდი მუშაობა ელოდა. ბევრჯერ გამარჯვება მოუწევდა, ბევრჯერ დამარცხებაც უნდა ეწვნია, უნდა აეტანა ის, რისი ატანაც ყველას არ შეეძლო. კატიუშასთან ხელი ჰქონდა გაწერილი, ჯერ კიდევ ადრინდელი დაპატიმრების დროს მოხდა მათი განქორწინება. სიმონიკა შიშობდა, თუმცა, არც კატუშა იმყოფებოდა უკეთეს დღეში. ხიფათისგან თავი რომ დაეხსნათ, ერთმანეთს გაშორდნენ, ხელი გააწერეს, თორემ, მოსალოდნელი იყო კატუშა გადაესახლებინათ ქალიშვილთან ერთად, სოლოვკის სიკვდილმისჯილთა კუნძულზე, რაც შეიძლება სიკვდილით დასრულებულიყო. ცოტა უხერხულად ეჩვენებოდა ასეთი უწესო საქციელი, მაგრამ თავისა და შვილის გადარჩენის მიზნით, სხვა გამოსავალი არ არსებობდა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ხელი აღარ მოუწერიათ, კიდევაც რომ მოუწერათ არც არაფერი შეიცვლებოდა, თბილისში მაინც არ დართავდნენ ცხოვრების უფლებას, კატუშას სოფელში რომ გაჰყოლოდა ამის საშუალება არ ჰქონდა. ლილისა და პატარა შვილიშვილს ბედის ანაბარა ხომ არ დატოვებდა. იმ შემთხვევაში შოთა რომ გვერდით ჰყოლებოდა, წავიდოდა რისკზე... არც იმდენი თანხა არ გააჩნდათ, თბილისის

ახლო-მახლო სახლი ეყიდათ. გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვერ იქნა და ვერ გადალახა წინააღმდეგობის ზღვარი. ფაქტობრივად, ცოლ-შვილს უნდა გაშორებოდა, მარტოდ უნდა ეცხოვრა, ჭაღარა დედასთან ერთად. ასეთი დარტყმა გადასახლებაზე უფრო ძლიერი იყო. იდგა ჩუმად და ხმაამოუღებლად, ქუჩაში მიმავალ ხალხის ნაკადს მიჩერებოდა. გულს უბოჭავდა ახალი ცხოვრების შეგუების უნარი. ყველაფერი სიახლის დაწყება, შეგუებულს გაშორებს, მიუჩვეველს გაჩევვს. ასეთი ნაბიჯის გადადგმა ძალიან ეხამუშებათ ადამიანებს. მაგრამ, როდესაც ცხოვრება გაიძულებს უნდა დამორჩილდე... ვითარება სასიკეთოდ აღარ შემობრუნებულა, სიმონიკამ ზესტაფონს მიაშურა, თუმცა დიდი იყო გულისტკივილი, მაგრამ მაინც იმედოვნებდა, ყველაფერი დალაგდებოდა, თავ-თავის კალაპოტში ჩადგებოდა.

თბილად მიიღო მამაპაპისეულმა სახლმა, სადაც საყვარელიძეების უკვდავი სული ტრიალებდა. ზამთარში თაღოვან ბუხრებთან ჯდომას, ზაფხულობით საუკუნოვანი მუხების წვეროებზე შემომჯდარი ფრინველთა ორკესტრის მოსმენას, რა შეედრებოდა. დედის გვერდითა ოთახში მოიწყო საძინებელი, რკინის ჩუქურთმებიანი საწოლი, პატარა მაგიდა. ძველებური, ბზისგან დამზადებული ტანსაცმლის კარადა, ორი სკამი. ქვიშის საათი, წიგნების თარო, კალენდარი და საფარიკაო საბრძოლო იარაღები კედელთან ეწყო. კუთხეში ბუხარი გიზგიზებდა, კარდალაზე თუჯის ქვაბი ეკიდა, ქვაბში წყალი თუხთუხებდა, ჩაის დასალევი წყალი. ბუხრის თაროზე მუცელგამობერილი ლამფები ელაგა, ცუცუნას ოთახში ნინასა და მშვენიერი თამარის სურათები ეკიდა. ჩვეული ღიმილით იღიმებოდნენ, მათ მზერაში სიხარული და სინანული ერთროულად გამოსჭვიოდა, თავიანთი უსიხარულო, ხანმოკლე ცხოვრებით, იმდენი შეძლეს, პატარა კვალი დატოვეს ხელოვნებაში. სიმონიკა სიბრალულით მოიხსენიებდა დებს, „როგორი ულმობელი ბედი გარგუნათ წუთისოფელმაო, ნიჭი გიბოძათ, დღეგრძელობა კი არა. არ გაგიმართლათ, ბოლომდე ვერ განიხარჯეთ, ცოტა მაინც მოასწარით, იმ ცოტაზედაც მადლობა თქვენ!“

სწორედ სიმონიკას ჩამოსვლას დამთხვევია მამაჩემის ჩამოსვლა საქარაში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მამაჩემს თავისი ნებით დაუტოვებია თბილისი და საცხოვრებლად სოფელში გადმოსახლებულა. სწორედ ეს მაშინ მომხდარა, როდესაც ომში დაჭრილი კანტუზიით დაავადებული სამხედრო სამსახურიდან დაუთხოვიათ. მამა მაიორი იყო წოდებით, ომიდ დაწყებამდე თბილისში ცხოვრობდა და ქართულ ჯარში მსახურობდა. ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორიდან იყო წარმოშობით, ჩვენი შტო ბაქრაძეების სწორედ ამ სოფლიდან მოდის და მათ შორისაა ჩვენი სისხლი და ხორცი, ყოფილი პარტიზანი, საბჭოთა

კავშირის გმირი დათიკო ბაქრაძეც. საქარა არ ყოფილა უცხო სოფელი მამაჩემისთვის, პირველი მეუღლე ჩხეიძის ქალი ჰყავდა საქარელი, დედისერთა, შეუღლდნენ თუ არა, თბილისში დასახლდნენ. საქარაში მხოლოდ მარტოხელა ქვრივი, სიმამრი ცხოვრობდა, სოფელს დიდი ტერიტორია უჭირავს, ჩხეიძეების უბანი სოფლის დასასრულშია, ზესტაფონიდან ხუთი-ექვსი კილომეტრითაა დაშორებული. ხუთი შვილი შეეძინა, ომი დაიწყო და მეუღლეც გარდაცვლია, მშობიარობას გადაყოლია, სისხლი მოწამვლია. უპატრონოდ დარჩენილმა შვილებმა ბაბუას ჩამოაკითხეს სოფელში. ყველაზე უმცროსი, ახალშობილი ამირანი, მამიდაჩემს უშვილებია. მამიდაჩემი ხარაგაულის რაიონის სოფელ ღუდემექეთში იყო გათხოვილი გიორგი მეიფარიანზე. შვილი არ ჰყავდა, უსარგებლია შემთხვევით, ძმიშვილი წამოიყვანა აღზარდა, გვარიც შეუცვალა და მამის სახელიც, მეიფარიანის გვარზე გადაწერა. სოფელში დაბრუნებული მამაჩემი ამავე საქარის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დანიშნეს. რაღაც მიზეზ-მიზეზთა გამო თბილისში ბინები დაკარგა, მე აღარ დავიწყებ იმ მიზეზების აღწერას, ძალიან შორს წაგვიყვანს ის ამბავი, უბრალოდ, არ გაუმართლდა, მეუღლის უდროოდ გარდაცვალებამ აურია აწყობილი ცხოვრება. საქარაში ჩამოსული სიმამრის სახლს შეკედლებულმა დედაჩემი გაიცნო და შეირთო, შემდეგ საყვარელიძეების მეზობლად აიღო სამოსახლო და იქვე დასახლდა. ორმოცდაშვიდი წელს მიღწეულმა ნულიდან დაიწყო ყველაფერი. ბუნებით კეთილი კაცი იყო, არ უყვარდა მომხდარზე წუწუნი და ჯავრი, „მოსახდენი მაინც მოხდება, თუ ადამიანს შეუძლია ბედნიერებასთან შეგუება, უბედურებაც ამასვე მოითხოვსო, ჯავრითა და წუწუნით ვეღარაფერს უშველი, მხოლოდ საკუთარ თავს ჩაიგდებ საფრთხეშიო“, — ასე გვარიგებდა. ის ყოველთვის მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული, ცოტაზედაც ღმერთს მადლობას სწირავდა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიული მუშაკი გახლდათ, ძეგვის აღმასკომის თავმჯდომარედ და საგარეჯოს რაიკომში იყო ნამუშევარი, ათეისტი არ ყოფილა, ღმერთის მორწმუნე, მართლმადიდებელი იყო. ადვილად შეეძლო გამოენახა საერთო ენა იყო, მწიგნობარი, იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული, კარგი მოსაუბრე გახლდათ. სიპატიოსნე და წესიერება გენებში ისე ჰქონდა გამჯდარი, შვილებში არ არჩევდნენ ცაბუა და ცუცუნა. საყვარელიძეებთან სიახლოვე ღმერთიდან ჰქონებია ნაბოძები, ბავშვობიდან მოსდევდა მათთან ერთად გატარებული წლები. დეიდამისი ესმა წერეთელი, ჭილოვნელ სოლომონ საყვარელიძეზე ყოფილა გათხოვილი (ჭიათურის რაიონი), დეიდაშვილები საყვარელიძეები ჰყავდა.

ოთხ ვაჟს გვზრდიდა მამაჩემი, ოთხი უმწეო შვილის გაზრდა არც

ისე ადვილი საქმე იყო, მართალია გვიჭირდა, ხელმოკლედ ვცხოვრობდით, მაგრამ სულით მაინც არ ეცემოდა, თავს არ ზოგავდა, გააშენა ვენახი, მოჰყავდა სიმინდი, ლობიო, სოიო, მოიშენა ქათმები, დიდი მეურნე კაცი არ ყოფილა, მთელი თავისი ახალგაზრდობა თბილისში ჰქონდა გატარებული. მაგრამ დედაჩემის ერთგულებით ყველაფერს თავს ართმევდა. დედაჩემი მშრომელი და ბევრად ახალგაზრდა იყო მამაჩემზე. სოფელში ჩვენი გვარის სხვა მოსახლე არავინ ყოფილა, მაგრამ მეზობლები ამას არ გვაგრძნობინებდნენ, გვერდში გვედგნენ, ყველაზე მეტად საყვარელიძეები, თითოეულმა მათგანმა განსაკუთრებული როლი ითამაშეს ჩვენს აღზრდაში. ბავშვობიდან გვინერგავდნენ უხამსი საქციელი არ ჩაგვედინა, უფროსებისთვის პატივი მიგვეგო, ჩვენზე სუსტი არ დაგვეჩაგრა და არაფერი მოგვეპარა. დედამამის მხრიდან ბებია-ბაბუები ჩვენ არ გვახსოვდა, ჩვენ დაბადებამდე დახოცილან. ბებიობას ცაბუა და ცუცუნა გვიწევდნენ, სიყვარულსა და მზრუნველობას არ გვაკლებდნენ. ცაბუა კამფეტებითა და მურაბით გვიმასპინძლდებოდა. არ ვიცი, არ შემიძლია იმისი თქმა, რას ხედავდნენ ისინი ჩვენში ისეთს, განა მარტო ცაბუა და ცუცუნა, არამედ ყველა, თითოეული მათგანი, ახალგაზრდებიცა და ძველგაზრდებიც დიდი სიყვარულით გვექცეოდნენ. თვალში რომ ჩავვარდნოდით, ხელს არ ამოისვამდნენ. სისხლით ნათესავები არ ვყოფილვართ, მაგრამ უფრო ახლოს მათთან ვიყავით. არცერთ ახლო ნათესავზე ნაკლები სიკეთე იმ ხალხს ჩვენთვის არ გაუკეთებია, ახლაც კარგად მახსოვს, პატარა ვიყავი მაშინ, როგორი კეთილები, საოცრად თბილები, ერთმანეთზე უკეთესები, ღვთისმოსავი ხალხი, ზეცაში ღვთისაკენ მიისწრაფვოდნენ.

სწორედ ეს თვისება ასხვაფერებდა და გამოარჩევდა მათ ყველა დანარჩენი ადამიანებისგან... კიდევ ერთხელ ხაზს ვუსმევ ნიჭიერი ხელოვანები იყვნენ, ბევრი მათგანის სიცოცხლე ტრაგიკულად დამთავრდა. არ დაცალდათ უფრო გახმაურებულიყო მათი სახელი, უფრო ნათლად დაენახათ მათი შესაძლებლობა. ის მცირე მონაკვეთი რისი გავლაც ამ განსხვავებულმა ადამიანებმა მოასწრეს, მხოლოდ ელვის ცაზე გაელვარებას მიაგავდა. მაგრამ იმ ერთ გაელვარებაშიც დაანახეს ხალხს საინტერესო და თავი დაამაახსოვრეს. მამაჩემი კეთილ კაცად მიაჩნდათ, ეჭვი არ შეპარვიათ მის პატიოსნებაში, ოჯახის წევრივით მიიღეს, სულითა და გულით გაუწვდინეს დახმარების ხელი. იმ დღიდან მოყოლებული ასე დაიწყო ჩვენი დაახლოება. წავიდნენ ჩვენი მშობლები, ის უფროსი თაობა, მაგრამ ის სიახლოვე დღემდე გრძელდება, ვიმედოვნებ, თუ ამ წიგნს ეღირსა სინათლეზე გამოსვლა, უფრო გამყარდება ჩვენი მომავალი ურთიერთობა...

36

ომის დამთავრების შემდეგ, 1947 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ტარდებოდა ბავშვთა თვითშემოქმედებითი სარაიონო მეორე ოლიმპიადა, სადაც დები საყვარელიძეები ცისანა და მარიკა იღებდნენ მონაწილეობას. ამაღლებული და ნეტარი წუთები იდგა დებისთვის, ისინი პირველად გამოდიოდნენ ასეთ დიდმასშტაბიან ხალხით გადაჭედილ დარბაზში, გულს ძლივს იჭერდნენ საგულეში. მადლიერების თვალებით მიჩერებოდნენ კულისებში მყოფ ახლობლებს დედას, დეიდებს, ბიძაშვილ-მამიდაშვილებს. ვის არ შეხვდებოდით იქ მთავრობიდან დაწყებული რიგით მოქალაქემდე. მრავლად ჰყავდათ გულშემატკივარი, მთელი ქალაქი იცნობდა საყვარელიძეებსა და მიქელაძეებს. როგორც ხელოვანთა ოჯახებს. დარბაზში სიმშვიდემ დაისადგურა, როცა გიტარის სიმებმა და დების აჟღერებულმა ხმამ მაყურებლის ყურამდე მიაღწია, სხვას ვის ძალუძდა ისე მოეხიბლა მაყურებელი, პატარა გაფაჩუნებაც კი არ გამოპარვოდათ. არც უკვირდათ, ისეთი ცნობილი, ნიჭიერი ადამიანების შთამომავლები იყვნენ, სხვანარად არც შეიძლება მომხდარიყო. ქების სიგელები და ფასიანი საჩუქრები დაიმსახურეს დებმა, მაგრამ ეს არ ყოფილა მთავარი, მთავარი სახელის მოხვეჭა იყო. მქუხარე ტაში, მაყურებლის მადლიერება დაიმსახურეს და ეს ახარებდათ ყველაზე მეტად! ასე თუ ისე, მოახერხეს და შეძლეს საკუთარი „მე“-ს აღმოჩენა. მარიკამ კი გასაოცარი სილამაზით, მოხდენილი ტანითა და მომხიბლავი ღიმილით მოაჯადოვა დარბაზი.

ოლიმპიადაში მონაწილეობა არ მიუღია ივიკოს, ის ბევრად უმცროსი იყო დებზე, მაგრამ განგებამ არც მას დაწყვიტა გული. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ზესტაფონიდან თამარს მატარებლით მოჰყავდა, გზაში მოხდა სასწაული, მეზობელ კუთხეში სუფრა ჰქონდათ გაშლილი და შეზარხოშებული, ყარაჩოღელი ბიძები, დაბალ ხმაზე ღიღინებდნენ, გაიგონა თუ არა ივიკომ ნაცნობი მელოდიები აჰყვა. ისე ლამაზად გამოუვიდა ნამღერი, ერთ-ერთმა მათგანმა, თამარს თხოვნით მიმართა პატარა ცოტა ხნით „ეთხოვებინა“. თბილისამდე სიმღერა სიმღერას ენაცვლებოდა, დაშორებისას იმ უცნობმა ძიამ მაჯიდან საათი შეიხსნა და ივიკოს უსახსოვრა. ასე შედგა ის დაუვიწყარი, უცნაური დებიუტი. იმ დღიდან მოყოლებული, ხელიდან გიტარა აღარ გაუშვია, მღერის და მხოლოდ მღერის.

მოკლე ხანში საყვარელიძეების ოჯახს ლაგოდეხიდან კვლავ თბილისში მოუწიათ გადასახლება. თავი და თავი ისევ დათიკოს სამსახურებრივი მოთხოვნა გახდა, დათიკო მარნეულის თამბაქოს მეურნეობის დირექტორად გადაიყვანეს. უცნაური სასოწარკვეთილება

დაეუფლათ, ყელში ამოუვიდათ ბოშური ცხოვრება, ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა, მაგრამ ამჟამად ფრიად სასიამოვნო კვლავ თბილისური საღამოები, იუმორი და სიმღერა, კვლავ ძველ მეგობრებთან შეხვედრები იწყებოდა. თუმცა, არც შეჩვეული ადგილ-სამყოფელის დატოვება აღმოჩნდა ისე ადვილი. დედაქალაქში მოუთმენლად მოუელოდნენ, ახლო მეგობრებმა „მგალობელ ოჯახად“ აღიარეს. ასე გავრცელდა და მოედო მთელ ქალაქს. ნიჭიერებამ მრავალი მეგობრები შეძინათ. ყოველდღე მოდიოდნენ, დიდ სიამოვნებას იწვევდა მათში გიტარის ტკბილი რიტმი, დასავლური თუ აღმოსავლური მელოდიები, რომელსაც ასე მოქნილად და ოსტატურად უკრავდა ცისანა. რამდენ მსმენელს უშხში შესულს აეკვიატებოდა ხოლმე ფერადი მუზა, წერისა და ხატვის ჟინი იპყრობდა, როდესაც იმ ხავერდოვან ხმას უსმენდა. დაილოცოს ღმერთის ძალა რომ მათ გამოაყოლა თავიანთი წინაპრების გენები. სწორედ იმ ბებია-ბაბუების წყალობით შეძლეს, რომ სიმღერა ლოცვად აქციეს და ლოცვასავით გაისმოდა მათი ხმა. „მგალობელთა ოჯახი“ იმ ოჯახების რიცხვს მიემატა, სადაც მისვლა მიუხაროდათ, შინ დაბრუნება კი ენანებოდათ. განუმეორებელ ბედნიერებას ანიჭებდნენ ახლო ადამიანებს, დიდი რუდუნებით პატიჟებდნენ მთავრობაში, სტუმრებისთვის გაშლილ სუფრებზე. დებს ივიკოც უერთდებოდა, ფაქიზი გემოვნებით სრულდებოდა სულში ჩამწვდომი ფრაზები და მაგიდასთან მსხდომნი გრძნობდნენ სიმღერისა და მუსიკის სასწაულქმედებას, იბადები და მუსიკით გხვდებიან, კვდები და მუსიკით გაცილებენ. ახსოვს ყველა პლეხანოველს, ის საერთო, როგორც თბილისში ეძახიან, იტალიური ეზოიანი, ორსართულიანი სახლი, სადაც საყვარელიძეები ცხოვრობდნენ. ახსოვთ თუ როგორ განმუხტავდა უარყოფითი ენერგიიდან, როგორ უფართოვდებოდათ თვალები, უციმციმებდათ ცრემლი, სიყვარულისა და ნოსტალგიის ცრემლი. გრძნობდნენ, როგორ ევსებოდათ სული ტკბილი და მწარე ნაღველით, როცა ცისანას ბაგედან გადმოფრენილ სევდიან სტრიქონს მოისმენდნენ. „რა ვქნა, რომ მთებზე დაუთოვია, ჯერ სიბერემდე ჯვარი მწერიაო“. როგორ შეიძლება პლეხანოვზე ისე ჩავიარო გულმა რომ რეჩხი არ მიყოს, წუთით არ შევჩერდე 82 ეზოს ჭიშკრის შესასვლელთან, წუთით თვალი არ მოვავლო იმ აივანს, ერთ დროს რომ იჯდნენ ხოლმე და მღეროდნენ... მერე ფიქრებით დამძიმებული გავუყვები ხოლმე ჩემს საყვარელ გამზირს და ყურში მეხსიერებიდან წამოტივტივებული ცისანას, მარიკასა და ივიკოს ნარნარი ხმა ჩამესმის: „შენი გული, ჩემი გული ჭირიმე“...

სურვილი იმისა, რომ პროფესიონალი მომღერლები გამხდარიყვნენ დებს არ გაჩენიათ, ვერ ეგუებოდნენ სცენას, სამაგიეროდ, ისე არ

გაიშლებოდა სუფრა ელიტარულ საზოგადოებაში, რომ არ მიეღოთ მონაწილეობა. ცისანამ უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა, ფიზ-კულტურულ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს. გერმანულს ას-წავლიდა ახალგაზრდა სტუდენტებს. მარიკა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მუშაობდა. თავისუფალ დროს სიმღერას უთმობდნენ, რადგან სხვანაირად არ შეეძლოთ ცხოვრება. დებიდან განსხვავებით, სხვანაირ ატმოსფეროში მოუწია ივიკოს ცხოვრებამ. პოლიტექნი-კურ ინსტიტუტში (დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი) გააგრძ-ელა სწავლა დაუსწრებლად, მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე. სტუდენტობის დრო ხელოვნებას მოახმარა, სცენაზე ავიდა, ჯემალ (სუხარა) სუხიშვილთან და მერაბ მახარაძესთან ერთად. ლამაზი აღნაგობის ბიჭებმა, ძალიან მოკლე დროში შეძლეს პოპულარო-ბის მოპოვება. დახვეწილი მანერით მოახერხეს შინაგანი ნაზი, ფაქ-იზი გრძნობების მიტანა მსმენელამდე. შესანიშნავი ტრიოს სახელი გაცდა საქართველოს ფარგლებს, განუზომელი სიხარული მიანიჭეს როგორც ევროპელ, ასევე აზიურ ქვეყნებს. ლეგენდარული სახელმ-წიფო მოცეკვავეთა ანსამბლის ხელმძღვანებელმა ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა გუნდში აიყვანეს ნიჭიერი ბიჭები. მათთან ერ-თად მოიარეს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და ქართული მადლიანი ხმით მოხიბლეს უცხოელები. ასე ასახელეს საკუთარი ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი, რომელსაც ალექსანდრე ტუღუში ხელმძღ-ვანელობდა. უფრო გაიზარდა ტრიოს ავტორიტეტი. მათ თავიანთ წვ-ლილი შეიტანეს ქართული ესტრადის სამყაროში, დღეს არ მეგულება და ვერც ვერავინ დამაჯერებს იმაში, რომ საქართველოში მცხოვრებ ადამიანს, ერთხელ მაინც არ გაეგონოს ის ჟრუანტელის მომგვრელი ჰანგები, რომელსაც ცისანა, მარიკა და ივიკო ასრულებენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კინოფილმებში „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „ლონდრე“, „განგაში“, „მოიტაცეს თამარ ქალი“, „უდიპლომო სასიძო“, „გამოაღე ფანჯრები“, „შეხვედრა მთაში“, რომ არ ჰქონდეთ ნახული, სადაც გაისმის საყვარელიძეებისეული სიმღერის სტილი, წარსულში რომ დაგაბრუნებს, შეშუპებულ თვალის უპეებს ცრემლით რომ და-გისველებს, ერთდროულად სიხარულსა და ტკივილს რომ მოგანიჭებს.

ხშირად სტუმრობდნენ ჯანსუღ კახიძე ჯანო ბაგრატიონი, ნანი ბრეგვაძე, ნიკო ჯადუგიშვილი, ეკა მამალაძე, მათ ფრთებგამოსხ-მულ გრძნობებსა და ლირიულ სიმშვენიერეს, რა კალამი და რა ფუნჯი გაუძლებდა ფურცელსა და ტილოზე გადასატანად. არ გადავაჭარ-ბებ და თამამად ვიტყვი, ჩემი სიჭაბუკის წლები მათ გვერდით მაქვს გატარებული. ყველაფერი ღმერთის ნებაა, ცვლილებები რომ მოეხ-დინა ჩემში, ამიტომ დამაახლოვა იმ ანგელოზ ადამიანებთან, რომ მეც

აღმძვროდა სურვილი, საკუთარ თავში ის უნარი მომეძია, რისი გაკეთებაც შემეძლო...

კარგად მიიღო დათიკო მარნეულმა, მოუდრეკი ხასიათი და საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულება, ეს იყო მისი მთავარი დევიზი. მოგეხსენებათ მარნეულის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აზერბაიჯანელები არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ მიგიღეს, თუ გიძმეს, გულგრილნი არასოდეს გახდებიან. პატივისცემით გეპყრობიან, თავიდანვე მეგობრულად განიმსჭვალნენ ახალი დირექტორის მიმართ. აფასებდნენ და ღირსეულად ედგნენ გვერდში. დღემდე ახსოვთ, განსაკუთრებულად იგონებენ იმ წარსულ დროს, „ღმერთმა ნათელში ამყოფოს იმ არაჩვეულებრივი კაცის სულიო“. — მოწიწებით ამბობდნენ. „პობედა“ გამოუყვეს, ემსახურებოდა და დაჰყავდა სამსახურში უმეტესად, ღამის გასათევად მარნეულში რჩებოდა, წარმოების ადმინისტრაციის შენობაში ორი ოთახი საცხოვრებლად ჰქონდა დაკავებული. ცოლ-შვილთან თბილისში პარასკევ საღამოთი ჩამოდიოდა, ორშაბათს დილით ისევ მიდიოდა. ქალაქში ისევ აღსდგა ძველი ტრადიციები, თუმცა, მეორე მსოფლიო ომმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მეგობრების გულებში მაინც ცოცხლობდნენ მათი სახეები. ჭიქა ღვინით ნათელში ყოფნას უსურვებდნენ მათ სულებს. კი მართალია, დათიკო სამსახურეობრივი საქმეებით იყო დაკავებული, მაგრამ არავის ჩამორჩებოდა. გარშემო მყოფ ახლო მეგობრებს კვირაში ერთხელ მაინც ხვდებოდა. სუფრაზე ერთად ოხუნჯობდნენ, მღეროდნენ და ბჭობდნენ სხვადასხვა საკითხებზე. მათ კარგად ესმოდათ ქართული სუფრის ფასი, გადაუმეტებლად სვამდნენ. პატიოსნად იცავდნენ წინაპრების ადათ-წესებს, პირველ ყოვლისა, გადამეტებულად თრობა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. თავისი დღე და მოსწრება სუფრასთან ჰქონდა გატარებული, ერთხელაც კი არავის უნახავს სასმისს გაეთიშოს, ქუჩაში ფეხი არეოდეს, ან მაგიდაზე ჩამოეძინოს. იგი ყოველთვის ცდილობდა იმ მორალით ეცხოვრა, რა მორალითა და ტრადიციებით ცხოვრობდნენ ჩვენი მამა-პაპანი, იგი თვლიდა — უმჯობესია მიიღო იმდენი, რისი მიღებაც შეგიძლია, ხოლო გადაჭარბებული ყველაფერი სისულელეა და არა შესარგისი.

ომის დამთავრებისთანავე თინიკა ქალიშვილებთან ერთად თბილისში დაბრუნდა. უფროსი თექვსმეტი წლის მზია, ცაბუას პირველი შვილიშვილი, ისეთი ნაზი და მიმზიდველი ფერია გახლდათ, ახალგაზრდების ყურადღებას იქცევდა. თუმცა, ცდილობდა შეუმჩნეველი ყოფილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. სიმშვენიერეს ვერ მალავდა. ზესტაფონში გატარებულმა დროებითმა ცხოვრებამ დიდი გავლენა მოახდინა მის მომავალზე. სწორედ, იმ დროში გაიცნო მომა-

ვალი მეუღლე გივი ერისთავი, რომელიც მაღალი წრის განათლებული ოჯახიდან იყო გამოსული. გივის მამის ნესტორ ერისთავის სამფლობელოში შედიოდა მთელი საირმე, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გააკულაკეს და ყველაფერი წაართვეს. ნესტორი და დედაჩემის მამა მეზობლად ცხოვრობდნენ. მე ვერ გეტყვით რა დამოკიდებულება ჰქონდათ ნესტორსა და ბაბუაჩემს, მე მხოლოდ ბუნდოვნად მახსოვს, როდესაც ნესტორი გარდაიცვალა, დედაჩემის ღაწვებზე ჩამოგორებული ცრემლი. გივი მშენებელი ინჟინერი იყო სპეციალობით, მზია — ექიმი, ორი შვილი შეეძინათ დავითი და ლელი. ხანმოკლე აღმოჩნდა მათი ბედნიერება, რვა წელი დაჰყვეს ერთად, მზია სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა. რამდენს დაწყვიტა გული სიცოცხლით სავსე არსების დაკარგვამ. თვალებზე ცრემლებს ვეღარ იკავებდნენ, როგორც თბილისელი, ასევე საქარელი მეზობლები, ხმამაღლა მოთქვამდნენ, სიმწრისგან ქვედა ტუჩს იკვნეტდნენ „ნამუხებთან“ თავშეყრილი ქალები. „ეს რა მწარე ხვედრი დააყოლა მამაზეციერმა საყვარელიძეების ლამაზმანებს, ასე ახალგაზრდები რომ იხოცებიანო“. — ვიშვიშებდნენ, ღმერთს ევედრებოდნენ კეთილი თვალით გადმოეხედა ღირსეული ადამიანებისთვის. ცაბუა, მზიას გარდაცვალების შემდეგ, თბილისში გადავიდა. საქარისკენ აღარ გაუხედავს. ნაღველით სავსე თვალებს მოგვაპყრობდა ხოლმე, როდესაც თბილისში ჩავდიოდით „ხომ არაფერი შეცვლილა, როგორაა იქაურობა ბებიაო“ — გვეუბნებოდა. ჩვენც სხაპასხუპით ვუყვებოდით ყველაფერი რიგზეა და მოუთმენლად ველოდით მალე ჩამოსულიყო. სამწუხაროდ, ჩვენს კითხვას ვეღარ პასუხობდა. სიტყვა ბურთივით ეჩხირებოდა ყელში, ცრემლიან თვალებს გვარიდებდა და ჩუმად ცხვირსახოცით იწმენდდა. ჩვენ გვიყვარდა ცაბუა ბებია, ის ნებისმიერ სიცელქეს გვპატიობდა, სამაგიეროდ არ გვპატიობდა უსამართლობასა და სიცრუეს. ზამთრის სუსხიან დღეებში თბილ ბუხართან ზღაპრებს გვიყვებოდა, შემდეგ გამოგვკითხავდა და ვინც უკეთ ვუპასუხებდით უფრო მეტი კამფეტით გვაჯილდოებდა. მზია სიცოცხლეში შვილებთან ერთად შვებულებას სოფელში ატარებდა, ცაბუასთან ერთად სამზარეულოში ფუსფუსებდა, ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებდა. ჩვენც გვიწილადებდა ხოლმე ნახელავს. აუცილებლად დაგვიძახებდა. დათო და ლელი ნიჭიერი და გონიერი იყვნენ და ამავე დროს საოცრად გულღიები. არ ვიცი ლელის როგორ დაამახსოვრდა სოფელი, ის მაშინ სამი-ოთხი წლის თუ იქნებოდა, დათოსთან ერთად კი ბევრი ლამაზი წუთები მაქვს გატარებული, რასაც დაუვიწყარი ბავშვობა ჰქვია. დღესაც, როდესაც ვიგონებ იმ დროს, გულში მწარე ჩხვლეტას შევიგრძნობ ხოლმე, მწყინს, რომ დღეს ჩვენს გვერდით აღარ არის... ვერ ვეგუები

მის გარდაცვალებას.

რაც შეეხება ნანას, მზიას მომდევნო დას, უნივერსიტეტი დაამთავრა, ინგლისური ენის სპეციალისტია. დისერტაციაც აქვს დაცული მოსკოვში, თუ არ ვცდები 1966 წელს. პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა. მზიას გარდაცვალების შემდეგ, დედით ობოლ დისშვილებს დათოსა და ლელის დედობას უწევდა, ზრდიდა და ცდილობდა ბავშვებისთვის არაფერი დაეკლო, უდედობა არ ეგრძნობინებია. ნანა ცოლად გაჰყვა დავით მატკავას, პროფესიით იურისტს. შეეძინათ ვაჟი დავით მატკავა. ამჟამად ნანა ბებიაა, ეზრდება ორი შვილიშვილი ალექსანდრე და გიორგი. დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ თავის მონაგართან ერთად.

„ლამაზი სულის ადამიანები არ ბერდებიან და არც კვდებიან, ისინი მოკაშკაშე ვარსკვლავების შუქს უერთდებიან, თანავარსკვლავედში განაგრძობენ ცხოვრებას“. ამ სტრიქონებს დათო ერისთავის ხსოვნას ვუძღვნი, რომელიც დედის პროფესიას გაჰყვა, წარმატებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი, ყველაფერი ის ჰქონდა, ის დამახასიათებელი კეთილი თვისებები, მაღალი პროფესიონალიზმი, რაც უნდა გააჩნდეს ექიმს. ბოლოს გურამ ფანჯიკიძის დაკრძალვაზე შევხვდი მწერალთა კავშირში, ფოიეში ფაცი-ფუცით მოვიკითხეთ ერთმანეთი. ის იყო და ის, დავშორდით და თურმე სამუდამოდ. ისე გარდაიცვალა და დაასაფლავეს არ გამიგია — დარჩა ორი ვაჟი. იმედს ვიტოვებ, ისინი არ შეარცხვენენ ერისთავთა საგვარეულოს. რაც შეეხება ლელის, პროფესიით ფსიქოლოგს, როგორც გავიგე გათხოვებაზე ჯერჯერობით არ უფიქრია. დასანანია, რას იზამ? თავს ზემოთ ძალა აღარ შესწევთ ადამიანებს, ყველაფერი ღმერთის ნებაა. ამჟამად თბილისში ცხოვრობს, მე ისღა დამრჩენია დიდი ხნისა და ლამაზი სიცოცხლე ვუსურვო.

ნამეტნავად მძიმედ და მკაცრად ექცევა ცხოვრება პატიოსან ადამიანებს, მხოლოდ წამება და ტანჯვაა მათი ხვედრი, მაგრამ ფეფიკომ მაინც შეძლო იმ სიმკაცრის გამკლავება, ერთადერთი შვილი ღირსეულად გაზარდა, ისე როგორც შეეფერებოდა ცნობილ ღოღობერიძეების ტრადიციულ ოჯახს, რათა გაგრძელებულიყო იმ მაღალი წრის ხალხის ჩვევები, განათლება, სულის სიმტკიცე და შინაგანი კულტურა. დათომ ანუ „ჩერჩილამ“ როგორც მთელი ქალაქი მოიხსენიებდა, წარმატებით დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მელიორაციის ფაკულტეტი. სწორედ ისეთი აღიზარდა დედამისსა და ახლობლებს რომ სურდათ, როგორც მიესადაგებოდა ღოღობერიძეებსა და საყვარელიძეებს. ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებდა საზოგადოებაში. საინტერესო და სასიამოვნო იყო მასთან საუბარი. სახეზე ნათლად აჩნდა არისტოკრატიული წარმოშობის კვალი. თავაზიანი მიმართვა

იცოდა, „გენაცვალეს“ ხშირად ხმარობდა საუბრისას. ძველი ვერის უბანში აღზრდილს, არც ქუჩური ცხოვრება ეშლებოდა, თავს არავის დააჩაგვრინებდა. ქიციც კარგად ესმოდა და ქიცმაცურიც. ბავშვობის წლები, თითქმის, საქარაში ჰქონდა გატარებული, კარგად ახსოვდა მუხებით დამშვენებული ეზო, აივანზე მჯდომი ვანო ბაბუა, შუადღის პაპანაქებაში, გრილ ჩეროში კოტრიალი, შემდეგ ბაბუის გარდაცვალება, უამრავი ხალხი და ბებიის ჩამოკაწრული სახე. დედმამიშვილი არ ჰყოლია, დებივით ედგნენ გვერდში მზია და ნანა, ცისანა და მარიკა, ივიკო კი ძმობას უწევდა. უამრავი ნაცნობი ამხანაგები ჰყავდა. ერთგული მეგობრები კი — გურამ რჩეულიშვილი, ნუგზარ წერეთელი და ლერი მაისაშვილი, — თავისივე სტილისა და სულის პატრონები იყვნენ, ერთად დადიოდნენ ჭირსა და ლხინში. გურამი და ნუგზარი მხატვრული ნაწარმოებების წერით იყვნენ დაკავებულნი, დათო სტატიებით, ავად თუ კარგად ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს. გული ეწვოდათ, გულს უღრღნიდათ, ბუნების ტრფიალის მოყვარულებს, დრო რომ აღარ რჩებოდათ, უფრო მეტი ეხეტიალათ, ისე როგორც ბუნების დეკორატორებს, მოფერებოდნენ ხასხასა ხავერდოვან მთებს. ქოლგებივით მწვანე ნაძვების ჩრდილში მზის ცხელი სხივებით შეზავებული სტრიქონები დაეწერათ. შემოქმედის მგზნებარედ ანთებული სული რომ გამოეწვართათ. მათ ბავშვობიდანვე ჰქონდათ შთაგონებული და ყოველთვის სჯეროდათ, რომ საქართველო ღვთისაგან გამორჩეული და ღვთისმშობლის ქვეყანა იყო და ამ ღმერთის წილ ქვეყანას ღვთაებრივი ძალა მართლა მფარველობდა და დაიფარავდა. გურამი განსაკუთრებულ სიმპათიებს იმსახურებდა, იმდენად იყო შეყვარებული მწერლობაზე პირდაპირ სასწაულებს ახდენდა, ქუჩაშივე ჰქმნიდა ნაწარმოების გმირთა პერსონაჟებს, ნაწერები ხელიდან ხელში გადადიოდა. ერთ-ერთი მათგანი „იულონი“ მე ავაწყე ლინოტიპზე, ცკ-ს გამომცემლობაში როცა ვმუშაობდი. მაშინ გავიცანი მწერლის და ქალბატონი მარინა რჩეულიშვილი, აგრეთვე გურამის ქალიშვილი ია. მარინამ წიგნი მისახსოვრა, ავტოგრაფი თავად წააწერა. კარგი იქნებოდა, თავად მწერალს ეცოცხლა, მისი ხელით გაკეთებული წარწერა სულ სხვა იქნებოდა... იმდენ ხანს მაინც დაცლოდა ფიქრების რეალში ფერადი მუზის სილამაზე ბოლომდე დაენახა, დამფრთხალი ჩიტივით უცებ გააუჩინარა უნდობმა ბედისწერამ. ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსულ უცნობ გოგონას, რომელიც აბობოქრებულმა ტალღებმა გაიტაცა, სიცოცხლე შეუნარჩუნა. ზღვას შეეჭიდა, გოგონა იხსნა, თავად კი მშვენიერებისა და სიკეთის გრძნობებს გადაჰყვა... წიგნის გამოსვლის შემდეგ, რჩეულიშვილების ოჯახში საბანკეტო მაგიდა გაშალეს, სადაც მოწვეულნი იყვნენ მაღალი ელიტარული საზოგადოება და მათ

შორის დათო ღოღობერიძე და ნუგზარ წერეთელი. ქალბატონმა მარინამ, რა თქმა უნდა, მეც მიმიწვია საღამოზე. ჭოჭმანი რომ შემატყო, დასძინა: დედაჩემს უნდა შენი გაცნობაო. გავჯიუტდი და არ წავედი, რასაც დღეს ვნანობ, გარემოება, ადამიანთა რჩევა-დარიგებები, ყოველთვის ცვლის აზროვნებასა და ჩვეულ ცხოვრებისეულ სტილს, შემოქმედს უფრო გაახლოებს ახალ სამყაროსთან, მასაზრდოებელი ძალით გმუხტავს და წარმატებისკენ გიბიძგებს. მთელი ჩემი დღე და მოსწრება სულ გამორჩეულ ადამიანებთან მაქვს გატარებული. მაშინ რა ღმერთი გამიწყრა ვერ გეტყვით. შეიძლება იმის ბრალია, ზომაზე მეტად მორიდებული ვარ...

ჩერჩილა გვიან დაოჯახდა, შეუცნობადი სამყარო თითქოს ჯადოსნური სანთლებით გაუნათესო, გასხივოსნებულ ფართო თვალებში კიდევ მეტი მბრწყინავი შუქი ჩაუდგა, მხრები ფართოდ გაშალა და შეუჩვეველს დაუწყო შეჭიდება. მეუღლეს ქალბატონი მედიკო ზუსტად ისეთი შეახვედრა განგებამ, ხვალინდელი დღის შიშით კი არა, იმედითა და რწმენით აუვსო, გულის სიღრმეში შეყუჟული პატარა სევდა სამუდამოდ გაუქრო, გულში სამუდამოდ დაუბუდა სიყვარული ღირსეული ოჯახის შესაქმნელად. ისევ პეტრიაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდნენ პატარა ბაღით გარშემორტყმულ მამისეულ სახლში, ერთი ოთახი და საერთო სამზარეულო, რაც დაუტოვა მთავრობამ. მაგრამ იქ, სადაც ნამდვილი სიყვარულია, მისი ძალა ყოველთვის გადაიწონის ყოველგვარ ტანჯვას, თუ სულით არ დაეცემი, ის ტანჯვა-ვაება სასიკეთოდ უბრუნდებათ ადამიანებს. ახალგაზრდა ქალი ატმის კვირტივით გადაიშალა, გაიფურჩქნა და სიკეთის ძალით აივსო, პატარა ვაჟი შვა, ღმერთის წყალობით დედა გახდა. ღოღობერიძეების შთამომავალს ნიკუშა მოევლინა გვარის გამგრძელებლად.

საბჭოეთში „პერესტროიკის“ პროცესი როდესაც დაიწყო, ასისინდა ურჩხული. ერთმანეთში აირია პატრიოტები და სულგაყიდულნი, ფულს დახარბებული ადამიანები, საკუთარი კეთილდღეობისთვის რომ სწირავდნენ სამშობლოს. დათომ და მედიკომ ბინის მიღება მოასწრეს. ვერაზე გაზრდილს, გულს უწიწკნიდა ვარკეთილის მასივში ხეტიალი, მშობლიური ქუჩა, ის ვიწრო ოთახი მთელ ვარკეთილს ერჩივნა. ფეფიკო დარჩა მარტოდმარტო, მას არ შეეძლო მეუღლისეული სახლის მიტოვება, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თითოეულ ნივთს, რასაც ღოღობერიძეების ხელი შეხებია.

გორბაჩოვმა „პერესტროიკის“ შემოღებით დაიწყო ქვეყნის დემოკრატიის აღიარება, ის ცდილობდა ხალხისა და პარტიის გარდაქმნით დაეშალა საბჭოთა კავშირი. მოესპო ერთპარტიულობა, აღმოეფხვრა პიროვნული დიქტატურა. ფეფიკო საქართველოს და-

მოუკიდებლობის აღიარებას ვეღარ მოესწრო, ისე გარდაიცვალა. ხალხი ვერ ეგუებოდა არეულ რეჟიმს, დაიწყო გამოსვლები, რასაც 9 აპრილი მოჰყვა, თბილისში სისხლი დაიღვარა. აღსდგა მთელი საქართველო ბოროტების სათავის დასამარცხებლად. კომუნისტებმა ქვეყნის მმართველობა მრგვალი მაგიდის ლიდერს ზვიად გამსახურდიას გადააბარეს. გამსახურდიამ შეძლო აღედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩერჩილა და მედიკო გაფაციცებით თვალს ადევნებდნენ თავისუფლების დროშაზე გადაფოფრილ ხალხს, რომლებიც უშუქობას, სიცივესა და შიმშილს არაფრად აგდებდნენ ოღონდ საქართველო თავისუფალი, წელში გამართული, ქედმოუხრელი ენახათ. დედამთილივით არც მედიკოს დაცალდა, საქართველოში მომხდარი პროცესების ბოლომდე თვალი ედევნებინა, იმდენხანს მაინც ეცოცხლა ერთადერთი შვილის ნიკუშას დაფრთიანებას მოსწრებოდა. სულ რამოდენიმე წლის შემდეგ, სამუდამოდ დაივანა ადგილი ვერის ძველ სასაფლაოზე ფეფიკოს გვერდით. ის ყველას სიმპათიას იმსახურებდა, გამოირჩეოდა თავისი პატიოსნებით, თავაზიანობით, ახლობლების მიმართ კეთილგანწყობით.

საყვარელი დედისა და ცოლის დაკარგვის შემდეგ გაუჭირდა ჩერჩილას. მეორე ცოლი აღარ შეურთავს. მიუხედავად უდროოდ გარდაცვალებისა, მაინც უყვარდა და დიდ პატივს მიაგებდა მედიკოს, ვერ წარმოედგინა სხვა ქალით შეეცვალა იგი. ჯიუტი და გაუტეხელი კაცი იყო, ცდილობდა თავისი გასაჭირი თავად გადაეტანა სხვების ჩაურევლად, მაგრამ მრავალრიცხოვანმა ნათესაობამ შეძლებისდაგვარად უმსუბუქებდნე მდგომარეობას. ყველაფერს აკეთებდა რაც კი შეეძლო, რომ ერთადერთი ძე ისე აღეზარდა, როგორც შეეფერებოდა საუცხოო ღირსეული წინაპრების, ღოღობერიძეების მემკვიდრეს. საქართველოში იმ დროს სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, პირველი პრეზიდენტი ჩამოაგდეს, ქვეყნიდან გააქციეს. მოსკოვიდან შევარდნაძე ჩამოიყვანეს, პრეზიდენტად აირჩიეს. შევარდნაძემ გაზსადენის გაყვანით დაიწყო საქართველოს ეკონომიკის აღორძინება. შეიმუშავა აგრეთვე ნაბუქოს პროექტიც, მაგრამ განხორციელება აღარ დაცალდა. ვარდების რევოლუციამ, სიღატაკეში ჩავარდნილმა ხალხმა, თავისი გაიტანეს, ქვეყნის სადავეებს ჩამოაშორეს. მაგრამ მთავარი იდეის განხორციელება მაინც მოასწრო, საქართველოს ნატოსკენ ააღებინა კურსი. ჩერჩილა შევარდნაძის გადადგომამდე გარდაიცვალა. აღარ დაცალდა ხელისუფლებაში მოსული ნაცმოძრაობის გუნდის ლიდერის სააკაშვილის მიერ ფასადებშეღებილი შენობების დანახვა. იცოცხლა მხოლოდ სამოცდაშვიდი წელი, მაგრამ მისი სიცოცხლე საქართველოს პოლიტიკური ძვრების დროს მხოლოდ აგონია იყო. საინტერესოა ვარ-

დების რევოლუციის შემდეგ, როგორ შეაფასებდა თანამედროვე მოვლენებს, მჯერა, იტყოდა: „დაწყებული 1991 წლიდან, ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე, საქართველომ მხოლოდ ერთ ადგილზე იტრიალა, დავკარგეთ აფხაზეთი, ზედ კოდორის ხეობაც მივაყოლეთ და სამაჩაბლოც. ივანიშვილის გამოჩენამ იმედები ჩაუსახა ქართველებს, ქუჩაში მოსიარულეთ სახეებზე ღიმილი ემჩნევათ“...

უკანასკნელ გზაზე გავაცილე ოთარ მაისაშვილთან ერთად, ყველა ღრმა მწუხარებას გამოხატავდა, იგი ადამიანური, თბილი გრძნობებით სავსე ყველას უყვარდა. რა თქმა უნდა, ვერის სასაფლაოზე დედისა და მეუღლის გვერდით დაკრძალეს. მე და ოთარმა რამდენჯერმე ავაკითხეთ, ჭიქა ღვინო წავუქციეთ, ოთარი ყოველთვის სათუთად იხსენებს მასთან ერთად გატარებულ ბავშვობის წლებს. მოგონებები მეც უცნაურ სასოწარკვეთილებაში მაგდებს, ვერ ვეგუები ძვირფასი ადამიანების უდროოდ დაკარგვას, უკუღმართი ბედის ჩარხის წაღმა-უკუღმა ტრიალს! სულ მინდოდა, რჩეულებს, რაც შეიძლება, დიდხანს, დიდხანს მოეთიათ ხანი ამ ქვეყანაზე!.. უდროოდ გამოეცალა ხელიდან ერთადერთ ვაჟს — ნიკუშას. სწორედ გარდატეხის პერიოდი აღარ დააცალა განგებამ, მამობა რომ გაეწია. შვილის უპატრონოდ მიტოვება ჯავრად ჩაჰყვა საფლავში, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, ობლის კვერი ცოტა გვიან, მაგრამ მაინც გამოცხვაო! გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გზა გაუკვლეს ჭაბუკს. ერთ დროს ზურაბ წერეთელმა, ბუმბერაზმა ადამიანმა, მოსკოვში წაიყვანა და სწორედ ის ჭაბუკური წლები მისი გავლენის ქვეშ გაატარა. ამჟამად ნიკუშა თბილისში ცხოვრობს, ცოლ-შვილიანია. რამოდენიმე წლის უკან შევხვდი, ჟურნალი გადმომცა წასაკითხად, სადაც თავისი წინაპრების ღოღობერიძეების ცხოვრება და მოღვაწეობაა აღწერილი. შეხვედრისთანავე თვალწინ მედიკო და დათო დამიდგნენ, ალი-კვალი მათი განსახიერებაა, ტანად საკმაოდ მაღალი, საოცრად თბილი, თავმდაბალი და განათლებული. ეზრდება ვაჟკაცი, იმედს ვიტოვებ, ნიკუშა და მისი შთამომავლობა ღირსეულად ატარებენ, ღირსეული ადამიანის ნიკო ღოღობერიძის შთამომავლობის სახელს...

დათოს ახლო მეგობრებთაგან ნუგზარ წერეთელია ცოცხალი, ოთხმოცი წლის კაცი ისევ მხნედ გამოიყურება. მთელი თავისი ცხოვრება კალამი უჭირავს ხელში, დიახ, ის მადლი და სითბო რაც ღვთისაგან აქვს მომადლებული ფურცელზე გადმოაქვს, ტაძარში შესულ მომლოცველივით ხან ლექსით, ხან პროზით ეჩურჩულება თავის სამშობლოს. ჩამოაყალიბა გურამ რჩეულიშვილის ფონდი, ფონდს თავად ხელმძღვანელობს. ხანდახან შევუვლი ხოლმე, გულს მიამებს მასთან საუბარი. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე მქონდა მასთან

ახლო ურთიერთობა. ის მაშინ გამომცემლობა „ცოდნა“-ს დირექტორად მუშაობდა, მე კი ცკ-ს გამომცემლობაში. მამამისის, ბატონ აკაკი წერეთლის ლექსების კრებული ავაწყვე. იმ დღიდან მოყოლებული და დღემდე გრძელდება ჩვენი სიახლოვე... რა დამავიწყებს, უმოძრაობის პერიოდში, უმუშევარი და უსახსროდ როცა დავრჩი, ჯანსუღ ჩარკვიანთან ერთად რომ გამომიწოდა დახმარების ხელი. რკინიგზის ყოფილ გენერალურ დირექტორს აკაკი ჩხაიძეს დაურეკეს და მატარებლის გამცილებლად მიაღებინეს ჩემი თავი, რაც იმ დროს ძალიან რთულ საქმედ ითვლებოდა. ახლა ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი ბატონ აკაკი ჩხაიძესა და ყველა იმ რკინიგზელს, ვინაც ჩემი მდგომარეობა გაიზიარა, გვერდით დამიდგა და გამცილებლის პროფესიას მაზიარა, იმ გაჭირვების ჟამს ულუკმაპუროდ არ დამტოვა...

37

როგორც მოგახსენეთ სიმონიკა საყვარელიძე ზესტაფონში დაბრუნდა. ბედმა უცნაური ხვედრი არგუნა, მთელი ცხოვრება საერთო ცხოვრებით ცხოვრობდა, ვიდრე საკუთარით და სწორედ, იმ საერთოში უნდა გამოენახა და შეექმნა სიმშვენიერე, საოცარი ახალი სამყარო, რათა თავისი წვლილი შეეტანა ქართველ მუშკეტიორთა აღზრდაში, მაგრამ ამ მხრივ არ არსებობდა ბაზა, არც ინვენტარი და არც არავის მოსვლია თავში აზრად მისი განვითარება. სიმონიკა აღმოჩნდა ის პირველი აქტივისტი, ვინც პატარა პროვინციულ სამრეწველო ცენტრში, საფუძველი ჩაუყარა ფარიკაობის სახეობას, ზესტაფონი მოფარიკავეთა ბუდედ აქცია. ღვთიური სურნელი ეპკურებოდა სპორტული აღნაგობის მქონე სხეულზე, უფლისგან მიმადლებული პედაგოგიური ნიჭიერება იმდენად ძლიერი ჰქონდა, მაგნიტივით იზიდავდა ახალგაზრდა თაობას. ყველანი ცდილობდა საყვარელი მოძღვარის წინაშე, უფრო მეტი მონდომება და ფხა გამოეჩინა, საკუთარ თავში თვითდაჯერებულობისა და გამარჯვების რწმენა ეძიათ. ენთუზიასტმა და დიდმა მოფარიკავემ თხილისა და ბროწეულის ჯოხებით დაიწყო შემოკრებილი გუნდის ვარჯიში. უსახსრობის გამო სკოლის დარეფნებსა და საკლასო ოთახებში ატარებდა ნორჩენის წვრთნას. გარდა წვრთნისა, შვიდი-რვა წლის შეგირდებს, ქართველ რაინდთა ბრძოლების შესახებ საგმირო ეპიზოდებს მოუთხრობდა, რაც პატარებს სულიერ კმაყოფილებას ანიჭებდა. მალე გაუვარდა სახელი. ზესტაფონი არც თუ ისე დიდი ქალაქი იყო, ყველანი ერთმანეთს ცნობდა, ადვილად შეეძლო პირველი ნაბიჯების გადადგმა. მრავალი ახალგაზრდა ერთვებოდა სპორტის ამ ულამაზესსა და მეტად საინტერესო სახეობაში, ისინი

შინაგანად რაღაც სიმტკიცეს გრძნობდნენ და, რაც მთავარია, მეგობრულ დამოკიდებულებას მწვრთნელის მხრიდან. ვაჟებთან ერთად გოგონებიც ეუფლებოდნენ მუშკეტიორთა ხელოვნებას. ისინი ისე მომხიბლავად ასრულებდნენ ყველა ილეთებს, ისე მოქნილად არხევდნენ მოქნილ სხეულებსა და ხმარობდნენ საბრძოლველ იარაღს, ყველას ანცვიფრებდნენ თავიანთი ოსტატობით. თავიდან ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები ეჭვის თვალით უყურებდნენ იმიჯშელახულ კაცის მოქმედებას, სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ თხილისა და ბროწეულის ჯოხებზე აღზრდილი სპორტსმენები. მაგრამ სიმონიკა არაფრად აგდებდა მათ უაზრო გამოხტომებს. ის უანგარო სიყვარულითა და დაუღალავი შრომით აგრძელებდა თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას. „დაცინვას კაცი არ მოუკლავსო“. — ფიქრობდა.

ზოგჯერ დაცინვა ინტერესს უფრო უღვივებს ადამიანს, მეტ სტიმულს აძლევს და ეხმარება მიზნის მიღწევაში. სიმონიკა მადლიერებით მოიხსენიებდა მათ, „რომ არა ისინი, შეიძლება ნებისყოფა არ მყოფნოდაო. კარგია რომ დროზე მივხვდი მთელი არსი კრიტიკაში მეტია, ვიდრე ქებაშიო. თავიდან საშინელი ტკივილი დამეუფლა, მოქმედების კურსი შევცვალე, ცოტა გამიჭირდა, მაგრამ შვება ვიგრძენი. ჩემში ინტერესმა უფრო გაიღვიძა“. იხსენებდა ხოლმე წარსულს, ის ყურს არ უგდებდა ჰარიჰარად ნასროლ სიტყვებს, დღეღამეს ასწორებდა, მანამ ვერ მოისვენებდა, სანამ ფინიშამდე არ მიაღწევდა. მერე რა რომ უსახსრობის გამო არ გააჩნდა სათანადო კომფორტი, მთავარია გული გულობდეს, იდეის განსახორციელებლად, ჯოხებით ვარჯიშიც საკმარისი იყო. „კაცი თუ მოინდომებს კლდეს გაარღვევსო“. — ტყუილად არ უთქვამს ბრძენკაცს.

დედასთან მამა-პაპისეულ დიდ სახლში, ცხოვრობდა საქარაში, სამსახურში, ცისმარზე უწევდა ხოლმე ფეხით სიარული. ზაფხულობით, გაღმითა საყვარელიძეების ორშარის გავლით იმოკლებდა ზესტაფონამდე გასავლელ გზას, ოციოდე წუთს ანდომებდა თავდაღმართს ჩავლას. ამოსვლას კი ნახევარ საათს. აღმართზე, ქვემოდან ზემოთ, უჭირდა ცოტა. განსაკუთრებით ზამთარში, ამას კიდევ, ავარა ბიჭები ემატებოდა, რომლებიც ფეხით მოსიარულეთ უკაცრიელ ადგილებში ხვდებოდნენ და ყველაფერს, რაც რომ ებადათ, ართმევდნენ. უკან დახევას აზრი არ ჰქონდა, არც უფიქრია, კარგად იცოდა ჯიბგირებისა და მძარცველების ხასიათი, არასდროს ყოფილა მოშიშარი კაცი, რომელიც შესანიშნავად ფლობდა ჯიუ-ჯიუცისა და ფარიკაობის ილეთებს, კაცმა, რომელმაც საბჭოთა ციხეებსა და გადასახლებებში ჰქონდა გატარებული თვრამეტ წელზე მეტი, კაცს, რომელსაც ქურდებსა და კაციჭამიების წინაშე წარბიც არ შეუხრია, ცხვირ-

მოუხოცავი „პაცნები“ რას დააკლებდნენ. სწორედ მაშინ გამოიყენა, ჯერ კიდევ, გადასახლებაში ყოფნისას დამზადებული მუშკეტიორის იარაღი, რომელსაც საბიჯგე ჯოხში დამალულს ატარებდა. საჭიროების შემთხვევაში თავის დასაცავად. ჩრდილოეთში გატარებული მწარე წლების მოსაგონებლად ის იარაღი და ხელზე მკრთალი ინიციალები, უფრო სწორად, ნახევრად ამომწვარი სვირინგი შერჩენოდა. დაღივით აჩნდა უკუღმართი ცხოვრების სიმკაცრე. მწარედ ბევრს მოუგრიხა კისერი. მსუბუქად დაუჩხვლიტა ხელჯოხში გადამალულ იარაღით უკანა ნალი, ბევრი სწორი გზიდან გადახვეული, დააყენა სწორ გზაზე და, რაც მთავარია, საიდუმლოდ შეინახა მათი ვინაობა, იმიჯი რომ არ შეელახა მათთვის.

თითქმის ყველაფერი ააწყო, ერთის მხოლოდ ცოლ-შვილთან განშორებას ვერ იტანდა, ორმოცდაათს გადაცილებულს ათასნაირი დარდუბალასა და ჭირის გადალახვა უწევდა. ცალკე ფიზიკური მუშაობა, მამულში ტრიალი, მოხუცი დედის მოვლა-პატრონობა, ცალკე სამსახური, არაქათს აცლიდა. მაგრამ, უმკლავდებოდა. მას ხომ ბედმა ხიფათიან გზებზე არგუნა სიარული. მხრებზე ცხოვრებისეული ტვირთი ისე მძიმედ აწვა, საკმარისი იყო ერთი წაფორთხილება და ცხოვრება ფეხქვეშ მოიყოლებდა. ის მაინც არ ნებდებოდა, არ ეპუებოდა. შიშს ახლოს არ იკარებდა. დაუთრგუნველად იბრძოდა როგორც დევ-გმირი, როგორც უძლეველი ფალავანი, რომელსაც სწამდა გამარჯვებისა! თითქმის ყველაფერი დაძლია, ვაჟკაცურად გაუმკლავდა. მაგრამ სულიერ სიმარტოვეს ვერაფერს უხერხებდა. მის წინაშე თავს უსუსურად გრძნობდა, თუმცა, სტუმარიც და მოსწავლეებიც გამოულევლად ჰყავდა, მაგრამ გულში დარჩენილ სიცარიელეს ისინი მაინც ვერ უვსებდნენ. სახლთან ახლოს ისეთი ვენახი გააშენა, ავთვალს არ ენახვებოდა. სიმინდი, ლობიო, ბოსტნეული არ აკლდა, ხვავითა და ბარაქით გაავსო ჭურ-მარანი და ნალია. მტერს თვალი დაუბრმავა, გული გაუხარა კეთილის მოსურნეს...

სპორტკომიტეტიდან მოსაწვევს უგზავნიდნენ. თბილისში უწევდა ხოლმე ჩასვლა, რათა მისი გამრჯე ხელი არ მოკლებოდა დედაქალაქელ მუშკეტიორებს. მისი ენთუზიაზმი და გამოცდილება ჰაერივით ესაჭიროებოდა და აიმედებდა ახალგაზრდობას. თბილისში კატუშასა და ლილის გვერდით ატარებდა თავისუფალ დროს, საღამოობით რა შეედრებოდა პატარა შვილიშვილებთან თამაშს, თემური და მანანა თავისთავზე მეტად უყვარდა. პატარები როგორც კი ბაბუის ფეხის ხმას გაიგონებდნენ, გულდალხინებულები ეგებებოდნენ შესასვლელ კარებთან. ისე ძლიერად გამოცემდნენ მაგნიტურ სიგნალს, ის მაგნიტური ძალა იტაცებდა. შვილიშვილებთან ერთად დივანზე წამოწოლა,

ხანდახან მზის გულზე მათთან სეირნობა, კატუშასთან და ლილისთან ვახშმად სუფრასთან ჯდომა. სხვაგვარი გართობა ვერც კი წარმოედგინა, უკეთესი რაღა უნდა ენატრა. მხოლოდ, ერთი სიძე რჩებოდა, რომელსაც ვერ უახლოვდებოდა, სულ რამოდენიმე წელი იყო გასული, რაც იცნობდა, ენატრებოდა მასთან შეხვედრა, მაგრამ ვერ ახერხებდა. შოთა მოსკოვში ცხოვრობდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რეჟისორად გაამწესეს. ლილი თბილისში მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობდა. უჭირდა, მაგრამ კატუშა დროზე აშველებდა დედობრივ ხელს. ლილის იმდენად უყვარდა სცენა ყველაფერს იტანდა, დაბრკოლებებს ადვილად ეგუებოდა. არც შოთა იმყოფებოდა სახარბიელო მდგომარეობაში. მაგრამ ხელოვნებას ხომ ვერ უღალატებდა. მოსკოვიდან რიგაში გადაიყვანეს თეატრის მთავარ რეჟისორად. ლილი ბავშვებით ქმართან ერთად ლატვიაში გადასახლდა. იგი ყოველთვის ცდილობდა შვილებისთვის საუკეთესო სწავლა-განათლება მიეცა, ამისთვის კარგ პედაგოგებთან დაჰყავდათ, ასწავლიდნენ რუსულ ენას. მხოლოდ რამოდენიმე წელს მოუწია ბალტიისპირეთში ცხოვრებამ, ამის მიზეზი კი ქუჩაში მომხდარი უცნაური ინციდენტი გახდა. ეზოში მოთამაშე თემურს ვიღაც გამვლელმა, ხულიგანმა ლატვიელმა, თავში ქვა ჩაარტყა. მოგეხსენებათ, იმ დროს ბალტიისპირეთის რესპუბლიკები რუსეთს ახალი შემოერთებული ჰყავდა, უსამართლობით აღგზნებულმა ლატვიელმა პატარა რუსად აღიქვა და შური იძია. თემური გარეგნობით ევროპელს ჰგავდა. შოთამ საქმე აღარ გაამწვავა, ისედაც პოლიტიკურად დაძაბული ყოფნის დროს, სასამართლოში სირბილს სიჩუმე არჩია, საქმე არ აღუძრავს. ცოლ-შვილი კი კვლავ თბილისში გამოისტუმრა: „ზოგიერთი ჭირი მარგებელიაო.“... უთქვამს გონიერ კაცს. ლილი კვლავ მშობლიურ თეატრს დაუბრუნდა, ერთის მხრივ, თავს ბედნიერად თვლიდა, მაგრამ მეუღლესთან დაშორება არც თუ ისე დიდად სასიამოვნო იყო, მაგრამ მეგობარი კოლეგები ამხნევებდნენ. ერთობამ და თანადგომამ მდგომარეობიდან გამოიყვანა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ მასწავლებლის როლი განასახიერა. ამას მოჰყვა „მე ვხედავ მზეს“, თეატრმა კვლავ შემატა სიხალისე, მის ცხოვრებას აზრი მიეცა. სცენიდან სხვანაირად ჩანდა ყველაფერი უფრო ნატიფი და შთამბეჭდავი ეჩვნებოდა სამყარო. შიგადაშიგ შოთასაც უწევდა ხოლმე თბილისში ჩამოსვლა. გრიბოედოვისა და მარჯანიშვილის თეატრებში სპექტაკლების დასადგმელად „ლისი ვინოგრადნიკ“, „დაჭრილი არწივი“, „მუმლი მუხას“, „ცხრაკლიტული“. ქართველი მაყურებელი ყოველთვის დიდი პატივისცემით იყვნენ განწყობილნი შოთასადმი, რადგანაც რეჟისორის სპექტაკლები წრფელი და ჭეშმარიტი იყო... ასე წარმატებულად ართმევდა თავს ურთულეს

საქმეს ნიჭიერი, პასუხისმგებლობით გამორჩეული, შოთა ქარუხნიშვილი, რომელიც ხელოვნების სიდიადეს აზიარებდა მაყურებელს.

დრო გადიოდა, სიმონიკასთვის იშვიათი ინტუიციის მქონე ადამიანისთვის, რომელსაც სულით ხორცამდე უყვარდა სპორტი, ხშირ შემთხვევაში დილიდან გვიანობამდე უწევდა მუშაობა. მეგობრებისთვის ვეღარ იცლიდა. საყვედურობდნენ კიდეც: საკუთარ თავში ჩაიკეტეო. ზოგი ამართლებდა... ხომ იცით მაგის ხასიათი, სანამდი მიზანს არ მიაღწევს, მაგის ფანტაზიას საზღვარი არ ექნებაო. და მართლაც, იგი ახალგაზრდული ენერგიითა და გატაცებით აყვარებდა აღსაზრდელებს ურთულეს ილეთებს, ნებისყოფას უძლიერებდა მათ, რადგანაც სულით მტკიცე ადამიანები ადვილად უმკლავდებიან ყოველგვარ წინაღობვას, — ცხოვრების მშფოთვარების მომნიჭებელ შტრიხს. საყვარელი მოძღვარი ისეთი ოსტატობით უზიარებდა ნორჩ შეგირდებს სპორტის ხელოვნებას, ისეთი მიდგომით ახერხებდა დაეუფლებინა ისინი მის საიდუმლოებაში, როგორც შეეფერებოდა დიდი პედაგოგის ღირსეულ საქმეს. ის ზუსტად საზღვრავდა დროს, საოცარი ძალისხმევით, რწმენით, დიდ სტიმულს აძლევდა სპორტსმენ ახალგაზრდობას და უადვილებდა მათთან ურთიერთობას. თითზე ჩამოსათვლელი იყო მაშინ ისეთი მაღალი რანგის მწვრთნელები, როგორიც სიმონიკა იყო. ძნელად მოიპოვებოდა ისეთი სულის მქონე ადამიანი, ისეთი ტიტანური შრომა გაეწია, ან ისეთი მამულიშვილური საქმე ეკეთებინა. ასეთ უანგარო სამსახურს მხოლოდ ღვთის რჩეულები უწევენ თავის სამშობლოს. ეს ყველაფერი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია!..

რაიონულ გაზეთში იბეჭდებოდა წერილები მოფარიკავეთა გუნდის წარმატებებზე. რამაც ცხადია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, ზესტაფონი შეიცვალა, ყოფა-ცხოვრებაში ახალი მოტივი გამოიკვეთა. ერთი კაცის ინიციატივამ, ახალგაზრდებს სურვილი გაუჩინა სპორტში ჩაბმულიყვნენ. რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის ხელმძღვანელობამ პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა ფარიკაობის დაუცხრომელი ენთუზიასტი, კულტურის სახლის ფოიეში გულანთებულმა მწვრთნელმა გამოიყვანა თავისი აღზრდილი პირველთანრიგოსანი მოფარიკავეები ლიანა ღუღუნიშვილი, ტიტიკო შარაბიძე, სულიკო ცხადაძე, ზაზა შერგელაშვილი და ლეო მაღრაძე, რომლებსაც არაერთხელ უსახელებიათ მშობლიური კუთხე. საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მოფარიკავეთა ექსპერიმენტალურმა ჯგუფმა მედიკო ნადირაძის, გულსუნდა კახიძის, ზლიდა შლიმონოვას, ნუნუ მაღრაძის, ტანია კლიმენკოსა და მაყვალა სიორდიას შემადგენლობამ. პატარა გოგონების ელასტიურობამ, სისხარტემ, ლამაზად შესრულებულმა მოძრაობებმა გააოცა საზოგადოება, რამაც

კიდევ უფრო გაზარდა საყვარელიძის იმიჯი. ის ერთადერთი მოწინავეთაგანი იყო მთელ ქალაქში, რომელმაც რთულ ვითარებაში გადაიტანა ყოველივე გასაჭირი. ღირსეულად გამოიარა როგორც მამაცმა მებრძოლმა ბრძოლის ველი. დახვეწილი, შინაგანი კულტურით ძლია ყოველგვარ თავკერძაობასა და ამპარტავნებას და სპორტის ისტორიის ფურცლებზე წარუშლელი კვალი დატოვა.

წარმატებებს წარმატებები ემატებოდა, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დიდი შრომით მიიღწევა. სათანადო დრო აღარ რჩებოდა საკუთარ თავისთვის და მოხუცი დედისთვის რომ მიეხედა. ათასნაირი წვრილმანია აუცილებელი ადამიანის არსებობისთვის, ღვთის მიერ ნაბოძები მრავალფეროვანი საქმის კეთების ნიჭით დაჯილდოებულს კერძების მომზადება, სახლის დასუფთავება-დალაგება, რეცხვა-დაუთოვებაც შეეძლო, ხელი ყველაფერზე მიუწვდებოდა, მაგრამ დროს ვერაფერს უხერხებდა. არც იმდენი ფული ჰქონდა, მწირი ხელფასი რას ეყოფოდა, რომ მოსამსახურე გოგო აეყვანა. რაღაც უნდა ეღონა, აფორიაქებული მდგომარეობიდან რომ გამოეყვანა საკუთარი თავი, რათა ამაოდ არ დაშვრალიყო წამოწყებული საქმე. ქვეყნის სამასხარაოდ არ გაეხადა თავი. ხალხს მხოლოდ ძლიერები უყვართ და ეთაყვანებიან, ერთადერთ გამოსავლად ცოლის შერთვა რჩებოდა. აუცილებლად უნდა გამოენახა თანამეცხედრე მეგობარი ქალი, რომელიც გვერდით ამოუდგებოდა და სიძნელეებს გადაატანინებდა. კიდევ ერთხელ უნდა ეცადა ბედი, უნდა მეორედ ექორწინა, იქნებ ახლა მაინც აღარ შეეშალათ ხელი, აღარ დაეჭირათ, აღარ გაეციმბირებინათ. არჩევანი ტატიანა სამხარაძეზე შეაჩერა. თანასოფლელზე, სოფლის სკოლის პედაგოგზე. ერთხელ კიდევ დაფიქრდა, აუჩქარებლად, სასოებით ჭვრეტდა მომავლის გზას. სულის შემძვრელი ჭმუნვით იდგა იმ მწარე ბედისწერის წინაშე, რაც წილად ხვდა ამ უსწორ-მასწორო წუთისოფელში. რას იზამდა? სიცოცხლეს იმიტომ ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა, რომ დასახული მიზანი ბოლომდე მიეყვანა.

ამბობენ, პირველ მამაკაცს მარტოდ რომ არ ეგრძნო თავიო, ღმერთმა ნეკნი გამოაცალა და იმ ნეკნიდან ქალი შეუქმნაო, რადგან გვერდით ჭირისა და ლხინის გამზიარებელი ჰყოლოდა. ქორწინებას მითქმა-მოთქმის გარეშე არ ჩაუვლია, ცუცუნასთანაც მოუვიდა წაკამათება — არ გეკადრება უბრალო გვარიშვილობის ქალიო — უმტკიცებდა. მოთმინება მოიკრიბა, ტაქტიანად დააშოშმინა აღელვებული დედა, გონივრული გამჭრიახობით იმდენი ჰქნა, არც მწვადი დაწვა და არც შამფური. ტკბილი ენით მოთაფლა ორთავენი, მოხერხებულად მოაგვარა საქმე. ერთმანეთს დააახლოვა რძალ-დედამთილი. ქვრივი იყო ტატიანა სრულიად ახალგაზრდა, ერთი ქალიშვილი ჰყავდა მზია

ბასილია. აღფრთოვანებული იყო ბედით, — ღმერთმა საუკეთესო მეუღლე შემახვედრაო — ხშირად ამბობდა. საქარის სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად მუშაობდა. პირადად მე სანამ ქუთაისში გადამიყვანდნენ, ხელგარჯილობას მასწავლიდა. სიმონიკა ბევრად უფროსი იყო მასზე, მაგრამ საოცრად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა სამოცი წლის კაცი, მიუხედავად მრავალი ტანჯვა-წამებისა, სახეზე მაინც არ აჩნდა იმ საშინელი ეპოქის ტრაგედია და არც უსახო სიბერის კვალი. წლებმა რა თქმა უნდა, თავისი დაღი დაასვეს, გამელოტებული თავის ყურება შინაგანად ბოჭავდა, მაგრამ მაინც ახერხებდა დაძაბულობის განეიტრალებას. ფიქრები დასახულ მიზნისკენ გადაჰქონდა და ისეთივე ახალგაზრდული შემართებით უტევდა ცხოვრებას. ცოლის მზრუნველმა ხელმა ცხოვრება გაუჯანსაღა, თითქოს სახლის ჟამისგან ჩამოშვებულ წაბლის ხის კედლებსაც იერი შეეცვალათ. ჩამუქრული ფერი გაუფერადდათ. აივნის ახლოს ფერადმა ყვავილებმა სასიამოვნო და მეტი სილამაზე შემატეს, ისედაც ლამაზ, მშვიდ და წყნარ გარემოს, ზამთრობით კვლავ გუგუნებდა რცხილის შეშით დანთებული ბუხრის ცეცხლი, ზაფხულობით კი კავკასიის მთებიდან წამობერილი გრილი იმერული ნიავის შარიშური კვლავ ატკბობდა ყურთასმენას.

ამაგდარი მწვრთნელის ფანატიკურად საქმისადმი განწყობამ ზესტაფონი სპორტულ და მოფარიკავეთა პატარა ქალაქად აქცია, იმ ლეგენდარული ადამიანის ინიციატივით მომავალი თაობისთვის სპორტული სკოლა აშენდა. სწორედ იმ სკოლის კედლებში აღიზარდნენ ქართველი სახელოვანი მუშკეტიორები ჯონდო მაჭავარიანი და ლიანა შეყრილაძე. პირველთანრიგოსნები ც. ისაკაძე, ბ. ჩინჩალაძე, რ. ნებიერიძე და სხვა მრავალი ღირსეული პედაგოგი. „სახალხო განათლების წარჩინებულისა“ და „ფიზკულტურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, სიგელებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს. რესპუბლიკის სპორტული და სარაიონო გაზეთები იუწყებოდა ბრწყინვალე მამულიშვილის, დიდი პედაგოგის სიმონ საყვარელიძის მოღვაწეობის შესახებ, რომელმაც შეძლო მოეპოვებინა თავისი გუნდისთვის, საბჭოთა კავშირის შეჯიბრებებში მიეღო მონაწილეობა, როგორც დამოუკიდებელ გუნდს, რასაც დიდი წარმატებები და გამოხმაურება მოჰყვა საკავშირო სპორტსაზოგადოებიდან, პატარა ზესტაფონის სახელი კი მთელ საბჭოეთს მოედო.

ახლა ადვილი სათქმელია იმ წარსულის შესახებ, ენას ძვალი არ გააჩნია, ამბობს ყველაფერს, მაგრამ წარმოიდგინეთ, როგორი რთული იქნებოდა ყოველივე ამის კეთება მაშინ, რამდენი სისხლისა და ოფლის დაღვრა მოუწევდა. ალბათ ღვთისწყალობა იყო, უფლის

ძალა ერია დიდი მაესტროს არსებაში, რომელსაც გამორჩეული, დამახასიათებელი თვისება შერწყმოდა — მზრუნველობისა და გულისხმიერების. ის ოცდახუთი წლის ახალგაზრდასავით იდგა, სხივმოფენილი, მომცინარი სახით შეცქეროდა ნორჩ მოფარიკავეებს და თავისი წარსული ახსენდებოდა გენერალ მაზნიაშვილთან ერთად ბათუმის ომები, თურქებთან ხმლის ჟღარუნი და სევდის გამქარვებელი სიმღერა „კლდენი ხარ ცარიელაო“.

ახალფეხადგმული ბავშვივით მიიკვლევდა გზას ოცნებების სამყაროში, მიზნების მიღწევით ტკბობას განიცდიდა, თუმცა, მის მისაღწევად მრავალი ტკივილის გადატანა უხდებოდა, მაგრამ იტანდა, ბრძოლა ყოველთვის შვებას ანიჭებდა, უნარს მატებდა. თავს ბედნიერად თვლიდა, რომ შეეძლო ბედნიერება და სიხარული სხვებისთვისაც გაენაწილებინა და მიენიჭებინა. ბედნიერი კაცი იყო, რომ ხალხს დაანახა ნიჭიერების ფასი. რაც მთავარია, შეძლო დაემტკიცებინა მთავრობისათვის ქვეყნის მტერი კი არა, გულმხურვალე პატრიოტი კაცი ყოფილა თავისი სამშობლოსი! არც განათლებითა და არც ვაჟკაცობით ჩამოუვარდებოდა ნებისმიერ სახელმწიფო ჩინოვნიკს. გულსატკენია, თავიდან სულ სხვა გზით წარმემართა ცხოვრება, უმიზნოდ და უნაყოფოდ დაეკარგა თვრამეტი წელი, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, სიმართლემ იზეიმა. საბანკეტოდ გამართულ სუფრაზე სიტყვა წარმოთქვა სპორტსკოლის ახალგაზრდა პედაგოგმა ფრიდონ იშხნელმა, ახალგაზრდა პედაგოგმა ხოტბა შეასხა უფროსი კოლეგის ღირსეულ მოღვაწეობას. „ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, — აღნიშნა დასასრულს, — ის უფრო მეტი შემართებით განაგრძობს მუშაობას, უფრო მეტ სახელოვან სპორტსმენს აღუზრდის ჩვენს საყვარელ საქართველოს!“ საღამომ ზეაღმავალი განწყობილებით ჩაიარა, იყო სიხარულისა და სინანულის ცრემლები, ბოლოს კი საქმე სიკეთისკენ მომართული. ექვსასზე მეტი ახალგაზრდა ჰყავდა აღზრდილი, მათ შორის: 56 პირველი, 127 მეორე, 267 მესამე ხარისხის თანრიგოსნები. ის დიდი რუდუნებითა და სიყვარულით აკეთებდა იმას, რისი გაკეთებაც ეწადა და უნდოდა, მაგრამ სიყვარულის შენარჩუნებისთვის იძულებული იყო ეკეთებინა ის, რაც არ უნდოდა, ყოველგვარი ზიზღის გარეშე. ალბათ, ასეთი ხასიათი გამოარჩევდა ჩვეულებრივი ადამიანებისგან. ოპტიმიზმით გაჯერებულს იმედიც ბევრჯერ გაცრუებია, მაგრამ პესიმისტი არასოდეს გამხდარა, ცხოვრებას მაინც მომავლის იმედით უყურებდა. არც ღვთის ანგელოზი ყოფილა, უშეცდომოდ რომ ეცხოვრა, მაგრამ საბედისწერო შეცდომა, უკან მიხედვის რომ შერცხვენოდეს, არ დაუშვია. არც დიდი ფული ჰქონია, მაგრამ უზომო სიამოვნებას ანიჭებდა, როდესაც გაჭირვებულს ხელს გაუმართავდა. წერდა ნაშრომებს რო-

გორ უნდა გაეწვრთნოთ ნორჩები, თუ რა სიკეთე მოუტანა თხილისა და ბროწეულის ჯოხებზე ვარჯიშმა. მეცნიერულად ამტკიცებდა, რკინის ჟღარუნი სისხლთან ასოცირდებოდა და უარყოფითად მოქმედებდა აღსაზრდელებზე. შიგადაშიგ, მოკრძალებულად კენწლავდა ხოლმე იმ ცალტვინა ჩინოვნიკებს, თავიდან რომ დასცინოდნენ, ჯოხებზე აღზრდილი თაობიდან, რა მოფარიკავეები დადგებიანო. მადლობა უფალს, რომ დაუმტკიცა მათ: „თუ გული გულობს, ქადაც კი ორთავე ხელით იჭმევაო“. მხნე და ხალისიანი სანახავი იყო, როცა სპორტულ ფორმაში გამოწყობილი, თავზე დამინული მუზარადითა და ხელში საბრძოლო იარაღით, თავდაცვისა და შეტევის ილეთებს ასრულებდა. საოცარი სისწრაფით ხან წინ, ხან უკან მოძრაობდა და იზნიქებოდა, ხან გვერდზე გადაქანდებოდა წონასწორობის შესანარჩუნებლად. უყურებდი და გეჩვენებოდა, ალბათ, ამ კაცს ძვალი საერთოდ არ გააჩნიაო.

მამაჩემი ხშირად აკითხავდა, ვერ ძლებდნენ უერთმანეთოდ, თავადაც გვაკითხავდა, განსაკუთრებით შაბათ-კვირას. ამ დღეებში არ მუშაობდა, თავისუფალი დრო რჩებოდა, ხანდახან წაიქეიფებდა, — „მუდამ ფხიზელი თვალით, ჩვენმა მტერმა უყურა ამ ქვეყანასო“ — იმერულად მოუქცევდა ხოლმე. ზამთარში, გრძელ ღამეებში, ბუხართან სახეგაწითლებულები ვისხედით და ინტერესით ვუსმენდით დედამიწის, მზის, მთვარისა და სხვადასხვა ციური პლანეტების შესახებ შეთხზულ მითებს. ვუსმენდით ძველი ეგვიპტის, ბერძნების, რომის იმპერიის ისტორიას, ვიხსენებდით მათ კავშირს საქართველოსთან. ზოგჯერ უცნაურ სიზმრებსა და მაგიური ძალების თემასაც ვეხებოდით. ყველაფერი ეს იმდენად შთამბეჭდავად მოქმედებდა ჩემზე, სულ სხვა სამყაროში ვსახლდებოდი, ღამე უცნაურ ფერად სიზმრებს ვხედავდი. დილით, როცა გავიღვიძებდი ვნანობდი. ღამღამობით, უფალს შევთხოვდი, ისეთი ტკბილი სიზმარი დამასიზმრე-მეთქი. პოლიტიკაზე არ უყვარდა საუბარი, არც ირგვლივ მყოფნი უსვამდა ამ საკითხზე კითხვას. მრავალი წელი გამიტარებია მის გვერდით და არასოდეს არ მსმენია, ერთი ძვირი სიტყვა მაინც დაცდენოდეს სტალინის მიმართ. კი მართალია, არ მალავდა, გვიამბობდა ციხეებსა და პატიმართა ბანაკებში არსებულ სიმკაცრეზე, მაგრამ პირველ პირს აუგად მაინც არ იხსენიებდა. პირიქით, სად ჰქონდა იმდენი დრო, მაშინ ტყუილი და მართალი ერჩიაო. — გვპასუხობდა. ერთი მხოლოდ, რაზედაც გული წყდებოდა, რომ არ დავეჭირეთ, ექიმი გამოვიდოდიო, ათასში ერთხელ ახლობლებში თუ წაიწუწუნებდა. ისე წუწუნი არ იცოდა და ჩვენც გვირჩევდა, რაც შეგვეძლო თავი შორს დაგვეჭირა. უმცროს მეგობარს მეძახდა, ჩემს მომდევნო ძმას „სეხნიას“, ერთ-

ნაირი სახელები ერქვათ და იმიტომ. სოფლის სკოლაში ვსწავლობდი მაშინ, კარგად მახსოვს ჩვენს სკოლაში ახალგაზრდა მოფარიკავეთა გუნდი ჰყავდა შერჩეული, იმ გუნდის წევრი მეც ვიყავი და, რა თქმა უნდა, მავარჯიშებდა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად შეიცვალა, მამაჩემმა სასწავლებლად ქუთაისის სკოლა-ინტერნატში გადამიყვანა. ასე ჩამოვშორდი საყვარელ მოძღვარს. რაკი ერთხელ ჩემში მეცადინეობის რიტმი დაირღვა სპორტის მიმართ გული ამიცრუვდა, არც ისე მაინცდამაინც თავს ვიკლავდი მისი სიყვარულით, ჰა, ჰა, რო გავყოლოდი, მესამე თანრიგოსანი შეიძლება გავმხდარიყავი. მე უფრო სიმონიკასთან დაშორება მიმძიმდა. არდადეგებზე, სახლში რომ ჩამოვდიოდი თხილისა და ბროწეულების ჯოხებს ვჭრიდი და სიმონიკასთვის ჩამქონდა. ჩემი ჭკუით ასე ვუხდიდი სამაგიეროს.

ქუთაისმა იმ გზაზე დამაყენა, რაზედაც უნდა დავდგომოდი. ნაადრევად გამახედა. ბაბთებიან გოგოსკენ, სიყვარულმა კალამი ამაღებინა და ლექსი დამაწერინა: **„შენი ბაბთები, თეთრი ბაბთები, / თვალში მიდგება მეტი ნათელი, / როცა გვერდით ხარ, ვლაღობ და ვხარობ... / ნეტავი მქონდეს არწივის ფრთები, რომ მოგატარო სამყარო მთელი, / მთვარეზე დაგსვა პატარა ქალო!“.** / იმ დღიდან მოყოლებული ვწერ და კალამი არ გამიგდია ხელიდან...

38

მგალობელთა ოჯახი სრულ სიამტკბილობაში ცხოვრობდა. ცისანამ, მარიკამ და ივიკომ შეძლეს და თავიანთი წვლილი შეიტანეს ხელოვნებაში. როგორც უკვე მოგახსენეთ, ქართულ კინოებში გაიჟღერა მათი ყელიდან ამოსულმა იმ წკრიალა ხმამ, რასაც ცრემლამდეც კი მიჰყავდა ხოლმე აზარტით დატყვევებული მსმენელი, დახვეწილი მაღალოსტატობით შესრულებული სიმღერები, ზოგჯერ წარსულში პირველ სიყვარულს, ან პირიქით დაკარგულის მიმართ განცდებს ახსენებდა, ქართული მიწის, ველ-მინდვრების სურნელს მომანატრებდა. ამიტომ იყო მათი ოჯახი ხელოვან ადამიანებისთვის საყვარელი თავშესაყრელი ადგილი. ქართული სიმღერა ყველას აჯადოებს, ისე გასაკვირველიც არაფერი იყო, მიქელაძეების მხრიდან მუსიკალობა გენებში ჰქონდათ გამოყოლილი. თუმცა, არც საყვარელიძეები ჩამორჩებოდნენ მიქელაძეებს, მშვენივრად გამოდიოდათ ეს საქმე. როდესაც მუზები მოსვენებას აღარ მაძლევდნენ შეუვლიდი ხოლმე ცისანას, რა ბედნიერება იყო გიტარით ხელში, ჩემს სულში რომ აღვიძებდა პოეზიისკენ მისწრაფების სურვილს. ფაქიზი გემოვნებით შესრულებული ღვთაებრივი მელოდიები, ხელოვნებისადმი დიდი სი-

ყვარლით მმუხტავდა და მეც მიჩნდებოდა ზეაღწევის განცდა ისე, როგორც ცისანასთვის სიმღერა, ისე ჩემთვისაც ლექსი ყველაფერი იყო. განსაკუთრებით მიყვარდა როცა წაიმღერებდა კინოფილმში ჩაწერილ „გამოაღე ფანჯრებიდან“, „რა ვქნა რომ მთებზე დაუთოვია, / ჯერ სიბერემდე ჯვარი მწერია“-ო. ამ სიტყვებში ყველაფერი იყო ნათქვამი დიდი სევდა და წუხილი, ის რასაც ადამიანი ვერ ეგუება — სიბერეა. ახლაც თვალწინ მიდგას ცისანას სევდით სავსე თვალები, მაგრამ ამავე დროს, დიდი სიამოვნების მომნიჭებელი. როდესაც თბილისში გადმოვედი 1965 წელს სასწავლებლად, მათ ვყავდი შეკედლებული. ცისანასთან და ივიკოსთან მაქვს გატარებული სიჭაბუკე, როგორც მოგახსენეთ, პლეხანოვზე, მარჯანიშვილის მოედანთან ცხოვრობდნენ. დათიკო ისევ მარნეულში თამბაქოს მეურნეობის დირექტორად მუშაობდა. ოჯახს დეიდა თამარი განაგებდა. ბოლო დროს ჯანმრთელობა შეერყა, გული აწუხებდა. ივიკო, მერაბი და სუხარა კვლავ სუხიშვილების გუნდს დაჰყვებოდნენ საგასტროლოდ, ხან საზღვარგარეთის, ხან საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. პარალელურად ივიკო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა, მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე. ივიკოს ვყავდი მონათლული, მასთან გვერდით ყოფნა ყოველთვის მაღფრთოვანებდა. ასაკითაც არც თუ ისე დიდი განსხვავება იყო ჩვენს შორის, სულ რაღაც შვიდი-რვა წელი. დეიდა თამარი ზრუნავდა ჩემზე, თვალს მადევნებდა ცუდს არაფერს გადავყროდი. ბავშვობიდანვე გადაჭარბებულად მორიდებული და მორცხვი ვიყავი. ეს ჩვევა დღემდე გამომყვა, ვერ გადავეჩვიე — რა თქმა უნდა, ცოტა მორიდებული უნდა იყვე, მაგრამ ზედმეტად არაო — მეუბნებოდნენ, მაგრამ ამაოდ.

ნანი თუ საგასტროლოდ არ იყო წასული, ხშირად იცოდა შემოვლა. თავისი ნატიფი ხმით, უერთდებოდა დეიდაშვილებს და ყოველგვარ შეჭირვებას უხსნიდა თამარს. ეამაყებოდა ღვთისნიერი ნიჭით დაჯილდოებლი დისშვილი დეიდას, არა მარტო დეიდას, არამედ მთელ საქართველოს. ახალგაზრდა ქალი სასწაულს ახდენდა. ლამაზ წუთებს ჩუქნიდა სცენიდან მაყურებელს. ნანი მაშინ ლეგენდარული ანსამლ „ორერას“ სოლისტი იყო. შესანიშნავი აღნაგობის მქონე ქმარი ჰყავდა მერაბ მამალაძე, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ძველი ვერელი. ახლობლები „მამალოს“ ეძახდნენ. ერთი ქალიშვილი ჰყავდა პატარა ეკა, ნანის დედა ცაბუ ზრდიდა შვილიშვილს დედობასაც უწევდა და ბებიობასაც სხვანაირად არ შეეძლო ნანის, სახლში რომ დამჯდარიყო, ხომ დავარდებოდა ღვთისგან მოვლინებული ტალანტი?

ჯუნა მიქატაძეს, ცნობილ მოქანდაკეს, ჰყავდა ცოლად მარიკა. უკვირდათ, როგორ შეძლო მან სილამაზით განთქმული მანდილოს-

ნის გულის მონადირება. სწორედ იმ მანდილოსნისა, რომლის სურათი ამშვენებდა თბილისის ვიტრინებს. ლომივით გაშმაგებული ბიჭები სიყვარულითა და ღვინით გაბრუებულები ძველ ბაიათებს უმღეროდნენ, თავს აწონებდნენ, მის ხელში ჩაგდებას ნატრობდნენ. აკი ახდა პავლეს ნაწინასწარმეტყველები სწორედ. ეს პატარა მარიკა იქნება ჩვენს გვარში მესამე, არაჩვეულებრივი სილამაზის მქონე ქალბატონიო“. გარდა პოლიტიკური პროგნოზებისა, მახვილი, უტყუარი, თვალიც ჰქონია პავლეს...

ჯუნას მშობლები შოთა მიქატაძე და ელენე მაჩებელი მოქანდაკეები და სამხატვრო აკადემიის პროფესორები იყვნენ. სტუმართა და კაცთმოყვარეობით განთქმული ოჯახი ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩემში, სულიერად ვისვენებდი. იმ შესანიშნავი ადამიანების სითბოს ვგრძნობდი, ხელოვანთა სახელოსნოში, სიამოვნებას მანიჭებდა სიახლეების ძიება. თიხისგან ადამიანების გამოძერწვა-შექმნა და სულის ჩადგმა. საბურთალოზე, ანაგის ქუჩაზე, ორსართულიან, ვეებერთელა წითელი აგურის სახლში ცხოვრობდნენ. სახლს გვერდით უმშვენებდა არომატიანი, გემრიელი ხილით სავსე ეზო, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი მაღალი გემოვნებით იყო გაკეთებული, უცხო თვალიც ადვილად შეამჩნევდა, რომ იქ მცხოვრები ადამიანები ჩვეულებრივი სფეროს წარმომადგენლები, რომ არ იყვნენ. არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონს ჯუნას, როგორც ხელოვანს, ხედვის, არსების, ძიების, აღმოჩენისა და ანალიზის დიდი უნარი გააჩნდა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, როდესაც მის ძეგლებს შეჰყურებ, მკაფიოდ ჩანს იმ ეპოქის დამახასიათებელი აჩრდილები, რომელშიდაც მისი გმირები ცხოვრობდნენ. განსაკუთრებულ სიმპათიას ტოვებს ჩემში „გალაკტიონი“ და „იეთიმ გურჯი“, დიდოსტატი განსაკუთრებულ დატვირთვას და ემოციას ანიჭებდა თითოეულ ნაკვთს, რათა უფრო გაეღრმავებინა შთაბეჭდილება. დამაჯერებლად წარმოეჩინა თავისი გმირების ჟამთან შეურიგებელი ვაჟკაცური ბუნება, უფრო ნათლად წარმოესახა და დაეხატა კაზმული სიტყვის თაყვანისმცემელთა სახეები. იმედით შევცქეროდით იმ გულანთებული ხელოვან ადამიანთა შარავანდედით გაბრწყინებულ თვალებს და მეც მეწადა, მათ მიერ შექმნილი გმირების სახეებს ცოტათი მაინც დავმსგავსებოდი...

ჯუნა თავდაუზოგავად ბევრს მუშაობდა. გვიანობამდე სახელოსნოში ტრიალებდა. თიხა მისი სხეულის განუყოფელი ნაწილი იყო. პროფესორი გახდა, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა, ჭეშმარიტი სულისკვეთებით მუხტავდა, საოცარი სიყვარული და სიხალისე, რაღაც განსხვავებული გრძნობა უჩნდებოდათ

ხელოვნებაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, როცა აუდიტორიის წინაშე გამოსულ მის ლექციებს უსმენდნენ. დედისერთა იყო, მაგრამ ბუნებით „დედის ბიჭი“ არ ყოფილა. უბრალოდ, როგორც ქალაქელს, ქუჩური წესებიც კარგად ესმოდა, თუ საჭიროება მოითხოვდა წაიხულიგნებდა კიდეც. ამ ქვეყნად სულ მთლად კეთილი ადამიანები არ არსებობენ და, თუ სადმე თითო-ოროლა მოიძებნება, არანორმალურად თვლიან, რადგან სიკეთე და ბოროტება ყოველ ადამიანშია და ერთმანეთშია შერწყმული, ასევეა ცხოველებშიც. რაც მთავარია, საზოგადოებაში კაცური კაცის სახელი ჰქონდა მოპოვებული და ყოველთვის დარჩება ჩვენს გულებში როგორც ერთადერთი ძლიერი მოქანდაკე.. წარმოშობით გურიიდან იყო, ძვალ-რბილში ჰქონდა გურული იუმორი. მას არ ახასიათებდა ამპარტავნება, ამიტომაც უყვართ, მადლიანი იუმორი კინოშიც გადაიტანა, ფილმში „კუჭხი ბედნიერი“ პაჭუს როლი განასახიერა, როლი ზუსტად ჰქონდა მორგებული. ისეთ კაცად მოგვევლინა, როგორიც სინამდვილეში იყო. წარმატებას წარმატება ემატებოდა, მომდევნო ფილმებში „ხანძარი და სიყვარული“ და „ოტელო“, იმდენად მაღალ დონეზე და არტისტურად წარმოაჩინა თავის თავი რომ, კინემატოგრაფიის ისტორიაში დატოვა უკვდავი სახელი, მაგრამ მთავარი ხელწერა მაინც ჯუნასთვის თიხიდან ადამიანების გამოძერწვა, ფანტაზიაში ჩაღრმავება, სულის შთაბერვა და მათი გაცოცხლება ყოფილა.

იუმორში ძლიერ მეტოქეობას სიმამრი და ცოლისძმა უწევდნენ. მეტად საინტერესო ხდებოდა სუფრაზე სამთავე ერთად რომ შეიკრიბებოდნენ სახუმაროდ დაბერილ ყანყრატოებს რომ მიუშვერდნენ ერთმანეთს, გამარჯვების ჟინით პირაქაფებულები. სახუმარო სიტყვების კორიანტელს რომ დააყენებდნენ. უმეტეს წილად დათიკო ჯობნიდა ორთავეს. მახსოვს ბოლო დროს მძიმე ავადმყოფმა, სარეცელზე მიჯაჭვულმა მაინც იუმორით დაასრულა სიცოცხლე. სანამდის უბედურება მოხდებოდა, წინადღით სანახავად მივედი. ტანი მიგრძნობდა ვერ იყო საქმე კარგად. ფეხის ხმაზე მცნობდა, მყისვე წამოდგებოდა, აივანზე გამოვიდოდა და სკამზე ჩამოჯდებოდა ხოლმე. თავისივე აჩემებულ სიმღერას, ენის ბორძიკით წაიმღერებდა: **„დედას ვახსოვართ შვილები, / დედა არ გვახსოვს შვილებსა, / ამიტომ წუთისოფელი / მუდამჟამს გვაცოდვილებსა“.** / საძინებელეში შევედი, საწოლში იწვა, ხელები გულზე მიცვალებულივით ჰქონდა დაჭდობილი. ელდა მეცა, მაგრამ როცა დავრწმუნდი სუნთქავდა, გულზე მომეშვა. ივიკო და ჯუნა დაღონებულები ბოლთას სცემდნენ. საწოლს მივუახლოვდი, სანთელივით ჩამოღვენთილ სახეზე დავაშტერდი, წლებისგან დაღლილი, მაგრამ მაინც ამაყი კაცი იწვა ჩემს წინ. მაშინვე ვიგუმანე ამა

ქვეყნისა რომ აღარ იყო. სხეულში ჟრუანტელმა დამიარა, ტვინი ამემღვრა, მინდოდა რაიმეთი მივშველებოდი, რომ ვერ ვახერხებდი ბრაზი მერეოდა. სასწაული მოხდა, თვალები მოულოდნელად გაახილა, მისუსტებული ხმით ივიკოს მიმართა: — ივიკო, შვილო, მგონი დავბრმავდი, ველარაფერს მივჩერებივარ, იქნებ რამე მიშველოთო. ექიმები დაესივნენ, ცოტათი რომ მოიხედა ივიკომ ტკიცინა ოცდახუთმანეთიანი დაანახა, თუ გამოიცნობ რა რაოდენობისაა, შენი იყოსო. რა თქმა უნდა, გამოიცნო. მეორედ თუმნიანი აუფრიალა, ისიც გამოიცნო, ჩამოართვა კუპიურები და ბალიშისქვეშ ამოიდო. ივიკომ მესამედ დაჭმუჭნილი მანეთიანი ამოიღო, დათიკომ დაასწრო — ჯუნა მიქატაძეს გადაეციო, მიუგო და ოდნავ გაუღიმა. სახეზე ისეთი მიმიკა გამოეხატა, ყველას სიცილი აგვიტყდა. ეს იყო მისი ბაგეებიდან წარმოთქმული ბოლო იუმორი.

ჯუნასთან ახლოს ვიყავი, ისე ახლოს რომ ზღვაზე დასასვენებლად როდესაც მიდიოდნენ, სახლში მტოვებდნენ მცველად. წარმოიდგინეთ მოქანდაკეების უზარმაზარი სახლი, კიბის მოაჯირებზე გამოსახული სხვადასხვა ბიუსტებით, ნატურმორტებითა და სურათებით მორთული კედლები. იდეალური სიჩუმე და სიმარტოვე. უემტესწილად მიხაროდა საკუთარ თავთან ასეთ გარემოში მარტოდ დარჩენა. წარმოსახულ ოცნებებში ფერად მუზებთან ერთად მთელი ღამე ხეტიალი, უბრალო ხასიათის მქონე კაცი იყო, თანატოლივით მიყურებდა. ცოტა არ იყოს მეუხერხულებოდა ასეთი პატივის მოგება. ის ამას გრძნობდა, მსაყვედურობდა, თანაც კმაყოფილი რჩებოდა. მოსწონდა უმფროსუმცროსი რომ ვიცოდი... სოფელთან არ ყოფილა მწყრალად, ჩამოდიოდა ხოლმე. ლურჯი ფერის ვოლგა ჰყავდა, ცხვირზე გაჭენებული ირმის ფიგურით. ირინა და ეკა მამალაძეც ჩამოჰყავდა, მაგრამ დაკოჟრილი მუხები აღარ ამშვენებდა კარმიდამოს, აღარც ცაბუას ფუსფუსი ისმოდა. მიტოვებულ სახლს მარიკა ალაგებდა და ასუფთავებდა და დიასახლისობდა კიდეც. ზაფხულის გრძელი დღეები უფრო სასურველი მაშინ ხდებოდა, როდესაც ყველანი ერთად თავს მოიყრიდა, რაც იშვიათად ხდებოდა. დათიკო განუყრელი „ზაუერით“ მწყერებს მოინადირებდა. თამარი მოზრდილ ტაფაში შეწვავდა მჭადის ფქვილში ამოვლებულებს. აივანზე ნოყიერი კერძებით ისადილებდნენ, შემდეგ ბებერი ლეღვის ჩრდილში მხარ-თეძოზე წამოწოლილები ცისანადა და მარიკას პაროდიებს უსმენდნენ. ჩითის ჭრელ, უბრალო კაბებში უფრო ლაზათიანები ჩანდნენ. გრძელფეხება, ფუნჯით დახატულ ანგელოზებს ჰგავდნენ. თავზე დიდრონი ჭილის სომბრეოები ეხურათ, გემრიელ ლეღვს შეექცეოდნენ. გარდასახვის მაღალი უნარი გააჩნდათ, შეუდარებელი არტისტიზმით სიცილს ჰგვრიდნენ მსმენელებს. მწვანე

მინდორი თეატრის სცენას ემსგავსებოდა თბილისში წასასვლელად რომ აიყრებოდნენ. განშორების წუთები გვანაღვლიანებდა, განსაკუთრებით დედაჩემი განიცდიდა, თამართან და ნანის დედასთან უჭირდა დაშორება, მამაჩემს დათიკოსთან. სანამ შეჩვეულს გადავეჩვეოდით, შებოჭილად ვგრძნობდით თავს, მოწყენილები შევყურებდით უკაცრიელ გარემოს და ვნატრობდით, ზაფხული მალე დამდგარიყო...

ერთ ქალიშვილს დაჯერდნენ ჯუნა და მარიკა, ირინაზე მეტი შვილი აღარ გაუჩენიათ. ირინა მხატვარი იყო პროფესიით, სამხატვრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული. მალე პოპულარობა მოიპოვა, გამოფენაც მოაწყო და მხატვართა კავშირის წევრიც გახდა. ამაში გასაკვირი არაფერია, ღმერთმა ნიჭი და უნარი იმიტომ დააყოლა, სამშობლოსთვის უნდა გახარჯულიყო, ფუნჯით ხელში მტკიცედ უნდა ევლო ამ სახიფათო გზაზე, მაგრამ აღარ დაცალდა, ბედის გამრიგემ მწარე ხვედრი არგუნა — ტრაგიკულად დაიღუპა. ტრაგედიამდე მოახერხა, იმთავითვე მოასწრო და საზოგადოების ყურადღება მიიქცია, როგორც უშრეტი ენერგიით სავსე ხელოვანმა. ფარაჯანოვის ფილმში „ამბავი სურამის ციხისა“. კოსტიუმების მხატვრად მოგვევლინა, სწორედ ამ ფილმით მოხდა თამარ საყვარელიძისა და ირინა მიქატაძის საოცარი დამთხვევა. აბა, გაიხსენეთ ჩემო ძვირფასებო, 1922 წელს როდესაც აღნიშნულ ფილმს იღებდნენ კინორეჟისორმა ივანე პერესტიანმა ვარდუას როლში თამარი ათამაშა. ნახევარი საუკუნის შემდეგ, როდესაც მოხდა ხსენებული ფილმის აღდგენა, ირინა მიქატაძე საყვარელიძეების შთამომავალი, გვევლინება კოსტიუმების მხატვრად, და კიდევ, რაც მთავარია, ორთავემ ოცდაექვსი წელი იცოცხლა, თამარი დაიბადა 1898 წელს, გარდაიცვალა 1924. ირინა კი 1959 დაიბადა და 1985 წელს დაიღუპა. მადლობა ღმერთს, იმდენი მაინც ადროვა და შანსი მისცა ეკრანზე შემორჩა ორთავეს სახე. ფილმში „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ თავმჯდომარის ქალიშვილის როლი განასახიერა ირინამ და ერთი როლითაც შეძლო თავისებური აქტიურული გარდასახვით თავი დაემახსოვრებინა მომავალი თაობისათვის. ბუნებრივია, მეტს გააკეთებდა, რომ დაცლოდა, დღემდე რომ მოეღწია. ამ წლების განმავლობაში როგორ წაადგებოდა ქვეყანას მისი ნიჭიერება. ახალი სახე და ხელწერა შეემატებოდა ეკრანებსა და ტილოებს. ირინა ბუნებით უბრალო და თავმდაბალი იყო, ჰყავდა არაჩვეულებრივი სამეგობრო. არ უყვარდა ვისაც პოპულარობა თავში ჰქონდა ავარდნილი... ლიკა ქავჟარაძესა და დათო მაღრაძესთან ერთად პლეხანოვზე ცისანასთან მოდიოდნენ, გიტარაზე უკრავდნენ, მღეროდნენ, ლექსებს კითხულობდნენ. ხელოვნებაზე საუბრობდნენ. უკეთესი სხვაგვარი გართობა

ვერც კი წარმოედგინათ. ეჰ, მაინც სულ სხვა იყო ის ახალგაზრდული წლები. როგორი ლამაზი და მიმზიდველნი იყვნენ.

ცნობილ მსახიობს გია ფერაძეს დაუკავშირა თავისი ბედი ირინამ, მასთან ერთად გადაწყვიტა გაეზიარებინა ჭირი და ლხინიც. წარმატება თუ წარუმატებლობაც. მასთან ერთად უნდა ეზიდა ის მძიმე უღელი, რის ტარებასაც გვაიძულებს ცხოვრება. გია ცნობილი იყო როგორც კინოში, აგრეთვე რუსთაველის თეატრის სცენაზეც გარკვეულ სიმაღლეზე იდგა, თავისი ადგილი ეჭირა თეატრალურ სამყაროში. მან მოახერხა თავისებური დამახასიათებელი შტრიხი დაეტოვა ეკრანებზე. გაიხსენეთ ფილმები: „არასერიოზული კაცი“, „მოიტაცეს თამარ ქალი“ და მრავალი კიდევ სხვა. გარდა სამსახიობო ნიჭიერებისა მისი ცხოვრება მარტო ეკრანებითა და სცენით არ ამოწურულა, ლექსებსაც წერდა. მიკვირს, რატომ არ ბეჭდავდა, რატომ არ უზიარებდა მკითხველს თავის შინაგან განცდებსა და ემოციებს. ერთი ქალიშვილი დარჩათ მარიკა. სამწუხაროდ, დედობა და მამობა ვეღარ გაუწიეს, მწარე ბედმა აღარ აღირსათ...

დასანანია...

39

კარგად ახსოვთ ჩემი თაობის წარმომადგენლებს ზესტაფონის ქუჩებში, მაღალი, ხმელ-ხმელი, სპორტული აღნაგობის, შავ კოსტიუმსა და შარვალში გამოწყობილი, თავზე ამავე ფერის ცილინდრით, ხელში საბიჯგი ჯოხით, მაგრამ მაინც შემართული ნაბიჯებით მოსიარულე მამაკაცი. იშვიათად მოიპოვებოდა იმ დროს ისეთი ადამიანი, რომელიც ასე თავდაუზოგავად იზრუნებდა ქვეყნისა და ახალგაზრდების მიმართ. ის მორწმუნე ღვთისნიერი კაცი იყო და ცდილობდა მხოლოდ სიკეთე ეკეთებინა. ის არასოდეს ერეოდა ინტრიგებში, რომ საკუთარი თავი სხვებზე უკეთესად წარმოეჩინა. არც შურით ყოფილა შეპყრობილი. ის უბრალოდ, უკომპრომისოდ ასრულებდა ყველა იმ დავალებას, რაც ღმერთისგან ჰქონდა მიცემული.

ნეტავი, იმდენი ძალა საიდან შესწევდა იმ გაძვალტყავებულ სხეულში, რომ ახალგაზრდების სული განეწმინდა, განემტკიცა და გაეკეთილშობილებინა? სახელოვნად აღეზარდა და ცხოვრების სწორ გზაზე დაეყენებინა. მკერდს უმშვენებდა დღის შუქით გაბრწყინებული მედალიონი, რომელზედაც მთავრული, რუსული ასოებით ეწერა: „სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი“, რომელმაც დიდი რაოდენობით ოფლის ღვრისა და დაუღალავი შრომის ხარჯზე მოიპოვა საყოველთაო აღიარება. სწორედ ეს კაცი გახლდათ სიმონ საყვარელ-

იძე, რჩეულთა შორის რჩეული, რომელსაც 1960 წლის 13 ოქტომბერს, სსრ კავშირის საბჭოს პრეზიდიუმისა და საკავშირო სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის სახელი მიენიჭა.

ო, დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი, რომ არ დაუკარგე ამაგი და მიეცი იმდენი ძალა და ნებისყოფა, მოეპოვებინა მტკიცე ადამიანისა და წარჩინებული პედაგოგის სახელი. დაილოცოს შენი მადლი, ღმერთო! კაცს ვისაც ხალხის ღალატში სდებდნენ ბრალს, მოღალატე კი არა, გულანთებული პატრიოტი ყოფილა თურმე... სამოცდაოთხი წლის ასაკში მიაღწია ბედნიერების იმ მწვერვალს, რომელზედაც მთელი თავისი ცხოვრება ოცნებობდა. თითქოს შვებით ამოისუნთქა. მოჭარბებულ სიხარულს, როგორც შინაგან დაძაბულობას ძლივს უმკლავდებოდა. გულს იმ სიხარულის გადატანა უფრო უჭირდა, ვიდრე იმ სიმწრისა და ხიფათებისა, რაც თავს ჰქონდა გადახდენილი. თვალებიდან ცრემლი წასკდა, ის არც სიხარულისა და არც სინანულის ყოფილა, ის მხოლოდ გამარჯვების ცრემლი იყო. იმ ცრემლებმა სულიერად დაამშვიდა, თავი ჭაბუკივით იგრძნო, ბედნიერი იყო რომ დაუმკიცა საზოგადოებას თავისი მეობა, კაცური კაცობა...

რესპუბლიკის ცენტრალური სპორტული გაზეთი „ლელო“ და ადგილობრივი „ლენინელი“ გამოეხმაურნენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ისინი უშურველად აქვეყნებდნენ ინტერვიუებსა და სტატიებს ამადგარ ადამიანზე. საქართველოს სპორტის ისტორიას, კიდევ ერთი ლეგენდარული ადამიანის, სიმონ საყვარელიძის გვარი და სახელი შეემატა. რუსული პრესაც აქტიურობდა. გადაჭარბებულად არა, მაგრამ შიგადაშიგ, როგორც იმ დროს შეეფერებოდა, აქვეყნებდნენ მისი გუნდის წარმატებებს. უფრო მეტად ღმერთი მფარველობდა, ხელს უმართავდა, ერისთვის თავდადებულ და შემწე კაცს.

თბილისიდან ყოფილმა პირველმა მეუღლემ და შვილიშვილებმა თემურიმ და მანანამ ჩამოაკითხეს. ჩვეულებისამებრ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, შედგა შეხვედრა, ყოფილმა მეუღლეებმა შეხვედრისთანავე, უხერხულობის დასაფარავად, ოდნავ გაიღიმეს და ცნობისმოყვარე გამჭოლი მზერა ესროლეს ერთმანეთს. ორთავეს კარგად ესმოდა, არცერთის ბრალი არ ყოფილა ის, რაც მოხდა, უბრალოდ, ცხოვრებამ მოიტანა და მოსახდენი უნდა მომხდარიყო. მაშინ პირველად ვიხილე რაფიელ ერისთავის შთამომავალი და დიდი ილია ჭავჭავაძის ნათლული კატუშა ტუსიშვილი, რაღაც განსხვავებული თავადური იერი რომ დათამაშებდა სახეზე. დიდი ინტერესით ვათვალიერებდი, კარგად მესმოდა ვისი გორისა იყო, ყურებამდე ვიყავი შეყვარებული რაფიელ ერისთავის პოეზიაზე. განსაკუთრებით მომწონდა „სადაც ვშობილ-

ვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი“... ეს სტრიქონები თავს უფრო მეტად მაშინ მახსენებდა, როდესაც ჩემს მშობლიურ სოფელს ვშორდებოდი, როცა ავტობუსი ქუთაისისკენ მიმაქროლებდა, სკოლაში სასწავლებლად...

დიშვილებმა, მშვენიერი თამარისა და კოლაუ ნადირაძის ქალიშვილებმა, ნელიმ და მარგომაც გაიზიარეს ბიძის ბედნიერება, ჩამოვიდნენ და თან მამის ლექსების კრებული ჩამოუტანეს, კოლაუს ხელით წარწერილი: „კარგ ქართველს, კარგ ქართველისაგან“...

სამოთახიანი ბინის ფართი გამოუყვეს ზესტაფონის ცენტრში. რკინიგზის სადგურთან ახლოს, ყოფილ ლენინის ქუჩაზე, საკმაოდ სქელკედლებიან სახლში, პირველ სართულზე. შესასვლელ კარებზე, თუნუქის ნაჭერი ჰქონდა მიკრული და იგივე ეწერა, რაც მედალიონზე, გულზე ჩამოკიდებულს რომ ატარებდა. უხაროდა ბინა რომ მისცეს, მთავარი, ერთ-ერთი პრობლემაც მოეხსნა — სუსხიან ზამთარში, აღარ მოუწევდა ზემოთ და ქვემოთ სიარული, ისედაც მუხლები აწუხებდა. ყოველდღე მძიმე ნაბიჯების გადადგმა, არც თუ ისე იოლი საქმე იყო. მაგრამ გული რომ წყდებოდა, სოფელთან განშორება რომ უჭირდა, სახეზე აშკარად ეტყობოდა. უმძიმდა კარ-მიდამოს უპატრონოდ დატოვება, გულს უთუთქავდა და ნერვებს სწყვეტდა. თბილ ბუხართან საუბრებით გატარებული დრო ხელიდან რომ ეცლებოდა და მოგონებათა სკივრში იკეტებოდა.

საქართველოს საზღვრებს გაცდა და საბჭოეთს მოედო სიმონიკას სახელი. საბჭოეთიდან ევროპის ბევრ იმ ქვეყნებსაც სადაც უყვარდათ ფარიკაობა. რაც უფრო მაღლა მიიწევდა, მით უფრო მატულობდა მოშურნეთა რიცხვი, რადგან შეუძლებელია სიკეთის კეთება ბოროტების გარეშე. ალმაცერად უყურებდნენ, ცდილობდნენ ხელი შეეშალათ, მაგრამ უფლის ნებით მარჯვედ იდგა და მოხერხებულად იგერიებდა მათ მიერ შემოტევებს. „არ გაგიკვირდესო, — მეუნებოდა, — ადამიანს მტერი რომ არ გააჩნდეს, უმოძრაობით სული აღმოხდებოდაო!“ გაოცებული შევყურებდი იმ სასწაულ ადამიანს, ყოველთვის ახალს ვსწავლობდი მისგან. ბედის კმაყოფილი ვიყავი, რომ ასეთ ადამიანთან შემახვედრა. მეამაყებოდა მასთან სიახლოვე, ჩემს წინ იდგა კაცი, ვისაც შესწევდა იმის უნარი, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალი გამოენახა და გაემარჯვა. მას არ ეშინოდა განსაცდელისა, ამ ქვეყნად მოსულ გონიერ არსებას თან აქვს დაყოლილი განსაცდელის განცდა, რადგან ბრძოლის უნარიანობა არ დაკარგოს ცხოვრების მიმართ. მეც მავარჯიშებდა შიში რომ დამეძლია, როდესაც მოსაღამოვდებოდა, ეზოდან რაიმე ნივთის მოტანას მავალებდა, თან წინასწარ მიხსნიდა, სიბნელეში ყველა საგნები ფორმებს იცვლიან, ზოგჯერ ცხოველებს,

ზოგჯერ ფრინველებს და ადამიანებსაც კი ემსგავსებიანო. ასე მაჩვევდა სიგულადეს შიშის გრძნობა რომ დამეთრგუნა. წინასწარ გეგმას ადგენდა, დანიშნულ დროს რა უნდა ეკეთებინა, როდის უნდა ევარჯიშა, ესაუზმა და სამსახურში წასულიყო. უმეტესწილად, ჩასვლა-ამოსვლა ფეხით უწევდა. ფიზიკურ შრომასაც არ თაკილობდა. თოხნიდა, ბარავდა, თესდა და მკიდა, ოღონდ საკუთარ თავს შთააგონებდა და განწყობას უქმნიდა, ადამიანს ყველაფრის დაძლევა შეუძლია თუ მოინდომებსო. საათივით აიწყო ცხოვრება. ჩამოიშორა ყველაფერი ის ბრალდება, რაც ჩრდილს აყენებდა. ცხოვრება უტევდა, მაგრამ არ ეპუებოდა, ეჭიდებოდა და იქეთ უგრეხდა კისერს მზაკვრებსა და ცბიერებს. ყველას აშკარად დაუმტკიცა სიყვარულსა და იმედს წინ ვერაფერი აღუდგებოდა.

წამზომის ისრის წიკ-წიკში მიწანწკარებდა დრო. ოთხმოცდამეჩვიდმეტე გაზაფხულს ეგებებოდა ცუცუნა, სიბერეს უკმაყოფილებით აღიქვამდა. გულის კუნჭულში ეშინოდა კიდეც მისი. თავს შორს იჭერდა, ცდილობდა გაქცეოდა საბიჯგ ჯოხზე დაყრდნობილი. მართალია თმა მთლად გაუჭაღარავდა, სახის კანიც საზამთროდ გადანახულ ვაშლივით გაუყვითლდა და ჩამოეჭკნო, მაგრამ ტანი მაინც შერჩა ახალგაზრდული, არც მხრებში მოხრილა. მთელი თავისი სიცოცხლე ხმელ-ხმელი, ლერწამივით სწორი ტანი შეუნარჩუნდა.

ძველი თაობიდან ცუცუნა და ცაბუა შემორჩნენ ცოცხლები, მიუხედავად იმისა ერთ გადახურულში ცხოვრობდნენ, ახალგაზრდობა თითქმის გვერდი-გვერდ ჰქონდათ გატარებული, სიბერის ჟამს მათი გზები მაინც გაიყარა მზიას გარდაცვალების შემდეგ, ცაბუა თბილისში დარჩა საცხოვრებლად, თუ მას ცხოვრება ერქვა. ძაძებში გამოხვეული სარეცელზე მიჯაჭვულმა ისე დაასრულა სიცოცხლე, ფეხზე აღარ წამომდგარა, თვალები ცრემლებით ევსებოდა სანახავად როცა ჩავდიოდით, სასთუმალთან ახლოს ჩამოვუჯდებოდი, მძაფრი განცდებით შეპყრობილი, დაღონებული შეყურადებდი ძლივს წარმოთქმულ მის სიტყვებს: საქარა... სახლი... მისუსტებული ვარჩევდი. თოვლის გუნდასავით ქცეულ, თეთრ, ფუნჩულა ხელისგულით მეფერებოდა და მე ვგრძნობდი იმ ხელისგულიდან გადმოფრქვეულ სითბოს, ვერცერთი ბებიების სითბო ვერ შეედრებოდა ამ ქვეყანაზე! სოფელს თვალში დააკლდა ცაბუა, ყველა განიცდიდა, გულდათუთქულები იგონებდნენ წარსულს, ტკბილი მოგონებებით ტკივილებსა და ჭრილობებს იშუშებდნენ. ღმერთო, რა ძნელი გადასატანი იყო ზამთარი, უკვამლო ბუხრების გარეშე! და კიდევ, გაუსაძლისად მეჩვენებოდა როცა სიმონიკაც ოჯახთან ერთად, ზესტაფონში გადადიოდა გამოსაზამთრებლად, მაშინ ზამთრის ბურუსში გახვეული სახლ-კარი,

ზღვის ფსკერში ჩაძირულ გემივით, უკაცრიელი ხდებოდა! საყვარელ-იძეების ნაფუძვნარი ნამოსახლარს ემსგავსებოდა...

რვა-ცხრა წლის ვიქნებოდი ლექსების წერა რომ დავიწყე. ამის მიზეზი სიყვარული გახდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პირველად ქუთაისში რომ შევიგრძენი. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე ყოველთვის ისეთი გოგონები მომწონდა, ვისაც მე არ მოვწონდი და არ ვუყვარდი. ალბათ, ეს იყო ყველაზე მეტი სტიმულის მომცემი ჩემში. ხელში კალამი ამეღო და ისეთი ლექსი დამეწერა მათი ყურადღება მიმეპყრო. ჩემი გულისტკივილი კაზმული სიტყვით გამომეხატა: **„წაუკრია ტყემალს თავი, / თეთრი თავსაფარით, / ათამაშებს მღვრიე ტალღებს, / ჭომის ცელქი ქარი“** /. ზოგჯერ სურვილი მიჩნდებოდა, რაკეტით უცხო პლანეტაზე გავფრენილიყავი ჩემს მეოცნებე გოგონასთან ერთად. ეს სურვილი მაშინ იური გაგარინის კოსმოსში გაფრენამ აღმიძრა. რა ბედნიერი ვიყავი გაზეთებში დაბეჭდილ პირველ კოსმონავტის სურათს როცა შევყურებდი, სურვილი მიორკეცდებოდა, უსასრულობაში დავეხეტებოდი, ვერცხლისფრად მბრწყინავ, ბადრ მთვარეზე შემომჯდარი, კოსმონავტი მინდოდა გავმხდარიყავი. ლექსები მეწერა და ლექსებით სავსე რვეული პლანეტიდან პლანეტაზე მეტარებინა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლილი კანდელაკი აღმოჩნდა პირველი მესაიდუმლე, ვისაც ჩემი ნაცოდვილარი გავანდე. მართალია, მე არ მასწავლიდა, ის ჩემი აღმზრდელი იყო სკოლა-ინტერნატში, განსაკუთრებულ წამოსულ სითბოს ვგრძნობდი მისგან. მეორე მასწავლებელი თამარ მიქაუტაძე გახლდათ, ვინც დედასავით მიყვარდა და ვცდილობდი მალე დამდგარიყო ის დღე გაკვეთილზე შემოსული მეხილა და ის სითბო, შემდეგ გამოუცდელი კალმით თეთრ ქაღალდზე გადმომეტანა.

ლილი გაუთხოვარი ახალგაზრდა ქალი, სუსტ მხარზე ჩანთაგადაკიდებული, მუხლებზემოთ ოდნავ მოკლე შავი ვიწრო კაბით, მუქი წითელი პერანგითა და ამავე ფერის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით, ნიავში დარწეულ ალვასა გავდა. **„სიო ვარდის ფურცლებს ფანტავს, / გამოაღე კარი სახლის... / მზემ სვირინგად დამახატა, / აპრილივით თეთრი ქალი“.** / კითხულობდა ლილი ჩემს ლექსებს. ჩვეული ღიმილით მიღიმოდა. თავზე ნაზად მისვამდა თავის მგრძნობიარე ფუნჩულა ხელს და თან მეუბნებოდა: —„ მხოლოდ ცალმხრივ სიყვარულს შეუძლია ისეთი ლექსი დაგაწერინოს, ტანში რომ ჟრუანტელს მოჰგვრის მკითხველს, თვალის უპეებს ცრემლი რომ დაუსველებს, შენს ტკივილს რომ გაითავისებს. გისურვებ, ბევრი თუ არა, ერთი ლექსი მაინც დაგეწეროს ასეთიო“... მეხუთე კლასის მოსწავლე ვიყავი მაშინ, დღემდე ყურში ჩამესმის ის სიტყვები, დღემდწე თავს ვიმტვრევ და

ღმერთს ვევედრები, ის ერთი ლექსი დამაწერინოს. **„გულში შემომრჩა მხოლოდ იმედი, / თხოვნით ვაგზავნი ცაში წერილებს, / ღმერთო მაღალო, სულის აღმძვრელო, / ის ერთი ლექსი დამაწერინე!“** / ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა, ზოგიერთი სამუდამოდ გაქრა მეხსიერებიდან. ბევრი რამ რიონმა თან წაიტანა, ზღვებსა და ოკეანეებში ჩარეცხა. ჩემს გულში კი მაინც შემორჩა დღემდე, იმ თეთრბაბთებიანი გოგონას სახე! ტყემლების ფიფქში გახვეული ქუთაისი, ჯაჭვის ხიდთან ბეტონის ჯებირებს მოხეთქებული რიონის გიჟმაჟი ტალღები... ეჰ, ვინ იცის, ან ვინ მოთვლის, რამდენი სასიყვარულო სტრიქონი აგურის ნატეხით რიონზე გადებულ რკინის ხიდებზე წამიწერია, როცა კაეშნით სავსე მაისის მზე, თავზე ოქროს სხივებს მაფენდა. როცა ძარღვებში სისხლი მიდუღდა და ქალაქის უსწორ-მასწორო ქუჩებში, ძირგაცვეთილი სანდლებით, დაუღალავად დავეხეტებოდი.

დედამ და მამამ იცოდნენ ჩემი მომადლებული ნიჭის შესახებ. ტრაგიკული შემთხვევა გახდა მხილების მიზეზი. ჩემი დეიდაშვილი ავარიაში მოჰყვა. ლექის მივუძღვენი მის ხსოვნას, ორმოცზე სუფრასთან შეკრებილ სტუმრებთან, ხმამაღლა წაიკითხეს, და რა თქმა უნდა, ავტორადაც დამასახელეს. ასე მომიტანა იმ ლექსმა პოპულარობა ახლო ნათესავებში. ყველას სურდა თავად მე წამეკითხა, მაგრამ ამაოდ, — ვერ დამიყოლიეს. დავიმორცხვე, დღემდე შემომრჩა ეს უცნაური ხასიათი. არ შემიძლია აუდიტორიის წინაშე ლექსის წაკითხვა. თუმცა, ბავშვობაში, მამაჩემი ჩემს მომდევნო ძმასთან ერთად აკაკის პოეზიას გვაზიარებდა და „სულიკოს“ გვამღერებდა. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მაინც ვერ „მომარჯულა“; უკვირდა, განაწყენებული მეუბნებოდა: — ვინ ეშმაკს დაემგვანეო! თავად შესანიშნავად ორატორობდა და თამადობდა. ამ მხრივ ვერ დავემსგავსე, შეხედულებით შუაზე გაჭრილ ვაშლივით ვგავართ ერთმანეთს. თავდავიწყებით უყვარდა აკაკი, ზეპირად იცოდა „გამზრდელი“ — მსგავსი რამ მსოფლიოში არავის დაუწერიაო, — თამამად აცხადებდა...

როგორც იქნა, ბევრი ფიქრისა და ჭოჭმანის შემდეგ, გადავწყვიტე ჩემი ლექსები სიმონიკასთვის წამეკითხებინა, სანამ სრულყოფილ გადაწყვეტილებას მივიღებდი ერთი სიკვდილი გავათავე. ცოტა არ იყოს, მეშინოდა, სიმონიკა მკაცრ შემფასებლად მეჩვენებოდა. საქმის გაიოლების მიზნით, ლამაზი კალიგრაფიით გადავწერე რვეულში ათიოდე ლექსი და ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ვესტუმრე. აივანზე არ დამხვედრია, ჭასთან ახლოს, ბებერი ლეღვის ჩრდილში იჯდა და ლეღვს მიირთმევდა. ლურჯი სპორტული კანტებიანი ფორმა ეცვა. ზაფხულის ცხელ დღეებშიდაც კი სციოდა, ხელები ყინულივით ცივი

ჰქონდა, გადასახლებაში ყოფნისას მოყინულ ორგანიზმს ზაფხულის მზეც კი ვეღარ უთბობდა. ფეხზე ღაზლისგან მოქსოვილი სქელი წინდები ეცვა, პენსიაში გასულს, როგორც დამსახურებულ მწვრთნელს, სოლიდურ თანხას აძლევდნენ. ვინ მოასვენებდა? სანამ პირში სული ედგა, სანამ პერანგის ტარებას შეძლებდა, ბოლომდე უნდა გახარჯულყიო, ჰაერივით სჭირდებოდათ, უმოძრაოდ ვერც თავად ძლებდა და არც მოსწავლეები მისცემდნენ ამის საშუალებას. მომავალი მუშკეტიორები თვალებში იმედიანად შესციცინებდნენ.

რვეულით ხელში რომ დამინახა, მიხვდა რაღაც აუცილებელ საქმეზედ რომ ვიყავი მისული, ჯირკვზე ხელით მიმანიშნა, ჩამოჯექიო, რვეულისთვის მზერა არ მოუცილებია. ვაი, შენს ნოდარის! თავში დამცეცხლა, ავწრიალდი. დაბნეულობისგან ადგილს ვეღარ ვპოულობდი, ვყოყმანობდი, თავზარი დამეცა. რას გამოაპარებდი, კარგად ესმოდა ჩემი. იმწუთშივე იგუმანა ჩემი ვიზიტის მიზეზი, რვეული ჩამომართვა. ბევრი ფიქრი არ დაჭირვებია, უარყოფითი ემოციებისგან განვიმუხტე. — ნუ ღელავ, დაწყნარდი, ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ, მოდი, აგერ ჯირკვზე ჩამოჯექიო. საუბარი ლეღვზე გადაიტანა, თან ისე მადიანად შეექცეოდა, პირი ნერწყვით ამევსო, თეფში გამომიწოდა. დაგემოვნება შემომთავაზა. გული საგულეში რომ ჩამიდგა, სახეზე ფერი რომ დამიბრუნდა, ლოყაზე მიჩქმიტა, მერე ჯიბიდან სათვალე ამოიღო, რვეული გაშალა თუ არა, ლამაზი კალიგრაფიის გამო, ქება დავიმსახურე, გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო. ეჰ, რას გაუგებ გულს. შექებაზედაც და კრიტიკაზედაც იცის კალაპოტიდან ამოვარდნა და პულსის მომატება. აუჩქარებლად კითხულობდა, სახეზე ღიმილი, ზოგჯერ გაკვირვება ეხატებოდა. მწიფე ლეღვისა და ჭყინტი სიმინდის სურნელში ჩაფლული სოფელი, არნახული სილამაზის სანახავი იყო. ამვლელ-ჩამვლელი ეზოებსა და ვენახებში, ჩაყვითლებულ ყურძნის მტევნებზე რჩებოდათ თვალი. ზაფხული იწურებოდა და ხვავით სავსე შემოდგომა ახლოვდებოდა. ვიდექი ასე მუნჯივით. გულზე ხელებდაჭდობილი და ნაირ-ნაირ ხილის სურნელისგან გაბრუებული, ხან ცას, ხან შორით მთების შემოგარენს გავყურებდი. ვიდექი და ველოდი, როგორც სასამართლოს წინაშე წარმდგარი დამნაშავე, განაჩენის გამოტანას ელოდება. გაცილებით ადრე, ლილი კანდელაკმა რომ გამომიტანა პირველი განაჩენი, ყველაფერმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. მაშინ ისე პატარა ვიყავი, ვერ ვგრძნობდი იმდენს, კარგად ვერ ვამჩნევდი შავსა და თეთრს.

ჯირკვზე მორიდებულად ჩამოვჯექი. იქვე, გვერდით, ორადგადაკეცილი გაზეთი „ლელო“ იდო, ფრთხილად ავიღე და გავშალე. გაზეთის მეორე გვერდზე სიმონიკას ორი სურათი იყო განთავსებული.

ნორჩ მოფარიკავე გოგოსთან ერთად. სურათს ქვემოთ პეტიტის ასოებით შავად ეწერა: საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. კ. საყვარელიძე ახალბედა მოფარიკავეს, მედიკო ნადირაძეს ამეცადინებს. მეორე სურათი კი მის ავტოპორტრეტს წარმოაჩენდა, იქვე იყო ა. განუგრავას წერილი სათაურით „იგი თავის სიტყვას შეასრულებს“. „ვიშრომებ ძველებურად, აღვზარდო ჯანსაღი, გამჭრიახი გონების ახალგაზრდები“. — ასე ამთავრებდა განუგრავასთან ინტერვიუს საყვარელი მოძღვარი. მოშურნე არ ვყოფილვარ, მაგრამ როგორც კი კითხვას მოვრჩი, ჩემდა უნებურად გამიჩნდა სურვილი, გაზეთში ჩემი დაბეჭდილი ლექსები მეხილა. რა თქმა უნდა, სურათთან ერთად, თვალი ზეცისკენ გამექცა. ჩუმად გონებაში ღმერთს შევევედრე: „მამაზეციერო, იქნებ ჩემსკენაც შემოატრიალო ბედის ბორბალი, პრესის ფურცლებიდან ჩემმა გვარმა და სახელმაც მიიქციოს მკითხველის ყურადღება“.

როგოც იქნა დაადგა საშველი, რვეულში ფურცელი მოინიშნა და დახურა. თბილად გამიღიმა, ღიმილი დადებითად მენიშნა. სახეზე სისხლის მოწოლა ვიგრძენი. ალღოთი მივხვდი კიბორჩხალასავით რომ გავწითლდი. რვეული კვლავ გადაშალა ჩანიშნულ გვერდზე გელათზე მიძღვნილი ლექსი ხმამაღლა წაიკითხა: **„გავცქერი გელათს იმედის თვალით, / ღვთის ძალით რწმენას რა დამიკარგავს. / მე იქ ვიპოვნე თავშესაფარი, / შეყუჟული ვარ მეუფის კალთას“.** / აშკარად ეტყობოდა ეს ტაეპი ყველაზე მეტად მოსწონდა, არ შევმცდარვარ, შემაქო, — კარგად დაგინახავს გელათიო! სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს როდესაც პირში მაქებენ. ვერც იმას ვიტყვი, არ მსიამოვნებს მეთქი, მაგრამ, გაცილებით მირჩევნია, ჩემს დაუსწრებლად თქვან ის, რისი ღირსიც ვარ... სიმონიკა ზომიერების მოყვარული კაცი იყო. ასე რომ, ზომაზე მეტი არც ქება იცოდა და არც კრიტიკა. გამოთვლილი ჰქონდა დახარჯული ენერგიის აღსადგენად რამდენი უნდა ესვა და ეჭამა, რამდენი საათი უნდა დაესვენა. ახალგაზრდებსაც ასე შთაგვაგონებდა: გიყვარდეთ ზომიერება, განსაკუთრებით საკვების მიღებისა. ყოველთვის დაიტოვეთ შიმშილის შეგრძნება, ისე ნუ ამოივსებთ მუცელს, რომ სუნთქვა გაგიჭირდეთო. ვერ იტანდა ზანტებსა და ღიპიანებს. „კუჭის მონებს“ ეძახდა, პირის გემოს აყოლილი ადამიანები საკუთარი თავის მტრები, უბრალოდ მეცოდებიან ისინი, თავის სიცოცხლის ძვირფას წლებს ასე უზომო სმა-ჭამაში ატარებენ და სხვა რამის მეტი, არაფრის მაქნისები არ არიანო. კაცი უნდა მიდგე-მოდგე. სხარტი და მოქნილი უნდა იყო, ის რაც არ იცი, შეეკითხო და ისწავლო მისგან, ვინაც იცის? არაფერია, ცოდნის შეძენის ძიებაში უხერხული და სამარცხინოო! პირიქით, ის მეტად სამარცხვინოა, როცა ჰგონია იცი, მაგრამ, საქმე

საქმეზე რომ მიდგება, არ გეცოდინებაო! მასთან სიახლოვემ დადებითი შედეგი მოახდინა ჩემს გარდატეხის პერიოდში. ბევრი უარყოფითი თვისება დავგმე, ბევრი დადებითი შევიძინე. უპირველეს ყოვლისა, გამაკეთილშობილა და სიკეთესთან გამაწონასწორა. მიუხედავად იმისა, შვილიშვილად შევეფერებოდი, თანატოლივით მედგა გვერდით. მესაუბრებოდა და აზრს მიზიარებდა. მეც უფრო მეტი ხათრითა და მოწიწებით ვეკიდებოდი, თავს ვთრგუნავდი. უფროს-უმცროსის ზღვარს არ გავცლოდი, ბალანსი არ დამერღვია. მუსიკალური ლექსები მოსწონდა: — მდინარესავით რიტმულად უნდა მორაკრაკებდესო, მეც მუსიკალური სტრიქონები ლოცვასავით ჩამესმოდა ყურში, ფერად განცდებში ჩაძირული ღმერთთან მაახლოებდა და მეჩვენებოდა, თითქოს მეცხრე ცის სინათლის ბრკიალსაც ადვილად ვამჩნევდი და ვუსმენდი მესამე განზომილების ახალ სიმფონიასაც. უჩუმრად გამოვბრუნდი, პირჯვარი გადავიწერე, მომეჩვენა თითქოს სადღაც ვეებერთელა მუხის ძირში, ლილი კანდელაკი იდგა. მიხმო, თავზე ხელი ნაზად გადამისვა და კვლავ მისურვა: — „ბევრი თუ არა, ერთი ლექსი მაინც დაგეწეროს ისეთი, მკითხველს შენი გულისტკივილი გადადებოდეს და გაეთავისოსო“...

ღამეებს ფიქრებში ვატარებდი, წარმოდგენილი მქონდა აუარებელი ხალხით სავსე დიდი დარბაზი, სადაც სცენაზე გამოსული არტისტი ჩემს ლექსებს კითხულობდა. მოხდა სასწაული და იმ ღამით სიზმარში აკაკი წერეთელი ვიხილე, ტყავის უზარმაზარ სავარძელში მჯდომარე. მეფური შეხედულების მქონეს ისე როგორც სურათებშია, გრძელი წვერით, მარჯვენა ხელში წიგნი ეჭირა მეფესავით ქადაგებდა: „დედაშვილობას ბევრს არ გთხოვ, / შენს მიწას მიმაბარეო“. / შევბედე და ახლოს მივედი, გული სიამაყით მევსებოდა. კრძალვით ჩავიმუხლე, როგორც ხატის წინ იჩოქებს მლოცველი. მისი სახიდან წამოსულ ცაფირუზის სხივებში გავეხვიე. მეორე დღეს სიმონიკას დაწვრილებით სიტყვა-სიტყვით მოვუყევი სიზმრის შესახებ და თან დავძინე: — სიმონიკა ბიძია, აკაკის არც მედროვე ვყოფილვარ და არც ნათესავი ყოფილა ჩემი, კი მართალია, ბებია წერეთელი მყავდა, მაგრამ ახლო ნათესაური კავშირი მასთან არ ჰქონია. საოცარია პირდაპირ, საიდან სად მომძებნა სიზმარში რომ გამომეცხადა-მეთქი...

— ბედნიერ ვარსკვლავზერ ყოფილხარ დაბადებული, ბედი გწყალობსო! — ღიმილით მითხრა. აღფრთოვანებულმა მხარზე წამომარტყა და განაგრძო: — ღმერთთან თავად აკაკი გიწევს შუამდგომლობას. ეს იმას ნიშნავს, შენი ოცნებები ასრულდებაო. რაც შეეხება შენს კითხვას, ჩემი ნათესავი არ ყოფილაო, კარგად დაიმახსოვრე შვილო, რომ აკაკი ყველა ჩვენთაგანის ახლო ნათესავიცაა და საყ-

ვარელი პოეტიცო. ამის შემდეგ გადის რამოდენიმე წელი და აკაკიმ თავი სიზმარში ორჯერ შემახსენა, მეორედ როცა ვიხილე რუსეთში ვცხოვრობდი მაშინ, საქართველოში დაბრუნება მირჩია. მესამედ, სამშობლოში დაბრუნებულმა, თბილისში ბინები რომ მივიღე, პირველ-ღამესვე გამომეცხადა, ვიღაც ლამაზ ქალთან ხელკავგამოდებული. ჩემს საძინებელში შემოვიდა, ჩემს უფროს ვაჟს შუბლზე აკოცა და უკანვე გაბრუნდა და თან დამიბარა: — შენი წიგნები დაიბეჭდება, სიცოცხლით კი ოთხმოცდაორ წელიწადს იცოცხლებო. რას მოასწავებს შუბლზე კოცნა და როგორ დასრულდება მისი ნაწინასწარმეტყველური, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, ჩემი წიგნები მართლა გამოიცა...

ამ ქვეყანაზე ღმერთის გარეშე არაფერი ხდებაო, ყველას გაგვიგონია, ბევრს სჯერა და ბევრს არა. პირადად მე მაინ დავრწმუნდი, როდესაც იესო თავად გამომეცხადა და შუბლზე მაკოცა. განა ერთხელ, ისიც აკაკივით სამჯერ ვიხილე. სასწაულია პირდაპირ! ოცნებები, რომლის ახდენა ზღაპარშიდაც ვერ წარმომედგინა, ამიხდა! წიგნებიც გამოვეცი, ცოლიც შევირთე, ბინაც მივიღე. მწერალთა კავშირის წევრიც გავხდი და ორი ძეც შემეძინა... სამწუხაროდ, ეს ბოლო სამი სიზმარი, იესოს გამოცხადება, სიმონიკას ვეღარ მოვუყევი, ის იმ დროს ცოცხალი აღარ იყო... ამაზე მეტი სასწაული რაღა უნდა მომხდარიყო ჩემს ცხოვრებაში, აკაკიმ ჩემს ვაჟს აკოცა შუბლზე, იესო ქრისტემ მე. იქნებ, ამ სიბერის ჟამს, მოხდეს კიდევ ერთი სასწაული და ჩემს თოვლნაყარ სტრიქონებიდან, თოვლის ნამქერი ჩამოლხვეს და იქედან ამოხეთქილ იის სურნელით გაჟღენთილ კაზმულ სიტყვებს, მკითხველის გულამდე მიეღწიოს... მაშინ კი ნამდვილად ერთს კიდევ ვიწამებ, სიბერეშიდაც არსებულა ბედნიერება!..

საულვაშეზე ღიღილოები რომ წამომეზარდა, ხმა რომ დამიბოხდა, მაშინ ვიგრძენი ბავშვობიდან სიჭაბუკეში რომ გადავინაცვლე. მხრები წამომეზარდა, გაუხედნავი კვიცივით დავრბოდი ღონიერ ფეხებზე შემდგარი და ცხოვრებას ვეურჩებოდი. გასახედნავად მოშვერილ უღელს კისერს ვარიდებდი. მეგონა გავექცეოდი. ეს ის წლები იყო, ცუდი საქმის კეთება ვაჟკაცობად რომ მიგვაჩნდა. სწორედ იქედან იწყებოდა ყველა ის მავნე ჩვევები, მოწევა, დალევა, ჩხუბი, ქალებზე ნადირობა, ქურდობა და ათასი მამაძაღლობა. სწორედ საყვარელიძეების დამსახურებაა ის, რომ ავცდი გამრუდებულ გზაზე სიარულს. რა თქმა უნდა, ლექსებსაც დიდი როლი მიუძღვის. მიზანდასახულობამ, წიგნების გამოცემაზე ფიქრმა, ამაცდინა სატანისებურ ცდუნებებს. ისე არ გამიგოთ, თითქოს ანგელოზად ვარ დაბადებული. ქრისტეს მცნებიდან შეიძლება ერთი ან ორი მქონდეს ბოლომდე შესრულებული. კაცისთვის არაფერი მომიპარავს, არც ვინმესთვის ცილი დამიწამებია

და შემშურებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, როგორც ვეძახით ხოლმე, კეთილ შურს, ხანდახან მართლა მინატრია, დაუძრახველი კაცის სახელი დამრჩეს ამ ქვეყანაზე!

გარდატეხის პერიოდში სიმონიკასთან სიახლოვემ, წინა ხაზზე ჩემი მიზანდასახულობა დააყენა და უკან რომ აღარ დამეხია ის სულიერი სიმტკიცე იყო საჭირო, რასაც ის რწმენით მისახავდა. მე კი ღმერთს ვევედრებოდი: „ღმერთო, ის ერთი სულის აღმძვრელი, / ის ერთი ლექსი დამაწერინე“. / ბოლო დროს ავადმყოფობა დაჩემდა სიმონიკას, მაგრამ, სულიერად მაინც არ გატეხილა, ყინვისგან დაზიანებული მუხლები ისე მოეკვეთა, გადაადგილება ყავარჯნების გარეშე აღარ შეეძლო. შეძლებისდაგვარად, ვეხმარებოდი, თუ მე არ მეცალა, ჩემი ძმები მენაცვლებოდნენ. გვერდით ვედექი, მხარზე ხელს გადამხვევდა და ისე დამყავდა, ზოგჯერ ზესტაფონში — რაიონის სპორტკომიტეტში, ან სკორტსკოლაში. მოსწავლეებთან შეხვედრა ყველაზე მეტად მარგებელი და უებარი წამალი გახლდათ — მხნეობას მატებდა, სასოწარკვეთილებას აცილებდა. პირველი შეტევა გაღმა საყვარელიძეებიდან, ხევის გამოვლით, ანუ მოკლე გზით, შინ რომ ვბრუნდებოდით მაშინ მოუვიდა. პატარა მოჩუხჩუხე ღელეს გადმოვაბიჯეთ თუ არა, უცებ მოცელილ ბალახივით ჩაიკეცა. იქვე ბებერი ფუღუროიან ბჟოლის ქვეშ ქვაზე წამოვაჯინე. შუაზაფხულის ცხელი საღამო იდგა, მწველი მზე დასავლეთისკენ მთებს იქეთ ნელ-ნელა ეშვებოდა, მერე იმერულმა გრილმა ნიავმა დაბერა, შუბლზე ოფლი შეგვაშრო და ღილებჩახსნილ პერანგში შემომიძვრა და გადახურებულ სხეულზე საამურად შემომიღიტინა. რაღაც უნდა მეღონა, სახლამდე სამასი მეტრის აღმართიანი გზა რჩებოდა ასავლელი. მზე ჩავიდა, ბინდი თანდათანობით მატულობდა, მაღალი მთები წვერწაწვეტილ პირამიდებს ემსგავსებოდნენ, სწორედ ისეთებს, ჩვენი სასწავლო, ძველი მსოფლიოს ისტორიის ყდაზე რომ იყო დახატული. ბევრი აღარ მიფიქრია, ჩავიმუხლე და ზურგზე მოვიკიდე. ცამეტი-თოთხმეტის არც ვიყავი. მართალი რომ გითხრათ, არ გამჭირვებია. კაფანდარა, გამხდარი კაცი იყო. მაღალ წვივებქვეშ ხელი ამოვუდევი, მაღლით ვეწეოდი, ფეხები მიწისთვის რომ ამეცილებინა. ღმერთი ვახსენე და აღმართს ავუყევი. ღელის გამოღმა ყანები იწყებოდა, დასავლეთის მხრიდან ბროწეულების ცოცხალი ღობე ეკრა და საცალფეხო ბილიკიც იმ ღობის გვერდით გადიოდა. იქვე წყარო ამოჩუხჩუხებდა, ლამაზად გათლილ ქვებში ჩასმული, ცოტა ზემოთ, ვეებერთელა ტანის მქონე კუნელი ხარობდა. იქ შევისვენეთ, სული მოვითქვით, კუნელის წვერზე ნახევრადწრიული მთვარე ვერცხლის ყანწივით ეკიდა. ჯერ კიდევ, ახლო-მახლო მდებარე საგნებს პირვანდელი სახე არ და-

კარგოდათ. თვალს ისევ შეეძლო მათი გარჩევა. მოკასკასებულ ციდან მბრწყინავი მთვარის ძაფივით წვრილი სხივები, ჩონგურის სიმებივით გაჭიმულიყო ცასა და დედამიწას შორის და ამ ორ პლანეტას ერთმანეთთან აკავშირებდა.

ჩაფიქრებული იჯდა და თავი იდაყვებს შორის ჰქონდა ჩარგული, ეტყობოდა წარსულს იხსენებდა. ვინ იცის რამდენი ტკბილი საღამოები გაუტარებია ამ კუნელის ქვეშ მხარ-თეძოზე წამოწოლილს, რამდენჯერ პეშვით წყალი შეუსვამს ამ ცივი წყაროდან, დაუვიწყარ დებთან, ნინასა და თამართან ერთად. მეც ფიქრთა მორევში გადავეშვი, ქუთაისს გადავწვდი ბაბთებიანი გოგონა გამახსენდა! ო, როგორ მომინდა მასთან ერთად უსასრულოდ მეხეტიალა, ამ უსასრულობაში და მასზე ლექსები მეწერა: **„დავცქერი რიონს, მევსება გული, / მერცხლებმაც უკვე აიდგეს ენა, / მზე რომ მიღიმის, მზე რომ მიცინის, / შენი სიცილი მგონია კარგო...“/.**

იმ ღამეს ძილი გამიტყდა, ფიქრებში ჩაძირული გონებაში გამთენიამდე ვწონიდი ჩემს ნამოქმედარს, მიხაროდა მადლიერების გრძნობა რომ გამიჩნდა. სიკეთესა და მთელ ჩემს ენერგიას იმისთვის დავხარჯავდი, ოღონდ ჩემს ჩანაფიქრში ხელი მომმართვოდა. მაშინ ცხოვლად ვიგრძენი რაოდენ სიამის მომგვრელი ყოფილა გაჭირვებულ კაცს რომ წაეშველები. სწორედ, იმ ღამეს მქონდა სულიერი კავშირი სულიერ სამყაროსთან და ღმერთს შევევედრე: „ღმერთო, სიკეთის კეთების უნარი არ მომიშალო“-მეთქი!

მზე შუბის ტარზე იდგა, როდესაც ჩავაკითხე, ძველებურ ტახტზე სპორტულ ფორმაში გამოწყობილი იჯდა, ხელში კოლაუ ნადირაძის ლექსების წიგნი ეჭირა და კითხულობდა. დამინახა თუ არა, წიგნის დახურვა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა — ჩემი საყვარელი ლექსი უნდა წაგიკითხოო, - გამომიცხადა და „თბილისიდან საგურამომდე“ დაიწყო. ნაღვლით სავსე სტრიქონებმა ჩამითრია, დიდი ილიას ხსენებამ გული შემიქანა. კარგად მესმოდა, ვისთანაც მქონდა საქმე, ბევრი რამ მსმენოდა და გაგონილი მქონდა იმ ბუმბერაზი კაცის შესახებ. მისი მწარე ბედით აღშფოთებულს გონებაში გამკრა: ღმერთო დიდებულო! სადაური წეს-კანონია, ერისა და სამშობლოს მოყვარულ სულიერ მამებს, ასე უღვთოდ რომ ექცევიან?!

კითხვა რომ დაასრულა, წიგნი დახურა და მომიბრუნდა: — ვერ მოესწრებიან ჩვენი მტრები, საქართველო მიწასთან გაასწორონ, ღმერთი არ დაუშვებს, მათ იპარპაშონ ღვთისმშობლის წილ მიწა-წყალზეო... — სახტად შევყურებდი მკაცრი ცხოვრებისგან სხეულგაყინულ კაცს, რომლის გაძვალტყავებულ მკერდში, საოცრად თბილი და მგრძნობიარე გული ტოკავდა. შევყურებდი და მიკვირდა, რომ ვერ

შეძლეს ღმერთისკენ სავალი გზიდან მისი ჩამოშორება. ის ერთგული დარჩა იმ პატარა ღვთისმშობლის ხატისა, რომელსაც პერანგის ჯიბით, გულთან ახლოს, სიცოცხლის ბოლომდე, რომ დაატარებდა. წამოსადგომად ხელი შევაშველე, დამოუკიდებლად სცადა, რომ ვერ შეძლო, ქუთუთოები დაუსველდა, მაშინ პირველად ვიხილე მის თვალებში ცრემლი, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო. დანამული გუგები ამოიწმინდა. მეორედ, ცუცუნას როცა ვასაფლავებდით, დედასთან სამუდამოდ განშორების მწარე წუთებმა, თავისი გაიტანეს... გული ამოუჯდა. ცახცახებდა. სამიწედ მაინც არ ემეტებოდა დედის გაყინული სხეული. ლილი იყო ჩამოსული, ადრე არასოდეს მყოლია ნანახი, ძალიან მაინტერესებდა არტისტი ქალის ხილვა, უფრო სწორედ, ჰქონდა თუ არა მსგავსება მშვენიერ თამარის სურათთან მის სახეს. მაინცდამაინც დიდი მსგავსება მამიდასა და ძმიშვილის შორის მე ვერ დავინახე, სამაგიეროდ, ალიკვალი სიმონიკას განსახიერება იყო ფერითა და აღნაგობით. ქერათმიანი, კეთილი თვალებით, გრძელი ხელის თითებითა და ლამაზი ფრჩხილებით. საოცრად ჰგავდნენ მამა-შვილი ერთმანეთს. მონუსხული იდგა ბებიის კუბოსთან, გრძელ წამწამებიან, ცრემლიან თვალებს აფახულებდა, სუსტი მხრები ნიავით წამონაბერ ყვავილივით უთრთოდა. შოთა არ ედგა გვერდით, როგორც შემდეგ გავიგე მოსკოვში ყოფილა წასული ფილმის გადასაღებად. არადა, ოცნებად მქონდა გადაქცეული შოთასთან შეხვედრა. ბევრი რამ ვიცოდი ვინც იყო რეჟისორი შოთა ქარუხნიშვილი, მსმენია მის მიერ გადაღებულ „ერმიტაჟის“ შესახებ. აგრეთვე სპეციალური გადაცემაც მიჰყავდა ტელევიზიით, რაც სიმონიკას მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული. სამწუხაროდ, ისე გარდაიცვალა, ვერ მოვახერხე მასთან შეხვედრა და გაცნობა.

ასი წელი იცოცხლა ცუცუნამ, წლისთავზე ცაბუა ბებიაც მიჰყვა უკან, ოთხმოცდაოთხი წლის ასაკში. ასე გამოგვეცალა ხელიდან საყვარელი ბებიები, მიდიოდა ძველი და მოდიოდა ახალი თაობა, ასე ტრიალებდა საათის მექანიზმივით დროის სივრცეში მომწყვდეული კაცობრიობა. საქარის მიწაში განსვენება ბედმა წილად აღარ არგუნა ცაბუას, თავად ანდერძად ჰქონდა დაბარებული; როცა მოვკვდები მზიას საფლავთან ახლოს დამასაფლავეთო. სურვილი აღუსრულეს, ვაკის სასაფლაოზე გამოუძებნეს სამუდამო სასუფეველი, გულზე თავისი ეზოს მიწა გადააყარეს, დედაჩემისგან ჩატანილი.

წლებს წინ ვინ აღუდგება, სიმონიკასაც წამოეპარა სიბერე. ამას კიდევ ავადმყოფობაც დაემატა. ის მაინც არ ეპუებოდა არც ერთსა და არც მეორეს, ყოველ დილით ჯოხებით ხელში ვარჯიშობდა, სიბერესა და დაუძლურობას ებრძოდა, ისე როგორც, 1921 წელს, იარაღასხ-

მული ახალგაზრდა იუნკერებთან ერთად, წითელ არმიას გასაქანს არ აძლევდა, საქართველოს ოკუპაცია რომ არ მოეხდინათ. ომი წავაგეთ. დავრამცხდით. მაგრამ ღირსებაშეულახავი დამარცხება სჯობს, ღირსებაშელახულ გამარჯვებასო. მაშინ ვერ ვასახიერებდი, თუ რას ნიშნავდა „ღირსებაშელახული გამარჯვება“, როდესაც წამოვიზარდე და ჩავწვდი მისი წინადადების შინაარსს, მაშინ მივხვდი, თუ როგორი ძლიერი სულის მქონე ადამიანი ყოფილა. რატომ განუცხადა უარი მოსკოვიდან სპეციალურად მოვლინებულ კაცს, რომლის განზრახვა იყო მოსკოვში წაეყვანა სამკურნალოდ...

40

1967 წლიდან 1979 წლამდე რუსეთში ვცხოვრობდი, რაღაც უცნაური წინათგრძნობა დამჩემდა. ქალაქიდან ქალაქში ხეტიალი მოხეტიალე რაინდს, დონკიხოტს მამგვანებდა და დულსინეას საპოვნელად დამატარებდა ვნებააშლილს. საკმაოდ რთული ცხოვრება გამოვიარე. არ ყოფილა ისე იოლი და ია-ვარდებით მოფენილი ცხოვრების გზა, სიჭაბუკეში რომ მეჩვენებოდა. დროდადრო წელი საუკუნესავით იჭიმებოდა. ზოგჯერ ისე მეცლებოდა თვალსა და ხელსშუა ვერაფერს ვგრძნობდი. თითქმის ყველაფრის ნახვა მოვასწარი, სიმწარე მეტი ვიგემე, ვიდრე სიტკბო. სიდუხჭირის გადატანისას თვალწინ სიმონიკას სახე წარმომიდგებოდა და მყისვე რწმენით მავსებდა. უნდა ამეტანა, თავი დამეღწია და გამეძლო განსაცდელისთვის. რუსულმა ყინვებმა კიდევ უფრო მაგრძნობინა სამშობლოს, მშობლებისა და ახლობლების ფასი, ვერავითარმა სატანურმა ძალებმა ვეღარ შეძლეს ამოეგდოთ ჩემი გონებიდან შთაგონებული რწმენა, ურწმუნო რომ გავეხადე. ბოშურ ცხოვრებას ვეწეოდი, ოლქიდან ოლქში გადავდიოდი, თავიდან ენითგამოუთქმელ სიამოვნებას მანიჭებდა ასეთი ხეტიალი. იყო რაღაც რომანტიკული იმ ხეტიალში, ათასნაირ სჯულის ხალხს ვხვდებოდი, ენის ცოდნასაც ვიღრმავებდი, კითხვა მიყვარდა და ვკითხულობდი პუშკინს, ლერმონტოვს, ნეკრასოვს, ბლოკს, ვოლოშინს, ბალმონტს, ტიუტჩევს, ესენინს, მაიაკოვსკის, ახმატოვას, ცვეტაევას, პასტერნაკს, ჩუმად შევძელი და გულდასმით წავიკითხე „ექიმი ჟივაგო“. დიდი შთაბეჭდილება დამიტოვა კლასიკოსმა მწერლებმა ტოლსტოიმ, ჩეხოვმა, დოსტოევსკიმ, შოლოხოვმა, ალექსეი ტოლსტოიმ, ტურგენევმა. მათი სტრიქონები სულიერ სიმტკიცეს მმატებდა, თავიდან მაცილებდა მრავალ ხიფათსა და უსიამოვნებას, რასაც გამოუცდელობის გამო, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება გადავყროდი. ახალგაზრდა ვიყავი არც სასმელსა და ქალებს ვიკლებდი. მაგრამ ზღვარს

არ გადავდიოდი, ვითრგუნებოდი ზომიერება რომ დამეცვა. ვშიშობდი ცდუნების მონა არ გავმხდარიყავი. ამიტომ, შეუპოვარი ბრძოლა მიწევდა სატანურ ძალებთან. უდიდეს სიხარულს კი მაშინ ვგრძნობდი, როცა საკუთარ თავთან გამარჯვებული გამოვდიოდი. ბავშვობიდანვე გონებაში ასე მქონდა შთაგონებული — საკუთარ თავთან გამარჯვება, ყველაზე დიდი გამარჯვებაოო... ერთი რისი გათანასწორება მიჭირდა და ვერ ვახერხებხი სიბრაზე იყო. გულფიცხობა ზომაზე მეტი გამომაყოლა გამჩენმა, რომ არა გადამეტებულ სიბრაზე, სულ სხვანაირად წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება. ასე იყო მამაჩემიც, ერთ წუთში იცოდა ძლიერი აფეთქება, სამაგიეროდ, მეორე წუთში აღარაფერი ახსოვდა. გულს ამოიღებდა და მოგცემდა. ამ მხრივ ძალიან ვგავდით ერთმანეთს მამა-შვილი, გადაჭარბებულად თავაზიანებიც ვიყავით და ბრაზიანებიც.

არ ვიცი, რა ვუწოდო დამთხვევა თუ ღმერთის ნება, მე უფრო ღმერთის მგონია. იმ ადგილებშიც მომიწია ცხოვრებამ, სადაც სიმონიკა იხდიდა სასჯელს. მართალია, სოლოვკაში არ ვყოფილვარ, მაგრამ, არხანგელსკში, კოტლასა და პლეცისკის რაიონებშიც მეც დავუკბენივარ კოღოებს. ბელმორის არხშიდაც, რომელიც კარელიასა და მურმანსკს აკავშირებს ერთმანეთთან, სადაც ვანლერ დაისელის ძვლებია ჩასილული, ტალღებს შევჭიდებივარ, ტალღების ჭიდილში მისი ლექსი მახსენდებოდა: **„ეხლა გულის ძგერით ღამე დაისერა, / დგება სურვილები მშიერ ვეფხვებივით, / გრძნობის ქარიშხლები ვანლერ დაისელო, / ეხლაც ბზიკებივით გულზე მესევიან“...** / მოსკოვით დავიწყე და ვორკუტით დავასრულე რუსეთში ჩემი ცხოვრება. ვორკუტა. — ზამთრობით სუსხყინვიანი, ზაფხულობით, გაუსაძლისი კოღოებით სავსე, მეშახტეთა ქალაქია. ფერად მუზებთან ღამის ტეხვა ჩვენს სასიქადულო მწერალ ლევან გოთუასა და პოეტ შალვა მჭედლიშვილს და მათ შორის ყოფილ ჩემს მასწავლებელს შოთა შავგულიძესაც არგუნათ ბედმა... ვორკუტში შევხვდი აგრეთვე დავით ფაჩუაშვილს, მას სამუდამო გადასახლება ჰქონდა მისჯილი. გაგრელი იყო დაბადებით, კარგად ხატავდა და მღეროდა. სამამულო ომის დაწყებისას პარიზში მოუხერხებია გაქცევა, მაგრამ არ გაუმართლა, შეუპყრიათ და მიმართულება შეუცვლიათ, ევროპიდან ჩრდილოეთის პოლუსის ციაგის საყურებლად გაუმწესებიათ. სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეცქირა იმ ციაგისთვის, მაგრამ მოხდა სასწაული, საბჭოთა სივრცემ ჩვენი ჭირი წაიღო. დავითმა თავი დააღწია სასჯელს, გაანთავისუფლეს, გაგრას დაუბრუნდა, სიბერის ჟამს ცოტა ხნით მაინც მოუწია მშობლიურ ქალაქში ცხოვრებამ, სოხუმის დაცემამდე გარდაიცვალა. ბედნიერი კაცი ყოფილა, ვერ მოესწრო აფხაზეთის ოკუპაციას და, რაც მთავარია, ქა-

რთულ მიწაში განისვენებს. კარგად მახსოვს, ჯიბით, აბრეშუმის დედისეულ ცხვირსახოცით, ქართულ მიწას როგორ დაატარებდა. ორმოც წელზე მეტი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თურმე მშობლიური ეზოს პაწაწუნა ნამცეცებს. საქართველო ძალიან რომ მოენატრებოდა, ამოიღებდა და ეამბორებოდა. ენის წვერითაც გემოს უსინჯავდა რომ არ დავიწყებოდა, ვისი გორისა იყო!

რაც შეეხება შალვა მჭედლიშვილს, მწერალთა კავშირში გავიცანი, განსაკუთრებული სითბოთი განვეწყვე როცა გავიგე, ვორკუტაში რომ იყო ნამყოფი. ორივეს კაგრად გვესმოდა, იმ ჯოჯოხეთში გამოვლილი კაცი, ყოველთვის არის ისეთი, როგორიც ბუნებით არის და არა ის, რაც სხვას სურს იყოს. შესანიშნავი პოეტი და ექიმი მხოლოდ ლექსის გულისთვის დასაჯეს, ოჯახი დაუნგრიეს. სასტიკად აწამეს იმ უგულო ავაზაკებმა. პოეზიის დედოფალი ანა კალანდაძე ჰყოლია ცოლად, არაა გამორიცხული მათი განქორწინების მიზეზი სწორედ ის ავადსახსენებელი წლები ყოფილიყო...

ვორკუტაში დავით ფაჩუაშვილი მახვედრებდა იმ ადამიანებთან, ვისთანაც უწევდა ყოფნა ჩვენს სასიქადულო მწერალს ლევან გოთუას. ერთ-ერთი მათგანი, სოლოლაკელი სომეხი კაცი გახლდათ. (სამწუხაროდ, სწორ სახელს ვეღარ ვიხსენებ), მე იაშას ვეძახდი, ძალიან ახლოს ყოფილა და იმ დღეს, როდესაც გოთუას ასაფლავებდნენ მე და დავითს თვალცრემლიანი მოგვადგა. რესტორანში ჭიქა წავუქციეთ, იაშამ მიამბო სტალინის სიკვდილის შემდეგ რომ გაანთავისუფლეს 1957 წელს, თუ როგორ აიტაცეს ხელში საყვარელი მწერალი და ვაგონამდე ბავშვივით ატაცებული მიაცილეს. ყველანი ვისაც კი შევხვედრივარ იმ დაწყევლილ ქალაქში, დიდი რუდუნებით იხსენებდნენ გოთას.

ძალიან დამენანა ცოცხალს რომ ვეღარ ჩამოვუსწარი! სამაგიეროდ, ერთში გამიმართლა, მადლობა ღმერთს რომ მომცა ამის საშუალება! 1991 წელს საქართველოს კულტურის ფონდმა, რომელსაც იმ დროს თენგიზ ბუაჩიძე ხელმძღვანელობდა, გამოსცა დიდი ტირაჟით „გმირთა ვარამი“. მე როგორც ფონდის თანამშრომელსა და სასტამბო საქმეში ჩახედულს, წიგნის გამოშვება მქონდა დავალებული. უკანა ყდაზე დაფიქსირებულია კიდეც ჩემი გვარი. მიუხედავად იმისა, რომ არ მეღირსა მასთან შეხვედრა, ბედს მაინც არ ვემდური, თავს მაინც ბედნიერად ვთვლი, რომ მისი წიგნის გამოცემაში მცირე წვლილი მეც მიმიძღვის...

ბევრი რამ შეიცვალა საყვარელიძეების ოჯახში ჩემი რუსეთში ცხოვრების დროს. სამწუხარო პირველი ამბავი მაუწყა მამაჩემმა წერილით, გარდაცვლილიყო დეიდა თამარი. ყოველგვარი პირფერობის

გარეშე ვაცხადებ, სულაც არ ვაზვიადებ, — გული ჩამეთუთქა. თავი ხელებს შუა ჩავრგე, თვალები დავხუჭე და ფიქრებში წავედი. ნათლად ვხედავდი იტალიურ ვიწრო ეზოს გადაჭედილს ხალხით, სადაც ძალიანაც რომ მოგენდომებინათ ნემსის ჩასაგდებ ადგილსაც ვერ მოძებნიდით. შემდეგ ორსართულიან შუშაბანდიან სახლს, შეხურულს ასასვლელი კიბით. საკმაოდ მოზრდილ ოთახში ნოხგადაფარებულ ტახტზე დასვენებულ დეიდა თამარის ცხედარს, ვარდების ყვავილებსა და გვირგვინებში ჩაფლულს. მიცვალებულის თავთან მჯდომარე თვალაცრემლებული ცისანა, მარიკასა და დარჩენილ ხუთ დას — მიქელაძეების ქალბატონებს. შესასვლელ კარებთან მდგარ სახეშეფაკლულ დათიკო ბიძიასა და ივიკოს, საყვარელი ადამიანის დაკარგვით დაზაფრულებს.

დედის სიკვდილის შემდეგ ოჯახური ბედნიერებისთვის უნდა ეზრუნა ივიკოს. ასეც მოხდა, დაქორწინდა. ცოლად შეირთო სუხიშვილის გუნდელი მოცეკვავე, ვერიკო ხითარიშვილი. ვერიკოს ქორწინებამდე ვიცნობდი ერთხელ დაბადების დღეზე, ივიკომ ლამაზი ყვავილებისგან დამზადებული თაიგული გამატანა და სახლში მივართვი. ცხოვრება ისევ ძველებურ რიტმს დაუბრუნდა. მგალობელთა ოჯახში აწკრიალდა გიტარა, შეჭმუხნული შუბლი გაეხსნა დათიკოს და ზუსტად ისე, როგორც ამქვეყნად ხდება, ჭირი მხიარულებამ შეცვალა. სამი შვილი შეეძინათ ივიკოსა და ვერიკოს: დავითი, თამარი და სოფიკო.

თამარის სიკვდილის შემდეგ დათიკოს საპენსიო ასაკმა მოუწია. საქართველოს დამსახურებული აგრონომის წოდება მიანიჭეს. თითქმის ნახევარი საუკუნე ზვრებსა და მეურნეობებში ჰქონდა გატარებული და ასეთი კაცისთვის წარმოიდგინეთ, როგორი სასჯელი იქნებოდა თანამდებობის დატოვება და სახლში ჯდომა. მთელ მარნეულს უყვარდა ყოფილი დირექტორი, განსაკუთრებით აზერბაიჯანელები ვერ იმეტებდნენ, დიდი პატივითა და ცრემლით გამოისტუმრეს, არამცთუ თანატოლმა კაცებმა, ბევრად უფროსებმა და უმცროსებმაც კი, ნაღდი გულით უყვარდათ, ვერ ისვენებდნენ და თბილისში ყოველთვე აკითხავდნენ, ძღვენს მიართმევდნენ ხოლმე. ზოგჯერ ქალაქის მყუდრო ადგილას მდებარე რესტორანში აფორიაქებულ სულს იწყნარებდნენ, კონიაკს წრუპავდნენ, ზედ ცხვრის ჩაქაფულსა და მწვადს აყოლებდნენ. კარჩაკეტილობას ვერ ეგუებოდა, უმოძრაობა არეტიანებდა და გულს უძრწუნებდა. მშობლიურ სოფელში პოულობდა გამოსავალს, ზაფხულობით ჩადიოდა საქარაში და გვიან შემოდგომამდე რჩებოდა. ცაბუასეულ რკინის საწოლში ეძინა. დედისეული დარჩენილი სურნელი აწყნარებდა. დღისით სიმონიკასთან, ხან მამაჩემთან, ან სხვა დანარჩენ მეზობლებთან საუბრით ერთობოდა.

ზოგჯერ სუფრაზეც უწევდა დროსტარება. სმა არ უყვარდა, სამ-ოთხ ჭიქა ციცქის ღვინოს დააჭაშნიკებდა, მხოლოდ ხალხთან სიახლოვე სიამოვნებდა. მახსენდება ადრინდელი ერთი საინტერესო შეხვედრა, რუსეთიდან შვებულებით ვიყავი ჩამოსული. დათიკოც სოფელში იყო. თბილი შემოდგომის დღეები იდგა, ჭურებში მაჭარი დუღდა. „ორერას“ კონცერტები ტარდებოდა ზესტაფონში. აფიშაზე ასახული ლამაზი ბიჭები ისე მომხიბვლელად იღიმებოდნენ, დასაკრავი ინსტრუმენტებით ხელში, რა გული გაგიძლებდათ კონცერტს არ დასწრებოდი. გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ, საღამოს კულტურის სახლს მივაშურე. დათიკომ ნანისთან დამაბარა, სადილზე ვეპატიჟებიო. კონცერტის დაწყებამდე სცენაზე ავედი, კულისებში ნანი მოვინახულე და დანაბარები გადავეცი. მართლაც, მეორე დღეს, შუადღისას, ბარძიმაშვილის თეთრი ვოლგით ამოვიდნენ. საჭეს რობერტი უჯდა, მეუღლე ვანდა ანთაძე ახლდა თან, უკანა სავარძელზე ნანი და ზურიკო იაშვილი იყვნენ მოკალათებული. ზურიკომ, როგორც ჩვეოდა, თბილი ღიმილით შემოდგა ფეხი აივნის კიბეზე. სუფრა სიმონიკას მეუღლემ ტატიანამ და დედაჩემმა გაშალეს. იმერულად თბილად ჩაიარა ყველაფერმა. ზურიკომ სიმონიკასთან გატარებული ბავშვობის წლები გაიხსენა, თუ როგორი მონდომებით ეწაფებოდა მუშკეტიორთა პროფესიონალიზმს, სისხარტეს, ცრუ მოძრაობებს, თვალის სისწრაფეს, მაგრამ ბოლომდე არ გაჰყვა, ფარიკაობას ბურთი ამჯობინა და ბურთს დაუწყო დევნა. არც იქ გაუმართლდა, სირბილიც მოსწყინდა, სიმღერა აირჩია ცხოვრების მეგზურად, სიმღერას ვეღარ უღალატა, მისი ერთგული დარჩა ბოლომდე. ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილან დაბადებული. „ორერამ“ წარმატებულად შემოიარა დედამიწის ხუთი კონტინენტი და გრანპრის მფლობელიც გახდა. საბჭოთა სივრცეში ხომ მათი გამოჩენა, ოცნებად ჰქონდა მაყურებელს გადაქცეული. რა შეედრებოდა ნანის რომანსებს, ბუბას „ჩიტო-გვრიტოს“, ესენინის ლექსებზე დაწერილ სიმღერების მოსმენას... მე დიდი, დიდი მადლობელი ვარ ამ ანსამბლის, რომელმაც გადამატანინა ჯოჯოხეთური განსაცდელი, სულიერად მასაზრდოვა და ფერად ფერში დამანახა მომავალი...

1976 წლის 18 აგვისტოს, დაბადებიდან ოთხმოცი წელი შეუსრულდა სიმონიკას, ვორკუტიდან მოლოცვის დეპეშა გამოვუგზავნე. დიდხანს სიცოცხლე და მხნეობა ვუსურვე, ისე როგორც კოლაუ ნადირაძემ წაუწერა წიგნზე „კარგ ქართველს“.

Заслуженному тренеру СССР Семену Константоновичу Сакварелидзе

Многоуважаемый Семен Константинович мне хочется, с большой теплатой и сердечностью поздравить Вас с памятным юбилеем - с днем рождения!

Я преклоняюсь и одновременно горжусь Вами за ваши заслуги перед народам и родиной и в двоине рад, что ваша плодотворная работа по сей день нужна наш людям.

В этот знаменательный день мне хочется со всеми вместе поднять бакал вина и под хрустальный звон выпить за ваше здоровье и честь.

Пусть всегда ваша жизнь будет служить примером для нашей молодежи — примером мужества и стойкости перед трудностями. Пусть будет бесмертна ваша жизнь, ваша идеи и мысли в сердцах людей, как бесмертна наша солнечная грузия!

С большим уважением Нодар Бакрадзе

Воркута, Коми АССР, 1976 год.

აგვისტოში გამოვუგზავნე მოსალოცი და ნოემბერში შვებულებით ჩამოვედი.

— ცუდად არის შვილო, ლოგინადაა ჩავარდნილი, ზაფხულში ვეღარ შეძლო ამოსვლა, დასუსტდა, მარტო ძვალი და ტყავია დარჩენილი! ეჰ, სიბერეს რა ვუთხრა! — ქვედა ტუჩი წაიკვნიტა დედაჩემმა. ცრემლები ხალათის სახელოთი მოიწმინდა.

ბოღმა ბურთივით გამეჩხირა ყელში, სული შემიგუბდა. სასულეში ნერწყვი გადამცდა, მწარე ხველა ამივარდა. დედაჩემი ბეჭებში ხელს მირტყამდა, მიყვავებდა და თან მამხნევებდა: — ხომ იცი, როგორი ღვთისნიერი ხალხის შთამომავალია, ასე ადვილად ღმერთი არ გაწირავსო...

მეორე დღეს მე და მამაჩემი, ნასადილევს, ზესტაფონში წავედით, სიმონიკას სანახავად დედაჩემმა ჭყინტი, უმარილო, ყველი გაგვატანა, იქნებ მადა გაუხსნასო. ჩვენი მისვლა იმდენად ესიამოვნა, საწოლში წამოჯდა, იდაყვებით ბალიშებზე დაეყრდნო, აუტანელ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, უარყოფითი ეჭვები გაგვიფანტა. საუბრის დაწყებამდე ტატიანამ მეორე ოთახში გაგვიხმო და მამაჩემს შეეხვეწა ლილისა და შოთას სიკვდილის შესახებ არაფერი ეთქვა, სიმართლე გითხრათ, შევცბი არ მეგონა, თუ ასე ხანმოკლე აღმოჩნდებოდა მათთვის ეს წუთისოფელი. ვინ იცის, როგორ წაადგებოდა საქართველოს, რასაც შეჰქმნიდნენ და იტყოდნენ სცენიდან. იმ დღეს პირველად გავიგე ის საშინელი ამბავი და შევღონდი. თქვენ წარმოიდგინეთ, სიმონიკას რომ გაეგო, რა ცოდვა დატრიალდებოდა. ვეღარ გადაიტანდა, გული გაუსკდებოდა. საუბარი გვიანობამდე გაგვიგრძელდა. არავითარი ავადმყოფური, არც სიკვდილის მიმართ აჩემებული შიში არ შემინიშნავს, ოღონდ მისუსტებული ხმით ლაპარაკობდა, დრო და დრო იღლებოდა, შეჩერდებოდა და თვალებში მუდარით შემოგვყურე-

ბდა. თითქოს გვაფრთხილებდა: არ იფიქროთ, თავი მომაბეზრეთო. ის მხოლოდ ძალას იკრეფდა, რადგან სიკვდილის ზღვარს მიახლოებული სიცოცხლე, მარტოდ არ დაესრულებინა. ჩემი კუთვნილი შვებულების დრო სანამ არ ამოიწურა, თითქმის დღე არ გამიცდენია. ყოველთვის ჩავდიოდი, ხანდახან რომ არ შეეძლო, სევდიანი თვალებით მელაპარაკებოდა, საინტერესოა როგორ ახერხებდა, ყველაფერს მაგებინებდა. რაც მთავარი იყო სიამოვნებდა ჩემთან ყოფნა. ოღონდ ჩემს გამოჩენას რაიმე დადებითი შედეგი გამოეღო, სიარულს როგორ დავამადლიდი. — ყველაფერი დალაგდებაო. — სასთუმალთან ჩამომჯდარი, დაბალი ხმით ამოიხავლებდა, თუმცა იმ ხავილშიც დამაჯერებლობა იგრძნობოდა და არამც და არამც ხელის ჩაქნევა და ღვთის მიერ ბოძებულ სიცოცხლეზე უდროოდ უარის თქმა. თუ კაცის გაჩენაში ღმერთის ხელია ჩარეული, ამ ქვეყნიდან კაცის წასვლაც ხომ ღმერთზეა დამოკიდებული. ჩემი გამგზავრების დროც ახლოვდებოდა, მიჭირდა სამოთხის დატოვება და ჯოჯოხეთში დაბრუნება, მაგრამ უნდა გამეძლო, გარკვეული თანხა უნდა დამეგროვებინა, სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ადრე თუ იქ ხალხს ძალადობით ასახლებდნენ, შემდეგ ცხოვრება ისე შეიცვალა, თავად გამოჰქონდათ საკუთარი თავის მიმართ ასეთი განაჩენი. ნებაყოფლობით მიდიოდნენ, რათა კაპიკი კაპიკზე დაედოთ და სიდუხჭირე ოდნავ მაინც შეეცვალათ. მაინცდამაინც დიდად არაფერში წამდგომია ვორკუტული გრძელი მანეთიანები, მაგრამ ღვთის წყალობით, გაუმაძღარი კაცი არა ვარ და ბედს არ ვემდური. მთელი ჩემი დღე და მოსწრება ღმერთს თავზე ჭერს, სიმყუდროვეს, ჩემი წიგნების გამოცემას შევთხოვდი. მისმინა იმ დალოცვილმა, როგორც მოგახსენეთ, სიზმარშიდაც სამჯერ ვიხილე. ჩემი თხოვნაც შემისრულა, გარდა ერთისა, მხოლოდ ერთი ლექსი მინდა ისეთი დამაწერინოს, ჩემს თავს ვინმეს რომ გაახსენებს, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები!..

1977 წლის აპრილში გარდაიცვალა სიმონიკა. მამაჩემმა წერილით მაცნობა. გული ჩამწყდა, მოდუნების გრძნობა დამეუფლა. უსიამოვნო ფიქრებმა შემიპყრო, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. მაგრამ, დროზე მოვეგე გონს. ასეთი ქმედებები არ ეკადრებოდა მის სულს. შემართებით წამოვდექი, სწორედ ისე სიმონიკას რომ სჩვეოდა, რესტორანში ჭიქა წავუქციე. აღდგომის დღესასწაულის კვირეული იდგა, გაგონილი მქონდა, ვინც იმ კვირეულში გარდაიცვლებოდა, პირდაპირ სამოთხეში ხვდებიან მათი სულებიო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს. ოთხმოცდაერთი წელიწადი გაუძლო ამქვეყნიურ შხამსა და სიამტკბილობას. კი მართალია, ბედმა ტანჯვა-წამება მეტი არგუნა, მაგრამ მაინც ბედნიერი კაცი ყოფილა, კაცურად განვლო ბოძებული სიცოცხლე, არც ღმერთისა და არც სამშობლოს წინაშე არაკაცობა არ ჩაუდენია. საქა-

რთველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეალია თავისი ახალგაზრდობა, მიაღწია კიდეც. დამოუკიდებელ საქართველოშიც მოუწია ცხოვრება. სამწუხაროდ, ქართველებმა ვერ შევძელით დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ხელიდან გავუშვით, გულუბრყვილობამ დაგვაკარგვინა ერთერთი მოხერხებული შანსი. დედამისივით ას წლამდე რომ ეცოცხლა, მოესწრებოდა 1989 წლის 9 აპრილს. ღმერთმა კვლავ გვიბოძა ძალა და მხნეობა, შიშველი ხელებით იმპერიას შევბრძოლებოდით, ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსის არ იყოს: „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია“-ო. იმ დღეს სისხლი დაიღვარა. მაგრამ იმ სისხლმა გაგვაერთიანა. შანსი ხელიდან აღარ გავუშვით. დამოუკიდებელი გავხდით, არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ საბჭოთა სივრცეში შემავალი სხვა ქვეყნებიც.

ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოვა, შვებულება რომ დამიმთავრდა და რუსეთში მივეგმგზავრებოდი, გამომშვიდობებისას ყურში მიჩურჩულა და ანდერძად რომ დამიბარა: — ჩემს დასაფლავებას თუ დაესწრები, უფლება არავის მისცე საქარის გარდა სხვაგან დამასაფლავონო. იგივე დაუბარებია მამაჩემისთვის და ჩემი ძმებისთვის... საქარის მიწაში განისვენებს დედამისისა და თავისი წინაპრების გვერდით. ზესტაფონის სპორტკომიტეტმა, რომელსაც იმ დროს სერგო ზაქარიაძის ძმიშვილი ჯემალ ზაქარიაძე ხელმძღვანელობდა, საფლავზე სვეტი აღუმართა წარწერით: აქ განისვენებს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ყოფილი მოფარიკავე, **ს. კ. საყვარელიძე. 1896—1977 წ.წ.**

დედაჩემი და მამაჩემი იმ სასაფლაოზე არიან დაკრძალულნი, განგებამ არ ინება მათი დაშორება, იმქვეყნიური სამუდამო განსასვენებელი, ერთმანეთთან ისევ მეზობლობა მიაზღო. მეც ვინატრებდი, როდესაც აღვესრულები, ჩემს მშობლიურ საქარაში, მათი საძვლეს სიახლოვეს, იქნებ როგორმე გამომინახონ ადგილი. აღდგომის დღესასწაულზე მიწევს ხოლმე ჩასვლა სოფელში. აქვე დავძენ, ბავშვობიდანვე, ყველაზე მეტად მიყვარდა ეს დღესასწაული. მახსენდება, როცა ქუთაისში ვსწავლობდი, როგორ ვაგროვებდით რიონის პირას აგურისა და პენზის ქვების ნატეხებს და მისგან სააღდგომო კვერცხებს ვამზადებდით. ერთი მხრივ, საინტერესო გასართობი იყო. ყველა ბავშვი თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს ავლენდა, ზოგიერთი ისეთს გამოაქანდაკებდა, ნამდვილ კვერცხიდან ვერ გაარჩევდი (თუ რა თქმა უნდა, არ შეამოწმებდი) მასწავლებლები გვემუქრებოდნენ, გვიშლიდნენ, კატეგორიულად გვიკრძალავდნენ. იმ დროში გასაკვირიც არ იყო, მაგრამ ჩუმად თავადაც ღებავდნენ კვერცხებს და ყველაფერ იმ სადღესასწაულო რიტუალებს ასრულებდნენ, ახლა, ამ დღის გადასახედიდან,

რომ ვუყურებ იმ წარსულს, ჩემი აზრით, ერთერთი მთავარი დამანგრეველი მიზეზი იმ სისტემისა, ღმერთის უარყოფა ყოფილა.

ორი შვილიშვილი დარჩა სიმონიკას, თემური და მანანა ქარუხნიშვილები. თემური ექიმია. სიმონიკა მადლიერებით იხსენებდა: — ის, რაც მე ვერ განვახორციელე, ჩემმა შვილიშვილმა შეძლო და ექიმი გამოვიდაო. თემურს ახლოს ვიცნობ, ბრწყინვალე პიროვნებაა. გარეგნულად ძალიან ჰგავს ბაბუას. ორი შვილი ჰყავს, უმცროსი ილიკო შეერთებულ შტატებში გაგზავნეს, სამხედრო აკადემიაში სასწავლებლად, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა. თემურისგან გავიგე, გამგზავრების წინ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს დაულოცავს და სიმბოლურად ვერცხლის ჭიქა უჩუქებია. იმედს ვიტოვებ, ის ღირსეულად გააგრძელებს დიდი ბაბუის, სიმონ საყვარელიძის გზას, იმ ვერცხლის ჭიქით დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველოს სადღეგრძელოს შესვამს. რაც შეეხება მანანას, ბიოლოგია, თუმცა, ჰქონდა იმის საშუალება, მსახიობი გამხდარიყო. არ ინება, ხელოვნებას მეცნიერება არჩია. ჰყავს ორი შვილი. მე მინდა ბედნიერება და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო მშვენიერ ქალბატონს.

ზესტაფონის სამხარეო არქივში სიმონიკას შესახებ მრავალი საინტერესო მასალებია შემონახული. მისი პირადი წერილები, რომელიც უშუალოდ ფარიკაობას ეხება, უხვადაა აგრეთვე როგორც სარაიონო, ასევე რესპუბლიკური და საკავშირო გაზეთებში დაბეჭდილი სტატიები და ინტერვიუები. ფოტოსურათები, სპორტული ნივთები, მოფარიკავეთა საბრძოლო იარაღები. აქვე მინდა დავძინო, პატივცემულო მკითხველო, გარდა სპორტული წერილებისა, სიმონიკა წერდა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციასა და საქართველოში 1918-1921 წლებში მომხდარი მოვლენების შესახებ. მე არ ვიცი ის ნაწერები არის თუ არა იმ არქივში, თუ არ არის მოსაძიებელია. ყველაფერში ფულია საჭირო, უფულო კაცი რას გააკეთებ? არადა, როგორი დასანანია, როგორ წაადგებოდა ის რჩევები და გამოცდილება ჩვენს მომავალ მუშკეტიორებს... ჯერ კიდევ, კომუნისტების წასვლამდე, როცა ცკ-ას გამომცემლობაში ვმუშაობდი, არჩილ გოგელიამ გამოსცა წიგნი „ასეთია სპორტული ცხოვრება“. ავტორმა დიდი რუდუნებით მოიხსენია თავისი აღმზრდელი, ამაგი დაუფასა და თბილი სტრიქონები არ დაიშურვა იმ ამაგდარ და ლეგენდარულ ადამიანზე. არაერთი წერილი ჰქონდა გამოქვეყნებული გაზეთ „ლელოში“, რომლის მთავარი რედაქტორი თავად გახლდათ. მე პირადად შევხვდი ბატონ არჩილს, მოვახსენე სიმონიკას საფლავისა და მისი პირადი არქივის შესახებ, დახმარება ვთხოვე, ეშუამდგომლა მთავრობასთან აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, თანხა გამოეყოთ და საქმე მოეგვარებინათ. რა თქმა

უნდა, დამთანხმდა, მაგრამ, საუბედუროდ, საქართველოში პოლიტიკურმა არეულობებმა, აღარ მისცა ამისი საშუალება. თუ ვიცოხცლე და მოვახერხე, იქნებ შევძლო იმის გამომზეურება რაც შევქმენი, რათა ქართველმა საზოგადოებამ კიდევ უფრო მეტად შეძლოს, იმ ადამიანების დანახვა, როგორიც იყვნენ, პავლე და სიმონიკა საყვარელიძეები. მე როგორც შევძელი სხვა დანარჩენი მათი ოჯახის წევრებიც წარმოგიდგინეთ, ჩემო საყვარელო მკითხველო.

საქარაში დაიბადნენ აგრთვე ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი ლევან საყვარელიძე, ენათმეცნიერი ილია აბულაძე. ამ ღირსშესანიშნავმა პიროვნებებმა დიდი ამაგი გაიღეს სამშობლოსა და ერის წინაშე...

ეამაყებათ ჩვენს თანასოფლელებს ასეთი სიყვარულით აღტყინებული ადამიანების აკვანი რომ ამ დალოცვილ მიწაზე გადაირწა... მათ ხომ მხოლოდ სიკეთისა და მადლიერებისადმი მიდრეკილების გრძნობა ამოძრავებდათ. ისინი ხომ სამშობლოს ერთგულ გუშაგებად მოავლინა უფალმა!..

41

1979 წლის მარტის თვეში დავტოვე ვორკუტა, საგულდაგულოდ გამოვემშვიდობე დავით ფაჩუაშვილს, სამახსოვრო სურათიც გადავიღეთ, რესტორანში გამოცილების საღამო მოვაწყვე, ჭიქები ავწიეთ, აეროპორტამდე აცრემლებული თვალებით გამომაცილა...

თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე, როგორც კი ფეხი დავადგი ქართულ მიწაზე, იმწუთშივე ვიგრძენი, რომ ახალ ადამიანად დავიბადე. ყველაფერი იქ შეძენილი უარყოფითი თვისებები ჩამომშორდა და ჩემგან შორს იმ ჯოჯოხეთურ ქალაქში დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ჭირვეული მარტი იდგა, მზე შიგადაშიგ მაინც ახერხებდა ღრუბლებიდან თავის დაღწევას და თბილი სხივებით დანატრებული ქვეყნის მოფერებას. ნუშების სურნელით გაჟღენთილი ჰაერი ღრმად შევისუნთქე. მხრებში გავიმართე და მოვემზადე ახალ ცხოვრებასთან შესაჭიდად. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გავიმარჯვებდი, ჩემი ოცნებები ფრთებს შეისხამდა. ურყევი რწმენის ძალა ყველა ჩანაფიქრს გისრულებს. რვა თვე მოვანდომე იმის ფიქრს, რომ მიზანმიმართულ გზაზე დავმდგარიყავი, საქარაში ვაპირებდი დასახლებას ჩემს ძმებთან ახლოს. მაგრამ, მალე მივხვდი, მიზნის მისაღწევად თბილისში უნდა წამოვსულიყავი. ზაფხულში დათიკო ჩამოვიდა, მისმა გამოჩენამ უფრო მეტად გამიმყარა რწმენა. შუადღისას ჩავდიოდი, საუბარში შეუმჩნევლად გადიოდა დრო. სიმონიკას გარდაცვალების შემდეგ, დათიკომ სიმონიკასეული წილი სახლი და მიწის ნაკვეთი ტატიანისგან შეისყიდა. თავს ბედნიერად ვგრძნობდი, დათიკოს ჩემი სამუშაოს

შესახებ გამოვუტყდი: — იქნებ ივიკომ გამომინახოს რაიმე-მეთქი. დათიკომ დამაიმედა, პოზიტიური განწყობა შემიქმნა: — ნათლიაა, უარს როგორ გეტყვისო! ივიკო მაშინ უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკის დირექტორად მუშაობდა. ჩემი მიზანი მშობლებისთვის არ გამიმხელია, არც დათიკოსთვის მითქვამს, ვშიშობდი უმწეო ბავშვის ახირებად არ ჩაეთვალათ ჩემი გადაწყვეტილება. თუმცა, როდესაც რუსეთში ვცხოვრობდი დედაჩემი და მამაჩემი და მათ შორის დათიკოც მირჩევდნენ სამშობლოში დაბრუნებას, — რა ძალა გადგას შენი ახლობლებისგან ასე შორს რომ ხარ გადაკარგულიო.

ზაფხულის დღეებში ცისმარზე ვდგებოდი. ყანასა და ვენახში ვტრიალებდი, ვთოხნიდი, სიმინდს სარეველა ბალახს ვაცლიდი. მიყვარდა და ახლაც მიყვარს მიწასთან ჭიდილი, დიდ სიამოვნებას მგვრის, როდესაც გაოფლიანებულ სხეულიდან ოფლის წვეთები მცვივა და მიწას უერთდება. მეჩვენება, თითქოს, უფრო ვუახლოვდები მარჩენალის კალთას, ამირანივით სამუდამოდ ვეჯაჭვები, რასაც მამულიშვილური სიყვარული ჰქვია. ყოველ დილით ცვრიან ყანაში სამი-ოთხი საათით ყოფნა, სხვადასხვა ფრინველთა სტვენა-გალობა, ბოსტანში ცივ მჭადზე დაყოლებული ყველის ნატეხი და ლორთქო მწვანილი, ლექსების წერის გუნებაზე მაყენებდა. ვწერდი, ვკითხულობდი, საღამოს დათიკოსთან ერთად კლასიკური მწერლების ნაწარმოებებზე ვსაუბრობდით. მიხაროდა, რომ ჩემში იღვიძებდა ის უნარჩვევები, რაზედაც ტრადიციულად ვიყავი აღზრდილი. რამდენჯერ ფეხშიშველი მიწას შევეხებოდი, იმდენჯერ დავით ფაჩუაშვილი წამოტივტივდებოდა მეხსიერებიდან, ცხვირსახოცში გახვეული მიწით. მაინც რა მაგიური ძალა გააჩნდა იმ დალოცვილს ისეთი, რომ მთელი ცხოვრება ჯიბით ატარა, გაჭირვების ჟამს ამოიღებდა, ტუჩებით შეეხებოდა, ლოცვას წაიჩურჩულებდა და ყოველგვარი სენიდან ინკურნებოდა. მახსოვს ერთხელ კითხვა დავუსვი: — დავით ანდრეევიჩ, კომუნისტებს ძალით რომ არ ჩამოეყვანეთ, თქვენი ნებით თუ ჩამოხვიდოდით საქართველოში?

არ დაფიქრებულა ისე მიპასუხა: — ლუვრის სასახლეს, ჩემი გაგრა და ქოხი მირჩევნიაო. საქართველოსთანა ქვეყანა არ მოიპოვება მთელ დედამიწის ზურგზეო. მე თუ ომს გავექეცი, ის ომი საქართველოს ომი არ ყოფილაო! — ცრემლმორეულმა გამიცხადა...

იმავე წლის დეკემბრის თვეში დავტოვე სოფელი და თბილისში ჩამოვედი. ისევ დავუბრუნდი ქალაქს, სადაც ცამეტი წლის წინათ ვცხოვრობდი. არაფერი დიდი სიახლე არ ეტყობოდა. იგივე სახლები, გარდა ერთისა, პლეხანოვზე მანქანები მომრავლებულიყო, გამალებით დარბოდნენ „ჟიგულები“. ჩერქეზოვზე, დათიკოს სახლთან ახლოს,

დავიქირავე პატარა ოთახი, სამსახურის შემდეგ, ღამეებს ვათევდი, ვკითხულოდი და ვწერდი. ჩემს თავს პირობა მივეცი აღმა-დაღმა არ მეხეტიალა. სანამ დასახულ მიზანს არ შევისრულებდი, სულსწრაფობა არ მახასიათებს. ერთი ხელის მოსმით შეუძლებელი იყო იმის გაკეთება, რასაც მე ვეჭიდებოდი. ცისანა გახდა ჩემი პირველი გულშემატკივარი, ვინც ჩემს ნაცოდვილარს კითხულობდა, რომ გითხრათ აღფრთოვანებული იყო-მეთქი ჩემი ნაწერებით, არ ვიქნები მართალი, მაგრამ პოეტურ ნიჭს ჩემში რომ ნამდვილად ხედავდა, არ მალავდა, — ოღონდ დიდი, დიდი შრომა გმართებს, ნიჭის გასაფურჩქნადო, — მარიგებდა. მარიკაც იგივეს მირჩევდა, მიკითხავდა ბუმბერაზ პოეტების ლექსებს. — თუ წერ საშუალოზე მეტი უნდა იყოო. — რაც მართალია, მართალია, მომწონდა მათი სიმკცარე. პირში სიმართლის თქმა სტიმულს მაძლევდა მეტი მომთხოვნი და ნაკლებად პრეტენზიული ვყოფილიყავი, საკუთარ თავს არ ვაძლევდი იმის უფლებას მიღწეული წარმატებით ვყოფილიყავი კმაყოფილი. სწორედ ამ უკმაყოფილების შეგრძნებას მივყავდი სრულყოფისაკენ, ანუ სრულყოფილების მწვერვალისაკენ, რომლის დაპყრობა ძალიან ცოტამ შეძლო, მაგრამ ვინაც შეძლო, არა მგონია, კმაყოფილები იყვნენ თავიანთი ხვედრით. სწორედ იმ ღამით, იმავე წლის ბოლო ღამეს, 31 დეკემბერი რომ თენდებოდა, იესო გამომეცხადა და შუბლზე მეამბორა. სწორედ იმ დღიდან ვიგრძენი, რომ ღმერთი მწყალობს, დილით ქაშვეთის ეკლესიაში წავედი, იმ ეკლესიაში, სადაც ივიკომ ბავშვობაში მომნათლა. სანთელი ავანთე. ღმერთს მადლობა შევწირე ასეთი სიურპრიზისათვის. ხატთან დავიჩოქე და შევევედრე: ღმერთო პირნათელი მამყოფე, ყოველგვარ სიბილწესა და ცოდვებს ამაცილე და რაც მთავარია: ერთი ლექსი დამაწერინე...

სამი წელი ვიმუშავე ივიკოს ფაბრიკაში, მომარაგების განყოფილებაში, საქონლისმცოდნედ ვიყავი გაფორმებული. სამუშაო მომწონდა, უფრო მეტად ივიკოსთან სიახლოვე იყო ჩემთვის მთავარი. ამ სამი წლის განმავლობაში მოვახერხე ლექსის დაბეჭდვა გაზეთში და ამ წინ გადადგმულმა ნაბიჯმა უფრო გამიღრმავა ინტერესი. ცისანას გიტარის წკრიალმა და ტკბილმა სიმღერებმა გამიფართოვა ხედვის არეალი და ხელოვნებასთან დამაახლოვა. თუმცა, ჭაბუკობაში თბილისური საღამოები, სუფრა და სიმღერები უცხო არ ყოფილა ჩემთვის, ძალიან მიტაცებდა. აგრეთვე მშვიდ გარემოში, თბილ ღამეში საყვარელ ქუჩებში ხეტიალი, გაჩირაღდნებული მთაწმინდისა და მის წვერზე დაკიდებული ქათქათა მთვარის ყურება. ნაზი ვერცხლისფერი სხივები, იმ ბაბთებიან გოგოს ნაწნავებს მაგონებდა, ჩუმ-ჩუმად რომ ვეტრფოდი და პირველი სასიყვარულო სტრიქონი მივუძღვენი. თვალს მტაცებდა სანაპიროზე გაშენებული მწვანე ჭადრები. მათ შრიალს ოცნებათა

უსასრულო სამყაროში გადავყავდი. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვეგუებოდი თბილისს, თავს შეზღუდულად ვგრძნობდი. გალაკტიონის ლექსი მახსენდებოდა ხოლმე: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული!“ ზოგჯერ ფიქრების ჭინკა შემიჩნდებოდა და ისევ ჩემს სოფლისკენ მეძახდა, რომ არა დასახული მიზანი, მივატოვებდი ყველაფერს და საქარაში დავბრუნდებოდი. ბოლო დროს რაღაც უცნაური ჩვევა დამჩემდა, თბილისში ყოფნისას სოფელი მენატრებოდა, სოფელში პირიქით.

ჩემი პირველი წარმატება დიდად არ შემიცხადებია, ახლობლებისთვისაც არ მითქვამს ჩემი დაბეჭდილი ლექსი წაეკითხათ, საკუთარი თავის წარმოჩენა არ ყოფილა ჩემი მიზანი. პირიქით, ჩემი ჰობი იყო ისეთი სტრიქონი დამეწერა მკითხველის გულამდე თავად მიეღწია. ვერ ვიტან როცა პოეტი, მწერალი ან კრიტიკოსი, თვითონვე უკეთებენ საკუთარ თავს რეკლამირებას. რეკლამირება კალმოსანს თავისმა ნაწერმა უნდა მოუტანოს, სწორედ, ასეთი ლექსის დაწერაზე ვოცნებობ მთელი ჩემი დღე და მოსწრება! და შევთხოვ უფალს, მომცეს ამის ძალა!..

მადა ჭამაში მოდისო ყველას გაგვიგია, ერთ ლექსზე ხომ არ შევჩერდებოდი, სხვადასხვა რედაქციებში უნდა მერბინა, სამწერლო ჟურნალებშიც მეცადა ბედი. განგებამ ცისკრისკენ ამაღებინა გეზი, მორის ფოცხიშვილი ცნობილი ლექსებისა და მრავალი სიმღერების ავტორი, ლამაზი ქართველი კაცი თავკაცობდა ჟურნალს. არც ვაციე და არც ვაცხელე, ჩემი ნაცოდვილარი სავსე „პაპკა“ იღლიაში ამოვიჩარე და რედაქტორის კარს მივადექი. თათბირს ატარებდა, მდივნის მისაღებ ოთახში ვიდექი და ველოდებოდი, დამთავრდა თუ არა თავყრილობა მიმიღო. ფეხზე წამოდგა, ხელი გამომიწოდა, დაბრძანდიო მითხრა და სკამზე მიმანიშნა. მე უფრო ამაყი მყავდა წარმოდგენილი. ის ერთობ თავმდაბალი და მეტად თავაზიანი აღმოჩნდა. ჩემს წინ იდგა პოეტი, რომლის სიმღერებს მოვლილი ჰქონდა მსოფლიოს ყველა კონტინენტი, მაგალითისთვის ანსამბლ „ორერა“ კმარა. სხვებზე რომ არაფერი ვთქვა. ლექსები დაიტოვა ნაუცბადევად გადაავლო თვალი. — ათ დღეში გამოიარეო, — დასამშვიდობებლად ხელი გამომიწოდა. დაიმედებულამ დავტოვე კაბინეტი. იმ დღეს გავიცანი ტარიელ ჭანგურია, ოტია პაჭკორია, გივი ძნელაძე. სამივე ცისკრის თანამშრომლები, ბატონ ტარიელთან იმ დღიდანვე გამოვნახე „საერთო“ ენა, საყვარელიძეების ახლობელი გამოდგა. იცნობდა მგალობელთა ოჯახს, ცისანას, მარიკას, ივიკოს, ჯუნა მიქატაძეს. ერთი სიტყვით, ყველას, ასე თუ ისე, მეც ვიცნობდი მის პოეზიას. ის რომ დიდი პოეტია, მკითხველმა კარგად იცის, ჩემი ქება აღარაა საჭირო: **უხერხულია შენ გერ-**

ქვას ცოლი, /შენ უნდა ცისფერ ღრუბლებთან იწვე, / აჰა, დამბაჩა და სველი თოვლი, / მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ...“ როგორ შეიძლება, ასეთი სტრიქონების დამწერი კაცი, ოდესმე არ ახსოვდეს საქართველოს, დაივიწყოს და შესაფერისი პატივი არ მიაგოს მას...

მოჩქარეს დაუგვიანდესო, ზუსტად ჩემზე იყო ეს სიტყვები მორგებული. თავს ვეღარ ვიკავებდი, ალბათ, ჩემს დღეში ბევრი თქვენთაგანი მოხვედრილა, თავიდან რომ ჩქარობენ და შემდეგ რომ ნანობენ, — ცოტა ვიჩქარეო. მოვახერხე, იმდენი ძალა კიდევ შემწევდა, ხორციელ მოთხოვნილებას არ გაესწრო სულიერისთვის. თავს იესოს გამოცხადება შევახსენე და მშვიდად გავუყევი ცხოვრების დინებას. ცვლილებები მოხდა „ცისკარში“, მორისი წიგნის პალატის დირექტორად გადაიყვანეს. ჯანსუღ ღვინჯილია ჩაუდგა ჟურნალს სათავეში. მართალია ლექსების დაბეჭდვა ვერ მოვასწარი, მაგრამ ისეთ ცნობილ პოეტებთან შეხვედრები დიდი პატივი იყო ჩემთვის. პირველი წარუმატებლობით გული არ გამიტეხია, ხელი არ ჩამიქნევია და რწმენა არ დამიკარგავს. იმ სიზმრების ისე მჯეროდა, ვერავითარი ძალა ვეღარ გადამარწმუნებდა, რომ ვერ გავიმარჯვებდი. ასე რომ, წინ მრავალი სიუპრიზები მელოდა. ერთი სული მქონდა როდის დადგებოდა ის დრო, ახალ რედაქტორს შევხვდებოდი. პირადად არ ვიცნობდი, ისე წაკითხული მქონდა მისი კრიტიკული წერილები და ისტორიული ნაწარმოებები. აღარ დამიხანებია, დრო ისედაც სწრაფად გარბოდა. ავდექი და რედაქიისკენ გავსწიე. ადრე მომივიდა მისვლა. მმართველის ოთახში ველოდებოდი. ჩემდა საბედნიეროდ, დიდხანს არ მომიწია ცდამ, მალე მოვიდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ძველ ნაცნობივით მომესალმა, თეთრი, ქერათმიანი, საშუალოზე მაღალი. იერზე ნათლად ეტყობოდა დასავლურობა, წარმატებული გამოდგა მასთან ნაცნობობა, პირველი ლექსები „ცისკრის“ დამატეხა „ნობათში“ დავბეჭდე, 1986 წელს კი — „ცისკრის“ მეექვსე ნომერში. ასე მოვიპოვე პოპულარობა და თითქმის მთელი ოცდახუთი წელიწადი ვიბეჭდებოდი, მაგრამ უკმაყოფილების შეგრძნება დღემდე მაქვს გამოყოლილი და ალბათ საფლავშიდაც თან ჩამყვება. როგორც მოგახსენეთ, ის ერთი ლექსი დამაწერინოს უფალმა ჩემს მოსაგონებლად ამ ქვეყნად რომ დარჩეს...

ჩემს „ჩამოყალიბებაში“ დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ჯანსუღს. დავიწყოთ იმით, რომ სწორ გზაზე დამაყენა. ცკ-ას გამომცემლობაში გამომინახა სამსახური, სწორედ იქ იყო წიგნების სამჭედლო, პოეტებისა და მწერლების საყვარელი თავშესაყარი. იქ იბეჭდებოდა თითქმის მთელი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები და მათ შორის „ცისკარი“, „მნათობი“ და გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. არ გამჭირვებია, ალღო ავუღე და ჩავწვდი პოლიგრაფიულ საიდუმლოე-

ბას, ზომას, შრიფტს, კლავიატურას, დაკაბადონებას, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც ესაჭიროებოდა წიგნებისა და ჟურნალების გამოცემას. სამუშაო იმდენად მომწონდა და იმდენად საინტერესო იყო, გული მწყდებოდა განსაზღვრული დრო ასე სწრაფად რომ იწურებოდა, როცა ლინოტიპის სტრიქონჩამოსასხმელ მანქანას მივუჯდებოდი, ჟურნალ „ცისკრის“ სტრიქონებს ვასხამდი, ერთგულად ვემსახურე. მეც ყოველთვის ერთგულად გვერდში მედგნენ „ცისკრელები“. ღმერთმა ინება და მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე და მუხრან მაჭავარიანი სამთავე გამომცემლობაში გავიცანი, ამათგან მურმანი თითქმის ყოველდღე მოდიოდა, მითუმეტეს თუ მისი წიგნი მზადდებოდა დასაბეჭდად. გამხდარი, როგორც იმერეთში იტყვიან „გაჩხიკული“ კაცი იყო, ჭაღარა, სწორედ ისეთი როგორც შეეფერებოდა ნაღდ მოლექსეს. დაღლილი სახე ჰქონდა, მაგრამ ღვთიური სხივით შემოსილი. კარგად ერკვეოდა პოლიგრაფიაში, თითქმის თავისივე ხელითა ჰქონდა დაკაბადონებული საკუთარი წიგნები, თავს დატრიალებდა თითოეულ ფურცელს, სტრიქონსა თუ ყდას, ლამაზად გაფორმებულს მიეღწია მკითხველამდე. საკვირველია, საიდან შესწევდა იმდენი ძალა, დილიდან გვიანობამდე ფეხზე დგომა, პატარა ხაჭაპურის ნაჭერს გაკიკნიდა და ციბრუტივით ტრიალებდა წინ და უკან. შევბედე ერთხელ და მოწიწებით ვუთხარი: — ბატონო მურმან, იქნებ თქვენი მწყალობელი თვალი გადაავლოთ ჩემს ნაცოდვილარს-მეთქი, ფურცელზე დაწერილი ლექსი გადავეცი წასაკითხად: **„მზეს და მთებს შორის ისევ ნისლია, / ნისლებმა ჩემი გულიც მონისლეს, / გადაჩეხილა ხევში ძიძია, / გულგაპობილი გდია ონისე. / გული კი მაინც ძველ გზებს დაეძებს, / ო, მოხევენო საით წახვედით, . აგდია მთვარე ყაზბეგის წვერზე — /გადამტვრეული ხმალის ნატეხი...“**/ მარჯვენა წარბი უთამაშებდა, რამოდენიმეჯერ ჩაიკითხა. ყურიდან გაჩხერილი ფანქარი ჩამოიხსნა და სიტყვა „მონისლეს“ გაუსვა, შემდეგ მომიბრუნდა და გამიცხადა: — გულწრფელად, ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე გეუბნები, მომწონსო. მხოლოდ „მონისლეს“ მეხამუშება, იქნებ შეგეცვალა? რაღაც, დაუჯერებლად მეჩვენება გულის მონისვლაო. ერთხელ კიდევ დაფიქრდა, წასასვლელად ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ უმალვე შედგა, ბეჭებზე ხელი წამომარტყა — დატოვე, დატოვე, ნისლს თუ ცისა და მთების მონისვლა შეუძლია, კაცის გულიც არ არის გამორიცხულიო... მჯეროდა და თან არ მჯეროდა მისი გულწრფელობისა, თუ მართლა ასე იყო და ჩემი ლექსი მოეწონა, მაშინ საკუთარმა ქალიშვილმა ისეთი რა დაუშავა, დაბეჭდვის უფლებას რომ არ აძლევდა. არ დამიმალავს, პირდაპირ ვუთხარი: — იქნებ მითხრათ, ფიქრიას რატომ არ აძლევთ იმის საშუალებას, ლექსები გამოამზეუროს, მკითხველს გაუზიაროს

საკუთარი გულისტკივილი ან სიხარული? ფიქრია გამომცემლობაში გავიცანი, გამორჩეული პიროვნება იყო და შესანიშნავი ლექსები ჰქონდა, კანტი-კუნტად იბეჭდებოდა პრესაში, შიგადაშიგ მიკითხავდა. საუბედუროდ, მურმანზე ადრე გარდაიცვალა. ყველას გული გვატკინა, ახლა ის წარმოიდგინეთ, მამას რა დაემართებოდა, ისედაც ავადმყოფი გული, უფრო დაუსნეულა ფიქრიას გარდაცვალებამ რომ არ მომხდარიყო ის საშინელი ტრაგედია, დღემდე ხომ იმედად და ბურჯად ეყოლებოდა საქართველოს, კაზმული სიტყვის მთქმელი უბადლო დიდი ოსტატი, ფიქრიას გარდა ჰყავდა კიდევ ერთი ვაჟი, თუ არ ვცდები ზაზა, რომლის გაცნობა ვეღარ მოვასწარი. მეუღლე კი, ქალბატონი ლენა ჭავჭავაძე, მწერალთა ყრილობაზე თავად მურმანმა გამაცნო. კარგად მახსოვს 1995 წელს შედგა ის ყრილობა და მეც მაშინ მიმიღეს კავშირის წევრად. გურამ ფანჯიკიძე ედგა სათავეში მწერალთა კავშირს, რომელმაც არ დაიშურვა და მადლიანი სიტყვა შემაწია გაწევრიანებისას. გურამთან შენახვედრი ვიყავი, როდესაც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექრტორად მუშაობდა, წიგნის გამოცემის თაობაზე ვიყავი შესული. რა დამავიწყებს, ლექსები ჩამომართვა, თვალი გადაავლო თუ არა, საყვარელიძეების მიძღვნილი სტრიქონები ხმამაღლა წაიკითხა, დასასრულს, მკითხა: ახლოსა ვარ ამ შესანიშნავ ადამიანებთანაო! გურამი რომ დათო ერისთავთან მეგობრობდა ეს კარგად ვიცოდი. მიუხედავად ასაკის ბევრად დიდი სხვაობისა, უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ, იმ ავადსახსენებელ დღესაც, როდესაც მოულოდნელად ბატონი გურამი გარდაიცვალა, ქობულეთში ისვენებდნენ ერთად. ეს სწორედ ის დავით ერისთავია, ძვირფასო მკითხველო, რომელზედაც მე უკვე ზემოთ მოგახსენეთ. ერთ მცირე ცნობას დავამატებდი. დათოს ცოლად ჰყავდა ძირძველი თბილისელი და კოლორიტის, განთქმული მეღვინისა და აგრეთვე „რკინის მუშტის“ მფლობელის, თენგიზ კეკელიძის ქალიშვილი. ახლაც დიდი რუდუნებით იგონებენ ძველი ვერელები თუ როგორ „ათამაშებდა“ ორ-ორფუთიან გირებს ხელში, და მუშტის ერთი დარტყმით როგორ შეამტვრია სატვირთო ავტომანქანის კარები.

ვახტანგ ესვანჯია იყო ცკ-ს გამომცემლობის დირექტორი, ერთ დროს ცნობილი ჟურნალისტი, გაზეთ „სამშობლოს“ ყოფილი მთავარი რედაქტორი. ის გაზეთი მაშინ საზღვარგარეთ მაცხოვრებელი ჩვენი თანამემამულეებისთვის გამოდიოდა. ესვანჯია ქართველი მწერლების პატივმცემელი კაცი იყო, რაც შეეძლო, ცდილობდა ყველას დახმარებოდა და, რა თქმა უნდა, არც ჩემთვის უთქვამს უარი, როდესაც ჩემი პირველი ლექსების კრებული ჩაუშვეს გამოსაცემად, შევედი და ქაღალდის გამოყოფა ვთხოვე, უარი არ უთქვამს.

მე უკვე მოგახსენეთ და ერთხელ კიდევ გაგიმეორებთ, პატივცემულო მკითხველო, რომ ზუსტად ათი წელი დასჭირდა ჩემი მიზნების განხორციელებას, ანუ სიზმარში ნაწინასწარმეტყველური მოვლენების ახდენას. სწორედ იმ დღის შემდეგ ვირწმუნე უფლის სასწაულებრივი ძალისა. თუმცა, არც მანამდე ვყოფილვარ ურწმუნო, ზოგიერთი ჩაფიქრებული სურვილები ამხდენია. მაგრამ მაშინდელმა ნახულმა და განცდილმა ყოველგვარ ეჭვის ზღვარს გადააჭარბა, რაც საკუთარი წიგნის გამოსვლით დაგვირგვინდა. ცოტათი ადრე ბინა მქონდა მიღებული და ცოლ-შვილიც მყავდა. ჩემს ცხოვრებაში არ მიგრძვნია იმხელა სიხარული, რაც 1989 წელმა მომიტანა, მადლობა უფალს, ტვინი რომ არ ამბნევია და თავში არ ამვარდნია. უბრალოდ, იმისი თქმა მინდა, რომ ქედმაღლურად ზემოდან არავისთვის გადმომიხედავს, საკუთარი თავისთვის რეკლამა არც არასოდეს გამიკეთებია, გინდათ თუ არა, წიგნის ავტორი ვარ-მეთქი. გული მხოლოდ ერთზე დამწყდა, რომ სიმონიკა და დათიკო ვერ მოესწრნენ ჩემი წარმატება ეხილათ და ჩემი სიხარული გაეზიარებინათ. ასეთივე ბედი ეწიათ ჩემს მშობლებსაც. სულ რაღაც ერთი წელი რომ დაცლდოათ, ჩემს დასტამბულ წიგნს შვილიშვილით ჩაიხუტებდნენ გულში. დედაჩემის ამბავი რომ ვიცი, სასთუმალის ქვეშ ამოიდებდა, როცა ძლიერ მოვენატრებოდი ამოიღებდა, ცრემლმორეული ღმერთს შეევედრებოდა, ჩემი შვილი კარგად მიმყოფეო. ისინი ყოველთვის, პირველ რიგში, ჩემს დაოჯახებასა და სახლ-კარის შეძენაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, უფალმაც უსმინა, საფლავში არ ჩაატანათ ჩემს მიმართ მომართული ჯავრი, წიგნის მაგივრად „ცისკრის“ ფურცლებზე იხილეს ჩემი ლექსები, ჩემს მეუღლესაც გაუწიეს დედამთილ-მამამთილობა, ჩემს უფროს ვაჟსაც შეესწრნენ.

გამომცემლობა უნივერსიტეტი გახდა ჩემთვის, წიგნის სამჭედლოში ჩემი ხედვის დიაპაზონი უფრო ფართოვდებოდა. ბევრს ვსწავლობდი ისეთი ადამიანებისგან, როგორებიც იყვნენ: თამაზ კვაჭანტირაძე, ლევან სანიკიძე. ახლაც თვალწინ მიდგას ზურაბ ქაფიანიძე, რომელიც წიგნს სცემდა ძველ შუმერების კულტურაზე. მე ვეხმარებოდი წიგნის აწყობაში, თავად მეხუმრებოდა ბიძაშენის, დავით ბაქრაძის როლი მე განვასახიერეო. როგორ დამავიწყდება ჩვენი თავი და თავი, ქალაქის კოლორიტი, იუმორისტი, ქართლოს კასრაძე, მომღერალი, პოეტი, თეიმურაზ ცაგურია, ახალგაზრდა მეცნიერი გია ნოდია, ცნობილი ექიმი და მედიცინის ჟურნალის რედაქტორი, ჯანგირ მამალაძე. მაშინდელი იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები: ანგი არსენიშვილი, ყოფილი მინისტრი თედო ნინიძე, მწერალი ზალიკო სამადაშვილი, ზალიკო ლაშა თაბუკაშვილის მიერ დაარსებულ

ჟურნალ „ოცდამეერთე საუკუნეს“ რედაქტორობდა. მე არ მივტირი წარსულს. უბრალოდ, გული მწყდება ასეთი გამომცემლობა რომ გააუქმეს. თვალიდან ცრემლი წამსკდება ხოლმე, იმ შენობას რომ ჩავუვლი და მეხსიერებიდან ყოფილი დამკაბადონებელი სპირიდონ ციციშვილის სახე ამოტივტივდება, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული! ეჰ, როგორ ჩამოვთვალო, რამდენი მწერლისთვის გაუმართავს ხელი, ამ ოქროს გულის მქონე ადამიანს, — ზესტაფონელების სიძე ვარო, გაცნობისთანავე ღიმილით მითხრა. მისი მეუღლე ქალბატონი ნორა ყოფილი პოლიგრაფისტია, გამომცემლობაში მუშაობდა. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო კიდევ უზომოდ განათლებული და თავმდაბალი კაცი ჯემალ აჯიაშვილი, პოეტი, მთარგმნელი და პუბლიცისტი. არ მეგულება დღეს საქართველოში ისეთი ადამიანი, ვინც პირადად იცნობდა ჯემალ აჯიაშვილს, რომ არ ყვარებოდა. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, როდესაც გავიგე მისი გარდაცვალების ამბავი, კინაღამ გული გამისკდა. მწარედ დავნაღვლიანდი, თვალებიდან ცრემლის კურცხალი წამსკდა. ღმერთს ვევედრები, მსუბუქი ყოფილიყოს მის მკერდზე დაყრილი ისრაელის მიწა. თავს უფლებას ვაძლევ და ხმამაღლა ვაცხადებ, ქართველი ხალხი არასდროს დაივიწყებს და დაუფასებს ამაგს...

„ცისკარი“ და ცისკრელები მეორე ოჯახი გახდა ჩემთვის, თავისუფალ დროს მოვიხელთებდი თუ არა, რედაქციაში გავრბოდი, სადაც მხვდებოდნენ შესანიშნავი მასპინძლები: ელზა მეტრეველი, ზაურ კალანდია, ეთერ თვარაძე, ლენა ღონღაძე, ბაღათურ არაბული, ლევან მალაზონია, ზურიკო ნარმანია, მიხო მოსულიშვილი, ზიული სირაძე, ნანა ჭულუხიძე, ჯემალ ქირია, სოსო ბაჯელიძე და ჩემი უახლოესი მეგობარი ირაკლი ბაზაძე...

ბავშვობიდანვე ვოცნებობდი და ვფიქრობდი, რომ კოლაუ ნადირაძე ცოცხალი მეხილა და ეს სურვილიც ამიხდა, ყოველთვის ვათვალიერებდი იქნებ გამომცემლობაში მომეკრა თვალი, მაგრამ ეტყობა, არ უყვარდა იქ სიარული თუ სიბერის გამო ვეღარ ახერხებდა, არ ვიცი. შემთხვევით, რომ არ ველოდი, ისე „მერანის“ გამომცემლობაში, ტაგუ მებურიშვილის კაბინეტში წავაწყდი. სახტად დავრჩი, როდესაც ვიხილე „ცისფერყანწელთა“ ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული, საღად მოაზროვნე და მუხლმაგარი კაცი, რომელიც ახალი დროის გადასხვაფერებულ პოეზიასა და მოდას ვერ ეგუებოდა. ორ საათზე მეტი გაგვიგრძელდა საუბარი. წარსულში დავაბრუნე, გავახსენე ქუთაისი, თეთრი ხიდი და თეთრ ქვებზე მოდგაფუნე რიონის ხმაურიანი ტალღები, ყოფილი მეუღლის მშვენიერი თამარის სახე აღვუდგინე გონებაში. ცუცუნასა და სიმონიკაზე კი არ შევჩერებულვარ, არამედ მთელი საყვარელიძეების დინასტია გავახსენე. არც ნელი და მარგო

ნადირაძეები გამომრჩენია და შემდეგ კი, იური, შალვა და მარინა გაბუნიებსაც გადავწვდი. აშკარად ეტყობოდა, რომ წარსულმა მწარედ ჩააფიქრა, მძიმედ სუნთქავდა. „იქნებ არ ღირდა ასე ღრმად მის სულში შეჭრა და ქექვა“. — უსიტყვოდ ვტუქსავდი ჩემს თავს, მდგომარეობა რომ აღარ დამეძაბა, საუბარი ბალმონტზე, მაიაკოვსკსა და ესენინზე გადავიტანე. ტაგუს გამოვემშვიდობეთ და ქუჩაში გადავინაცვლეთ. გვერდით მივყვებოდი კაცს, რომელსაც არაერთხელ ჰქონდა საქარის მიწაზე ფეხი დანაბიჯები, ასწლოვანი მუხების ქვეშ, ციცქისა და ცოლიკაურის ღვინო შესმული. გვერდში ვედექი კაცს, ვისაც კარგად ახსოვდა ერის ბურჯები: ილია, აკაკი, ვაჟა.

თამარისადმი მიძღვნილი ხსოვნის ლექსი წამიკითხა, აფორიაქებული ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვამდა სიტყვებს, როლში ისე იყო შეჭრილი, აღარ ახსოვდა ქუჩაში რომ ვიმყოფებოდით. ვნანობდი, ჩემი ბრიყვული საქციელით ტკივილი რომ მივაყენე, მოვუბოდიშე: — ბატონო კოლაუ, მაპატიეთ, ჩემი დაუკირვებლობით ამხელა ტკივილი რომ გაგაცდევინეთ. დაბნეულად შემომხედა. მის მზერაში თანაგრძნობა ვიგრძენი და გულზე ცოტა მომეშვა. ზემელზე ტაქსში ჩავსვი, მძღოლს ფული წინასწარ გადავუხადე. „ლიტერატურული საქართველო“ ვაჩუქე და შინისკენ გავისტუმრე. მადლიერებით შემომხედა. ის იყო და ის, იმის შემდეგ აღარ მინახავს... გვიანი, ძალაგამოლეული, შემოდგომის მზე თავზე ადგა ქალაქს, ადრინდელივით აღარ იკბინებოდა. ტროტუარები ოქროსფერი ფოთლებით იყო სავსე. კმაყოფილი და პოზიტიურად განწყობილი მივაბიჯებდი და მეჩვენებოდა, ფეხქვეშ თითქოს სპარსული ნოხი მქონდა გაფენილი. ის ღამე თეთრად გავათენე, გვიანობამდე არ მომიხუჭავს თვალი, მდუღარეგადასხმულივით ვწრიალებდი ლოგინში, გონებაში ბავშვობის წლები მიტრიალებდა, მახსენდებოდა პლეხანოვი, მხიარული საყვარელიძეების ოჯახი, დეიდა თამარი... გამთენიისას როგორც იქნა ჩამეძინა და სიზმარი ვნახე: საქარაში, ბებერი მუხების ქვეშ, ცაბუა ბებია იჯდა შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. ცისანა გიტარას უკრავდა. ყურში ჩამესმოდა მისი სევდიანი ნარნარი ხმა: „რა ვქნა რომ მთებზე დაუთოვია, ჯერ სიბერემდე ჯვარი მწერია“-ო.

პროზაშიდაც ვცადე ბედი, პირველი მოთხრობა „ერთი ღერი სიგარეტი“, ვაჟა ჩორდელმა დამიბეჭდა გაზეთ „ტყუილ-მართალში“, რომელსაც თავად რედაქტორობდა (რამოდენიმე წლის შემდეგ, ეს მოთხრობა „ლიტერატურულ საქართველოშიც“ გამოვაქვეყნე). ჩემს პირველ მცდელობას შოთა ნიშნიანიძის ქათინაური მოჰყვა, რამაც ძალიან გამახარა და თან აღდგომის კვერცხივითაც გამაწითლა. — კარგად მიგიგნიაო. — მამხნევებდა კაზმული სიტყვის დიდოსტატი,

ენა მებმებოდა და ვერაფერს ვეუბნებოდი, რატომღაც უხერხულად მეჩვენებოდა ბუმბერაზი კაცის ოდნავ გადამეტებული ქათინაური. ჩემი აზრით, აზვიადებდა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, დაბეჭდილ ნაწარმოებებს ძალიან კრიტიკული თვალით უყურებდა. ცოტა მეც გადავაჭარბე საკუთარ თავზე წერა, მკრეხელობაში არ ჩამომართვათ. საყვარელო მკითხველო, შოთას ჩემთვის არ უთქვამს თითქოს მე ახალი მოვლენა ვიყავი, ნიჭიერებით სავსე პროზაიკოსი, უბრალოდ სიუჟეტი მოეწონა და მეტი არაფერი... ჩემი მხრიდან იმხელა რანგის პოეტის ყურადღების მიქცევა არ იყო პატარა საქმე...

ჩემი ლექსების მეორე კრებული „გრძელი ბილიკი“ ირაკლი ბაზაძის რედაქტორობით გამოვიდა. პატარა ანოტაცია ირაკლიმ და ბაღათერ არაბულმა დაურთეს. ბაღათერი იმ დროს, ცისკრის დამატება „ნობათის“ მთავარი რედაქტორი იყო, ჟურნალი კვარტალურად სამ თვეში ერთხელ გამოდიოდა. „ცისკარს“ განაგებდა ზაურ კალანდია. რედაქციის გადაწყვეტილებით, თანამშრომლად მიმიწვიეს, „ნობათის“ ტექნიკურ რედაქტორად, რაზედაც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. პარალელურად ვთანამშრომლობდი რეზო მიშველაძის ჟურნალ „ღიმილში“, რომელსაც შემდეგ სახელი გადაარქვეს და „ნუგეში“ უწოდეს. იქ დავუახლოვდი აკაკი გეწაძეს, ვალერიან მამუკელაშვილს, ალექსანდრე დიდებაშვილს, მხატვარ-კარიკატურისტს მურთაზ აბაშიძესა და ნელი რაშოევას. კარგად მოგეხსენებათ, ის უმოძრაობა და კრიზისში მყოფი იმდროინდელი საქართველო, მწუხარე, დაღონებული სახეები, იუმორზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აკაკი გეწაძესა და ვალერიან მამუკელაშვილთან ერთად, მითუმეტეს, თუ მათ მურთაზ აბაშიძე შეემატებოდა, რა მომაწყენდა, მათ ხომ იუმორის გარეშე ვერ წარმოედგინათ ცხოვრება. ისინი „ნუგეშის“ ფურცლებიდან, როგორც მუხრანი იტყოდა, კალმის ერთი ჯიგრიანი მოსმით ცდილობდნენ, ხალხი ენუგეშებინათ, მათ სახეებისთვის ღიმილი დაებრუნებინათ! მეც მიმიღია მონაწილეობა, გვერდში ვედექი იმ ცნობილ კალმოსნებს, არაერთი ლექსი, თუ ნოველა, მიმიწოდებია, მკითხველისათვის.

არანაკლები ნაყოფიერი აღმოჩნდა აგრეთვე ჩემთვის, საქართველოს კულტურის ფონდში სამსახური, რომელიც ჩვენს ქვეყანაში პირველად თენგიზ ბუაჩიძემ ჩამოაყალიბა და თავად ედგა სათავეში. პირველი აუქციონიც სწორედ ამ ფონდში ჩატარდა კოტე მახარაძის თაოსნობით, სადაც გაიყიდა ცნობილი დიდი მხატვრების ძვირფასიანი ტილოები. ფონდში ივიკოს რეკომენდაციით მიმიღეს, მადლობელი ვარ ყველასი, რომ ჩემი ნიჭიერება არ დარჩენილა ყურადღების გარეშე. ბატონ თენგიზ ბუაჩიძესთან სიახლოვემ ჩემს ოცნებებსა და ფანტა-

ზიას ფრთები შეასხა, რომ იტყვიან, უფრო გარანდა ჩემი სტრიქონები. მიუხედავად დროის სიმცირისა, ის მაშინ უმაღლესი საბჭოს დეპიტატი გახლდათ, მაინც ახერხებდა, მოსკოვიდან ჩამოვიდოდა თუ არა, რომ გამსაუბრებოდა, რჩევები მოეცა. მე ყოველთვის მადლიერებით ვიყავი გამსჭვალული მის მიმართ, ის ამას გრძნობდა, კაბინეტში მიმიხმობდა, მშვიდ გარემოში პოეზიაზე ვკამათობდით. რუსული ენის დიდი სპეციალისტი იყო. კამათი ხანდახან ცხარე გამოგვიდიოდა, ის მაინც ბრძენკაცის როლში რჩებოდა, მშვიდად იღიმებოდა. მე ვერ ვახერხებდი, მაშინდელი პოლიტიკური დაძაბულობით ნერვები მღალატობდა. არეული დრო იდგა, ვინ ტყუოდა, ვინ არა, ვერ გაარჩევდი... მაგრამ, უფრო საწყენია, რომ არცერთ მთავრობას არ ჰყვარებია, არც ახლა უყვართ და არც არასდეროს ეყვარებათ სიმართლის მთქმელნი...

ასე დასრულდა, როგორც იტყვიან, ჩემი მცირე ბიოგრაფია. ამ ცხოვრებამ სამშობლოდან მომწყვიტა, შემომატარა რუსეთის მრავალი კუთხე-კუნჭული. ქვესკნელში მაღაროში მახოხიალა, შემახვედრა ათასი რჯულის ხალხს — ბოროტსა და კეთილს. მაგრამ მაინც ვერ გადამაგვარა, ყოველთვის მახსოვდა, მახსოვს და მემახსოვრება, ვისი გორისა ვარ...

42

მგონი ზღვარს გადავცდი, დროა საყვარელიძეებს მივუბრუნდეთ, ძვირფასო მკითხველო!

დათიკოს გარდაცვალების შემდეგ, გარდაიცვალნენ ფეფიკო და თინიკა, თუმცა დათიკო დებზე უმცროსი გახლდათ, მაგრამ როდის მომხდარა, სიკვდილს უმცროს-უფროსი გაერჩია. ერთი შეხედვით ეს ქვეყანაც თითქოს სასჯელმისჯილთა ბანაკსა ჰგავს, სადაც ღვთისგან გასამართლებულები, ცოდვიანი ადამიანები იხდიან სასჯელს. ზოგს ასი, ზოგს ნახევარი, ზოგს კიდევ ბევრად ნაკლები აქვს მარმართლმსაჯულებისგან მისჯილი, მაინც ყველაფერს ეგუება ადამთა შთამომავალი. ასე ადვილად ვერ თმობს ამქვეყნიურ ცხოვრებას, რადგან მთლად არაა დარწმუნებული, რომ სიკვდილის შემდეგ, არსებობს იმქვეყნიური სიცოცხლე... სიახლესთან უჭირს შეგუება, შეუჩვეველ სიამტკბილობას შეჩვეული ჭირი ურჩევნია, ამიტომაც უჭირს და არ უნდა „გრძელ სოფელში“ გამგზავრება. ღმერთის მიერ დაწესებულ კანონის წინაშე ვართ უძლურები, თორემ ვინ იტყოდა სიცოცხლეზე უარს. ჩვენი მოსვლა-წასვლა, ამ ქვეყნაში და იმ ქვეყანაშიდაც, ღმერთის ნებასურვილზეა დამოკიდებული. დიდი სულგრძელობა და რკინის ნერვები

გვმართებს. ადამიანურად განვლოთ ეს წუთისოფელი, რომ აუგად არ მოგვიხსენიონ...

დალხინებული ცხოვრება არ გამოუვლიათ დათასა და კონსტანტინეს შთამომავლობას, მრავალი სიმწარე და სიტკბოება იწვნიეს, მაგრამ მაინც შეძლეს კაცური სახელის დატოვება, რაზედაც ამაყობს დღეს საქართველო...

გაუსაძლისი დრო, სიდუხჭირე გადაიტანა ახალგაზრდა, უდროოდ დაქვრივებულმა ფეფიკომ, პატიოსნად ატარა ქართველი მანდილოსნის ღირსება და დიდი შრომისა და წვალების ფასად აღზარდა ერთადერთი ვაჟი დავითი (ჩერჩილა), განათლება მიაღებინა, ჩამოაყალიბა როგორც პიროვნება, ისე როგორც, დიდი ნიკო ღოღობერიძის განთქმულ ოჯახს ეკადრებოდა.

ფეფიკო ძალ-ღონეს არ ზოგავდა, ყოველ გადადგმულ ნაბიჯს უფრთხილდებოდა, რათა ერთ პატარა არასწორ მოქმედებას ჩრდილი არ მიეყენებინა თავისივე სახელოვანი წინაპრებისთვის. ერთადერთი გზა გულის დამამშვიდებელი, სიპატიოსნე და ერთგულება დარჩენოდა, სხვა ახალი ვერაფერი აღმოაჩინა და ასე შეწირა თავისი არაჩვეულებრივი სილამაზე პატიოსნებას. ისე იცხოვრა უკან მოხედვის არ რცხვენოდა. ბოლომდე შეინარჩუნა მტკიცე ხასიათი, ღმერთისა და საზოგადოების წინაშე, ღირსეულად აღესრულა. ფეფიკოზე მეტი სიმწარე, თინიკას ხვდა წილად, დისგან განსხვავებით, ახალგაზრდა არ დაქვრივებულა, მაგრამ ის რაც მან ცხოვრებაში იწვნია, მტერსაც არ ვუსურვებ! მოგეხსენებათ, როგორი გადასატანი იქნებოდა ქალიშვილის უდროოდ დაკარგვა. საინტერესოა საყვარელიძეების ლამაზმანებს ასე უღვთოდ რატომ სჯიდა ბედისწერა. ჯერ იყო და, ნინასა და მშვენიერი თამარის ამქვეყნიდან უდროოდ წასვლამ ძლიერ დაამწუხრა შეჭირვებულთა ხელისგამმართველი და კაცთმოყვარე ოჯახი, გავკადნიერდები და შემოგეკამათები უფალო, ეტყობა, ანგელოზები შემოგვაკლდა და ამიტომ დაერიე ასეთ პატიოსან ხალხთა მონაგარს, რადგან, რჩეულთა ადგილი მხოლოდ ზეცაშია! თორემ, სიკვდილს რა ხელი ჰქონდა მზია კორძახიასა და მოგვიანებით კი, ირინა მიქატაძესთან. თითოეულ ჩვენგანს შუბლის ძვალზე აწერია მომავალი ბედისწერა. ჟამთაღმრიცხველი იმ დღეს არ გვიმხელს და გვიმალავს, როდის უნდა აღვესრულოთ, რათა ადამთა მოდგომისთვის უკეთესია არ იცოდეს არაფერი ამ დღესთან დაკავშირებით. დღემდე გრძელდება ძიება ტაბუდადებულ საიდუმლოს ამოსახსნელად, მაგრამ ნურას უკაცრავად, შუბლის ძვალზე ხაზების გაშიფვრა ვერ შევძელით. მოკლედ, სასურველ შედეგს სრულყოფილად ვერა და ვერ მივაღწიეთ.

დებიდან განსხვავებით დათიკოს ბევრად ნაკლები მწარე სამსალა ასვა ამ დაუნდობელმა წუთისოფელმა. ბოლომდე მაინც არ გაახარა და გვერდიდან გამოაცალა საყვარელი მეუღლე. კი, მართალია, ეს უბედურება ახალგაზრდობის წლებში არ მომხდარა, მაგრამ დეიდა თამარი ისე აღესრულა ივიკოს შვილები ვერ იხილა. რას იზამ, ასეა მოწყობილი ჩვენი ცხოვრება. ზოგჯერ ნაკლები დოზით, ზოგჯერ გადაჭარბებულად გვირევს შხამს შარბათში. არცერთ ადამიანს ჯერ ჭირისგარეშე არ გაუვლია ეს სასწაული წუთისოფელი. დიდი შრომისა და ოფლის საფასურად განვლო დათიკომაც ცხოვრების გზა, რიგითი აგრონომიდან, საცდელი სადგურის დირექტორობამდე და თამბაქოს დამამზადებელი კანტორის მმართველობამდე. მივლინებული იყო როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი — მეთამბაქოე იუგოსლავიასა და ბულგარეთში. არჩეულ იქნა მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგედ და რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრად. ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონული საბჭოების დეპუტატად. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ეჰ, რა ვუთხრა სიკვდილს, ერთ დროს ყველანი ერთ მუშტივით შეკრული დაგვშალა და დაგვალცალკავა. ადრინდელივით, როგორც დათიკოს სიცოცხლეში ხდებოდა, ვეღარ ვიკრიბებოდით. მოგეხსენებათ, მარტოდ დარჩენილი ცისანა სახლში იშვიათად ბრუნდებოდა, უმეტესწილად მარიკასთან, ან ივიკოსთან ატარებდა. ჩვიდმეტი წელი იცოცხლეს დათიკოს გარდაცვალების შემდეგ ცისანამ და მარიკამ, სულ რაღაც სამი თვით გაასწრო ცისანამ. სიმართლე რომ ვთქვა, მეამაყება იმდენი მოახერხეს, რომ თავისი წილი კვალი დაუტოვეს მომავალ თაობებს. ორთავე დების ნარ-ნარი ხმა, რელიქვიასავით შემორჩა ქართულ კინოფილმებს. თუ ღმერთმა ინება და ამ წიგნს ეღირსა სამზეოზე გამოსვლა, მაშინ ცოტა წატრაბახებით ვიტყვი: თავს ბედნიერად ვთვლი, ასე თუ ისე, რომ შევძელი მათი ხსოვნის სახეების გადმოტანა და გაუკვდავება. მათდამი მიძღვნილი ყველა ხსოვნის ლექსი ჟურნალ-გაზეთებშიც გამოვაქვეყნე და წიგნებშიც შევიტანე. გთავაზობთ პატარა ნაწყვეტს**: „თურმე ღმერთი არ გაწირავს, / ვინც სიმღერის იცის ფასი, / ხსოვნა დარჩა აივნიდან, / ცისანას და მარიკასი“... /.**

ჯერ ქალიშვილის ტრაგიკულად დაღუპვამ, შემდეგ მარიკას დაკარგვამ დაასნეულა ჯუნა. გულის ოპერაცია ჩაუტარეს, მაგრამ ამაოდ. ცოლის გარდაცვალებიდან, რამოდენიმე წელი იცოცხლა, შვილთაშვილის პატარა ირინას დაბადებას მოესწრო და ისე წავიდა ამქვეყნიდან. „ლიტერატურულ საქართველოში“ დავბეჭდე ხსოვნის ლექსი:

„გავცქერი წარსულს — გაცვეთილ ჟურნალს, / მაინც არ ვკარგავ მომავლის იმედს, / გოგი წერეთელს შევხვდები ჯუნა, / გიგონებთ სანამ გულები გვიცემს“. /

საბურთალოს პანთეონში განისვენებენ მოქანდაკეთა ოჯახი შოთა, ელენე, ჯუნა, მარიკა და ირინე, ღმერთმა ნათელში ამყოფოთ და მსუბუქი ყოფილიყოს მათ მკერდზე დაყრილი მშობლიური მიწა...

ასე წავიდა უფროსი თაობა, დღეს ყველაზე უფროსი საყვარელიძეების მოდგმიდან მხოლოდ ივიკოა შემორჩენილი. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს. ცოტა ხნის უკან სახლში ვესტუმრე და მოვინახულე. მიხარია, რომ მხნედ გამოიყურება, მართლაც ღვთისმოსავი ადამიანია. კვლავ გამოდის ხოლმე გიტარით ხელში სცენაზე, ეკა მამალაძესთან და ნუკრი კაპანაძესთან ერთად. მის მიერ დაწერილი მუსიკა დათო გომართელმა ააჟღერა და მთელ საქართველოს მოსდო გულიდან ამოფრენილი ტკბილი ჰანგები. ჩემთვის ბევრს ნიშნავს, ასეთი პოპულარული ნათლია რომ მყავს, ამბობენ, ნათლულები ემსგავსებიან ნათლიებსო, იქნებ, ღმერთმა მისმინოს და მეც პატარა რამე შემეძინოს ჩემი საქართველოსთვის. ავისგან ჯვარი მწერია!

სამი შვილი ჰყავს ივიკოს, მათგან დავითი ცნობილი რეჟისორია, წლობით ედგა სათავეში ოპერის თეატრს. ცხრა შვილიშვილი ეზრდება, ზოგიერთი მათგანი ცნობილი სპორტსმენებია. ბედი მქონიაო! — ქალბატონმა ვერიკომ უნდა თქვას, ასეთი ლამაზი სულის მქონე მეუღლე რომ შეახვედრა...

ბედნიერებას გისურვებთ კეთილო ადამიანებო, საყვარელიძეებო!

მე გავაკეთე ის, რაც შევძელი, თუ ამას სხვა ჩემზე უკეთესად გააკეთებს, შურისგან ღმერთმა დამიფაროს!..

თბილისი.
2006—2013 წ.წ.

სიმონ საყვარელიძე აღსაზრდელებთან ერთად

გადაღებული ზედა საქარაში ეზოში.
დავით საყვარელიძე და სიმონ საყვარელიძე მეუღლეებთან,
თამარ მიქელაძესა და ტატიანა სამხრაძესთან ერთად.

საყვარელიძეები. ზედა საქარა

საუკუნოვანი მუხების ქვეშ. სიმონ საყვარელიძე
სიმონის დედა – ცუცუნა ავალიანი,
რძალი (ბიძაშვილის ცოლი) ცაბუა ჩიქოვანი

ავტორის მამა – მიშა ბაქრაძესთან ერთად დგანან: სიმონ საყვარელიძე, ცაბუა ჩიქოვანი, ნინია კირილოვა და ცუცუნა ავალიანი.

გადაღებული ზედა საქარაში. ეზოში მაგიდას უსხედან: დავით საყვარელიძე, ანატოლი შჩელიაგინი, სიმონ საყვარელიძე, ზაური კვეზეროვი, ვაჟა ვაჭარაძე



თამარ საყვარელიძე გალაქტიონ ნადირაძესთან ერთად

თამარ საყვარელიძე

ნინა საყვარელიძე

ხელოვნების დანაკლისი

ჩვენმა ხელოვნებამ ამ თვეში ჯერ კიდევ ნორჩი, მაგრამ თვალსაჩინო განძი დაკარგა. გარდაიცვალა ახალგაზდა მომღერალი ქალი, კოლორატურული სოპრანო, ნინო კონსტანტინე საყვარელიძის ასული.

იგი დაიბადა სოფ. საპარში, შორაპნის მაზრა. ქუთაისის გიმნაზიაში კურსის შესრულების შემდეგ წავიდა მოსკოვს, სადაც მუსიკას სწავლობდა პირველ სახემ. სათათბ. თავმჯდომარის მეულლის, მუსიკის პროფესორ ქალის მ. ნ. მურომცევის ხელმძღვანელობით. ომის დაწყებისას თბილისის ქართ. სიფილ. სკოლაში [illegible] ერთ საუკეთესოდ მოწაფედ ითვლებოდა. სწავლის დროსვე მონაწილეობდა კონცერტებში (სხვათა შორის ტ. ფოცხვერაშვილთან ერთად) და მსმენელნი მუდამ აღტაცებაში აჰყავდა. გრამოფონის ფირფიტებზე გადაღებულია მისი ნამღერი: „შშვენიერო შენ გეფიფი!“ „ახ მარგალიტოვ!“ „ორთავე თვალის ნათლევ!“ „ეროლო პეპელავ!“ „ავადა ვარ!“ „მოდი მნახე!“ „ჭირიმე, ჭირიმე!“ „იავ-ნანა!“ „სწრაფია ვით ტალღა!“ „ჩიტო ნუ ფრინავ!“ და სხვა. დარჩა დღიური და კერძო წერილები, რომელშიაც ბევრი თვისებური აზრი ადგს გამოთქმული მუსიკის შესახებ. ჯერ 21 წლის თუ იქნებოდა, დიდს იმედს იძლეოდა, მაგრამ უკურნელმა სენმა — ტუბერკულოზის გამო ფურჩქვნა ადარ აცალა: გარდაიცვალა ქრისტეშობისთვის 13, ქუთაისში ხოლო 18 სამშობლო სოფ. საპარში დაკრძალეს. დაესწრო ბევრი ხალხი და გულს ტკივილით დაიკრა ეს უდროო დანაკარგი. სამარესთან რა დენიმე სიტყვაც ითქვა. ნათელი იყოს ხსოვნა მისი.

ნინო კონსტანტინეს ასული საყვარელიძე

იოსებ არიმათელი.

თამარ საყვარელიძე (წინა პლანზე) ვარდუას როლში

ნოდარ ბაქრაძე

ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა 1948 წელს, ზესტაფონის რაიონის სოფ ზედა საქარაში. იგი სამი პოეტური კრებულის ავტორია. პროზაში ეს მისი პირველი წიგნია. იგი არის საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ნევრი.